Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com

Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

36

ИНСТИТУТ МАРКСИЗМА-ЛЕНИНИЗМА при ЦК КПСС

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1957

საქ. კპ ცკ-თან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტი —
სკკპ. ცკ.-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის
ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელმწიფო გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»
1950

ტომი
36

1900-1928

წინასიტყვაობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის დამატებად უშვებს ხუთ ტომს (36 — 40 ტ. ტ.). 36-ე ტომში შედის ნაწარმოებნი, რომლებიც დაბეჭდილია მესამე გამოცემაში, მაგრამ შეტანილი არ არის მეოთხე გამოცემაში, აგრეთვე ვ. ი. ლენინის ნაშრომები, რომლებიც თხზულებათა მეოთხე გამოცემის გამოსვლის შემდეგ გამოქვეყნდა; 37-ე ტომს შეადგენს «წერილები თავისიანებისადმი»; 38-ე ტომს — «ფილოსოფიური რვეულები»; 39-ე ტომს— «რვეულები იმპერიალიზმის შესახებ» და მე-40 ტომს — «მასალები აგრარულ საკითხზე». გარდა ამისა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის ხელმომწერთათვის დამატებით გამოიცემა სამი წიგნი, რომლებშიც შევა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დოკუმენტები ლენინის კრებულებიდან.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის ოცდამეთექვსმეტე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის 1900 — 1923 წლების ნაწარმოებთ. ტომის შინაარსში დიდი ადგილი უკავია ვ. ი. ლენინის წერილებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია თხზულებათა 34-ე და 35-ე ტომებში შესულ წერილებთან, დეპეშებთან, ბარათებთან. ვ. ი. ლენინის 1900—1903 წლების წერილები — პ. ბ. აქსელროდისა, გ. ვ. პლეხანოვისა, ვ. პ. ნოგინისა, ს. ი. რადჩენკოს, პ. ნ. ლეპეშინსკისა და პ. ა. კრასიკოვისადმი, ე. დ. სტასოვასა და სხვებისადმი გვიჩვენებენ ვ. ი. ლენინის მრავალმხრივ მოღვაწეობას პირველი საერთო-რუსული არალეგალური მარქსისტული გაზეთის

«ისკრის» და ჟურნალ «ზარიას» შესაქმნელად, აშუქებენ ვ. ი. ლენინის ბრძოლას «ლეგალური მარქსიზმისა» და ეკონომიზმის წინააღმდეგ; 1903 — 1904 წლების წერილები — გ. მ. კრჟიჟანოვსკისა და ვ. ა. ნოსკოვისადმი, ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩისა, გ. დ. ლეიტეიზენისა და სხვებისადმი — გადაგვიშლიან ვ. ი. ლენინის ბრძოლას მენშევიკების გამთიშველური, დეზორგანიზატორული მოქმედების წინააღმდეგ რსდმპ II ყრილობის შემდეგ.

1905 — 1907 წლების მიწერ-მოწერა აშუქებს ვ. ი. ლენინის მოღვაწეობას პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის და მის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

რეაქციის წლების დოკუმენტები გვიჩვენებენ, თუ რა ღონისძიებებს ხმარობდა ვ. ი. ლენინი, რათა განახლებულიყო გაზეთ «პროლეტარის» გამოცემა ჟენევაში და გაუმჯობესებულიყო ცენტრალური ორგანოს მუშაობა, აშუქებენ მის ბრძოლას აშკარა და ფარული ლიკვიდატორობის წინააღმდეგ, რევოლუციური მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლების დამახინჯების ცდების წინააღმდეგ.

დოკუმენტების ნაწილი ასახავს ვ. ი. ლენინის მოღვაწეობას საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში.

პირველი მსოფლიო ომის წლებში ვ. ა. კარპინსკისა, ა. გ. შლიაპნიკოვისა, ა. მ. კოლონტაისა და სხვებისათვის გაგზავნილი წერილების დიდი რაოდენობა მიძღვნილია პარტიის ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» გამოცემის განახლებისადმი, ინტერნაციონალისტური ელემენტების დარაზმვისადმი რუსეთისა და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში არსებული სოციალ-შოვინიზმისა და ცენტრიზმის მხილებისათვის. ამ წერილებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ციმერვალდსა და კინტალში ინტერნაციონალისტების საერთაშორისო კონფერენციების მოწვევის საკითხს.

ტომში შესული დოკუმენტების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ ვ. ი. ლენინის მოსამზადებელი ნაშრომები — გეგმები, კონსპექტები, მონახაზები, თეზისები. მათ შორის

«აპრილის თეზისების თავდაპირველი მონახაზი», «გეგმა მოხსენებისა აპრილის კონფერენციის შესახებ», «პროექტი დეკრეტისა სამომხმარებლო კომუნების შესახებ. წინასწარი თეზისები», «გეგმა სიტყვისა საბჭოების სრულიად რუსეთის IV საგანგებო ყრილობის ფრაქციაზე», «ბრესტის ზავის რატიფიკაციის შესახებ. გეგმა სიტყვისა საბჭოების ყრილობაზე», «შენიშვნები სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაციის საკითხის გამო», «პოლიტექნიკური განათლების შესახებ. შენიშვნები ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის თეზისების გამო», «გეგმა სიტყვისა რკპ(ბ) X ყრილობაზე გაწერის გადასახადით შეცვლის შესახებ», «გეგმა სიტყვისა პოლიტგანების სრულიად რუსეთის X ყრილობაზე», «შენიშვნები რკპ ისტორიის შესახებ», «გეგმა სიტყვისა 1922 წ. 27. III-თვის», «გეგმა სიტყვისა კომინტერნის IV კონგრესზე», «საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობაზე წარმოუთქმელი სიტყვის კონსპექტი» და სხვები.

ტომში შედის ვ. ი. ლენინის 59 ნაწარმოები, რომლებიც პირველადაა შეტანილი თხზულებებში (ეს დოკუმენტები ტომის შინაარსში აღნიშნულია ვარსკვლავით — *). სამი წერილი გ. ვ. პლეხანოვისადმი — 1900 წლის 9 ნოემბრის, 1901 წლის 13 ივლისისა და 1902 წლის 1 დეკემბრისა — ეკუთვნის იმ პერიოდს, როდესაც გ. ვ. პლეხანოვი «ისკრის» რედაქციის წევრი იყო. წერილებში ყურადღება ექცევა იმას, რომ აუცილებელია შეებრძოლოთ რედაქციის ზოგიერთი წევრის მისწრაფებას — შეასუსტონ «ისკრის» ბრძოლა ოპორტუნიზმისა და რევიზიონიზმის წინააღმდეგ, და გაშუქებულია გაზეთის მორიგი ნომრებისათვის მასალების მომზადების საკითხები.

1901 წლის 19 აპრილის წერილში კ.-ი. ბრანტინგისადმი ვ. ი. ლენინი წინადადებით მიმართავს შვედ და ფინელ სოციალ-დემოკრატებს უფრო მჭიდრო კავშირურთიერთობა დაამყარონ გაზეთ «ისკრაში» და ჟურნალ «ზარიაში» თანამშრომლობის გზით. ამ წერილში ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა რუსი ხალხისათვის, განსა-

კუთრებით კი რუსი მუშებისათვის, ფინელი ხალხის პოლიტიკური მდგომარეობის და ცარიზმის წინააღმდეგ მისი ბრძოლის გაცნობას.

ტომში შეტანილია «ნიჟნი ნოვგოროდის მუშების მიერ გასამართლებაზე წარმოთქმული სიტყვების წინასიტყვაობა», რომელიც 1902 წლის 1 (14) დეკემბერზე ადრეა დაწერილი. 1905 წლის 23 მარტისა და 20 მაისის წერილებში ინგლისის «მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტის» მდივნისადმი ვ. ი. ლენინი იუწყება იმ ფულის დახარჯვის წესს, რაც გამოგზავნილი იყო 1905 წლის 9 (22) იანვრის «სისხლიან კვირას» დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

1905 წლის 1 თუ 2 ივნისის წერილში ლ. ა. ფოტიევასადმი ვ. ი. ლენინი იუწყება თავის განზრახვას — წაიკითხოს რეფერატი პარიზში თემაზე «მესამე ყრილობა და მისი გადაწყვეტილებანი». სტატია «საქმის ვითარება პარტიაში», დაწერილი 1911 წლის ივლისში, პრაღის პარტიული კონფერენციის მომზადების პერიოდში, მიძღვნილია ბრძოლისადმი შემარიგებლებისა და მათი მენშევიკ-ტროცკისტი მოკავშირეების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეშალათ კონფერენციის მოწვევა.

ვ. ი. ლენინის რვა წერილი ბოლშევიკურ გაზეთ «პრავდის» რედაქციისადმი, მათგან ხუთი — 1912 წლის ოქტომბერ-ნოემბრისა და სამი წერილი 1914 წლის თებერვალ-აპრილისა, ახასიათებს, თუ რა ხელმძღვანელობას უწევდა ის გაზეთ «პრავდას», რომელმაც აღზარდა რევოლუციური რუსი მუშების — «პრავდისტების» მთელი თაობა; წერილებში დიდი ადგილი ეთმობა IV საბელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით «პრავდის» რედაქციის მუშაობის საკითხებს.

ტომში შეტანილია ვ. ი. ლენინის 9 სტატია, რომლებიც დაიწერა 1912 — 1913 წლებში «პრავდისათვის», მაგრამ იმ დროს არ დაბეჭდილა, და 16 სტატია, გამოქვეყნებული

«პრავდაში» 1913 — 1914 წლებში — ნაწილი ხელმოუწერლად, ნაწილი სხვადასხვა ფსევდონიმით; ეს წერილები რომ ვ. ი. ლენინს ეკუთვნის, დადგენილია ახლად მიღებული საარქივო დოკუმენტების საფუძველზე.

სტატიებში «ამერიკაში მომხდარი არჩევნების შემდეგ», «წრეგადასული ერთგულება», «ამერიკაში» გამოაშკარავებულია მასების მოტყუება ბურჟუაზიული პარტიების მიერ, ცინიკური, ბინძური ვაჭრობა «პარტიულობით» არჩევნების დროს სახელმწიფო აპარატში შემოსავლიანი ადგილების მიღების გულისათვის. ვ. ი. ლენინი ცხადყოფს, რომ ამერიკელი მილიარდერები სახელმწიფოს მოჩვენებითი დაცვის საბაბით სინამდვილეში იცავენ კაპიტალისტური მონოპოლიების ინტერესებს; განმარტავს, რომ ყველა ქვეყნის მუშები მშვიდობის მომხრენი არიან, რომ იმპერიალისტური ომები, რომლებსაც კაპიტალისტთა ინტერესებისათვის აწარმოებენ, დიდძალ მსხვერპლს იწვევენ.

მთელ რიგ სტატიებში ვ. ი. ლენინი აშუქებს გერმანიის მუშათა მოძრაობას. სტატიაში «გერმანიის სოციალ-დემოკრატია და შეიარაღება» ნაჩვენებია პროლეტარიატის აღშფოთების ზრდა იმპერიალისტების წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რომ ხალხის მასებს ძარცვავენ ერთი მუჭა კაპიტალისტთა, საომარი მასალისა და საჭურვლის ფაბრიკანტთა გასამდიდრებლად. სტატია «ბელგიელთა გაფიცვის გაკვეთილები» მიძღვნილია ბელგიის პროლეტარიატის საყოველთაო გაფიცვისადმი, რომელიც 1913 წლის აპრილში გამოვიდა საყოველთაო საარჩევნო უფლების მოთხოვნით. სტატიებში «ცხოვრების სიძვირე და კაპიტალისტების მძიმე ცხოვრება», «კაპიტალიზმი და ქალის შრომა» გაშუქებულია მუშების მძიმე მდგომარეობა მეფის რუსეთში, მოცემულია კაპიტალიზმის პირობებში ერთი მუჭა კაპიტალისტების გამდიდრების და მშრომელი მასების გაღატაკებისა და გაჩანაგების მკაფიო დახასიათება.

თხზულებებში პირველადაა შეტანილი: გეგმა რეფერატისა «რუსეთის რევოლუცია, მისი მნიშვნელობა და მისი ამო-

ცანები», რომელიც წაკითხულ იქნა ციურიხში არაუგვიანეს 1917 წლის 27 მარტისა; 1918 წ. 4 დეკემბრის წერილი დ.-მ. სერატისადმი; «პროგრამის ზოგადპოლიტიკური ნაწილის მესამე პროექტი (პარტიის VIII ყრილობის პროგრამის კომისიისათვის)», რომელშიც გამოაშკარავებულია პროლეტარული სოციალისტური დემოკრატიის არსი, მისი ძირეული განსხვავება ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან; 1919 წლის 13 მაისის დეპეშა ბელა კუნისადმი, რომელიც შეიცავს მისალმებას უნგრელი მუშებისა და გლეხების წითელი არმიისადმი, და 1919 წ. 18 ივნისის წერილი ბელა კუნისადმი, რომელიც იძლევა გაფრთხილებას, რომ არ შეიძლება ვენდოთ ანტანტას, ვინაიდან იგი მხოლოდ დროს იგებს, რათა რევოლუცია გაანადგუროსო.

დოკუმენტების ნაწილი (1920. 31. XII — 1921. 5. VIII) მიძღვნილია ელექტროგუთნების წარმოების საკითხისადმი.

1922 წ. 28 თებერვლის წერილში სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარისადმი ვ. ი. ლენინი მიუთითებს სახელმწიფო ბანკის აპარატის მუშაობის ნაკლოვანებებზე და იმაზე, რომ აუცილებელია კადრების უფრო გულდასმით შერჩევა. 1922 წ. 12 აპრილის წერილში ნ. ოსინსკისადმი ვ. ი. ლენინი აღნიშნავს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც აქვს ადგილობრივი, მოწინავე გამოცდილების შესწავლას და მის ფართოდ გავრცელებას.

ტომში შეტანილია ვ. ი. ლენინის მიერ 1922 წლის დეკემბერში — 1923 წლის იანვარში ნაკარნახევი დოკუმენტები: «წერილი ყრილობისადმი», რომელიც «ანდერძის» სახელწოდებით არის ცნობილი, წერილები «სახელმწიფო საგეგმო კომისიისათვის საკანონმდებლო ფუნქციების მინიჭების შესახებ» და «ეროვნებათა საკითხისათვის ანუ «ავტონომიზაციის»» შესახებ.

ეს ნაწარმოებნი უკავშირდება ვ. ი. ლენინის უკანასკნელ ნაშრომებს, რომლებსაც პროგრამული მნიშვნელობა აქვთ: «ფურცლები დღიურიდან», «კოოპერაციის შესახებ», «ჩვენი რევოლუციის შესახებ (ნ. სუხანოვის ჩანაწერების გამო)»,

«როგორ მოვაზდინოთ მუშგლეხინის რეორგანიზაცია (წინადადება პარტიის XII ყრილობას)», «უმჯობესია ცოტა და კარგი», რაც მის მიერ ნაკარნახევია 1923 წლის იანვარ-თებერვალში და მაშინვე გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 33).

«წერილში ყრილობისადმი» ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს კომუნისტური პარტიის ერთიანობის შენარჩუნების აუცილებლობას და სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტიის ერთიანობის შენარჩუნებას, ცენტრალური კომიტეტის ავტორიტეტის ამაღლებას და პარტიული აპარატის გაუმჯობესებას. ლენინი წინადადებას იძლევა — გადიდდეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა რიცხვი 50—100 კაცამდე. ამ წერილში ვ. ი. ლენინი იძლევა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი წევრის დახასიათებას, მიუთითებს ი. ბ. სტალინის ნაკლოვანებებზე და წინადადებას აყენებს განიხილონ გენერალური მდივნის პოსტზე მისი სხვა ამხანაგით შეცვლის საკითხი.

წერილში «სახელმწიფო საგეგმო კომისიისათვის საკანონმდებლო ფუნქციების მინიჭების შესახებ» ვ. ი. ლენინი აღნიშნავს სახელმწიფო საგეგმო კომისიის კომპეტენციის გაფართოების აუცილებლობას, იძლევა იმ პოლიტიკურ და საქმიან თვისებათა დახასიათებას, რომლებიც უნდა ჰქონდეთ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხელმძღვანელებს.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის წერილს «ეროვნებათა საკითხისათვის ანუ «ავტონომიზაციის» შესახებ», რომელიც დაწერილია სსრ კავშირის საბჭოების პირველი ყრილობის უშუალო მომზადებისა და ჩატარების დღეებში. ეს დოკუმენტი მკაფიოდ ახასიათებს ვ. ი. ლენინს როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნამდვილ სულისჩამდგმელსა და შემქმნელს, მის ზრუნვას სწორი ეროვნული პოლიტიკის გატარებისათვის, სსრ კავშირის განმტკიცებისათვის. წერილში ვ. ი. ლენინი მოითხოვს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების განხორ-

ციელებას, საბჭოთა კავშირის დიდ და პატარა ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

წერილში გადაჭრით დაგმობილია დიდმპყრობელური გადახრა ეროვნულ საკითხში, როგორც მთავარი საფრთხე იმ პირობებში, აღნიშნულია საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების იდეის დიდმპყრობელურ-შოვინისტური დამახინჯების მავნეობა, გამათრახებულია მეტისმეტი ცენტრალიზმი და ბიუროკრატიზმი ამ საქმეში. წერილში ხაზგასმულია აუცილებლობა, რომ უზრუნველვყოთ ერების სრული, ფაქტიური თანასწორუფლებიანობა, უნარიანად გავატაროთ პოლიტიკა ეროვნულ საკითხში, ყურადღებით მოვეკიდოთ სხვადასხვა ერის თავისებურებებსა და ინტერესებს, განვამტკიცოთ თვითეული რესპუბლიკის სუვერენიტეტი, რაც ხალხთა დარაზმვისა და ძმური მეგობრობის აუცილებელ პირობას წარმოადგენსო.

* *
*

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი, რომლებიც შესულია 36-ე ტომში, განლაგებულია ქრონოლოგიური რიგით, ამასთან საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი დოკუმენტები ახალი სტილითაა დათარიღებული.

სამეცნიერო აპარატი, ტომის განსაკუთრებული ხასიათის გამო, რომელიც ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის ერთ-ერთ დამატებით ტომს წარმოადგენს, განსხვავდება დანარჩენი ტომების სამეცნიერო აპარატისაგან: მასში არ არის ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები; შენიშვნების დიდი რაოდენობის გამო მოცემულია ცნობები პერიოდული პრესის მხოლოდ ზოგიერთ ორგანოზე და მოყვანილი არ არის პოლიტიკური პარტიების დახასიათებანი, რაც ძირითად ტომებში გვაქვს.

ტომში მოთავსებულია სიტყვარი — სახელთა საძიებელი, სადაც გაშიფრულია ფსევდონიმები და მეტსახელები, რომლებსაც ტექსტში ვხვდებით.

1900 წ.

ი. მ. სტეკლოვს[1]

წერილი ნახამკისს

1. მოვათავსებთ.

2. ++ სტატიისა. [შენიშვნები მასობრივ და სოციალ-დემოკრატიულ მასობრივ მოძრაობაზე, — იმის შეუძლებლობაზე სოციალ-დემოკრატებისათვის, რომ თუნდაც ერთი წუთით უარი თქვან თავიანთ მტკიცე სოციალ-დემოკრატიულ პრინციპებზე, — პროპაგანდასა და აგიტაციაზე, პოლიტიკური უფლებებისა და პოლიტიკური თავისუფლების თანაფარდობაზე. იმის შესახებ, რომ არ შეიკვეცოს 1 მაისის მნიშვნელობა და სხვ.][2].

3. — სტატიაში სასურველი იქნებოდა შეგვეტანა ზოგიერთი, უმნიშვნელო ცვლილება, რომელთა პროექტსაც გთავაზობთ იმ იმედით, რომ მათი ერთად განხილვა ჩვენ სრულ თანხმობამდე მიგვიყვანს.

ჯერ ერთი, საჭიროა ნათქვამის შეჯამება, შეჯერება, დასკვნა, რაც უკვე თქვენ თითონ აღნიშნეთ. მეორეც, ამასთან დაკავშირებით სასურველი იქნებოდა სტატიის დანარჩენი ნაწილის ერთგვარი შემოკლება (მაგალითად, შეიძლებოდა შეგვემოკლებინა შემდეგი ადგილები: გვ. 3. (NB* 2), გვ. 39 (NB 16) და ზოგიერთი სხვა) (სტატიის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 1 ნაბეჭდ თაბახს)

---

* — Nota bene — დაიხსომეთ. რ ე დ.

2. ვ. ი. ლენინი, ტ. 36.

და ზოგიერთი ადგილის გადამუშავება. ჩვენ გვგონია, რომ ეს გადამუშავება შემდეგში უნდა მდგომარეობდეს: სტატიის მთელმა ფორმამ ერთგვარი გამოწვევის ხასიათი მიიღო («ლია წერილი», «თქვენობით» მიმართვა და მისთ.), ეს კი არა გვგონია სასურველი იყოს. თქვენ თვითონ მიგვითითებდით ახლანდელი პოლემიკის ზოგიერთ უკიდურესობაზე («ბ-ნ გ.-ს ჯეელები»[3] და მისთ) და თქვენ სავსებით მართალი იყავით. რაკი უკიდურესობანი იყო, ახლა ჩვენ უფრო ფრთხილნი უნდა ვიყოთ: არა იმ აზრით, რომ თუნდაც ოდნავ დავთმოთ პრინციპები, არამედ იმ აზრით, რომ, თუ საჭირო არ არის, არ გავაბრაზოთ ადამიანები, რომლებიც, თავიანთი გაგების კვალობაზე, სოციალ-დემოკრატიისათვის მუშაობენ. იქნებ, «რაბოჩეე დელოს» პროგრამის კრიტიკა, რომელიც მათ შესახებ მე-3 პირში ილაპარაკებს, ამ მხრივ უკეთესი იყოს?

იმავე მოსაზრებებით შესაფერისი იქნებოდა ერთგვარი «შემწყნარებლობა» «რაბოჩეე დელოს» პროგრამის ფორმალური მხარისადმი: ეს როდია პარტიის პროგრამა, პარტიის პროგრამის პროექტიც კი არ არის, ასე რომ მისი შედარება საფრანგეთისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პროგრამასთან უმართებულოა (ყოველ შემთხვევაში, თუ ასეთ შედარებას უშენიშვნოდ მიმართავენ, როგორც ეს თქვენ გაქვთ 42 გვერდზე (NB 17)). პროგრამის ფორმალური მხარის კრიტიკა შეიძლებოდა შეგვემოკლებინა (თვითონაც ხომ გამოთქვით სურვილი (გვ. 2) «განზე დავტოვოთ» ფორმალური ნაკლოვანებანი) და ფორმალური ნაკლი, როგორც კერძო ნაკლი, პროგრამის საერთო პრინციპულ დეფექტამდე დაგვეყვანა. ჩვენ გვგონია, რომ ასეთი ცვლილება სასურველი იქნებოდა იმ კრიტიკული შენიშვნების მიმართ, რომლებიც მოცემულია 45 გვ. (NB 20), 39 გვ. (NB 16), 20 გვ. (NB 9). 6 გვ. (NB 6). იმ მკვეთრი ფორმულირებით, როგორც მიცემული აქვს აქა-იქ ამ შენიშვნებს, მათ თითქოს შეიძლება საბაბი მისცენ საზოგადოებას ილაპარაკოს (და ირცთუ მთლად უსაფუძვლოდ ილაპარაკოს) შარის მოდებაზე.

ზედმეტი — მკაცრად თეორიული თვალსაზრისით ზედმეტი — მოხსენიება — აუცილებელია ანგარიში გაუწიონ ადგილობრივ პირობებსო და მისთ., შეიძლება ნაყოფი იყოს არა იმისა, რომ რედაქციამ მეცნიერული სოციალიზმი ვერ შეითვისა, არამედ იმისა, რომ მას სურდა ხაზი გაესვა ამ თავისთავად გასაგები რამისათვის სწორედ ახლა, როდესაც ეს ხაზგასმა მას საჭიროდ მიაჩნდა. განა ზოგჯერ საჭირო არ ხდება ხაზი გავუსვათ თავისთავად გასაგებ რამეებსაც? ჩვენ სრულიადაც არ უარვყოფთ, რომ ამ შემთხვევაში ეს «საჭიროება» საამი მეოთხედით განისაზღვრებოდა «საჭიროებით» მოლაქუცებოდნენ «რაბოჩაია მისლს», მაგრამ მხოლოდ $^{3}/_{4}$-ით. დანარჩენ $^{1}/_{4}$-ს რომ დავიტოვებთ, ჩვენ საზოგადოებას შესაძლებლობას მივცემთ ბრალი დაგვდონ შარის მოდებაში, ხოლო თუ ამ ფორმალურ ნაკლთ როგორც კერძო მოვლენებს, საერთო პრინციპულ დეფექტამდე დავიყვანთ, მაშინ ჩვენს შენიშვნებში შევასუსტებთ შარის მოდების ხასიათს და გავაძლიერებთ ჩვენს არგუმენტაციას [4].

შემდეგ, უფრო კერძო შენიშვნები:

გვ. 17 (NB 8), შენიშვნა 1. ნათელი არ არის შენიშვნა «რას ნიშნავს ესე სიზმარი?»

გვ. 24 (NB 11). არ შეიძლება ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატია «ნაკლებად ზრუნავს თავის მოთხოვნათა მიღწევადობაზე». ჩვენ გვესმის თქვენი აზრი და ვეთანხმებით მას, მაგრამ იგი უფრო ზუსტად, უფრო ფრთხილად უნდა გამოითქვას: «არ შეუძლია უმაღლეს კრიტერიუმად მიიჩნიოს უშუალო მიღწევადობა» — მიუთითებს იმ გზაზე, რომლითაც უნდა იაროს, და არა უახლოესი პრაქტიკული წარმატების შესაძლებლობაზე ან რაიმე ამდაგვარზე.

გვ. 32 (NB 13) — «მისი საკუთარი გამოთქმით», — მეტისმეტად მაგარი ხომ არ არის?

გვ. 33 (NB 14) — «ხელთ იგდონ etc.*» — უხერხული, წინდაუხედავი გამოთქმაა «ხელთ იგდონ» სიტყვების გამო.

---

* — et cetera — და ასე შემდეგ. რედ.

გვ. 35 (in fine *, შენიშვნა). (NB 15).

«ყანდარმები» და სხვ. ხომ არ აჯობებს ეს ამოვაგდოთ ან შევცვალოთ?

გვ. 43 (NB 18). ერთობ მაგრადაა. არ შეიძლება უარი ვთქვათ ტერმინზე — გლეხობა.

გვ. 44 (NB 19). ერთობ მკვახედ და პირდაპირ არის ნათქვამი. საკითხი, თუ რის მოცემა შეუძლია გლეხობას, — რუსი სოციალ-დემოკრატების მიერ ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის გადაწყვეტილი (შდრ. «მრომის განთავისუფლების» ჯგუფის 1885 წლის პროგრამის[5] შენიშვნა) და საეჭვოა გადაწყვეტილი იქნას იმ აზრით, რომ გლეხთა პოლიტიკური როლი ნოლს უდრისო (შდრ.: Der 18 Brumaire[6]).

იმედი მაქვს მივიღო თქვენგან წერილი ამის პასუხად და არა მარტო წერილი, არამედ სტატიაც (სასურველია არაუგვიანეს 2, სულ ბევრი — 3 კვირისა).

გ. ვ.-მ გადაათვალიერა სტატია და აგრეთვე მოიწონა, აღნიშნა მხოლოდ ადგილი გვ. 24 (მიღწევადობის შესახებ).

P. S.** «ჩვენ» ამ წერილში — ვართ თქვენი თანამოსაუბრენი ბელრიეში[7] მთელი რედაქციის სახელით ჯერჯერობით ვერ ვკისრულობთ საგსებით გადაჭრით ვილაპარაკოთ, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ეს არც ჩვენ და არც თქვენ უსიამოვნებას არ შეგვამთხვევს.

დაწერილია 1900 წ. სექტემბრის დამდეგს
გაგზავნილია ნიურნბერგიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — ბოლოს. რედ.

** — Postscriptum — მინაწერი. რედ.

* * *[8]

დიდად პატივცემულო ამხანაგო! მივიღეთ თქვენი წერილი და ვიჩქარით გიპასუხოთ.

თუ თქვენ ჩემი სიტყვების გადაცემა გ.-სათვის «სამაგიეროს გადახდად», არასასიამოვნო მოვალეობად მიგაჩნიათ, მე, რა თქმა უნდა, იძულებული ვარ უკან წამოვიღო ჩემი თხოვნა. თუ თქვენთვის არასასიამოვნო არ იქნება, გადაეცით ჩემი სიტყვები, როცა შემთხვევა გექნებათ, საუბრის დროს არა პრეტენზიის ფორმით, არამედ შესწორების ფორმით. ყოველ შემთხვევაში, იქონიეთ მხედველობაში რომ მე ა რ ვ ი ქ ი ნ ე ბ.

«რევოლუციური ორგანიზაცია სოციალ-დემოკრატიის»[9] ფირმით ჩვენ ა რ გ ა მ ო ვ დ ი ვ ა რ თ — ჩვენ ვწერდით და ხაზგასმით აღვნიშნავდით, რომ ვქმნით დამოუკიდებელ ლიტერატურულ წამოწყებას[10].

გვექნება თუ არა ჩვენ «შეუწყნარებელი» პოლემიკა, — ეს საკითხია, რომელზეც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ წინა წერილში.

ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ უარი ვთქვათ პირად ნაცნობობაზე ამა თუ იმ მოკავშირესთან, მაგრამ ამჟამად სასარგებლოდ არ მიგვაჩნია განსაკუთრებული ურთიერთობა ლიტერატურულ ჯგუფსა[11] და კავშირს[12] შორის, ვინაიდან კავშირის უნდობლობა ჩვენდამი შეიძლება გაიფანტოს, ვიმეორებ, მხოლოდ თვით გამოცემებით, ყოველგვარი წინასწარი მოლაპარაკება კი უსარგებლო იქნებოდა.

იმაზე, რომ «საკალდებულოდ ჩაითვალოს თქვენთვის» «ლიტერატურული ჯგუფის ურთიერთობა კავშირთან», არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს ლაპარაკი.

თუ ლაპარაკიც არ შეიძლება იმის შესახებ, რომ თქვენ უარი თქვათ მონაწილეობაზე, ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ მთლად სწორად ვერ გაგიგეთ, და ვიჩქარით მოგაწოდოთ მისამართი, რომლითაც შეიძლებოდეს ყოველგვარი მასალის გამოგზავნა რუსეთიდან (თქვენთვის მიცემული მისამართით — Roegner*, მხოლოდ საზღვარგარეთიდან შეიძლება სარგებლობა, და ამ მისამართს თქვენ, თუ კაცი ხართ, სხვას ნურავის მისცემთ). გთხოვთ გვაცნობოთ, რას მოგვაწვდით ჟურნალისა და გაზეთისათვის, გაქვთ თუ არა უკვე რაიმე ჭზად და თუ არა გაქვთ, როდის დაწერთ?

დაწერილია 1900 წ. 5 და 15
სექტემბერს შუა მიუნხენში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში 1

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

*— რეგნერისა. რ ე დ.

პ. ბ. აქსელროდს

00. 10. X.

ძვირფასო პ. ბ.! მივიღე თქვენი წერილი დამატებებიანად. მადლობა მათთვის.

ინგლისური ჟურნალის შესახებ (სადაც ორი კორესპონდენცია იყო მოთავსებული) და[13] ამბობს, სახელწოდება არ მახსოვს — თითქოს რაღაც Family Pictures[14] მაგვარია — გარეკანი ყვითელი, წითელნახატებიანი, ჟურნალი დასურათებულია, «Neue Zeit»[15]-ზე უფრო დიდი ფორმატისაა, დაახლოებით 10 ნაბეჭდი თაბახი, თურმე თქვენ გამოგატანათ ჩემთვის, თქვენი ცოლის დასწრებით.

ალექსი უვნებელია, იწერება, კავშირურთიერთობას აგვარებს. განთავისუფლდება ასე 1 ½ — 2 თვის შემდეგ, — უფრო ადრე საეჭვოა. ძმა ისევ აქ არის, სულ აყოვნებს.

განცხადება ამ დღეებში მზად იქნება, და, ცხადია, გამოგიგზავნით[16]. გაზეთისათვის კორესპონდენტების მასალა უკვე ბლომადაა, — სამწუხაროა მხოლოდ, რომ სჭარბობს ვიწრო-მუშური მასალა, გაფიცვები და გაფიცვები. აგრეთვე მუშათა მდგომარეობის აღწერა. არაფერია საშინაო საკითხებზე საერთოდ.

დიტცმა ხელი მოჰკიდა ჩვენი ჟურნალის გამოცემას[17] შრიფტი ნაყიდია, მაგრამ პასუხისმგებელი[18] ჯერ კიდევ არ არის და არა. ერთი კომბინაცია ჩაიფუშა; მხედველობაში გვაქვს სხვა კომბინაციები. თუ პასუხისმგებელს ვერ იშოვით, სტამბას სხვა ადგილას გადავიტანთ.

როგორა ხართ? გაქვთ თუ არა მუშაობის ხალისი? ალბათ, პარიზმა სულ გაგამწარათ? გვაცნობეთ იმ სტატიის ამბავი [19], რომელიც ლიბკნეხტის შესახებ უნდა დაგეწერათ ჟურნალისა და გაზეთისათვის, — როგორაა საქმე და როდისთვის შეიძლება ვივარაუდოთ?

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ, რათა სავსებით ჯანსაღი იყოთ და რაც შეიძლება მეტი თავისუფალი დრო გქონდეთ.

თქვენი Petroff

აი საუკეთესო მისამართი:

Herrn Dr. Med. Carl Lehmann,
Gabelsbergerstrasse 20a.
München.

შიგნით, მეორე კონვერტზე: პეტროვისათვის.
(ბოდიში ჭუჭყიანი წერილის გამო!)

P. S. ახლა მივიღეთ ნახამკისისაგან წერილი, რომლიდანაც ირკვევა, რომ პარიზის კონგრესების თემაზე გაუგებრობა გამოდის. თქვენ გურევიჩისათვის გითხოვიათ დაეწერა, და, ცხადია, ეს ძალიან კარგია. კოლცოვმა მოიწერა, ამავე თემაზე ვაპირებ დავწეროო, და კიდეც შეუტყობინებია ნახამკისისათვის, თითქოს ჩვენ «დავავალეთ» მას დაწეროს ამაზე, — რაც ნამდვილად არ ყოფილა. ხომ არ შეძლებდით მიგეწერათ კოლცოვისათვის, რომ საჭიროა რომელიმე სხვა თემას მოჰკიდოთ ხელი-თქო. გთხოვეთ ეს გააკეთოთ, მით უფრო, რომ ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, თუ სადაა ის ახლა. ჩვენ ნახამკისს ვწერთ, რომ მან და გურევიჩმა ერთმანეთში გაიყონ ეს სამუშაო.

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პ. ბ. აქსელროდს

00. 18. X.

ძვირფასო პ. ბ.! გუშინ მივიღე თქვენი 15. X დიდი და საესიამოვნო წერილი — დიდი მადლობა ამისათვის. უაღრესად გაგვეხარდა, რომ უკეთ გრძნობთ თავს და შეგიძლიათ მუშაობა. სტატია გაზეთისათვის თეთრადაც კი იწერება! ჩვენ გვისწრებთ, — ჩვენ ვერა და ვერ ვეწყობით ისე, რომ ვინმემ გადაწეროს გასაგზავნად საჭირო რამეები. ზაგორსკაია[20] ჯერაც არ ჩამოსულა, გადასაწერი მასალა კი უფრო მატულობს. მე დროდადრო ძალ-ღონე მელევა და ასე შეიძლება სრულიად გადავეჩვიო ჩემს ნამდვილ საქმეს.

თქვენი გადაკრული სიტყვა, «დავიდარაბა» მოგველის პარიზელებთანო[21] — არცთუ მთლად გაგიგეთ. რასაკვირველია, ყველაფერზე წერა თქვენთვის საშინლად ძნელი უნდა იყოს, მაგრამ, იქნებ, გადასცეთ, თუ რაშია საქმე, ვერა ივანეს ასულს, რომელიც, იმედი გვაქვს, მალე გამოემგზავრება აქეთ?

პასუხისმგებელი ისევ და ისევ არა გვყავს... განცხადება მზადაა და გაიგზავნა რუსეთში (მალე გამოგიგზავნით), მალე შესაძლებელი იქნება შევუდგეთ გაზეთის აწყობას. დიდი კორესპონდენცია «მაისის დღეები ხარკოვში» (50 ათასამდე სიტყვანი) ვფიქრობთ ცალკეულ ბროშურად გამოვცეთ[22], გაზეთში კი მოკლე ექსტრაქტი მოვათავსოთ, რადგან 3/4 ფურცელს

ერთ რამეს ხომ არ დავუთმობთ! (გაზეთს ექნება 3-3 სვეტი გვერდში, დაახლოებით 6-6 ათასი ნიშანი ანუ, უფრო სწორად, «ადგილი» სვეტში). (განზრახული გვაქვს გაზეთის პირველი ნომერი გამოუშვათ 2 თაბახად, 8 გვერდი?). როგორ ფიქრობთ?

კორესპონდენციების გამო რჩევისათვის მადლობა — ჩვენ უეჭველად შევეცდებით ვისარგებლოთ ამ რჩევით, ვინაიდან გაზეთის ფიზიონომია ამით, რა თქმა უნდა, მხოლოდ მოიგებდა[23].

თქვენს შეხედულებას ძმის გამგზავრებაზე[24] მე სავსებით ვეთანხმები. რას ვააწყობ მასთან? ჩვენ ყოველგნით გვაფრთხილებენ — პარიზიდანაც (რომ რუსეთიდან ჩამოსულნი სამივეს სახელით გვიხსენიებენ), რუსეთიდანაც (რომ აქეთობას გზაში ჩემს კვალს მიაგნეს[25] და ერთ სამაზრო ქალაქში დააკავეს სრულიად უდანაშაულო კაცი, რომელსაც მე არ ვუნახივარ, შორეული ნათესავი, და ეკითხებოდნენ, თუ რა დავალებანი მივეცი მას!!), და მე მთელი მონდომებით ვარწმუნებ ძმას ან ნუ წავა, ან ორ კვირაში გასწიოს, კიდეც ვარწმუნებ, სასაცილოდაც ვიგდებ, კიდეც ვლანძღავ (ასე არასოდეს არ მილანძღავს), — ვერაფერი ჭრის, ახირებულა: შინ და შინაო! ახლა კი საქმე იქამდე მიიყვანა, რომ რუსეთში განცხადება გაიგზავნა, — მაშასადამე, უკვე იქნება (თუ ეს განცხადება მოხვდება, ეს კი უეჭველია) პირდაპირი მითითება ახალ ლიტერატურულ წამოწყებაზე. ახლა კი არც ისე დიდხანს მოგვიხდება ალექსის ლოდინი? აი ახლა მოვა ჩემი «ოპონენტი», და მას წავაკითხებ ამას — დეე, «გამანადგუროს», თუ სინდისი ეყოფა!

ორივენი სავსებით ჯანმრთელად ვართ, მაგრამ ნერვები ძალზე აგვეშალა, — მთავარია ეს დამღლელი გაურკვევლობა[26], ეს წყეული გერმანელები დღეს-ხვალიობით გვიმასპინძლდებიან! — ოჰ! მე მაგათ!..

მართლა, დამავიწყდა! (მაპატიეთ, თუ კაცი ხართ, სულ... გრძელად წერილის აჩქარებულობა!) — ბუხჰოლცთან უკვე

მქონდა მოლაპარაკება — უარი თქვა, პირდაპირ უარი თქვა. თავს გვახვევს Vermittlerrolle* — და ჰქენი რაც გინდა!

მაგრად გართმევთ ხელს და სალამს ვუთვლი მთელ თქვენს ოჯახს.

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

ზაგორსკაია ჩამოსულა. ხვალ ვნახავ.

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — შუამავლის როლს. რ ე დ.

პ. ბ. აქსელროდს

19. X.

ძვირფასო პ. ბ.! გუშინდელი წერილის მცირე მინაწერი, რათა არ მოგიხდეთ პასუხის გაცემა იმ კითხვებზე, რომლებიც უკვე erledigt* აღმოჩნდა.

ახლა მივიღეთ პარიზელთა წერილები, — და ერთბაშად მივხვდით იმას, რაზედაც გუშინ გწერდით, არცთუ მთლად გაგიგეთ მეთქი**, სახელდობრ: თქვენი გაფრთხილება — ვიყოთ «ბრძენნი ვით გველნი» (ადვილად სათქმელია!) და თავი ავარიდოთ «ემიგრაციას». წერილის კილო ისეთია, რომ საუცხოო კომენტარია თქვენი შენიშვნისა, რომელიც ახლა ჩემთვის სავსებით ცხადია.

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

დაწერილია 1900 წ. 19 ოქტომბერს
გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — ამოწურული. რ ე დ.
** — იხ. ეს ტომი, გვ. 9. რ ე დ.

პ. ბ. აქსელროდს

00. 21. X.

ძვირფასო პ. ბ.! მხოლოდ გუშინ ვნახე ზაგორსკაია, რომელმაც ზოგი რამ გადმომცა თქვენგან.

გთხოვთ გამომიგზავნოთ სტატია (ლიბკნეხტის შესახებ), როგორც კი გადაიწერება. ზაგორსკაიას სიტყვებმა ვერ შემიქმნეს ზუსტი წარმოდგენა სტატიის სიდიდეზე, მაგრამ საკითხი ხომ სიდიდე არაა: ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია შევმჭიდროვდეთ და ეს ყოველთვის სასიამოვნო იქნება თქვენი სტატიის გულისათვის.

პარიზელი ქალის შესახებ, რომელიც ერთი თვის შემდეგ მიემგზავრება რუსეთს, სამხრეთში, და რომელსაც სურს ჰქონდეს რეკომენდაციები. ვფიქრობ, აჯობებს ასე მოვიქცეთ: გავაცნოთ იგი დას, რომელიც ახლა პარიზშია და იქ კიდევ სამიოდე კვირას დარჩება, თუ მეტ ხანს არა. თუ ამ გეგმას ეთანხმებით, შეგვატყობინეთ ამ ქალის ვინაობა და მისამართი, აგრეთვე რაიმე ბარათი მასთან გამოსაცხადებლად თქვენი სახელით (თუ ეს საჭიროა) ან მე გამომიგზავნეთ ან დას გაუგზავნეთ (Rue de la Glacière. 103. M-lle Loukachevitsch, Paris. ბლანკისათვის).

გავიგე, რომ თქვენ აქ გამოგიგზავნიათ ბალიში და ინგლისური ჟურნალი, რა მისამართით? და ვის სახელზე, თუ postlagernd*? ზაგორსკაიამ ამაზე ვერაფერი მიპასუხა.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი.

---

* — მოთხოვნამდე. რ ე დ.

P. S. გიგზავნით ჩვენი განცხადების ეგზემპლარს ამერიკისათვის. ჩვენ გვინდა ა რ გ ა ვ ა ვ რ ც ე ლ ო თ ა ქ იგი, — ყოველ შემთხვევაში უსათუოდ არ გავავრცელოთ მანამდე, სანამ იგი რუსეთში საკმაო რაოდენობით არ გაჩნდება (რუსეთიდან კი ამ საკითხის გამო ჯერ კიდევ არა გვაქვს ცნობები). ამიტომ ამჟამად ჩვენ ვფიქრობთ გამოგიგზავნოთ განცხადება მხოლოდ თქვენ და გ. ვ.-ს, მაგრამ თუ ს ა ჭ ი რ ო დ მიგაჩნიათ ამერიკაში გაგზავნოთ ისე, რომ რუსეთიდან ცნობებს არ დაველოდოთ, მაშინ, რა თქმა უნდა, იქაც გაგზავნეთ.

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ვ. ვ. ნოგინს

00. 2. XI.

გთხოვთ მაპატიოთ, ძვირფასო ნოვოსელოვ, რომ ასე უმსგავსოდ ვაგვიანებ თქვენი 17. X წერილის პასუხს: სულ ვუნდებოდი აქ «წვრილმან» საქმეებს და რამე-რუმეებს, თანაც ველოდი პასუხს ალექსისაგან. პასუხს კი უნდა დავლოდებოდი, რათა ჩვენი სარედაქციო განცხადების საკითხი გამოგვერკვია. ალექსიმ გადაწყვიტა ჯერჯერობით არ გაავრცელოს იგი. ამიტომ, ერთ ეგზემპლარს რომ გიგზავნით, ძალიან გთხოვთ საიდუმლოდ შეინახოთ იგი, არავის არ უჩვენოთ (გარდა, იმ თქვენი ახლობელი მეგობრისა, რომელსაც რწმუნებულება აქვს სპბ. ჯგუფისაგან და რომელზეც თქვენ იწერებით[27]) და, უეჭველად, არავის გადასცეთ ხელში. ჩვენ საერთოდ გადავწყვიტეთ არ გავავრცელოთ ეს საზღვარგარეთ, ვიდრე რუსეთში არ გავრცელდება, ხოლო რაკი ალექსი მას იქაც აჩერებს, — ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მივაღწიოთ იმას, რომ იგი აქ არ გავუშვათ. რადგან ვითვალისწინებ თქვენს უშუალო მონაწილეობას ჩვენს საქმეში, ვადავწყვიტე დავუშვა გამონაკლისი და გაგაცნოთ განცხადება. მხედველობაში მიიღეთ, მისი კითხვის დროს, რომ განზრახულია გამოიცეს გაზეთიც და ჟურნალიც (ანკრებული), მაგრამ ამ უკანასკნელზე განცხადება დუმს ზოგიერთი განსაკუთრებული მოსაზრების გამო, რაც ჟურნალის გამოცემის გეგმასთანაა დაკავშირებული[28]. ამიტომ

განცხადების ზოგიერთი ადგილი არა მარტო გაზეთს უნდა მივაკუთვნოთ.

მოიწერეთ, თუ კაცი ხართ, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა განცხადებამ თქვენსა და თქვენს მეგობარზე.

რანაირი ტიპის «სააგიტაციო ჟურნალის» გამოცემა აქვს განზრახული «რაბოჩაია ზნამიას» ჯგუფის წევრებს (თქვენ ხომ მათ შესახებ იწერებოდით?)? როგორი ხასიათისაა და რა თანამშრომლებით?

რუსეთის საზღვარზე გადაყვანის შესახებ ვფიქრობ, რომ ეს ყოველთვის ადვილად შეიძლება მოგვარდეს: ჩვენ ურთიერთობა გვაქვს რამდენიმე ჯგუფთან, რომლებსაც გადაჰყავთ ხალხი, და გარდა ამისა ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენი ჯგუფის ერთ წევრს შეჰპირდნენ (ყოველივეს მიხედვით საიმედოდ), რომ შეძლებენ ვინც უნდა იყოს უპასპორტოდ გადაიყვანონ რუსეთში. ეს, ვფიქრობ, ადვილად მოეწყობა.

რუსული პასპორტის შესახებ საქმე უფრო ცუდადაა. ჯერ-ჯერობით არაფერი არ არის, «პერსპექტივებიც» ჯერ კიდევ ძალიან გაურკვეველია. იქნებ, გაზაფხულამდე ესეც მოწესრიგდეს.

აქ მე, ალბათ, საკმაოდ დიდხანს დავყოფ, და ამიტომ ჩვენი მიწერ-მოწერა შეიძლება შეუფერხებლად წარმოებდეს.

მეკითხებით: რა სამუშაოს დამაკისრებდითო. მგონია, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება (გაზაფხულისა ან შემოდგომისათვის, როცა თქვენ ვარაუდობთ გზას გამოუდგეთ) ასეთი სამუშაოები: 1) ლიტერატურის გადატანა საზღვარზე; 2) დატარება რუსეთში; 3) მუშათა წრეების შექმნა გაზეთის გასავრცელებლად, ცნობების მოსაწოდებლად და მისთ.; ე. ი. საერთოდ გაზეთის გავრცელების ორგანიზაცია და გაზეთსა და ცალკეულ კომიტეტებსა და ჯგუფებს შორის მჭიდრო და წესიერი კავშირურთიერთობის მოგვარება. თქვენს თანამშრომლობაზე ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ, — განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ უშუალო ურთიერთობა გაგაბათ მუშებთან სხვადასხვა ადგილას. მოგწონთ თუ არა ასეთი სამუშაო? არაფერი გაქვთ მისვლა-

მოსვლის საწინააღმდეგო? — ეს საამუშაო, ალბათ, მუდმივ მისვლა-მოსვლას მოითხოვს.

არსებობს თუ არა ახლა სპბ-ის ჯგუფი, რომლისგანაც თქვენს მეგობარს რწმუნებულება აქვს? თუ არსებობს, ხომ არ შეუძლია მას მოგვცეს მისამართი პიტერში შესახვედრად და პაროლი, რათა მათ გადაეცეს ჩვენი განცხადება. აქვთ თუ არა მათ კავშირურთიერთობა საერთოდ მუშებთან და კერძოდ «ს.-პეტერბურგის მუშათა ორგანიზაციასთან»[29]?

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ რაც შეიძლება მალე და ადვილად მოიხადოთ საზღვარგარეთული კარანტინი.

თქვენი Petroff

P. S. სწორად ვწერ თუ არა მისამართს?
მაცნობეთ ამ წერილის მიღება.

გაგზავნილია მიუნხენიდან ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პ. ბ. აქსელროდს

3. XI.

ბუშინ მივიღე თქვენი წერილი, ძვირფასო პ. ბ., და დღესვე გავუგზავნე ბარათი დას. ვ. ი.-ს წერილი არ გადამიცია.

რომ არ დამავიწყდეს: მაცნობეთ, თუ კაცი ხართ, **ვის სახელზე** გამოგზავნეთ ბალიში და ინგლისური წიგნი. **მე ისინი ჯერ კიდევ არ მიმიღია.** თუ გამოგზავნეთ postlagernd*, როგორ — ისე postlagernd, თუ Bahnhofpostlagernd** ან კიდევ სხვაგვარად? ვ. ი.-მ ვერ მიპასუხა, და მე სულ თქვენს წერილს ველოდი. მაგრამ იქ ამაზე კრინტიც არ არის დაძრული. რაკი არ ვიცი, ვის სახელზეა გამოგზავნილი, ვერ გაჩომიკითხავს. თხოვეთ ვერა პავლეს ასულს მომწეროს ამაზე ორიოდე სიტყვა და მაპატიეთ სულგრძელად, რომ ისევ და ისევ გაბეზრებთ თავს ამ წვრილმანებით.

ლიბკნეხტის შესახებ სტატიის გამო, მართალი გითხრათ, უკვე არ ვიცით როგორ მოვიქცეთ. თქვენ ხომ სიდიდით საჟურნალო სტატია გამოგვივიდათ: 8 გვერდი (ვ. ი.-ს სიტყვით ისეთი როგორიც «ნაკანუნეში»[30] არის წვრილი შრიფტი, ე. ი. 8 ათასამდე ნიშანი გვერდი) — ეს 64 ათასი ნიშანია, — «ნაკანუნეს» მსხვილი შრიფტიც რომ ავიღოთ, — ეს 50 ათასამდე ნიშანია! ჩვენი გაზეთი «Vorwärts»-ის*** ფორმატისა იქნება, აგრეთვე 3 სვეტიანი. სვეტი დაახ-

* — მოთხოვნამდე. რ ე დ.

** — მოთხოვნამდე ვაგზლის საფოსტო განყოფილებაში. რ ე დ.

*** — «წინ». რ ე დ.

ლოებით 6 ათასი ნიშანია, — მაშასადამე, თქვენი სტატიის ნახევარი დაიკავებს გაზეთის გვერდს მთლიანად + კიდევ სვეტი! ეს მეტისმეტად უხერხულია გაზეთისათვის, — რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ უხერხულია დავაქუცმაცოთ ისეთი სტატია, როგორიცაა თქვენი სტატია ლიბკნეხტის შესახებ.

ყოველივე ამას უფრო ზუსტად გამოვიანგარიშებ, როცა თქვენს სტატიას მივიღებ. მთელი ძალღონით ვეცდებით ნოვათავსოთ გაზეთში, მაგრამ თუ სიდიდის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა, მაშინ ხომ არ შეიძლება ნება მოგვცეთ ბროშურად გამოვცეთ იგი გაზეთის დამატებაში? (თუ ჟურნალისათვის ცალკე სწერთ ლიბკნეხტის შესახებ). ახლა იწყობა ბროშურა, «მაისის დღეები ხარკოვში» (50 ათასი ნიშანი), შემდეგ აიწყობა გაზეთი და მერე თქვენი ბროშურა ლიბკნეხტის შესახებ. ხოლო გაზეთისათვის, თუ აუცილებელი აღმოჩნდა, დაიწეროს შენიშვნა-ნეკროლოგი ბროშურაზე მითითებით. რას ფიქრობთ ამაზე?

ვიმეორებ: ყოველივე ეს მხოლოდ ვარაუდებია — აუცილებელია გამოვიანგარიშოთ ზუსტად, — ამას ვიზამთ თქვენი სტატიის მიღებისთანავე და მაშინვე მოგწერთ.

მაგრად გართმევთ ხელს და ყველაზე მეტად გისურვებთ რაც შეიძლება მალე და სავსებით გამომჯობინდეთ. დიდი სალამი თქვენს ოჯახს.

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

დაწერილია 1900 წ. 3 ნოემბერს
გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პ. ბ. აქსელროდს

Ე.XI.

ძვირფასო პ. ბ.! მივიღე თქვენი 5-ის წერილი და სტატია[31]. დიდი მადლობა სტატიისათვის. გადაკეთებამ, ალბათ, საკმაოდ დიდი შრომა მოითხოვა და კიდევ უფრო მეტი უსიამოვნება შეგამთხვიათ, რადგან ასეთი თემის შეკვეცა მეტისმეტად არასაინტერესო სამუშაო უნდა იყოს. მით უფრო ძვირფასია ჩვენთვის, რომ ეს იკისრეთ. ბოდიშს ვიხდი, რომ სტატიებს არ გიგზავნით: ჩვენი «მდივანი», სამწუხაროდ, სერიოზული ოჯახური მოვალეობებითაა დატვირთული, და ამიტომ გადაწერა ჩვენთან ძალიან ნელა მიდის. გიგზავნით სტატიას «რუსი პროლეტარიატის ახალი მეგობრები», რომელიც ჩვენ გვსურს მოვათავსოთ № 1-ში ფელეტონად[32]. გვაცნობეთ, თუ კაცი ხართ, თქვენი აზრი — შეიძლება სტატიაზევე ფანქრით — და შემდეგ ჰქენით სიკეთე გაუგზავნეთ იგი გ. ვ.-ს.

პარიზელების შესახებ ჩვენ გადავწყვიტეთ სწორედ იმ ტაქტიკას დავადგეთ, რომელსაც თქვენ გვირჩევთ: ერთი მხრივ, «არ ავამხედროთ», მეორე მხრივ, «თავი შევიკავოთ». ისინი, რა თქმა უნდა, ჩვენი თავშეკავებით უკმაყოფილონი არიან, და ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ მოგვიხდა (აუცილებლობის გამო მოგვიხდა) ისე შევბრძოლებოდით მათი უკმაყოფილების გამოხატვას, რომ გვეშინოდა «გაგულგრილებისა» (გვეშინოდა — შეუფერებელი სიტყვაა, ვინაიდან ჩვენ გადავწყვიტეთ ეს შებრძოლება, თუნდაც ამას უეჭველად

გამოეწვია კავშირის გაწყვეტა). გუშინ მივიღეთ მათ შიერ პარიზში შექმნილი ჯგუფის[33] «მდივნის» პასუხი; ამ პასუხის მიხედვით, ჩვენს შებრძოლებას მავნე შედეგები არ მოჰყოლია, და «ყველაფერი რიგზეა». იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალშიც ასე იქნება. შემდეგში რომ, ალბათ, მოგვიხდეა ვიფიქროთ «წესდებაზე» და სხვა სასიამოვნო და საინტერესო რამეებზე, რომლებზეც თქვენ ლაპარაკობთ, ეს სავსებით მართალია, მაგრამ თქვენ ჩინებულად მოიქეცით, რომ ამისათვის საკარაუდო ვადად ნახევარი წელი დანიშნეთ. ვიდრე წამოწყება «მთლად გამართული» არ იქნება, — ეს ნაადრევი გამოდგებოდა; ამ თქვენს აზრს ჩვენ სავსებით ვეთანხმებით.

მაგრამ აი იმის შესახებ, რომ დავიწყოთ აქ აშკარად გამოსვლა, — არ შემიძლია დაგეთანხმოთ. რომ «ლეგალობა უკვე დაკარგულია», ჯერ კიდევ არ შემიძლია ასე ვიფიქრო. ჩემი აზრით, ჯ ე რ კიდევ არ არის დაკარგული, და ეს ჯერ, იქნებ, კიდევ რამდენიმე თვეს გასტანს, რომელთა განმავლობაშიც ბევრი რამ გამოირკვევა. (ძმა უკვე რუსეთშია; ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა. მოგზაურიც[34] ჯერჯერობით მშვიდობიანად მოგზაურობს). ლეგალობის სრული და საბოლოო დაკარგვისასაც კი შეიძლება გვქონდეს საფუძვლიანი მოსაზრებანი აშკარად გამოსვლის წინააღმდეგ (მაგალითად, შინ გამგზავრების მოსაზრებანი). ამიტომ პირველი ნომრების გამოსვლამდე და მანამდე, სანამ ჩვენ ყველანი (ალექსისთან და ძმასთან ერთად) შევიყრებოდეთ, მე ყოველ შემთხვევაში განვაგრძობ დამალვას. თუ წამოწყებას წარმატება უწერია, მაშინ ეს გადაწყვეტილება შეიძლება მალე შეიცვალოს, — მაგრამ ჩემი წინანდელი «ოპტიმიზმი» ამ პირობის შესახებ ძალზე შეარყია «ცხოვრების პროზამ»[35].

ჟურნალის შესახებ, ალბათ, მალე გამოირკვევა, აქ მოვაწყობთ თუ სხვა ქვეყნებში წავალთ თავშესაფრის საძიებლად. როგორც კი გამოირკვევა, გაცნობებთ.

ამერიკაში წერილების გზავნა ჩემთვის მეტად უხერხულია, რადგან მე არავის ვიცნობ და არც არავინ მიცნობს, — სულ ერთია საჭირო გახდება თქვენს მეშვეობას მივმართო: იქნებ

სჯობია პირდაპირ დაწეროთ თქვენ, გაგზავნოთ განცხადება და აცნობოთ, რომ განცხადება რუსული ჯგუფისაგანაა, რომ თქვენი დამოკიდებულება ამ ჯგუფისადმი ასეთი და ასეთია, რომ ახლა იმავე სტამბაში იწყობა ბროშურა «მაისის დღეები ხარკოვში» და მისი დამთავრების შემდეგ აიწყობა გაზეთი, რომ ჟურნალზე (თუ კრებულზე) განცხადება დუმს კონსპირაციულ-ტექნიკურ მოსაზრებათა გამო, რომ №.1-თვის მზადდება (ან მზადაა) ასეთი და ასეთი სტატიები გ. ვ.-სა, თქვენი, კაუცკისა (Erinnerungen* — საინტერესო რამ, რასაც უკვე თარგმნის ვ. ი.) და სხვ. ვფიქრობ, ყველა მიზანი, რომლებზედაც თქვენ წერთ, თქვენი წერილით უფრო პირდაპირ და უკეთ მიიღწევა, ხოლო ამერიკაში თქვენგან განცხადების გაგზავნას უკვე ახლა (ვფიქრობ) არ ემუქრება არასასურველი გახმიანება, განსაკუთრებით ერთი ეგზემპლარის გაგზავნას იმისათვის, რომ საზოგადოების იქაურმა მდივანმა იგი საზოგადოების კრებაზე წაიკითხოს[36].

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი Petroff

P. S. ბალიში და წიგნი მივიღე.

დაწერილია 1900 წ. 8 ნოემბერს
გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — მოგონებანი. რ. ვ. ი.

გ. ვ. პლეხანოვს

9. XI.

დღეს მივიღე თქვენი წერილი, ძვირფასო გიორგი ვალენტინის-ძევ, და მაშინვე გამოგიგზავნეთ დაზღვეული ბანდეროლით 1) Puttman-ის* სტატია «რა მოხდა?»; 2) ბივალის[37] სტატია და 3) დ. კოლცოვის სტატია პარიზის კონგრესის შესახებ[38].

ეს უკანასკნელი სტატია ვერა ივანეს ასულმა სრულიად უვარგისად მიიჩნია, და მე სავსებით ვიზიარებ მის აზრს: სტატია არ არის საინტერესო, ჟურნალისათვის სრულიად შეუფერებელია (მით უფრო, რომ მილიერანზე თქვენ დაწერთ[39]), გაზეთისათვის უზომოდ გრძელია, მასში 22 — 27 ათასი ნიშანია, გაზეთისათვის კი საჭიროა შენიშვნა, რომელიც ასე 6—9 ათას ნიშანს ან ცოტა მეტს შეიცავს. ამიტომ ვფიქრობდით გვეთხოვა, რომ რაკოვსკის დაეწერა გაზეთისათვის ასეთი ზომის სტატია, ხოლო კოლცოვის სტატია უარგვეყო. გადავწყვიტეთ გამოგვეგზავნა თქვენთვის, მით უფრო, რომ თქვენ აპირებდით რაკოვსკისათვის პასუხის გაცემას: მოიქეცით ისე, როგორც უფრო მიზანშეწონილად დაინახავთ — ან უარყავით კოლცოვის სტატია და შეუკვეთეთ რაკოვსკის, ანდა დაავალეთ კოლცოვს გადააკეთოს და შეამოკლოს სტატია თქვენი ხელმძღვანელობით. ჩვენ უფრო გგვგონია, რომ თქვენ პირველ გზას აირჩევთ, და ამ შემთხვევაში, ცხადია,

---

* — პუტმანის. რ ე დ.

შეგიძლიათ კოლცოვის წინაშე ჩვენ დაგვიმოწმოთ, და ჩვენ შეგვიძლია თვითონ მივწეროთ მას, როგორც კი თქვენს პასუხს მივიღებთ.

ბივალის სტატიას გიგზავნით თქვენ მიერ დასახული გაწმენდისა და ზოგიერთი გასწორებისათვის. ცხადია, გასწორება შეიძლება — ინებეთ, ასწორეთ ყველა სტატია, — ფანქრით წააწერეთ ან პირდაპირ ხელნაწერში, ან ცალკეულ ფურცლებზე. შემდეგ ამ გასწორებათა გამო, თუ გნებავთ, შემიძლია მივწერო ბივალის, — ალბათ, იგი არ გაჯიუტდება, ხოლო თუ გაჯიუტდა, მაშინ უნდა ვიმსჯელოთ და არჩევანი მოვახდინოთ: მივიღოთ როგორც გვაძლევენ თუ არ მივიღოთ. ოღონდ მე არასგზით არ შემიძლია დავეთანხმო თქვენს წინადადებას — ამოვაგდოთ ბახარევის[40] ბროშურის მოხსენიება, და არა იმდენად იმიტომ, რომ ეს მეტისმეტად არასასიამოვნო იქნებოდა ავტორისათვის, რამდენადაც იმიტომ, რომ მეც სასარგებლოდ მიმაჩნია ბახარევის ბროშურა (მის ნაკლოვანებათა მიუხედავად), რომელიც მართლაც დიდმნიშვნელოვან საკითხს აყენებს და, საერთოდ და მთლიანად, სწორად სწყვეტს მას. ბივალი არა მარტო ძველზე წერს, არამედ ახალზეც; თუ 70-იან წლებში სერიოზულ რევოლუციონერებს ამგვარი ბროშურები არ სჭირდებოდათ, ჩვენ ახლა, უეჭველია, გვჭირდება, და ჩვენ ვფიქრობდით აუცილებლად მოგვეთავსებინა მის შესახებ (შესაძლოა გაზეთში, ოღონდ არა № 1-ში) კრიტიკული, მაგრამ მოწონების შემცველი, შენიშვნა. მთლად ნორჩი და ინტელიგენტი ახალგაზრდობის ჩაბმა მასების მოძრაობაში, ამ ახალგაზრდობის მიერ თითქმის სრული დავიწყება ან, უფრო სწორად, არცოდნა იმისა, თუ როგორ და რა იყო ძველად, «ნაცად» რევოლუციონერთა ორგანიზაციის უქონლობა, — ყოველივე ეს აუცილებელს ხდის გამოვცეთ ბროშურები სოციალისტთა ყოფაქცევის წესების შესახებ. პოლონელებს აქვთ ასეთი ბროშურა[41], ვგონებ, გაცილებით უფრო შინაარსიანი, ვიდრე ბახარევისაა. ვერა ივანეს ასული თანახმაა იმისა, რომ ბახარევის მოხსენიება არ უნდა ამოვაგდოთ. გარკვეულ პირობებში, თუ ეს თქვენ სა-

სარგებლოდ მიგაჩნიათ, იქნებ, უადგილო არ იყოს განგვეხილა ასეთი პროშურების შესაძლო მნიშვნელობის საკითხი ჟურნალის ფურცლებზე?

ჩვენ ვფიქრობთ, ბივალის სტატია მოვათავსოთ ჟურნალში და არა გაზეთში. ვერა ივანეს ასული ამბობს, რომ ჩვენი გაზეთი ერთი საფეხურით უფრო დაბლა დგას მკითხველთა იმ დონის მიხედვით, რომლისთვისაც იგი ნავარაუდევია, ვიდრე თქვენ, ალბათ, გგონიათ. ვერა ივანეს ასული საერთოდ საკმაოდ უკმაყოფილოა გაზეთით: «რაბოჩეე დელოს» ტიპისაა, ოღონდ უფრო ლიტერატურული, უფრო შეფერადებული... მე ერთი სტატია გავუგზავნე პავლე ბორისის ძეს და ვთხოვე თქვენთვის გადმოეგზავნა. სრულიად უხერხული იქნებოდა, რომ კაუცკის რეზოლუციის საკითხი შეგვემცირებინა და შეგვეკვეცა საგაზეთო სტატიის ზომამდე, და აი რატომ გვინდოდა მოგვეთავსებინა ჟურნალში ამ საკითხზე თქვენი პატარა სტატია თუ შენიშვნა. ან, იქნებ, თქვენ ფიქრობთ ძალიან, ძალიან ცოტას დავჯერდეთ? ალბათ, შენიშვნაც კი დასჭირდება 10-მდე ნაბეჭდი გვერდი, ე. ი. 20 ათასამდე ნიშანი, თუ მეტი არა.

სოლოვიოვზე მე, მართალი მოგახსენოთ, ვფიქრობდი, რომ თქვენ ხალისი გექნებოდათ დაგეწერათ შენიშვნა. Puttman-მა არა მგონია იკისროს: მივწერ, მაგრამ იმედი თითქმის არ მაქვს.

ვერა ივანეს ასული მზად არის დაწეროს დეკაბრისტებზე[42], მაგრამ როგორაა საქმე მასალების მხრივ? ახლავე მივწერთ, რომ გამოგვიგზავნონ რაც კი შეიძლება. იქნებ, თქვენც მიგვითითოთ, რა არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ ამ სამუშაოსათვის გვქონდეს. მგონია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიული ჟურნალები, რომლებსაც აქ ვერ იშოვით.

გურევიჩი ჟურნალისათვის წერს დიდ სტატიას საფრანგეთის საქმეებზე, გაზეთისათვის — ეროვნულ კონგრესზე. საერთაშორისო კონგრესის შესახებ თითქოს უნდოდა დაეწერა გოლდენდახს ან ნახამკისს, მაგრამ არ დაუწერიათ.

გამოგვიგზავნეთ, თუ კაცი ხართ, თქვენი სტატია «სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა» (შეიძლება დაზღვეული ბანდეროლით ი მ ა ვ ე ლ ე მ ბ ნ ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი თ); არა მგონია, რომ ამხანაგური კრიტიკის გამო სტატია არ მოეწონოს ალექსის, რომელიც, მახსოვს, მეუბნებოდა, პავლე ბორისის-ძის შემოკამათება სამართლიანად ვცანიო.

ცალკეულ ფურცლებს გადავნომრავთ (თუ გადანომრილი არ არის) და არა მგონია ასოთამწყობებმა დაკარგონ: მათ ხომ ყოველთვის ცალკეულ ფურცლებთან აქვთ საქმე, ჩვენთანაც გაზეთისათვის, ჯერ არ დაუკარგავთ. «პასუხისმგებლის» საკითხი, ალბათ, ხვალ-ზეგ გადაწყდება, — ვგონებ, კეთილ-სასურველად (დღეს მივიღე ცნობა ორი თანხმობის შესახებ: ხვალ არსებით ცნობებს მოველი), და ჩვენ ვფიქრობთ, რომ მაინც დაგვჭირდება (ყოველ შემთხვევაში დასაწყისისათვის) ბლიუმენფელდის დახმარება; Dietz* თანხმდებოდა, რომ მას ასოთამწყობად მიიღებდა. იგი მ ო გ ვ ი გ ვ ა რ ე ბ დ ა საქმეს, გააჩვევდა გერმანელებს და სხვ. როგორც კი ყველაფერი საბოლოოდ გამოირკვევა, მაშინვე მივწერ ან დეპეშას გავუგზავნი. თქვენი სტატია კი «ერთხელ კიდევ» etc.[43] ძალიან გვინდა რაც შეიძლება მალე გვექნეს, რადგან შესაძლოა, რომ მაშინვე მოგვიხდეს მისი ასაწყობად გადაცემა.

«რაბოჩაია მისლის» წინააღმდეგ, სწორედ რომ ვთქვათ, მხოლოდ «ცალკეულ დამატებაში» მოთავსებული სტატიის «ჩვენი სინამდვილის» წინააღმდეგ — მე ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ დაწერილი მქონდა სტატია «უკუსვლითი მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში»[44]; ახლა ეს სტატია აქ გამომიგზავნეს, და ვფიქრობ გადავაკეთო იგი ჟურნალისათვის, ამასთან დავურთო დამატება «რაბოჩეე დელოს» წინააღმდეგ.

არცთუ მთლად მაქვს წარმოდგენილი, «რაბოჩაია მისლის» რომელ «უკანასკნელ №-ზე ლაპარაკობთ»? გაზეთის უკანასკნელი ნომერი იყო № 8 — («მე-5 გვერდიდან» ახა-

* — დიტცი. რ ე დ.

ლი რედაქციაა), სადაც სხვათა შორის დაბეჭდილია უარ-ყოფა ცნობილი პარალელებისა ჩერნიშევსკის შე-სახებ «ცალკეულ დამატებაში» მოთავსებული სტატიის ბო-ლოში. ეს ხომ არა გაქვთ მხედველობაში?

შენიშვნას «სადამდის მივიდნენ?»[45], სასარგებლოდ ჩავ-თვლიდი, თუმცა «რაბოჩაია მისლის» «მებრძოლურობა» ახლა მეეჭვება: ზოგიერთი ნაბიჯი «ჩვენკენ» (passez moi le mot*) მათ მაინც სურთ გადმოდგან და უნდა ვეცადოთ მი-ვიჩნიოთ ისინი verbesserungsfähig**. მაგრამ იერიში, რა-საკვირველია მაინც უნდა მივიტანოთ: უამისოდ ისინი გამოუსწორებელნი არიან. ამ ცოტა ხნის წინათ მიწერ-მოწერა მქონდა ჩემ ძველ ამხანაგთან კავშირის ხაზით[46], ვეტრინსკაი-ასთან, და ვუთხარი, რომ ვუერთდები ალექსის სიტყვებს: «ჩვენ თქვენთან ბრძოლა მოგვიხდება». იბრძოლეთ, თუ არ შეგრცხვებათ, — უპასუხა მან ალექსის. მე მივწერე, სულაც არ შემრცხვება-მეთქი.

მინდოდა მესაუბრნა თქვენთან კიდევ ეკონომიურ მიმარ-თულებაზე და ალექსის შეხედულებებზე, მაგრამ უკვე მეტად გვიანია, და ორიოდე სიტყვას დავჯერდები: ეკონომიური მიმართულება, რა თქმა უნდა ყოველთვის შეცდომა იყო, მაგრამ ეს მიმართულება ხომ ძალიან ნორჩია, ხოლო «ეკონომიური» აგიტაციით გატაცება უმიმართულებოდაც იყო (და არის აქა-იქ), და იგი წინგადადგმული ნაბიჯის კანონიერი და გარდუვალი თანამგზავრი იყო ჩვენი მოძრაობის ვითარებაში, რომელიც არსებობდა რუ-სეთში 80-იანი წლების დამლევს ან 90-იანი წლების დამ-დეგს. ეს ვითარება ისეთი მომაკვდინებელი იყო, რომ თქვენ, ალბათ, ვერც წარმოიდგენთ, და არ შეიძლება დავგმოთ ადამიანები, რომლებიც, ამ ვითარებას თავს რომ აღწევდნენ, წაიბორძიკებდნენ ხოლმე. ერთგვარი შეზღუდულობა, ამ თავ-

---

* — (მაპატიეთ, რომ ასე ვამბობ) რედ.

** — ისეთებად, რომელთა გამოსწორება შეიძლება, რომელნიც წყალწაღებულნი არ არიან. რედ.

დაღწევის მიზნებისათვის, აუცილებელი და კანონიერი იყო,— ხოლო როცა იწყეს მისი თეორიად გადაქცევა და ბერნშტეინელობასთან დაკავშირება, საქმე, ცხადია, რადიკალურად შეიცვალა. ხოლო «ეკონომიური» აგიტაციით და «მასობრივი» მოძრაობის სამსახურით გატაცება რომ ბუნებრივი იყო, ეს, მახსოვს, თქვენც აღიარეთ «ახალ ლაშქრობაში», რომელიც დაწერილია 1896 წელს, როდესაც ვილნოს ეკონომიზმი უკვე იყო à l'ordre du jour*, პიტერისა კი იბადებოდა და ყალიბდებოდა.

მაგრად გართმევთ ხელს და გთხოვთ ნუ დამემდურებით რომ წერილი არეულ-დარეულია.

Votre Petroff

დაწერილია 1900 წ. 9 ნოემბერს
ჟაგზავნილია მიუნხენიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1956 წელს
ჟურნალ «კომუნისტში» № 10

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — დღის წესრიგში. რ ე დ.

პ. ბ. აქსელროდს

16. XI.

ახლა მივიღე, ძვირფასო პ. ბ., თქვენი შენიშვნები სტატიის «საარსებო ამოცანების» გამო[47]. დიდი მადლობა მათთვის. რას ფიქრობთ ამ სტატიის არაპოპულარობის შესახებ. ხომ არ იქნება იგი დისონანსი?

გიგზავნით წინასიტყვაობას ბროშურისათვის, «მაისის დღეები ხარკოვში» (ხელნაწერში, თქვენ რომ გაქვთ, შეტანილია ზოგიერთი, მაგრამ მეტად მცირე შესწორება). გთხოვთ მოგვაწვდინოთ თქვენი ხმა ამ წინასიტყვაობის საკითხის გამო და მოურიდებლად გამოთქვათ თქვენი შენიშვნები კალმით თუ ფანქრით იქვე.

გიგზავნით კიდევ რუსეთიდან მიღებულ დოკუმენტს ს.-პეტერბურგის მუშათა ორგანიზაციის «ბრძოლის კავშირთან»[48] შეერთების შესახებ. ამბობენ, რომ პიტერლები ძალიან ელოლიავებიან ამას, და კიევმა თითქოს უკვე მიიღო ეს პროგრამა. აუცილებელია მის შესახებ რაიმე დაიწეროს. ხომ არ გექნებათ ხალისი ეს გააკეთოთ? (როცა წაიკითხავთ ამ «დოკუმენტს» — ამ «უცნაურობას», როგორც ძმა ამბობს, გთხოვთ გადაუგზავნოთ იგი გ. ვ.-ს, თუ თქვენ არ გჭირდებათ).

ჩვენ, ბოლოს, გამოვძებნეთ პასუხისმგებელი: ეტინგერმა იკისრა ხელი მოაწეროს ორივე წიგნაკს ყოველ შემთხვევაში, ამასთან უარი თქვა ყოველგვარ პრეტენზიაზე «ტონის» და-

სხვათა შესახებ და დაიტოვა უფლება 2 წიგნაკის შემდეგ ბეჭდვურად განაცხადოს, არ ვეთანხმები შინაარსსო და სხვ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი ამ პირობას შეასრულებს (მხოლოდ დაბეჯითებით ითხოვს ჯერჯერობით, წიგნაკის გამოსვლამდე, არავის ვუთხრათ ეს), — ამ ზნის განმავლობაში კი ჩვენ ან გამოვნახავთ სხვა პირს ან სხვაგვარად მოვეწყობით[49]. ეტინგერთან მოლაპარაკებას პირადად ვაწარმოებდი ბუხჰოლცის მეშვეობით, რომელიც კ ა ვ შ ი რ ი დ ა ნ გ ა მ ო ვ ი დ ა, რათა გადაედგა ზოგიერთი ნაბიჯი შერიგების მიმართულებით. უფრო დაწვრილებით ამ ნაბიჯებზე შემდეგ მოგწერთ, მით უფრო, რომ ამაში ცოტაა საინტერესო რამ.

ახლა იმედი გვაქვს, რომ აწყობას ამ დღეებში დავიწყებთ.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი Petroff

დაწერილია 1900 წ. 16 ნოემბერს
ვაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პ. ბ. აქსელროდს

00. 19. XI.

ძვირფასო პ. ბ.! ახლა მივიღე თქვენი 17. XI წერილი და დიდი ინტერესით წავიკითხე თქვენი შენიშვნები. რა თქმა უნდა, ჩვენ აუცილებლად შევეცდებით გამოგიგზავნოთ ხოლმე რაც შეიძლება მეტი სტატია, ასე რომ ეს ყოველმხრივ სასარგებლოა გამოცემებისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ თქვენს ბუნებრივ ინტერესზე. ოღონდ სამწუხაროა, რომ ჩვენი მდივანი überarbeitet* ეს მაინც მალე უნდა შეიცვალოს, რადგან Kinderpflege-ს** საკითხში სერიოზული რეფორმებია წამოწყებული[50].

დანევიჩმა გამოგზავნა შენიშვნა გაზეთისათვის საფრანგეთის ეროვნულ კონგრესზე, 12 ათასამდე ნიშანი: მიჭირს იმის თქმა, რომ იგი სავსებით გამოსადეგია. ადვილი შესაძლებელია, რომ თუ თქვენი ქრონიკა იქნა, უიმისოდ იოლად წავალთ: მოუთმენლად ველით თქვენს ქრონიკას. ჟურნალისათვის დანევიჩი წერს დიდ სტატიას საფრანგეთის საქმეებზე[51].

აქ დართული წერილი როლაუსათვისაა: ჩემი კოლეგა წერს მას ჩვენი საქმის გამო «ჩაიზე», ვინაიდან ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩემი კორესპონდენტი, სკუბიკი, ქალაქში არ არის[52]. თუ შეიძლება, გადაეცით ეს წერილი როლაუს და

---

* — მეტისმეტად დაღლილია. რ ე დ.
** — ბავშვებისათვის ზრუნვა. რ ე დ.

თხოვეთ დაუყოვნებლივ გვიპასუხოს (მაპატიეთ, რომ ასეთი თხოვნით გაწუხებთ: იმედი მაქვს, შეგიძლიათ დაავალოთ ეს თუნდაც გურევიჩს). თუკი როლაუ ქალაქში არ არის, გთხოვთ წაიკითხოთ მისდამი გაგზავნილი წერილი და თუნდაც სკუბიკის ცოლს მოელაპარაკოთ წერილის შინაარსის თემაზე: საქმე ის არის, რომ ჩვენ რაც შეიძლება მალე უნდა მივიღოთ გარკვეული პასუხი, ხოლო თუ არც როლაუ არის და არც სკუბიკი, მაშინ ამის მიღწევა სხვაგვარად არ შეიძლება, თუ არა პირადი მოლაპარაკებით თქვენსა და მათი კომპანიიდან რომელიმეს შორის.

ლ. აქსელროდის სტატიის გამო[53] სავსებით გეთანხმებით, რომ იგი უწინარეს ყოვლისა გ. ვ.-ს უნდა გაეგზავნოს.

მაგრად გართმევთ ხელს და ბოდიშს ვიხდი ერთობ ნაჩქარევი წერილისათვის.

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პ. ბ. აქსელროდს

00. 26. XI.

ძვირფასო პ. ბ.!

ახლა მივიღეთ ჩვენი საერთო მეგობრის წერილი, რომელშიც ის იუწყება, ყველაფერი მოგვარებულიაო. ბოლოს, როგორც იქნა, საქმე «მტკიცედ» გაიმართება. ის ძალიან გთხოვთ, შეძლებისამებრ მალე გამოგზავნოთ ჩემს სახელზე ნუსპერლის პასპორტი* (თუ ხუსპერლის? გაურკვეველია, მაგრამ თქვენ, რა თქმა უნდა, გეცოდინებათ)[54]

ხვალ, 27.XI, ის შეუდგება აწყობას და, მაშასადამე, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ორიოდე კვირის (ან ცოტა მეტი ხნის) შემდეგ ყველაფერი სავსებით მზად იქნება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ ერთი კვირის შემდეგ მთელი მასალა უკვე ხელთ გვქონდეს, მათ შორის თქვენი უცხოეთის ქრონიკაც. იმედი მაქვს, რომ ეს ვადა თქვენ არაფერს არ შეგაწყვეტინებთ, ვინაიდან თქვენ, ალბათ, უკვე ცოტა დაგრჩათ. ვ. ი. დღეს წერს გ. ვ.-ს, რომ მან დააჩქაროს ვინც პარიზის კონგრესზე წერს[55]. მითითებანი მის სტატიაზე (თუ ამას საჭიროდ თვლით), რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია სტატიის მიღებამდეც.

---

* — ის გვწერს: «დაგიბრუნებთ, როგორც კი აქ გამოვცხადდები».

54 ვ. ლენინი. ტ. 36.

მაგრამ გართმევთ ხელს და გისურვებთ სრულ ჯანმრთელობას.

თქვენი ჰეტროვი

P. S. დღესვე ვუგზავნი (გ. ვ.-ს) ხელნაწერს[58] დიტცს. ეგებ იქაც საქმე გადაჭრით წარიმართოს. დროა!

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პ. ბ. აქსელროდს

11. XII.

ძვირფასო პ. ბ.!

დიდად გმადლობთ, რომ მალე გამომიგზავნეთ შენიშვნები გათიშვის შესახებ წერილის გამო[37]. მე შევიტანე შესწორებანი, რომლებიც თქვენ სასურველად მიგაჩნიათ, ოღონდ ვერ შევძელი სულ ამომეგდო სიტყვები «რაბოჩეე დელოს» დამსახურების შესახებ, — მგონია, ეს უსამართლო იქნებოდა მოწინააღმდეგის მიმართ, რომელსაც მარტო შეცოდებანი როდი აქვს სოციალ-დემოკრატიის წინაშე.

პოლეტაევმა მაცნობა ჩემთვის ფრიად სასიხარულო ამბავი, რომ თქვენ ახლა რამდენადმე თავი დაგიღწევიათ კეფირისაგან და შეძლებდით დროებით ჩამოსულიყავით ჩვენთან. აი ეს ჩინებული იქნებოდა! — მოწყობის მხრივ, ვფიქრობ, სიძნელეებს არ შევხვდებით, ოთახი შეიძლება კვირეულად დაიქირაოს კაცმა. პასპორტიც ხომ თქვენ შვეიცარიის მოქალაქისა გაქვთ. მაინც მოველი (მაინც, რადგან დიდი ხანია და ამაოდ ველი) ორივე მეგობრის მალე ჩამოსვლას. ალექსი იწერება, «მოვისწრაფვი», ოღონდ ცოტათი მაყოვნებს სხვადასხვა გარემოებაო. მეორე ამხანაგი როგორღაც დიდი ხანია არ იწერება, — მაგრამ არა მგონია, რომ ეს ძალიან ცუდ რაიმეს მოასწავებდეს. მათი ჩამოსვლის დროისათვის გამოვა, ალბათ, «ისკრაც» (1 — 2 კვირის შემდეგ) და «ზაოიაც» (დიტცმა მეორე ასოთამწყობი დაიქირავა და სწრაფად მუშაობს, ჩვენც გვაჩქარებს. იტყვამ მოიტანა: გიქნიბათ თქვენ

რაიმე ჟურნალის ამ ნომრისათვის*?); ზოგი რამ გამოირკვევა გადაზიდვის შესახებაც (ოჰ, ძნელი საკითხია!), მასალების შესახებაც. და მაშინ საერთო თათბირის გამართვა ფრიად სასურველი იქნებოდა. მე ძალიან ვოცნებობ ამაზე.

როგორ არის ახალგაზრდა ადლერის სტატიის საქმე[58]? წერს თუ არა ის? როდის იქნება მზად? გთხოვთ დააჩქაროთ იგი წერილით და — თუ თქვენ მიწერ-მოწერა დაგამძიმებთ, ან თუ დიდი დრო დაგეკარგებათ მიუნხენ-ციურიხ-ვენის Umweg-ით**, მიეცით ლემანის მისამართი (Herrn Dr. Med. Carl Lehmann, Gabelsbergerstrasse 20 a, München. მეორე კონვერტზე für Meyer***), — ჩვენ კი მოგვაწოდეთ მისი მისამართი. და მისგან პასუხს გამოვითხოვთ.

«ზარია» გვინდა დავბეჭდოთ 1000 ცალი რუსეთისათვის და 500 — საზღვარგარეთისათვის.

მოუთმენლად ველი ქრონიკას, — შემდეგ კი შეხვედრას.

თქვენი Petroff

გურევიჩისათვის:

თუ ეაცი ხარ, გაისარჯეთ ასეთ რამეზე: საჭიროა ვიშოვოთ ციურიხული კარგი მისამართი, რომლითაც ეფიმოვი (დიტცის ასოთამწყობი) შეძლებდა მიწერ-მოწერას ჟენევასთან, ე. ი. საშუამავლო, გადაცემითი მისამართი. თუ შეგიძლიათ, გთხოვთ გამომიგზავნოთ საჩქაროდ, ყოველ შემთხვევაში მაშინვე მომწეროთ თუნდაც ორიოდე სიტყვა პასუხად.

მაგრად გართმევთ ხელს და სალამს ვუთვლი ვერა პავლეს ასულს.

თქვენი Petroff

დაწერილია 1900 წ. 11 დეკემბერს
გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* იქნებ, შეადგენდით რაიმეს იქიდან, რაც თქვენ დაწერილი გაქვთ ლიბკნეხტის შესახებ და ამოგდებულია გაზეთიდან.

** — ირგვლივი გზით. რ ე დ.

*** — მაიერისათვის. რ ე დ.

პ. ბ. აქსელროდს

00. 14. XII. ღამის 12 ს.

ძვირფასო პ. ბ.! მაპატიეთ, რომ ტყუილუბრალოდ შეგაწუხეთ დეპეშით. რაკი დილას სტატია ვერ მივიღე, ვიფიქრე (თქვენი გუშინდელი დეპეშის შემდეგ), რაღაცა მოხდა-მეთქი, და გადავწყვიტე დეპეშით შეგკითხოდით განსაკუთრებით სტამბიდან მიღებული სასოწარკვეთილი წერილის გავლენით. თქვენი სტატია კი რამდენიმე საათის შემდეგ მოვიდა! ვიჩქარი დაუყოვნებლივ გაუწყოთ, თქვენი თხოვნით, მიღება და ერთხელ კიდევ ვიხდი ბოდიშს დეპეშისათვის.

ძალიან და ძალიან მიხარია, რომ ჩვენ მალე შევხვდებით ერთმანეთს; «ძმაც», ალბათ, ამ დღეებში ჩამოვა, — ხოლო 2 — 3 კვირის შემდეგ იქნებ ალექსიც ჩამოვიდეს.

პარიზიდან საერთაშორისო კონგრესის შესახებ სტატია ისევ არ არის, — დღეს დეპეშა გავგზავნე.

მე, იქნებ, მომიხდეს დროებით წასვლა გაზეთის გამოსვლის წინ, რათა აქა-იქ ჩავტიო სხვადასხვა წვრილმანი (ჩვენ ძალიან მოვტყუვდით ათასობით ნიშანში და ახლა ბევრ რამეს ამოვაგდებთ!), მაგრამ ამას რაღაც 3—4 დღე დასჭირდება.

მოიწერეთ, — დავიქირაოთ თქვენთვის ოთახი თუ სჯობია, რომ მხოლოდ წინასწარ შევარჩიოთ. ვ. ი-ს გამოვკითხავ, თუ რა მოთხოვნები გაქვთ, და შევუდგები ძებნას.

მაპატიეთ სიმოკლე, — ძალიან დავიღალე და ვჩქარობ.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი Petroff

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პ. ბ. აქსელროდს

00. 24. XII

ძვირფასო პ. ბ.!

მხოლოდ გუშინ დავბრუნდი საქმის გამო მგზავრობიდან[59] და მივიღე თქვენი წერილი. დღეს გაზეთი მზად უნდა იყოს: მიღებისთანავე გამოგიგზავნით, თუ თვითონ თქვენ არ წამოხვალთ.

დღეს საღამოს ჩამოდის ძმა.

ალექსი თავის დაბრკოლებებს თავს დააღწევს და გზას გამოუდგება არაუადრეს 20.XII ძველი სტილით.

კორექტურა ვერასგზით ვერ გამოვგზავნე, — თვითონაც კი ვერ მივიღე და უნდა წავსულიყავ, რათა ზოგი რამ ჩამეტია მე-8 გვერდში. რაც უნდა არასასიამოვნო ყოფილიყო ეს, მაინც იძულებული გავხდი თქვენი სტატია გამეყო და მეორე ნახევარი შემდეგი ნომრისათვის გადამედო[60]; თორემ აუცილებელი მასალა ვერ ეტეოდა იმის გამო, რომ იგი აწყობილია (ტექნიკური მოსაზრებებით) არა პეტიტით, არამედ ბორგესით.

მაშ, ვასილევისაგან — ? ადლერისაგან კი — არაფერი? თქვენ ადლერზე აღარ იწერებით.

ჟურნალის საქმე წინ მიდის: გ. ვ.-მ გამოგზავნა სტატია სტრუვეს შესახებ[61] — სულ გაგზავნილია 6 სტატია.

მაგრად გართმევთ ხელს და სულით და გულით გისურვებთ მალე დააღწიოთ თავი ინფლუენცას, რომელიც წელს ასე მძვინვარებს ყველგან.

თქვენი Petroff

P. S. ახლა წავიკითხე გურევიჩის წერილში, რომ თქვენ მიგიღიათ სტატია ავსტრიის შესახებ. ჩინებულია. გყავთ თუ არა თქვენ სავსებით კარგი მთარგმნელი? თუ არა გყავთ. სტატია გამოგვიგზავნეთ. აქ გადმოვთარგმნით.

გ უ რ ე ვ ი ჩ ს

გმადლობთ ამბებისათვის. დაწვრილებითი ცნობები რიგელი ამხანაგის შესახებ, რა თქმა უნდა, სასურველია გვქონდეს: რანაირ სამუშაოს მოიწადინებდა და იკისრებდა? რამდენად თავისუფალია და უზრუნველყოფილია სახსრებით? და
შ.

Skubik-ს * გადაეცით გეთაყვა, რომ მისი წერილი მივიღე. არ მიპასუხნია, რადგან შინ არ ვიყავი, — ახლა ისღა შემიძლია ვთქვა, რომ ჩ ვ ე ნ ი კ ა ც ი უ კ ვ ე «ი ქ ა ა» და რომ მას მისამართიც აქვს, ასე რომ საქმე, რომლის გამო ჩვენ მიწერ-მოწერა გვქონდა Skubik-თან, ამოწურულია.

მაგრად გართმევთ ხელს. პ ე ტ რ ო ვ ი

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — სკუბიკს. რ ე დ.

1901 წ.

ვ. ა. ნოგინს

1901 წ. 3 იანვარი.

ძვირფასო ამხანაგო! «რევოლუცია და კონტრრევოლუცია»[62] ჰიკიღე. დიდად გმადლობთ ამ ბროშურის გამოგზავნისათვის. გადაზიდვის გამო ამჟამად ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე გარკვეული ვალდებულება ვიკისროთ. გზები ახლა წესრიგდება და, ალბათ, მოწესრიგდება, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, როგორ იმუშავებენ ისინი. ალბათ, მაქსიმუმ 2—3 კვირის შემდეგ შეგვეძლება სავსებით გარკვეული პასუხი მოგცეთ, და თუ შევძლებთ, კმაყოფილებით ვიკისრებთ თქვენი ბროშურის გადატანას. მაქს მენკუსზე[63] ჩვენ არაფერი კიცით და საქმეს მისი მეშვეობით არ წარვმართავთ. თქვენი წერილი და კორესპონდენციები მივიღეთ. ზოგიერთი მათგანი ჩვენ უკვე გამოვიყენეთ გაზეთისათვის. სხვათა შორის, პირველი ნომერი მზად უნდა იყოს ამ დღეებში, და მაშინ გამოგიგზავნით[64]. სულ უახლოეს მომავალში მოველით აქ ჩვენს პოლტაველ მეგობარს. კარგად იყავით! ჰო, აი კიდევ რა — «რაბოჩეე ზნამიას» ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა გაიგო, რომ ჩვენ გვაქვს გამზადებული თარგმანი კაუცკის წიგნისა: «ბერნშტეინი და სოციალ-დემოკრატიული პროგრამა» და მიმართა რუსეთში ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთ წევრს წინადადებით, ამ თარგმანს გამოვცემთო[65]. მაგრამ ჩვენ გვინდა იგი ო�itonn გამოვცეთ ჩვენი ფირმით. ამიტომ ხომ არ დათანხმდებიან ამ წინადადების წამომყენებელნი მოგვცენ მის გამო-

საცემად ფული, თუნდაც ცოტაოდენი თანხა. მოიწერეთ, ბეთაყვა, გაქვთ თუ არა შესაძლებლობა და კისრულობთ თუ არა დაუკავშირდეთ მათ ამის გამო.

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი *

ვფიქრობთ, ჰაიდმანის სტატია მალე მოვათავსოთ შენიშვნით, რომ «იგი ჩვენ მივიღეთ ავტორის ხელნაწერის სახით «რ ა ბ ო ჩ ე ე ზ ნ ა მ ი ა ს» ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს ჯ გ უ ფ ი ს ე რ თ-ე რ თ ი წ ე ვ რ ი ს მ ე შ ვ ე ო ბ ი თ»[66]. თუ რაიმე გაქვთ სათქმელი ხაზგასმული სიტყვების გამო, გთხოვთ დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ გვაცნობოთ.

გართმევთ ხელს. პ ე ტ რ ო ვ ი

გაგზავნილია მიუნხენიდან ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, ვ. ი. ლენინის შესწორებებითა და მინაწერით

---

* უცნობი ხელით ჩაწერილია: «მისამართი: Herrn Philipp Roegner. Cigarrenhandlung. Neue Gasse. Nürnberg». რ ე დ.

ვ. პ. ნოგინს

01. 24. I.

ძვირფასო ამხანაგო!

მივიღე თქვენი წერილი პასპორტების შესახებ, მივწერე ჩემს მეგობარს (აქაურს), რომლისაგან მე შემიძლია ამ მხრივ დახმარებას მოველოდე, და ახლა პასუხს ველი. ვფიქრობ, რომ მოხერხდება ვიშოვოთ (რუსეთში შესასვლელად) უცხოური პასპორტი (ბულგარული ან გერმანული), ხოლო რაც შეეხება რუსულ პასპორტს ან თუნდაც მხოლოდ ბლანკს, ე. ი. სუფთა საპასპორტო წიგნაკს, იმედი არა მაქვს. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ესეც მოხერხდეს, მაგრამ გირჩევთ ახლავე მიიღოთ ზომები, რათა უცხოური პასპორტი იშოვოთ. — თორემ შეიძლება სრულიად უპასპორტოდ დარჩეთ. რუსული პასპორტის შოვნა, თუ ეს მოხერხდა, უფრო რუსეთში შეიძლება.

შენიშვნაში «რაბოჩეე ზნამია» რომ არ მოვიხსენიოთ, ხომ არ მოისაზრებთ თქვენ, თუ როგორ უნდა ითქვას სხვაგვარად? მაგალითად, ს.-პეტერბურგში 1897 წელს მომუშავის, «რაბოჩეე ზნამიას» ჯგუფის ერთი წევრისაგან (მისი მეშვეობით) ან ამის მსგავსი რამ. ჩემი აზრით, აჯობებდა როგორმე აღგვენიშნა, ვისი მეშვეობითაა სტატია მიღებული, მაგრამ თუ თქვენ სხვა აზრისა ხართ, მაშინ, ცხადია, დავბეჭდავთ სრულიად უშენიშვნოდაც, თუ ვისგანაა.

მე მაცნობეს იმ პეტერბურგელის გვარი, რომელიც იძლეოდა (პროვინციაში, ისიც საკმაოდ მივარდნილში) წინა-

დადებას გამოგვეცა კაუცკის თარგმანი. ვშიშობ, მივანდო გვარი ფოსტას — თუმცაღა, გადმოგცემთ მას ასეთნაირად. დაწერეთ ალექსის სახელი, მამის სახელი (რუსულ ყაიდაზე) და გვარი და აღნიშნეთ 23-ვე ასო ციფრებით მათი რიგის მიხედვით. მაშინ ამ პეტერბურგელის გვარი შედგება ასოებისაგან: მე-6, 22-ე, მე-11, 22-ე (მის ნაცვლად წაიკითხეთ ანბანის მიხედვით შემდეგი ასო), მე-5, მე-10 და მე-13 [67]

«რევოლუციისა და კონტრრევოლუციის» გაყიდვის შესახებ შევეკითხებით იმ საზღვარგარეთულ ორგანიზაციებს, რომლებთანაც ჩვენ ურთიერთობა გვაქვს.

ახლა ჩვენთან მთელი საქმე დამოკიდებულია გადაზიდვაზე, რომელიც უამრავ ფულს ნთქავს საქმის სიაჭლის გამო. ამიტომ არ შემიძლია გარკვეული პასუხი მოგცეთ პასპორტების ფაბრიკაციისათვის ფულადი დახმარების შესახებ, ვიდრე არ გამოირკვევა, თუ სახელდობრ რამდენი ფულია ამისათვის საჭირო და რამდენად დიდია შანსები, რომ ყოველივე დანარჩენი (გარდა ფულისა), რაც ამისათვის აუცილებელია, მოიპოვება. ალექსიმ ჯერ კიდევ გაზაფხულზე (sic! *) მისცა ფული ერთ გავლენიან ორგანიზაციას (შეპირებული) სუფთა საპასპორტო წიგნაკების საყიდლად, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი არ მიუღია.

დათანხმდებოდით თუ არა თქვენ გეკისრათ უახლოეს მომავალში გადაზიდვის მუდმივი ფუნქცია, — ე. ი. გეცხოვრათ საზღვრის ახლოს, გემოგზაურნათ, კავშირი გაგებათ კონტრაბანდისტებთან და სხვ.? იცით თუ არა გერმანული ენა და საერთოდ რომელიმე ენა გარდა რუსულისა? **

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

---

* — ასე! რ ე დ.

** ხომ არ გეგულებათ ამხანაგი, რომელიც ამ როლისათვის გამოდგება და რომელმაც ებრაული იცის? კიდევ: ხომ არ გეგულებათ სავსებით საიმედო ამხანაგი — ასოთამწყობი?

გიგზავნით გაზეთს[68]; გთხოვთ, გარდა თქვენი მეგობრისა, ნ უ რ ა ვ ი ს უჩვენებთ და მაცნობეთ თქვენი აზრი. № 2 იბეჭდება.

მოიწერეთ ამ მისამართით:

Herrn Georg Rittmeyer.

Kaiserstrasse 53 I.

München.

(არავითარი გადაცემა, თუ წერილი რუსულადაა დაწერილი).

გაგზავნილია მიუნხენიდან ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

«ბორბას» ჯგუფს

01. 3. II.

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენი წერილი, რომელშიც უარს ამბობთ თანამშრომლობაზე, ძალიან გვანაღვლებს. ჩვენი წერილი ნევზოროვისადმი (წერილი, რომელსაც თქვენთვის ცალკე ჰქონდა დართული «განცხადება», «ისკრის» № 1 და რიაზანოვის სტატიის კორექტურა) და თქვენი წერილი თანამშრომლობაზე უარისთქმის შესახებ, ერთსა და იმავე დროს ვაგზავნილი, ერთმანეთს აცილდნენ.

უკვე აქედან ხედავთ, რომ ჩვენ სრულებითაც არ ვფიქრობდით ჩამოგვეშორებინეთ თქვენ საქმეებს. გთხოვთ გვაპატიოთ დაგვიანება — ამაში ჩვენ მართლაც დამნაშავენი ვართ, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ «ურთიერთობის გაურკვევლობა» ჩვენც თქვენზე არანაკლებ გვაწუხებს. ჩვენი ჯგუფის დადგენილებას, რომ გაზეთი საზღვარგარეთ არ გაგვევრცელებინა, ვიდრე მას რუსეთში არ გავავრცელებდით, ჩვენ მტკიცედ ვიცავდით, გამონაკლისი დავუშვით მხოლოდ მეტად მახლობელ პირთათვის, მათ შორის თქვენთვის. სულ ბოლო დრომდე ჩვენ სრულიადაც არ ვიყავით დარწმუნებულნი, გავრცელდებოდა თუ არა გაზეთი რუსეთში (ახლაც კი არ შეგვიძლია თ ა ვ ს ვ ი დ ო თ ეს). — დავიდარაბა ამ საქმის გამო იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთ ახალ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ (ლიბერალ-დემოკრატებთან, — ეს, ჯერჯერობით, დ ი დ ი ს ა ი დ უ მ ლ ო ე ბ ა ა!)[70], ჩვენ

მთელ დროს გვართმევს, და ამიტომ დაგვიანებით შესრულდა ორიოდე კვირის წინათ მიღებული გადაწყვეტილება, რომ თქვენთვის გამოგვეგზავნა «ისკრის» №.

ჩვენი განცხადება რუსეთში ჯერ კიდევ არ გავრცელებულა, იგი იქ მხოლოდ ვ უ ჩ ვ ე ნ ე თ რამდენიმე პირს.

ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, რომ რაც მოხდა, შედეგია სრულიადაც არა ყურადღების ნაკლებობისა, არამედ იმ გაურკვეველი და მოუსვენარი მდგომარეობისა, რომლისთვისაც ჩვენ თვითონ ჯერ კიდევ არ დაგვიღწევია თავი. ჩვენ ძალიან მოხარულნი ვიქნებოდით, თუ ამით გამოწვეული გაუგებრობა გაქარწყლდებოდა და თქვენ ისევ წინანდებურად მოეკიდებოდით ჩვენს საერთო საქმეს.

ამხანაგური სალამით პ ე ტ რ ო ვ ი

გაგზავნილია მიუნხენიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

«ბორბას» ჯგუფს

01. 21. II

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენი დაჟინება «ურთიერთობის გარკვევის» გამო ჩვენ გვაკვირვებს და, ჩვენდა დიდად სამწუხაროდ, არ შეგვიძლია ამ მხრივ დაგაკმაყოფილოთ. ჩვენთან საქმე ეს არის მხოლოდ იწყება, მანქანა მხოლოდ ცოტცოტათი ამოძრავდა, და ენერგიულ საერთო თანამშრომლობაზეა დამოკიდებული, გაიმართება თუ არა იგი ჯეროვნად, — აქ კი უცებ, სასწრაფო მუშაობის ნაცვლად ინებეთ «ურთიერთობის გამორკვევა» რაღაც განსაკუთრებული სიზუსტით! ჩვენ გვგონია, რომ ახლობელი და მუდმივი თანამშრომლობა (რაც უკვე გამოიხატა თქვენ მიერ 2 სტატიის გამოგზავნით და რის იმედიც ჩვენ შემდგომაც გვაქვს) საკმაოდ გარკვეული ურთიერთობაა. და რომ მისგან ნათლად გამომდინარეობს თანამშრომელთა უფლებაც — ილაპარაკონ გამოცემის სახელით, მოიზიდონ ძალები, ნაცნობობა, სახსრები, სტატიები და სხვ. ეს მოზიდვა რომ ბუნებრივად გამოიწვევს მოზიდულებისა და რედაქციის დაახლოებას, რომ საბოლოო შეთანხმების დამყარება (რაიმე წამოწყების შესახებ ან ამა თუ იმ განყოფილების, ამა თუ იმ ფუნქციის გამგებლობის თაობაზე) მოითხოვს რედაქციის პირდაპირ დაკავშირებას ამ მოზიდულებთან, — ესეც თავისთავად გამომდინარეობს მახლობელი თანამშრომლების და რედაქციის ურთიერთობის არსიდან.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ურთიერთობა უბოალო თანამშრომლობის ფორმიდან დროთა განმავლობაში შეიძლებო-

და გადაქცეულიყო ისეთ კოოპერაციად, როცა განაწილდებოდა გარკვეული განყოფილებანი და პერიოდულად გაიმართებოდა საერთო სარედაქციო თათბირები.

შემდეგ, ჩვენ, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ უარვყოფთ, რომ საზღვარგარეთის ორგანიზაციის საქმე მოითხოვს (1/4—1/2 წლის შემდეგ) ახალი ფორმების, ორგანოების, ფუნქციების შექმნას, და ამ მხრივ თქვენი იმედი გვქონდა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დაუყოვნებლივ მოვკიდოთ ამას ხელი, როცა «ზარია» და «ისკრა» ჯერ კიდევ სრულიად არ მომაგრებულან.

იმედი გვაქვს, თქვენ შეხვალთ ჩვენს მდგომარეობაშიც და დაგვეთანხმებით, რომ შემდგომი «ურთიერთობის გარკვევა» ახლა შეუძლებელია.

გართმევთ ხელს.

გაგზავნილია მიუნხენიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პ. ბ. აქსელროდს

01. 27. II.

ძვირფასო პ. ბ.! მივიღე ორივე თქვენი წერილი, გადავეცი ვ. ი.-ს წერილი იტალიიდან. ამ უკანასკნელი წერილის შინაარსს ჯერ არ ვიცნობ, რადგან იგი ბლიუმენფელდის მეშვეობით გადავეცი. ჩვენ ხვალ მივდივართ ბლიუმენფელდთან ერთად: ის ვენაში გავლით განაგრძობს გზას, მე ვენით პრაღაში მივემგზავრები ჩემი საქმის გამო[71]. მაპატიეთ, რომ შეხვედრებისა და სამგზავროდ მზადების გამო მოკლედ გწერთ.

Dietz-სგან მოვიდა წერილი, რომ განცხადებას (ლიბერალებთან კავშირის შესახებ) ის არ ბეჭდავს, რომ ეს სახიფათოა («შეერთება», ჯგუფები etc.) და საერთოდ ხომ არ აჯობებს ჩვენთვის საიდუმლო სტამბა?! ჩვენ თავზარი დაგვცა დამთხვეული იდიოტის დიტცის ამ ცნობამ. გადავწყვიტეთ (provisorisch*) ჯერჯერობით დავტოვოთ «ზარია» (ჯერჯერობით!), — დანარჩენი კი ვბეჭდოთ ჟენევაში.

პარიზელებთან, ეტყობა, დიპლომატური ურთიერთობა განახლებულია.

მოლოტოვმა უკვე დაწერა სტატია ფინანსების შესახებ («ისკრის» № 3-სათვის)[72]. შეგვპირდა უცხოეთის მიმოხილვას.

---

* — დროებით. რედ.

მასალები «ისკრის» № 3-სათვის ჯერ კიდევ ცოტაა.

იუდა (ტელიონოკი) ჯერ არ წასულა. ამ დღეებში, ვგონებ, ბოლოს — მადლობა ღმერთს — წაეთრევა. მის მიმართ «ყველაფერი რიგზეა».

სამშობლოდან: სულ იწერებიან სტუდენტთა მღელვარეებაზე. ძმა იწერება, მალე ჩამოვალო.

მეორე ნომერი[73] ჯერ კიდევ არ მიუღიათ რუსეთში.

მაგრად გართმევთ ხელს. უეჭველად მოგწერთ უფრო აზრიანად, როცა დავბრუნდები (4 — 7 დღეს გავატარებ) და ქალაპოტში ჩავდგები.

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

თ. ი. დანს

01. 22. III.

დიდი მადლობა 2. III წერილისათვის Rittmeyer *-ის სახელზე. ძალიან გვახარებს, რომ, ბოლოს, ჩვენს შორის შეიქმნა მიწერ-მოწერა (რის შესახებაც ჯერ კიდევ 15 ი ვ ლ ი ს ს გწერდით!!). თუ კაცი ხარ, განაგრძეთ იგი წესიერად, რათა ყოველთვის, ყოველი დიდმნიშვნელოვანი საქმის დროს, ვიცოდეთ, რომ წერილი მოვა. მისამართი, რომლითაც თქვენ უკანასკნელად მოიწერეთ, ერთ-ერთი საუკეთესოა — ისარგებლეთ ამ მისამართით.

აგროვეთ ფული. ჩვენ ახლა თითქმის სიღატაკემდე ვართ მიყვანილნი და ჩვენთვის დიდი თანხის მიღება სიცოცხლის საკითხია. ამ დღეებში გამოგიგზავნით «ზარიას». მაშ, ყოველი ღონე იღონეთ ფინანსების მხრივ**.

როგორაა ექიმის ჯგუფის საქმე[74]? ზაფხულში მის წარმომადგენელს თავი ისე ეჭირა, რომ ეს გათიშვას უდრიდა (იგი იდიოტურ მოთხოვნებს გვიყენებდა), — მაგრამ შემდეგ ერთმა მისი ჯგუფიდან განაახლა ურთიერთობა ჩვენს წარმომადგენელთან ბერლინში[75]. გაიგეთ კარგად: თანახმანი არიან ისინი დაგვეხმარონ თუ არა?

---

* — რიტმეიერის. რ ე დ.

** ფული შეიძლება გამოიგზავნოს ბანკის მეშვეობით ჩეკით, დაზღვეული წერილით მედიცინის დოქტორის **Carl Lehmann**-ის სახელზე (მესამე ასო არის გერმანული **h**) Gabelsbergerstrasse 20a. მხედველობაში იქონიეთ ეს მისამართი: კარგია ფულისთვისაც, წერილებისა და წიგნებისთვისაც.

გამოგზავნეთ მისამართი ჩემოდნით გამოცხადებისათვის[76] და უფრო მტკიცე მისამართი წერილებისა და წიგნებისათვის.

თქვენი ს ტ ა რ ი კ ი

როგორაა საქმე ფინეთის გზების მხრივ[77]? ჩვენ არაფერი ვიცით და ამაზე ერთი წერილიც არ მიგვიღია თქვენგან. გაიმეორეთ.

თუ ჩემოდნის მზიდავებს წერილი არა აქვთ ორგანიზაციისაგან, მაშინ მათთან ნ უ რ ა ს გ ზ ი თ და ნ უ რ ა ფ ე რ შ ი ნუ იქნებით გულახდილნი

გაგზავნილია მიუნხენიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ვ. პ. ნოგინს

01. 6. IV.

ახლა მივიღეთ მე და ალექსიმ თქვენი წერილი «ზარიას» შესახებ. დიდი მადლობა საფუძვლიანი და გულახდილი შეფასებისათვის: ასეთი შეფასებანი მით უფრო ძვირფასია ჩვენთვის, რომ მათ ძალიან იშვიათად ვხვდებით. თქვენი მითითებანი, რომ «ზარიაში» პოლიტიკური მიმოხილვები და სტატიები არასაკმარისია, სრულიად სამართლიანია. ჩვენ სავსებით გვესმის ეს ნაკლი და ყოველ ღონეს ვიხმართ მის გამოსასწორებლად.

გართმევთ ხელს. თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

გაგზავნილია მიუნხენიდან ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

კ.-ი. ბრანტინგს [78]

1901 წ. 19 აპრილი.

პატივცემულო ამხანაგო!

ბერლინში მყოფმა ჩვენმა ამხანაგმა უკვე მოგწერათ თქვენ ჩვენი დავალებით, რომ ჩვენ გვსურს უფრო მჭიდრო კავშირურთიერთობა დავამყაროთ შვედ და ფინელ ამხანაგებთან.

ამჟამად ნებას ვაძლევ თავს მოგმართოთ თქვენ რუსული სოციალ-დემოკრატიული ჟურნალის «ზარიას» რედაქციის სახელით (J. H. W. Dietz Verlag. Stuttgart) შემდეგი თხოვნით.

ჩვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვაკუთვნებთ იმას, რომ რუსები საერთოდ და რუსი მუშები განსაკუთრებით გავაცნოთ ფინეთის პოლიტიკურ მდგომარეობას და ფინეთის ჩაგვრას, აგრეთვე ფინელების შეუპოვარ ბრძოლას დესპოტიზმის წინააღმდეგ. ამიტომ მეტად მადლობელნი ვიქნებოდით თქვენი, თუ ყველა თქვენს ნაცნობ ფინელ ამხანაგს გადასცემდით ჩვენს დაჟინებითს თხოვნას — დაგვეხმაროთ ამ საქმეში.

განსაკუთრებით კარგი იქნებოდა ჩვენთვის, რა თქმა უნდა, თუ ჩვენ შევძლებდით გვეპოვნა მუდმივი ფინელი თანამშრომელი, რომელიც გამოგვიგზავნიდა, ჯერ ერთი, ყოველთვიურად შენიშვნებს (4—8 ათას ნიშანს), მეორეც, დროდადრო აგრეთვე დიდ სტატიებსა და მიმოხილვებს. ეს უკანასკნელნი ჩვენ გვჭირდება «ზარიასათვის», ხოლო პირველ-

ნი — არალეგალურ რუსულ გაზეთ «ისკრისათვის», რომლის რედაქციამაც ჩვენ ამ თხოვნით მოგვმართა.

თუ ეს თქვენ სასარგებლოდ მიგაჩნიათ, გამოგიგზავნით «ზარიას» და «ისკრის» ორ ნომერს.

სტატიები შეიძლება დაწერილ იქნეს აგრეთვე შვედურ თუ ფინურ ენაზე: მთარგმნელს, ჩვენ, ცხადია, ვიშოვით.

ძალიან გთხოვთ მაცნობოთ, შეგიძლიათ თუ არა შეასრულოთ ჩვენი თხოვნა.

სოციალ-დემოკრატიული სალამით

ი. პ ე ტ რ ო ვ ი

P. S. ბოდიშს ვიხდი ჩემი მეტისმეტად ცუდი გერმანული ენის გამო.

ჩემი მისამართი:

Herrn J. H. W. Dietz Verlag.
Furthbachstr. 12.
Stuttgart.

შიდა კონვერტზე:

An die Redaktion der Morgenröte — für Herrn Petroff.

დაწერილია მიუნხენში

პირველად დაიბეჭდა შვედურ ენაზე
1955 წლის 8 მარტს გაზეთ
«Morgen-Tidningen»-ში № 65

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

გ. ვ. კლეხანოვს

01. 21. IV.

ძვირფასო გ. ვ.!

ჩვენ ძალიან, ძალიან გვიხარია, რომ თქვენი თავგადასავალი კეთილად დამთავრდა[79]. მოგელით: ბევრი რამ გვაქვს მოსალაპარაკებელი როგორც ლიტერატურულ, ისე ორგანიზაციულ თემებზე, «ისკრაზეც» (მესამე ნომერი მზად უნდა იყოს 1. V-თვის, შემდეგ გვინდა მაშინვე დავბეჭდოთ მეოთხე ნომერი) და «ზარიაზეც». მისამართი შეხვედრისათვის თქვენ გაქვთ — ველიკა დიმიტრის ასულისა. აი მეორეც (ალექსისა) ყოველი შემთხვევისათვის: Occamstr. (Schwabing-ში) 1a, III, rechts bei Frau Kraft, იკითხეთ Herrn Vernet, ოღონდ სჯობია, ამ მისამართით წინასწარ მოიწეროთ, თუ როდის ჩამოხვალთ, რადგან სხვაგვარად ადვილად შეიძლება შინ არ დაგვხდეთ.

გიგზავნით «პრომიშლენნი მირს» № № 1 — 11. ფრანკი ჩვენ გვაქვს — გამოგიგზავნით, თუ ჯერ კიდევ ჩამოსვლამდე გჭირდებათ[80].

«ნა სლავნომ პოსტუ»[81] აქ მხოლოდ ერთი ცალი გვაქვს: გამოვიწერთ კიდევ ერთს, ვინაიდან მისი მოთხოვნა დიდია.

ახლანდელ მომენტში რომ ორგანიზაციას უნდა მიენიჭოს უპირატესობა აგიტაციასთან შედარებით, ამის შესახებ სავსებით გეთანხმებით. «ლისტოკ «ისკრი»» ხომ საკმაოდ

ფრთხილია აშკარა მოწოდების მხრივ — თუ თქვენ ესეც სახიფათოდ მიგაჩნიათ[82]?

მალე მენახეთ.

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

«ნაროდნოე ხოზიასტვო»[83] თუ კაცი ხართ. გამოგზავნეთ ან ჩამოიტანეთ.

გაგზავნილია მიუნხენიდან ქენევაში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს კრებულში ««შრომის განთავისუფლების» ჯგუფი» № 6.

მ. გ. ვეჩესლოვს

იურიევს

25 აპრილი.

მივიღე თქვენი წერილი.

გთხოვთ რაც შეიძლება მალე გამოგვიგზავნოთ ზუსტი ანგარიში, რამდენი და რანაირი ჩემოდანი გქონდათ, რამდენი წავიდა და რამდენი დარჩა. ჩვენთვის ეს აუცილებელია ჩვენი ანგარიშისა და ფინანსური ხარჯთაღრიცხვის შესადგენად. ლიტერატურის შესახებაც დიდი ხანია გთხოვთ მოგვწეროთ, სახელდობრ, რამდენი და რა მიიღეთ, და სად და როგორ მოიხმარეთ.

მაისის ფურცელი (NB) ჩვენ არ გვაქვს.

ფული (100 Mr.*) უკვე გაგზავნილია; ვიმეორებ თხოვნას — უფრო მონდომებით იშოვოთ ფული ბერლინში და სხვა ადგილებში ჩემოდნებისათვის: ამით ფრიად სერიოზულ და ყველაზე უფრო აუცილებელ დახმარებას აღმოგვიჩენთ. რამდენი გაქვთ საკუთარი ფული სალაროში? როგორია მისი ჩვეულებრივი (და დღევანდელი) თვიური ბრუნვა!

მეტად მნიშვნელოვანია, რომ «ხარკოვსკიე დნი», რაც შეიძლება, მალე გაიგზავნოს სამხრეთში, სადაც მას ძალიან ითხოვენ:

ბიულეტენის შესახებ კარგად ვერ გაგიგეთ. 1) «ისკრის»

* — მარკა. რედ.

ხელშემწყობ ჯგუფს» თუ «ნეიტრალურ ჯგუფს» სურს იგი გამოსცეს[84]? 2) ისეთივე ბიულეტენები, როგორიც წინანდელია, თუ სხვანაირი? ჩვენ მიგვაჩნია, რომ მეტისმეტად არარაციონალური იქნებოდა სახსრები დაგვეხარჯა ძველი ტიპის ბიულეტენებზე და, ჩვენის მხრივ, გვიძნელდება შეგპირდეთ ნედლი მასალა იმიტომ, რომ ახლა გაძლიერებული მუშაობა მიმდინარეობს «ისკრის» ყოველთვიურ გაზეთად გადაქცევისათვის[85], რის გამო ნედლეულის გადასაწერად და გასაგზავნად ჩვენ არც დრო გვაქვს და არც სახსრები. ჩვენ იმაზე კი არ უნდა ვფიქრობდეთ, რომ არსებული მასალა ბიულეტენებად დავაქუცმაცოთ და შევასუსტოთ ამ მასალის მნიშვნელობაც და შთაბეჭდილებაც, თუ იგი საზღვარგარეთ ნედლი სახით გავრცელდებოდა, არამედ, პირიქით, იმაზე უნდა ვფიქრობდეთ, რომ მთელ მასალას «ისკრაში» მოვუყაროთ თავი, და დავაჩქაროთ მისი გამოსვლა დამუშავებული და გაშუქებული ნედლეულით. სხვაგვარი ტაქტიკა იქნებოდა არა ბრძოლა ახლანდელ იდეურ მერყეობასთან და დაბნეულობასთან, არამედ მისი ხელშეწყობა.

განსაკვირი არ არის, რომ «ნეიტრალური ჯგუფი», მისი შეუსაბამო შემადგენლობითა და პროგრამით, ასეთ ბიულეტენებს სცემდა, მაგრამ ««ისკრის» ხელშემწყობი ჯგუფისაგან» ჩვენ უფრო შეთანხმებულ და რაციონალურ მუშაობას მოველით. ეცადეთ გადასცეთ (მთლიანად კი არ წაუკითხოთ, ვინაიდან მე მხოლოდ თქვენთვის ვწერ) ეს მოსაზრებანი თქვენს ჯგუფს და დაარწმუნოთ იგი. მისი გადაწყვეტილება მაცნობეთ.

რუსეთის შესახებ საზღვარგარეთული პრესის მიმოხილვის შემცველი ბიულეტენები სხვა საქმეა. ასეთი ბიულეტენები, ცხადია, სასარგებლოა. გვიგზავნეთ რუსული გაზეთების ამონაჭრები. ხომ არ შეიძლება აგრეთვე მოამარაგოთ «ისკრის» რედაქცია რუსული ჟურნალებით მას შემდეგ, რაც

მათ ბერლინში წაიკითხავენ? თუ ეს შესაძლებელია, გვაცნობეთ, რა ჟურნალების ვარაუდი შეგვიძლია ვიქონიოთ (ზოგი რამ გვაქვს, მაგრამ ეს ცოტაა).

დაწერილია 1901 წ. 25 აპრილს
გაგზავნილია მიუნხენიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ს. ი. რადჩენკოს

მივიღეთ თქვენი წერილი. ლიტერატურის გავრცელების თქვენს წესს სავსებით ვიწონებთ, გირჩევთ მტკიცედ მისდიოთ მას და არ აჰყვეთ არავის რჩევასა და ცილისწამებას.

სასურველია მხოლოდ, რათა «ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ი ს» ჯ გ უ ფ ი ს ა დ მ ი[86] რამდენადმე გამოიჩინოთ ყურადღება და, საჭიროების შემთხვევაში, მისცეთ მას შესაძლო შეღავათები (მაგალითად, კრედიტი), ვინაიდან იგი ეძებს მეტ დაახლოებას ჩვენთან და გვპირდება ჩვენს სასარგებლოდ აგიტაციის გაწევას. ისინი ჩვენ ლიტერატურის საფასურის ნაცვლად თავიანთი შემოსავლის კვოტას გვთავაზობდნენ. რ წ მ უ ნ ე ბ ა ს გაძლევთ დათანხმდეთ ამაზე თ ქ ვ ე ნ ი შეხედულებისამებრ, თუ ამას ფინანსური მხრივ ს ა ზ ა რ ა ლ ო დ არ დაინახავთ. (რატომ ჩ ი ვ ი ს «ს ტ ი ლ ი ს ტ ი», რომ თ ქ ვ ე ნ ა რ ა ძ ლ ე ვ თ ლიტერატურას?)

საერთოდ მუქთად ნუ მისცემთ, ფულით კ ი რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა სწრაფად გაასაღეთ.

გრიგორიევს ფულს ნუ მისცემთ, არამედ იგი მთლად ჩვენ გვიგზავნეთ. გრიგორიევმა ფული უნდა იშოვოს თავისი ლიტერატურისაგან, რომელიც მას ბლომად აქვს.

მე-3 ნომერი იბეჭდება, მისი მიყოლებით — მეოთხეც. გამოვიდა სამაისო ფურცლები და «ი ს კ რ ი ს» განსაკუთრებული ფურცელი[87].

მთელი ღონე იხმარეთ, რათა ბ ე რ ლ ი ნ შ ი ჩემოდნებისათვის ხალხს გზავნიდნენ **(მისამართი)** *.

---

* მისამართი ხელნაწერში არ არის მოყვანილი. რ ე დ.

პაროლი: **პ ე ტ რ ო ვ ი ს ა გ ა ნ.**

«ხარკოვსკიე დნი», თუ დარჩა 100 — 200-მდე, მაშინვე გაგზავნეთ **მისამართი* კაცის საშუალებით.**

დაუკავშირდით ფსკოვს. ჩვენ ჩემოდნებს გავუგზავნით ლეპეშინსკის, თქვენ კი მისგან წაიღეთ.

დაწერილია 1901 წ. აპრილის დამლევს
გაგზავნილია მიუნხენიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* მისამართი ხელნაწერში არ არის მოყვანილი. რ ე დ.

პ. ნ. ლეპეშინსკისა და პ. ა. კრასიკოვს

2а 3б — р — —[88]

01. 1. VI.

ჩვენ ძალიან მოხარული ვიქნებოდით ერთად გვემუშავნა — р— —თან. ის მეტად სასარგებლო იქნებოდა ამჟამად, საერთოდ საზოგადოების მერყეობისა და განსაკუთრებით ყოველგვარი საზღვარგარეთული ოინების დროს. სამწუხაროდ, ჩვენი ფინანსური მდგომარეობა ძალიან ცუდია, და ჩვენ სრულიად არ შეგვიძლია მივცეთ მას სამგზავრო და საარსებო სახსრები. სამუშაოს შოვნა აქ აგრეთვე მეტისმეტად ძნელია (ჩვენ არ ვლაპარაკობთ საფრანგეთსა და ფრანგულ შვეიცარიაზე, რადგან მათ არ ვიცნობთ, თვითონ — р— — ჩვენზე უკეთაა ამას გაცნობილი). მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეგვეძლო ჩვენ ფულადი დახმარება აღმოგვეჩინა: თუ — р — — გადაწყვეტდა და ჩამოვიდოდა საზღვარგარეთ, იშოვიდა აქ ფრანგულ პასპორტს, ამ პასპორტით 2—3-ჯერ გადავიდოდა საზღვარს სხვადასხვა ადგილას და თან გადაიტანდა ორ-ორ ჩემოდანს. ჩვენ სულ ერთია ასეთ გადატანაში ფულს ვიხდით და, რასაკვირველია, უფრო ხალისით გადავუხდიდით მას, ვიდრე ვინმე სხვას, გარეშეს. როგორც ენის მცოდნე და მოხერხებული კაცი, იგი ამას უსათუოდ შეძლებდა და გზად, იქნებ, გამოძებნიდა კიდევ ვინმეს ამავე მიზნისათვის. თუ ის ამაზე თანახმაა, ახლავე მოგვწერეთ, — მთლიანად წაუკითხეთ მას ეს წერილი, — და უაღრესად დაწვრილებით გვაცნობოს

თავისი ნიშნები. ჩვენ მაშინ ამ ნიშნების მიხედვით დაუყოვნებლივ გამოვითხოვთ ფრანგულ პასპორტს და მიღებისთანავე ვაცნობებთ, რათა გამოემგზავროს. საერთოდ ჩვენი საქმის თავი და ბოლო ახლა არის გადაზიდვა, გადაზიდვა და გადაზიდვა. ვისაც სურს ჩვენ დაგვეხმაროს — დეე მ თ ლ ი ა ნ ა დ დააწვეს ამას.

ახლა 125 მანეთის შესახებ. ჩვენ მრავალჯერ გავბმულვართ ხათაბალაში უცხო ორგანიზაციებისათვის ფულის სესხების გამო: უამრავი ფული დავარიგეთ, შედეგი კი სრულიად უმნიშვნელოა, თ ი თ ქ მ ი ს ნ ო ლ ი ა. ამიტომ წინდაწინ გადახდისა ძალიან გვეშინია. შემდეგ: ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია მცირე რაოდენობის (თუნდაც ნახევარი ფუთისა **თვეში**) სწრაფად მიტანა, ვიდრე 10 — 20 ფუთის მიტანა 3 — 4 თვეში, ვინაიდან «ისკრის» ყოველთვიურად გამოცემა და მიტანა ჩვენთვის პირველ რიგში დგას. ჯერჯერობით ჩვენ თითქმის მარტო ჩემოდნებით ვცხოვრობთ. მაშ, განსაჯეთ რაც შეიძლება დაწვრილებით, საიმედო წინადადებაა თუ არა, რა ორგანიზაციისაგან გამომდინარეობს, როგორი ტიპისაა ტრანსპორტი, ხომ არ შეგვიძლია შევიყვანოთ იქ ჩვენი კაცი კონტროლისა და მონაწილეობისათვის, და შემდეგ გვაცნობეთ. თუ თანახმანი არიან გადაზიდონ ცდის სახით ფულის წინასწარ მიუცემლად, თვითონ გადაწყვიტეთ. ხოლო თუ ჩვენ ახლავე უნდა გავიღოთ დიდი თანხა, მაშინ ჩვენ ვალდებულნი ვართ ყოველმხრივ ავწონ-დავწონოთ და განვიხილოთ ყ ვ ე ლ ა მონაცემი.

გაგზავნილია მიუნხენიდან ფსკოვში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პ. ბ. აქსელროდს

01. 1. VI

ძვირფასო პ. ბ.! ახლა მივიღეთ თქვენი წერილი მასალებისა და დებ.-ის* წერილების დართვით[89]. დიდი მადლობა; საჭირო გახდება გაცერკვეთ მასალაში.

დებ.-ის წინადადების გამო ჩვენ, რა თქმა უნდა, თანახმა ვართ ჩავაბაროთ მას 300 ანაბეჭდი და იმედი გვაქვს, მისი დათქმული პირობები სულ მცირედ დაბრკოლებასაც არ შეუქმნიან ჩვენ მიერ მოგონებათა მოთავსებას. უკანასკნელი ვადა «ზარიას» მე-2 №-სათვის ერთი თვეა, ე. ი. პირველ ივლისს უნდა გამოვიდეს. უმეტესი ოდენობაა 2 თაბახი, — maximum $2^1/_2$. იმედი გვაქვს თავის 4 — 5 თაბახს ის გაჰყოფს თავებად ისე, რომ «ზარიას» № 2 და № 3-სათვის შესაფერისი იყოს.

კონფერენციის შესახებ ჯერ არაფერი ვიცით[90] გთხოვთ, დაიყოლიოთ კოლცოვი და კიდევ ვინმე, «სოციალ-დემოკრატიდან», რომ დათანხმდნენ. ეს ხომ ჯერ კიდევ არაფერს გვავალდებულებს, ჩვენ კი მოგვხსნის odium **-ს, თითქოს არ გვსურდეს დავის შეწყვეტა. ჩვენ არ ვაპირებთ, ღმერთმანი, რაიმე არსებითი დავუთმოთ «ბორბას», თუ «რაბოჩეე დელოს» (რა სუსტია მისი «ლისტოკის»[91] № 7. ჩვენ უკვე ახლა გავუსწარით მას ტექნიკური მხრივაც კი: ცნობების სისწრაფით).

---

* მის წერილს, ცხადია, შევინახავთ.

** — უსიამოვნება, ბრალდება, საყვედური. რ ე დ.

იბეჭდება «ისკრის» № 5. იქ მოწინავეა «უაზრო ოცნებებზე» (სტაროვერისა). გ. ვ-ის ფელეტონი «ახალი ღვინო ძველ გუდაში» — სოციალისტ-რევოლუციონერების მანიფესტისა და მათი სოციალ-დემოკრატებისაკენ მობრუნების შესახებ. შემდეგ ერთი (ან ორიც კი) პატარა სტატია 4 — 7 მაისის ხოცვა-ჟლეტაზე ს.-პეტერბურგში (ვიბორგის რაიონში და ობუხოვოს ქარხანაში). არის მეცხრეოდენი მასალა საზოგადოებრივი ქრონიკისა და მუშათა მოძრაობისათვის, აგრეთვე განყოფილებისათვის «პირველი მაისი რუსეთში» — მაგალითად, პეტერბურგელი მუშა ქალის ცოცხალი წერილი მუშის (მისი ნათესავის) მოკვლაზე 4 მაისს ხალხში, რომელიც ნევის პროსპექტისაკენ მიდიოდა[92] წერილი ჩვენი მახლობელი მეგობრის — ივანოვო-ვოზნესენსკის მუშისა იქაური განწყობილების შესახებ, 1 მაისის დღესასწაულობის ცდებზე[93], «ისკრის» წარმატებაზე.

მხოლოდ ფინანსების მხრივაა საქმე ცუდად, ყოველივე დანარჩენი კი კარგად მიდის და მომავლისათვის დამაიმედებელია.

როგორა ხართ? უკეთ თუ გრძნობთ ახლა თავს თქვენი Erwerbsarbeit-ით*? საკმაოდ ისვენებთ თუ არა? როგორ აპირებთ გაატაროთ ზაფხული?

მაგრად გართმევთ ხელს და სალამს ვუთვლი ყველა თქვენიანს.

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

ვაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — მუშაობით ხელფასის გულისთვის. რ ე დ.

მ. ბ. ვეჩესლოვს

01. 17. VI.

მივიღე თქვენი წერილი, რომელშიც ითხოვთ, 100 მარკა გამოგვიგზავნეთო. სამწუხაროდ, მე არ შემიძლია შევასრულო ეს თხოვნა, ვიდრე თქვენგან არ მივიღებ იმ «უახლეს ცნობებს», რომლებსაც გვპირდებით. პირადად ვერასგზით ვერ ვიკისრებ ამ თანხის გაცემას (ფორმალური მიზეზებითაც — ვინაიდან ეს კოლეგიაზეა დამოკიდებული, და იმ მიზეზებითაც, რომლებიც თქვენთან პირადი შეხვედრისას აღვნიშნე), კოლეგიას კი ახლა ვერ შევკრებ ზოგიერთი პირის წასვლის გამო. ერთხელ კიდევ გთხოვთ, ნუ დაიზარებთ შეგვატყობინოთ უახლესი და მეტად დაწვრილებითი ცნობები: უამისოდ ჩვენი ურთიერთობა ჯეროვნად ვ ე რ ა ს ო ́ დ ე ს ვერ მოგვარდება. ამგვარ ცნობებს — «ყველაფერი ჯერჯერობით რიგზეაო», საქმის გადამწყვეტ ჩვენს კოლეგიაზე უფრო უარყოფითი შთაბეჭდილება შეუძლიათ მოახდინონ. კარგად მესმის, რომ ძალიან ხშირად ფრიად ენერგიული მეცადინეობაც უნაყოფო გამოდგება დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, რომ წარუმატებლობის გამო ბრალის დადება უაზრო იქნებოდა, მაგრამ თქვენც უნდა მიხვდეთ, რომ თუ ჩვენ დაწვრილებითი და ზუსტი ცნობები არ გვექნება იმის შესახებ, თუ როგორი იყო ეს მეცადინეობა, სახელდობრ რა მოხერხდა (respective* ვერ მოხერხდა), სახელდობრ რატომ და როგორია საქმის ვითარება და გეგმები ამჟამად, ისე ჩვენ ა რ

* — ან, რედ.

შ ე გ ვ ი ძ ლ ი ა გადავდგათ შემდგომი ნაბიჯები და დავაკისროთ ჩვენს მრწმუნებლებს შემდგომი მსხვერპლი, რომლისთვისაც ჩ ვ ე ნ პასუხისმგებელნი ვართ.

გაგზავნილია მიუნხენიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ნ. კ. კრუპსკაიას მიერ დაწერილი პირის მიხედვით.

პ. ბ. აქსელროდს

01. 9. VII.

ძვირფასო პ. ბ.! გიგზავნით ნევზოროვის სტატიას, რომელიც ჩვენ უკუვაგდეთ[94]. ერთი ნახეთ ეს უცნაურობა (თქვენ, როგორც გავიგე, გაინტერესებდათ) და, როცა წაიკითხავთ, მაშინვე გაუგზავნეთ, თუ კაცი ხარ, გ. ვ.-ს, რომელიც აგრეთვე დაინტერესებულია პარიზელებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუცილებელია შევინახოთ პირი როგორც დოკუმენტი.

ჩვენთან იწყობა «ისკრის» № 6 — ალბათ, 6-გვერდიანი იქნება, რადგან საკმაოდ ბევრი მასალა გვაქვს საზოგადოებრივი ქრონიკიდან და მუშათა მოძრაობიდან. «ზარიას» მეორე №-სათვის გაიგზავნა: 1) გ. ვ-ის მოწინავე «რაღა იქნება შემდეგ?» და 2) ლ. ი-ს — ორტოდოქსის სტატია «რატომ არ გვინდა ჩვენ უკან ვიაროთ?» შემდეგ წერენ არსენიევი და ველიკა დიმიტრის ასული, არის ალექსის რეფერატი (როგორ მოგეჩვენათ იგი? ველიკა დიმ. უკმაყოფილო იყო). მე დავწერე პატარა სტატია ვიტეს მოხსენებითი ბარათისა და ამ უკანასკნელის წინასიტყვაობის გამო, გავლანძღე, ცხადია, ბ-ნი რ. ნ. ს.[95] — ველიკა დიმიტრის ასული ძალიან უკმაყოფილოა, და საჭირო გახდება გავუგზავნო სტატია გ. ვ-ს და ა. შ.: მტკივნეული პუნქტია ეს ბატონი რ. ნ. ს.!

როგორ მიდის თქვენი მუშაობა და როგორ გრძნობთ თავს? დიდი ხნით გაქვთ თუ არა წელს ვაკაცია და სად აპირებთ დასვენებას? ძალიან, ძალიან მსურს, რომ შეძლოთ და შემოიხედოთ აქეთ, მოვილაპარაკოთ რამე-რუმეებზე, — მხო-

ლოდ ვშიშობ დაგპატიჟოთ, რათა დასვენების ნაცვლად ნერვები არ აგეშალოთ. თუ ეს არ გაშინებთ, — შემოიარეთ მართლა.

რუსეთიდან მოიწერეს, მითქმა-მოთქმა ყრილობის შესახებ გაძლიერდაო. ეს ისევ და ისევ გვაიძულებს ვიფიქროთ პროგრამაზე. პროგრამის პროექტის გამოქვეყნება მ ე ტ ი ს მ ე ტ ა დ აუცილებელია, და ამას უაღრესი მნიშვნელობა ექნებოდა[96]. მაგრამ თქვენსა და გ. ვ-ს გარდა არავინ არის, რომ ამას ხელი მოჰკიდოს: საქმე დამშვიდებულ, ღრმა მუშაობას და მოფიქრებას მოითხოვს. გთხოვთ, დაგვეხმაროთ, თუ კი საქმეები და ჯანმრთელობა ხელს გიწყობთ. ან, იქნებ, გ. ვ-ს ნახავთ და ერთ ხანს დაჰყოფთ მასთან, — მაშინ შეგეძლოთ გესარგებლნათ ამ დროით?

აქ გავლით იყო კაუცკი (დასასვენებლად წავიდა ტიროლში), მაგრამ დაგვავიწყდა მოვლაპარაკებოდით მას Erfurter Programm-ის* შესახებ (რომელსაც ახლა ალექსი ათვალიერებს). შეგვპირდა თუ არა იგი განსაკუთრებულ წინასიტყვაობას?

ეს რა წიგნებზე უთხარით თქვენ ალექსის დას, რომ გაგზავნილიაო?

«ზარიასათვის» უცხოეთის მიმოხილვის შესახებ საიმედო არაფერია: Parvus-ს** სურს სულ ორგანიზაციაზე წეროს, ლუქსემბურგი და დანევიჩი მოგვცემენ (შესაძლოა) საფრანგეთზე, და მეტი ა რ ა ფ ე რ ი ა, არც გერმანიაზე, არც ავსტრიაზე... ცუდადაა საქმე.

მაშ, ნახვამდის! მაპატიეთ, რომ იშვიათად გწერთ. დრო არ მრჩება აქაურ გაწამაწიაში. ახლა აქ არიან ლონდონელები[97]. ისინი მე მომწონან, თქვენ კი!

მაგრად გართმევთ ხელს და სალამს ვუძღვნი ყველა თქვენიანს. თქვენი...

---

* — ერფურტის პროგრამის. რ ე დ.

** — პარვუსს. რ ე დ.

ლეიტეიზენის მისამართი: 52, Faubourg du Temple. Mr. Gouman. Paris; შიდა კონვერტზე: pour Mr Basile.

[«ისკრის» პირველი ნომრის ხელახალი გამოცემის შესახებ ჯერჯერობით ცოტა უნდა დავიცადოთ: როგორც აღმოჩნდა, მისი ერთი ათასი ცალი გადარჩენილა და ახლა ცდილობენ გადაზიდონ ეს ათასი; საკითხი მალე გამოირკვევა].

შენიშვნა ადლერის შესახებ კიდევ მოესწრება «ისკრის» № 6-თვის[98], თუ ერთ კვირაზე გვიან არ მოვა.

კავშირთან შეთანხმების პროექტზე არ ვწერ: ახალი არაფერია, ძველი კი თქვენ, ცხადია, ალექსის დისაგან გეცოდინებათ.

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბ. ვ. პლეხანოვს

01. 13. VII.

მივიღე თქვენი 11-ის წერილი[99]. რაც შეეხება ორტოდოქსის P. Scriptum-ს[100], უმრავლესობის აზრს დღესვე გადმოგცემთ ალექსი. მე არ ვეთანხმები ამ აზრს, და ჩემთვის (პირადად) საინტერესოა, ვიცოდე თქვენი შეხედულებაც კერძოდ ამ P. S.-ზე და იმ აზრზე, რომ მისი უარყოფა თითქოს შეიძლებოდეს მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება მთელი სტატია P. Scriptum-ის «ლიტერატურულ ნაკლოვანებათა» საფუძველზე. P. S-ის გადარჩენა კი, რაზედაც თქვენ გვწერთ, შესაძლებელია ალბათ იმ შემთხვევაში, თუ პეტრე ბორისის ძე გადაჭრით დ ა უ ჭ ე რ ს მ ხ ა რ ს, მაგრამ მაშინაც არა დანამდვილებით: ხმები თანაბრად გაიყოფა, ვინაიდან ალექსი ახლა თითქმის საკუთარი სავსებით წინააღმდეგია.

საერთოდ ვფიქრობ, ყოველი საკითხის გამო, რაც რამდენადმე მაინც ეხება «სადავო» პუნქტებს, უშუალოდ უნდა შეიტყოთ იმ აზრთა მოტივები, რომლებსაც გამოთქვამენ ჩვენი Struvefreundliche[101]: ეს შეიძლება გაკეთდეს წერილებით იმავე ლემანის მისამართით (ახლა საერთოდ უნდა ვწეროთ ლ ე მ ა ნ ი ს ს ა ხ ე ლ ზ ე), რასაც დაემატება für Meyer და «პუტმანისათვის», თორემ მე სრულიად ვერ ვკისრულობ გადმოგცეთ მათი შეხედულებანი. ეს ეხება, მაგალითად, ჩემს სტატიასაც რ. ნ. ს-ის წინააღმდეგ[102].

დიდად გმადლობთ წინადადებისათვის ჩერნოვის წინააღმდეგ მასალას გამოგიგზავნითო. მე სწორედ მის შესახებ

ვწერ, და, ალბათ, ისიც გამომადგებოდა, რაც საფრანგეთსა და ბელგიას ეხება (Vandervelde et Destrée. «Le socialisme en Belgique*, — საიდანაც ციტატები მოჰყავს ჩერნოვს, აგრეთვე Vandervelde-ს [103] ახალი შრომა). მაგრამ გამომიგზავნეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ გჭირდებათ და თუ შეგიძლიათ რამდენიმე კვირით მომცეთ. მე ძალიან მჭირდება Liebknecht: «Zur Grund-und Bodenfrage»**, რომელიც აქ ვერც პარვუსთან ვნახე და ვერც ბიბლიოთეკაში. თუ თქვენ გაქვთ, გამომიგზავნეთ, თუ კაცი ხარ, ცოტა ხნით.

ჩერნოვმა დაიმოწმა ვიღაც Gerolamo Gatti: Le nuove correnti dell'economia agricola (Milano—Palermo, 1900)***, ვინც პირდაპირ ეომება მარქსისტებს. ხომ არ იცით, რა ვაჟბატონი ბრძანდება ის, ღირს თუ არა წაიკითხოს კაცმა? ხომ არ არის ფრანგული თარგმანი? (მე იტალიური არ ვიცი — იქნებ ჩემი და შეძლებდა დამხმარებოდა).

მაგრად გართმევთ ხელს. მოიწერეთ ჩემი სტატიის შესახებ.

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

ვაგზავნილია მიუნხენიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1956 წელს ჟურნალ „კომმუნისტში“ № 16

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — ვანდერველდე და დესტრე «სოციალიზმი ბელგიაში». რ ე დ.

** — ლიბკნეხტი: «აგრარული საკითხის შესახებ». რ ე დ.

*** — G e r o l a m o G a t t i: Agricoltura e socialismo. Le nuove correnti dell'economia agricola (Milano — Palermo, 1900) (ჯ ე რ ო ლ ა მ ო გ ა ტ ი: აგრარული საკითხი და სოციალიზმი. ახალი მიმდინარეობანი ეკონომიკის მეურნეობაში. (მილანო — პალერმო, 1900). რ ე დ.

პ. ბ. აქსელროდს

01. 21. VII.

ძვირფასო პ. ბ.. სულ ვაპირებდი მეპასუხნა თქვენს წერილზე, მაგრამ სტატიის მიღებამდე ვაყოვნებდი. სტატიას მაინცადამაინც ნუ დააჩქარებთ, რაკი ეს გიმძიმთ, — ან სულაც ნუ წაიკითხავთ, რათა ჯეროვნად დაისვენოთ და იმკურნალოთ. გ. ვ-მ უკვე საკმაოდ დაწვრილებით მომწერა, თუ რა მიაჩნია მას სასურველ ცვლილებებად, და მე, რასაკვირველია, შევეცდები შევიტანო ყ ვ ე ლ ა ეს ცვლილება [104]. (მხოლოდ კ ი ლ ო ს შეცვლის შესახებ... აღარ ვიცი, მოვახერხებ თუ არა. არა მგონია შევძლო დიპლომატიური კილოთი დავწერო ვაუბატონზე, რომელიც ჩემში მძაფრ გრძნობებს იწვევს. არა მგონია, სავსებით მართალი იყოს გ. ვ. — თქვენი «სიძულვილი» მკითხველისათვის გაუგებარი იქნებაო: მაგალითისათვის დავიმოწმებ Parvus-ს, რომელმაც, თუმცა იგი ავტორს არ იცნობს, წინასიტყვაობის წაკითხვიდან ასევე მტრობა გამოიტანა ამ «როჭოსადმი», როგორც მან თქვა, — მაგრამ ეს ფრჩხილებში იყოს). მე ძალიან უკმაყოფილო ვიყავი იმით, რომ თქვენ აგკიდეთ ორი სამუშაო (სტატიების კითხვა — ჩემისა და ორტოდოქსისა) სწორედ მაშინ, როცა თქვენ სამკურნალოდ და დასასვენებლად გაემგზავრეთ. ეცადეთ კარგად გამოიყენოთ მკურნალობის დრო და ნურასგზით ნუ დაიტვირთავთ თავს ხელნაწერების გარჩევით.

გვწერეთ (და ხელნაწერები და ყოველივე დანარჩენი გვიგზავნეთ), გეთაყვა, მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ შემდეგი მისამართით:

Herrn Dr. Med. Carl Lehmann.
Gabelsbergerstraße 20 a/II.
München (შიგნით: f u r M e y e r).

რიტმაიერის მისამართი უკვე აღარ ვარგა (მაგრამ თუ თქვენ ამ წერილის მიღებამდე გამოგზავნეთ რაიმე რიტმაიერის სახელზე, ჩვენ კიდევ მივიღებთ).

ხომ არ გაქვთ თქვენ ან რომელიმე ციურიხელ გენოსეს * Liebknecht-ის წიგნი «Zur Grund-und Bodenfrage» (Leipzig 1876)? ძალიან მჭირდება სტატიისათვის ჩერნოვის წინააღმდეგ[105], აქ კი არც ბიბლიოთეკაშია, არც პარვუსს აქვს და არც ლემანს.

მაშ, ნახვამდის! მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ კარგად დაისვენოთ და ნამდვილად გამომჯობინდეთ.

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

P. S. კიდევ თხოვნა: ხომ არ გაქვთ თქვენ (ან გრეილიხს) ინტერნაციონალის კონგრესების ოქმები? ან «V o r b o t e» (სადაც, მგონი, ზუსტი ანგარიშები იყო)? ეს ჩერნოვი მოსვენებას არ მაძლევს, — ეს არამზადა, ეტყობა, ამახინჯებს საქმეს, როცა ინტერნაციონალის კონგრესების ოქმებს იმოწმებს და (რიტინგჰაუზენის)[106] «სოლიდარიზებულ თემებსაც» კი დოგმატიკურ მარქსიზმს მიაწერს. რომ შეძლებდეთ დამეხმაროთ ამ მასალების მხრივ, ძალიან და ძალიან მადლობელი ვიქნები თქვენი.

(თუ დავიდარაბა დაგჭირდებათ ამ ცნობების გულისათვის, მაშინ თ ა ვ ი დ ა ა ნ ე ბ ე თ ამას, **გეთაყვა**: როგორმე იოლად წავალ).

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* — ამხანაგს. რ ე დ.

პ. ბ. აქსელროდს

01. 24. VIII.

ძვირფასო პ. ბ.! გიგზავნით ნევზოროვის სტატიას, მის მიერვე გადაკეთებულს. ჩვენთან ამ სტატიის საკითხი ასეთი დილემით გამოიხატა: ან მოვათავსოთ იგი **«ზარიაში»** ან საკუთარი უარი ვუთხრათ მოთავსებაზე. ხმები თანაბრად გაიყო (ალექსი და არსენიევი მ ო მ ხ რ ე ნ ი ა რ ი ა ნ. ველიკა დიმიტრის ასული და მე წინააღმდეგი ვართ). გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი ხმა. უნდა გითხრათ, განსაკუთრებით მაშფოთებს ის, რომ ყველა გაიძახოდა (არსენიევიც კი), სტატია «საზიზღარია», «გამცემლურია» (ასე თქვა გ. ვ-მაც) — და მაინც ამბობენ, მოვათავსოთო. ჩემი აზრით, ეს წაყრუებისა და წაქეზების ფრიად ცუდი ტაქტიკაა. სტატიის დასაცავად ამბობენ: «ეს არის თანამშრომლის წერილი რედაქციისადმი. უ ხ ე რ ხ უ ლ ი ა უარი ვუთხრათო». ჩემი აზრით, რაკი თანამშრომელი ა ს ე თ ჯირითს იწყებს, ჩვენ სწორედ უნდა აღვკვეთოთ იგი. ღვთით «რაბოჩეე დელოში» წავიდეს (ნევზოროვი კიდეც გვწერდა, ამის წინააღმდეგი ხომ არა ხართო!!? sic!*) — ჩვენ ამით გაცილებით უკეთ «დავადოკუმენტებთ» მის ფიგურას და უფრო თავისუფლად გავანადგურებთ მას, ვიდრე ჩვენთან — «ზარიაში». (ერთ-ერთი საბუთი ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ: მოვათავსოთ, რათა საბაბი გვქონდეს ვუპასუხოთ გავრცელებულ მოსაზრებებზეო.)

მაშ ასე: გადაწყვიტეთ!

* — ასე! რ ე დ.

როგორაა ფინის სტატიის საქმე? თუ საქმიანია (როგორც თქვენ იწერებოდით), ხომ არ მოვათავსოთ «ზ ა რ ი ა შ ი»? ხომ არ გამოგზავნით?

როგორ გრძნობთ თავს? გავიგე, რომ თქვენ ტუნის ახლოსა ხართ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ წერილს გადაგიგზავნიან.

როდის ფიქრობთ მისვლას გ. ვ-თან? თქვენი დიდი იმედი გვაქვს პროგრამის საკითხში.

მაშ ნახვამდის!

გისურვებთ კარგად გამომჯობინდეთ და მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

«ისკრის» მეშვიდე ნომერი ამ დღეებში გამოდის. «ზარიაში» გაიგზავნა გ. ვ-ის სტატია (მეორე — სტრუვეს წინააღმდეგ). შემდეგ წავა — ნევზოროვის, ალექსის, ველიკა დიმიტრის ასულის, არსენიევის, აგრარულ საკითხზე (მე ვწერ)[107] და გ. ვ-სა ბერნშტეინის წინააღმდეგ (მისი წიგნის რუსული თარგმანის რეცენზია). უცხოეთის მიმოხილვა არა გვაქვს. დანევიჩი თუ დაწერს? «ისკრისათვის» მან უკვე გამოგზავნა მეორე წერილი (წავა № 8-ში).

გაგზავნილია მიუნჩენიდან
Heiligenschvende-ში
(შვეიცარია, ტუნის ახლოს)

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პ. ბ. აქსელროდს

01. 30. VIII.

ძვირფასო პ. ბ.! დღეს მივიღე თქვენი წერილი და დღესვე გავუგზავნე ჩემი სტატიის[108] კორექტურა დიტცს. თქვენ მიერ მითითებული შესწორება-- ბოლოში ლიბერალების გამოყოფა რევოლუციონერებისაგან, რომლებიც ერთ საერთო «ჩვენ»-ში მოექცნენ, — მე შევიტანე. «პროვიდენციალური წამონაცდენის» შესახებ კი უკვე ვერაფერი შევძელი: ამ ადგილის გადასაკეთებლად იმდენი ცვლილება იქნებოდა საჭირო, სტატიის მთელი ხასიათიც არ იძლევა საშუალებას შეიცვალოს ეს ადგილი «ცალმხრიობის» თავიდან აცილების აზრით (თქვენ, რასაკვირველია, მართალი ხართ, რომ გაშუქება «ცალმხრივია»: პოლემიკურ სტატიაში, რომელიც მიძღვნილია ჩვენი მოწინააღმდეგეების ერთ-ერთ ფლანგზე თავდასხმისადმი, აბა როგორ დავიცავდი ყოველმხრიობას! ესე იგი, მე მინდა გთქვა, ეს ნ ა კ ლ ი ერთობ ღრმადაა ჩაქსოვილი, რომ შეიძლებოდეს მისი ცალკეული ცვლილებებით თავიდან აცილება, — და სრულიადაც არა ის, რომ აქ ნაკლს ვერ ვხედავდე).

თქვენი წერილები ყველა მოგვდიოდა. დის შესახებ არ ვიცი, როგორაა საქმე, ვინაიდან მისგან როგორღაც დიდი ხანია, ამბავი არ მომსვლია.

თქვენ, ცხადია, მიიღებდით ალექსის წერილს, სადაც ლაპარაკია ყრილობისათვის შექმნილ დაბრკოლებაზე[109]? დაველოდებით, თუ როგორ გადაწყვეტთ თქვენ და დანევიჩი ამ საქმეს.

მეშვიდე ნომერი[110] გამოვიდა, და თქვენ, ცხადია, უკვე გამოგეგზავნათ. მერვეში მიდის რიაზანოვის სტატია «მეფის აამიკიტნო» (არყის მონოპოლიის შესახებ). შემდეგ განზრახულია სტატია ახალი კანონის შესახებ (რვა ივნისისა) ციმბირში თავადაზნაურთათვის მიწების გამოყოფაზე.[111] სახოგადოებრივ ქრონიკაში არის ცნობა ლიბერალების ყრილობაზე, უხამს მოპყრობაზე ციმბირში გადასახლებულთადმი, ისეთი მიყრუებული ადგილების ღრმა მღელვარებაზე, როგორიცაა კურსკი, სემინარიელებისა და გიმნაზიელების ამბოხებაზე შემდეგ მივიღეთ ერთი მუშის მეტად საინტერესო სტატია — პასუხი დადონოვს, რომელმაც «რუსსკოე ბოგატსტვოში» გალანძღა ივანოვო-ვოზნესენსკის მუშები[112] ამბობენ, ძალიან კარგი სტატია არისო (მე ჯერ არ წამიკითხავს), ასე რომ ალ ვიცით, სად სჯობია: «ისკრაში» თუ «ზარიაში». «ისკრის» № 8-ში არის დანევიჩის წერილი საფრანგეთიდან.

«ზარიასათვის» კი უცხოეთის მიმოხილვა არ არის და არა! საშინაო მიმოხილვაც არა გვგონია გვექნეს[113] უბედურებაა! სივდება კი ეს «ზარია». ახლა უკვე 6 თაბახია + 4 (პლეხანოვის «კრიტიკა») + 2 (იგივე ბერნშტეინის წინააღმდეგ) + 2 (ნევზოროვი + ალექსი) + 2 — 3 (ველიკა დიმიტრის ასული და სტაროვერი)... მე კი სულ ჩავეფლე აგრარულ საკითხში.

იქნებ, მალე ვნახოთ ერთმანეთი.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

გაგზავნილია **მიუნხენიდან**
Heiligenschwende-ში
(შვეიცარია, ტუნის ახლოს)

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ე. ლ. გურევიჩ-დანევიჩს

01. 3. XI.

ძვირფასო ამხანაგო! თქვენ გვითხარით, როცა აქ ჩვენ ჯერ კიდევ გამგზავრებამდე ვსაუბრობდით, როგორადაც არ უნდა წარიმართოს ჩვენი ურთიერთობა — კიდეც რომ დავშორდეთ ერთმანეთს — ყოველ შემთხვევაში თქვენი გამოცემების თანამშრომელი ვრჩებიო. ამის შემდეგ, როცა ჩვენი ორგანიზაციული მოლაპარაკება უკვე სავალალოდ დამთავრდა, ურთიერთს განვუმეორეთ, რომ ჩვენ სრულიადაც «არ ვუცხადებთ ერთიმეორეს ომს» და ვრჩებით მოკავშირე — პოლიტიკოსებად, თუმცა დროებით ერთმანეთს დაშორებულნი.

ამიტომ იმედი მაქვს, რომ წინანდებურად განაგრძობთ თქვენი წერილების გზავნას საფრანგეთიდან «ისკრისათვის». სამწუხაროდ, გარკვეული პასუხი ჩვენს კითხვაზე თქვენი ჯგუფის აქაური წევრისაგან ვერ მივიღეთ. გვაცნობეთ, თუ კაცი ხართ, აპირებთ თუ არა შემდგომ ჩვენთან თანამშრომლობას.

თქვენ, ცხადია, იცით, თუ როგორ ვაფასებთ ჩვენ თქვენს ლიტერატურულ თანამშრომლობას, და თუ ახლა, «ლიგის» შექმნის შემდეგ, ჩვენი ორგანიზაციული ურთიერთობა თქვენი ჯგუფისადმი გართულდა, შემდგომი ლიტერატურული დაახლოებისათვის ჩვენის მხრივ, ყოველ შემთხვევაში, დაბრკოლება არ არის. ჩვენთვის ეს დაახლოება სასურველი იქნებოდა.

ამხანაგური სალამით....

P. S. რიაზანოვის ნათქვამიდან მე დავასკვენი, რომ ჩემი სიტყვები, შესაძლებელია ჩვენმა ურთიერთდაშორებამ ლიტერატურულ შეთანხმებაზე გავლენა მოახდინოს-მეთქი, არასწორად იქნა გაგებული. მე მხედველობაში მქონდა მხოლოდ ხელშეკრულება ბროშურების შესახებ («ლიგამ» ბროშურების განსაკუთრებული რედაქცია შექმნა), ხოლო «ზარიას» და «ისკრის» რედაქციის წმინდა ლიტერატურული ურთიერთობა თანამშრომლებთან «ლიგის» დაარსებით არ შერყეულა.

გაგზავნილია მიუნხენიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ნ. კ. კრუპსკაიას მიერ დაწერილი პირის მიხედვით

ლ. ი. აქსელროდ-ოლტოდოვსს

01. 27. XI.

დიდად პატივცემულო ლ. ი.! მადლობა თქვენი წიგნისათვის, რომელიც მიჩვენა ვ. ივ.-მ. ძალიან, ძალიან ვნანობ, რომ ვერ ვახერხებ შევუდგე მის კითხვას; ჯერ ერთი, ძალიან დაკავებული ვიყავი ამ ბოლო დროს ბროშურით («რაბოჩეე დელოს» წინააღმდეგ)[115], მეორეც, ისევ ავად ვარ «გაურკვეველი» სნეულებით. სამუშაო შეჩერებული მაქვს, და არ ვიცი, მალე შევძლებ თუ არა კვლავ ჩავუჯდე! სამუშაო კი სასწრაფოა...

რაც შეეხება პოპოვას რეკომენდაციას, ჩემდა დიდად სამწუხაროდ, სრულიად არ ვარგივარ ამისათვის. პირადად მე არ ვიცნობ და არასოდეს არ ვიცნობდი პოპოვას. მასთან საქმე მქონდა მ ხ ო ლ ო დ ს ტ რ უ ვ ე ს მ ე შ ვ ე ო ბ ი თ (რომელსაც ვერ მივმართავ თხოვნით, რეკომენდაცია გაუკეთოს თქვენს წიგნს, თქვენთვის გასაგებია, რომ ამაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ის კი ხომ პოპოვას გამოცემათა რედაქციის გამგეა!!). ჩემი მიმართვა პოპოვასადმი, მაშასადამე, უფრო უარყოფით გავლენას იქონიებდა.

მაგრამ ესეც როდია ყველაფერი. მე ამ ცოტა ხნის წინათ (ერთი თვის თუ 1½ თვის წინათ) მივწერე პოპოვას. პ ი რ ვ ე ლ ა დ მივმართე მას თხოვნით გამოეგზავნა ჩემთვის ვების მეორე ტომის ერთი ეგზემპლარი; ეს შრომა ჩემი რედაქციით გადმოითარგმნა და მხოლოდ ამას წინათ გამოვიდა[116]. დღემდე არც პასუხია და არც წიგნაკი!

ვოდოვოზოვასთან[117] მე ოდესღაც, ასე ვთქვათ, «თავაზიანი» მიწერ-მოწერა მქონდა. მაგრამ ჩემს უკანასკნელ (ს ა ქ მ ი ა ნ) წერილზე მისდამი (გაზაფხულს დაწერილზე!) მან ს უ ლ ა ც ა რ მ ი პ ა ს უ ხ ა. როგორც ხედავთ, აქაც სრულებით გამოუსადეგარი ვარ.

საჭირო გახდება ან გამოძებნოთ სხვა ვინმე, ვისაც უკეთესი ნაცნობობა აქვს ლიტერატორთა და გამომცემელთა წრეებში, ან უშუალოდ მიმართოთ რამდენიმე გამომცემელს თქვენი წიგნის დართვით. [იქნებ, ფილიპოვს შეუძლია დაგეხმაროთ? ის ხომ თქვენს ნაწერებს ბეჭდავდა? მე მასთან ურთიერთობა გაწყვეტილი მაქვს.]

ბერგი მოგწერთ ან პირადად მოგელაპარაკებათ: სურს მალე გაემგზავროს.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ფ რ ე ი

გაგზავნილია მიუნხენიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გ. ვ. პლეხანოვს

01. 1. XII.

წავიკითხე, ძვირფასო გ. ვ., თქვენი წერილი ფინის შესახებ. თქვენ გაცილებით უფრო მკაცრი აღმოჩნდით. მე მომეჩვენა, რომ სტატიას არა უშავდა რა. მაგრამ თქვენმა მოსაზრებებმა სავსებით დამარწმუნეს, და მე თანახმა ვარ, რომ ამპუტაცია გაუკეთდეს. ავტორს უკვე ველაპარაკე, რომ საჭიროა ზოგიერთი ცვლილება და შემოკლება. ის მაინცდამაინც არ გაჯიუტებულა, მაგრამ «სურვილს» გამოთქვამდა, რომ ძალიან არ შეემოკლებინათ, რადგან შემიძლია სტატია სხვაგანაც მოვათავსოო.

ვცადოთ მივწეროთ ავტორს: მისამართი გვაქვს, მაგრამ წერა ცოტა არ იყოს უხერხულია.

მაგრამ, სტატიის გასწორებას მე ვერ ვიკისრებ. ამის გაკეთება უკვე თქვენ მოგიხდებათ, თუ გადაწყდა, რომ გავუშვათ.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ფ რ ე ი

ფინის სტატიის თქვენმა კრიტიკამ ერთხელ კიდევ მიმახვედრა, რომ «ისკრის» ეკონომიური განყოფილება ღარიბია, რაზედაც თქვენ ციურიხში ლაპარაკობდით. რატომ არაფერს

გვიგზავნით ამ განყოფილებისათვის? დაწყებული ½ სვეტიანი შენიშვნებით (ოთხი ათასი ნიშანი, 4—6 თქვენი გვერდი) მიმდინარე ამბების გამო, როგორიცაა კოოპერატივების კონგრესი, ახალი მონაცემები სინდიკატების შესახებ «Economist»[118]-ის ეკონომიური მიმოხილვები, დიდი გაფიცვები, ახალი სტატისტიკური მონაცემები და სხვ. და სხვ., — და გათავებული 1 ½ — 2 სვეტიანი სტატიებით ან 20—25 ათასამდე ნიშნის შემცველი ფელეტონებით (30-მდე თქვენი გვერდი), ყოველივე ეს ესოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა!! თქვენ კი ხომ, გეტყობათ, ყველაზე მეტად ადევნებთ თვალყურს ეკონომიურ ლიტერატურას და თქვენთვის ყველაზე უფრო ადვილი იქნება შეადგინოთ, თუნდაც ზოგჯერ, ასეთი შენიშვნები! მართლაცდა, სინჯეთ და დაგვეხმარეთ, თორემ «ისკრა» ერთფეროვანი გახდება. მე, რა თქმა უნდა, ფიქრადაც არ მომდის ჩამოგაშოროთ მუშაობას პროგრამაზე, რომელიც საჭიროა დაჟინებით და უწინარეს ყოვლისა, მაგრამ მცირე შენიშვნები და პატარა სტატიები ხომ შეიძლებოდა სხვათა შორის დაგეწერათ ეკონომიური ჟურნალების ახალი ნომრების გამო და მისთ.

«ისკრის» ისტორიული განყოფილებაც სუსტია. ფელეტონები, სადაც ლაპარაკია ევროპის რევოლუციებზე, და სხვ. ვფიქრობ აქ შეიძლება კიდეც გადმოვთარგმნოთ რაიმე. გამოგზავნეთ, თუ კაცი ხართ, შესაფერისი მასალა: თქვენ ერთხელ თქვით, ზოგი რამ მხედველობაში მაქვსო.

თქვენი ფ რ ე ი

მე სულ ავადა ვარ და «ვჯახირობ» «რ ა ბ ო ჩ ე ე დ ე ლ ო ს» წინააღმდეგ მიმართულ ბროშურაზე, რომელიც თითქმის კუს ნაბიჯით მიდის წინ.

გაგზავნილია მიუნხენიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გ. ვ. კლეხანოვს

01. 19. XII.

ძვირფასო გ. ვ.!

ახლა მივიღე თქვენი 17-ის წერილი და დაუყოვნებლივ გიპასუხებთ. თქვენ უკვე ქვ ი რ ა ზ ე მ ე ტ ი ხნის წინათ გიპასუხეთ ბრიუსელში გამგზავრების გამო[119], როცა გრძელი წერილი გავუგზავნე პ. ბ-ს (ვინაიდან იქ იყო «ზარიას» № 4-ის გეგმა) და ვთხოვე მ ა შ ი ნ ვ ე გადაეგზავნა თქვენთვის. თუ წერილი არ დაკარგულა, ეს სკანდალია, რომ მან იგი დააკავა!! ახლავე ვწერ მას.

მე ვეთანხმები ალექსის აზრს, რომ თქვენ უ ნ დ ა წახვიდეთ. კრიჩევსკიმ შეიძლება გვავნოს, —ახლა კი, გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ ი ბრძოლის დასაწყისში, მასთან განსაკუთრებით ფხიზლად უნდა ვიყოთ. მათთან ერთად ჩვენ არ გვეცხოვრება.

გიგზავნით 230 მარკას: 80 მარ.=100 frs * საერთაშორისო ბიუროსათვის და 150 მარკას გასამგზავრებლად. ცოტა ხომ არ არის?

აიღეთ წ რ ი უ ლ ი ბ ი ლ ე თ ი (ვადა 2 თვეა) მიუნხენში შევლით (თუ ჟენევიდან ამის გაკეთება საფრთხილოა, შეუკვეთეთ ეს ციურიხში). ციურიხში დაიყოლიეთ აგრეთვე პ. ბ., რომ ისიც ჩამოვიდეს. მაშინ ჩვენ იანვრის დამდეგს შევიკრიბებით და მ ო ვ რ ჩ ე ბ ი თ პროგრამასაც (ეს დიდმნიშვნელოვანია), «ზარიას» № 4-საც და სხვ.

---

* — frances — ფრანკი. რ ე დ.

«ზარიას» დღითიდღე ველი. იმ წერილში პ. ბ.-ძეს უკვე გავუგზავნე მისი სარჩევი.

«ისკრისათვის» დაწერეთ მოკლე ანგარიში ან შენიშვნა საერთაშორისო სამდივნოს სხდომების შესახებ.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ფ რ ე ი

გვიპასუხეთ, ჩამოხვალთ თუ არა.

გაგზავნილია მიუნხენიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ლ. ი. გოლდმანს

მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ფუნქციების განაწილება თავისთავად განისაზღვრება: აქ სცემენ ლიტერატურას, წერენ სტატიებს გაზეთისათვის და სხვ.. რუსეთში — ავრცელებენ ლიტერატურას და ამყარებენ კავშირურთიერთობას. ვადაზიდვას განაგებენ განსაკუთრებული პირნი, აქაურთა და იქაურთა ურთიერთთანხმობით დაყენებულნი და როგორც პირველებთან ისე მეორეებთან დაკავშირებულნი. ასეთია იდეალი...

ჩვენ დიდი ხანია გვადარდებს, რომ რუსული ორგანიზაცია (უპირველესი მნიშვნელობის საქმე) ნელა მიდის წინ, და ჩვენ — გახსოვთ? — «გეგმაც» კი გამოგიგზავნეთ ზაფხულში[120] (სამწუხაროდ, ჩვენ არ შემოგვრჩენია წერილის პირი, სადაც ეს «გეგმა» იყო განვითარებული), მაგრამ თქვენ გვიპასუხეთ: «ხალხი არა გვყავსო». ახლა თქვენ, ალბათ, შესაძლებლად მიიჩნიეთ ხელი მოჰკიდოთ ამას, და ჩვენ ყველანი, ცხადია, მზადა ვართ დაგეხმაროთ თქვენ ყველას, თუ ეს ჩვენზეა დამოკიდებული. მაგრამ ჩვენი როლი აქ სავსებით დაქვემდებარებულია. თქვენ დაკავშირებული ხართ X, Y, Z-თან[121], — მაშასადამე, ლიტერატურის ყველა «წყარო» თქვენთან იყრის თავს. დაუკავშირდით ერთმანეთს და მოიხმარეთ ეს წყაროები: თუ თქვენ ხალხს იპოვით, რომელიც ამისათვის ვარგა და რომელმაც თქვენი სრული ნდობა დაიმსახურა, შეადგინეთ მათგან, საერთო შეთანხმებით, განმკარგულებელი კომიტეტი, და ჩვენ, ცხადია, მივწერთ ყველას, ვი-

საც შეგვიძლია მივწეროთ, რომ ამ კომიტეტს დაუჯეროონ. ოღონდ საჭიროა, რათა გამკარგულებელი კომიტეტი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ ფიქრობდეს მთელ რუსეთზე და სრულიადაც არა ერთ რაიონზე, ვინაიდან «ისკრის» მთელი მომავალი იმაზეა დამოკიდებული, შეძლებს თუ არა იგი დაძლიოს ადგილობრივი კუსტარულობა და რაიონული განკერძოებულობა და ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ საერთო-რუსული გაზეთი გახდეს...

დაწერილია 1901 წ. დეკემბერში
გაგზავნილია მიუნხენიდან კიშინიოვში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ჟურნალში «პროლეტარსკაია
რევოლუცია» № 1,
«ისკრის» ორგანიზაციის მოხსენებაში
რსდმპ II ყრილობას».

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით:
«ისკრის» ორგანიზაციის
მოხსენება რსდმპ II
ყრილობას», რომელიც
დაწერილია ნ. კ. კრუპს-
კაიას მიერ.

1902 წ.

ლ. ი. აქსელროდ-ოლტოდოვსს

02. 18. II.

დიდად პატივცემულო ლ. ი.! ვჩქარობ გაცნობოთ, თქვენი წერილის პასუხად, რომ სტრუვეს და ბულგაკოვის სტატიები მოთავსებული იყო 1897 წლის მაისის «ნოვოე სლოვოში» (წიგნის № 8, მათი განსაკუთრებული ნუმერაციით)[122].

ძალიან გვიხარია, რომ თქვენ მალე დაამთავრებთ სტატიას, — გთხოვთ გამოგვიგზავნოთ მასთან ერთად სტრუვესა და ბულგაკოვის სტატიებიც.

ისარგებლეთ თუ არა «რუსსკოე ბოგატსტვოს» უკანასკნელ წიგნაკებში მოთავსებული ვლ. ჩერნოვის სტატიებით სუბიექტურ მეთოდზე, ბერდიაევზე და სხვ.? აჰ, რა კარგი იქნებოდა თუნდაც რამდენიმე სტრიქონი მიგეძღვნათ ამ ლაქლაქას გათათხვისადმი! «Sozialistische Monatshefte»-ს[123] მეორე (თებერვლის) ნომერში ვიღაც ლოზინსკიც ასამარებს მატერიალიზმს და ქებას ასხამს ბერდიაევს.

ვოლოგდიდან (სადაც ბერდიაევი და ბოგდანოვი სხედან) იუწყებიან, რომ იქ გადასახლებულნი გულმოდგინედ კამათობენ ფილოსოფიაზე და ბერდიაევი, როგორც ყველაზე უფრო მცოდნე, ეტყობა, «იმარჯვებს».

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი...

გაგზავნილია მიუნხენიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პ. ბ. აქსელროდს

02. 22. III.

ძვირფასო პ. ბ.!

როგორა ხართ მგზავრობის შემდეგ. გამომჯობინდით თუ არა მოხეტიალე ცხოვრებისა და «რეაქციის» წყალობით, რასაც მოელოდით, როცა აქედან მიდიოდით!

ველიკა დიმიტრის ასულმა გამოგიგზავნათ გ. ვ.-ს პროგრამა და ჩვენი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საქმის «კომისიურ მოგვარებას» sui generis * [124] საარბიტრაჟო კომისიის საშუალებით. ეს პროექტი, ეტყობა, იფუშება, გ. ვ-ს სურვილისამებრ, მაგრამ ჯერ ესეც არ ვიცი დანამდვილებით. ჩემთვის საინტერესოა ვიცოდე, რანაირი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე გ. ვ-ს ახალმა პროექტმა და ორი პროექტიდან რომლისაკენ იხრებით ახლა?

მ ხ ო ლ ო დ ა ხ ლ ა დაიწყო თქვენი ბროშურის [125] გადაწერა: აქამდე გადამწერი უნდებოდა «ისკრისათვის» გადაწერას (ცვეტოვის წასვლის გამო «ისკრის» [საქმე]** მეტად ნელა წავიდა: მარტში მხოლოდ ერთი ნომერი გამოვა). ეტყობა, თქვენი ბროშურის გამოცემისას აქ დაგვიანება გარდუვალია: თუ თქვენ ეს ძალიან არ გინდათ, — გვაცნობეთ, და მაშინ შესაძლებელი იქნება ჟენევას გავგზავნოთ. თუ თქვენთვის არც ისე მნიშვნელოვანია სისწრაფე. მაშინ ჩვენთან, გადაწერის დამთავრებისა და ცვეტოვის დაბრუნების შემდეგ, ბროშურა ასაწყობად გადაეცემა.

---

* — თავისებური. რ ე დ.

** — სიტყვა [საქმე] ჩასმულია აზრის მიხედვით. რ ე დ.

კიდევ პროგრამის შესახებ. მისი მ თ ე ლ ი ლიგის (და არა მხოლოდ რედაქციის) კენჭის საყრელად გადაცემას, respective * ბეჭდვითს პოლემიკას ურთიერთშორის, ჩვენ მეტად არასასურველად მივიჩნევდით (თუმცა, თუ შეთანხმების ცდა მარცხით დამთავრდა, ამის თავიდან აცილება ადვილი არ იქნება) როგორია თქვენი აზრი?

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ჯანმრთელობას.

თქვენი...

ვაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — ანუ. რ ე დ.

პ. ბ. აქსელროდს

02. 27. III.

ძვირფასო პ. ბ.! ეს-ეს არის მივიღე თქვენი წერილი და ვიჩქარი გიპასუხოთ. თქვენი იდეა — სტატია «ზარიაში» მოთავსდეს ბროშურის ნაცვლად («ისკრის» დამატებად), მე საერთოდაც ძალიან მომწონს და კერძოდაც ჩვენი იმ გეგმების გამო, რომ ლონდონს გადავიდეთ (ეგვენი თქვენ გწერთ ამაზე)[126]. თქვენი სტატიიდან დაახლოებით ნახევარი უკვე გადაწერილია, და მას დამთავრებისთანავე გამოგიგზავნით: გადაწერა ახლა სწრაფად მიმდინარეობს. ჩინებული იქნება, რომ «ზარიაში» სწორედ საჟურნალო ხასიათის სტატია მოთავსდეს. ცვლილებანი კი «ისკრისადმი» წერილის მიმართვაში, კიდეც რომ საჭირო გახდეს, სრულიად უმნიშვნელო იქნება.

«კანუნ რევოლუციის»[127] რეცენზიის წერა, რამდენადაც ვიცი, არავის დაუწყია და არც არავინ აპირებს მის დაწერას. ამიტომ დაწერეთ უსათუოდ: «ზარიასათვის» სწორედ რეცენზიები გვაკლია.

რაც შეეხება პროგრამას, ამ დღეებში გამოგიგზავნით ჩემს შენიშვნებს გ. ვ.-ს პროექტის გამო (ახლა ეს შენიშვნები ავადმყოფ მეგობარს აქვს)[128]: მე ისინი ვუჩვენე აქაურ მეგობრებს, და მათ არ მირჩიეს გავუგზავნო გ. ვ.-ძეს იმის გამო, რომ ჩნდება «საარბიტრაჟო თუ შემათანხმებელი» კომისიის ვარაუდები. მაგრამ პირადად თქვენთვის მათი გაგზავნა მეტად სასიამოვნოდ დამრჩებოდა, რათა თქვენ ნახოთ

იქ სისტემატურად გადმოცემული ჩემი Bedenken *. ყრილობის[129] შესახებ კი მე არ ვფიქრობ, რომ მან ა ხ ლ ა შეძლოს საქმე კეთილად დააგვირგვინოს. არ ვიცი, როგორ გადაწყვეტს მთელი კოლეგია (რომელსაც დღესვე გავაცნობ თქვენს გეგმას), მაგრამ მე ძალიან ვშიშობ, რომ როცა არ არის უკვე დამზადებული მესამე პროექტი, რ ო ც ა ა რ ა ა რ ი ს ხ მ ი ს მ ი მ ც ე მ თ ა ა ხ ლ ი შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა, როცა არ არის მ ტ კ ი ც ე შეთანხმება, სახელდობრ როგორ და ვის შორის ეყაროს კენჭი დ ა რ ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა მ ი ე ც ე ს კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ა ს, — ჩვენი ციურიხის ყრილობა ისევ უშედეგოდ დამთავრდება. ხოლო პროგრამის გამოშვებას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ამაში თქვენ ა თ ა ს ჯ ე რ მართალი ხართ.

ნახეთ ბორბას «კალენდარი»?[130] როგორ მოგწონთ?

გამოვიდა «რევოლუციონნაია რასსია» № 4. მუშაობენ!

მ ა პ ა ტ ი ე თ წერილის სიმოკლე და ნაჩქარევობა. ძალიან ვჩქარობ.

თქვენი...

გაგზავნილ: მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1924 წ. ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — მოსაზრებანი. რ ე დ.

ა. ა. ბოგდანოვს

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ ძალიან გვახარებს თქვენი წინადადება, რომ გამოვცეთ ბროშურები. სწორედ ბროშურების მხრივ გვაქვს ერთგვარი ნაკლებობა, და ჩვენ შეგვიძლია ისინი ადვილად და რამდენიც გვინდა გამოვცეთ. (ტრანსპორტის შესახებ ახლა არ შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, წესიერად იქნება თუ არა en masse * მიტანილი, იმედი კი გვაქვს, რომ ესეც სულ უფრო მოგვარდება.) მაგრამ ჩვენ ძალიან გთხოვთ, ნუ დაიჟინებთ იმ პირობის დაცვას, მივიღოთ ან უარვყოთ ბროშურები en bloc ** ისე, რომ არავითარი ნაწილობრივი ცვლილება არ შევიტანოთ. ეს პირობა მეტისმეტად უხერხულია და საშინლად დააბრკოლებს მთელ საქმეს. მაგალითი: პირველივე ჩვენთან გამოგზავნილი სტატია ორგანიზაციის შესახებ (ორგანიზაციის ტექნიკური ამოცანების შესახებ). რედაქციის საერთო აზრით, ეს სტატია (თავისთავად საინტერესო და საგულისხმო) ასეთი სახით არ შეიძლება წავიდეს, ვინაიდან იქ არის სრულიად უადგილო და უტაქტო რამეები (როგორიცაა «ერთპიროვნულობა» და «დიქტატურა კომიტეტის ერთი წევრისა» და სხვ.), არის კერძო დეფექტებიც, რომლებიც გასწორებას საჭიროებენ. ამავე დროს სრულიადაც არ იქნებოდა ძნელი მიგვეღწია შეთანხმებისათვის ასეთ, ავტორის თვალსაზრისით არც ისე არსებით (მაგრამ უსათუოდ აუცი-

---

* — დიდი რაოდენობით. რედ.

** — მთლიანად. რედ.

ლებელ) ცვლილებებზე. კარგად ჩაუფიქრდით ამას და ნუ შეაჩერებთ დიდმნიშვნელოვან საქმეს იმ სურვილის გამო, რომ ჩვენთვის განსაკუთრებით შემზღუდავი პირობები შეიქმნას.

ვიმეორებთ: სტატია საერთოდ საქმიანია და საგულისხმო; ჩვენ საერთოდ **თანახმა ვართ იმისაც,** რომ მივიღოთ ან უარვყოთ სტატიები მთლიანად, კერძო შესწორებათა შეუტანლად. მაგრამ აი უკვე ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი გავხდით უკუგვეგდო პირველი თქვენი სტატია ასეთი პირობისას, — და ეს საქმისათვის საზიანო იქნებოდა. ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ შესწორებათა შესახებ კი, ალბათ, შესაძლებელია შევუთანხმდეთ ავტორს. სინჯეთ თუნდაც მაგალითისათვის და უფლება მოგვეცით ცდის სახით შევიტანოთ ეს შესწორებანი. თუ გნებავთ, მოგწერთ უფრო დაწვრილებით, სახელდობრ რა უნდა შეიცვალოს.

დაწერილია 1902 წ. მარტის დამლევს (28-ზე უფრო გვიან)—აპრილის დამდეგს
გაგზავნილია ვოლოგდაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წ. ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ფ. ვ. ლენგნიკს

მაშ, თქვენი ამოცანაა ახლა შექმნათ თქვენგანვე კომიტეტი ყრილობის მოსამზადებლად[131], მიიღოთ ამ კომიტეტში ბუნდელი (რომელიც ყოველმხრივ უნდა შეაფასოთ — ეს NB!), გააძვრინოთ თქვენი ხალხი რაც შეიძლება მეტ კომიტეტში, ამასთან თვალის ჩინზე უფრო მეტად გაუფრთხილდეთ საკუთარ თავს და თქვენიანებს ყრილობამდე. ყოველივე ეს უაღრესად მნიშვნელოვანია! გახსოვდეთ ეს. იყავით ამაში უფრო გაბედული, თავხედი და გერგილიანი, დანარჩენში კი უფრო ჩუმი და ფრთხილი.

ბრძენნი, ვით გველნი — და თვინიერნი (კომიტეტებთან: ბუნდთან და პიტერთან) — ვით მტრედნი.

მთლად თქვენი მოხუცი

დაწერილია 1902 წ. 23 მაისს
გაგზავნილია ლონდონიდან სამარაში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

Ი. Ი. რადჩენკოს

ახლა ბ უ ნ დ ე ლ ს მისამართი მივეცით თქვენთან შესახ-ვედრად. ეს ყრილობის საქმის გამო. თქვენ მათთან ერთად (+ ბიურო ან კიდევ ვინმე) უნდა შეადგინოთ რუსული კომიტეტი ყრილობის მოსამზადებლად. თავი გეჭიროთ **რაც შეიძლება რიხიანად** და ფ რ თ ხ ი ლ ა დ. თვითონ აიღეთ უფრო მეტი რაიონები, სადაც თქვენ იკისრებთ ყრილობის მომზადებას, დაიმოწმეთ ბიურო (ოღონდ სხვანაირად მოიხსენიეთ), ერთი სიტყვით, მოიმოქმედეთ ისე, რომ მთელი საქმე ს ა ვ ს ე ბ ი თ თ ქ ვ ე ნ ს ხ ე ლ თ იყოს, ბუნდი კი ჯერჯერობით ბუნდით დაკმაყოფილდეს. ჩვენ აქ დავიწყებთ სხვადასხვა მოლაპარაკებას აქაურ დაახლოებაზე, და მაშინვე შეგატყობინებთ.

მაშ, ჯერ — დ ა ს ა ხ ე თ «ყრილობის მომამზადებელი რუსული კომიტეტის» ისეთი შემადგენლობა, რომელიც ყველაზე უფრო ხელსაყრელი იქნება ჩვენთვის (იქნებ, სჯობდეს ითქვას, რომ თქვენ უკვე შეადგინეთ ეს კომიტეტი და ძალიან მოხარული ხართ ბუნდის მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი ს ა ან ამგვარი რამ). თვითონ იკისრეთ, ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ, მდივნობა ამ კომიტეტში. ეს პირველი ნაბიჯი იქნება. მერე ვნახოთ.

ვამბობ «დასახეთ» შემადგენლობა-მეთქი, რათა თქვენ მეტი თავისუფლება გქონდეთ: ერთბაშად თავს ნუ შეიბოჭავთ ბუნდის წინაშე (შეგიძლიათ თქვათ, მაგალითად, რომ მოგვარებულია კავშირურთიერთობა ვოლგასთან, კავკასიასთან, ცენტრთან — ჩვენ იქიდან ერთი კაცი გვყავს — და სამხ-

რეთთან — იქ ჩვენგან ორი კაცი მიდის) და გახდით ამ წამოწყების ბატონ-პატრონი. მაგრამ ყოველივე ეს რაც შეიძლება ფრთხილად, საყვედურების გამოუწვევლად.

მოიწერეთ, ნათელია თუ არა თქვენთვის თქვენი როლი? იქნებ, კიდევ მოვასწრებთ მიწერ-მოწერას.

აუცილებლად გვიგზავნეთ ყოველკვირეული გაზეთი წ ე ს ი ე რ ა დ Roegner-ის მისამართით: ჩვენთვის აუცილებელია უაღრესად აკურატული მიწერ-მოწერა. ჩვენც გვინდა გიგზავნოთ ყოველკვირეული სპეციალური ჟურნალი: რაც შეიძლება მალე მოგვაწოდეთ ექიმის, ტექნიკოსის, ველოსიპედისტის, მსახიობის და სხვათა მისამართი.

მთლად თქვენ-

დაწერილია 1902 წ. 22 ივნისს
გაგზავნილია ლონდონიდან პეტერბურგში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პირველად დაიბეჭდა მთლიანად
1928 წელს
ლენინის კრებულში VIII

გ. ვ. პლეხანოვს

02. 2. VII.

ძვირფასო გ. ვ.!

მაპატიეთ, რომ ასე ნაჩქარევად ვწერ. მე ჩამოვედი აქ, ბრეტანს, დასასვენებლად (აქ მოველი ჩემიანებსაც)[132], მაგრამ პარიზში ბერგმა მომცა თავისი შენიშვნა, და მე მივიღე თქვენ მიერ გამოგზავნილი სტატია ვეტერანის ხელმოწერით.

მე სავსებით ვეთანხმები ვეტერანს. ლეკერტის შესახებ «ისკრაში» მოთავსებული შენიშვნის გამო მცირეოდენი ბატალია გამომივიდა ბერგთან და ველიკა დიმიტრის ასულთან, რომლებმაც ორთავემ, როგორც სჩვევიათ, ერთხანს ინერვიულეს და იწყეს ლაპარაკი იმაზე, რომ ტერორი გარდუვალია და რომ ჩვენთვის აუცილებელია ეს (ასე თუ ისე) გამოვთქვათო. «ისკრის» შენიშვნა, ამრიგად კომპრომისს წარმოადგენდა: ეს იყო ყველაფერი, რის **ბრძოლით მოპოვებაც** შევძელი[133]

ახლა ბერგი თვით უფრო გადაჭრით ეწინააღმდეგება ტეროორს, ლეკერტებზე უფრო მეტადაც კი.

მაგრამ საკითხი ის არის, შესაფერისია კი თქვენი სტატია ვეტერანის ხელმოწერით მოთავსდეს? რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა, თ უ თ ქ ვ ე ნ გ ი ნ დ ა თ, ი გ ი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ ი ქ ნ ე ბ ა მ ო თ ა ვ ს ე ბ უ ლ ი (და მოესწრება უახლოეს ნომერში), — მაგრამ ხომ არ აჯობებდა, თქვენ რომ მისგან მოწინავე სტატია შეგვედგინათ № 22-სათვის მისი (ასე ვთქვათ) შეერთებით ბერგის სტატიასთან «როგორ ვიბრძოლოთ»?

ამასთან გიგზავნით ამ სტატიას, სადაც, ჩემი აზრით, არის ადგილები, რომლებიც შესწორებას საჭიროებენ, ლეკერტის საკითხის გამო არასასურველად ორჭოფული ადგილები.

გიგზავნით აგრეთვე შენიშვნასაც ხუცესის წერილზე. თქვენი აზრი?

მაშ, გთხოვთ გვიპასუხოთ რაც შეიძლება მალე, ძვირფასო გ. ვ. და გამომიგზავნოთ ყოველივე ეს უკან, პირდაპირ ლონდონში (J. Richter, 30. Holford Sg. 30. Pentonville: London W. C.) ამავე მისამართით მომწერეთ.

ჩემი აზრით, ყველაფერს აჯობებს, რომ სწორედ მოწინავეში ითქვას ის, რასაც თქვენ ამბობთ: საქმის არსი ამით მოიგებს («ისკრის» წინააღმდეგ «შეკამათება მოდუნდება»), და შთაბეჭდილების მთლიანობაც გაძლიერდება. თქვენთვის კი ბუნებრივი და ადვილი იქნება განავითაროთ თქვენი სტატია მოწინავედ, ამრიგად, შევცვალოთ მით სტატია «როგორ ვიბრძოლოთ». ეს შეცვლა, ჩემი აზრით, საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლენინი

გაგზავნილია ლოგვიდან (საფრანგეთის ჩრდილო ნაპირი) ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს კრებულში ««შრომის განთავისუფლების» ჯგუფი» № 6

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ნ. კ. კრუპსკაიას

02. 16. VII.

ამასთან გიგზავნი წერილს არკადისადმი.

დღეს მივიღე შენი წერილი, კორექტურა და ფული. Merci.

შვეიცარიაში განზრახული «ყრილობის» გამო[134] საერთოდ რაღაც წყეული არევ-დარევა გამოდის. ეს ვინ (უწინარეს ყოვლისა) განიზრახა «ყრილობა»? ა რ ა ჩ ვ ე ნ. ეს შეთხზა, ალბათ, ბ. ნ-მ, რომელიც მაგრად უნდა დაიტუქსოს თავქარიანობისათვის (გამგზავრება საზღვარგარეთ, ლაყბობა კორენევსკისთან ყრილობის შესახებ და ა. შ.); თუ ეს ჯერ კიდევ არ გიქნია, გეთაყვა. ლ ა ზ ა თ ი ა ნ ა დ დ ა ტ უ ქ ს ე. თვითონ ვაპირებდი, მაგრამ, მგონი, აჯობებს შენ ქნა, თორემ მე ძალიან გაჯავრებული ვარ.

«ყრილობას» ა რ ა ვ ი ნ ა რ ა წ უ ო ბ ს: ყრილობისათვის საჭიროა, რომ ყ ვ ე ლ ა შ ე გ რ ო ვ დ ე ს (ჩვენ კი არკადისა და სონიას[135] შესახებ ზუსტად არაფერი ვიცით). «ყრილობისათვის» საჭიროა ზოგი ვინმე საზღვარგარეთლებიდან (მაგალითად, დიმკა, მოხუცები, იქნებ ალექსანდროვაც და სხვ.), ა მ ა ზ ე კ ი ლ ა პ ა რ ა კ ი ც ა რ ყ ო ფ ი ლ ა. ყრილობისათვის არც არავის მოუმზადებია პროგრამაც კი, და არავინ იცის, თუ რაზე ილაპარაკონ იქ: «ისკრის» რუსულ ორგანიზაციაზე? თვითონ ამ ორგანიზაციის დელეგატების დაუსწრებლად?? ყოველივე ეს ხომ საკვირველად ნაუცბათევი და მოუაზრებელია!!

ლ. გრ. ახლა თვითონაც აყოვნებს ამას «შემოდგომამდე» გეთაყვა, სცადე თვითონაც «გააქარწყლო» ეს აბდა-უბდა «ყრილობის» შესახებ. საჭიროა ახლავე ნახო ლაპოტი: ის შვეიცარიელებსაც ნახავს და თვითონაც მოვა ჩვენთან. კიდევ რა? შემდეგ მზარეული, ეტყობა, კიდევ საჭიროებს სწავლას, — დეე ისწავლოს ციურიხში; ეს ჩინებულია. იქნებ, ის, ისევე როგორც ბ. ნ., კიდევ თვეობით დაჰყოფს საზღვარგარეთ?!? რა საშურია ნახვა? ხოლო როცა წასვლას მოინდომებს, ის თვითონ უნდა მოვიდეს ჩვენთან, და საჭირო არ არის ახლა ვათრიოთ იგი. მერე რა სისულელეს სწერენ ბერგს ბ. ნ. და ვ. ვ.: «არ შეიძლება ლაპარაკი, თუ პ. ბ. არ იქნა. ვისთან? მზარეულთან — ის პ. ბ.-თანაა. სამ პირთან — ისინი პ. ბ.-თან არიან. ლაპოტთან — ის პ. ბ.-თან იქნება. ურჩიე ბერგს ლაზათიანად გამოლანძღოს ვ. ვ. და ბ. ნ. ამ სისულელისათვის და მომწერე, რა აზრისაა ბერგი, და არის თუ არა იმედი, რომ ის მათ ისე უპასუხებს, ახირების ხალისი დააკარგვინოს. მერე თვითონ პ. ბ. იყო მიუნხენში, — ჩამოვა ლონდონშიც. ვ. ვ.-ს ჩამოსვლა რომ აუცილებელი **(იქნება)**, ამაში არავინ ეჭვობს.

მე მივწერე გ. ვ-ს, რომ «ყრილობის» შესახებ არა ვიცი რა. ხოლო საქმიანი **შეხვედრა** (ლაპოტთან და მისთ.) აუცილებელია ლონდონში, სადაც, ცხადია, ისიც იქნება-მეთქი. თუ საჭიროა, კიდევ მივწერ.

სცადე ყოველნაირად დააწვე ლ. გრ.-ს, რათა გადააჯერო იგი: მას ნათლად არა აქვს წარმოდგენილი, ვისგან, რისთვის და როგორ იქნება ეს ყრილობა.

შენი...

კორექტურის დაბრუნება, ვფიქრობ, საჭირო არ არის? N'est-ce pas*?

განა ვ. ი.-ის სტატია აწყობილი არ არის?

---

* — ხომ მართალია? რედ.

|| გეთაყვა, არ დაივიწყო: ჩემს აგრარულ საკითხში არის
|| ციტატი ბულგაკოვიდან: ტ.? გვ.? ასე არ შეიძლება დავ-
ტოვო, და თუ უფრო ადრე არ ჩამოვალ და კორექტურასაც ვერ ვნახავ, მაშინ ამოშალე არა მთელი შენიშვნა, არამედ მხოლოდ ეს სიტყვები: «ტ. — გვ. — »[136].

გაგზავნილია ლოგვიდან (საფრანგეთის ჩრდილო ნაპირი) ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1928 წ. ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

Ი. Ი. რადჩენკოს

წერილი არკადისადმი

ძვირფასო მეგობარო! წავიკითხე კიდევ თქვენი 6 ივნისის* გრძელი წერილი, და მინდა ზოგი რამ დავუმატო ჩემს წინანდელ წერილს[137] სწორედ ძალიან გამახარა თქვენმა ცნობამ მუშებთან საუბრის შესახებ. ჩვენ მეტისმეტად იშვიათად მოგვდის ისეთი წერილები, რომლებიც მართლაც დიდ მხნეობას გვმატებენ. გადაეცით ეს უეჭველად თქვენს მუშებს და გადაეცით მათ ჩვენი თხოვნა, რომ მათ თვითონაც მოგვწერონ ხოლმე **არა მარტო დასაბეჭდად,** არამედ ისე, აზრების ურთიერთ გასაზიარებლად, რათა ერთმანეთთან კავშირი და ურთიერთგაგება არ დავკარგოთ. ამასთან მე პირადად განსაკუთრებით მაინტერესებს, თუ როგორ მოეკიდებიან მუშები «რა ვაკეთოთ»?-ს, ვინაიდან ჯერ კიდევ არ ვიცი, როგორ გამოეხმაურნენ მუშები.

მაშ, დააკავშირეთ უშუალოდ ჩვენთან თქვენი მუშების წრე, აგრეთვე მანიაც[138]: ეს მეტად მნიშვნელოვანია და ძალიან განამტკიცებს მათ დაახლოებასაც «ისკრასთან», თქვენს პოზიციასაც მათთან. მერე, თუ მანიას წინამძღოლებიდან მართლაც არიან ნიჭიერი ადამიანები, კარგი იქნება, რომ ერთი მათგანი ჩამოვიდეს ჩვენთან: მიაწოდეთ მათ ეს აზრი და მოელაპარაკეთ, თუ როგორ უყურებენ ისინი ამას.

შემდეგ, კიდევ სამი პუნქტი:

---

* — 19 ივნისისა ახ. სტ. რედ.

1) თუ ვანია[139] ჩვენია, მაშინ როგორ უნდა განსაზღვროთ თქვენი დამოკიდებულება მისდამი? როგორ ფიქრობთ? იქნებ, თუ ვანია და მანია ს ა ვ ს ე ბ ი თ ჩვენებია (და თუ ისინი გამოუშვებენ განცხადებას, რომელზეც მე ვწერდი, — ეს მეტისმეტად მნიშვნელოვანია), — მაშინ მათ შეეძლოთ მიეღეთ თქვენ თავიანთ ცენტრალურ კომიტეტში[140] და, გ ა რ დ ა ა მ ი ს ა, ფორმალურად დაემტკიცებინეთ სპეციალურად გამაერთიანებელი საერთო-რუსული მუშაობის ფუნქციის შესასრულებლად? (ე. ი. «ცენტრალური კომიტეტი ავალებს NN. თავის წევრს და «ისკრის» რუსული ორგანიზაციის წევრს, რა ორგანიზაციასთანაც ცენტრალური კომიტეტი სავსებით სოლიდარულია, ავალებს ამ NN განაგოს «ისკრის» სულისკვეთებით პარტიული გაერთიანების მომზადების საქმეები»).

იქნებ, შესაძლებელია ეს შეიცვალოს ასე (მე, რა თქმა უნდა, ყველაფერს მხოლოდ და მხ'ოლოდ ვარაუდით ვსახავ): «სპბ კომიტეტის ცენტრალური კომიტეტი, გამოთქვამს რა თავის სრულ სოლიდარობას «ისკრის» რუსულ ორგანიზაციასთან, კმაყოფილებით იღებს კომიტეტის შემადგენლობაში, მისი საერთო თანხმობით, პირთა ჯგუფს, რომელნიც ამ ორგანიზაციას ეკუთვნიან და სპეციალურად «ისკრის» გადაზიდვაზე და მ თ ე ლ რ უ ს ე თ შ ი მის გავრცელებაზე მუშაობენ. ცენტრალური კომიტეტი ამ ჯგუფის დასახმარებლად მიავლენს ამა და ამ წევრებს და გადადებს ასეთ და ასეთ საჯსრებს, ამასთან ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი (არკადი) შედის სპბ კომიტეტის ცენტრალურ კომიტეტში, რჩება რა «ისკრის» რუსული ორგანიზაციის წევრად, და თავის სპეციალურ გამგებლობაში იღებს «ისკრის» სულისკვეთებით საერთო-პარტიული გაერთიანების მომზადებას». ჯგუფად მე ვგულისხმობ იმ პირებს, რომლებიც თქვენ გაგზავნეთ თეეზისათვის[141] და სხვ. ერთხელ კიდევ ვიმეორებ: მე მხოლოდ ვსახავ სხვადასხვა მისაღებ და შესაძლებელ ვარაუდებს და ამით ვასრულებ თქვენს თხოვნას — მოგცეთ «გეგმის კონკრეტული მონახაზი», და განდობთ თქვენი შეხედულებისამებრ ისარგებ-

ლოთ ასე თუ ისე ჩემი ვარაუდით. უსათუოდ მომწერეთ, თუ როგორაა ახლა საქმეები და რა მიმართულებით მიუძღვებით მათ. სანამ თორნე ცხელია, პური მანამდე ჩააკარით, და გახსოვდეთ, რომ «კამერტონის» (=სპბ. კომიტეტის=ვანიას) საბოლოოდ და სამუდამოდ დაპყრობის გეგმის გამო ჩვენ რაც შეიძლება უფრო დეტალურად უნდა შევუთანხმდეთ ერთმანეთს. და თქვენ გველივით ბრძენი უნდა იყოთ თქვენს ახალგაზრდა მეგობრებთან!

თუ ეს შესაძლებელია, ყოველივეს აჯობებდა. მაშინ თქვენ იქნებოდით ორგანიზაციულ კომიტეტში (საშას[142] მოსამზადებლად) ვანიას დელეგატად, ხოლო სონიასაგან კიდევ ერთი პირი იქნებოდა ჩვენგანი. რაც შეიძლება მალე მოიწერეთ, თუ როგორ უყურებთ ამ საკითხს? ე ლ ა პ ა რ ა კ ე თ თ უ ა რ ა მასზე ვანიას და მ ა ნ ი ა ს.

2) რუსული ორგანიზაციული კომიტეტი უსათუოდ თქვენ უნდა შექმნათ და თვითონ აიღოთ ხელთ: თქვენ ვანიასაგან, კლერი სონიასაგან და + კიდევ ერთი ჩვენგანი სამხრეთიდან — ეი იდეალი. ბუნდთან მეტად ფრთხილად და თავდაჭერილად იყავით, თქვენს ზრახვებს ნუ გაუმჟღავნებთ, დაუთმეთ განაგოს ბუნდის საქმეები და ც ხ ვ ი რ ს ნუ ჩ ა ა ყ ო ფ ი ნ ე ბ თ რუსულ საქმეებში: გახსოვდეთ, რომ ეს არასაიმედო მეგობარია **(შეიძლება მტერიც კი იყოს).**

3) ყველას და ყოველგან განუმარტეთ, რომ ეს ჭორია, თითქოს «ისკრის» რედაქციას სურდეს თვითონ გახდეს რუსული პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ეს სისულელეა. ცენტრალური კომიტეტი შეიძლება იყოს მხოლოდ მოქმედების ველზე, და ჩვენ ვოცნებობთ, რომ იგი გაიზარდოს ორგანიზაციული კომიტეტისაგან და მუშა-რევოლუციონერებისაგან. «ისკრის» რედაქციის დამოკიდებულება კი ცენტრალური კომიტეტისადმი განისაზღვრება ფუნქციების განაწილების საწყისით (იდეური ხელმძღვანელობა და პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა), ამასთან გაერთიანებისათვის საჭირო იქნებოდა რეგულარული ყრილობები და, შესაძლოა, ცენტრალური კომიტეტის 5 (ვთქვათ) წევრისაგან ერთის მუდმივი მოვლინება

აქ. ამ ჭორს ავრცელებს «ბორბა» და იგი უნდა ვამხილოთ. ჩვენ არ გვსურს პრესის საშუალებით ვუპასუხოთ ამ არამზადებს: აჯობებს «ისკრის» დუმილით დავსაჯოთ ისინი.

იქნებ, ვანიას ეჭვებიც (რაზედაც თქვენ იწერებოდით) იმით აიხსნება, რომ ეს მას ბუნდოვნად წარმოუდგენია? მიაღწიეთ გაგების სრულ სიცხადეს ვანიასგანაც და კიდევ უფრო მ ა ნ ი ა ს ა გ ა ნ.

მაგრად გარეთმევთ ხელს და ყველაზე მეტად გისურვებთ გამძლეობას.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

[P. S. თუ ვანია განიზრახავს მოითხოვოს, რომ ზუსტად გაფორმდეს ურთიერთობა მასსა და მანიას შორის, მის წევრებსა და პიტერის ცენტრალურ კომიტეტში შემავალ მანიას წევრებს შორის, — ეს, ვფიქრობ, უმჯობესია გ ა დ ა ი დ ო ს აქ შეხვედრამდე და პ ი რ დ ა პ ი რ ეთქვას ვანიას: «ორში ერთი — ან ჩვენ მართლაც სოლიდარულნი ვართ, — მაშინ საერთო მუშაობისას ჩვენ ერთ თვეში იმდენად შევეწყობით ერთმანეთს, რომ ჩვენ გაუგებრობის სულ მცირედი ნასახიც არ დაგვრჩება, ვინაიდან ჩვენ ყველანი ისკრელები ვიქნებით. ან უთანხმოება გამოაშკარავდება, — მაშინ ჩვენ პატიოსნად დავშორდებით ერთმანეთს. აურზაურის ისევ ატეხა კი ხელშეკრულებათა წერით და სხვა ჩვენ არ გვსურს!» თქვენი 6 ივნისის წერილიდან ვხედავ, რომ თქვენ ამგვარად გიპასუხნიათ მათთვის თავიდანვე, და, რასაკვირველია, ჩინებულად მოქცეულხართ.]

დაწერილია 1902 წ. 16 ივლისს
გაგზავნილია ლოგივიდან (საფრანგეთის ჩრდილო ნაპირი) პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1924 წ. ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 3

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ა. მ. კალმიკოვას

02. 27. IX.

თქვენი წერილი მივიღე. დიდი მადლობა ვრცელი პასუხისათვის. ვიკონტის ჩამოსვლამდე მე, თქვენი სურვილის თანახმად, არც დავაყენებ საერთო საკითხს ფინანსების შესახებ, არც ვაცნობებ თქვენს წერილს თუ არა ზოგადად: ე. ი. არც იმას, თუ როგორ განსაზღვრავთ თქვენ «მფლობელთა» შემადგენლობას, არც იმას, თუ სახელდობრ რა თანხას ასახელებთ, არც იმას, თუ როდის შეგიძლიათ იგი გასცეთ (დაუყოვნებლივ მთელი თანხა თუ ნაწილ-ნაწილ). ვიკონტთან ჩვენ სულერთია გვექნება vertraulíche * საუბრები ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხზე, — და ამიტომ აჯობებს უწინარეს ყოვლისა მას ვუჩვენო თქვენი წერილი და მასთან ერთად ვადავწყვიტო, ასე ვთქვათ, რა ფარგლებში მოხდეს ამ წერილის შინაარსის შემდგომი გამჟღავნება.

მე პირადად იმ აზრისა ვიქნებოდი, რომ სჯობია ჯერჯეროობით არავის არ გავუმხილოთ მთელი თანხა (ვიქონიოთ იგი ჩვენთვის), აგრეთვე სრულიად არავის ვაცნობოთ მთელი თანხის ერთბაშად მიღების შესაძლებლობა, ვინაიდან ახლა «შესაძლებელ» წამოწყებათა «შესაძლებელი» ხარჯები აუარეზელია. გამოქცევათა სიმრავლე «ისკრის» «განკარგულებაში» აქცევს უამრავ ხალხს ყველა იმათ შენახვის პირობით, მაგრამ თუ ამას ფართოდ, მსუბუქად და მოუაზ-

* — კონფიდენციალური. რედ.

რებლად მოვკიდეთ ხელი, მაშინ ჩვენ ½ — 1 წლის შემდეგ «ხელცარიელი» დავრჩებით. ამავე დროს კი, თუ «უფრო ხელ-მოჭერილი» ვიქნებით, პერიფერიულ წამოწყებათა საკმაოდ დიდი რიცხვი «თავისი სახსრებით გაძლებს». ამის გამო უმ-ჯობესია საქმე ძველებურად დავაყენოთ (ე. ი. საქ-მის ყველა მონაწილის წინაშე ასე ვილაპარაკოთ): თქვენ შეგიძლიათ კიდევ საკმაოდ ბევრი მისცეთ, ვთქვათ, «10 ათასზე მეტი», მაგრამ ჯერ-ერთი, არა ერთბაშად, მეო-რეც, გსურთ მისცეთ მხოლოდ უკიდურესი გაჭირვებისას და ურჩევთ თვითონ გამონახონ მიმდინარე ხარჯების რეგუ-ლარული წყაროები. ვიმეორებ, ეს ჯერჯერობით ჩემი პირადი აზრია, ხოლო თუ რა აზრისაა ვიკონტი, ჯერ კიდევ არ ვიცი. ვიკონტთან ერთად ჩვენ აქ გვინდოდა დაგვესვა საკითხი ფუნ-ქციების «შეთანხმებული», «მეგობრული» გამიჯვნისა იმ ვა-რაუდით, რომ, ბოლოს, სჯობია ვისარგებლოთ მშვიდობით მტკიცე modus vivendi* შესაქმნელად, ვიდრე ისევ გადავ-დოთ «შემთხვევით» კონფლიქტამდე. მაგრამ შევძლებთ თუ არა, გადავწყვეტთ თუ არა ასე, მოხერხებული იქნება თუ არა საკითხის დასმა, — ყოველივე ეს ჯერჯერობით არ ვიცით.

ახლა ძალიან გვიჭირს ფულის მხრივ, ამავე დროს გვაქვს გადაუდებელი ხარჯები. ამიტომ გამოგვიგზავნეთ, გეთა-ყვა, შეძლებისამებრ და დაუყოვნებლივ 2.000 მარკა: რაც აქედან შეგიძლიათ — ახლა, რაც კი გამოსაწერია, — მალე (და მაცნობეთ, როდის მოვა). მაგრამ უნდა გამოწეროთ უკვე, ჩემის აზრით, რაც შეიძლება მეტი: გამოწერეთ 3 ათასი **მანეთი.** და იქონიეთ თან, რომ შეიძლებოდეს მალე მივიღოთ ხოლმე თქვენგან. სხვაგვარად ჩვენ პირდაპირ თავს ვერ დავი-ძვრენთ: ჩვენ ისედაც გვმართებს 150 მან., შემდეგ კვირასაც ვერ გადავიხდით 50 მანეთს. გამგზავრებაზე (რაც აუცილე-ბელია) საჭიროა 300-მდე მან., აქაურებისათვის — მალე 200 მანეთამდე და ა. შ. რაც შეიძლება მალე მოიწერეთ, რა ჰქე-ნით, როდის და რამდენს მიიღებთ.

* — შეგუების წესი. რედ.

ბროკს გადავცემ. ჩვენთან ბევრი ხალხია და მეტისმეტი ვიწროობაა. კიდევ ბევრნი ჩამოვლენ ამ დღეებში!

თქვენი ჩამოსვლის გეგმებზე არაფერს იწერებით, თქვენს ჯანმრთელობაზე ძალიან გაურკვევლად ამბობთ: ცუდად ვგრძნობო თავს, ესა და ეს, მაგრამ რატომ და როგორ? მადარდებს კიდევ, რომ შინიდან ცნობები არ მომსვლია.

აბა, კარგად იყავით.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ლონდონიდან დრეზდენში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ნიჟნინოვგოროდელი მუშების მიერ გასამართლებაზე წარმოთქმული სიტყვების წინასიტყვაობა [143]

ნიჟნინოვგოროდელი მუშები გასამართლებაზე

ვბეჭდავთ ნიჟნინოვგოროდელი მუშების სიტყვებს ლითოგრაფირებული ფურცლიდან, რომელიც გამოსცა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ნიჟნინოვგოროდის კომიტეტმა. ამ სიტყვებს რომ რაიმე დაუმატო, ეს ნიშნავს მხოლოდ შეასუსტო ის შთაბეჭდილება, რასაც ახდენს ეს ალალმართალი მოთხრობა მუშათა გაჭირვებაზე, მათ შორის აღშფოთებისა და ბრძოლისათვის მზადყოფნის ზრდაზე. ჩვენი მოვალეობაა ახლა — მთელი ღონე ვიხმაროთ, რათა ეს სიტყვები ათეულათასობით რუსმა მუშამ წაიკითხოს. ზალომოვის, ბიკოვის, სამილინის, მიხაილოვის და მათი ამხანაგების მაგალითი, რომლებმაც გმირულად დაიცვეს გასამართლებაზე თავიანთი საბრძოლო ყიჟინა: «ძირს თვითმპყრობელობა!» აღაფრთოვანებს რუსეთის მთელ მუშათა კლასს ასეთივე გმირული და გადამწყვეტი ბრძოლის გასაჩაღებლად მთელი ხალხის თავისუფლებისათვის, ნათელი სოციალისტური მომავლისაკენ განუხრელი მუშური მოძრაობის თავისუფლებისათვის!

დაწერილია 1902 წ. 1 (14) დეკემბრამდე

დაიბეჭდა გაზეთ «ისკრაში» № 29, 1902 წ. 1 დეკემბერი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გ. ვ. პლეხანოვს

02. 1 XII

ძვირფასო გიორგი ვალენტინის-ძევ! მე უკვე მინდოდა შეგკითხოდით, რა მიზეზია რომ სდუმხართ-მეთქი, როცა თქვენი წერილი მივიღე. დავალებებს შევასრულებთ.

რატომ სდუმხართ (1) «ისკრისათვის» თემის შესახებაც და (2) ტარასოვზე ფელეტონის შესახებაც[144] განა არ მიგიღიათ ჩემი წერილი ბერნიდან? თუ კაცი ხარ, გვიპასუხეთ რაც შეიძლება მალე. აპირებთ თუ არა დაწეროთ «ისკრისათვის» მოწინავე ასეთ თუ დაახლოებით ასეთ თემაზე? [რაც შეიძლება მალე, იმიტომ, რომ № 28 უკვე მზად არის და დაიწყო № 29-ის აწყობა. № 28-ში მოთავსებულია ვერა ივანეს-ასულის მოწინავე წერილი სოც.-რევოლუციონერების წინააღმდეგ. რომ ისინი ამახინჯებენ ისტორიას, როცა იგონებენ, თითქოს «ნაროდნაია ვოლიას» დროს არ ყოფილიყოს პოლიტიკოსთა შეურაცხყოფა etc. სათაური: «Le mort saisit le vif» *.]

როგორ მიდის თქვენი კამათი «ვლადიმიროვთან»? თქვენი რეფერატი? როგორაა ლალაიანცისა და სხვათა წრეების საქმე? «ეიზნელები»[145] რას შვრებიან?

გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

ჰო! კინაღამ დამავიწყდა, რომ ლევ**

ამასთან დართული წერილი გთხოვთ გაგზავნოთ ქალაქის ფოსტით.

გაგზავნილია ლონდონიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1956 წელს ჟურნალში «კომმუნისტი» № 16

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — «მკვდარი ცოცხალს ებღაუჭება». რ ე დ

** — ფრაზა აქ წყდება. რ ე დ.

1903 წ.

ფ. ვ. ლენგნიკს

კურცს

23. 17. I

გუშინ მივიღეთ «კიევსკი ს.-დ. ლისტოკ» № 1, 30 **ნოემბრისა** (sic! *) გარეშე კაცის მეშვეობით. ეს პირდაპირ სკანდალია. რომ ჩვენი ისკრელები ყოველთვის უკან მიჩანჩალებენ! რატომ არ გამოგზავნა ზარინმა ეს ფურცელი თავის დროზე? ოატომ ერთი სიტყვაც კი არ მოიწერა მან ამ წამოწყების შესახებ? ვთხოვთ ზარინს ღვთის გულისათვის დაგვაკავშიროს ჩვენ უშუალოდ კომიტეტის რომელიმე წევრთან. ისეთ აკურატულ, მოძრავ ადამიანთან, რომელსაც ეცოდინება ყველაფერი, რაც ხდება. თვითეული ფურცელი (ვისიც არ უნდა იყოს) მაშინვე გამოიგზავნოს ორი სხვადასხვა მისამართით ორ ცალად, ერთი კონვერტით, მეორე — რუსულ გაზეთში შეხვეული. შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა დაგვაკავშიროთ **ვაკართან**. ჩვენ ძალიან ვშიშობთ, რომ კიეველ ისკრელებს მათი უმოქმედობისა და ჭვრეტითი დამოკიდებულების გამო პიტერის ბედი ეწევა. ლიტერატურის მიღებისა და გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს შესახებაც (NB) აგრეთვე არც ერთი სიტყვა!! საშველი არაა!

გაგზავნილია ლონდონიდან კიევში

პირველად დაიბეჭდა 1928 წ.
ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — ასი! რ ...

ე. დ. სტასოვას

რატომ არ პასუხობთ «რაბოჩაია მისლის» № 16-ის გამო, რომელიც გამოცემულია ჟენევაში, ალბათ, ნადეჟდინის მიერ? ნუთუ ამასაც უპროტესტოდ დატოვებთ[146]?? რა სკანდალია, რომ «რაბოჩაია მისლის» ფურცელი № 1 დასწვეს[147]: მასში, რა თქმა უნდა, ზოგი რამ უნდა შესწორებულიყო და საკმაოდაც, მაგრამ რატომ არ შეასწორეს? ეს წარმოუდგენელია, თუ რა ხდება თქვენთან! რატომაა დაკავებული ნაბეჭდი ფურცელი ბეჭდვითი სიტყვის 200 წლისთავის შესახებ[148]? დაუყოვნებლივ გვიგზავნეთ თვითეული ფურცელი, თქვენიც და სხვისიც, მუშათა და სტუდენტთა, უკლებლივ ყველა, წარწერებით, შეიძლება თუ არა ციტირება და იყო თუ არა გავრცელებული, — თვითეული ორ ცალად და ორი მისამართით, ან პირდაპირ კონვერტებით ანდა ლეგალურ გაზეთში შეხვეული. გვიგზავნეთ ბანდეროლით, ოღონდ მაგარი ბანდეროლით გარდიგარდმო.

რატომ არ გზავნით «ისკრაში» სპბ კომიტეტის ანგარიშებს თქვენ მიერ ფულის შეგროვების შესახებ? აუცილებლად გვიგზავნეთ. ძალიან გვესაჭიროება მუშათა კორესპონდენციები პიტერიდან: იშოვეთ ისინი ღვთის გულისათვის უფრო გულმოდგინედ, განსაკუთრებით უმუშევრობის შესახებ, შემდეგ, იმ შთაბეჭდილების შესახებ, რასაც ლიტერატურა ახდენს.

«რაბოჩაია მისლის» ფურცელი № 1 გაასწორეთ, თან უფრო თავდაჭერილად და საქმიანად დაწერეთ: უეჭველად გა-

მოეცით კომიტეტის შიგნით მომხდარი გათიშვის ისტორია. ნადეჟდინის «რაბოჩაია მისლი» არც შ ე ი ძ ლ ე ბ ა, გაიგეთ: ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა საჯარო პროტესტის განუცხადებლად დატოვოთ.

დაწერილია 1903 წ. 28 იანვარს
გაგზავნილია ლონდონიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1928 წ.
ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

Გ. Მ. კრჟიჟანოვსკისა და ვ. ა. ნოსკოვს

კლერსა და ბორისს მოხუცისაგან

ძვირფასო მეგობრებო! კურცი გწერთ თქვენ გუშინდელი კრების შესახებ [149]. არავითარი, სრულიად არავითარი იმედი. რომ მშვიდობა გვექნება, აღარ არის. ვერ წარმოიდგენთ იმ უმსგავსოებათა მეათედ წილსაც კი, რომლებამდის მივიდნენ აქ მარტოველები: ისინი შხამავენ მთელ საზღვარგარეთს ჭორით, ხელთ იგდებენ კავშირურთიერთობას, ფ ულ ს, ლიტერატურულ მასალებს და სხვ. ომი გამოცხადებულია, და ისინი (ლუბა, კოსტია, ერემა) უკვე მიდიან საომრად რუსეთში. ემზადეთ ფრიად ლეგალური, მაგრამ გააფთრებული ბრძოლისათვის. უსათუოდ საჭიროა ჩვენი ადამიანებით დავიკავოთ ადგილები ყ ვ ე ლ ა კომიტეტში უკლებლივ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ხარკოვს, ეკატერინოსლავსა და როსტოვს. მართალია, რომ კიევის კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია მეუმცირესეთა სასარგებლოდ? შესაძლებელია ეს? ჩვენ უფრო ადრე რატომ არ გავიგეთ?

მე ძალიან, ძალიან გირჩევთ კოოპტაციის წესით მოიწვიოთ კონიაგა და იგნატი. პირველს თქვენ მალე ნახავთ და გაიცნობთ. მეორეზე კი ვიტყვი: ომის დროს, ღმერთმანი, ის სასარგებლო და აუცილებელია; დაგიჯერებთ იგი სავსებით; შეუფერებელი ფუნქციები შეიძლება მას თავიდან აარიდოთ. მის შესახებ აქ ბევრი ფუჭი ჭორი დადის; საშიში არ არის, ვაი თუ კოოპტაციის წესით მან ვინმე ოხერი მოიწვიოსო, ვინაიდან კურცი აქ დარჩება, და ჩვენ მას მოვუვლით. ვიმეორებ: ძალიან გირ-

ჩვენთ აიყვანოთ იგნატი, მაგრამ იგულისხმება, ეს მთლიანად თქვენი საქმეა, და მე იგნატს გამოვართვი საზეიმო დაპირება ყველაფერში დაუჯეროს უფროსებს (ამასთან გამოვუტყდი, მზათ უნდა იყოთ იმისთვისაც, რომ კოოპტაციით არ მოგიწვიონ მეთქი).

ღვთის გულისათვის, წესიერად დააყენეთ ბიურო, რომ ჩვენ ყოველკვირეულად გვქონდეს თქვენგან წერილები. კიდევ უფრო გულმოდგინედ გთხოვთ გადაიყვანოთ ბრუტი არალეგალურ მდგომარეობაზე: არ ღირს ტყუილუბრალოდ დაღუპვა. დეე შემოიაროს ყველა და ყოველგან 2—3 თვეში, შემდეგ კი გამოემგზავროს აქეთ კურცის შესაცვლელად. მერწმუნეთ, ეს ნაბიჯი აუცილებელია. ვნახე ლებედევი. რუბენიც აქაა.

გურევიჩი და ხინჩუკი მარტოველები არიან.

დააჩქარეთ პასუხი საბჭოს შესახებ: საჭიროა ფორმალურად დაინიშნოს ახლავე კიდევ ერთი წევრი თქვენგან და მან თავისი ხმა კურცს გადასცეს. თუ კაცი ხარ, ნუ დააყოვნებთ.

დაწერილია 1903 წ. 5 ოქტომბერს
გაგზავნილია ჟენევიდან კიევში

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს
ლენინის კრებულში VI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

თ. ი. დანს

პასუხის პირი
პოტრესოვის მისამართით (დანისათვის)

03. 2. XII.

პატივცემულო ამხანაგო! ჩემსა და მარტოვს შორის პირადი კონფლიქტის აცილება შეიძლებოდა დადასტურებულიყო ლიგის ყრილობის ოქმების დამატებაში[159] მე, ჩემი მხრივ, რა თქმა უნდა, მხოლოდ მოხარული ვიქნებოდი ამისა. მაგრამ არავის აქვს არც ფორმალური და არც მორალური უფლება შეამოკლოს რაიმე ყრილობის ოქმებში, ამოშალოს რაიმე იმის აღწერიდან, რაც იყო.

ამხანაგური სალამით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929
ლენინის კრებულში X

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1904 წ.

ცენტრალური კომიტეტის სამხრეთის ბიუროს

ოდესაში

ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წევრისა და საბჭოს წევრისაგან, ლენინისაგან

ამხანაგებო! ჩვენ კერძო წესით გვაუწყებენ, რომ ნიკოლაევის კომიტეტის უმრავლესობას ბრალად ედება უმართებულო ბოიკოტი[151] ძალიან მინდა ჩემთვის გამოვარკვიო თუ როგორ იყო საქმე. კეთილი ინებეთ, მიპასუხეთ დაუყოვნებლივ თვითონ (და თხოვეთ ნიკოლაევის კომიტეტში ახლა მყოფ ამხანაგებსაც მიპასუხონ აგრეთვე დაუყოვნებლივ, ამასთან გადაუგზავნეთ მათ ჩემი ეს წერილი), მიპასუხეთ შემდეგ კითხვებზე:

1) სახელდობრ ვინ იყო ნიკოლაევის კომიტეტის წევრი 8—9 მარტის ჩავარდნამდე? აუცილებელია კონსპირაციული კვარების სრული ჩამოთვლა. სულ რამდენი წევრი იყო? რამდენი მეუმცირესე და რამდენი მეუმრავლესე?

2) ნიკოლაევის კომიტეტის ყველა წევრი ჩავარდა თუ არა 8—9 მარტს? თუ ყველა არა, რამდენი დარჩა? რამდენი მეუმრავლესე, რამდენი მეუმცირესე?

3) ხომ არ ყოფილა ნიკოლაევის კომიტეტის ფორმალური დადგენილება (8—9 მარტის ჩავარდნამდე) კანდიდატების დაიშვნის შესახებ? თუ კი, მაშინ როდის იყო იგი მიღებული და სახელდობრ რამდენი, სახელდობრ რა კანდიდატები დაიშვნა?

4) იყო თუ არა ჩავარდნები ნიკოლაევის კომიტეტში 8—9 მარტის შემდეგ? როგორ ცვლიდა ნიკოლაევის კომიტეტის შემადგენლობას თვითეული ამ ჩავარდნათაგანი?

5) ხომ არ იყვნენ ამხანაგები ს. და ო. (უმცირესობის წევრები, რომლებთანაც კონფლიქტი მოხდა) ნიკოლაევის კომიტეტის წევრები ჩავარდნამდე? ხომ არ მუშაობდნენ ისინი წინათ ნიკოლაევში? თუ მუშაობდნენ, როდის, რამდენ ხანს და რა თანამდებობებზე, რომელ ჯგუფში, რა საქმეზე და სხვა? სახელდობრ როდის მოვიდნენ ს. და ო. ნიკოლაევში?

6) სრული ჩავარდნის დროიდან (8—9 მარტი) რამდენთვის შემდეგ ჩამოვიდა ნიკოლაევში ამხანაგი ნ.?

7) რა უფლება ჰქონდა ამხანაგ ნ.-ს გამოეცხადებინა ამხანაგები ს. და ო. ნიკოლაევის კომიტეტის წევრებად ისე, რომ ნიკოლაევის კომიტეტის წევრების ამხანაგების ვ. და ა. თანხმობა არ მიუღია და მათთვის არ დაუკითხავს.?

8) ხომ არ განუცხადებიათ ამხანაგებს ს. და ო. რაიმე პრეტენზიები, რომ ისინი სრულიად დაუნიშნავად და სრულიად უკოოპტაციოდ არიან ნიკოლაევის კომიტეტის წევრები? თუ განაცხადეს, დაწვრილებით მოგვიყევით, რა საბუთით?

9) რა კავშირურთიერთობა უნდა გადაეცათ ამხანაგების ვ., ნ. და ა.-თვის ამხანაგებს ს. და ო.-ს? საიდან ჰქონდათ კავშირურთიერთობა ამხანაგებს ს. და ო.? ვინ და როდის მისცა ეს მათ?

10) რატომ არ ცნობდნენ ს. და ო. ამხანავებს ვ. და კომიტეტად?

11) ნიკოლაევის კომიტეტის რა ოფიციალური დაწესებულებანი არსებობდა 8—9 მარტის ჩავარდნის მომენტში? ე. ი. სახელდობრ რა ჯგუფები აგიტატორთა? ორგანიზატორთა? პროპაგანდისტთა? და ა. შ.? რამდენია ასეთი ჯგუფი? ჩამოთვალეთ უსათუოდ ყველა და აღნიშნეთ, რამდენი წევრი იყო თვითეულ ჯგუფში? რამდენი მეუმცირესე და რამდენი მეუმრავლესე?

12) როდის შეიქმნა აგიტატორთა ჯგუფი, რომლის 10 წევრისაგან შემდგარმა კრებამ 20 აპრილს მიიღო რეზოლუცია

უმრავლესობის სასარგებლოდ? ჩავარდნამდე თუ ჩავარდნის შემდეგ? იცვლებოდა თუ არა მისი შემადგენლობა ჩავარდნის შემდეგ და სახელდობრ როგორ იცვლებოდა? ხომ არ ჰქონდა ამ ჯგუფს (ან სხვა ჯგუფებს) ფორმალური ან ჩუმად აღიარებული უფლება წამოეყენებინათ ადგილობრივი კომიტეტის წევრობის კანდიდატები?

13) ხომ არ იცით თქვენ, საიდან და ვისი დახმარებით ფულით და სხვ.) იყვნენ გამოგზავნილნი ს. და ო.?

დაწერილია 1904 წ. მაისის დამლევს ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წ. ლენინის კრებულში XV

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს

04. 26. 7

ძვირფასო ვლადიმერ დიმიტრის-ძევ! გმადლობთ თქვენი 04 23. 7 წერილისათვის საქმეებზე [152]. გიპასუხებთ რიგ-რიგად

საერთო პოლიტიკის შესახებ მე წინანდებურად მომხრე ვარ შეიარაღებული ზავისა, პროტესტებით უკანდახევისა (როგორც ჩვენ ნინო ლევის ასულთან ვლაპარაკობდით, თქვენი და მარტინ ნიკოლოზის-ძის დასწრებით), ერთი სიტყვით, ძველი ტაქტიკისა. გავაპროტესტოთ ყოველგვარი დარღვევა, გამოვაქვეყნოთ, აგიტაცია გავწიოთ, ამასთან საბაბი არ შევუქმნათ მათთვის სასურველ coup d'état-ს * ცალკეულ ღონისძიებათა კერძო მხარეები თქვენთვის ადგილობრივ უფრო გასაგებია.

ცენტრალური კომიტეტის აგენტებს რომ ქაღალდი არ მისცეს, ამაში პირდაპირ ბ რ ა ლ ი მიუძღვის ბორისს, რომელიც უკანასკნელი წავიდა [153]. მე უკვე მივწერე მარტინ ნიკოლოზის-ძეს, რომ გირჩევთ გ ა ნ უ მ ა რ ტ ო თ ცენტრალური ორგანოს რედაქციას, უ ა ზ რ ო ა ქაღალდების მოთხოვნა: ბორისს ორჯერ მივწერეთ-თქო. ა რ ი ს მ ი ს ი დ ა პ ა ტ ი მ რ ე ბ ი ს ც ნ ო ბ ა, ნუთუ ½ წლის შემდეგ უნდა ველოდოთ პასუხს რუსეთიდან?? განაცხადეთ პროტესტი, — ხოლო de facto** თქვენვე გააკეთებთ ხოლმე ყველაფერს.

---

* — გადატრიალებას. რ ე დ.

ნამდვილად. ფაქტიურად. რ ე დ.

ფინანსების გამო ცოტათი ვშიშობ, რომ ჩვენ ტყუილად მოვკიდეთ ხელი ბიბლიოთეკას: ქონში ცურვა კი არა — ცოცხალნი დავრჩეთ. გახსოვთ, მე ამას გეუბნებოდით? ხოლო 300 frs * გაქრა!! ოჰ, ფრთხილად, ნუ გაგიტაცებთ, ღვთის გულისათვის, ბიბლიოთეკა [154], იფიქრეთ მ თ ე ლ ზ ე.

იგნატს ჩემგან დიდი სალამი. როგორ გრძნობს თავს?

ძალიან ვშიშობ ნინო ლევის ასულის გამო. მაშინვე მომწერეთ, თუ რამეს შეიტყობთ?

პასუხი პლეხანოვს, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა გამოვცეთ (ბ რ ო შ ურ ა დ, და არა ფურცლად, მცირე წინასიტყვაობით), თუ ცენტრალური ორგანო ყველა პროტესტის შემდეგ არ დაბეჭდავს. და ეს ა რ დ ა ა გ ვ ი ა ნ ო თ, თორემ ინტერესს დაკარგავს [155].

მაგრად გართმევთ ხელს და სალამს ვუთვლი ვერა მიხეილის ასულს და ყველა მეგობარს.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

მოიწერეთ (და გაზეთები გვიგზავნეთ) M e i r i n g e n, postlagernd ** სახელზე.

დაწერილია შვეიცარიის მთებში
გაგზავნილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წ
ლენინის კრებულში XV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — francs — ფრანკი. რ ე დ.

** — მეირინგენი, მოთხოვნამდე. რ ე დ.

ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს

ძვირფასო ვლადიმერ დიმიტრის-ძევ! მივიღე თქვენი წერილი და ვიჩქარი გიპასუხოთ. მე ვერ გამიგია და ვერა, თუ რის გამო გამოგივიდათ უთანხმოება და რაშია აქ საქმე. რატომ არ უნდა გავყიდოთ 20—30 ცალი «ზარია», რაშია აქ «წინამასწრობა», ჩემთვის ცხადი არ არის. ეს, მგონია, საექსპედიციო მუშაობის ისეთი კერძო საკითხია, რომელიც მთლიანად უნდა მიენდოს ექსპედიციის გამგეს, ე. ი. მოგენდოთ თქვენ. მარტინ ნიკოლოზის-ძეს დღესვე ვწერ, რათა ვცადო თავიდან ავიცილოთ უთანხმოება. ამაოდ ღელავთ მეტისმეტად ცალკეულ თუნდაც მკვახე, თუნდაც უსამართლო გამოთქმების გამო. თქვენ ხომ ხედავთ, რომ ყველა განერვიულდა — აქ მიზეზია საძაგელი მდგომარეობა, რაც შექმნეს ცენტრალურ კომიტეტში მოკალათებულმა ახალმა გამცემლებმა. იქნებ, მალე დავაღწიოთ თავი საბოლოოდ ყოველივე ამას და დავიწყოთ ახალი მუშაობა, — მაშინ გაქრება ნიადაგი წვრილმანი კონფლიქტებისათვის. ჯერჯერობით კი უნდა ვეცადოთ მოვითმინოთ, და სიმკვახეზე მე ვუპასუხებდი ხუმრობით «მგმირავი ნაღმოსნის» შესახებ. მე სავსებით მესმის თქვენი გაგულისება, მაგრამ სხვა რაიმეს, გარდა ხუმრობისა, აქ ვერ მოვიფიქრებ. თუ დავა დაიწყება,—გააჭიანურეთ საქმის გადაწყვეტა, მოიწერეთ აქ, მორჩა და გათავდა. გეთაყვა, მიიღეთ **ყველა და ყოველგვარი ზომა,** რათა დაჩქარებით გამოვიდეს

1) რიადოვოისა და გალიორკის ბროშურები.

2) თქვენი განცხადება დოკუმენტებიანად,

3) გალიორკის ბროშურა, რომელიც დღეს გაიგზავნა[156].

როგორ არის ილია? გუშინ იყო ჩემთან. გავაცანი საქმე[157], მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია. გადაეცი თუ არა მას ჩემი 1) 04. 26. 5 წერილი ხელშეკრულების გამო[158], 2) პროტესტი ცენტრალური კომიტეტის დეკლარაციის წინააღმდეგ[159] და 3) წერილი პროტესტის გამო[160]? უ ს ა თ უ ო დ ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა წ ა უ კ ი თ ხ ო თ მ ა ს ა ც დ ა ყ ვ ე ლ ა ა ს ო თ ა მ წ ყ ო ბ ს ა ც ნ უ დ ა ა ყ ო ვ ნ ე ბ თ ა მ ა ს.

მოგვარებულია თუ არა კოოპერაციული სტამბის საქმე[161]? დააჩქარეთ.

ილია გადმოგვცემს, როგორც ხმას, რომ გლებოვს აქვს ტრავინსკის განცხადება გადადგომის შესახებ. ვნახოთ და შ ე ვ ა მ ო წ მ ო თ.

რა ვაებატონები არიან, ა? დავობენ 5 და 4; 5-დან ო რ ი მიდის, 4-დან 2 მიჰყავთ; — მაშინ სამეული წასვლის ნაცვლად ახდენს coup d'état*[162]!!

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1904 წ. 18 და 31 აგვისტოს შუა შვეიცარიის მთებში
გაგზავნილია ჟენევაში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პირველად დაიბეჭდა 1930 წ. ლენინის კრებულში XV

---

* — გადატრიალებას. რ ე დ.

ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს

04. 13. 9.

ძვირფასო ვლადიმერ დიმიტრის-ძევ! ჩემი აზრით, ნურაკითარ თხოვნას ნ უ მ ი ს ც ე მ თ, როგორც ჩვენ უკვე გადავწყვიტეთ [163]

ბროშურას [164] მიაწებეთ ფურცელი, რომელზედაც დაბეჭდეთ

1) განცხადება თქვენი გამომცემლობის შესახებ (და უკანა გვერდზე); 2) განცხადება ბორისის აკრძალვის შესახებ (როგორც უკვე აწყობილია); 3) ბორისის 12. IX (ეს) [165] წერილი, უპოსტსკრიპტუმოდ; 4) წერილის მოკლე, დაახლოებით ასეთი დამატება:

«ასეთია იმ ადამიანთა პოლიტიკა, რომელნიც ესოდენ დიდებულად აწარმოებდნენ «პრინციპულ» ომს ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ! მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, წესდების რომელი მუხლი უკრძალავს პარტიის წევრებს გამოსცენ პარტიული ლიტერატურა?

ვ. ბონჩ-ბრუევიჩი»

სალამი ყველას, ჩამოკალ ხუთშაბათს, ზეგ.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ

P. S. გადაეცით სერგი პეტრეს-ძეს: 1) რომ ხუთშაბათს მას ვასახლებთ ბინიდან და თვითონ ვათევთ იქ ღამეს; 2) რომ სამსონოვზე პანმა[166] მოგვწერა ოთხი დღის წინათ. საჭირო იყო იგი პირდაპირ გაეგზავნათ!

დაწერილია ჟენევის მიდამოებში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გ. დ. ლეიტეიზენს

04. 29. 9.

პატივცემულო ამხანაგო!

ფრიად სასიამოვნოდ გამაკვირვა სერგი პეტრეს-ძისა და მარტინ ნიკოლოზის-ძის ცნობებმა თქვენი ახლანდელი პოლიტიკური პოზიციის შესახებ. ზედმეტია თქვენთვის გითხრათ, თუ რა მძიმე იყო ჩემთვის უკანასკნელი წლის განმავლობაში იმ კარგი ურთიერთობის შეწყვეტა, რომელიც წინათ ყოველთვის იყო ჩვენს შორის. აღნიშნული ცნობების გამო ვფიქრობ, არ ღირს ყურადღება მივაქციოთ წარსულს, ჩვენ, ალბათ, შეგვიძლია აღვადგინოთ ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ და მხოლოდ აწმყოსა და მომავლის საერთო დადებითი ამოცანების ნიადაგზე. თუ ამაში ვცდები, თქვენ, ცხადია, გამოასწორებთ ჩემს შეცდომას, მაგრამ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, მარტინ ნიკოლოზის-ძესთან საუბრის შემდეგ, პირველმა ვცადო უშუალოდ და პირდაპირ გამოვარკვიო ურთიერთობა.

თქვენი პატივისმცემელი

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

ჩემი მისამართი:...*

გაგზავნილია ჟენევიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XV

იბეჭდება პ. ნ. ლეპეშინსკის
მიერ დაწერილი პირის
მიხედვით

* — მისამართი ხელნაწერში არ არის მოყვანილი. რ ე დ.

მ. პ. გოლუბევას

შიფრი.

პირადად ლენინისაგან მ ა რ ი ა მ პ ე ტ რ ე ს-ასულს

ძვირფასო ამხანაგო! მეტისმეტად გამიხარდა გამეგო ჩვენი საერთო ნაცნობებისაგან (განსაკუთრებით მ ხ ე ც ი ს ა გ ა ნ — არ ვიცი, ამავე მეტსახელით იცნობთ თუ არა მას), რომ თქვენ ცოცხალი ხართ და ჩვენთან სოლიდარული პოლიტიკური პოზიცია დაგიკავებიათ. ისე დიდი ხანი გავიდა, რაც ჩვენ ერთმანეთს ვნახულობდით და ვიცნობდით (სამარაში 1892—1893 წელს), რომ ახალი მეგობრების დაუხმარებლად ჩვენთვის ძნელია მეგობრობის განახლება. მისი განახლება კი ჩემთვის ძალიან სასურველი იქნებოდა. ამისათვის, ვსარგებლობ რა მისამართით, გიგზავნით ვრცელ წერილს ჩვენს საქმეებზე და დაბეჯითებით გთხოვთ გვიპასუხოთ პირადად და რაც შეიძლება მალე. თუ რეგულარული მიწერ-მოწერა არა, ისე წარმოუდგენელია საქმის ერთად წარმართვა, სარატოვი კი დღემდე ჯიუტად დუმდა მთელი თვეობით. გეთაყვა, შეატრიალეთ ეს ახლა სხვანაირად და იწყეთ თვითონ რაც შეიძლება დაწვრილებით წერა. თუ არ იქნა პირადად თქვენგან ვრცელი წერილები, ისე შეუძლებელი იქნება არც იმის გამორკვევა, თუ როგორია თქვენი პირადი მდგომარეობა საქმეში, არც იმისა, თუ როგორია საერთოდ სარატოვის პირობები. ნუ დაიზარებთ დაკარგოთ 2—3 საათი კვირაში.

ეკოვლით დიდ სალამს და მაგრად გართმევთ ხელს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1904 წ. 5 ოქტომბერზე
უფრო გვიან
გაგზავნილია ჟენევიდან სარატოვში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ე. ე. ესენს

ბარონს ლენინისაგან

04. 4. XI.

ძვირფასო ამხანაგო! მთელი რიგი ცნობები, რაც მიღებული მაქვს თქვენს შესახებ, მაიძულებენ ძალიან გთხოვოთ დროებით დატოვოთ სამუშაო და ჩამოხვიდეთ აქ ერთი თვით. ჩინებულად მესმის, თუ როგორ გიტაცებთ თქვენ მუშაობა და რა ძნელია მოწყდეთ მას, მაგრამ ხომ უნდა ვიფიქროთ ძალთა განაწილებაზე კამპანიის საერთო გეგმის თვალსაზრისით. ჩვენ გამოცდილი მუშაკები გვჭირდება, და თქვენ ვალდებული ხართ გამონახოთ მოადგილენი ახალგაზრდობიდან დროებით, თვითონ კი უსათუოდ ჩამოხვიდეთ, რათა მოვაგვაროთ ზოგიერთი საერთო საქმე, გვაცნობოთ ყველა თქვენი დასკვნა თქვენი მგზავრობიდან, მოვითათბიროთ ახალი ნაბიჯების შესახებ, რომლებსაც ჩვენ ვდგამთ. ეს უსათუოდ აუცილებელია, სხვაგვარად ჩვენ შემდეგ სერიოზულ მომენტში ურეზერვოდ დავრჩებით. თუ კაცი ხარ, მიპასუხეთ პირადად მე რაც შეიძლება მალე და, ღვთის გულისათვის, ერთი კვირითაც ნუ გადადებთ გამომგზავრებას. თქვენ დიდი ხანია აპირებთ და სულ აჭიანურებთ. ვიცი, რით თავდება ეს. მაგრად ვართმევთ ხელს და მალე მოგელით.

თქვენი ნ. ლენინი

ვაგზავნილია ქენევიდან ოდესაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ჟურნალ «კრასნაია ლეტოპისში» № 1

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ა. ი. ერამასოვს

ძვირფასო მეგობარო! თქვენი დახმარება ჩვენთვის საერთოდ და ჩემთვის განსაკუთრებით მეტისმეტად ძვირფასი იყო. თუ ჯერ ერთხელაც არ მომიმართავს თქვენთვის სპეციალური თხოვნით, ეს იმიტომ, რომ გასაჭირი არ ყოფილა, ხოლო თქვენს დახმარებაში, რამდენადაც ეს თქვენთვის შესაძლებელია, დარწმუნებული ვიყავი. ამჟამად დგება გაჭირვების მომენტი, იმდენად სერიოზული მომენტი, რომ წინათ ვერაფერს მსგავსს ვერ წარმოვიდგენდი. ჩვენს საქმეს პირდაპირ კრახი ემუქრება, თუ ჩვენ საგანგებო რესურსების საშუალებით სულ ცოტა ნახევარ წელს ვერ გავძლებთ. ხოლო რომ გავძლოთ საქმეს შეუკვეცავად, საჭიროა minimum ორი ათასი მანეთი თვეში: რედაქციისა, გამოცემისა, გადაზიდვისა და მეტად აუცილებელი აგენტების გაგზავნისათვის. აი რატომ მოგმართავთ ახლა თქვენ ფრიად დაბეჯითებითი თხოვნით გვიხსნათ და გვიშოვოთ ეს დახმარება. როგორც კაცი, მალე გვაცნობეთ, შესაძლებელი იქნება თუ არა თქვენთვის ამ ჩვენი თხოვნის შესრულება.

დაწერილია 1904 წ. დეკემბრის
პირველ ნახევარში
გაგზავნილია ჟენევიდან სიზრანში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XV

დაბეჭდილია ხელნაწერის
მიხედვით

1905 წ.

* * *[167]

05. 9. III.

ძვირფასო მეგობარო! მე არ ძალმიძს გიპასუხოთ თქვენი კითხვების უმრავლესობაზე, რადგან თვითონაც თქვენზე მეტი არა ვიცი რა. ერთ ცენტრს ვოინოვი, მგონი, მხარს არ უჭერს. რუსეთელები მხარს უჭერენ. გავა თუ არა, არ ვიცი. მე უფრო ძველის მომხრე ვარ[168], მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვაკუთვნებ. მთავარია ცენტრალურ კომიტეტსა და რედაქციას შორის თათბირები, ამას კი ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ, თითქმის, ისევ საბჭოსაკენ მივყავართ.

«მერე გამოჩნდება».

თქვენ შესახებ არ შემიძლია მოსკოვში მივწერო, რადგან იქ პირადი ნაცნობები არა მყავს, ეს კი საფრთხილოა. სჯობია დაველოდოთ, თუ როგორ გადაწყვეტენ თვითონ.

ჩემი მოხსენების («III ყრილობის ამოცანები») კონსპექტს გამოგიგზავნი, თუ ვიპოვნე *: იგი ძ ა ლ ი ა ნ მოკლეა. თითქმის იგივეა, რაცაა «ვპერიოდში» ნათქვამი «რედაქციისაგან» [169].

რა იყო ეს ცენტრალური კომიტეტის თანხმობა ყრილობის სასარგებლოდ, ვერ გამიგია და ვერა. მე თვითონ ძალიან მეშინოდა ცენტრალური კომიტეტის გაიძვერული ინტრიგისა— ჩვენი ურთიერთობა თქვენ «ვპერიოდიდან»[170] ნახეთ. ახლა მეუმცირესეთა ცენტრალური კომიტეტი თითქმის მთლად ჩა-

* ვიპოვნე — არ შეიძლება გამოვგზავნო, რადგან იეროგლიფებია ქაღალდის ნაფლეთზე. გირჩევთ დააწვეთ II ყრილობის გამოცდილებას.

ვარდა, გადარჩნენ მხოლოდ ფიშერი, ნიკიტიჩი და კარპი. შეიპყრეს აგრეთვე შტეინი და მზარეული[17]. ალბათ, ეს დიდი ხნით შეასუსტებს მენშევიკებს. აქ მარტუშკა პირდაპირ ისტერიას ეძლევა თავის კლუბში ყრილობის მოხსენიებისას. ამის მიხედვით თუ დავასკვნით, ისინი არ წავლენ. დანამდვილებით კი ვის შეუძლია იცოდეს? მე მზად ვარ უარესისათვის: გათიშვისათვის ჩვენი მხრივ, მაგრამ ეს დაუჯერებლად მიმაჩნია.

ნუთუ ვერ მიაღწიეთ თუნდაც იმას, რომ დეიჩის ფრიად საზიზღარი ბაქიობა ო ქ მ შ ი ყ ო ფ ი ლ ი ყ ო შ ე ტ ა ნ ი ლ ი? ეს ხომ მეტად ცუდი რამ არის!! ასეთი უტიფრობა არც კი იყო მოსალოდნელი. საჭირო იყო დაგერთოთ იგი ო ქ მ ი ს ა თ ვ ი ს, გამოგექვეყნებინათ «მათი» ჯგუფების ს ი ა ან თუნდაც ყრილობისათვის გადაგეცათ ეს ოქმი, რათა რუსეთელებისათვის გეჩვენებინათ ამ ვაჟბატონთა უსაზღვრო უტიფრობა.

გართმევთ ხელს. ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ინგლისის «მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტის» მდივანს

05. 23. III.

მოწყალეო ხელმწიფევ!

დიდი მადლობა თქვენი შემოწირულებისათვის. მე მივიღე 80 გირვანქა სტერლინგის (2 008 ფრანკის) ჩეკი და, თქვენი მითითების შესაბამისად, 60 გირვანქა (1 506 ფრანკი) გავუგზავნე ს.-პეტერბურგში ჩვენს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პეტერბურგის კომიტეტს[173]. მივიღე აგრეთვე მეორე ჩეკი 90 გირვანქა სტერლინგისა (ეს თანხა ჯერ კიდევ არ არის მოსული ფრანკებზე გადატანით), 50 გირვანქა გაიგზავნება აგრეთვე 9 (22) იანვარში მოკლულ პეტერბურგელ მუშათა (მშრომელთა) ქვრივებისა და ობლებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

საუკეთესო სურვილებით,

გულწრფელად თქვენი

ვ ლ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი

(«ვპერიოდის» რედაქტორი)

VI. Oulianoff, E'ditor of the «Vperiod». 3. Rue de la Colline. 3. Genève. Switzerland.

გაგზავნილია ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1946 წ. 18 აგვისტოს ჟურნალ «ბრიტანსკი სოიუზნიკში» № 33

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით თარგმანი ინგლისურიდან

პ. ა. კრასიკოვს

05. 5. IV.

ძვირფასო მეგობარო! დროის შესახებ ჯერჯერობით არ შემიძლია რაიმე გარკვეული ვთქვა[174]. ვფიქრობ, რომ -მოასწრებთ ლიეჟში ჩასვლას, თუ შესაძლებელია დაბრუნდეთ კვირას, ან არ აიღოთ საჩქეთო ბილეთი და არ დაბრუნდეთ პარიზში (მგონი, ყველაფერს აჯობებს ახლავე აიღოთ 45 დღის ირგვლივი ბილეთი პარიზი — ლიეჟი და ა. შ. — პარიზი), ორშაბათზე ადრე საეჭვოა, თუმცა ზუსტად, ვიმეორებ, არ ვიცი. ხუთ აპრილს (დღეს) დანიშნული იყო პიტერიდან გამოსვლის უკანასკნელი ვადა, — ergo*, საეჭვოა ორშაბათზე ადრე. ჯერ ადგილზე კიდევ არავინ არის. პარასკევს მიდიან აქედან ორნი, — იქნებ, შემოიარონ თქვენს ქალაქში, მაგრამ უმკაცრესი ინკოგნიტოს პირობებ'ში.

ნახეთ პლეხანოვის დნევნიკი[175]? რეზინაციის რა სევდიანი კილოა! მენანება მოხუცი, ტყუილ-უბრალოდ ჯავრობს. კარგი თავი კი აბია...

ჩვენი ხაზი დელეგატებთან უაღრესად მშვიდობიანი უნდა იყოს: ჩვენ «დასაკარგი არაფერი გვაქვს, მოვიგებთ კი (გამარჯვებისას) ყველაფერს», მოწინააღმდეგეთა მდგომარეობა პირიქითია. თუმცაღა, თქვენ ამას თვითონ მიხვდებით უკბ და ცკ[176] ფურცლიდან, აგრეთვე № 13-დან (ორგანიზაციული საკითხი)[177].

---

* — მაშასადამე. რედ.

საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტის მოხსენება[178], **წევრთა სია** და ყველა დოკუმენტი დააჩქარეთ, დააჩქარეთ, დააჩქარეთ.

Au revoir * თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

სალამი კისკას[179]! ნეტავ როგორ ცხოვრობს?

გაგზავნილია ჟენევიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის კრებულში XVI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — ნახვამდის. რ ე დ.

* * *[180]

ვიჩქარი მოგაგონოთ ერთი რამ, რაც აუცილებლად უნდა გადმოვთარგმნოთ და რაც შეიძლება მალე გამოვცეთ; მისი მოხსენიება დამავიწყდა თქვენთან საუბრის დროს (თუმცა უკვე მეტად დიდი ხანია ეს მხედველობაში მქონდა!) ესაა ფრიდრიხ ენგელსის Die Reichsverfassungskampagne* მერინგის მიერ გამოცემული მარქსისა და ენგელსის თხზულებათა კრებულიდან (Marx' Nachlass** და ა. შ., ტომი III). ეს ცალკეული, დამოუკიდებელი რამაა, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიდეს ბროშურის სახით. მისდამი ინტერესი ახლანდელ მომენტში განსაკუთრებით დიდია[181].

დაწერილია 1905 წ. აპრილ — მაისს
ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის კრებულში XVI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — კამპანია იმპერიის კონსტიტუციისათვის. რ ე დ.
** — მარქსის ლიტერატურული მემკვიდრეობა. რ ე დ.

ინგლისის «მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტის» მდივანს

05. 20. 5.

მოწყალეო ხელმწიფევ!

მადლობით ვადასტურებ 25 გირვანქა სტერლინგის მიღებას. აქედან 5 გირვანქა, თქვენ მიერ დასმული პირობების თანახმად, განკუთვნილია დახმარების აღმოსაჩენად. მთელი თქვენი შემოწირულება მოხსენიებულია ჩვენს გაზეთ «ვპერიოდში», რომელიც გამოგიგზავნეთ. ახლა კვლავ გიგზავნით ამ გაზეთის ყველა ნომერს, სადაც კი მოხსენიებულია შემოწირულება, და ამ ადგილებს ლურჯი ფანქრით აღვნიშნავ.

ჩვენ უკვე მივწერეთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ს.-პეტერბურგის კომიტეტს, რომ აუცილებელია მუშათა რამდენიმე მიტინგზე გამოქვეყნდეს ცნობა «მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტისაგან» მიღებული შემოწირულების შესახებ. რამდენადაც მთელი კავშირურთიერთობა ჩვენი პარტიის ორგანიზაციებთან საიდუმლოა, საჭირო გახდება ერთგვარი დრო, ვიდრე პასუხი მოვიდოდეს. ამ კვირას რამდენიმე რუსი ამხანაგი მიემგზავრება ს.-პეტერბურგს, და მე მათ გავუმეორე ჩემი თხოვნა. ისინი შეეგვპირდნენ მიიღონ ყველა ზომა, რათა ეს ცნობა რაც შეიძლება მალე გამოაქვეყნონ ს.-პეტერბურგში და გაუწყონ თქვენ. თქვენი 05 წ. 22. IV წერილიც გაეგზავნება ს.-პეტერბურგის კომიტეტს.

იმედი მაქვს, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ თქვენ პეტერ-ბურგიდან მალე მიიღებთ ჩვენი ამხანაგების წერილს, რომელიც გაუწყებთ, რომ რუსეთის დედაქალაქში მუშათა მიტინ-გებზე ცნობა გამოქვეყნდა.

ბოდიშს ვითხოვ ჩემი ცუდი ინგლისური ენის გამო.

გულითადი მადლობით.

გულწრფელად თქვენი

ვ ლ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი
(«ვპერიოდის» რედაქტორი)

VI. Oulianoff,
3. Rue de la Colline. 3.
Genève. Switzerland.

გაგზავნილია ლონდონში
პირველად დაიბეჭდა 1946 წ.
18 აგვისტოს ჟურნალ
«ბრიტანსკი სოიუზნიკში» № 33

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ინგლისურიდან

ლ. ა. ფოტიევას

უძვირფასესო კისკა!

ახლა გამოგიგზავნეთ დეპეშა. ყოველ შემთხვევისათვის განვმარტავ, თუ რაშია საქმე. მე პარიზში დამიბარეს ერთი საქმის გამო. უსათუოდ მინდა მგზავრობა გამოვიყენო არა მარტო ამისათვის, არამედ რეფერატიც წავიკითხო. თემა: «მესამე ყრილობა და მისი გადაწყვეტილებანი» შინაარსი: ჩვენი და მენშევიკური გადაწყვეტილებების პარალელური განხილვა: მათ ეს-ეს არის გამოაქვეყნეს ცნობა თავიანთი კონფერენციის შესახებ, და მე მას განვიხილავ, შემიძლია წავიკითხო მხოლოდ ს ა მ შ ა ბ ა თ ს (ჩამოვალ ორშაბათს, მაგრამ საღამოს არ მეცლება) და უსათუოდ უნდა დავამთავრო ერთ დღეს. თუ შეიძლება, დაიქირავეთ ყველაზე დიდი დარბაზი (სადაც მე წავიკითხე სტრუვეს წინააღმდეგ — ფილატოვმა და სხვ. იციან) და შეატყობინეთ რაც შეიძლება მეტ ხალხს. თუ კიდევ არ გიდეპეშნიათ ჩემთვის ნათლად თქვენი პასუხი, მიდეპეშეთ ხვალ, რათა ზ უ ს ტ ა დ ვიცოდე: დაიქირავეთ თუ არა დარბაზი? იქნებ, ისიც მოასწროთ, რომ express-ით* მომწეროთ (რათა მივიღო კვირას დილით მაინც), მაგრამ თუ საჭირო გახდება რაიმე მნიშვნელოვანი მაცნობოთ, უსათუოდ მიდეპეშეთ.

დღეს აქ ვკითხულობ ამასვე.

Tournez s'il vous plaît!** გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

---

* — ექსპრესით. რ ე დ.

** — იხ. უკანა გვერდზე. რ ე დ.

თუ, მოლოდინის წინააღმდეგ, აღმოჩნდებოდა, რომ რეფერატის წაკითხვა არ შეიძლება, იქნებ, სულაც არ ჩამოვსულიყავ. ამიტომ უსათუოდ მიპასუხეთ.

დაწერილია 1905 წ. 1 ან 2
ივნისს
გაგზავნილია ჟენევიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
ლენინის კრებულში XVI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს

05. 15. 9.

ძვირფასო ამხანაგებო! მივიღე ფული, 1000 მან. — 2640 francs *, და «რაბოჩის» პირველი ნომერი. იგი საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებს. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ არამომაბეზრებელი პოპულარული გადმოცემის ძნელი ამოცანა მის მიერ მნიშვნელოვანწილად გადაწყვეტილი იქნება. არის რაღაც ახალი გადმოცემის კილოსა და ხასიათში. ჩინებული საბრძოლო სულისკვეთებაა. ერთი სიტყვით, სულით და გულით შემიძლია მოგილოცოთ წარმატება და გისურვოთ შემდგომი წარმატებანი. ჩემი კერძო შენიშვნები ჯერჯერობით შემდეგია: 1) სასურველია ცოტა უფრო მეტი ვილაპარაკოთ სოციალიზმზე ორგანოს «განმარტებითი» ხასიათის გამო; 2) სასურველია უფრო მჭიდროდ და უშუალოდ დავუკავშიროთ საბრძოლო პოლიტიკური ლოზუნგები III ყრილობის რეზოლუციებს და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ჩვენი ტაქტიკის საერთო სულისკვეთებას.

ახლა თქვენი 05. 24. 8 წერილის გამო[182], რომელმაც ჩვენ ყველა პირდაპირ გაგვაოცა თავისი კილოთი. 1. შეტყობინების შესახებ. თქვენ «მეტი არაფერი არ შეგიძლიათ გააკეთოთ». ეს არ არის მართალი, რადგან ჩვენ ვხედავთ და ვიცით, რომ ბუნდსაც, მენშევიკებსაც, მთელ რიგ ბოლშევიკებსაც შეუძლიათ მეტი გააკეთონ, და ისინი კიდეც აკეთებენ მეტს. ეს ფაქტია, რომ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წევრი ბუნდელებსა და «ისკრაზე» უფრო ცუდადაა საქ-

* — ფრანკი. რ ე დ.

მეს გაცნობილი. საჭიროა ამის გამოსწორება, განუხრელად და დაუცხრომლად გამოსწორება. აი ყველაზე ცოცხალი მაგალითი. თქვენი რეზოლუცია აქტიური ბოიკოტის შესახებ ჩვენ მ ხ ო ლ ო დ ა მ დ ღ ე ე ბ შ ი მივიღეთ. რუსეთიდან ჩამოსულნი მას ი ვ ნ ი ს ი დ ა ნ იცნობენ!! და თქვენ იტყვით, რომ «მეტი არაფერი შეგიძლიათ გააკეთოთ»???? მისმა დაგვიანებამ ჩვენში, ჩემდა უნებურად, უთანხმოება გამოიწვია, ვინაიდან მე «პროლეტარში» «აქტიურ ბოიკოტს» სხვანაირად განვმარტავდი, რაკი არ ვიცოდი, თუ როგორ განმარტავთ თქვენ [183].

აი კიდევ თქვენს მიერ ორცენტრიანობის აღდგენის ფაქტი. არსებითად, დიდი უთანხმოება არ გამოსულა, მაგრამ მაინც იგი არასასურველია მთელი პარტიის მოქმედების წესის საკითხში. მე მიმაჩნია 1) ფრიადმნიშვნელოვან და III ყრილობის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით ერთადერთ სწორად პირდაპირ წამოვაყენოთ სააგიტაციო კამპანიის ცენტრალურ პუნქტად აჯანყებისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის ლოზუნგი. 2) მე მიმაჩნია უთუოდ შემცდარად რჩევა «ძალით გავრეკოთ» ამრჩევთა კრებებიო. ეს დამღუპველი ტაქტიკა იქნებოდა. ორში ერთი: ან არ არის პირობები ძალის გამოსაყენებლად სერიოზულ ფარგლებში,— მაშინ უნდა დავჯერდეთ აგიტაციას, სიტყვებს, გაფიცვებს, დემონსტრაციებს, ვარწმუნოთ ამრჩევნი და კი არ «გავრეკოთ» ისინი. ან არის პირობები ძალის გამოსაყენებლად სერიოზულ ფარგლებში, — მაშინ ეს ძალა უნდა წარვმართოთ არა ამრჩევთა წინააღმდეგ, არამედ პოლიციისა და მთავრობის წინააღმდეგ. მაშინ ხელი მოჰკიდეთ აჯანყებას. სხვაგვარად თქვენ გემუქრებათ საფრთხე მეტად შეუსაბამო მდგომარეობაში ჩავვარდეთ: მუშები «ძალით გარეკავენ» ამრჩევთ, მთავრობა ძალით იცავს მათ!! აქ პრაქტიკულად იჩენს თავს ზიანი, რასაც იწვევს აჯანყების ლოზუნგის პირდაპირ და გადაჭრით წამოუყენებლობა, როგორც სათათბიროს წინააღმდეგ აგიტაციის ცენტრისა: ამზადეთ აჯანყება, არწმუნეთ ყველა (მათ შორის

ამრჩევნიც) ამზადონ აჯანყება, გააშუქეთ მისი მიზნები, ფორმები, საშუალებანი, პირობები, ორგანოები, წანამძღვრები. მაგრამ ძალას ტყუილუბრალოდ ნუ გამოიყენებთ, ვიდრე იგი არ დაგროვილა, და თუ თქვენ ამრჩევნი ვერ დაარწმუნეთ, მაშინ ძალით გარეკვა პირდაპირ სიგიჟეა, თვითმკვლელობაა სოციალ-დემოკრატიისათვის.

შემდეგ. II. თქვენ წერთ: კი არ ვცბიერობდით ორგანიზაციული კომისიის მიმართ, არამედ III ყრილობის ნებას ვასრულებდითო. ვფიქრობ, თქვენ აქ აშკარად არა ხართ მართალნი. აუცილებელია მომზადდეს გაერთიანების პირობები და ორი ყრილობა გაერთიანებისათვისო (ერთ ადგილას და ერთსა და იმავე დროს ვალდებულებით, რომ თვითეული ორგანიზაცია დაემორჩილოს თავისი ყრილობის გადაწყვეტილებებს), — ამაზე გწერდით ჯერ კიდევ* მაშასადამე, აქ უთანხმოება არ არის. მაგრამ თქვენ რომ დაივიწყეთ საიდუმლო რეზოლუცია (ქვემოთ ვურთავ მას), IV ყრილობის მიერ შეერთების პირობების აუცილებლად დამტკიცება, ეს ფაქტი ფაქტად რჩება. მე სწორედ ამას ვაწვებოდი. ორგანიზაციული კომისია თავისი განცხადების ორ მუხლში (ცენტრალური კომიტეტის «ლეტუჩი ლისტოკ»[184] № 3, გვ. 5), 2 მუხლში და 3 მუხლში **პირდაპირ** ლაპარაკობს ყრილობის გზით გაერთიანების **წინააღმდეგ.** ამის უარყოფა არ შეიძლება, თქვენ კი პასუხში **კრინტსაც არ სძრავთ**, რომ თანახმა არა ხართ!! სწორედ ისე გამოვიდა, რომ რეზოლუცია თქვენ გააუქმეთ. ეს რომ შეცდომაა და რომ იგი უნდა გამოსწორდეს, ეს უდავოა.

ბოლოს, სხვა უდავო შეცდომა: ორგანიზაციული კომისიის პირდაპირი პასუხის უქონლობა. თქვენ წერთ, რომ

*ხელნაწერში შემდეგ სიტყვებისა «ჯერ კიდევ» ადგილი გამოტოვებულია, რათა ჩაწერილიყო ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილი წერილის თარიღი: 28 ივლისი (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტ. 34, გვ 358 — 361) ნ. კ. კრუპსკაიას წაუშლია «ჯერ კიდევ» და წაუწერია «უკვე წინათ». რ ე დ.

«ლაპარაკი იყო III ყრილობის საფუძველზე შეერთების შესახებ». რას ბრძანებთ, ბატონებო! რატომ იტყუებთ თავს? რატომ ასუსტებთ თქვენს სწორ პოზიციას აშკარა თვალთმაქცობით??

III ყრილობის საფუძველზე შეერთება უარყოფილია, ამას ჯერ კიდევ აქ პირდაპირ სთავაზობდნენ პლეხანოვსაც და ორგანიზაციულ კომისიასაც ვინტერიც და ვადიმიც. ასეთი შეერთებისას ერთი ცენტრალური ორგანო იქნებოდა (პლეხანოვი ამ ორგანოსათვის «სამეულსაც» კი გვთავაზობდა თავისი აგენტების მეშვეობით). ასეთი შეერთებისას ერთი ცენტრალური კომიტეტი იქნებოდა აუცილებლად ორივე ნახევრისაგან, ე. ი. «კოოპტაცია» იქნებოდა არა კოოპტაცია, არამედ ნამდვილი შეერთება.

მაგრამ ეს უარყოფილია. მაშასადამე, რჩება შეთანხმება IV ყრილობამდე და შეერთება **«მეოთხე** ყრილობის საფუძვლებზე». ამ პირდაპირი და ნათელი პასუხისა და საქვეყნო განცხადების ნაცვლად თქვენ საზოგადოების წინაშე დუმილით გვერდს უვლით საკითხის არსს (ვინაიდან ორგანიზაციული კომისია აშკარად გვთავაზობს **არა** IV ყრილობის საფუძვლებზე შეერთებას, თქვენ კი უპასუხებთ: საერთოდ მისაღებია, კარგია, კიდევ ვიბაასოთო!) მე კი ვწერთ: «ჩვენი ულტიმატუმი III ყრილობის წესდებაა იყოო». და ეს თავის მოტყუება არ არის? ეს რომ საჯაროდ თქვათ, ჯერ ერთი, სასაცილოდ აგიგდებთ ყველა ბოლშევიკი, მეორეც, მენშევიკები ისე გიპასუხებენ, რომ მთელი თქვენი კეთილი განზრახვები შეერთების შესახებ გაცამტვერდება!

ჩემი აზრით, სჯობია პირდაპირ განუცხადო პარტიას: სამწუხაროდ, მათ უარყვეს III ყრილობის საფუძვლებზე შეერთება. მოდი ვამზადოთ IV ყრილობა ისე, რომ ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე ადგილას შეიკრიბოს ორი ყრილობა, მოდი ვამზადოთ შეერთების გეგმა. ვთქვათ, ყველა პარალელურ ორგანიზაციაში ყველგან თანაბრად

ერთნიც და მეორენიც (à la* ნიკოლაევისა). თუ ასეა შეადგინეთ პარალელური ორგანიზაციების სია, სრული სია, დაკითხეთ ყველა იმათ. შემდეგ ცენტრალური კომიტეტიც, ვთქვათ, სანახევროდ, ე. ი. თანაბრად. სრული შ ე ე რ თ ე ბ ი ს ასეთი «კოოპტაციის» წინააღმდეგ დავა პრინციპულად არ შეიძლება (თუმცა პრაქტიკულად საკითხი უფრო რთულია, და უნდა ვიცოდეთ, რამდენია პარალელური ორგანიზაცია და ა. შ.). (ფრჩხილებში: ძალიან სანანია, რომ «ლეტუჩი ლისტოკის» № 1-ში თქვენ დაიტრაპახეთ, ჩვენს მხარეზეა პარტიის $^2/_3$-ო. ამით შეარყიეთ თქვენი ზომავალი თანხმობა «სანახევროდ»-ზე. და ვითომ მართალი თქვით, რომ $^2/_3$??). შემდეგ, ცენტრალური ორგანო. შ ე ე რ თ ე ბ ი ს ა ს ორი ცენტრალური ორგანო, ჩემი აზრით, აბსურდია, და მე შესაძლებლად მიმაჩნია, რომ ბოლშევიკები ამ აბსურდს ამჯობინებენ იქონიონ რამდენიმე კომიტეტის თავიანთი ორგანო პარტიის წესდების საფუძველზე. ორი მ ო ქ ი შ პ ე ცენტრალური ორგანოს არსებობისას შეერთება მკვდარი რამ იქნება. მაშინ უკეთესია «შეთანხმება» — «ნიკოლაევის» მსგავს საფუძველზე, ე. ი. ყველგან გამაერთიანებელი ან შემთანხმებელი კომისიები თანაბრად ორივეთაგან[85]

III. ფულის გამო. თქვენმა განცხადებამ, ცენტრალური ორგანო უნდა იცემოდეს «საზღვარგარეთული სახსრებით», ცენტრალური კომიტეტის გაკოტრება ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ო რ გ ა ნ ო თ ი უნდა დ ა ი წ ყ ო ს ო, ჩვენ ყველას თავზარი დაგვცა. თქვენ წერთ, ეს გაგულისება და საყვედური არ არისო. ნება მოგვეცით არ დაგიჯეროთ. სერიოზულად, დამშვიდებით და გულგრილად რომ თქვა ასეთი რამ, — ეს ნიშნავს გამოაცხადო ცენტრალური ორგანოს კ ა ვ შ ი რ ი ს გ ა წ ყ ვ ე ტ ა პარტიასთან, ეს კი თქვენ არ შეგეძლოთ გნდომებოდათ. პარტიის ცენტრალური ორგანო რომ გამოიცეს არა პარტიის, არამედ საზღვარგარეთის სახსრებით, — დაადგინო, რომ პარტიის გაკოტრება უნდა დ ა ი წ ყ ო ს (და არა დამთავრდეს) ცენტრალური ორგანოთი — ეს რაღაც ფენომე-

* — მანერაზე, ყაიდაზე. რ ე დ.

ნალურია. ეს რომ ჩვენ სერიოზულად მიგვეღო და კი არ მიგვეჩნია სწორედ ნერვიანობის გამოვლინებად დროებით სიძნელეთა გამო (ვინაიდან საერთოდ ბრუნვა თქვენთან «სახარბიელოა», ხოლო 60 000-ის და «წამოწყების» ვარაუდი სამმაგად უფრო «სახარბიელოა»), ჩვენ ახლავე მოგვიხდებოდა ზომების მიღება, რათა საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტის ორგანო «საზღვარგარეთული სახსრებით» გამოგვეცა. მაგრამ ვიმეორებ, რომ ამ საშინელ გამოსვლაში თქვენი მხრივ მე მხოლოდ ნერვიანობას ვხედავ და დაველოდები პირად შეხვედრას, ვინაიდან აქ, ჩემი აზრით, გათიშვის დასაწყისი კი არ არის, არამედ გაუგებრობაა.

მაგრად გართმევთ ხელს.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მ. ა. რეისნერს

05. 4. X.

ღრმად პატივცემულო მიხეილ ანდრიას-ძევ! დიდად გმადლობთ თქვენი წერილისათვის, რომელიც უფრო მეტად, ვიდრე ფელიქს ალექსანდრეს-ძის ინფორმაცია თქვენთან საუბრის შესახებ, მაცნობს ჩვენი ეგრეთწოდებული კადეტების გეგმებს და ტაქტიკას. უაღრესად საგულისხმოა თქვენი ინფორმაცია, რომ ლიბერალებს, ვიტეს და სხვებს აქტიური ბოიკოტისა სასიკვდილოდ ეშინიათო. მე ეს-ეს არის მივიღე ინფორმაცია რუსეთიდან, რომ შედგა ს.-დ. პარტიათაშორისი კონფერენცია (რსდმპ ორივე ნაწილი, ბუნდი, ალბათ, ლატვიელები და ა. შ.)[186]. საბოლოოდ მიღებულია აქტიური ბოიკოტის ტაქტიკა.

თქვენი გეგმა ჩემთვის ნათელი არ არის: 1) ნუთუ არის თუნდაც ოდნავი იმედი, რომ კადეტები უარს იტყვიან სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებზე? ვფიქრობ, არავითარი იმედი არ არის. 2) ხომ არ აჯობებს ჩვენთვის, თუკი დავდებთ შეთანხმებას რადიკალებთან, მოვითხოვოთ მათგან კაი მილიონი პეტერბურგელი მუშების შესაიარაღებლად, ვიდრე ახლავე დამფუძნებელი კრების არჩევნები? რა აზრი ექნება არჩევნებს ტრეპოვთან ბრძოლამდე ან ტრეპოვთან უბრძოლველად?

რა თქმა უნდა, ეს უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ. იმედებს ვამყარებ, ჯერ ერთი, იმ შეხვედრაზე, რომე-

ლიც თქვენ ამ დღეებში გექნებათ ბერლინში ერთ ჩემს მეგობართან; მეორეც. ჩვენს შეხვედრაზე აქ თქვენთან, რაზედაც იწერებოდა ფელიქსი. გისურვებთ წარმატებას აქტიური ბოიკოტისათვის ბრძოლაში.

მზად ვარ სამსახურად...

გაგზავნილია ქენევიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს

05. 25. X.

ძვირფასო მეგობრებო! ეს-ეს არის მივიღე თქვენი წერილი იმის შესახებ, რომ მე დანიშნული ვარ საერთაშორისო ბიუროში [187] (სამწუხაროა, რომ არ დანიშნეთ ორლოვსკი, მაგრამ ამაზე შეხვედრის დროს მოვილაპარაკოთ), აგრეთვე შეხვედრის შესახებ ოდესაში (ბერლინი). შეხვედრა რაც შეიძლება მალე უნდა მოეწყოს. ოდესის ნაცვლად შემიძლია შემოგთავაზოთ ვარშავა (კენიგსბერგი) [188] — ყველა პირობა იგივეა, ოღონდ უფრო ახლოსაა და პოლიციისათვის უფრო მოულოდნელია. ამ უკანასკნელ ადგილას ყველაფერი შეიძლებოდა თქვენთვის ოთხ დღეს გათავებულიყო საუკეთესო პირობებში (ლეგალური პასპორტი), რაზედაც გირჩევთ ახლავე დაიწყოთ ენერგიულად ზრუნვა. უარეს პირობებში ვადა მაინც მეტად მცირეა, და, თუ შესაძლებელია, კარგი იქნებოდა მონაწილეთა რიცხვის ვადიდება. თუ აირჩევთ უჩვეულო ქალაქს (კენიგსბერგს — 22 საათის სავალი პიტერიდან), შეხვედრა შეიძლება დაინიშნოს გზამკვლევის მიხედვით, წინასწარ დათქმულ ყავახანაში, სასტუმროში, ან ლუდხანაში.

დღესვე ვწერ საერთაშორისო ბიუროს კონფერენციისა და მისი ვადის საკითხის გამო; მივიღებ თუ არა პასუხს, მაშინვე გადმოგიგზავნით. ძალიან გთხოვთ დააჩქაროთ შეხვედ-

რა კონფერენციის დამოუკიდებლადაც კი საერთაშორისო ბიუროსთან.

იწერებოდა თუ არა პარტიათაშორისი კონფერენციის ოქმები? თუ იწერებოდა, უეჭველად გამოგვიგზავნეთ.

დაწერილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1907 წ.

მ. ს. კედროვს

პატივცემულო ამხანაგო! ჩვენი პირობის თანახმად, II ტომის მასალა ჩაბარებულ უნდა იქნას I. X-თვის, III ტომისა — 10. X-თვის [189] პირველი ტომი შეფერხდა. 12 თაბახი II ტომისათვის გადავეცი, შემდგომი 7 მზადაა და კიდევ შემდგომი (დაახლოებით 5 თუ 7) შემიძლია ძალიან მალე გადავცე. მაგრამ მე მინდა ვიცოდე, მართლა გჭირდებათ თქვენ ასე სწრაფად მთელი ეს მასალა? შეუდგებით თუ არა ახლავე აწყობას? უკვე გადაეცით თუ არა ასაწყობად II ტომის 12 თაბახი? შეფერხდება გამოცემა, თუ უფრო გვიან წარვადგენ II ტომის დასასრულს? თუ კი, შემიძლია II ტომის დასასრული დაუყოვნებლივ წარმოვადგინო, თუ ეს გსურთ. მაგრამ მე გეგმა მაქვს: დავწერო II ტომის დასასრულს დიდი შრომა მიწის განაწილებაზე რუსეთში (ახალი, 1905 წლის სტატისტიკური მონაცემებით) და მუნიციპალიზაციის შესახებ (მხედველობაში იქნება მიღებული «კაპიტალის» IV ტომი ან «Theorien über den Mehrwert»*, გამოვიდა აგრეთვე 1905 წელს). ვფიქრობ, ეს ნაწარმოები დიდად საინტერესო იქნებოდა საზოგადოებისათვის და მეტად თავისდროულიც. შრომისათვის საჭირო თითქმის ყველა მასალა უკვე შერჩეული მაქვს და ნაწილობრივ უკვე დამუშავებულიც. დასამთავრებლად საჭიროა რამდენიმე კვირა; იმედი

* — «ზედმეტი ღირებულების თეორიები». რ ე დ.

მაქვს, რომ შევძლებ რამდენიმე კვირაში დავწერო ეს შრომა.

მაშ, მაცნობეთ: გსურთ თუ არა თქვენ დაუყოვნებლივ წარმოგიდგინოთ II ტომი ამ ახალი სტატიის დაურთავად — თუ ამჯობინებთ, რომ II ტომი წარმოდგენილი იქნეს, მაგალითად, ერთი თვის — 1 ½ თვის შემდეგ ახალი სტატიის დართვით.

დაწერილია 1907 წლის დეკემბრის
დამდეგს
გაგზავნილია ფინეთიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ნ. კ. კრუპსკაიას
დაწერილი პირის
მიხედვით

1908 წ.

გ. ა. ალექსინსკის

08. 7. I.

ძვირფასო პეტრე!

დღეს ჩამოვედით მე და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ჟენევაში[190]. საბოლოოდ ჯერ კიდევ ვერ გადაგვიწყვეტია, თუ სად მოვეწყოთ: ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ძალიან წინააღმდეგია ჟენევისა, და ჩვენ ვეცნობით სხვა ადგილებსაც.

მაგრამ საჭიროა აქაც სავსებით გამოვარკვიოთ მდგომარეობა. თუ კაცი ხარ, დაუყოვნებლივ მოგვწერეთ: 1) იცნობთ თუ არა თქვენ სტამბისა და ექსპედიციის გამგედ გ ა მ ო ს ა დ ე გ კაცს[191]? 2) რას ფიქრობთ ექ[იმზე]*, როგორც ასეთ კაცზე? 3) რა განსაკუთრებული საგნები უნდა მივიღოთ მხედველობაში სტამბის მიმართ? [საჭიროა მისთვის თუ არა] მესაკუთრე, რაკი იგი [ეკუთვნის] სტოკჰოლმის ყრილობის ბოლშევიკური [ფრაქციის] ცენტრალურ ორგანოს? რატომ მხოლოდ მ ე ნ შ ე ვ ი კ უ რ ი სტამბა მიგაჩნიათ ცენტრალური კომიტეტის საკუთრებად? 4) ფიქრობთ თუ არა, რომ შესაძლებელია ყოველკვირეული გაზეთი და დაახლოებით რამდენი გასაღდებოდა? 300—500—1000?

---

* აქ და ქვემოთ ამ წერილში, აზრით და ცალკეული დარჩენილი ასოების მიხედვით, კვადრატულ ფრჩხილებში აღდგენილია სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც არ არის ხელნაწერში იმის გამო, რომ მოხეულია და აკლია იმ გვერდის ნაწილი, რომელზედაც წერილი დაწერილია. რ ე დ.

ბერლინს გაგზავნილი თქვენი წერილი ჩვენ მივიღეთ 17-ის დაპატიმრებით გამოწვეული პანიკის ვითარებაში[192] და ამიტომ მოვსპეთ არასაკმაო ყურადღებით წაკითხვის შემდეგ.

მიპასუხეთ მისამართით...

როგორ გიკითხოთ? დაახ[ლოებით] როდის შეგეძლებათ დაბრუნდეთ აქ? გამოკეთდით [ცოტათი] მაინც სერიოზულად ამ ხნის განმავლობაში?

გართმევთ ხელს...

გაგზავნილია ჟენევიდან ვენაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ბ. ა. ალექსინსკის

ძვირფასო პეტრე! თქვენთან ასეთი თხოვნა მაქვს. დიდი შრომა დავწერე აგრარული პროგრამის საკითხზე. სადაც დაწვრილებით გავარჩიე, სხვათა შორის, II სათათბიროში გამართული კამათი[193]. მაკლია მხოლოდ ზოგიერთი დ ო კ უ მ ე ნ ტ ი, რომლებიც II სათათბიროშია შეტანილი.

სახელდობრ: მ უ შ ე ნ კ ო მ შეიტანა 104-ის თუ 105-ის პროექტი, მაგრამ I სათათბიროს არა ის «ცნობილი» ტრუდოვიკული პროექტი, რომელიც განმეორებულ იქნა II სათათბიროში, არამედ ა ხ ა ლ ი, ე ს ე რ უ ლ ი[194]. ფრანგულად იგი გადაბეჭდილია Rapport du parti S. R. au congrès de Stuttgart. ხომ არ გაქვთ თქვენ რუსული ტექსტი? ხომ არ შეგიძლიათ მიშოვოთ? ძალიან დამავალებთ, თუ დამეხმარებით.

ხომ არ გამოსულა ეს ცალკე გამოცემად? სად და როდის?

თქვენი ვ. ულიანოვი

დაწერილია 1908 წ. 7 იანვარსა
და 2 თებერვალს შუა
გაგზავნილია ჟენევიდან ვენაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გ. ა. ალექსინსკის

08. 3. II.

ჰოდა, კარგი საქმე არ მიყავი! მისამართი და კავშირურთიერთობა მისცე ჩენშევიკ მანდელბერგს. ეს მეტისმეტი გულუბრყვილობაა. მანდელბერგი არ ავ ი თ ა რ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ა რ გაიკაროთ ვერსის მანძილზე, ხოლო თუ ეს აისულელე ჩაიდინეთ, ჩამოართვით მას მისამართი და გაიცურეთ.

«პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» შესახებ თქვენ გუშინ მოგწერეს. ფრაქციული ბრძოლის გამწვავება ყ ვ ე ლ გ ა ნ დიდი და გარდუვალია, დაწვრილებით შეხვედრისას.

ვ. ულ ი ა ნ ო ვ ი

გაგზავნილია ჟენევიდან ვენაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.! დიდი ხანია, რაც თქვენთვის წერილი არ მომიწერია. ჩვენი გამგზავრება სულ ყოვნდება: ახლა მთავარი დაბრკოლებაა ის. რომ ბრიუსელიდან ამბავი არ მოსულა. იქიდან მეგობრებმა მომწერეს, მოგელიან (საერთაშორისო სოციალისტური) ბიუროს სხდომაზე. შეველოთხე მდივანს, როდის წამოვიდე-მეთქი (ვინაიდან იტალიაში უნდა გავემგზავრო-მეთქი). პასუხი ისევ არ არის. ბრიუსელის გამოტოვება კი არ შეიძლება.

მიიღეთ თუ არა «პროლეტარი»? რა განზრახვები გაქვთ მის მიმართ? ან. ვას.-ძეს? სამწუხაროა, რომ მან უარი სთქვა დაწეროს რაიმე კომუნაზე. ჩვენი მესამე რედაქტორია ინოკენტი.

მოიწერეთ ორიოდე სიტყვა, რა გეგმები გაქვთ თქვენ და ან. ვას.-ძეს «პროლეტარის» მიმართ.

გართმევთ ხელს.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1908 წ. მარტის
პირველ ნახევარში
გაგზავნილია ჟენევიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში I

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მ. თ. ანდრეევას

ძვირფასო მარიამ თევდორეს-ასულო! გიგზავნით ჩვენი ბიბლიოთეკარის წერილს ა. მ.-სადმი.

საქმე ა ი რ ა არის. ძალიან ვთხოვ ა. მ.-ს მისწეროს ლ ე - გ ა ლ უ რ ი ღია წერილი რ უ ს უ ლ გაზეთებს და თხოვოს დ ა ე ხ მ ა რ ო ნ ყენევაში არსებულ კუკლინის[195] ბ ი ბ ლ ი - ო თ ე კ ა ს რევოლუციის ეპოქის გაზეთებისა და მისი ისტორიის მასალების გამოგზავნით.

მოკლე წერილი, რომელიც გ ა ნ უ მ ა რ ტ ა ვ დ ა ფართო საზოგადოებას, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი დაეხმარონ ამ ბიბლიოთეკას, როგორც თვითონ გორკის, ისე მისთვის ცნობილი ბევრი სხვა ლიტერატორის მუშაობის საწარმოებლად.

გთხოვთ ჰექტოგრაფზე გადააღებინოთ ეს წერილი (იმედია, აქ ზინობი ალექსის-ძე[196] დაგეხმარებათ) და დაუგზავნოთ ცოტათი მაინც რიგიანი მიმართულების **ყველა** რ უ - ს უ ლ გაზეთსა და ჟურნალს.

გთხოვთ მოაწყოთ ყოველივე ეს!

იმავე ზინობი ალექსის-ძეს ვთხოვ გამოგზავნოს მ ც ი - რ ე სიჩქარით წიგნები, რომლებიც ვიქტორს არ წაუღია, თუ მ ა თ ნატალია ბოგდანის ასული ა რ წაიღებს[197].

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

მოგილოცავთ პირველ მაისს!

დაწერილია 1908 წ. აპრილის დამლევს
გაგზავნილია ჟენევიდან კუნძულ კაპრიზე
(იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ფ. ა. როტშტეინს

08. 8. VII.

ძვირფასო ამხანაგო!

კრედიტორის[198] შესახებ გადავწყვიტე გადავდო წერილი ცენტრალური კომიტეტის ახალ კრებამდე, რომელიც სულ მოკლე ხანში შედგება[199]. უხერხულია ჩემთვის ჩავეჩხირო, რაკი უფლებამოსილი პარტიული კოლეგიის კრება ძალიან ახლოსაა.

ძალიან მოხარული ვიქნები აქ გნახოთ. ჟენევის მიდამოების შესახებ ბევრს ვერაფერს გეტყვით გარკვეულად: სულ ავად ვარ ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ, შინ ვზივარ, მოაგარაკეებს ვერ ვხედავ. ვიცი, რომ საფრანგეთში და ისიც ჟენევის ახლოს ბევრი კარგი, ამასთან არც ისე ძვირი ადგილია. მაგალითად, Mornex, Salève-ის მთის ფერდობზე, მაშასადამე, საკმაოდ მაღლა. იქ ჩემთან ცხოვრობდა ერთი მეგობარი 1904 წელს, და იქ, მგონი, შეიძლება შედარებით იაფად მოეწყოს კაცი თავისი მეურნეობითაც, პანსიონებში კი უფრო ძვირია, მაგრამ 4—4 ½ frs * უსათუოდ, რადგან ეს ჩვეულებრივი ფასია. ჟენევიდან უფრო დაშორებით (Mornex დაახლოებით შვიდ ვერსზე, ალბათ, არის ელექტროტრამვაიც სალევამდე) — ასე 10 და მეტ ვერსზე, იურის ფერდობზეც შეიძლება მოეწყოს კაცი, მაგრამ იქაურ ადგი-

---

* francs—ფრანკი. რედ.

ლებს არ ვიცნობ. შევეცდები გავიგო რაიმე უფრო გარკვევით და მოგწეროთ მაშინვე, როგორც კი გავიგებ.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

VI. Oulianoff. 61, III. Rue des Maraîchers. 61. Genève. ჭისამართი ახალია! ეს École de médecine*-ის ახლოა.

გაგზავნილია ჟენევიდან ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — სამედიცინო სკოლის. რ ე დ.

გარათი ა. ა. ბოგდანოვს

ძვირფასო ა. ა.! გიგზავნით სტეკლოვის წერილს. თვითონ უპასუხეთ. მე ვუპასუხე — თანახმა ვარ თუ თემას ხელახლა გაანაწილებთ — მე ფილოსოფია, ბაზაროვს გლეხთა საკითხი [200].

გართმევთ ხელს.

ლ ე ნ ი ნ ი

P. S. წერილი დამიბრუნეთ.

დაწერილია 1908 წ. 27 თუ 28
ოქტომბერს ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1909 წ.

გ. ე. ზინოვიევს

კამენევის სტატიის უკანასკნელი ორი მესამედი საკმაოდ ცუდია და მისი გადაკეთებაც კი თითქმის შეუძლებელია. გავასწორე პირველი მესამედი (გვ. 1 — გვ. 5 ბოლომდე), მაგრამ მეტი არ ძალმიძს ვასწორო, რადგან ვხედავ, რომ აქ საჭიროა არა გ ა ს წ ო რ ე ბ ა, არამედ ხ ე ლ ა ხ ა ლ ი გ ა დ ა კ ე თ ე ბ ა.

თავის აზრს (რომ ოქტიაბრისტები და მემარჯვენენი წვრილმანების გამო იბრძვიან, რომ მათი ბრძოლა, კინკლაობა, ჩხუბი გარდუვალია მონარქიის ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის შესახებ, რომ ამ ჩხუბიდან გ ა მ ო დ ი ს რევოლუცია მხოლოდ გ ა შ უ ა ლ ე ბ ი თ, ე. ი. სარბიელზე პროლეტარიატის გამოსვლისას, და არა უშუალოდ, არა თვით ბურჟუაზიის «გამემარცხენებიდან») — ამ აზრს კამენევ-

სტატიის ამ ნაწილში მეტისმეტად დაბნეულად, უთავბოლოდ, მთლად მიკიბულ-მოკიბულად გამოთქვამს.

ჩემი აზრით, ამ სახით გაშვება **არ შეიძლება.**

ან დაარწმუნეთ ავტორი **გადააკეთოს** უკანასკნელი ორი მესამედი, — და მაშინ ჩვენ «გავასწორებთ» სტატიას, — ანდა სცადეთ თვითონ დაწეროთ თითქმის ხელახლა უკანასკნელი ორი მესამედი.

ამასთან გიგზავნით (გვ. 1—3 მელნით) გადაკეთების სანიმუშო გეგმას.

დაწერილია 1909 წ. ზაფხულს
ბონბონში (საფრანგეთი, სენისა და
მარნის დეპარტამენტი)

პირველად დაიბეჭდა 1930 წ.
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

Გ. ე. ზინოვიევს

სამშაბათი.

ძვირფასო გრიგოლ!

მივიღე სტატია შვედების გაფიცვის შესახებ[201]. ძალიან კარგია. პარიზში გავგზავნე აგრეთვე დასასრული ჩემი სტატიისა ბოგდანოვის შესახებ[202] (გამოვიდა 100 სტრიქონი — «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» დამატების 2 გვერდი). აღარ ვიცი, მოიწონებთ თუ არა ყველაფერს. **მთლიანად** ვანდობ თქვენს შეხედულებას: ისე მომბეზრდა ამ სტატიის წერა რომ ახლა არ ვიცი, ხომ არ აჯობებს ს უ ლ გადავაგდო იგი და ბოგდანოვს პირდაპირ ორიოდე სიტყვით ვუპასუხო «მთელი ფრაქციის ქონების» შესახებ მისი ჭორების გამო? გადაწყვიტეთ!

პლეხანოვზე დავწერ. მოწინავეში საჭიროა შვედების გაფიცვაზე ვილაპარაკოთ.

გართმევთ ხელს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1909 წ. 7 თუ 14
სექტემბერს ბონბონში (საფრანგეთი,
სენისა და მარნის დეპარტამენტი)

პირველად დაიბეჭდა 1930 წ.
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1910 წ.

ლ. ტიშკას

ტ.-ს ა თ ვ ი ს

10. 28. III.

ძვირფასო ამხანაგო! გმადლობთ როზა ლუქსემბურგის სტატიების გამოგზავნისათვის[203].

მთავარ საკითხზე — ვარსკის ლედერით შეცვლის გამო — ყოვლად გადაჭრით უნდა განვაცხადო პროტესტი. მომიტევეთ, თქვენ სრულიად შეუძლებელ მდგომარეობაში გვაყენებთ! არ ვილაპარაკებ ლედერის პირად თავისებურებებზე (იმდენად გვეცემოდა თვალში ეს თავისებურებანი ყრილობებსა და კონფერენციებზე ერთად მუშაობის დროს: ამ ყრილობებზე მიღებული შთაბეჭდილებანი სრულიად არ მოწმობდნენ ცოდნას, ნიჭს, ლიტერატურულ გემოვნებას, საქმის გაგებას, არამედ მოწმობდნენ წვრილმან შარიანობას etc. etc. ამასვე გწერთ, რა თქმა უნდა, privatissime*). არ ვილაპარაკებ იმაზე, რომ არ შეიძლება შეცვალო გამოცდილი ლიტერატორი, ჭკვიანი მარქსისტი და საუცხოო ამხანაგი გამოუცდელი და ნაკლებად გამოსადეგი კაცით.

მაგრამ მე ვილაპარაკებ ცენტრალური ორგანოს რედაქციის მდგომარეობაზე და პარტიის კ რ ი ზ ი ს ზ ე. შეუძლებელია არ ხედავდეთ, რომ მდგომარეობა კრიზისულია. მე და ვარსკი ვწერთ ცენტრალურ კომიტეტს ცენტრალური ორგანოს შემადგენლობის შეცვლის შესახებ (დანი მას აშკარად

* — ფრიად საიდუმლოდ. რ ე დ.

ფუშავს). ლიკვიდატორები ფუშავენ ცენტრალურ კომიტეტს. და ასეთ დროს, როდესაც უსათუოდ აუცილებელია კაცი, პლენუმზე ნამყოფი, მუშაობაში ნაცადი, კოლეგიაში შეწყობილი კაცი, რომელმაც სერიოზული ომი დაიწყო სერიოზულ მტერთან, — ასეთ დროს შეცვალო იგი ახალბედათი!! გეშინოდეთ ღვთისა — ეს ხომ ცენტრალური ორგანოს პარალიზებას ნიშნავს? ცენტრალური ორგანო ხომ ჯერჯერობით მთელი პარტიის ხელმძღვანელობის ერთადერთი ორგანო დარჩა, (ვიდრე ცენტრალური კომიტეტი არ შეიკრიბება ლიკვიდატორების მიერ მისი ჩაშლის შემდეგ). ცენტრალური ორგანოს შრომისუნარიანობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს — და ასეთ დროს «ხელახლად დაიწყო», ახალბედა «სამუშაოს გააცნო», საქმის ნაცვლად იკამათო. შეიგნეთ, რომ მენშევიკები პლენუმს ემყარებიან (მათ ფორმალურად უდავო უფლება აქვთ დაემყარონ მას) და კამათობენ პირდაპირ რეზოლუციის ყოველი სიტყვის გამო, რეზოლუციის ყოველი მოუხსენებლობის გამო, პლენუმზე მომხდარი (თუნდაც სულ მცირე) ინციდენტის გამო, რათა იპოვონ თავდასაძვრენი. და როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ აქ გაჭირვების ტალკვესად კაცი, რომელიც პლენუმზე არ ყოფილა და რომელსაც ძალიან დიდი ხანია ჩვენთან არ უმუშავნია რსდმპ ცენტრებში. ეს ხომ აბსოლუტურად შეუძლებელია! ეს ნიშნავს შეაფერხო საქმე — და ისეთ დროს, როდესაც ყოველ კრებაზე უმნიშვნელოვანესი საკითხები უნდა გადაწყვიტო. ლედერი ხომ იძულებული იქნება მენშევიკების ათასი მოსაზრებისა და შარის გამო თქვას: არ ვიცი (მენშევიკები საშინლად მოხერხებულნი არიან, რომ გამოიყენონ ყოველგვარი fraktioneller Dreck*, როგორც ეს თქვენ ჩინებულად იცით). ჰოდა, განა წარმოსადგენია ასეთი კაცი ასეთ დროს?

არა, არა. ჩვენ არ მოვითხოვთ რაიმე გადაჭარბებულს PSD**-საგან. ჩვენ ვიცით მისი ძალები, მისი საჭიროე-

* — ფრაქციული სისაძაგლე. რ ე დ.

** — პ ს დ — პოლონეთის სოციალ-დემოკრატიისაგან. რ ე დ.

ბანი, პოლონეთში მუშაობის მოთხოვნები. ჩვენ არ ვტვირთავთ ვარსკის და არ ვწყვეტთ მას პოლონური ლიტერატურული მუშაობისაგან. მაგრამ თქვენ აუცილებლად უნდა დაგვიტოვოთ იგი ცენტრალურ ორგანოში, როგორც შევთანხმდით ამის გამო პლენუმის დროს. უვარსკოდ ჩვენ აბსოლუტურად არ ძალგვიძს «დავძლიოთ» კრიზისის დრო — მივაღწიოთ ცვლილებას ცენტრალური ორგანოს შემადგენლობაში. აი როცა კრიზისი გაივლის, როცა ცენტრალური ორგანოს შემადგენლობა შეიცვლება, მაშინ... მაგრამ მაშინაც, გაფიცებთ ყველა წმიდანს, არა ლედერი. მოგვეცით მაშინ კარსკი, თუ შეუძლებელია მაშინაც დაგვიტოვოთ ვარსკი. ახლა კი ვარსკი აბსოლუტურად, აბსოლუტურად აუცილებელია.

გართმევთ ხელს. სალამი როზას.

თქვენი ლენინი

გაგზავნილია პარიზიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მ. მ. ზოლინას

მ. მ.-თ ვ ი ს

10. 30. IV.

ძვირფასო ამხანაგო! გმადლობთ, რომ მაცნობეთ მიხეილის მდგომარეობა. მაშინვე გადავდგი ნაბიჯები მისთვის სუბსიდიის დასანიშნად. საქმე ის არის, რომ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს მეშვეობით ამის გაკეთება უიმედო საქმეა, რადგან იქ ახლა ჩვენ უმცირესობა ვართ. იყო შემთხვევა და მე გადავეცი რუსეთის ცენტრალურ კომიტეტს, რათა მას დაენიშნა სუბსიდია მიხეილისათვის. იმედი მაქვს, რომ ორიოდე კვირის შემდეგ მექნება ხელსაყრელი პასუხი. ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი აუცილებელია მივაღწიოთ, რათა მიხეილმა განაგრძოს მკურნალობა, რომ იგი ჯერჯერობით დარჩეს დავოსში სრულ გამომჯობინებამდე.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

ჩემი მისამართი:
Mr. VI. Oulianoff.
4. Rue Marie Rose. 4.
Paris. XIV.

გაგზავნილია პარიზიდან დავოსში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1930 წ.
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ლ. ტიშკას

20. 7.

Werter Genosse*! ახლა გავიგე ვარსკისაგან, რომ ორი გოლოსელი (რომელნიც პლენუმზე იყვნენ) უკვე რუსეთშია. მდგომარეობა კრიზისულია. ჩვენ **სამი** ბეკი გავწირეთ პლენუმის შემდეგ[204]. მეტი არ შეგვიძლია. თუ პოლონელები არ გვიშველიან, მორჩა და გათავდა. ან გვიშოვეთ მეორე ცეკისტი პოლონელი ღა გაგზავნეთ განეცკისთან ერთად 2 — 3 კვირით კოლეგიის მოსაწვევად რაც უნდა დაჯდეს **მხოლოდ** «ზომების» გასატარებლად და კოოპტაციისათვის, — ანდა დაღუპვა[205]. თქვენზეა დამოკიდებული. ჩვენ ყოველივე შესაძლებელი მოვიმოქმედეთ, დავღუპეთ სამი. მეტი არ ზეგვიძლია. **მოიწერეთ: Mr. Oulianoff. Rue Mon Désir. Villa les Roses. Pornic (Loire-Inférieure). France. იქ ვიქნები 23 აგვისტომდე—მერე კოპენჰაგენში[206].**

დიდი სალამი როზას.

თქვენი ნ. ლენინი

დაწერილია 1910 წ. 20 ივლისს
გაგზავნილია პარიზიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — პატივცემულო ამხანაგო! რედ.

კ. რადეკს

10. 30. IX.

Werter Genosse*! მაპატიეთ, რომ დაგვიანებით გიპასუხებთ თქვენს ორივე წერილზე. მხოლოდ ეუშინწინ დავბრუნდი პარიზში[207], ასე რომ არ შემეძლო უფრო ადრე მეპასუხნა.

რაც შეეხება სტატიას ცენტრალური ორგანოსათვის კოპენჰაგენის ყრილობის მიერ განიარაღების გამო მიღებული რეზოლუციის თაობაზე, სტატია უკვე შეკვეთილია (ჯერ კიდევ კოპენჰაგენში) და დაწერილია სხვა თანამშრომლის მიერ. სამწუხაროდ, თქვენმა წინადადებამ დაიგვიანა.

იმის გამო, რომ თქვენი სტატია შემდეგ ნომერში წავიდეს, საჭიროა მოველაპარაკოთ ვარსკის და მეორე თანარედაქტორს. მე ამას ვიზამ.

«Leipziger Volkszeitung»**-ში დაბეჭდილი თქვენი მოწინააღმეების გამო უნდა ვთქვა, საკითხი მეტად საინტერესოა, მაგრამ მე ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი მას, და მგონია, რომ თეორიულად თქვენ არც თუ მთლად მართალი ხართ. «კაპიტალიზმის ფარგლებში განუხორციელებელის» კრიტერიუმი არ შეიძლება ისე გავიგოთ, რომ ბურჟუაზია არ დაუშვებს, რომ ამის გატარება არ შეიძლება და სხვ. ამ მხრივ ჩვენი პროგრამა — minimum-ის ბევრი მოთხოვნა «განუხორციელებელია» და მაინც სავალდებულოა.

---

* — პატივცემულო ამხანაგო! რ ე დ.

** — «ლაიფციგის სახალხო გაზეთი». რ ე დ.

შემდეგ, ინტერნაციონალის ადრესს რომ იხსენიებთ, თქვენ ციტატაში გამოტოვებული გაქვთ მარქსის სიტყვები სახელმწიფოთა ურთიერთობის პრინციპებზე. მაგრამ არის თუ არა ეს «პროგრამა-მინიმუმი» ინტერნაციონალურ პოლიტიკაში? და ბოლოს, რატომ კრინტსაც არ სძრავთ ენგელსის «Kann Europa abrüsten?» გამო[208]?

ჩემი აზრით სავსებით მართალი ხართ (ყოველივე ჩემი პირადი აზრია, რა თქმა უნდა), რომ შეუძლებელია გამოვტოვოთ ხალხის შეიარაღების მოთხოვნა. უფრო მართებული ხომ არ იქნებოდა მიგვემართა იერიში არა იმაზე, რომ Abrüstung* არის რეზოლუციაში, არამედ იმაზე, რომ Volkswehr** არ არის მასში?

მარტოვსა და ტროცკის მე მსურს ვუპასუხო «Neue Zeit»***-ში. უკვე მივწერე კაუცკის და ვკითხე, მოათავსებს თუ არა და რა მოცულობისას. «Leipziger Volkszeitung»-შიც საჭიროა, რა თქმა უნდა, ვუპასუხოთ.

გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზიდან ლაიფციგში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — განიარაღება. რ ე დ.

** — ხალხის შეიარაღება. რ ე დ.

*** — «ახალი დრო». რ ე დ.

კ. რადეკს

ამხანაგ კარლ რადეკს

10. 9. X.

პატივცემულო ამხანაგო! განზრახვა მქონდა მარტოვისა და ტროცკის სტატიებზე მეპასუხნა დიდი სტატიით საქმის არსის გამო «Neue Zeit»*-ში. მაგრამ სხვაგვარად გამოვიდა. თქვენ დაბეჭდეთ ძალიან კარგი განცხადება, ხოლო ამხ. კარსკიმ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ კაუცკისა და ვურმს ჩემს განზრახვას წერილით შევატყობინებდი, გაგზავნა «Neue Zeit»-ში სტატია მარტოვის წინააღმდეგ[209]. ვურმმა კარსკის სტატია მე გადმომიგზავნა, და დავთანხმდი ამ სტატიით დავკმაყოფილებულიყავი.

მაგრამ მე არ შემიძლია უპასუხოდ დავტოვო მარტოვისა და ტროცკის სრულიად წარმოუდგენელი უაზრობანი და დამახინჯებანი. უკვე მზად მაქვს ჩემი სტატიის დაახლოებით მესამედი თუ ნახევარი. მისი თემაა: «ისტორიული აზრი შინაპარტიული ბრძოლისა რუსეთში».[120] თუ კაცი ხართ, მირჩიეთ. შესაძლებელია და მიზანშეწონილია თუ არა მოვათავსო ეს სტატია «Leipziger Volkszeitung»**-ში?

---

* — «ახალი დრო». რ ე დ.

** — «ლაიფციგის სახალხო გაზეთი». რ ე დ.

თუ ამ კითხვის პასუხი იმაზეა დამოკიდებული, მოეწონება თუ არა ჩემი სტატია რედაქციას, მე, რა თქმა უნდა, ძზად ვარ გადმოგცეთ თქვენ სტატია ყოველგვარი პირობის დაუთქმელად.

ძალიან მადლობელი ვიქნებოდი, თუ თქვენ უკვე ახლა რაიმეს მაცნობებდით ამის გამო. მაგალითად, მინდა ვიცოდე, შეგიძლიათ თუ არა მოათავსოთ «Leipziger Volkszeitung»-ში რამდენიმე ფელეტონი ამ თემაზე? რა დიდი შეიძლება იყოს maximum სტატია? და კიდევ: მე არ შემიძლია გერმანულად წერა, არამედ ვწერ რუსულად, შეგიძლიათ თუ არა თქვენ ლაიფციგში უზრუნველყოთ გადათარგმნა — თუ ეს თქვენთვის უხერხულია ან საძნელო და მე მომიხდება გამოვძებნო აქ მთარგმნელი (ამასაც, ცხადია, უთუოდ შეეძლებ)—თუ, ბოლოს მე დავწერო ჩემს ძალიან ცუდ გერმანულზე (რის ნიმუშიც მოიპოვება ამ წერილში), ხოლო ლაიფციგში უკვე გადათარგმნით ცუდი გერმანულიდან კარგ გერმანულზე (ერთხელ ერთმა მეგობარმა მითხრა, სჯობია კარგი რუსულიდან გადათარგმნო გერმანულ ენაზე, ვიდრე ცუდი გერმანულიდანო).

საუკეთესო სურვილებით.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

ჩემი მისამართი:
Mr. VI. Oulianoff.
4. Rue Marie Rose. 4.
Paris. XIV.

ჟურნალია პარიზიდან ლაიფციგში

პირველად დაიბეჭდა 1930 წ.
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

გ. ვ. პლეხანოვს

10. 22. XI.

ძვირფასო გ. ვ.! ახლა ამხ. გრიგოლმა გადმომცა თქვენი წერილი. საერთაშორისო სოციალისტური ბიუროდან მე მქონდა მარტოოდენ ერთი ქაღალდი მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ ფულის შესახებ — ე. ი. საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს შესანახად ჩვენი პარტიის შესატანის შესახებ. იგი ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს მოლარეს გადავეცი და ჰიუისმანს ვუპასუხე, შესატანის შესახებ ცენტრალურ კომიტეტს ვაუწყე-მეთქი. საერთაშორისო სოციალისტური ბიუროდან ყოველ «არაფულად» ქაღალდს მე, რათქმა უნდა, თქვენ გადმოგიგზავნით ხოლმე.

როგორია, თქვენი აზრით, «რაბოჩაია გაზეტა»?

აქ ამბობენ, მარტოვი და კომპ., «გოლოსს» რომ აახლებდნენ, მენშევიკ-პარტიელებს მიმართავდნენ, «მ ა თ ი» ჯგუფიდან «გადითო».

გართმევთ ხელს.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წ. ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

1911 წ.

გ. ვ. პლეხანოვს

11. 3. II.

ძვირფასო ამხანაგო! დღეს მივიღე თქვენი წერილი ზინგერის შესახებ და გადავეცი ამხანაგს, რომელიც დაგვპირდა, დეპეშას გავგზავნიო (თვითონ ავად ვარ მცირე ინფლუენციით) — ბარემ. 18 დეკემბერს გამოგიგზავნეთ ჰიუისმანსის წერილი და ჩემი პასუხის პროექტი[211]. უკვე ძალიან დიდი ხანია პასუხი არ არის თქვენგან!! ჰიუისმანსის წერილი მაინც გამოგზავნეთ.

ფრაქციიდან იწერებიან, რომ ლიკვიდატორებმა კვლავ შემოგვიტიეს მას შემდეგ, რაც «ზვეზდის» № 4-ში იორდანსკის შენიშვნა გამოქვეყნდა. ლიკვიდატორებს მხარს უჭერდნენ სმირნოვი, მარტოვის ძმა, ჩერევანინი და სხვ.

წინააღმდეგ იყვნენ ვესელოვსკი, ჩერნიშევი, ლოსიცკი.

პოლეტაევი (რომელმაც ეს მომწერა) ამბობს, რომ გამარჯვება უეჭველია, ე. ი. ლიკვიდატორების შემოტევა მოგერიებულია.

გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზიდან
სან-რემოში (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1930 წ.
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.! როგორა ხართ? მ. თ. იწერებოდა, რომ თქვენ ხველებაშეყრილი დაბრუნებულხართ, და სხვ. იმედია, გამოკეთდებოდით.

ჩვენს «მისლს» უბედურება შეემთხვა[212]. «რ ე ჩ ი დ ა ნ» და სხვა გაზეთებიდან თქვენ, ალბათ, იცით, თუ რა მდგომარეობაა. საქმე პიტერში უნდა გადავიტანოთ და ხელახლა დავიწყოთ. ჩვენ კი ლეგალური საიმედო ადამიანები არა გვყავს.

ხომ არ შეძლებდით დაგვხმარებოდით, თუ «მისლს» თანაუგრძნობთ? ან, იქნებ, პიატნიცკი დაგვეხმარებოდა.? საქმე ისეა, რომ ჩვენ ჯერჯერობით ფული გვაქვს ასეთი პატარა ჟურნალის გამოსაცემად (რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ ჩვენ ყველა უფასოდ ვიმუშავებთ და გარეშეებს თაბახში 20 მანეთს მივცემთ! ხელგაშლილად ვერა ვართ, როგორც ხედავთ). მაშასადამე, ა ხ ლ ა მხოლოდ და მხოლოდ ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი დახმარება გვესაჭიროება: მოვნახოთ გამომცემელი, რომელიც გამოსცემდა ჟურნალს ისე, რომ **თავისას ერთ კაპიკს არ დახარჯავდა** (ამასთან ჩვენ იმდენად ვცნობთ უ მ კ ა ც რ ე ს ლეგალობას, რომ უფლებას ვაძლევთ გამომცემელსაც და რედაქციის მდივანსაც+იურისტი დ ა ა-კ ა ვ ო ნ ყოველივე ცოტათი სახიფათო: ოთხი № ჩვენ ისე გამოვუშვით, რომ სასამართლოს სულ მცირედი შარიც არ

მოუდვია. № 5 დააკავეს კაუცკის გამო[213]!! ცხადია, რომ ეს შარის მოდებაა. არაფერი არალეგალური კაუცკის არა აქვს).

რატომ პიატნიცკი ან სხვა ვინმე არ უნდა დაგვეხმაროს ესოდენ უშიშარ რამეში? თუ გამომცემელს ვერ გამოვნახავთ, ხომ არ შეიძლება მოვნახოთ მ დ ი ვ ა ნ ი — **ლეგალური** კაცი, რომელსაც ჩვენ გადავუხდით 50 მანეთს თვეში სტამბასა და ექსპედიციასთან ჯახირისათვის. საჭიროა პატიოსანი და მზრუნველი კაცი, ესაა და ეს. ლეგალური ადამიანები ჩვენ ა რ ა გვყავს — გარდა მუშებისა (ისინი შესაფერისნი არ არიან), — აი ჩვენი უბედურება.

მეორე საქმე. ჩვენ გვაქვს უკვე ა ნ ა ზ ღ ა უ რ ე ბ უ ლ ი თარგმანი კაუცკის უახლესი სტატიებისა მასლოვის წინააღმდეგ[214]. ლეგალური რამ არის. საჭირო რამაა, ვინაიდან მასლოვმა უზომოდ მოჭორა და ტყუილები მიაწოდა რუს მკითხველებს. 3 — 5 ნაბეჭდი თაბახია. ხომ არ შეიძლება გამოიცეს — უჰონორარაოდ (ვინაიდან თარგმანი უკვე ანაზღაურებულია), თვითღირებულების მიხედვით? გამოდგება თუ არა ამგვარი რაიმესათვის პიატნიცკი (ან სხვა ვინმე)?

მესამე საქმე ი. ბ. ნახამკისი, პიტერიდან აქ გადმოსახლებული სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციასთან ურთიერთობისათვის (იგივე ნ ე ვ ზ ო რ ო ვ ი, ს ტ ე კ ლ ო ვ ი, ავტორი კარგი წიგნისა ჩერნიშევსკის შესახებ[215]), ძალიან ეძებს სამუშაოს და გვთხოვს გკითხოთ, ხომ არ შეიძლება გამოიცეს **პირი:** «მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს პ ო ლ უ ს ი ს ა კ ე ნ». ფიქრობს, რომ გასაღდება.

რა ახალი «გეგმები» გაქვთ? მოიწერეთ ხოლმე.

ჩვენს სკოლაში მოსწავლე მუშებს კი უპასუხეთ. კარგი ყმაწვილები არიან. ერთი პოეტია, საცოდავი სულ ლექსებს წერს, მაგრამ არ ჰყავს ხელმძღვანელი, თანაშემწე, დამრიგებელი და მრჩეველი.

გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

Robert E. Peary:

«La découverte du pôle nord». Paris. — საუცხოო ილუსტრაციებია. კლიშეები შეიძლება აქ იაფად იყიდო. 15-დე ნაბეჭდი თაბახი, 40 000 ნიშანი თვითეული. (ახლა ვიყავი სტეკლოვთან, რომელმაც გადმომცა ეს დეტალები).

დაწერილია 1911 წ. აპრილის დამლევს
გაგზავნილია პარიზიდან კაპრის
კუნძულზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წ.
ლენინის კრებულში I

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

საქმის ვითარება პარტიაში

ჩვენი პარტია, უეჭველია, თავისი განვითარების ერთ-ერთ კრიზისულ პუნქტს მიადგა. ყველა ბოლშევიკმა უნდა დაძაბოს ძალები, რომ ბოლომდე გამოარკვიონ თავიანთი პრინციპული ხაზი, დაირაზმონ და კვლავ, როგორც წინათ, გზაზე გამოიყვანონ პარტია.

საზღვარგარეთ ეს-ეს არის (1911 წლის ივნისსა და ივლისში) მოხდა ამბები, რომლებიც პარტიული ცენტრების კრიზისს მოასწავებენ. ეს ამბები, რომლებიც გადმოცემული და გაშუქებულია თითქმის ყველა ფრაქციისა და მიმდინარეობის მთელ რიგ ფურცლებში, იმაში მდგომარეობენ, რომ ლიკვიდატორებმა (ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს მეშვეობით[216]) საბოლოოდ ჩაშალეს პლენუმის მოწვევა. ბოლშევიკებმა კავშირი გაწყვიტეს ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროსთან, რომელმაც თავი კანონს გარეშე დააყენა, და «შემარიგებლებთან» და პოლონელებთან ბლოკით შექმნეს «ტექნიკური კომისია» და «ორგანიზაციული კომისია»[217] კონფერენციის მოსაწვევად.

როგორია ამ ამბების პრინციპული მნიშვნელობა?

გათიშვა ლიკვიდატორებთან, რომლებმაც კავშირი გაწყვიტეს რსდმ პარტიასთან, მაგრამ რომლებიც აბრკოლებდნენ მთელ მის მუშაობას ცენტრების შიგნით (როგორიც არის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო), ნიშნავს ამ დაბრკოლების მოსპობას და იმის შესაძლებლობას, რომ ერთსულოვნად მოვკიდოთ ხელი არალეგალური და ნამდვილად რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტიის

აღდგენას. ეს არის პირველი და მთავარი. მეორე: კავშირის გაწყვეტა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროსთან, რომელმაც დაარღვია ყველა პარტიული კანონი (და ამის შემდეგ ცენტრალური ორგანოს რედაქციიდან მარტოვისა და დანის გასვლა, რომლებიც 1910 წ. თებერვლიდან არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ ცენტრალურ ორგანოში) ნიშნავს პლენუმის (1910 წ. იანვარი) იმ შეცდომის გასწორებას, რომლის მეოხებითაც ცენტრებში აღმოჩნდნენ არა პარტიული მენშევიკები, არამედ გოლოსელები[218], ე. ი. ლიკვიდატორები. პლენუმის პრინციპული ხაზი (მუშათა პარტიის გაწმენდა ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის ბურჟუაზიულ მიმდინარეობათაგან) ახლა განთავისუფლებულია ლიკვიდატორული ცენტრებისაგან, რომლებიც მას ჩქმალავდნენ.

საბედნიეროდ, გოლოსელთა და ტროცკის თვალთმაქცური ბოდება ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს დასაცავად შეფასებულ იქნა მედიატორეთა მიერ. სამ გერმანელ სოციალ-დემოკრატს (მერინგს, კაუცკისა და ცეტკინას) უნდა გადაეწყვიტათ ბოლშევიკების იმ ფულის საკითხი, რომელიც პირობითად გადაეცა ცენტრალურ კომიტეტს, მაგრამ მათ გადაწყვიტეს, წინასწარ, კონფერენციამდე, გადაეცეს ფული არა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს, არამედ ტექნიკურ კომისიას. ეს გადაწყვეტილება უდრის სამედიატორო სასამართლოს მიერ იმის აღიარებას, რომ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო მართალი არ არის.

როგორ იქცევიან დანარჩენი ფრაქციები საზღვარგარეთ? ტროცკი, რა თქმა უნდა, ექომაგება ლიკვიდატორებს, აგრეთვე ეპერიოდელები[219] (ეს მათ ჯერ კიდევ არ უთქვამთ პრესაში, მაგრამ ცნობილია მათი ოფიციალური მოლაპარაკებიდან ორგანიზაციულ კომისიასთან). პლეხანოვი «ელოდება», ჯერჯერობით კი ქადაგებს (იხ. პლეხანოველთა რეზოლუცია) ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროსთან შეთანხმებას.

ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო ცდილობს თვითონ მოჰკიდოს ხელი კონფერენციის მოწვევას ტროცკის, «ვპერიოდის» და კომპანიის დახმარებით. გამოვა თუ არა რაიმე ასეთი «კავშირიდან» — არავინ იცის. პრინციპული კრახი აქ გარდუვალია. ამ ბლოკიდან ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა გამოვიდეს პარტიული მუშაობის თუნდაც მსგავსი რამ. «ბლოკი», რომელსაც ყოფილი ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო აწყობს, არაფერს არ ნიშნავს. გარდა ინტრიგისა იმისათვის, რომ დ ა ფ ა რ ო ნ ბ-ნ პოტ-ფეესოვის, მიხეილის, იურის, რომანისა და კომპანიის ჯგუფის ანტიპარტიული და ანტისოციალ-დემოკრატიული საქმიანობა.

ბოლშევიკების ამოცანა ახლა ის არის, რომ დაირაზმონ, წინააღმდეგობა გაუწიონ სოციალ-დემოკრატიის ყველა ენტერს, მაგალითი უჩვენონ ყველა მერყევს და დაეხმარონ არალეგალურ რსდმ პარტიას ფეხზე წამოდგეს.

აბობენ: ეს გათიშვაო. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროში მოკალათებული ვაჟბატონების ამ ყვირილის თვალთმაქცობა აღიარეს გერმანელებმაც კი, რომლებისთვისაც უცხოა რუსეთის საქმეები. გერმანულ ენაზე გამოსული მარტოვის ბროშურის გამო, რომლებიც შემნახველებს გადაეცათ, კლარა ცეტკინამ ასეთი აზრი გამოთქვა: «საძაგელი ნაწარმოებიაო».

რუსეთში არ არის არალეგალური ორგანიზაციების გათიშვა, არ არიან პარალელური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. არიან პარტიელები და გამოყოფილი, გამოცალკევებული ლიკვიდატორები. გოლოსელების, ტროცკის, ბუნდის, «ვპერიოდის» და სხვ. საზღვარგარეთელ ჯგუფებს სურთ დაფარონ ლიკვიდატორების გამოყოფა, დაეხმარონ მათ რსდმ პარტიის დროშის ქვეშ დამალვაში, დაეხმარონ მათ რსდმ პარტიის აღდგენის ჩაშლაში. ჩვენი საქმეა, რადაც უნდა დაგვიჯდეს ვებრძოლოთ ლიკვიდატორებს და, მ ა თ ი წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ, აღვადგინოთ რსდმ პარტია. ჩამოშორებულ ლეგალისტთა წინააღმდეგობის მიუხედავად, არალეგალური პარტიის აღდგენისა და განმტკიცე-

ბისათვის «გათიშვის» დარქმევა ნიშნავს ჭეშმარიტების აბუ-ჩად აგდებას და (შეუგნებლად თუ თვალთმაქცურად) ლი-კვიდატორებისათვის დახმარებას. ამბობენ, ბოლშევიკებს ფრაქცია უნდათო. ამ პუნქტის გამო გამოიყვნენ ახლა (პა-რიზში) განსაკუთრებულ ფრაქციად «შემარიგებლები». «ფრა-ქციულობა» არა გვსურსო, და ახალი ფრაქცია კი შექმნეს (განსაკუთრებული წარმომადგენლობით ტექნიკურ კომისიასა და ორგანიზაციულ კომისიაში — სწორედ ეს არის ფრაქციის ძირითადი ნიშანი, შემარიგებელთა შინაგანი დისციპლინა თა-ვიანთ შორის).

როგორ დგას ფრაქციულობის საკითხი? ბოლშევიკებმა 1910 წ. იანვარში დაშალეს თავიანთი ფრაქცია იმ პირო-ბით, რომ ყველა ფრაქცია აგრეთვე დაშლილი იქნებოდა. პირობა, როგორც ყველამ იცის არ შესრულებულა. «გოლოს-ია», «ვპერიოდმაც», ტროცკიმ და კომპანიამაც გააძლი-ერეს თავიანთი ფრაქციული განკერძოებულობა. და ჩვენ, ბოლშევიკებმა, 1910 წ. 5 დეკემბერს აშკარად განვაცხადეთ, რომ პირობა დარღვეულია, რომ ჩვენი ხელშეკრულება ფრაქციების დაშლის შესახებ გაუქმებულია, და უკან-ვე მოვითხოვეთ ჩვენი ფრაქციის ფული.

არა მარტო ანტიპარტიული მიმდინარეობანი, არამედ პლეხანოველებიც ფრაქციად დარჩნენ; მათ აქვთ თავიანთი ორგანო («დნევნიკ»), თავიანთი პლატფორმა, ჰყავთ თა-ვიანთი ფრაქციული კანდიდატები ცენტრებში ასარჩევად. აქვთ ფრაქციის თავიანთი შინაგანი დისციპლინა.

რა ფუჭი ფრაზაა, საქმის ასეთი ვითარების დროს, ყვი-რილი «ფრაქციულობის» წინააღმდეგ, ამასთან იმ ადამიანების მხრივ, რომლებმაც ეს არის შექმნეს თავიანთი ფრაქცია. ხომ დროა შევიგნოთ, რომ ფრაქციის წინააღმდეგ ყვირილი მართ-ლაც დიდმნიშვნელოვანი საკითხისათვის, სხვადასხვა ფრაქ-ციის მუშაობის პარტიული თუ პარტიისაწინაა-ღმდეგო შინაარსის საკითხისათვის თვალის არიდე-ბაა. ჩვენ, ბოლშევიკებმა, «შემარიგებლებისა» და პოლონე-ლების ფრაქციებთან ბლოკით შევადგინეთ ტექნიკური

კომისია და ორგანიზაციული კომისია. პოლონელები ემ-ბ რ ო ბ ი ა ნ «შემარიგებლებს», ჩვენ უმცირესობაში ვართ, ჩვენ პასუხს არ ვაგებთ ტექნიკური კომისიისა და ორგანიზ-აციული კომისიის შემარიგებლური შ ე ც დ ო მ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. «შემარიგებლობის» მთელი ისტორია (რომელსაც ჩვენ გამო-ვიტანთ პრესაში, როგორც კი შემარიგებლები გ ვ ა ი ძ უ-ლ ე ბ ე ნ გავაკეთოთ ეს) მის მცდარობას ღ ა ღ ა დ ე ბ ს. ბოლშევიკებმა უნდა შეიგნონ ეს, რომ აღარ გაიმეორონ ეს შეცდომები.

«შემარიგებლებმა» ვ ე რ შ ე ი გ ნ ე ს ლიკვიდატორებთან ერთად ეროვნის იდეური ფესვები, ამიტომ დაუტოვეს მათ მთელი რიგი ს ა ძ რ ო მ ე ბ ი და ხშირად (უნებლიეთ) სათამაშო იყვნენ ლიკვიდატორების ხელში. «შემარიგებლებმა» 1910 წ. იანვრის პლენუმზე გაიყვანეს (პოლონელებთან ერთად) რე-ბოლუციის იდეოლოგიური პუნქტი: «პირველად» და ა. შ. (იხ. ლენინის სტატია «დისკუსიონნი ლისტოკში» № 2[220], «დნევ-ნიკი» პლეხანოვისა, რომელმაც ეს პუნქტი მიიჩნია ფუყედ, ინტეგრალისტურად, ე. ი. უაზროდ). «შემარიგებლები» და-ენდნენ «გოლოსელებს»; ამისათვის «გოლოსი» ს ა ჯ ა რ ო დ თავსა სჭრიდა შემარიგებლებს თავისი ლოშნით.

შემარიგებლები ენდვნენ ტროცკის, რომელმაც აშკარად და სავსებით იბრუნა პირი ლიკვიდატორებისაკენ. რუსეთში შემარიგებლები (რომლებსაც წელიწადზე მეტ ხანს ჰქონდათ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, ე. ი. მ თ ე ლ ი ძალაუფ-ლება და მ თ ე ლ ი ფული) ევაჭრებოდნენ ლიკვიდატორებს, ეპატიჟებოდნენ მათ, «ელოდნენ» მათ და ა მ ი ტ ო მ ა რ ა-ფ ე რ ი არ გაუკეთებიათ.

ახლა, ტექნიკურ კომისიასა და ორგანიზაციულ კომისია-ში რომ შევიდნენ, შემარიგებლები გზაჯვარედინს მიადგნენ: ერთი მხრივ, ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროსთან კავშირის გაწყვეტის ფ ა ქ ტ ი შემარიგებლური შეცდომების აღიარება და გამოსწორებაა. მეორე მხრივ, ბოლშევიკების წინააღმდეგ ცალკეული ფრაქციის შექმნა და

ყველაზე ნაკლებად მტკიცე პოლონელებთან კავშირი ნაბიჯია ძველი შეცდომების განგრძობისაკენ.

ჩვენი ვალია გავაფრთხილოთ ყველა ბოლშევიკი, რომ არსებობს ასეთი საფრთხე, და მოვუწოდოთ მათ დარაზმონ მთელი ძალები და ი ბ რ ძ ო ლ ო ნ კონფერენციისათვის. ყველა და ყველაფერი მობილიზებული უნდა იყოს ამ ბრძოლისათვის. ბოლშევიკებმა უნდა გაიმარჯვონ, რომ გზაზე გამოიყვანონ პარტია.

ბოლშევიკებმა ორი შეცდომა განიცადეს როგორც მიმდინარეობამ რევოლუციის შემდეგ: 1) ოტზოვიზმ-ვპერიოდელობა და 2) შემარიგებლობა (ქანაობა ლიკვიდატორებისაკენ). დროა თავი დავაღწიოთ ორივე ამ შეცდომას.

ჩვენ, ბოლშევიკებმა, მტკიცედ გადავწყვიტეთ: ა რ ა ვ ი თ ა რ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი არ გავიმეოროთ (და ა რ ა ვ ი ს მ ი ვ ც ე თ შესაძლებლობა გაიმეორონ) შემარიგებლური შეცდომა ა ხ ლ ა. ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ შეგვეფერხებინა რსდმ პარტიის აღდგენა, ჩაგვება იგი ახალ თაბაშში გოლოსელებთან (ან ტროცკის მსგავს მათს ლაქიებთან), ვპერიოდელებთან და სხვ. ხოლო დრო კრიზისულია, დაყოვნება არ შეიძლება.

ყველა ბოლშევიკი უნდა დაირაზმოს, მათ სწრაფად და რ ა დ ა ც უ ნ დ ა დ ა უ ჯ დ ე თ უნდა მოაწყონ კონფერენცია, გაიმარჯვონ კონფერენციაზე ან გადავიდნენ აშკარა, ნათელ, პრინციპულ პოზიციაზე. პარტიის გამოყვანა გზაზე შეუძლია მხოლოდ ბოლშევიზმს, რომლისთვისაც უცხოა მარცხნივ და მარჯვნივ ქანაობა.

დაწერილია 1911 წ. ივლისში

პირველად დაიბეჭდა 1956 წელს ჟურნალ «კომმუნისტში» № 5

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

ა. მ. გორკის

11. 15. IX.

ძვირფასო ა. მ.! უკანასკნელად თქვენ, ალბათ, ორიოდე თვის წინათ მოგწერეთ — სკოლის[221] დაწყებისას (რომელიც ახლა უკვე დამთავრებულია და მსმენელები წავიდ-წამოვიდ-ნენ). პასუხი არ ყოფილა, — ვიფიქრე, ხომ არ გაჭიანურებულა «მოლაპარაკება» ან ხომ არ შეცვლილა რაიმე რადიკალურად-მეთქი. ამ დღეებში აქ იყო ლეშჩენკო, რომელმაც მოგვითხრო კაპრის ამბავი, და მე ძალიან გამეხარდა, როცა გავიგე, საქმე იმის გამო შეფერხებულა, რომ თქვენ მიერ ნავარაუდევი შეხვედრები «ბაზრობის[222] შემდგომ» დრომდე გადაიდო. გეგმები კი, ამბობდა ლეშჩენკო, წინანდელია კაპრიზე: სქელტანიანი ჟურნალიც, დიდი გაზეთიც და კიდევ, მგონი, გაზეთი-კაპიკი.

დიახ, დიახ. ახლა სწორედ ეს გვჭირდება. ლიკვიდატორები ყიდულობენ (ასე ამბობენ პიტერში, საიდანაც დღეს წერილი მივიღეთ) კიევის კაპიკიან გაზეთს და პიტერში გადაიტანენ. მეტისმეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა შევბრძოლებოდით მათ.

ჯერჯერობით შევძელით მხოლოდ გვეშოვნა ცოტაოდენი ფული «ზ ვ ე ზ დ ი ს» გასაახლებლად. დიდი იმედი მაქვს თქვენი დახმარებისა: გამოგვიგზავნეთ სტატია. დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასაწყისში, რადგან შეწყვეტილი გამოცემის აღდგენა-მოწესრიგება ადვილი არ იქნება.

მიიღეთ და წაიკითხეთ თუ არა კამენევის ბროშურა? იმედი მაქვს, რომ მან უნდა გაჰფანტოს ზოგიერთი უმართებულო აზრი, რაც თქვენ, როგორც ეტყობა, გაქვთ მისი ავტორის შესახებ.

პარტიულ საქმეებში ჩვენთან დიდი არევ-დარევაა, მაგრამ მაინც მდგომარეობა მალე გამოირკვევა, პლეხანოვი მელაკუდობს — ეს მდგომარეობის გამორკვევის წინ მას ყოველთვის სჩვევია, როგორც ერთგვარი ავადმყოფობა. მარტოვმა კაუცკისა და ცეტკინას გაუგზავნა თავისი ბროშურის თარგმანი (მანქანაზე გადაბეჭდილი), რითაც ძ ა ლ ი ა ნ დაგვეხმარა: კაუცკიმაც და ცეტკინამაც ბროშურა მკაცრად დაგმეს. პირველმა მას უწოდა «საზიზღარი», მეორემ «ბინძური».

აბა, გისურვებთ ყოველივე კარგს. წერეთ «ზ ვ ე ზ დ ი ს ა თ ვ ი ს».

მოიწერეთ ორიოდე სიტყვა, თუ არ დაგეზარებათ. დიდი სალამი მარიამ თევდორეს ასულს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზიდან კაპრის
კუნძულზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1925 წ.
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გ. ლ. შკლოვსკის

პატივცემულო ამხანაგო! აქედან ჟენევას მიმავალი (აქ ხვალ ვკითხულობ რეფერატს თემაზე «სტოლიპინი და რევოლუცია»), გზად ბერნში შევივლი და მინდა ვნახო იქაური ბეკები. დაუყოვნებლივ შემატყობინეთ (მისამართი მეორე მხარეზეა* N N-თ ვ ი ს), დამხვდებით თუ არა ოთხშაბათს ან ხუთშაბათს და კიდევ არიან თუ არა თქვენთან ბეკები.

გართმევთ ხელს. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. თქვენი მისამართით ჩემს სახელზე შეიძლება იყოს წერილები, თუ ბინა გამოიცვალეთ, ფოსტაში განაცხადეთ.

დაწერილია 1911 წ. 25 სექტემბერს
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1930 წ.
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* იგულისხმება საფაროვის მისამართი, რომელიც აღნიშნულია ლიტ. წერილის მეორე მხარეზე, როგორც გამგზავნის მისამართი. რ ე დ.

გ. ლ. ᲨᲙᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ

პატივცემულო ამხანაგო! მივიღე თქვენი წერილი და დეპეშით გიპასუხეთ.

გაუგებრობა რომ არ გამოვიდეს, დავძენ კიდევ ზოგიერთ დეტალს. ლაპარაკია ს ა ჯ ა რ ო რეფერატზე («სტოლიპინი და რევოლუცია») ამასთან საფასური «რაბოჩაია გაზეტას» სასარგებლოდ მიდის (რა თქმა უნდა, განცხადებებში ზედმეტია ან ყოველ შემთხვევაში სავალდებულო არ არის დაიწეროს, თუ რას მოხმარდება შემოსავალი). კრების ბიურო (ან თავმჯდომარე) აუცილებლად უნდა იყოს ადგილობრივი ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს ა გ ა ნ, მაგრამ სრულიადაც არა «არჩეული» პირი (რათა თავიდან ავიცილოთ კინკლაობა და სკანდალი, რის ხალისიც ლიკვიდატორებს აქვთ).

მე თანახმა ვარ ვესაუბრო პარტიელებს, (პლეხანოველებს), მაგრამ ა რ ა გ ო ლ ო ს ე ლ ე ბ ს. ყოველივეს აჯობებს საუბარი ბეკეებით ვანისაზღვროს.

იმედი მაქვს, რომ ხუთშაბათს ჩამოვალ; თუ მოვასწრებ, დეპეშას გამოგიგზავნით, თუ როდის ჩამოვალ.

გთხოვთ, თუ შეიძლება, გადაუგზავნოთ წერილი მ ა შ ი ნ ა თ ვ ე გორინს [M. Gorine. Rue du Pont Neuf. 2. (Chez M-me Vire) Genève]. — რათა მან შეძლოს მიიღოს ზომები — მოაწყოს ა მ გ ვ ა რ ი რეფერატი შ ა ბ ა თ ს ჟენევაში და თქვენი მეშვეობით მიპასუხოს ხუთშაბათისათვის[223].

გართმევთ ხელს. ლ ე ნ ი ნ ი

ლიტერატურიდან რეფერატისათვის გთხოვთ შემირჩიოთ (α) ცენტრალური ორგანოს **კომპლექტი**, (β) 2 პარტია, (γ) დნევნიკი, (δ) არკომედი[224].

დაწერილია 1911 წ. 26 და 28
სექტემბერს შუა
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1930 წ.
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1912 წ.

რით მიდიან კადეტები არჩევნებზე?

«რეჩის» 15 სექტემბრის შაბათის მოწინავე სტატია წარმოადგენს კადეტების პარტიის ძირითადი პოლიტიკური პრინციპების ნამდვილ გადმოცემას. რით გამოიხატება ახლა ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის მთავარი პარტიის ეს პრინციპები?

სამი პუნქტით: 1) «საარჩევნო უფლების გაფართოება», 2) «სახელმწიფო საბჭოს ძირფესვიანი რეფორმა» და 3) «სამინისტროს პასუხისმგებლობა სახალხო წარმომადგენლების წინაშე». თავისთავად გასაგებია, რომ ამას ზედ ერთვის კავშირების (კოალიციების) თავისუფლება და ყველა დანარჩენი თავისუფლება, ეროვნებათა თანასწორუფლებიანობა, სოფლის ფენებად დაყოფის «შეფერხება და შენელება» და ა. შ. და სხვ.

შეადარონ მკითხველებმა ლიბერალების ეს «სამი პუნქტი» მუშათა დემოკრატიის «სამ პუნქტს», რომლებშიც მან ნამდვილი პასუხი გასცა პოლიტიკურ საკითხზეც, მუშათა საკითხზეც და გლეხთა საკითხზეც. ყველა ბოროტებისა და უბედურების ნამდვილი წყაროც, მათი ნამდვილი «თავმოყრა» და გამოსავალი საშუალებაც ცხადზე უცხადესად აღნიშნულია მუშათა დემოკრატიის «სამი პუნქტით».

კადეტების ლიბერალური პლატფორმა კი — ვინაიდან არა ფორმალურად, არამედ არსებითად ეს სწორედ საარჩევნო პლატფორმაა — მხოლოდ მოკრძალებული კონსტიტუციური რეფორმების ს ურ ვ ი ლ ი ა. ოქტიაბრისტთა სურვილებისაგან ეს სურვილი სულ ცოტათი განსხვავდება.

მთავარი რამ ჩრდილშია დატოვებული; მთავარის შესახებ ლიბერალურ-მონარქისტულ ბურჟუაზიულ პარტიას სათქმელი არაფერი აქვს. თუ კადეტებს სურთ «თავიანთი მოკრძალებულობით გაიტანონ», ბატონმა გუჩკოვებმა ხომ სინამდვილეში სცადეს მოკრძალებულობა — მერე რა შედეგი მიიღეს? შედეგი ნულს უდრის!

ჩვენ ცოტა რამ გვსურს — იკვეხნიან კადეტები. მაგრამ ეს «ფანდი» უკვე გაითამაშა ოქტიაბრიზმმა, ბატონებო. საშივე სათათბიროში კადეტები და ოქტიაბრისტები ერთმანეთს არ აცლიდნენ და არწმუნებდნენ «ხელისუფლებასა» და «საზოგადოებას», რომ სურთ ცოტა რამ, უბრალო რამ, მინიმალურ-ევროპული რამ. შედეგი ნულს უდრის!

არა, ბატონებო, სამ პუნქტში ჩამოთვლით კონსტიტუციურ რეფორმებს თუ ოცში, — სულ ერთია თქვენი პლატფორმა მკვდარი დარჩება. კონსტიტუციურ რეფორმებზე ლაპარაკი, ისე რომ თავი სასაცილოდ არ გაიხადო, შეიძლება მხოლოდ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც უკვე არსებობს, ჩამოყალიბდა, უზრუნველყოფილია, მტკიცეა პოლიტიკური თავისუფლების საფუძვლები და საყრდენები.

თქვენ თვითონ იცით, რომ რუსეთში ეს ჯერ კიდევ არ არის, და ამიტომ თქვენი კეთილი სურვილები გამოსავალ გზას კი არ უჩვენებენ დემოკრატიას, არამედ ატყუებენ მას ცრუ იმედებით!

დაწერილია 1912 წ. 15 და 20
სექტემბერს
(28 სექტემბერსა და 3 ოქტომბერს)
შუა

პირველად დაიბეჭდა 1954 წ.
ჟურნალ «კომმუნისტში» № 6

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მუშების ერთიანობა და არჩევნები

ფრაზებით «ერთიანობის» შესახებ გავსებულია ლიკვიდატორების გაზეთი «ლუჩ», რომელიც, — «პრავდის» თანამშრომლის სამართლიანი შენიშვნით, — არჩევნების დღეს იმისათვის გამოვიდა, რომ ერთიანობა დაარღვიოს.

არჩევნების გადამწყვეტი მომენტი პეტერბურგის გუბერნიის მუშათა კურიის ხაზით ამ დღეებში, პარასკევს, 5 ოქტომბერს იქნება. ამ დღეს მუშათა რწმუნებულები აირჩევენ 6 ამრჩევს. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორედ ამ არჩევნებს, რადგან თუ ყველა ამრჩევი მტკიცე, თანმიმდევარი მუშა დემოკრატი და ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგე არ იქნება, ისე არ გვექნება არავითარი სერიოზული გარანტია, რომ სახელმწიფო სათათბიროში ისეთ დეპუტატს აირჩევენ, რომელიც სასურველია შეგნებული მუშების უმრავლესობისათვის.

გადამწყვეტ მომენტში უკან რომ არ დავიხიოთ, ნათლად უნდა შევიგნოთ მუშა დემოკრატების ამოცანები და ვითარება, რომელშიც რწმუნებულები მოქმედებენ.

საქმის მთელი არსი ახლა ის არის, რომ ლიკვიდატორები ერთიანობაზე ყვირილის საფარით არღვევენ პეტერბურგის შეგნებული მუშების უმრავლესობის ნებას, თავს ახვევენ მუშების უმრავლესობას ინტელიგენციის უმცირესობის, სახელდობრ ლიკვიდატორული ინტელიგენციის მიერ წამოყენებულ გამთიშველ კანდიდატებს.

ყოველგვარ არჩევნებს ბურჟუაზიულ ქვეყანაში თან სდევს ფრაზების ორომტრიალი, აღვირახსნილი ცრუ დაპი-

რებანი. ს.-დ-ების ძირითადი პრინციპია არ დაუჯერო სიტყვებს, გაარკვიო საქმის არსი.

ლიკვიდატორთა ფრაზები ერთიანობაზე მათს გაზეთ «ლუჩში» მთლად სიცრუეა. ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ერთიანობა უკვე შექმნა პეტერბურგში შეგნებული მუშების უმრავლესობამ ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, შექმნა მაისის გამოსვლამ, შექმნა იმან, რომ «პრავდას» მხარი დაუჭირა მუშათა 550 ჯგუფმა ლიკვიდატორთა 16 ჯგუფის წინააღმდეგ.

აი ეს ფრაზა კი არა, საქმეა. როდესაც 550 ჯგუფი დაირაზმა 16-ის წინააღმდეგ, ამას ჰქვია ე რ თ ი ა ნ ო ბ ა. როდესაც 16-ი თ ა ვ ს ა ხ ვ ე ვ ს 550-ს «თავის» კანდიდატს, ეს გათიშვაა.

ლიკვიდატორები გათიშვას იწვევენ, თან ერთიანობაზე გაჰყვირიან, იმ ქურდის მსგავსად, რომელიც გარბის და თან ყვირის: «ქურდი დაიჭირეთო!»

შეგნებულმა მუშებმა თავი არ უნდა მოატყუებინონ ფუჭ ყვირილსა და ფრაზებს.

სიტყვებს ნუ დაუჯერებთ, ფხიზელი თვალით შეხედეთ საქმის ვითარებას. მუშა-მარქსისტების უდიდესი უმრავლესობა ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგენი არიან. ლიკვიდატორთა მხარეზე მუშათა უმნიშვნელო უმცირესობაა, ლიკვიდატორთა «ძალა» კი ბურჟუაზიული ინტელიგენციაა, რომელსაც შეუძლია მოაწყოს უბადრუკი ჟურნალის გამოცემა, არჩევნების დღეს დააარსოს ახალი გაზეთი, იშოვნოს «ყავშირის» გამბმელნი, ადამიანები ინტელიგენტთა საარჩევნო კომისიებისათვის და სხვ.

ეს ფაქტები ცნობილია ყოველი ს.-დ-სათვის პიტერში.

აქედან ცხადია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ლიკვიდატორების ყვირილს ერთიანობაზე. ამ ყვირილის საფარით ლიკვიდატორების თანამგრძნობ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას სურს დ ა ა ნ გ რ ი ო ს მ უ შ ე ბ ი ს ერთიანობა, თავს მოახვიოს მათ ლიკვიდატორთა კანდიდატი.

აი სად არის ძაღლის თავი დამარხული. აი როგორია ლიკვიდატორთა «ლუჩის» «მზაკვრული მექანიკა».

ვისაც სურს მუშა-მარქსისტთა ნ ა მ დ ვ ი ლ ი ერთიანობა, მან ხელი უნდა შეუწყოს ანტილიკვიდატორთა ყველა ამრჩევის არჩევას.

ვისაც ნამდვილი ერთიანობა სურს, ის ხელს უწყობს შეგნებულ მუშათა უმრავლესობის ნების განხორციელებას.

ვინც უმცირესობას ეხმარება ამ ნების დარღვევაში, ის უბოროტესი გამთიშველია, რა მყვირალა ფრაზებსაც არ უნდა გაჰკიოდეს ერთიანობის შესახებ!

დაწერილია 1912 წ. სექტემბრის
დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1954 წ.
ჟურნალ «კომმუნისტში» № 6

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო კ.! მშვიდობის უკანასკნელი კონგრესებისათვის მე თვალყური არ მიდევნებია. სოციალისტების მონაწილეობაზე — და მის ოპორტუნისტულ ხასიათზე — გამიგონია, მაგრამ მხოლოდ გ ა მ ი გ ო ნ ი ა[225].

მე არ ვიკისრებ გადაჭრით გამოვთქვა ჩემი აზრი ამ საკითხის გამო, ვიდრე არ წავიკითხავ თუნდაც ერთი ყრილობის ანგარიშს. რთული საკითხია. უეჭველია, რომ ოპორტუნიზმის საერთო ზრდამ და მისი ძალების «გაწონასწორებამ» რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიასთან მუშათა მოძრაობის დიდ ქვეყნებში (გერმანიაში) აქაც უნდა იჩინოს თავი. დეე ბებელმა იდიპლომატოს ოპორტუნისტებთან — თ უ ეს საჭიროა (???) — ჩვენთვის კი ეს შეუფერებელია. აი ყველაფერი, რაც ჯერჯერობით შემიძლია ვთქვა.

სალამი ამხ. ოლლას და ყველა მეგობარს — მათ შორის გორინს. როგორ ცხოვრობს ის? რა არის თქვენთან ახალი? რანაირი ურთიერთობა გაქვთ პლეხანოვთან? საუბრობთ თუ არა?

შვეიცარიაში შემოდგომაზე წაიკითხავს რეფერატს კამენევი (ახლა ის აქ არის) — გზად პარიზს მიმავალი. ზამთარში, იქნებ, მეც ჩამოვიდე.

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1912 წ. 8 ოქტომბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წ.
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

წერილი რედაქციას

ქვემოთ ხელისმომწერს, უკვე როგორც «პ რ ა ვ დ ი ს ა» და «ნ ე ვ ს კ ა ი ა ზ ვ ე ზ დ ი ს» მუდმივ პოლიტიკურ თანამშრომელს, თავის მოვალეობად მიაჩნია გამოთქვას თავისი პროტესტი კრიზისულ დროს ამ გაზეთების ხელმძღვანელი კოლეგების ქცევის წინააღმდეგ.

არჩევნები სპბ-ში, მუშათა კურიაშიც და მე-2 საქალაქო კურიაშიც კრიზისული მომენტია, მუშაობის ხუთი წლის შედეგების რეალიზაციის მომენტია, ბევრი მხრივ მომავალი ხუთი წლის მუშაობის მიმართულების განსაზღვრის მომენტია.

მუშათა დემოკრატიის ხელმძღვანელი ორგანო ასეთ მომენტში ნათელ, მტკიცე, ზუსტად განსაზღვრულ პოლიტიკას უნდა ეწეოდეს. «პრავდა» კი, რომელიც ფაქტიურად ბევრი მხრივ ხელმძღვანელი ორგანოა, ასეთ პოლიტიკას ა რ ეწევა.

«ლუჩი» და «მეტალისტი»[226] თავგამოდებით გაჰყვირიან «ერთიანობაზე» და ცდილობენ ამ «პოპულარული» ალმით გაატარონ ლიკვიდატორების ყ ვ ე ლ ა ზ ე ც უ დ ი პოლიტიკა, სახელდობრ: უმნიშვნელო უმცირესობის დაუმორჩილებლობა სპბ-ში მუშა მარქსისტთა უდიდესი უმრავლესობისადმი, — თანმიმდევრული მუშათა დემოკრატიის **ასობით** მუშათა ჯგუფისათვის ინტელიგენციის რაღაც სამი, ხუთი, ათი უბადრუკი ჯგუფისა და ერთი მუჭა მუშების კანდიდატის თავს მოხვევა.

იმ რამდენიმე დღეში, რაც დარჩა მუშათაგან ამრჩევის არჩევნებამდე, — იმ რამდენიმე კვირაში, რაც დარჩა სპბ-ში მე-2 კურიიდან არჩევნებამდე, «პრავდას» უთუოდ და აუ-

ცილებლად უნდა გაეჩაღებია ულ მ ო ბ ე ლ ი ბრძოლა მუშათა მასის ამ მ ო ტ ყ უ ე ბ ა ს თ ა ნ, რომელიც მიჩქმალულია კეთილსახოვანი და პოპულარული ფრაზებით. აუცილებელია უაღრესად დაწვრილებით განვუმარტოთ, დავუმტკიცოთ, დავუღეჭოთ ყველასა და თვითეულს, ჯერ-1, რომ ლიკვიდატორობა არამარქსისტული, ლიბერალური მიმდინარეობაა;

მე-2, რომ ერთიანობა მოითხოვს უმცირესობის დამორჩილებას უმრავლესობისადმი, ლიკვიდატორები კი აშკარად, რვა თვის მუშაობის გამოცდილების მიხედვით, უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ;

მე-3, რომ იმათ, ვისაც სურს მხარი დაუჭიროს მ უ შ ა თ ა დემოკრატიას, უნდა იცოდნენ, ს ა დ არის მუშათა მასა, ს ა დ არის ობივატელური ინტელიგენცია, რომელიც მარქსიზმობანას თამაშობს;

მე-4, რომ კონფერენცია, რომელზეც ლიკვიდატორები და «ლუჩი» გაჰყვირიან, უარყვეს და ამხილეს ნეიტრალურმა პლეხანოვმაც (მან პირდაპირ თქვა, მათს კონფერენციაში «ა რ ა პ ა რ ტ ი უ ლ ი და ა ნ ტ ი პ ა რ ტ ი უ ლ ი ელემენტები» მონაწილეობდნენო) და ანტილიკვიდატორებისადმი მტრულად განწყობილმა ალექსინსკიმაც კი.

და ა. შ. და ა. შ.

თუ «პ რ ა ვ დ ა მ» ყოველივე ეს დროზე არ განმარტა, სწორედ ი ს იქნება დამნაშავე შფოთსა და გათიშვაში, ვინაიდან «პრავდა», რომელსაც თავის მხარეზე მუშათა უდიდესი უმრავლესობა ჰყავს, თუ დროზე განმარტავს საქმეს, **დანამდვილებით** უზრუნველყოფს ერთიანობას, რადგან ლიკვიდატორები იმაში კი მარჯვე არიან, რომ ტრაბახობდნენ და იმუქრებოდნენ, მაგრამ ნამდვილად ვერასოდეს ვერ გაბედავენ «პ რ ა ვ დ ი ს» წინააღმდეგ წასვლას.

«პ რ ა ვ დ ა მ» თვითონ აღიარა, რომ არის ორი, ჩამოყალიბებული, ხაზი, პლატფორმა, კოლექტიური ნება (აგვისტოსი ლიკვიდატორებისა და იანვრისა). ამავე დროს კი «პ რ ა ვ დ ა» იწვევს აზრს, რომ იგი ეწევა რაღაც «თავის», მესამე, გუშინ ვიღაცის მიერ გამოგონილ ხაზს, რომელიც

იმაში მდგომარეობს (როგორც პიტერიდან სხვები გვწერენ, ვინაიდან «პ რ ა ვ დ ი ს» კოლეგია ჯიუტობს და პასუხს არ გვაღირსებს), რომ ან სამიდან ერთი კანდიდატი დაუთმონ ლიკვიდატორებს, ან მთელი მეორე კურია მისცენ მათ «მუშათა კურიის სანაცვლოდ». თუ ეს ხმები სწორი არ არის, მათში მთლიანად **«პრავდას»** მ ი უ ძ ღ ვ ი ს ბ რ ა ლ ი, ვინაიდან არ შეიძლება ვთესავდეთ მარქსისტებს შორის ისეთ დაურწმუნებლობას, რომ აშკარა **მეგობრებს** — მარქსისტებს სჯერათ ეს ხმები და გადასცემენ მათ.

შფოთიან დროს იხურება «ნ ე ვ ს კ ა ი ა ზ ვ ე ზ დ ა», ისე რომ თუნდაც ერთი წერილი ან ახსნა-განმარტება არ გამოქვეყნებულა, ს ა ვ ს ე ბ ი თ წყდება აზრთა კოლეგიური გაცვლა, და პოლიტიკური თანამშრომლები ს ი ბ ნ ე ლ ე შ ი რჩებიან, არ იციან, ვ ი ს გასვლას უწყობენ ხელს, ლიკვიდატორისას ხომ არა. მე იძულებული ვარ სასტიკი პროტესტი განვაცხადო ამის წინააღმდეგ და მოვიხსნა პასუხისმგებლობა ამ არანორმალური მდგომარეობისათვის, რომელსაც შემდეგში შეიძლება ხანგრძლივი კონფლიქტები მოჰყვეს.

გთხოვთ ეს წერილი აცნობოთ «პ რ ა ვ დ ი ს ა» და «ნ ე ვ ს კ ა ი ა ზ ვ ე ზ დ ი ს» «პატრონსაც», ორივე გაზეთის სარედაქტორო კოლეგიასაც და ყველა თანამშრომელსაც თანმიმდევარ მუშა დემოკრატთა რიცხვიდან.

სალამით. ვ. ი ლ ი ნ ი

დაწერილია 1912 წ. ოქტომბრის პირველ ნახევარში

გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1956 წ. ჟურნალ «კომმუნისტში» № 5

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

ძვირფასო მეგობარო! ნუთუ უცნაურად არ მიგაჩნიათ, რომ ჩვენ ცოცხალი და უაღრესად გაცხოველებული მიწერ-მოწერა გვქონდა ერთ თეორიულ საკითხზე, ერთ წიგნზე, ერთ თეორიაზე და რომ არასოდეს არ გვქონია მიწერ-მოწერა რუსეთის იმ ჟურნალისტიკის საჭირბოროტო საკითხებზე, რომელშიც ჩვენ ორივეს ამ ბოლო დროს საკმაოდ ახლო მონაწილეობა გვიხდება?

რაც შემეხება მე, ეს უცნაურად მიმაჩნია. მე ვფიქრობ, რომ აბსოლუტურად არ არის და არ შეიძლება იყოს ისეთი გარემოება, რომელსაც ოდნავ მაინც სერიოზულად შეეძლოს გაამართლოს ის, რომ ასეთი მიწერ-მოწერა არა გვაქვს, ვინაიდან ერთხელ თქვენ თვითონ აღნიშნავდით — სავსებით სწორად — თუ რა საზიანოა მოწყვეტილობა, იზოლაცია, ერთგვარი მარტოობა და შ., რასაც ჩვენ ყველანი ვგრძნობთ.

ამიტომ იმედი მაქვს, რომ შემიძლია მხარდაჭერა ვპოვო, თუ პირდაპირ დავიწყებ № მე-2 მიწერ-მოწერას (ხოლო № 1-ლი, წიგნისა და თეორიის შესახებ, თავისთავად მიდის და წავა).

თქვენ, ვგონებ, იცნობდით, თუმცა შორეულად, პოკროვსკი მე-2-ეს? რას ფიქრობთ სენატის უკანასკნელ განმარტებაზე? სახელდობრ იმაზე, რომლის მიხედვითაც ბინის დამქირავებელთა ცენზი ბინის ფაქტიურ დაკავებას მოითხოვს? ხომ იმას ჰგავს, რომ ეს განმარტება, სწორედ მე-2 კურიაში არჩევნების წინ გაკეთებული, სპეციალურად უმიზ-

ნებს პოკროვსკი მე-2-ეს, პრედკალნს და სხვ.! შეუძლიათ თუ არა მათ ჰქონდეთ თავიანთთვის სხვა ცენზი ადგილებზე, გარდა ბინის დამქირავებელთა ცენზისა? და შეიძლება თუ არა, რომ მათ, სათათბიროს წევრობისას, «ფაქტიურად ეჭიროთ» თავიანთი ბინები ადგილებზე, ვთქვათ, ერთი წლის განმავლობაში? ხოლო თუ მათ განმარტავენ, ხომ არ სჯობს წინადადება მიეცეს პოკროვსკი მე-2-ეს კენჭი იყაროს პიტერში, სადაც მას, ალბათ, აქვს უფრო მტკიცე ცენზი, ე. ი. ისეთი, რომელიც არ შეიძლება «განმარტებულ» იქნას? პირადად მე ძალიან თანამგრძნობი ვიქნებოდი ასეთი კანდიდატურისა პიტერში (ორი, ეტყობა, უდავო კანდიდატის გვერდით, რომლებმაც გამოიწვიეს სულელური და თავხედურ-ლაჩრული უარყოფა სულელ და თავხედ «ლუჩ»-ში). დიდად მადლობელი ვიქნები, თუ არ დაიზარებთ და ორ სტრიქონს მომწერთ (ჩემი 200 სტრიქონის პასუხად) ამ საკითხზე თქვენი შეხედულების შესახებ.

შემდეგ ჩემი სურვილი იქნებოდა მესაუბრნა პიტერის 2 მუშურ გაზეთზე. «ლუჩი» უპრინციპოა, საზიზღარია, ეს გაზეთი კი არ არის, არამედ ს.-დ. კანდიდატის არჩევის «ჩასაშლელი ფურცელია». მაგრამ მათ ომი ეხერხებათ, ისინი ცოცხალი, მკვირცხლი არიან. «პრავდა» კი ახლა, არჩევნების დროს, მძინარა შინაბერასავით იქცევა. «პრავდას» ომი არ ეხერხება. იგი თავს არ ესხმის, არ სდევნის არც კადეტს, არც ლიკვიდატორს. და განა შეიძლება, რომ მოწინავე დემოკრატიის ორგანო ა რ ა მებრძოლი ორგანო იყოს შფოთიან დროს? დავუშვათ უკეთესი: დავუშვათ, რომ «პ რ ა ვ დ ა» დარწმუნებულია ანტილიკვიდატორთა გამარჯვებაში. მ ა ი ნ ც უნდა ომობდეს, რათა ქ ვ ე ყ ა ნ ა მ იცოდეს, რაშია საქმე, ვ ი ნ ფუშავს არჩევნებს, რ ა ი დ ე ე ბ ი ს გულისათვის წარმოებს ბრძოლა. «ლუჩი» ომობს გააფთრებით, ისტერიკით, თავის პრინციპებზე ყოვლად უსირცხვილოდ ხელის აღებით. «პ რ ა ვ დ ა» — მის ჯიბრზე — «სერიოზულობს», იპრანჭება და სრულებით არ ომობს!! განა ეს მარქსიზმს ჰგავს? განა მარქსს უნარი არ ჰქონდა შეეერთებინა ომი, უაღრესად

მგზნებარე, თავდადებული და ულმობელი ომი სრულ პრინციპულობასთან??

ხოლო არჩევნების დროს თუ არ ომობ, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმეს ღუპავ. შეხედეთ, რა გამოუვიდა «ლუჩს» **მისი** «კადეტჭამიობიდან»! «პრავდაში» კი ეშინოდათ, მეტისმეტად ბევრს ხომ არ ვჭამთ კადეტებსო!!

გართმევთ ხელს.

თქვენი ვ. ი ლ ი ნ ი

დაწერილია 1912 წ. ოქტომბერში
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1956 წ.
ჟურნალ «კომმუნისტში» № 5

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

ძვირფასო მეგობარო! მხოლოდ დღეს შევიტყვეთ ლიკვიდატორების გამარჯვება პიტერში. ციფრების ანალიზიდან ნათელია, რომ ისინი გაიყვანეს ა რ ა ს.-დ.-ე ბ მ ა, სახელდობრ იმ 11 «უპარტიომ», რომლებმაც ხმა მისცეს უპარტიო სტეპანოვს. მაგრამ ციფრები არასრულია. მეტად, მეტად საჭიროა მივიღოთ სრული ციფრები, ე. ი. 1) **ყ ვ ე ლ ა** 13 კანდიდატის როგორც სასარგებლოდ, ისე **წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ** მიცემული ხმების რიცხვი; გაზეთებშია მხოლოდ 9 კანდიდატის (3 ლიკვიდატორისა და 6 ჩვენის) შესახებ; აკლია 3 ლიკვიდატორის და 1 უპარტიოს შესახებ. ყ ო ვ ე ლ ი ღონე იხმარეთ, რომ შეკრიბოთ ეს მონაცემები. დაე გაზეთების რედაქციებისადმი წერილებით რამდენიმე რწმუნებულმა დაადგინოს ეს ფაქტი, თუ შეუძლებელია მოიძებნოს ოქმი. ამ ციფრების მნიშვნელობა მეტად დიდია. არ დააკლოთ მონდომება, რომ მოძებნოთ ისინი. 2) უნდა მოეწყოს ანკეტა რწმუნებულებს შორის, ვინ როგორ მისცა ხმა. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს 7 «ჩვენი» პუტილოველის + 2 ჩვენი სემიანიკოველის შესახებ. შეკრიბეთ ცნობები რაც შეიძლება მალე, რაც შეიძლება სრულად, რაც შეიძლება ზუსტად. მეტად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ჩვენი რწმუნებულებისაგან, რ ო გ ო რ მისცა ხმა 11 უპარტიომ (ეტყობა, ისინი მტკიცედ მიდიოდნენ და ყველანი ლიკვიდატორებს მიჰყვებოდნენ, მაგრამ სასურველია შევკრიბოთ პირდაპირი ჩვენებანი).

დაწერილია 1912 წ. 2 ნოემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1956 წ.
ჟურნალ «კომმუნისტში» № 5

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგა!

მივწერე, თქვენი თხოვნით, გორკის და დღეს მივიღე მისგან პასუხი. იგი იწერება:

«გაუგზავნეთ ამასთან დართული ბარათი «პრავდას». ჰონორარზე ლაპარაკიც არ შეიძლება, ეგ არაფერი. გაზეთში ვიმუშავებ, მალე დავიწყებ მისთვის ხელნაწერების გზავნას. ეს დღემდე ვერ ვქენი მხოლოდ იმიტომ, რომ საშინლად მოუცლელი ვარ, დღეში 12 საათს ვმუშაობ, ზურგი მტეხს».

როგორც ხედავთ, გორკი ძალიან მეგობრულად არის განწყობილი*. იმედი მაქვს, თქვენ ამითვე უპასუხებთ და **შზრუნველობით** ადევნებთ თვალყურს, რომ მას წესიერად ეგზავნებოდეს «პრავდა». ექსპედიცია ზოგჯერ მოიკოჭლებს, ასე რომ დროდადრო აუცილებელია შეამოწმოთ და შეამოწმოთ თვითონ.

ახალი წიგნები, რომლებიც შეიძლება ინტერესს წარმოადგენდეს მისთვის, აგრეთვე ზოგი რამ ხელნაწერებიდან გზავნეთ (ჩემ სახელზე მისთვის გადასაგზავნად), თუ გინდათ მეგობრული განწყობილება შეინარჩუნოთ.

ძალიან გთხოვთ გამომიგზავნოთ «პრავდა» №№ 146, 147, 148 და «ნევსკაია ზვეზდა» №№ 26 და 27 თუნდაც ორ-ორი ეგზემპლარი.

ფიქრობთ თუ არა პასუხი გასცეთ «ლუჩის» ბოროტ და საზიზღარ გამოსვლებზე!! ეს არამზადები თვითონ გამოითიშნენ და **გათიშვაზე** გაპყვირიან? მათმა სიამ კი ხომ ნაკ-

---

* ამასთან ვგზავნი გორკის წერილს «სოვრემენნი მირი»[227]-სადმი თქვენთვის «ზღაპრის» გადაცემის შესახებ. **მალე წაიღეთ**

ლ ე ბ ი მიიღო ¦ მთელი სიისათვის, ექვსივე დეპუტატისათვის მიცემული ხმების ჯამი ¦ 17. X-საც და 18. X-საც!! ა უ ც ი-ლ ე ბ ლ ა დ იშოვნეთ ზაიცევთან ან რომელიმე სხვა ამრჩევ-თან ლიკვიდატორთა **ყველა** კანდიდატისათვის მიცემული ხმების ზუსტი ციფრები. ეს მ ე ტ ა დ დიდმნიშვნელოვანია! მერე კიდევ როგორ გთხოვდით გეყიდათ სპბ. ქალაქის უფ-როსის სამმართველოს კანცელარიაში რწმუნებულთა ნ ა ბ ე ჭ-დ ი სია! აუცილებლად გ ა ა კ ე თ ე თ ეს! გისურვებთ ყოველ კარგს.

თქვენი...

ყოველ კარგს ვუსურვებ და ყოველნაირად მივულოცავ «პრავდის» ყველა თანამშრომელს, რედაქტორებსა და მეგობ-რებს მის მომხრეთა გამარჯვებას სპბ-ში, ხარკოვში და ა. შ.!!

P S. მოიწერეთ, როგორია «პრავდისა» და «ლუჩის» ტირაჟი ახლა! არის თუ არა საკმაო მასალა?

დაწერილია 1912 წ. ნოემბრის პირველ ნახევარში
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1956 წ.
ჟურნალ «კომმუნისტში» № 5

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გ. ვ. პლეხანოვს

12. 17. XI.

ძვირფასო ამხანაგო! ახლა გამოგიგზავნეთ დეპეშა, რომ ჩვენ მივიღეთ კომბინაცია, რომლის შესახებაც თქვენ რუბანოვიჩს შეუთანხმდით.

გთხოვთ წარმოადგინოთ კომისიაში[228], მისი ინფორმირების მიზნით, ჩვენი ელ ფ ე რ ი ც, თუ ჩვენ ერთმანეთს არ ვეთანხმებით შემდეგ პუნქტში.

კაუცკის სტატია, მოთავსებული № 6 «Neue Zeit»*-ში, სსბ[229] ოქტომბრის სხდომის შემდეგ, აშკარაა, გერმანელთა, ავსტრიელთა და სხვათა ოფიციალური აზრია. ჩვენ გადაჭრით არ ვეთანხმებით ამ სტატიის ცენტრალურ პუნქტს (SS. 191—192, სიტყვებიდან Dabei müssen** სიტყვებამდე heischenden Massen*** ,გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ[230]).

კაუცკის სწორედ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ-მასობრივი გაფიცვის ა ღ კ ვ ე თ ა გამოუდის. ეს დაუშვებელია რუსული თვალსაზრისითაც (100 000 პოლიტიკური გაფიცული პიტერში ა ხ ლ ა, როცა რევოლუციური მიტინგები იმართება და ა ჯ ა ნ ყ ე ბ უ ლ მატროსებს თანაუგრძნობენ!) და საერთოევროპული თვალსაზრისითაც. თუმცაღა, თქვენ იცით ჩვენი თვალსაზრისი ლიტერატურიდან და, იმედია, უარს არ იტყვით მოესაუბროთ ამხ. კამენევს.

---

* — «ახალი დრო». რ ე დ.

** — ამასთან უნდა. რ ე დ.

*** — მომთხოვნი მასების. რ ე დ.

ჩვენი დელეგატი სსბ-ში ამხ. კამენევია (M. Rosenfeld. 11. Rue Roli. 11. Paris XIV).

თუ კაცი ხარ, უდეპეშეთ მას, თუ თვითონ არ წახვალთ, ხოლო თუ წახვალთ, ნახეთ იგი მ ა ნ ა მ დ ე, ვიდრე ბაზელში კომისია შეიკრიბებოდეს (M. Rosenfeld. Poste Restante. B â l e).

თუ, მოლოდინის წინააღმდეგ, თქვენ არ წახვალთ, გთხოვთ წერილობით მისცეთ თქვენი ხმა კომისიაში (რუბანოვიჩის ან კამენევის) არჩევის სასარგებლოდ.

მზად ვარ გემსახუროთ ნ. ლ ე ნ ი ნ ი

Wl. Uljanow. 47. Lubomirskiego. Autriche. Krakau.

გაგზავნილია კრაკოვიდან
სან-რემოში (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1930 წ.
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

ძვირფასო კოლეგებო! მეტისმეტად მესაჭიროება «პრავდა» № 8. თქვენ მოიწერეთ, იგი არა გვაქვსო. გთხოვთ მოათავსოთ «პრავდაში» შემდეგი განცხადება — სიფრთხილისათვის ვწერ არა № 8, არამედ №№ 5—10.

ასე შვრებიან. ძალიან გთხოვთ ამას.

თქვენი ვ. ი ლ ი ნ ი

რა მოუვიდა ოლმინსკის? მართალია, რომ ის ავად არის?

«პრავდის» რედაქცია და ადმინისტრაცია დაბეჯითებით თხოვს მკითხველებს მიაწოდონ მას «პრავდის» 5—10 ნომრები (№№ 5—10) 1 ეგზემპლარად. საჭიროა კომპლექტისათვის.

დაწერილია 1912 წ. 26 ნოემბერზე
ადრე
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1956 წ.
ჟურნალ «კომუნისტში» № 5

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ამერიკაში ჩატარებული არჩევნების შემდეგ

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ «პრავდაში»[231], თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკური პარტიის გათიშვას ამერიკაში და რუზველტის[232] «პროგრესული» პარტიის შექმნას.

ახლა არჩევნები დამთავრებულია. «დემოკრატებმა» გაიმარჯვეს, და ერთბაშად თავს იჩენს ის შედეგები, რომლებიც სოციალისტებმა გაითვალისწინეს. რუზველტის პროგრესული პარტია, მისი 4½ მილიონი ხმით ასპარეზზე ფართო, ამერიკული გაქანებით გამოსული, ბურჟუაზიულ-რეფორმისტული მიმდინარეობის ნიმუშია.

ამ მიმდინარეობის ბედი იმიტომ წარმოადგენს საერთო ინტერესს, რომ იგი ამა თუ იმ ფორმით არსებობს ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ყოველი ბურჟუაზიულ-რეფორმისტული მიმდინარეობის ორი ძირითადი ნაკადი შემდეგია: ბურჟუაზიული საქმოსნები, პოლიტიკანები, რომლებიც მასებს ატყუებენ რეფორმების დაპირებებით, და მოტყუებული მასები, რომლებიც გრძნობენ, რომ ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლება, და მიჰყვებიან თაღლითს, რომელიც ყველაზე მეტს ჰპირდებათ. და აბ, ამერიკაში ახლადგამომცხვარი პროგრესული პარტია არჩევნების მეორე დღესვე ლამის დაირღვევს.

ბურჟუაზიული პოლიტიკანები, რომლებიც მასებს ატყუებდნენ რუზველტის თაღლითობით, ახლა უკვე გაჰყვირიან რესპუბლიკურ პარტიასთან შ ე ე რ თ ე ბ ა ზ ე. რაშია საქმე? სულ უბრალო ამბავია: პოლიტიკანებს სჭირდებათ შემოსავლიანი ადგილები, რომლებსაც ამერიკაში გამარჯვებული პარ-

ტია განსაკუთრებით უტიფრად ანაწილებს თავის მომხრეთა შორის. რესპუბლიკელთა გათიშვამ გამარჯვება მოუტანა «დემოკრატებს». დემოკრატები ახლა აღტაცებით იყოფენ საზოგადოებრივი ნამცხვრის მსუქან ნაჭრებს. გასაგებია, რომ მათი კონკურენტები მზად არიან ხელი აიღონ «პროგრესულ» პარტიაზე და უკან დაუბრუნდნენ ისევ ე რ თ ი ა ნ რესპუბლიკურ პარტიას. რომელსაც დემოკრატების დამარცხების ყველა შანსი აქვს.

ეს არის ტლანქი, ცინიკური ვაჭრობა «პარტიულობით», ხომ მართალია? მაგრამ სავსებით ამასვე ვხედავთ ყ ვ ე ლ ა კაპიტალისტურ ქვეყანაში; და რაც უფრო ნ ა კ ლ ე ბ ა დ არის ქვეყანა თავისუფალი, მით უფრო ბინძური და საზიზღარია ეს პარტიულობით ვაჭრობა ბურჟუაზიული საქმოსნების მხრივ, მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ფარულ ინტრიგებს და კერძო «კავშირურთიერთობას» კონცესიების, სუბსიდიების, შემოსავლიანი (ბატონი ადვოკატებისათვის) საქმეების მისაღებად და სხვ.

ყოველი ბურჟუაზიულ-რეფორმისტული მიმდინარეობის მეორე ფრთამაც — მოტყუებულმა მასებმა — ახლა ამერიკულად ორიგინალურად, თავისუფლად, ნათლად გამოამჟღავნა თავი. «ათობით პირნი, რომლებმაც ხმა მისცეს პროგრესულ პარტიას, — წერს ნიუ-იორკელი ბუშების გაზეთი «მოწოდება»[233], — მოდიან ახლა სოციალისტურ რედაქციებსა და ბიუროებში ყოველგვარი ცნობებისათვის. ეს ხალხი უმეტეს წილად ახალგაზრდებია, მიმნდობი, გამოუცდელი. ესენი ცხვრები არიან, რომლებსაც რუზველტი კრეჭდა, რომლებსაც არავითარი ცოდნა არა აქვთ პოლიტიკასა და ეკონომიურ მეცნიერებაში. ისინი ინსტინქტურად გრძნობენ, რომ სოციალისტური პარტია მისი მილიონი ხმით უფრო სერიოზულია, ვიდრე რუზველტისათვის მიცემული 4½ მილიონი ხმა, და ინტერესს იჩენენ უფრო მეტად საკითხისადმი, შეიძლება თუ არა განხორციელდეს რუზველტის მიერ დაპირებული მინიმალური რეფორმები».

«თქმა არ უნდა, — დასძენს «მოწოდება», —რომ ჩვენ ხალისით ვაძლევთ ყველა ამ «პროგრესისტს» ყ ვ ე ლ ა ცნობას, არც ერთს არ ვუშვებთ ისე, რომ არ მივცეთ სოციალისტური ლიტერატურა».

ასეთია კაპიტალიზმის ბედი, რომ თვით ყველაზე თავზეხელაღებული გაიძვერები და საქმოსნები «მუშაობენ»... სოციალიზმის სასარგებლოდ!

დაწერილია 1912 წ. 26 ნოემბერზე
(9 დეკემბერზე) ადრე

პირველად დაიბეჭდა 1954 წ.
ჟურნალ «კომმუნისტში» № 6

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

უგუნური გულმოდგინება

ვინ რაზე ფიქრობს: პროლეტარიატი მშვიდობის აუცილებლობაზე, კაპიტალისტები ბალკანეთის ომის «პატრიოტულ» მაგალითებზე. ყველაა თავისი აწუხებს. მუშები ამტკიცებენ, ბალკანეთის რევოლუცია ასჯერ უფრო ნაკლებ მსხვერპლად დაჯდებოდა, ვიდრე ბალკანეთის ომი, და ათასჯერ უფრო ფართო და მტკიცე დემოკრატიულ შედეგებს მოგვცემდაო.

კაპიტალისტები — «მემარჯვენენიც» და ლიბერალებიც თვით ჩვენს პროგრესისტებამდე და კადეტებამდე — ყოველნაირად ამტკიცებენ, გაერთიანებულმა ბურჟუებმა ბალკანეთში ესა და ეს წაგლიჯეს, ხოლო ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის გაერთიანებული ბურჟუები «თანხმობით» კიდევ გაცილებით უფრო მეტის წაგლეჯას შეძლებდნენო.

ერთმა ამერიკელმა «პატრიოტმა», ფულის ქისის პატრიოტმა, საიდანღაც გაიგო, რომ საბერძნეთის სამხედრო ფლოტში ბერძენი მაგნატების — მილიონერების კერძო სახსრებით აგებული გემები იყო.

ჩვენი ამერიკელი გუჩკოვი თუ ამერიკელი მაკლაკოვი ჩქარობს რაც შეიძლება უფრო ფართოდ გასწიოს დიდი პატრიოტული მაგალითის პროპაგანდა. «აი ჩვენი ქვეყნის ნაპირებს, — წერს იგი, — და მთელ ჩვენს საზღვაო ვაჭრობას რომ იცავდნენ მცურავი გიგანტები-დრედნოუტები სახელწოდებებით «მორგანი», «ასტორი», «ვანდერბილტი», «როკფელერი»! ასეთ მაგალითს ხალხი რომ დაინახავდა, უფრო ნაკლებს იბუზღუნებდა მილიარდერთა ხელში კაპიტალის

თავმოყრის წინააღმდეგ და სიმდიდრის არათანაბარი განაწილების წინააღმდეგ!»

პატრიოტული, მაგრამ არაპრაქტიკული წინადადებაა,—იციენიან ამერიკელი მუშები. განახორციელეთ, ბატონებო, თქვენი საუცხოო გეგმა, ჩვენ სავსებით მ ხ ა რ ს ვ უ ჭ ე რ თ მას. დღემდე ჩვენში, ამერიკაში, როკფელერები, მორგანები და ა. შ. ქირაობენ შეიარაღებული ადამიანების კერძო რაზმებს თავიანთი საკუთრების დასაცავად, გაფიცულებთან საბრძოლველად. აბა ახლა მილიარდერებმა უფრო თვალსაჩინოდ დაანახვონ ხალხს, რომ «სახელმწიფოს» მთელი «საგარეო» დაცვა ჩვენი ტრესტების ბატონ-პატრონთა მ ო ნ ო პ ო ლ ი ე ბ ი ს ა და მ ო გ ე ბ ი ს დ ა ც ვ ა ა! ვნახოთ, რას ისწავლიან ამერიკელი მუშები, როდესაც ნახავენ ზედრედნოუტებს სახელწოდებებით: «მორგანი», «როკფელერი» და ა. შ.: პატრიოტულ გულაჩუყებას თუ სოციალისტურ რწმენას. უფრო მეტ მონურ მორჩილებას გამოიჩენენ კაპიტალისტების წინაშე თუ უფრო მტკიცედ მოითხოვენ იმას, რომ ყველა ტრესტი (მეფაბრიკეთა კავშირები), ტრესტების მთელი ქონება გადავიდეს მთელი საზოგადოების ხელში, თვით მუშების ხელში?

...გადაჭარბებული გულმოდგინება გამოიჩინა ამერიკელმა «პატრიოტმა»...

დაწერილია 1912 წ. 26 ნოემბერზე
(9 დეკემბერზე) ადრე

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პირველად დაიბეჭდა 1954 წ.
ჟურნალ «კომმუნისტში» № 6

პარტიულობის საკითხი დემოკრატიულ სტუდენტობაში

ჩვენ აღვნიშნეთ ამ უკანასკნელ ხანს «პრავდაში» (იხ. №)[234] სტუდენტ მ-ის სტატია, რომელიც ფრიად საგულისხმო მასალას გვაძლევს «სტუდენტთა განწყობილების» საკითხზე. სტუდენტთა პარტიულობის შესახებ ავტორი ამბობს:

«რასაკვირველია. მემარცხენე ორგანიზაციების შემადგენლობაში შედის სტუდენტობის შედარებით მცირე ნაწილი. ახლანდელ პირობებში სხვანაირად არც შეიძლება იყოს, და საერთოდაც: ორგანიზაციების ძალა განისაზღვრება არა წევრთა რიცხვით, არამედ მასაზე გავლენით. ძნელია მომაეალზე მკითხაობა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ახლა მემარცხენე ორგანიზაციები მხარდამხარ მიჰყვებიან სტუდენტთა მასას» («ზაპრ. ე.»[235] № 47).

ავტორი სავსებით მართალია, რომ ჩ ვ ე ნ შ ი, რუსეთში, გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ახლანდელ პოლიტიკურ პირობებში «ორგანიზაციების ძალა განისაზღვრება ა რ ა წევრთა რიცხვით, ა რ ა მ ე დ მასაზე გავლენით». ევროპისათვის ეს სწორი არ იქნებოდა: 1905 წლის შემოდგომის რუსეთისთვისაც სწორი არ არის; მაგრამ ახლანდელი რუსეთისათვის ეს იმდენად სწორია, რომ შეიძლება გავბედოთ ასეთი მოჩვენებითი პარადოქსიც კი: ორგანიზაციის წევრთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს განსაზღვრულ მინიმუმს ი მ ი ს ა თ ვ ი ს, რომ მასაზე მისი გავლენა ფართო და მ ტ კ ი ც ე იყოს!

მაგრამ როგორია ამ «მემარცხენე» ორგანიზაციების პარტიულობა სტუდენტობაში? სტუდენტი მ. წერს:

«განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ არ იგრძნობა უთანხმოება ცალკეულ მემარცხენე ორგანიზაციებს შორის. ასეთი უთანხმოება განსაკუთრებით ძლიერი იყო სამიოდე წლის წინათ, უმოქმედობისა და სიწყნარის ჟამს. იყო შემთხვევები, რომ სასადილო და სხვ. კომისიებში არჩევნები პარტიული სიებით ეწყობოდა. ახლა ეს შუღლი თითქმის გაქრა, — ნაწილობრივ იმიტომ, რომ ყველასთვის ცხადია საერთო მოქმედებისათვის ძალთა შეერთების აუცილებლობა, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ძველი პარტიული პოზიციები შერყეულია, ახლები კი ჯერ კიდევ არ განმტკიცებულა».

უეჭველია, რომ ამ მხრივაც სტუდენტობაზე აისახა საერთო-რუსული მასშტაბის მოვლენა. ყველგან, მთელ დემოკრატიაში, აგრეთვე მუშათა შორისაც, «ძველი პარტიული პოზიციები შერყეულია, ახლები კი ჯერ კიდევ არ განმტკიცებულა». რა არის ლიკვიდატორობა? ეს არის სწორედ ან სულმოკლე დათმობა დროების სულისკვეთებისათვის, ძველი პარტიული პოზიციების «შერყეულობის» სულისკვეთებისათვის, ან ამ შერყეულობის ღვარძლიანი სიხარულით გამოიყენება ლიბერალების მიერ.

მ თ ე ლ ი დემოკრატიის ამოცანაა მთელი ძალღონით იბრძოლოს ამ «შერყეულობის» წინააღმდეგ და მიაღწიოს «ახალი პოზიციების» ზუსტ, ნათელ, გარკვეულ, მოფიქრებულ «განმტკიცებას». პარტიული (და შინაპარტიული) პლატფორმების გამო დავის, დისკუსიის «შუღლთან» აღრევა უდიდესი შეცდომა იქნებოდა.

«ძალთა შეერთება საერთო მოქმედებისათვის» სავსებით აუცილებელია, მათ შორის, მაგალითად, მარქსისტებისა და ნაროდნიკების ძალთა შეერთება. მაგრამ ეს კი არ სპობს პარტიულ გარკვეულობას, არამედ მ ო ი თ ხ ო ვ ს მას. მოქმედებათა შეერთება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც არსებობს ნ ა მ დ ვ ი ლ ი ერთიანობა რწმენისა იმის შესახებ, საჭიროა თუ არა ეს მოქმედება. ეს ნათელია, როგორც ნათელია ნათელი დღე. რუსეთის დემოკრატიას ზიანი მოსდიოდა იმის გამო, რომ იგი ცდილობდა «შეერთებინა ძალები» დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მოქმედებისათვის ა რ ა დემოკრატებთან. ლიბერალებთან!

აბა სცადეთ, ვთქვათ, პოლიტიკური გაფიცვების მომხრეთა «ძალები შეაერთოდ» მათი მოწინააღმდეგეების «ძალებთან»; ცხადია, ეს «მოქმედებისათვის» საზიანო გამოვა. არა, ჯერ მიაღწიეთ «პოზიციების», პლატფორმებისა და პროგრამების ნათელ, გარკვეულ, ზუსტ, მოფიქრებულ გამიჯვნას — და შემდეგ შეაერთეთ ისეთი ძალები, რომლებსაც შეუძლიათ ერთად იარონ თავიანთი რწმენის, თავიანთი სოციალური ბუნების მიხედვით, შეაერთეთ ისინი მხოლოდ იმ მოქმედებაში, რომელშიც შეიძლება ერთსულოვნებას მოველოდეთ. მაშინ და მხოლოდ მაშინ გამოვა სარგებლობა წამოწყებიდან.

ვ. ი.

დაწერილია 1912 წ. ნოემბრის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1954 წ.
ჟურნალ «კომმუნისტში» № 6

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გ. ლ. შკლოვსკის

თქვენი წერილი, მგონი, პირველი წერილია, სადაც გვთავაზობთ «ანგარიშს» ბაზელის შესახებ[236]!! ცოტა დაგვიანებულია... ეტყობა, რაღაცა გაკლდათ (ან რაღაც ჭარბად გქონდათ?) ბაზელში... ვფიქრობ, დელეგატებს ორგანიზებულება აკლდათ. და ეს მეტისმეტად სამწუხაროა. კამენევი, რა თქმა უნდა, ძალიან დაკავებული იქნებოდა, მაგრამ ხუთი დანარჩენი?? ნუთუ ცხადი არ იყო, რომ «პრავდისათვის» ყ ო ვ ე ლ დ ღ ე უნდა გეწერათ? ნუთუ ძნელი იყო როლების განაწილება? არც ერთი წერილი «პრავდაში» ადგილიდან, ლიკვიდატორებს კი რ ა მ დ ე ნ ი მ ე აქვთ «ლუჩში».

სირცხვილი არ არის? რასაკვირველია, რამდენადაც ჩვენ ძილში ვიქნებით, ხოლო ლიკვიდატორები იმუშავებენ, მათი საქმეები უკეთ წარიმართება. კეთდება თუ არა რაიმე «პრავდისათვის» ფულის შესაგროვებლად? არა ჩანს, ხოლო ლიკვიდატორები «ლუჩში» ანგარიშს აქვეყნებენ საზღვარგარეთ ფ უ ლ ი ს შ ე გ რ ო ვ ე ბ ი ს შესახებ. «პრავდას» კი ძალიან, ძალიან და ძალიან **უჭირს.**

აქ არც ერთ დელეგატს არ მოუწერია ბაზელის შესახებ (გარდა კამენევისა). აუცილებელი იყო ძალები გაგენაწილებინათ და დღეში ორჯერ მოგეწერათ. თქვენ კი დუმდით. ეტყობა, რაღაცათი უკმაყოფილონი ხართ. რით? ალაჰმა უწყის! ბაზელის შ ე დ ე გ ე ბ ი თ მე **ძალიან** კმაყოფილი ვარ, ვინაიდან იდიოტი ლიკვიდატორები მახეში გაებნენ საინიციატივო ჯგუფთან დაკავშირებით[237]!! უკეთ არ შეიძლებოდა ამ არამზადების ანკესზე წამოგება. მაგრამ ჩვენი დელეგატების უმოქმედობა და ჩემთვის რაღაც გაუგებარი «ტუჩების მოპრუწვა» მათ მიერ მანაღვლიანებს. ელაპარაკეთ თუ არა გერმანელ დელეგატებს? (4 — 5 კაცმა ხომ ი ც ო დ ი თ

გერმანული!) ვინ? ვის? როგორ? რაზე? არაფერი ისმის, მხოლოდ კამენევი გვაწვდის ხმას. გერმანელთა შორის აგიტაციას **ძ ა ლ ი ა ნ** დიდი მნიშვნელობა აქვს.

თქვენ იწერებით, «ჩვენთან საქმეები ცუდად არის პრესაში და ფრაქციაშიო». ცუდადაა «პროსვეშჩენიეს»[238] მხრივ. ფული არ გვაქვს. სერიოზული კრიზისია. უნდა დაგვეხმაროთ, უნდა გაგვიტანოთ.

«პრავდას» დაახლოებით 23 ათასი ტირაჟი აქვს. «ლუჩს» — 8—9. აქ ჩივილი ჯერჯერობით ცოდვაა. მაგრამ «პრავდას» ჰქონდა 60 000 IV — V-ში, ზაფხულს დაეცა 20 ათასამდე. **მეტად** ნელა მატულობს. **დაუხმარებლად სულს ვერ მოითქვამს.** ჩვენს ფრაქციაში უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე როდისმე ყოფილა. კურიის მუშების მთელი ექვსეული ჩ ვ ე ნ ი ა[239]. ეს **არასოდეს** არ ყოფილა. სამხრეთი პირველად დავიპყარით. 12-დან—6 და 6. მანკოვი მენშევიკია. რუსანოვი — გამოურკვეველია. ბრძოლა შეიძლება. აი ზუსტი მონაცემები ჩვენი პროგრესის შესახებ. დეპუტატები მუშათა კურიიდან.

II	სათათბიროში	12	მენშევიკი	11	ბოლშევიკი	(=47%)	(«ლონდონის
III	»	4	»	4	»	(=50%)	ყრილობის
IV	»	3	»	6	»	(=67%)	ოქმები»,
							გვ. 451)[240].

თუ თქვენთან არის სადმე ვინმე სასოწარკვეთილი, დაე ჩაუფიქრდეს ამ ციფრებს და შერცხვეს თავისი სასოწარკვეთილობისა. ჩვენებს შორის სათათბიროში პ ი რ ვ ე ლ ა დ არის **გამოჩენილი** მუშა-**ლიდერი** (მალინოვსკი). ის წაიკითხავს დეკლარაციას. იგი ალექსინსკის ტოლი არ გახლავთ. შედეგებიც — შესაძლოა არა ერთბაშად — დ ი დ ი იქნება. III სათათბიროში ჩვენ საქმე 0-ით დავიწყეთ!!

არალეგალური მუშაობის სფეროში, ბიუროს აქ გადმოსვლის გამო, წინანდელზე უფრო მეტია გაკეთებული. ნელა, მაგრამ მაინც წინ მივდივართ. არალეგალურად სხვებზე მეტს ვცემთ. ფული არა გვაქვს. თუ დაგვეხმარებიან — გამოვცემთ კიდევ «რაბოჩაია გაზეტას» და სხვ.

საზღვარგარეთიდან არალეგალური მუშაობის დახმარება მხოლოდ გამგზავრებით შეიძლება. შემდეგ ძ ა ლ ი ა ნ მნიშვნელოვანია დახმარება ახალი კავშირურთიერთობით, როგორიცაა: 1) წერილები — 2) ხელსაყრელი შემთხვევები — 3) **პ ა ს პ ო რ ტ ე ბ ი** და ა. შ. და მისთ. **ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ეს ც ო ტ ა ა.** აქ ადგილებზე, საზღვარგარეთ, 100-ჯერ ნაკლები კეთდება, ვიდრე შესაძლებელია. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია დაგვეხმაროთ, რომ «პრავდამ» «ს უ ლ ი მ ო ი თ ქ ვ ა ს». მას კი ცუდად ეხმარებიან. მარტო ვენელი (ბუხარინი) ცდილობს. სხვა ქალაქებში კი ა რ ა ფ ე რ ი არ კეთდება! არავინ წერს მუდმივად კორესპონდენციებს. არავინ ჰ კ რ ე ბ ს ფ უ ლ ს. არავინ აგროვებს საინტერესო ადგილობრივ წიგნებსა და ბროშურებს აქ გამოსაგზავნად საინტერესო სტატიების შედგენის...* უფრო მეტი უნდა ვიფიქროთ ამაზე, ამხანაგებო! მაგალითად ს.-დ. შვეიცარიაში, Neuenburg **-ში... ვინ იზრუნა?? რა გაკეთდა აქედან??

გართმევთ ხელს...

P. S. გადაუგზავნეთ, თუ კაცი ხართ, ეს წერილი იურის, რათა მან გადაუგზავნოს ანტონოვს პარიზში, იქიდან კი ვენაში. დღემდე ჩვენ ვერ გავიგეთ და ვერა, ილაპარაკა თუ არა პლეხანოვმა ბიუროს ოქტომბრის სხდომაზე ს.-რ-თან შეერთების შესახებ (შდრ. მარტოვი «ლუჩის» № 37-ში[241])? ნეთუ ეს ვერ კითხეთ რუბანოვიჩს. ვერც ნემეცს, ვერც ჰიუისმანსს და ვერც სხვა ვინმეს??

დაწერილია 1912 წ. 20 დეკემბერზე
ადრე
გაგზავნილია კრაკოვიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* პირში ერთ-ერთი სიტყვა აღნიშნულია როგორც გაურკვეველი; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იქ ეწერა სიტყვა «ძიზნით», რ ე დ.

** — ნეიუნბურგში. რ ე დ.

ამერიკაში

ქალაქ როჩესტერში დამთავრდა 32-ე წლიური ყრილობის სხდომები «ამერიკის შრომის ფედერაციისა» — ასე ეწოდება პროფესიული ორგანიზაციების კავშირს. სწრაფად მზარდი სოციალისტური პარტიის გვერდით ეს კავშირი წარმოადგენს წარსულის იმ ძველი ამქრული, ლიბერალურ-ბურჟუაზიული ტრადიციების ცოცხალ ნამსხვრევს, რომლებითაც დამძიმებულია ამერიკის მუშათა კლასის ა რ ი ს ტ ო კ რ ა ტ ი ა.

1911 წლის 31 აგვისტოს ფედერაციის წევრთა რიცხვი იყო 1 841 268. თავმჯდომარედ არჩეულია ისევ სამუელ გომპერსი, სოციალიზმის გადაჭრით მოწინააღმდეგე. მაგრამ სოციალისტი მუშების კანდიდატმა, მაქს ჰეისმა (Hayes) მიიღო 5. 074 ხმა წინააღმდეგ გომპერსის სასარგებლოდ მიცემული 11. 974 ხმისა, მაშინ როცა წინათ გომპერსს ერთხმად ირჩევდნენ. სოციალისტების ბრძოლას «პროფესიონალისტებთან» ამერიკის პროფესიულ მოძრაობაში ნელა, მაგრამ უტყუარად მიჰყავს პირველნი მეორეებზე გამარჯვებისაკენ.

გომპერსს არა მარტო სავსებით სჯერა ბურჟუაზიული ზღაპარი «შრომისა და კაპიტალის ჰარმონიის» შესახებ, არამედ იგი პირდაპირაც ეწევა ფედერაციაში ბურჟუაზიულ პოლიტიკას სოციალისტურის წინააღმდეგ, — თუმცა სიტყვიერად პროფესიული კავშირების სრულ პოლიტიკურ «ნეიტრალობას» იცავს! ამას წინათ ამერიკაში პრეზიდენტის არჩევნე-

ბის დროს გომპერსმა ფედერაციის ოფიციალურ ორგანოში გადაბეჭდა სამივე ბურჟუაზიული პარტიის (დემოკრატები, რესპუბლიკელები და პროგრესისტები) პროგრამები და პლატფორმები, მაგრამ სოციალისტური პარტიის პროგრამა არ გადაბეჭდა!!

თვით გომპერსის მომხრეთა წრიდანაც კი გაისმა როჩესტერის ყრილობაზე პროტესტი ასეთი მოქმედების წინააღმდეგ.

საქმის ვითარება ამერიკის მუშათა მოძრაობაში გვიჩვენებს, ისევე როგორც ინგლისში, წმინდა პროფესიონალისტური და სოციალისტური მისწრაფებების შესანიშნავ მკვეთრ გათიშვას, გათიშვას ბურჟუაზიულ მუშათა პოლიტიკასა და სოციალისტურ მუშათა პოლიტიკას შორის. ვინაიდან, რაც უნდა უცნაურად გაისმოდეს ეს სიტყვები, მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ბურჟუაზიულ პოლიტიკას შეიძლება მუშათა კლასიც ეწეოდეს, თუ იგი ივიწყებს თავის გამათავისუფლებელ მიზნებს, ურიგდება დაქირავებულ მონობას და სჯერდება ხან ერთ და ხან მეორე ბურჟუაზიულ პარტიასთან კავშირზე ზრუნვას თავისი მონური მდგომარეობის მოჩვენებით «გაუმჯობესებათა» გულისთვის.

მთავარი ისტორიული მიზეზი, რომელმაც განაპირობა ინგლისსა და ამერიკაში ბურჟუაზიული მუშათა პოლიტიკის განსაკუთრებული მკაფიობა და (დროებითი) ძალა, ეს არის — დიდი ხნის პოლიტიკური თავისუფლება და, სხვა ქვეყნებთან შედარებით, არაჩვეულებრივად ხელსაყრელი პირობები კაპიტალიზმის განვითარებისათვის ბოლო სიღრმე-სიგანით. ამ პირობების გამო მუშათა კლასში გამოიყო არისტოკრატია, რომელიც ბურჟუაზიას მისდევდა და თავის კლასს ღალატობდა.

XX საუკუნეში ინგლისისა და ამერიკის მდგომარეობის ეს განსაკუთრებულობა სწრაფად ქრება: სხვა ქვეყნები ეწევიან ანგლო-საქსურ კაპიტალიზმს, და მუშათა მასები ცხოვრების გამოცდილებიდან სწავლობენ სოციალიზმს. რაც უფრო

სწრაფი იქნება მსოფლიო კაპიტალიზმის ზრდა, მით უფრო მალე დადგება სოციალიზმის გამარჯვება ამერიკასა და ინგლისში.

დაწერილია 1912 წ. 8 (21)
დეკემბერზე ადრე

პირველად დაიბეჭდა 1954 წელს
ჟურნალ «კომმუნისტში» № 6

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მუშათა კლასი და მისი «პარლამენტური» წარმომადგენლობა

სტატია III[242].

მესამე სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია რუსეთში პირველი ს.-დ. ფრაქცია იყო, რომელმაც რამდენიმე წელს იარსება და გაუძლო მუშათა კლასის პარტიასთან ერთად მუშაობის ხანგრძლივ «გამოცდას». გასაგები მიზეზების გამო, ჩვენ არ შეგვიძლია აქ მოვყვეთ ამ მუშაობის ისტორიას. ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ და უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ ყველაზე მთავარი: როგორ ა ი ს ა ხ ე ბ ო დ ა სათათბიროს ფრაქციაზე პარტიის განვითარება? როგორ იცვლებოდა ფრაქციის დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა პარტიასთან?

უწინარეს ყოვლისა გვიხდება იმ ფაქტის დადგენა, რომ მესამე სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის მოღვაწეობის პირველ ნაბიჯები პარტიის უმრავლესობის გადაჭრილ უკმაყოფილებას და მკვეთრ დაგმობას იწვევდა. ფრაქციაში საგრძნობლად ჭარბობდნენ მენშევიკები, რომლებიც პარტიის 1907 წლის გადაწყვეტილებათა[243] მიმართ ოპოზიციაში იყვნენ, და ეს «ოპოზიცია» განაგრძო ან გადაიღო III სათათბიროს ს.-დ. ფრაქციამ.

პარტიასა და ფრაქციას შორის დაიწყო თავისებური ბრძოლა. ფრაქციის დეკლარაციას ბრალს სდებდნენ — და სავსებით სამართლიანად — ოპორტუნიზმში. პრესის ორგანოები, რომლებიც პარტიის უმრავლესობის ან მთლიანად მთელი პარტიის აზრს გამოხატავდნენ, მრავალგზის აკრიტი-

კებდნენ ფრაქციის ოპორტუნისტულ ნაბიჯებს და აღნიშნავდნენ, რომ სხვადასხვა საკითხში ფრაქციამ ბოლომდე ვერ თქვა ან არასწორად გადმოსცა პარტიის შეხედულებები.

გრძელი სია მესამე სათათბიროს ფრაქციის შეცდომებისა და უმართებულო ნაბიჯებისა, რომლებიც უნდა გამოსწორდეს ოფიციალურად აღიარებული იყო 1908 წლის დეკემბერში[244]. ცხადია, ამასთან ზუსტად იყო აღნიშნული, რომ ბრალი აქ ედება არა მარტო ფრაქციას, არამედ მ თ ე ლ პარტიასაც, რომელმაც უფრო მეტი უნდა იმუშაოს თავის სათათბიროს წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა ზ ე და მასთან ე რ თ ა დ.

ამ მუშაობის შედეგები ყველას თვალწინ აქვს. 1908-დან 1912 წლამდე პარტიაში მენშევიზმის მემარჯვენე ფრთა ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ო ბ ა დ ვითარდებოდა. ლიკვიდატორობის წინააღმდეგ როგორც ბოლშევიკების, ისე პარტიული მენშევიკების[245] ოთხი წლის ბრძოლას ისტორიიდან ვერ ამოშლი. რაც უნდა სურდეს ეს «ლუჩს».

და ამ 4 წლის განმავლობაში სათათბიროს ს.-დ. ფრაქცია პ ა რ ტ ი ი ს ა დ მ ი ოპოზიციური ფრაქციიდან, რომელსაც პარტია აკრიტიკებდა და მენშევიკები იცავდნენ (ხან კი პირდაპირაც აქეზებდნენ ოპორტუნიზმში), — ა ნ ტ ი ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ უ ლ ფრაქციად იქცა.

მესამე სათათბიროს ფრაქციის განაწილებამ გაზეთების მიხედვით 1912 წლისათვის ეს დოკუმენტალურად დაამტკიცა. ასტრახანცევი და კუზნეცოვი ლიკვიდატორთა «ჟივოე დელოში» იყვნენ. ბელოუსოვი — ასევე, მაგრამ ის მალე ს უ ლ წ ა ვ ი დ ა ფ რ ა ქ ც ი ი დ ა ნ, თან გაუგზავნა მას უ ა ღ რ ე ს ა დ ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ უ ლ ი უსტარი, სადაც თანაგრძნობით იმოწმებდა მარტოვსა და «ნაშა ზარიას»[246] (ბ-ნ ბელოუსოვის ეს ისტორიული უსტარი, ალბათ, მალე გამოქვეყნდება პრესაში).

შემდეგ, შურკანოვი იყო ლიკვიდატორულ გაზეთშიც და ანტილიკვიდატორულშიც. გეგეჭკორი და ჩხეიძე არც ერთში და არც მეორეში არ ყოფილან. ფ რ ა ქ ც ი ი ს დანარჩენი 6 წ ე ვ რ ი (ვორონინი, ვოილოშნიკოვი, ეგოროვი, ზახაროვი,

1913 წ.

ეჟენი პოტიე

(მისი გარდაცვალების 25 წლისთავის გამო)

გასული, 1912, წლის ნოემბერში 25 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ფრანგი მუშა-პოეტი ეჟენი პოტიე, ცნობილი პროლეტარული სიმღერის «ინტერნაციონალის» («აღსდეგ, კრულვითა დაღდასმულო» და ა. შ.) ავტორი.

ეს სიმღერა გადათარგმნილია ყველა ევროპულ ენაზე, და არა მარტო ევროპულზე. რა ქვეყანაშიც უნდა მოხვდეს შეგნებული მუშა, საითაც უნდა გადატყორცნოს იგი ბედმა, რა უცხოდაც უნდა გრძნობდეს იგი თავს, უენოდ, უნაცნობოდ, სამშობლოს დაშორებით, — მას შეუძლია ნახოს ამხანაგები და მეგობრები «ინტერნაციონალის» ნაცნობი ჰანგებით.

ყველა ქვეყნის მუშებმა გადაიღეს თავიანთი მოწინავე მებრძოლის, პროლეტარი-პოეტის სიმღერა და ამ სიმღერიდან შექმნეს მთელი მსოფლიოს პროლეტარული სიმღერა.

და ყველა ქვეყნის მუშები აღნიშნავენ ახლა ეჟენი პოტიეს ხსოვნას. მისი ცოლი და ქალიშვილი ახლაც ცოცხლები არიან და სიღატაკეში ცხოვრობენ, როგორც ცხოვრობდა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში «ინტერნაციონალის» ავტორი. იგი დაიბადა პარიზში 1816 წლის 4 ოქტომბერს. 14

წლისა იყო, როცა შეთხზა თავისი პირველი სიმღერა, და ამ სიმღერას ეწოდებოდა — «გაუმარჯოს თავისუფლებას!» 1848 წელს, მუშების დიად ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ, იგი მონაწილეობას იღებდა, როგორც ბარიკადებზე მებრძოლი.

პოტიე ღარიბ ოჯახში დაიბადა და მთელ თავის სიცოცხლეში ღატაკი, პროლეტარი დარჩა, ლუკმა-პურს შოულობდა ყუთების შეფუთვით, შემდეგში კი ქსოვილზე ხატვით.

1840 წლიდან იგი საფრანგეთის ცხოვრების ყველა დიდ მოვლენას ეხმაურებოდა თავისი საბრძოლო სიმღერით, — აღვიძებდა ჩამორჩენილთა შეგნებას, მოუწოდებდა მუშებს ერთიანობისაკენ, ამათრახებდა საფრანგეთის ბურჟუაზიასა და ბურჟუაზიულ მთავრობებს.

დიდი პარიზის კომუნის დროს (1871 წ.) პოტიე აირჩიეს მის წევრად. 3.600 ხმიდან მან მიიღო 3.352, იგი მონაწილეობდა კომუნის, ამ პირველი პროლეტარული მთავრობის, ყველა ღონისძიებაში.

კომუნის დაცემამ პოტიე აიძულა ინგლისსა და ამერიკაში გაქცეულიყო. განთქმული სიმღერა «ინტერნაციონალი» მან დაწერა 1871 წლის ივნისში, შეიძლება ითქვას, მაისის სისხლიანი დამარცხების მეორე დღეს...

კომუნა ჩახშობილია... მაგრამ პოტიეს «ინტერნაციონალმა» კომუნის იდეები მთელ მსოფლიოს მოჰფინა, და იგი ახლა უფრო მეტად არის ცოცხალი, ვიდრე ოდესმე.

განდევნილმა პოტიემ 1876 წელს დაწერა პოემა: «ამერიკის მუშები საფრანგეთის მუშებს». მან ამ პოემაში დახატა მუშების ცხოვრება კაპიტალიზმის უღელქვეშ, მათი სიღატაკე, მათი კატორღული შრომა, მათი ექსპლოატაცია, მათი მტკიცე რწმენა თავიანთი საქმის მომავალი გამარჯვებისადმი.

კომუნის დაცემიდან მხოლოდ ცხრა წლის შემდეგ დაბრუნდა პოტიე საფრანგეთში და მაშინვე «მუშათა პარტიაში» შევიდა. 1884 წელს გამოიცა მისი ლექსების პირველი ტომი. 1887 წელს — მეორე ტომი სათაურით: «რევოლუციური სიმღერები».

მუშა-პოეტის მთელი რიგი სხვა სიმღერები უკვე მისი სიკვდილის შემდეგ გამოიცა.

1887 წლის 8 ნოემბერს პარიზელმა მუშებმა ეჟენი პოტიეს ნეშტი წაასვენეს Père Lachaise-ის სასაფლაოზე, სადაც დაკრძალული არიან დახვრეტილი კომუნარები. პოლიცია აწყობს ცემა-ტყეპას, ცდილობს წაართვას მუშებს წითელი დროშა. დიდძალმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა სამოქალაქო დაკრძალვაში. ყველა მხრიდან გაისმოდა შეძახილები: «გაუმარჯოს პოტიეს!».

პოტიე სიღატაკეში გარდაიცვალა. მაგრამ მან ჭეშმარიტად ხელთუქმნელი ძეგლი დაგვიტოვა. იგი იყო ერთ-ერთი უდიდესი პროპაგანდისტი სიმღერის საშუალებით. როდესაც მან შეთხზა თავისი პირველი სიმღერა, მუშა სოციალისტების რიცხვი, დიდი-დიდი, ათეულებით განიზომებოდა. ეჟენი პოტიეს ისტორიული სიმღერა ახლა ათეულ მილიონობით პროლეტარებმა იციან...

«პრავდა» № 2, 1913 წ. 3 იანვარი
ხელმოწერა: ნ. ლ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მუშა-მომღერალთა გუნდების განვითარება გერმანიაში

გერმანიის მუშა-მომღერალთა საზოგადოებებმა ამ ცოტა ხნის წინათ იდღესასწაულეს თავისებური იუბილე: მუშა-მომღერალთა რიცხვმა მიაღწია 100.000-ს, ამასთან მუშა-მომღერალთა საზოგადოებების წევრთა საერთო რიცხვია 165.000 ადამიანი. ამ საზოგადოებებში შემავალ მუშა-ქალთა რიცხვი 11.000-ს შეადგენს.

მუშა-მომღერალთა გუნდებს აქვთ თავიანთი ბეჭდვითი ორგანო: «მუშა მომღერალთა გაზეთი», რომელმაც წესიერად გამოსვლა მხოლოდ 1907 წლიდან იწყო.

მუშა-მომღერალთა საზოგადოებების პირველი ნაბიჯები 1860-იან წლებს ეკუთვნის. ლაიფციგის «სახელოსნო საგანმანათლებლო საზოგადოებაში» ჩამოყალიბდა მომღერალთა განყოფილება, და მისი წევრი იყო, სხვათა შორის, ავგუსტ ბებელი.

ფერდინანდ ლასალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მუშათა გუნდების ორგანიზაციას. მისი დაჟინებითი მოთხოვნით «გერმანიის საყოველთაო მუშათა კავშირის»[249] წევრებმა 1863 წელს მაინის ფრანკფურტში დააარსეს მუშათა საზოგადოება სახელწოდებით: «მომღერალთა კავშირი». ეს კავშირი იკრიბებოდა ფრანკფურტის ერთი პატარა ტრაქტირის ბნელ, ბოლით გავსებულ, უკანა ოთახში, ოთახი განათებული იყო ქონის სანთლებით.

კავშირის წევრთა რიცხვი 12 იყო. როდესაც ლასალს, ერთ-ერთი სააგიტაციო მოგზაურობის დროს, ფრანკფურტში მო-

უხდა ღამის გათევა, ამ 12-მა მუშა-მომღერალმა გუნდურად უმღერა სიმღერა ცნობილი პოეტის ჰერვეგისა, რომელსაც ლასალი დიდ ხანს სთხოვდა დაეწერა სიტყვები მუშათა საგუნდო სიმღერისათვის.

განსაკუთრებული კანონის[250] გაუქმების შემდეგ 1892 წელს მუშა-მომღერალთა გუნდები გერმანიაში შეადგენდნენ 180 მომღერალთა საზოგადოებას 4.300 წევრით. 1901 წელს წევრთა რიცხვმა მიაღწია 39.717-ს, 1907 წელს — 93.000-ს, ხოლო 1912 წელს — 165.000-ს. ბერლინში ითვლება მუშა-მომღერალთა საზოგადოებების 5.352 წევრი, ჰამბურგში — 1.628, ლაიფციგში — 4.051, დრეზდენში — 4.700 და ა. შ.

ამას წინათ ჩვენ ვიტყობინებოდით, თუ როგორ იდღესასწაულეს საფრანგეთისა და სხვა რომანული ქვეყნების მუშებმა სახელგანთქმული «ინტერნაციონალის» ავტორის ეუენი პოტიეს (1816 — 1887) გარდაცვალების ოცდახუთი წლისთავი* გერმანიაში მუშური სიმღერით სოციალიზმის პროპაგანდა გაცილებით უფრო ახალი საქმეა და გერმანიის «იუნკრული» (მემამულური, შავრაზმული) მთავრობა გაცილებით უფრო მეტ საზიზღარ პოლიციურ დაბრკოლებებს უქმნის ასეთ პროპაგანდას.

მაგრამ პოლიციის ვერავითარი შარი ვერ შეუშლის ხელს იმას, რომ მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქში, ყველა საფაბრიკო დაბაში და მოჯამაგირეთა ქოხებში სულ უფრო ხშირად გაისმის ერთსულოვანი პროლეტარული სიმღერა დაქირავებული მონობისაგან კაცობრიობის მოახლოებული განთავისუფლების შესახებ.

დაწერილია 1913 წ. 16 იანვრის
შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1954 წელს
ჟურნალ «კომმუნისტში» № 6
ხელმოწერა: ტ.

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 231 — 233. რ ე დ.

ნ. ა. რუბაკინს

1913. 13. II.

პატივცემულო ამხანაგო! თქვენს მიერ განზრახულ ცვლილებებს მე არ შეშიძლია დავეთანხმო. წიგნი «12 წლის მანძილზე»[251] კონფისკაციაქმნილია, და საეჭვოა, მისი შოვნა შეიძლებოდეს. თუმცაღა, ვიკითხავ სადმე და, თუ ვიშოვე, გამოგიგზავნით.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული მთხოვს სალამი გადმოგცეთ.

Absender: Wl. Uljanow. 47. Lubomirskiego. Krakau.

თქვენი პატივისმცემელი

ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია კრაკოვიდან კლარანში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ბურჟუაზიის საერთაშორისო პოლიტიკა

მთავრობის გაზეთები და ლიბერალური გაზეთები აღსავსეა ცნობებით, ხმებით, ვარაუდებითა და მოსაზრებებით «ბალკანეთის» პოლიტიკის შესახებ. რა გინდათ რომ იქ არ იყოს! ერთი «სენსაცია» მეორეს უსწრებს, ერთი ცნობა მეორეზე «პიკანტურია». გუშინ, ვითომ, უკვე უნდა ამტყდარიყო ავსტრია-ჩერნოგორიის, ბულგარეთ-სერბიის ომი. დღეს ერთიმეორეს ასწრებენ და აბათილებენ გუშინდელ ცნობებს და ირწმუნებიან, «მშვიდობა უზრუნველყოფილიაო».

გუშინ — პიკანტური ზღაპრები ესად-ფაშაზე, მისი საიდუმლო ხელშეკრულება ჩერნოგორიის მეფესთან, მისი ვერაგული გეგმები ალბანეთში ძალაუფლების დაპყრობის. გამო. დღეს — ამ ზღაპრების უარყოფა და ახალი «პიკანტური» ამბები — ავსტრია ესადს შეუთანხმდაო.

ფილისტერთა წრეები ყურებდაცქვეტილნი ისმენენ ამ ამბა-უბდას, სიმართლედ მიიჩნევენ მონაჩმახს და ბრმად მიჰყვებიან აფერისტებს, რომლებიც ცდილობენ მიაპყრონ «საზოგადოებრივი» ყურადღება სწორედ იმას, რაც მათ, აფერისტებს, სჭირდებათ. ფილისტერთა წრეებს ეჭვიც არ შესდით, რომ ისინი ხელში ჰყავთ ჩაჭერილნი, რომ წკრიალა ფრაზებით «პატრიოტიზმზე», «სამშობლოს ღირსებასა და პრესტიჟზე», «დიდ სახელმწიფოთა დაჯგუფებაზე» განზრახ ჩქმალავენ ფინანსური ყალთაბანდებისა და ყოველგვარი კაპიტალისტური ავანტიურისტების ოინებს. პიკანტური ახალი ცნობები, რასაც ყოველდღე აცხობენ დიდი ბურჟუაზიული გაზეთები, რომლებიც მხოლოდ იმით არიან გართულნი, რომ

მოგებით ჰყიდიან «ცხელ-ცხელ» და «მეტად პიკანტურ» ამბებს, სწორედ იმისათვისაა განკუთვნილი, რომ ჩ ა მ ო ა-შ ო რ ო ნ ხალხის ყურადღება ნამდვილად მნიშვნელოვან საკითხებს, «მაღალი» პოლიტიკის ნამდვილ სარჩულს.

კონსერვატიული გაზეთები ევროპაში, შავრაზმული და ოქტიაბრისტული, აგრეთვე უპარტიო გაზეთები ჩვენში ამ თამაშს ტლანქად და უშნოდ აწარმოებენ — რუსეთში, მაგალითად, ისინი ყოველდღე უსისიანებენ ავსტრიაზე და რუსეთს სლავთა «დამცველად» წარმოგვიდგენენ. ლიბერალური გაზეთები, როგორიცაა «რეჩი» და მისი მსგავსი ორგანოები, ს წ ო რ ე დ ი მ ა ვ ე თ ა მ ა შ ს აწარმოებენ, ოღონდ უფრო ოსტატურად, უფრო მოხერხებულად ჩქმალავენ მას, უფრო ფრთხილად «ჩხვლეტენ» ავსტრიას, თავს ასაღებენ სახელმწიფო მოღვაწეებად, რომლებიც ევროპული კონცერტის საკითხებს განიხილავენ.

ნამდვილად კი ავსტრიისა და რუსეთის, სამთა კავშირისა და სამთა შეთანხმების მთელი ეს კინკლაობა, მთელი ეს ოსტატური მიდგომა, — ყოველივე ეს მხოლოდ კაპიტალისტურ საქმოსანთა და კაპიტალისტურ მთავრობათა დავაა მოგების გაყოფის გამო. ცდილობენ ჩააბან ფილისტერი იმ საკითხში, თუ როგორმე წავგლიჯოთ «ჩვენთვის» მეტი, როგორმე მივცეთ «მათ» ნაკლებიო. ცდილობენ შეიქციონ, დააინტერესონ ფილისტერები ამის გამო ატეხილი კინკლაობით.

იმაზე, თუ რამდენ ტყავს გააძრობენ ახლა გლეხსა და მუშას სერბიაში, ბულგარეთსა და საბერძნეთში ომის ხარჯების გადასახდელად, — ან ავსტრიაში მობილიზაციის ხარჯების დასაფარავად — ან რუსეთში ამისათვისვე და დიდშპყრობელური პოლიტიკის გასატარებლად; იმაზე, უზრუნველყოფილი იქნებიან თუ არა და სახელდობრ როგორ დემოკრატიული დაწესებულებანი ბალკანეთის «ახალ» სახელმწიფოებში ან სომხეთში თუ მონგოლეთში, — ამაზე არ წერენ და არ ლაპარაკობენ. ეს საინტერესო არ არის. საერთაშორისო ზვიგენების მოგება ამაზე როდია დამოკიდებული. მოგების «დამშვიდებულად» მიღებას დემოკრატიული და-

წესებულებანი ხელსაც კი უშლიან. დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკის მ ხ ი ლ ე ბ ი ს ნაცვლად გაზეთები, დამცველურ-ნიც და ლიბერალურნიც, გართული არიან იმაზე მსჯელობით, თუ უ კ ე თ როგორ გააძღონ ზვიგენები ამ პოლიტიკით.

„პრავდა“ № 101, 1913 წ.
4 მაისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მემამულის ხმა სოფლის «დამშვიდების» შესახებ

თუ გაზეთი «ნოვოე ვრემია» სავსებით დამსახურებულად სარგებლობს ერთ-ერთი ყველაზე უნამუსო გაზეთის «სახელით», რომელიც ეგუება ხელსაყრელ აფიორასაც, მთავრობასაც, ნბრძანებელ მემამულეთა კლასსაც, ამ გაზეთის თანამშრომელი მენშიკოვი ორმაგად სარგებლობს ასეთი სახელით და ორმაგად დამსახურებულად სარგებლობს.

მენშიკოვის სტატიების მიხედვით ხშირად განსაზღვრავენ უშეცდომოდ, თუ მოხელეთა ან კაპიტალისტური ანდა ბატონკაცური პეტერბურგის რა «წრეებმა» შეუკვეთეს მას ესა თუ ის გამოსვლა. არც ისე დიდი ხანია, რაც ამ მენშიკოვს შეუკვეთეს სტატია, რომ დაეცვა «არისტოკრატიული» სახელმწიფო საბჭო მისი ვითომდა «დემოკრატიული» გარდაქმნის გეგმებისაგან. ეს სტატია აშკარად შეკვეთილია წარჩინებულ მემამულეთა წრეების მიერ. მით უფრო საგულისხმოა მოვისმინოთ მემამულის ხმა სოფლის ყბადაღებული «დამშვიდების» საკითხის გამო.

«ჩემთან საკმაოდ ხშირად შემოივლიან ხოლმე პეტერბურგს ჩამოსული პროვინციალები, ემამულეები და საზოგადო მოღვაწენი»... გვაუწყებს მენშიკოვი. შეივლიან თუ არა მასთან მემამულენი, თუ ის შეივლის ხოლმე წარჩინებულ მემამულეთა მისაღებ ოთახებში, ეს სხვა საკითხია. ყოველ შემთხვევაში, ის მემამულეთა ხმით მღერის, და მისი სტატია სწორედ იმისათვისაა საგულისხმო, რომ გავეცნოთ მემამულეთა გულახდილ სიტყვებს.

«მათ თუ დავუჯერებთ, — ხოლო რატომ არ უნდა ვენდოთ მათ», — განაგრძობს მემამულის ხმა, — «1905 — 1906 წლების პუგაჩოველობა სულაც არ შეწყვეტილა. იგი მიწყნარდა, სხვაგვარი, ნაკლებ მყვირალა გახდა ფორმის მხრივ, მაგრამ განაგრძობს თავის ნგრევითს საქმეს. გლეხები, მართალია, წინანდებურად არ დაიარებიან მთელ ბრბოებად და ცხენიანი საზიდების ქარავნებით, რათა ძარცვონ და გადაბუგონ მემამულეთა კარმიდამოები. მაგრამ ცეცხლს მაინც განუწყვეტლივ წაუკიდებენ ხოლმე — ხან სახლს, ხან კალოს, ხან ფარდულს, ხან ბეღელს, ხან პურის ზვინებს გადაწვავენ. გრძელდება ნათესების ყოვლად აღმაშფოთებელი, ყოვლად უაზრო გაფუჭება პირუტყვის ძოვებით... ჩვენი პარლამენტური ხანის შვიდი წლის განმავლობაში ბრძოლა სოფლის ანარქიასთან ერთი ნაბიჯითაც არ წაწეულა წინ».

ასე წერს მენშიკოვი «ნოვოე ვრემიაში». მას, ცხადია, შეკვეთილი აქვს მოამზადოს «საზოგადოებრივი აზრი» «ხულიგნების», დევნისა და დასჯის ახალი ზომებისათვის, — «ხულიგნებისა», როგორც ჩვეულებრივად ამბობენ შავრაზმელ-ოქტიაბრისტთა ბანაკში. მაგრამ, შეკვეთას რომ ასრულებს, მემამულეთა ლაქია წამოაყრანტალებს მემამულეთა ჭეშმარიტ განწყობილებას და მათი შეშფოთების ჭეშმარიტ მიზეზებს.

ჩავწეროთ და დავიხსომოთ, რომ ბატონი მემამულენი ახალი სადამსჯელო კანონებითა და დადგენილებებით აპირებენ ებრძოლონ 1905 — 1906 წლების «პუგაჩოველობას», რომელიც სულაც არ შეწყვეტილა, არამედ რომელმაც სხვა ფორმები მიიღო.

ოღონდ ცოტა უცნაურია ერთი რამ. 1905 და 1906 წელს მთავრობა და გაერთიანებული თავადაზნაურული საბჭო არწმუნებდნენ საკუთარ თავს და სხვებს, «პუგაჩოველობა» შედეგია თემური მიწათმფლობელობისა და გლეხთა შორის მიწის კერძო საკუთრების შექმნის განუვითარებლობისაო. ახლა მთავრობის ყველა აგენტმა, მთავრობის ყველა პარტიამ, ყველა გაზეთმა გამოგვაყრუეს ლაპარაკით თემის დანგრევასა და და-

შლაზე, ახალი მიწათმოწყობისა და გლეხობაში მიწის კერძო საკუთრების დანერგვის «დიდ» წარმატებებზე. თუ ასეა, მაშინ «პუგაჩოველობა», რომელიც თითქოს თემმა წარმოშვა, უნდა შეწყვეტილიყო! ხოლო თუ იგი «სულაც არ შეწყვეტილა», როგორც მემამულენი მენშიკოვის პირით ირწმუნებიან, — ცხადია, რომ თემი აქ არაფერ შუაშია. ცხადია, «ახალი მიწათმოწყობის» ყბადაღებული წარმატებანი მითია.

იმ პოლიტიკის კრახი, რომლითაც ბბ. მემამულენი ტრაბახობენ, ყოველ შემთხვევაში თვალწინაა.

«პრავდა» № 101, 1913 წ.
4 მაისი
ხელმოწერა: მ. პ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

კაპიტალიზმი და ქალის შრომა

თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოება თავის წიაღში ატარებს სიღატაკისა და ჩაგვრის მრავალ ისეთ შემთხვევას, რომლებიც ერთბაშად კი არ გვეცემა თვალში. მეშჩანთა, ხელოსანთა, მუშათა, მოსამსახურეთა, წვრილ მოხელეთა დაქსაქსული ოჯახები საშინელ გაჭირვებაში არიან, ვაივაგლახით თუ გაიტანენ თავს უკეთეს დროშიც კი. მილიონობით და მილიონობით ქალები ასეთ ოჯახებში ცხოვრობენ (ანუ, უკეთ, წვალობენ) «შინამონების» ცხოვრებით, რომლებიც ცდილობენ გამოკვებონ და შემოსონ ოჯახი გროშად, ყოველდღიური ჭაპანწყვეტითა და «ეკონომიის» გაწევით ყველაფერზე, გარდა საკუთარი შრომისა.

ამ ქალებიდან კაპიტალი ყველაზე მეტი ხალისით იყვანს შინმომუშავეებს, რომლებიც მზად არიან საოცრად მცირე ქირით «იშოვონ» ცოტა რამ თავისთვისა და ოჯახისათვის ლუკმაპურის შესაძენად. ამავე ქალებიდან ყველა ქვეყნის კაპიტალისტები იყვანენ (ძველი დროის მონათმფლობელთა და შუა საუკუნეების მებატონე-მემამულეთა მსგავსად) რამდენიც ნებავთ ხასებს სრულიად «მისაწვდომ» ფასად. და ვერავითარი «ზნეობრივი აღშფოთება» (ასიდან 99 შემთხვევაში თვალთმაქცური) პროსტიტუციის გამო ვერაფერს გააწყობს ქალთა სხეულით ვაჭრობის წინააღმდეგ: ვიდრე დაქირავებული შრომა არსებობს, პროსტიტუციაც გარდუვალად იარსებებს. ყველა ჩაგრული და ექსპლოატირებული კლასი ადამიანთა საზოგადოებრიობის ისტორიაში ყოველთვის იძულებული იყო (სწორედ ამაში მდგომარეობს მათი ექსპლოატაცია) ეძლია მჩაგვრელებისათვის, ჯერ ერთი, თავისი აუნაზღაურებელი შრომა და, მეორეც, თავისი ქალები ხასებად «ბატონებისათვის».

მონობა, ბატონყმობა და კაპიტალიზმი ერთნაირია ამ მხრივ. იცვლება მხოლოდ ექსპლოატაციის ფ ო რ მ ა. ექსპლოატაცია კი რჩება.

პარიზში, «მსოფლიოს დედაქალაქში», ცივილიზაციის ცენტრში, ამჟამად გახსნილია «ექსპლოატირებული შინმომუშავე ქალების» ნაწარმოებთა გ ა მ ო ფ ე ნ ა.

თვითეულ გამოფენილ საგანზე ჩვენ ვხედავთ ბილეთს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენს ი ღ ე ბ ს მისი დამზადებისათვის შინმომუშავე ქალი და რამდენი შეუძლია მას გამოიმუშაოს ამასთან დღესა და საათში.

და რა ირკვევა? შინმომუშავე ქალს ა რ ც ე რ თ საქონელზე ა რ შ ე უ ძ ლ ი ა 1¼ ფრანკზე, ე. ი. 50 კაპიკზე მეტი გამოიმუშაოს. სამუშაოთა უდიდესი მასა კი ამაზე გაცილებით უფრო მცირე გასამრჯელოს იძლევა. აი, მაგ., აბაჟური. ქირა — 4 კაპიკი დუჟინში. ან ქალალდის პარკი — 15 კაპიკი 1000 ცალში, ხელფასი — ე ქ ვ ს ი კაპიკი საათში. აი ლენტიანი პატარა სათამაშოები და მისთ. — 2 ½ კაპიკი საათში. აი საყვავილე სამუშაოები — ო რ ი-ს ა მ ი კაპიკი საათში. აი ქალისა და მამაკაცის თეთრეული — ო რ ი დ ა ნ ე ქ ვ ს კაპიკამდე საათში. და ასე შემდეგ დაუსრულებლივ.

საჭიროა, რომ ჩვენმა მუშათა საზოგადოებებმაც და პროფესიულმა კავშირებმაც მოაწყონ ამგვარი «გამოფენა». იგი ვერ მოგვცემს დიდძალ მოგებას, რასაც ბურჟუაზიის გამოფენები აგროვებენ. პროლეტარი ქალის გაჭირვებისა და სიღატაკის გამოფენა სხვაგვარ სარგებლობას მოგვიტანს: იგი დაეხმარება დაქირავებულ მუშებსა და მონა ქალებს შეიგნონ თავიანთი მდგომარეობა, გადახედონ თავიანთ «ცხოვრებას», ჩაუფიქრდნენ გაჭირვების, სიღატაკის, პროსტიტუციისა და უქონელთა ყოველგვარი შეგინების მარადიული უღლისაგან თავის დაღწევის პირობებს.

«პრავდა» № 102, 1913 წ. 5 მაისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ბელგიელთა გაფიცვის გაკვეთილები

ბელგიელი მუშების საყოველთაო გაფიცვა გათავდა, როგორც ცნობილია, ნახევარი გამარჯვებით[252]. ჯერჯერობით მუშებმა მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ კლერიკალური მთავრობა მათ შეჰპირდა დანიშნოს კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს არა მარტო საერობო, არამედ აგრეთვე საერთო სახელმწიფოებრივი საარჩევნო უფლების საკითხი. ამ დღეებში ბელგიის პრემიერ-მინისტრი შეჰპირდა დეპუტატთა პალატას, კომისია მაისში დაინიშნებაო.

რა თქმა უნდა, სამინისტროს დაპირება (ისევე როგორც საერთოდ ყოველგვარი დაპირება «ზემოდან») სრულიად არასერიოზულ რამეს წარმოადგენს. მცირე გამარჯვებაზეც კი არ შეიძლებოდა ლაპარაკი, ზოგადპოლიტიკური ვითარება რომ არ მოწმობდეს, რომ საყოველთაო გაფიცვამ ერთგვარად შეანგრია ძველი, შეურიგებელი, ჯიუტი და კერპი კლერიკალური (შავრაზმულ-ხუცესური) «წესრიგი».

გაფიცვის მონაპოვარია არა იმდენად ეს ნაწილობრივი გამარჯვება მთავრობაზე, რამდენადაც ორგანიზაციის, დისციპლინის, ბრძოლისათვის აღმაფრენისა და ენთუზიაზმის წარმატება ბელგიის მუშათა კლასის მასებს შორის. ბელგიის მუშათა კლასმა დაამტკიცა, რომ მას შეუძლია მტკიცედ იბრძოლოს თავისი სოციალისტური პარტიის ლოზუნგით. «ჩვენ, თუ საჭირო იქნა, კიდევ გავიმეორებთ გაფიცვას!». ეს სიტყვები, რომლებიც წარმოთქვა მუშათა ერთ-ერთმა ბელადმა გაფიცვის დროს, გამოხატავენ მასების შეგნებას, რომ

მათ მტკიცედ უპყრიათ ხელთ იარაღი და რომ ისინი მზად არიან კვლავ აამოქმედონ ეს იარაღი. ბატონ ბელგიელ კაპიტალისტებს კი გაფიცვამ დაუმტკიცა, რა დიდ ზარალს აყენებს იგი კაპიტალს, რა აუცილებელია დათმობა, თუ ბელგიის კაპიტალს არ სურს უიმედოდ ჩამორჩეს გერმანიის კაპიტალს და შ.

ბელგიაში უკვე დიდი ხანია დამყარდა მტკიცე კონსტიტუციური წესწყობილება, ხალხმა პოლიტიკური თავისუფლება დიდი ხანია მოიპოვა. პოლიტიკური თავისუფლების დროს მუშების წინაშე ღია, ფართო გზაა გადაშლილი.

როგორია გაფიცვის მ ც ი რ ე წარმატების მიზეზები? მთავარი მიზეზი ორია.

პირველი მიზეზია ოპორტუნიზმისა და რეფორმიზმის ბატონობა ბელგიელი სოციალისტების ნაწილში, განსაკუთრებით პარლამენტარებს შორის. ეს პარლამენტარები, რომლებიც შეჩვეულნი არიან ლიბერალებთან შეკავშირებით სიარულს, მთელ თავიანთ მოქმედებაში ლიბერალებისაგან დამოკიდებულად გრძნობენ თავს. ამიტომ ყოყმანი იყო გაფიცვის დანიშვნისას, მერყეობას არ შეეძლო ხელი არ შეეშალა მთელი პროლეტარული ბრძოლის წარმატებისათვის, ძლიერებისა და გაქანებისათვის.

ნაკლებად შეცქეროდე ლიბერალებს, ნაკლებად ენდობოდე მათ, მეტი რწმენა პროლეტარიატის დამოუკიდებელი, თავდადებული ბრძოლისადმი — აი ბელგიელთა გაფიცვის პირველი გაკვეთილი.

ნაწილობრივი წარუმატებლობის მეორე მიზეზია მუშათა ორგანიზაციების სისუსტე და პ ა რ ტ ი ი ს სისუსტე ბელგიაში. ბელგიის მუშათა პარტია არის პოლიტიკურად ორგანიზებული მუშათა კავშირი პოლიტიკურად არაორგანიზებულ მუშებთან, «წმინდა» კოოპერატორებთან, პროფესიონალისტებთან და ა. შ. ესაა ბელგიის მუშათა მოძრაობის დიდი ნაკლი, რასაც ტყუილად უშვებენ მხედველობიდან ბ-ი ეგოროვი «კიევსკაია მისლში» და ლიკვიდატორები «ლუჩში».

მეტი ყურადღება სოციალისტურ პროპაგანდას, მეტი მუშაობა მტკიცე, პრინციპულად გამართული და სოციალიზმის ერთგული, მკაცრად პარტიული ორგანიზაციის დარაზმვისათვის — ასეთია ბელგიელთა გაფიცვის მეორე გაკვეთილი.

«პრავდა» № 104, 1913 წ.
8 მაისი
ხელმოწერა: კ. ო.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სამშენებლო მრეწველობა და მშენებელი მუშები

რუსეთში უკანასკნელი წლების სამრეწველო აღმავლობას თან სდევდა, ისევე როგორც ყოველთვის, სამშენებლო მრეწველობის სწრაფი განვითარება. ამ ცოტა ხნის წინათ «ვესტნიკ ფინანსოვმა»[253] ჩაატარა რუსეთის 158 ქალაქის საქალაქო განგეობათა ანკეტა (დაკითხვა) ამ საკითხის გამო. გ. ვესელოვსკის «რუსსკოე სლოვოში» მოჰყავს ამ ანკეტის ასეთი მონაცემები: ყოველწლიურად შენდებოდა და გადაკეთდებოდა სახლები:

1907 წ.	11 961
1908 «	13 709
1909 «	15 093
1910 «	16 674

რაღაც სამი წლის განმავლობაში სამშენებლო მრეწველობა თითქმის ერთნახევარჯერ გაიზარდა! ბატონი კაპიტალისტები რომ მრეწველობის ამ აღმავლობის წყალობით დიდძალ მოგებას იძენენ, ჩანს აგურის ფასებიდან. ფასები აღწევს პეტერბურგში 33 მანეთამდე ათას ცალ აგურში და უფრო სამრეწველო მოსკოვში 36 მანეთამდე.

ქალაქის აგურის ქარხნები არის მხოლოდ 50 — 60 ქალაქში, ასე რომ კაპიტალისტ-მშენებელთა უზომო მადასთან ბრძოლის შესაძლებლობა მეტად უმნიშვნელოა. და ჩვენი ქალაქებიც, საცენზო საარჩევნო უფლების გამო, არჩევნების თავისუფლების სრულიად უქონლობის გამო და ა. შ., მთლიანად ჩაგდებული აქვთ ხელთ ერთ მუჭა ბობოლებს, რომლებ-

საც ქალაქის ინტერესებად თავიანთი ჯიბის ინტერესები მიაჩნიათ.

თუ რა წარმოუდგენელი უმსგავსობა ხდება შენების დროს, რა დაუდევრობა, რა უბოდიშო დამოკიდებულებაა ადამიანის სიცოცხლისადმი, ამას გვიჩვენებს შენებადი სახლების ბევრი, ყველასათვის ცნობილი ჩამონგრევა. სამშენებლო საქმიანობის გაძლიერება — ათასობით და ათასობით მანეთი, რასაც ჯიბეში იდებენ მოიჯარენი, ინჟინრები, კაპიტალისტები, უამრავი მსხვერპლი, რაც მუშებს მიაქვთ კაპიტალის საკურთხეველზე, — აი რას ნიშნავს მრეწველობის «აღმავლობა».

ასობით ათასი მშენებელი მუშების მდგომარეობა კი?

მათი ხელფასის შესახებ ანკეტიდან ჩვენ შემდეგს ვტყობილობთ. მშენებელი მუშის დღიური ქირა იცვლება ქალაქის სიდიდის მიხედვით შემდეგნაირად:

ქალაქები მოსახლეობით			მშენებელი მუშის დღიური ქირა
	5 000	მცხოვრებამდე	1 მ. 33 კ.
5 000 —	10 000	«	1 « 36 «
10 000 —	25 000	«	1 « 41 «
25 000 —	50 000		1 « 53 «
50 000 —	75 000	«	1 « 56 «
75 000 —	100 000	«	1 « 87 «
100 000	და მეტი	მცხოვრებით	1 « 80 «

უდიდეს ქალაქებშიც კი მუშის ქირა ორ მანეთსაც ვერ აღწევს დღეში! შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა გასაჭირში არიან ეს მუშები ახლანდელი სიძვირის დროს ისეთ პირობებში, როცა აუცილებელი ხდება ძალიან ხშირად შეინახონ ოჯახი სხვა ქალაქში თუ სოფელში. გარდა ამისა, სამშენებლო სამუშაოები სეზონური სამუშაოებია, რაც მთელ წელს როდი გრძელდება. მუშაობის რამდენიმე თვის განმავლობაში მუშამ იმდენი უნდა გამოიმუშაოს, რომ მთელ წელს ოჯახიც შეინახოს და საკუთარი თავიც.

მუშების სიღატაკე, მათი სრული გაჭირვებულობა — აი რას ეტყველებენ მოყვანილი ციფრები.

მშენებელი მუშებისათვის უფრო ძნელია გაერთიანება და დარაზმვა, ვიდრე ფაბრიკა-ქარხნების მუშებისათვის. მით უფრო დაჟინებით უნდა იზრუნონ მოწინავე მუშებმა იმისათვის, რომ გაათვითცნობიერონ და დარაზმონ მშენებელი მუშები, რომლებიც ვერსად მიიღებენ დახმარებას, თუ არა თავიანთი მუშური გაზეთისაგან, თავიანთი მუშური კავშირისაგან, თავიანთი უფრო განვითარებული ამხანაგებისაგან — პროლეტარებისაგან.

«პრავდა» № 105, 1913 წ.
9 მაისი
ხელმოწერა: ფ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

IV სათათბიროს შეფასება

ცნობილია, თუ რანაირ შეფასებას აძლევენ IV სათათბიროს სოციალ-დემოკრატები, მუშათა კლასის წარმომადგენლები. ეს შეფასება აგებულია მემამულური და მემამულურ-ბურჟუაზიული სათათბიროს კლასობრივი ხასიათის, აგრეთვე იმ მთავრობის ხასიათის გათვალისწინებაზე, რომელიც ზოგ რამეზე ამ სათათბიროში უთანხმდება გაბატონებულ კლასებს.

მაგრამ საგულისხმოა აგრეთვე ვნახოთ, თუ როგორ აფასებენ ამ სათათბიროს თ ვ ი თ მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ნ ი და თანაც ბ ბ. მ ე მ ა მ უ ლ ე ნ ი.

ამ მხრივ საინტერესოა სამხრეთის გაზეთებში დაბეჭდილი საუბარი ბ-ნ სინადინოსთან, კიშინიოვის ქალაქის თავთან, მიწათმფლობელთან, რომელიც III სათათბიროში ნაციონალისტი იყო, ხოლო IV სათათბიროში ითვლება «ცენტრის» პარტიაში, ესე იგი ოქტიაბრისტებზე უ ფ რ ო მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ. თითქოს, ესეც ისეთი ბოძია, რომელზე უფრო კეთილსაიმედოს ძებნა ზედმეტიცაა! და აი მისი შეფასება:

«მეოთხე სათათბირო მხოლოდ ფიქციაა: სახელმწიფო საბჭოში სხედან ადამიანები, რომლებიც სრულებითაც არ უწევენ ანგარიშს ხალხის წარმომადგენლებს და მოქმედებენ, თუ ასე შეიძლება ითქვას, წინააღმდეგ. ვიმეორებ, სათათბირო მხოლოდ ფიქციაა და ასეთ ვითარებაში ვერაფერს ვერ მისცემს ქვეყანას. რუსულ ენაზე მე ვერ ვპოულობ სახელმწიფო საბჭოს მოქმედების განსაზღვრას. ეს ისაა, რასაც ფრანგულად ეწოდება «საბოტაჟი»...».

ეს განაწყენებული მემამულე ისეთ სიმართლეს ამბობს სათათბიროზე და ჩვენს მთავრობაზე, რომ მას ყური უნდა ათხოვონ მუშებმა. საერთოდ ხომ დემოკრატია მხოლოდ მა-

შინ ახერხებს მოისმინოს ბატონი რეაქციონერებისაგან მართალი შეხედულება გაბატონებული რეაქციის სისტემაზე და «წესწყობილებაზე», როდესაც ეს რეაქციონერები ერთმანეთს წაეჩხუბებიან.

ნაწყენი დარჩა ერთი მემამულე (ან რამდენიმე მემამულე) — და სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო წყობილების მემამულური «წესრიგის» ისეთი აღწერილობა გამოდის, თითქოს ეს აღწერილობა ს.-დ. პროკლამაციიდან იყოს აღებული!

როგორც IV, ისე III სათათბირო, ბ-ო ნაწყენო მემარჯვენე მემამულევ, — ფიქცია კი არ არის, რადგან ისინი მთავრობას უდასტურებენ, მაგალითად, მის ბიუჯეტს. მაგრამ საქმეც ის არის, რომ თუმცა მთელი მემამულეთა კლასი და ბურჟუაზიის ყველა ზედაფენა ეხმარებიან მთავრობას, მაინც «ურემი დღესაც იქაა»!

შექმნილია შესაძლებლობა, რომ მთავრობამ კავშირი შეკრას მემამულეებთან და ბურჟუაზიასთან. სათათბირო ასეთი კავშირისათვის ყველაფერს აკეთებს, რაც კი შეუძლია.და მაინც არაფერი ისეთი, რაც კონსტიტუციას თუნდაც ოდნავ წააგავდეს, არ გამოდის. რჩება ძველი სახელმწიფო წყობილება. მინისტრებიც ისეთი ადამიანები არიან, რომ ისინი «ცახცახებენ» (სინადინოს სიტყვით) «თავიანთი ბედის გამო», ვინაიდან, ცხადია, არ იციან, თუ რა დაემართებათ მათ ხვალ, რას უბრძანებენ ხვალ.

სათათბიროს და საბჭოს მთელი «მოღვაწეობაც», მთელი ლიბერალური გოდებაც რეფორმების, მეტად ზომიერი, მეტად ოქტიაბრისტული, მეტად წვრილმანი რეფორმების უიმედობის შესახებ, — ბოლოს, ნაწყენი მემამულე-«კანონმდებლის» გულახდილი აღიარებაც, — ყველაფერი მეტყველებს, თუ რა უაზროა კონსტიტუციური ილუზიები და რეფორმისტული იმედები თანამედროვე რუსეთში.

«პრავდა» № 110, 1913 წ.
15 მაისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ცხოვრების სიძვირე და კაპიტალისტების მძიმე ცხოვრება

ცხოვრების სიძვირე სულ იზრდება და იზრდება. კაპიტალისტთა კავშირები განუხრელად უმატებენ ფასებს და მილიონობით და ათეული მილიონობით მანეთს იჯიბებენ, გლეხთა მასები კი სულ უფრო ჩანაგდებიან, მუშათა ოჯახებს სულ უფრო უძნელდებათ ვაინაჩრობით თავის გატანა, ისინი იძულებულნი ხდებიან იშიმშილონ და უარი თქვან ფრიად აუცილებელ რამეებზე.

ჩვენ მილიონერ-მრეწველთა ორგანოს — «პრომიშლენნოსტი ტორგოვლიას»[254] — შემდეგი მონაცემები მოჰყავს სიძვირის ზრდის შესახებ. ეგრეთწოდებული ფ ა ს ე ბ ი ს მ ა ჩ ვ ე ნ ებ ელ ი, რომელსაც რიგ გარკვეულ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პროდუქტთა ფასების შეერთებით განსაზღვრავენ, უკანასკნელი წლების მანძილზე განუხრელ მატებას ააშკარავებს. ა ი ა პ რ ი ლ ი ს თვის მონაცემები:

	ფასების მაჩვენებელი
1908 წელს	2 195
1909 «	2 197
1910 «	2 416
1911	2 554
1912 «	2 693
1913 «	2 729

უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში ფასები 2 195-დან 2 729-მდე, ე. ი. მთელი 24%-ით ვაიზარდა!! მშრომელი მოსახლეობის მასის, განსაკუთრებით კი მუშების გატყავება

შეთანხმებული კაპიტალისტების მიერ შესანიშნავ «პროგრესს» გვიჩვენებს.

ბატონი კაპიტალისტები კი — დასახელებულ ჟურნალშიც და მთავრობის მიერ მოწყალებით ნებადართულ თავიანთ ურიცხვ საზოგადოებებსა და კავშირებშიც — განაგრძობენ ჩივილს — ვაჭრობასა და მრეწველობას «უ ს ა მ ა რ თ ლ ო დ» ბეგრავენო გადასახადით!

ეს სასაცილო იქნებოდა... ოღონდ მუშები სიცილის გუნებაზე არ არიან.

საწყალი და ბედშავი მილიონერ-მრეწველნი შემდეგ მონაცემებს იუწყებიან, რომლებიც მოყვანილია სამინისტროს დოკუმენტში ქ ა ლ ა ქ ა დ ა რ ს ე ბ უ ლ უ ძ რ ა ვ ქ ო ნ ე ბ ა თ ა დაბეგვრის შესახებ.

1910 წელს ამ ქონებათა შემოსავლიანობა 239 მილიონი მანეთით განისაზღვრება (განისაზღვრებოდა, რა თქმა უნდა, სახაზინო წესით, მოხელეთა მიერ, და შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რამდენი ათეული მილიონი მანეთი გადამალა საწყალმა ვაჭართა წოდებამ). 1912 წელს, ე. ი. სულ ორი წლის შემდეგ, ქალაქებში არსებულ უძრავ ქონებათა შემოსავლიანობა უკვე 500 მილიონი მანეთით განისაზღვრებოდა (მხოლოდ რუსეთში, პოლონეთის სამეფოს გამოკლებით).

სულ ო რ ი წ ლ ი ს მ ა ნ ძ ი ლ ზ ე ქალაქებში არსებული უძრავ ქონებათა შემოსავლიანობა 250 მილიონი მანეთით და უფრო მეტად გაზრდილა!! ამის მიხედვით შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რა ოქროს მდინარე მიედინება კაპიტალისტთა ჯიბეებისაკენ, — მდინარე, რომელსაც შეადგენენ გლეხთა და მუშათა უაღრესი გაჭირვების, სიღატაკისა და შიმშილობის მილიონობით ნაკადულები.

«თანამედროვე სიძვირე», — ეს სხვა არაფერია, თუ არა თანამედროვე (კაპიტალისტური) ფორმა მშრომელთა გაღატაკებისა, გაჩანაგებისა და გაძარცვისა ერთი მუჭა კაპიტალისტების უმაგალითოდ გამდიდრების პირობებში.

საწყალი კაპიტალისტები ჩივიან: მათზე შეწერილი გადასახადი აშკარად «უსამართლოა». მართლაც, განსაჯეთ: მათ-

გან იღებენ 6 პროცენტს წმინდა შემოსავლიდან. 1910 წელს მათ გამოართვეს (რუსეთში უპოლონეთოდ) 14 მილიონი მანეთი, 1912 წელს — 29,8 მილიონი მანეთი.

სულ, გაძარცულ მილიონერთა გადასახადი ორი წლის განმავლობაში თითქმის 16 მილიონი მანეთით გადიდებულა.

როგორ ფიქრობთ, ამხანაგო მუშებო: როცა წმინდა შემოსავალი ორი წლის განმავლობაში გადიდდა 240 მილიონიდან 500 მილიონამდე, ე. ი. 260 მილიონი მანეთით, განა არ უნდა გამოერთმიათ ასი თუ ორასი მილიონი მანეთი გადასახადი? განა 260 მილიონი მანეთი დამატებითი მოგებიდან, რაც მუშებისა და ღატაკი გლეხებისაგანაა მიღებული, არ უნდა გამოერთმიათ, ზომიერი შეფასებით, ორასი მილიონი მანეთი სკოლებისა და საავადმყოფოებისათვის, დამშეულთა დასახმარებლად, მუშების დასაზღვევად?

«პრავდა» № 116, 1913 წ.
22 მაისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

გერმანიის სოციალ-დემოკრატია და შეიარაღება

გერმანიის რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ პირველი წაკითხვით მიიღო სამხედრო კანონპროექტი. უეჭველია, რომ მისი დამტკიცება უზრუნველყოფილია. იუნკრების — ამ ჩვენებური პურიშკევიჩისა და მარკოვის ძმების — მთავრობა ერთსულოვნად «მუშაობს» გერმანიის ბურჟუაზიასთან ერთად ხალხის ახალი ჩაგვრისათვის და ამავე დროს მოსპობის იარაღთა ბბ. ფაბრიკანტების მოგების გადიდებისათვის. საომარი მასალის და საჭურვლის ფაბრიკანტები კარგად ვაჭრობენ. პრუსიელ თავად-აზნაურთა შვილები წინასწარ ეძლევიან კმაყოფილებას — მიიღონ «დამატებითი» საოფიცრო ადგილები. ყველა მბრძანებელი კლასი კმაყოფილია, — ხოლო რაღა არის თანამედროვე პარლამენტი, თუ არა მბრძანებელ კლასთა ნების შესრულების იარაღი?

ახალი შეიარაღება რომ გაამართლონ, ცდილობენ, როგორც ეს მიღებულია, შეთითხნონ «სამშობლოს» დამუქრებული საფრთხის სურათი. გერმანიის კანცლერი აშინებს, სხვათა შორის, გერმანელ ფილისტერს ს ლ ა ვ უ რ ი ს ა ფ რ თ ხ ი თ. ინებეთ და ნახეთ, ბალკანეთში მოპოვებულმა გამარჯვებებმა გააძლიერეს «სლავობა», რომელიც მთელ «გერმანულ სამყაროს» ემუქრება!! პანსლავიზმი, გერმანელთა წინააღმდეგ ყველა სლავის გაერთიანების იდეა, — აი საფრთხეო, არწმუნებს კანცლერი იუნკრებს.

გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა ამხილეს ეს თვალთმაქცური, შოვინისტური გამოსვლები და განუხრელად განა-

გრძობენ ამის გამოაშკარავებას თავიანთ პრესაში, თავიანთ პარლამენტურ სიტყვებში და კრებებზე. სოციალ-დემოკრატები ამბობდნენ: არის სახელმწიფო, რომლის მოსახლეობის უმრავლესობას სლავები შეადგენენ და რომელიც უკვე დიდი ხანია პოლიტიკური თავისუფლებითა და კონსტიტუციური წესწყობილებით სარგებლობს. ეს არის ავსტრია. ამ სახელმწიფოს მხრივ საომარი ზრახვების შიში პირდაპირ უაზრობაა.

სოციალ-დემოკრატების მიერ ჩიხში მომწყვდეულმა გერმანიის კანცლერმა დაიმოწმა პანსლავისტების მყვირალა მანიფესტაციები პეტერბურგში. საუცხოო საბუთია! ქვემეხის, ჯაგშნის, ზარბაზნის, დენთისა და სხვა «კულტურული» საქონლის ფაბრიკანტებს სურთ გამდიდრდნენ გერმანიაშიც და რუსეთშიც, ხოლო ხალხი რომ გააბრიყვონ, ისინი ერთმანეთზე მიუთითებენ. გერმანელებს რუსი შოვინისტებით აშინებენ, რუსებს — გერმანელი შოვინისტებით! ერთნიც და მეორენიც უბადრუკ როლს ასრულებენ კაპიტალისტების ხელში, რომლებმაც ჩინებულად იციან, რომ გერმანიის წინააღმდეგ რუსეთის ომზე ფიქრიც კი სასაცილოა.

გერმანელ შოვინისტებს, ვიმეორებთ, უზრუნველყოფილი აქვთ უმრავლესობა რეიხსტაგში. მაგრამ გერმანელ მუშებს შორის იზრდება აღშფოთება და მოთხოვნა, რომ შოვინისტების მიერ ხალხის ფულის უსირცხვილოდ მიტაცების წინააღმდეგ ბრძოლის არა მარტო პარლამენტარული საშუალებები იქნეს გამოყენებული. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ვიურტემბერგის 1-ლი საარჩევნო ოლქის (შტუტგარტი) სოციალ-დემოკრატების საერთო კრებაზე შემდეგი რეზოლუცია გამოიტანეს:

«საერთო კრება მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ბრძოლა სამხედრო კანონპროექტის წინააღმდეგ პარლამენტში არასაკმაოდ ენერგიულად წარმოებს. კრება ფიქრობს, რომ იარაღის ფაბრიკანტთა მხრივ ხალხის ჯიბეზე საზარელ ლაშქრობას ყველა შესაძლებელი საშუალებით უნდა გაეწიოს წინააღმდეგობა. ამიტომ კრება მოელის რეიხსტაგის

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისაგან, რომ იგი, როცა კანონპროექტი კომისიიდან მთელი რეიხსტაგის განსახილველად იქნება წარმოდგენილი, უაღრესად ენერგიულად აღსდგება საბრძოლველად და ობსტრუქციასაც კი არ დაერიდება. კრებას არასაკმარისად მიაჩნია ის პარლამენტგარეშე ბრძოლა, რომელსაც პარტია დღემდე აწარმოებდა. კრება მოითხოვს პარტიის გამგეობისაგან, რათა იგი შეუდგეს ისეთ მოქმედებათა ორგანიზაციას, რომელნიც მოიცავენ მთელ მშრომელ მოსახლეობას, მათ შორის მასობრივი გაფიცვების ორგანიზაციასაც».

მუშების უფრო გადამწყვეტი, შეტევითი, მასობრივი ბრძოლის აუცილებლობის შეგნება ნელა, მაგრამ განუხრელად იზრდება გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში. თუ ოპორტუნისტები, რომლებიც ბლომად არიან პარლამენტურ ფრაქციაში და მუშათა მოძრაობის მოხელეთა შორის, წინააღმდეგობას უწევენ ასეთ ბრძოლას, სამაგიეროდ მუშათა მასებში იგი სულ უფრო მეტ თანაგრძნობას ხვდება.

«პრავდა» № 116, 1913 წ.
22 მაისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მასების ორგანიზაცია გერმანელ კათოლიკეთა მიერ

ჩამორჩენილ სახელმწიფოებში, სადაც მოსახლეობის მასა უუფლებოა, სადაც პოლიტიკური თავისუფლება არ არის, სადაც ხელისუფლების თვითნებობა სუფევს, — არ მოიპოვება არავითარი რამდენადმე მაინც ფართო პოლიტიკური ორგანიზაციები. მხოლოდ მემამულეთა ან მილიონერ-მრეწველთა სრულიად უმნიშვნელო ჯგუფი სარგებლობს «კავშირების თავისუფლებით», მაგრამ ეს მცირე ჯგუფი მთელ თავის ყურადღებას მიაპყრობს ზედაფენებისაკენ, «სფეროებისაკენ», ხელისუფლებისაკენ, და არათუ არ ესწრაფვის მასების ორგანიზებას, არამედ ამ ორგანიზებისა ეშინია კიდეც, ვით ცეცხლისა.

სახელმწიფოებში, სადაც უზრუნველყოფილია კონსტიტუციის საფუძვლები და ხალხის მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში, მასების ორგანიზებას ესწრაფვიან არა მარტო სოციალისტები (მათი ერთადერთი ძალა მდგომარეობს მასების გათვითცნობიერებასა და ორგანიზებაში), არამედ *რეაქციული პარტიებიც*. თუ სახელმწიფოს წყობილება დემოკრატიზებულია, მაშინ კაპიტალისტები *იძულებული არიან* ეძებონ დასაყრდენი მასებში, ამისათვის კი საჭიროა ორგანიზებულ იქნან ისინი კლერიკალიზმის (შავრაზმელობისა და რელიგიის), ნაციონალ შოვინიზმის და სხვა ლოზუნგებით.

პოლიტიკური თავისუფლება კი არ სპობს კლასობრივ ბრძოლას, არამედ, პირიქით, უფრო შეგნებულს, უფრო ფართოს ხდის მას, აბამს ამ ბრძოლაში ხალხის ყველაზე ჩამორ-

ჩენილ ფენებს, ასწავლის მათ პოლიტიკას და თავის შეხედულებათა, თავის ინტერესთა დაცვას.

საგულისხმოა ვნახოთ, თუ როგორ რაზმავს ხალხის მასებს. მაგალითად, გერმანიის «ცენტრის», ე. ი. კათოლიკეთა რეაქციული პარტია. ისინი ისწრაფვიან გამოიწვიონ მასებში კაპიტალიზმის დაცვა რელიგიისა და «პატრიოტიზმის» ლოზუნგებით. და კათოლიკეებმა გერმანიაში შეძლეს ხალხის მასების ცრურწმენათა და სიბნელის მობილიზება ნაწილობრივ იმის წყალობით, რომ კათოლიკენი გერმანიაში მოსახლეობის უმცირესობას შეადგენენ, და ეს უმცირესობა ერთ დროს დევნას განიცდიდა სახელმწიფოს მხრივ. მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასები კი ყოველთვის ინსტინქტურად თანაუგრძნობენ დევნილთ. რეაქციონერ-კათოლიკეებმა შეძლეს გამოეყენებიათ ეს განწყობილება.

კათოლიკეებმა შექმნეს მასობრივი ორგანიზაცია — ეგრეთწოდებული «კათოლიკური გერმანიის სახალხო კავშირი». კავშირი 3/4 მ ი ლ ი ო ნ წ ე ვ რ ს ითვლის. ორგანიზაცია მკაცრად ცენტრალიზებულია. მისი მიზანია: «ქრისტიანული» (ნამდვილად კი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი) წყობილების დაცვა და ბრძოლა «ნგრევით» (ე. ი. სოციალისტურ) მისწრაფებებთან.

კავშირის სათავეში დგას 24 წევრისაგან შემდგარი გამგეობა. მათგან 9 წევრი გამგეობის საქმისწარმოებითაა გართული. დანარჩენები კი არიან სხვადასხვა ოლქის, ცალკეული დიდი ქალაქების და ა. შ. წარმომადგენელნი. თვითეულ 20—40 კათოლიკურ ოჯახზე ინიშნება თითო «რწმუნებული პირი». ყველა რწმუნებული პირი გამგეობის დირექტივებით მოქმედებს.

ბატონი კათოლიკენი, სოციალ-დემოკრატებს რომ ებრძვიან, ჩვეულებრივ გაყვირიან, სოციალ-დემოკრატი აგიტატორები მუშების გროშებით ცხოვრობენო. მაგრამ თვითონ კათოლიკენი თ ა ვ ი ა ნ თ ორგანიზაციაში სწორედ ასევე იქცევიან: ყოველ ცოტათი მაინც მნიშვნელოვან პუნქტში მათ ფ ა ს ი ა ნ ი ა გ ი ტ ა ტ ო რ ე ბ ი ჰყავთ.

მუშაობა პარტიულ გამგეობაში სავსებით ფაბრიკულადაა მოწყობილი. 20 საგანგებო მოსამსახურე «ლიტერატურაზე» მუშაობს: ერთი თვალყურს ადევნებს ღვთისმეტყველებას, მეორე — აგრარულ საკითხს, მესამე — სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას, მეოთხე — ხელოსნებს და ა. შ. ამოჭრიან და ამოწერენ ხოლმე ადგილებს გაზეთებიდან და ჟურნალებიდან, ეწევიან რეგისტრატურას. მუშაობენ სტენოგრაფები. საგანგებო ბიბლიოთეკაში 40 000 ტომია. წერენ წერილებს გაზეთებისათვის, — «კორესპონდენციებს», რომლებსაც ათობით კათოლიკურ გაზეთებში ბეჭდავენ. ადგენენ განსაკუთრებულ «სოციალ-პოლიტიკურ», განსაკუთრებულ «აპოლოგეტიკურ» (ე. ი. რელიგიისა და ქრისტიანობის დამცველ) კორესპონდენციას. სცემენ ყველა საკითხზე ბროშურების სერიებს. დააგზავნიან ხოლმე წელიწადში 5 000-მდე რეფერატის კონსპექტს. განსაკუთრებული განყოფილება მუშაობს პროპაგანდაზე კინემატოგრაფის საშუალებით. საცნობო ბიურო უფასოდ იძლევა ყოველგვარ ცნობას: 1912 წლის განმავლობაში გაცემულია 18 000 ათასზე მეტი ცნობა.

კათოლიკე სტუდენტებს სისტემატურად აბამენ პროპაგანდასა და აგიტაციაში, რისთვისაც განსაკუთრებით ვაკაციებს იყენებენ. რწმუნებული პირნი (რამდენიმე ა თ ე უ ლ ი ა თ ა ს ი) თავს იყრიან განსაკუთრებულ «სოციალურ კურსებზე». სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლის საგანგებოდ «შესასწავლად» არსებობს განსაკუთრებული ორთვიანი კურსები პარტიულ გამგეობასთან. განსაკუთრებული ორკვირიანი კურსებია მოწყობილი გლეხებისათვის, მასწავლებელთათვის, ნოქრებისათვის და ა. შ.

ცუდად როდი მუშაობენ გერმანელი კათოლიკე-შავრაზმელნი. მაგრამ მთელი მათი მუშაობა გერმანელი სოციალ-დემოკრატების მუშაობის სუსტი წაბაძვაა.

«პრავდა» № 120, 1913 წ.
26 მაისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მუშების შვებულებათა შესახებ

მელითონე მუშები გერმანიაში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, შეგნებული და ორგანიზებული მუშების პირველ რიგებში დგანან. მათ აღძრეს, სხვათა შორის, საკითხი, რომ მუშებისათვის დაწესდეს წესიერი შ ვ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი დ ა ს ა ს ვ ე ნ ე ბ ლ ა დ.

მექარხნენი, როგორც ხედავთ, მთელი ძალღონით ეწინააღმდეგებიან ამ ღონისძიებას, ამასთან მიუთითებენ ამით გამოწვეული ხარჯების «სიმძიმეზე». მაგრამ გერმანელმა მელითონეებმა, მათი კავშირის მიერ სპეციალურად გამოცემულ ბროშურაში, ზუსტი ციფრებით გააქარწყლეს ეს ანგარებიანი და თვალთმაქცური მომიზეზება. მუშებმა დაამტკიცეს, რომ გერმანიის მეტალურგიული მრეწველობის 93 აქციონერულ საწარმოს წმინდა მოგება 1905 წლიდან 1910 წლამდე გასულ პერიოდში საშუალოდ შეადგენდა 13,4%!!

საკმარისი იქნებოდა ეს მოგება მხოლოდ 2 პროცენტით შეემცირებინათ, რომ ყველა მუშისათვის უზრუნველეყოთ წესიერი შვებულების მიღება.

მაგრამ ამჟამად შვებულებათა სისტემა ჯერ კიდევ ძალიან სუსტადაა განვითარებული და კაპიტალისტების მიერ მეტწილად მუშების დამონების მიზნითაა გამოყენებული. გერმანელმა მელითონეებმა ჩაატარეს ორი ანკეტა (ორი გამოკითხვა) შვებულებათა საკითხზე, 1908 და 1912 წლებში.

1908 წელს ითვლებოდა 138 საწარმო, სადაც მუშები შვებულებით სარგებლობდნენ. ამ საწარმოებში დასაქმებულ 75 591 მუშიდან შვებულებით სარგებლობდა 13 579, ე. ი. 17,9 პროც.

1912 წელს ითვლებოდა 389 საწარმო, სადაც მუშები სარგებლობდნენ შვებულებით. 233 927 დასაქმებული მუშიდან შვებულება ჰქონდა 34 257 კაცს, ე. ი. 14 პროცენტს.

სულ მეტალურგიული მრეწველობის თვითეულ 1000 საწარმოდან შვებულებას მხოლოდ ს ა მ საწარმოში იძლეოდნენ! მელითონე მუშების მთელი რიცხვიდან მხოლოდ 1,8 პროც., ე. ი. მ ე ო რ მ ო ც დ ა ა თ ე ნაწილზე ნაკლები სარგებლობდა შვებულებით.

შვებულების მიმცემ საწარმოთა უმრავლესობა — სახელდობრ მათი ცხრამეათედზე მეტი — შვებულებას მხოლოდ იმ მუშებს აძლევს, რომლებსაც ქარხანაში საკმაოდ ხანგრძლივად უმუშავნიათ. 389 ქარხნიდან (სადაც 233 927 მუშაა დასაქმებული) 84 ქარხანაში, სადაც 140 209 მუშაა, მოითხოვენ, რათა მუშამ ხ უ თ ი დ ა ნ ა თ წლამდე იმსახუროს (!!), — მხოლოდ მაშინ მიიღებს ის შვებულების უფლებას.

ცხადია, რომ ამგვარი შვებულება მდგომარეობის სასაცილოდ უმნიშვნელო გაუმჯობესებაა მუშებისათვის, უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ წარმოადგენს საკენკს მუშების მისამაგრებლად ქარხანაზე და გაფიცვების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას!

შვებულების ხანგრძლივობა უმეტეს შემთხვევაში (მუშების 72 პროცენტისათვის დასახელებულ საწარმოებში) ე რ თ კ ვ ი რ ა ს არ აღემატება. მუშების 10 პროცენტისათვის შვებულების ვადა კ ვ ი რ ა ზ ე ნ ა კ ლ ე ბ ი ა, და მხოლოდ 16 პროცენტისათვის — კ ვ ი რ ა ზ ე მ ე ტ ი ა (ორ კვირამდე).

შვებულების მიმცემ საწარმოთა უმრავლესობაში (97 პროც.) მუშებს შვებულების დროს ეძლევათ წინანდელი ხელფასი ან საშუალო კვირეული ხელფასი.

საბოლოოდ ჩვენ ვხედავთ, რომ მუშათა შეებულება მოწინავე ქვეყნის მოწინავე მრეწველობაშიც კი უმსგავსოდ მცირედაა განვითარებული. მაგრამ წესიერი და საკმაო დასვენების აუცილებლობას მუშები სულ უფრო ფართოდ იგნებენ, და ორგანიზებული მუშები თავიანთი შეუპოვრობით შეძლებენ მიაღწიონ წარმატებას ამ დარგშიც.

«პრავდა» № 124, 1913 წ.
31 მაისი
ხელმოწერა: ნ. ნ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

«ისტორიული» ფორმულის მნიშვნელობა

მთავრობისადმი ეგრეთწოდებული უნდობლობის ფორმულის მიღება (შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის გამო) IV სათათბიროს მიერ, ოქტიაბრისტებისა და კადეტების ხმებით, კვლავ იქცევს პრესის ყურადღებას. და მართლაც: ეს ფორმულა — სწორედ ისევე, როგორც ლიბერალური პრესის კომენტარები ამის გამო — სერიოზული განხილვის ღირსია. აქ მართლაც პრინციპული საკითხებია აღძრული: აუცილებელია ამ საკითხებს კიდევ და კიდევ დავუბრუნდეთ.

«რეჩის» მოწინავეს ავტორი ზეიმით აცხადებდა (№ 137), ამ ფორმულის მიღების დღე, 21 მაისი, «ისტორიული თარიღის მნიშვნელობას შეინარჩუნებსო». ჩვენი ლიბერალები ამგვარი წკრიალა და მაღალფარდოვანი ფრაზების დიდი ოსტატები არიან, მაგრამ პირველივე ცდა, რომ სერიოზულად განვიხილოთ საკითხი, თუ რა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ა ქ ვ ს სათათბიროს ამ გადაწყვეტილებას, ააშკარავებს მათ გასაოცარ უიდეობასა და უმწეობას.

ლიბერალებს არ სურთ დაინახონ სულ ძირითადი და უდავო ფ ა ქ ტ ე ბ ი, რომლებიც სათათბიროს ფორმულის მნიშვნელობას განსაზღვრავენ.

ჯერ ერთი, პარტიებიდან, რომლებმაც ეს ფორმულა მიიღეს, არც ოქტიაბრისტებს, ა რ ც პ რ ო გ რ ე ს ი ს ტ ებ ს (რომლებთანაც კადეტები ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ში განუყრელად არიან დაკავშირებულნი!) არ მოუთხოვიათ ხარჯთაღრიცხვის უარყოფა. კადეტების მხრივ კი ხარჯთაღრიცხვის უარყოფა მხოლოდ თეატრალური ჟესტი იყო დემოკრატიის

მისატყუებლად, ვინაიდან ყველამ ჩინებულად იცოდა, რომ კადეტები ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ში მხარს დაუჭერდნენ ოქტიაბრისტებს.

«ისტორიული» ფორმულა ცარიელი ფრაზაა, რადგან ბურჟუაზიული პარტიების უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა მ ვერ გაბედა განეხორციელებინა თავისი უდავო «პარლამენტური» უფლებაც კი — უარეყო ბიუჯეტი. ხოლო კადეტები, როცა მათ არც ოქტიაბრისტები ეთანხმებიან და არც პროგრესისტები, — ნ უ ლ ს წარმოადგენენ სათათბიროშიც და ქვეყანაშიც.

მეორეც, რა შეადგენს ფორმულის იდეურ-პოლიტიკურ შ ი ნ ა ა რ ს ს? «მოვითხოვთ ფ ა რ თ ო რ ე ფ ო რ მ ე ბ ი ს უსწრაფესად განხორციელებას» — ასე ამბობს ოქტიაბრისტების მიერ მიღებული ფორმულა. ასე წერდნენ პროგრესისტებიც. ამასვე — უფრო მეტსაც კი: «ძ ი რ ე უ ლ ი რ ე ფ ო რ მ ე ბ ი ო»!, — ამბობს «ცენტრი» (ე. ი. ნახევრადოქტიაბრისტები, ნახევრადნაციონალისტები). მთლიანად ამავე, რეფორმისტულ თვალსაზრისზე დგას კადეტების ფორმულაც: ოღონდ მათ უფრო მკვეთრი გამოთქმები აქვთ, მაგრამ იდეები მხოლოდ და მხოლოდ რეფორმისტულია.

მესამეც, ყველა ფორმულაში, დაწყებული კადეტებით და გათავებული ოქტიაბრისტებით, ნათლად გამოხატულია რ ე ა ქ ც ი უ ლ ი თვალსაზრისი.

ამ მხრივ, «რეჩის» ყალბი რწმუნების წინააღმდეგ ოქტიაბრისტული ფორმულა პროგრესისტულზე და კადეტურზეც კი უფრო მემარჯვენე კი არ არის, არამედ უფრო მემარცხენეა. თვითონ განსაჯეთ.

1) პროგრესისტებთან: (სამინისტრო) «ქვეყანაში თესს შფოთის თესლს, რაც სახელმწიფოებრივ უშიშროებას ემუქრება»;

2) კადეტებთან: «ამგვარი მდგომარეობა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს სახელმწიფოებრივი და ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი უშიშროებისათვის»;

3) ოქტიაბრისტებთან: «სამინისტრო ჰკლავს ხალხში კანონისა და ხელისუფლებისადმი პატივისცემას და ამით აძლიერებს ოპოზიციურ განწყობილებას».

«უმაღლესი პოლიტიკის» ენიდან უბრალო ადამიანურ ენაზე გადმოთარგმნილი, ეს ერთს ნიშნავს: კადეტებიც, ოქტიაბრისტებიცა და პროგრესისტებიც გვპირდებიან, რომ უკეთ, ვიდრე ახლანდელი სისტემის დროს, დაიცავენ მემამულეთა უშიშროებას, როგორც კლასისა, და არა პირებისა, რა თქმა უნდა.

მეოთხეც, სამივე აღნიშნული პარტია ნაციონალიზმის და შოვინიზმის თვალსაზრისზე დგას: სამინისტრო «ასუსტებსო რუსეთის ძლიერებას» (ოქტიაბრისტებთან და პროგრესისტებთან) ან (უფრო ნათლად!) «სახელმწიფოს საგარეო ძლიერებას» (კადეტებთან).

ასეთია ფაქტები, რომლებსაც ჩქმალავენ და ამახინჯებენ ლიბერალები. IV სათათბიროს «ისტორიული» ფორმულა არის კადეტების შეთანხმება ოქტიაბრისტებთან პროგრესისტების მეშვეობით იმის შესახებ, რომ დაგმონ მთავრობა და გამოთქვან «ძირეული რეფორმების» სურვილი იმ პიროობით, რომ ხმა მისცენ ბიუჯეტს და ნათლად გამოთქვან რეაქციული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის თვალსაზრისი.

«პრავდა» № 126, 1913 წ.
2 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ვინ უჭერს მხარს?

IV სათათბიროს ყბადაღებულ ფორმულას შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის გამო ჩვენი ლიბერალური პრესა ისე განმარტავს, რომ «მთავრობა თითქოს უჰაერო სივრცეში მოქმედებს». «სუბსიდიაზე მყოფი გაზეთებისა და სუბსიდიაზევე მყოფ პოლიტიკანთა მცირე ჯგუფების გამოკლებით, რომლებიც მანამდე არიან ერთგულნი, სანამ სუბსიდია გრძელდება, მთავრობას ქვეყანაში მეგობრები არა ჰყავს».

ეს არის «სერიოზული», პროფესორული «რუსსკიე ვედომოსტის» აზრი, ხუმრობა არ გეგონოთ!

«მთავრობა სავსებით განაპირებულია და მხარდაჭერას ვერ ჰპოვებს თვით მის მიერ შექმნილ პოლიტიკურ ჯგუფებშიც კი». ეს არის «რეჩის» აზრი.

შეიძლება ითქვას, ადვილი არ არის იპოვნო ამის მსგავსი ბალღობის ნიმუშები, რასაც ამ მსჯელობაში ააშკარავებენ ლიბერალური ბანაკის პროფესორები, ადვოკატები, მწერლები და დეპუტატები. აი ჭეშმარიტად განუკურნებელი პარლამენტური კრეტინიზმი ქვეყანაში, სადაც «მადლობა ღმერთს, პარლამენტი არ არსებობს»!

უჰაერო სივრცეშიო, ამბობთ თქვენ?

ხომ არ გსმენიათ თქვენ, ბბ. პროფესორებო და დეპუტატებო, გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭო?[255] მ ი ს მ ი ე რ მთავრობის პოლიტიკის მხარდაჭერა? მემამულეთა კლასის ასობით მილიონი დესეტინა საუკეთესო მიწა რუსეთის საუკეთესო ნაწილებში? ყველა უმნიშვნელოვანესი, სამოქა-

ლაქო და სამხედრო თანამდებობა, რაც იმავე კლასს ეკუთვნის? შაქრისა და სხვა ფინანსთა მეფეები იმავე კლასის წრიდან?

არა გსმენიათ? ოჰ, ლიბერალიზმის ბრძენო სახელმწიფო გვამნო!

მთავრობა სავსებით განაპირებულია, მას ქვეყანაში მეგობრები არა ჰყავსო, ამბობთ თქვენ?

თქვენ კი რისთვის ხართ, ბატონებო! თქვენ ხომ პროგრესისტებთან და ოქტიაბრისტებთან ერთად ხმა მიეცით შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვას!

წარმოიდგინეთ ნაცნობი მილიონერები, რომლებიც ადვილად იძლევიან რამდენიც გნებავთ ფულს და ამასთან გამოთქვამენ «სურვილებს», რაც არავისთვის არაა სავალდებულო. ხომ არ ფიქრობთ, ბატონებო, რომ ჩვენ უფლება გვექნებოდა ჩვენი მეგობრები გვეწოდებინა ამ მილიონერებისათვის, რომ თავს არ ვიგრძნობდით (მილიონერებს შორის) «გახაპირებულებად».

მაგრამ თქვენ მთავრობას თქვენი ფორმულით არა მარტო მატერიალური დახმარება აღმოუჩინეთ, არამედ, გარდა ამისა, — დიდი ი დ ე უ რ ი დახმარებაც. ეს ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის, და ნუ იფიქრებთ, რომ საშუალებას მოგცემთ გვერდი აუაროთ საზოგადოების წინაშე თქვენთვის ამ საჩოთირო საკითხს?

რის გამო იყო დავა სათათბიროში? მივცეთ ფული, ამასთან გამოვთქვათ სურვილი... პოლიციის რეფორმისა და «სამართლებრივი წყობილების ნორმალური საზღვრებისაო», ამბობდნენ ნაციონალისტები. მივცეთ ფული, მაგრამ გამოვთქვათ სურვილი ძირეული ანუ ფართო რეფორმებისაო, ამბობდნენ ოქტიაბრისტები, თან დ ა უ მ ა ტ ე ბ დ ნ ე ნ, უსათუოდ კ ო ნ ტ რ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ნაციონალიზმისა და შოვინიზმის თვალსაზრისზე ვდგევართო.

და აი ყველა ლიბერალი ოინბაზობს: ისინი დუმილით გვერდს უვლიან დამატებას და აღტაცებას ეძლევიან «ძირეული რეფორმების» მოთხოვნის გამო! მხოლოდ ის აკლდა, რომ, რომელიმე ჭკვიანი ლიკვიდატორის მითითებით, მიემა-

ტებინათ მათი სიისათვის «კოალიციების თავისუფლება და აგრარული კანონმდებლობის გადასინჯვა»...

მენატონე-მემამულეები რეაქციას უჭერენ მხარს. ბურჟუაზია რეფორმების მომხრეა. მან მორალური ლახვარი ჩასცა მთავრობას თავისი «ფორმულით». მაგრამ ამ ბურჟუაზიამ ა მ ა ვ ე დ რ ო ს მორალური დ ა ხ მ ა რ ე ბ ა გაუწია მთავრობას თავისი კონტრრევოლუციურობის ხაზგასმით! ა ს ე თ დახმარებას კი ასკეცად უფრო ნამდვილი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ათობით «მორალურ» ლახვარს.

სათათბიროს «ისტორიულმა» ფორმულამ მეასედ დაადასტურა, რომ სამი ივნისის სისტემა ჩიხში მოექცა. და ბურჟუაზია, რაკი აღნიშნულ პოზიციაზე რჩება, უძლურია თავი დააღწიოს ჩიხს. ისტორიის გამოცდილება გვასწავლის, რომ ბურჟუაზიას შეუძლია ათეული წლობით იოცნებოს რეფორმებზე, იჯახიროს ჩიხში და აიტანოს პურიშკევიჩების უღელი, თუ არ ხდება კრიზისის სწორედ ისეთი გადაწყვეტა, რომელსაც თავს არიდებენ, გაურბიან ლიბერალები.

«პრავდა» № 127, 1913 წ.
5 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

საფრანგეთიდან

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ჩვენს გაზეთში უკვე იყო მოთხრობილი იმ უნიათობის შესანიშნავ ნიმუშზე, რაც გუსტავ ერვემ გამოიჩინა. ეს მარჯვე ჟურნალისტი და აგიტატორი, კაცი, რომელსაც სოციალისტური სკოლა არ გაუვლია და სოციალისტური განათლება არ მიუღია, გადავიდა მუშათა პარტიაში (პროფესორებიდან) ბურჟუაზიული ინტელიგენტის მთელი ჩვევებითა და მიდრეკილებებით. დაიწყო მან, როგორც ოპორტუნისტმა. შემდეგ «უკიდურეს მემარცხენეებთან» გადაბარგდა და დიდ ხანს ქადაგებდა ნახევრადანარქისტულ რამეებს, «აშინებდა» ბურჟუაზიას ანტიმილიტარისტული ხასიათის ხმაურითა და განგაშით.

ამ ცოტა ხნის წინათ ის ზურგს აქცევს ანარქისტებს და უბრუნდება პარტიას, აღიარებს პარლამენტურ ბრძოლას და აღმზრდელობით-ორგანიზაციულ მუშაობას. მაგრამ აქაც ჩვენმა მარჯვე ინტელიგენტუნამ თავი ვერ შეიკავა და ისევ ოპორტუნისტებს მიაშურა. როგორც იმპრესიონისტი, რომელიც მეტისმეტად ემორჩილება უკანასკნელი წუთის შთაბეჭდილებებს და უნიათო ყოყმანს ეძლევა, ის იმდენად «შეაშინა» შოვინიზმის, ნაციონალიზმისა და იმპერიალიზმის ახლანდელმა რეაქციულმა ტალღამ საფრანგეთში, რომ შეუდგა «ბლოკის», ე. ი. ბურჟუაზიულ რადიკალებთან კავშირის პოლიტიკისაკენ დაბრუნების ქადაგებას. რესპუბლიკა რომ იხსნა საფრანგეთში, წარმოიდგინეთ, აუცილებელია ბლოკი

რადიკალებთან, — თორემ საფრანგეთში რეაქციონერები კვლავ აღდგენენ მონარქიას თუ იმპერიას!

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ, გარდა უკიდურესი ოპორტუნისტებისა, ფრანგი სოციალისტები სასაცილოდ იგდებენ ურიათო ერვეს და გადაჭრით აცხადებენ პროტესტს ბლოკის წინააღმდეგ. ამას წინათ მუშათა პარტიის ერთ-ერთმა ორგანომ, რომელიც სამხრეთ საფრანგეთში გამოდის, მოიყვანა თვალსაჩინო სოციალისტების მთელი რიგი გამონათქვამები ბ ლ ო კ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

სოციალისტები იწყებენ და აწარმოებენ კამპანიას რეაქციის წინააღმდეგო, — სამართლიანად ამბობენ ეს თვალსაჩინო მუშაკები, — სოციალისტებმა მასებში შეიტანეს პროტესტი სამწლიანი სამხედრო სამსახურის აღდგენის (ე. ი. რეაქციული, ყაზარმული, სრულიად არადემოკრატიული არმიის აღდგენის) კანონის წინააღმდეგ. სოციალისტები ახორციელებენ პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ბ ლ ო კ ს, ე. ი. სოციალისტი მუშების კავშირს სინდიკალისტ მუშებთან. რადიკალებიდან და «რადიკალ-სოციალისტებიდან» (წვრილბურჟუაზიული პარტია, რომელიც ჩვენს ნაროდნიკებს ჰგავს) მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო ნაწილი უჭერს მხარს სოციალისტების ამ ჭეშმარიტად დემოკრატიულ კამპანიას, ისიც ყოყმანით.

რაღა საჭიროა ბლოკი? მეყოყმანეებთან კავშირი შეასუსტებს მასების შეტევას და გააძლიერებს ყოყმანს! ხოლო რადიკალების მხარდაჭერისაგან, რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც ისინი ამა თუ იმ შემთხვევაში რეაქციის წინააღმდეგ გამოდიან, სოციალისტებს არასოდეს არ უთქვამთ უარი.

აი ბბ. შარლ დიუმონი და ალფრედ მასე, — წერს ერთი სოციალისტი, — ჭეშმარიტი «რადიკალ-სოციალისტები», რომლებიც ი ც ა ვ ე ნ სამწლიანი სამსახურის კანონს იმ ვარაუდით, რომ მინისტრის ადგილს მიიღებენ. აი რადიკალების ბელადი, «თვითონ» კლემანსო, რომელიც კამპანიას აწარმოებს ამ კანონის ს ა ს ა რ გ ებ ლ ო დ. აი რადიკალების მეორე უთვალსაჩინოესი ბელადი, ლეონ ბურჟუა, რომელიც აგრეთვე მხარს უჭერს ამ კანონს. ბოლოს, დეპუტატთა პა-

ლატის სამხედრო კომისიაში ეს კანონი მიიღეს 17 ხმით 4 ხმის წინააღმდეგ, რომლებიც მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ სოციალისტებს ეკუთვნის.

რაღა ბლოკი შეიძლება რადიკალებისა და «რადიკალ-სოციალისტების» ამ უსირცხვილო ბურჟუაზიულ პარტიასთან? მხოლოდ მაშინ, თუ ფრანგი სოციალისტები აგიტაციას გასწევენ მასებში მის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, შეძლებენ ისინი მ ო წ ყ ვ ი ტ ო ნ ყველა დემოკრატიული ელემენტი ამ პარტიას და ამით ა ი ძ უ ლ ო ნ მისი გარკვეული ნაწილი მარცხნივ, დემოკრატიისაკენ გადიხაროს. ბევრი რადიკალი, რაკი ისინი სავსებით დამოკიდებული არიან მასებისაგან არჩევნებში (ვინაიდან საფრანგეთში, რა თქმა უნდა, არსებობს საყოველთაო საარჩევნო უფლება და პარლამენტური მმართველობა), ძალიან და ძალიან ჩაფიქრდება, ვიდრე ისინი გადასწყვეტენ ხმა მისცენ რეაქციული კანონის ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ, რომელიც აშკარად არაპოპულარულია მასებში.

დემოკრატიისა და რესპუბლიკის ერთადერთი სერიოზული დასაყრდენი საფრანგეთში (ისე როგორც ყველგან), — ესაა მასები, მუშათა მასები, მათი მიყოლით — წვრილ გლეხთა მასებიც, და არა ბურჟუაზიული პარტიების პარლამენტური საქმოსნები, ფიგლიარები, კარიერისტები და ავანტიურისტები, რომლებიც დღეს თავიანთ თავს «რადიკალ-სოციალისტებად» აცხადებენ, რათა ხვალ (მინისტრის ადგილისათვის ან ხელსაყრელი საქმისათვის რაიმე კონცესიის ანდა მილიონერთა სინდიკატში თანამდებობის სახით და მისთ.) გაჰყიდონ დემოკრატიაც და სამშობლოც (როგორც ფრანგმა ბურჟუებმა 1871 წელს მიჰყიდეს საფრანგეთი ბისმარკს დაქირავებული მონობის წინააღმდეგ პარიზელი მუშების აჯანყების შიშის გამო).

შეგვიძლია მხოლოდ მხურვალედ მივესალმოთ ფრანგ სოციალისტებს, რომლებიც ებრძვიან ბლოკის იდეას და აფართოებენ სოციალისტურ-მუშაობასა და აგიტაციას მასებში.

«პრავდა» № 127, 1913 წ.
5 ივნისი
ხელმოწერა: ფ.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით.

დეპუტატი ფრანკი მასობრივი გაფიცვის მოამხრეა

გერმანიის სოციალისტურ პარტიაში მოვლენას წარმოადგენს ცნობილი ბადენელი სოციალ-დემოკრატის, ოპორტუნისტული ფრთის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის — ფრანკის გამოსვლა მასობრივი გაფიცვის, როგორც პრუსიაში საარჩევნო რეფორმისათვის ბრძოლის საშუალების, სასარგებლოდ.

ბერლინის გარეუბნის — ვილმერსდორფის პარტიულმა სოც.-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ფრანკი მიიწვია, რომ წაეკითხა რეფერატი ამ თემაზე. ბურჟუაზიულმა გაზეთებმა იმის მოლოდინში, რომ «ბადენიდან» მშვიდობიანი და გულისგამტეხი სიტყვები გაისმებაო, ერთი ყვირილი ასტეხეს კრების გამო. საუცხოო მუქთი რეკლამა შეიქმნა. კრება დიდი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოდგა.

მაგრამ ფრანკმა იქნებ იმიტომ, რომ ის რადიკალურად განწყობილი ბერლინელი მუშების წინაშე ლაპარაკობდა, ან იმიტომ, რომ სამხრეთელი, რომელიც სამხრეთ გერმანიის უფრო თავისუფალ წყობილებას შეეჩვია, აღაშფოთა იუნკრების (გერმანელი აზნაურ-შავრაზმელების) იმ უსირცხვო ბატონობამ, რაც მან უფრო ახლოს ნახა ბერლინში, — მაგრამ მან მხურვალე სიტყვა წარმოთქვა მასობრივი გაფიცვის სასარგებლოდ.

ორატორმა უწინარეს ყოვლისა დაასურათა პრუსიის შინაგანი პოლიტიკა. ფრანკმა ულმობლად დაგმო იუნკრების ბატონობა, პრუსიის ლანდტაგ-სეიმის რეაქციული საარჩევნო კანონი (ჩვენი მესამე სათათბიროს მაგვარი კანონი [250]), ელე-

მენტარული დემოკრატიული გარანტიების უქონლობა. როდესაც ორატორმა აღნიშნა, რომ პრუსიის საარჩევნო კანონით საროსკიპოს პატრონი სარგებლობს პირველი თანრიგის, პრემიერ-მინისტრი კი მესამე თანრიგის საარჩევნო უფლებით და პრუსიის «წესწყობილებისათვის» ეს დამახასიათებელიაო, კრებამ მისი ეს შეფასება ერთსულოვანი სიცილით აღნიშნა.

ბერლინელმა მუშებმა — ხუმრობდა ფრანკი — იაგოვის (ქალაქის უფროსი, რომელიც ამაოდ ცდილობდა აეკრძალა დემონსტრაციები 1910 წელს) წინააღმდეგ ბრძოლით დაამტკიცეს, რომ მათ ნიჭი აქვთ ქუჩის მანევრების საქმეშიო.

ორატორმა გაიხსენა მასობრივი გაფიცვების მაგალითები ისტორიაში: ჩარტისტებისა[257] ინგლისში, ბელგიელებისა 1893, 1902 და 1912 წლებში, შვედებისა — 1903 წელს, იტალიელებისა — 1904 წელს, რუსებისა — 1905 წელს, — ამ უკანასკნელ მაგალითზე ორატორი უფრო დაწვრილებით ჩერდება და ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა დახმარება გაუწიეს მაშინ რუსმა მუშებმა თავიანთ მეზობლებსა და ძმებს, ავსტრიელ მუშებს, მხოლოდ პოლიტიკური გაფიცვის დამუქრება მ ა შ ი ნ საკმარისი აღმოჩნდა ავსტრიელებისათვის, რათა საყოველთაო-საარჩევნო უფლება მოეპოვებინათო.

პრუსიასა და გერმანიაში — შესძახა ფრანკმა — ქვეყნად ყველაზე უკეთესი მუშათა მოძრაობაა, ყველაზე გავრცელებული მუშათა პრესაა. მაშ ვისწავლოთ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატისაგან მასობრივი ბრძოლაო! (კრების მქუხარე მოწონება და ტაში).

რასაკვირველია, ბრძოლის ახალ სახეობას თან მოაქვს მსხვერპლი და საფრთხე, — განაგრძობდა ფრანკი, — მაგრამ სად ნახულა პოლიტიკური ბრძოლები, რომ ამას მსხვერპლი და საფრთხე არ სდევდეს თან? რაკი შევიგნეთ ბრძოლის აუცილებლობა, ჩვენ იგი ბოლომდე უნდა ვაწარმოოთ, წინ უნდა გავუძღვეთ ჩვენს ხომალდს, მიუხედავად იმისა, რომ გზაში მეჩეჩი შეგვხვდება. ვისაც ამისი ეშინია და ნავსადგურში რჩება, იმას არაფერი შეემთხვევა, მაგრამ ის ვერასოდეს

ვერ მიაღწევს მეორე ნაპირამდე, ჩვენი მისწრაფებების მიზნამდე.

ფრანკის ამ სიტყვამ, რომელსაც კრება აღტაცებით შეხვდა, ერთხელ და ერთხელ კიდევ გვიჩვენა, თუ რა აღშფოთებამდე მიიყვანა გერმანელი მუშები რეაქციამ. ნელა, მაგრამ უტყუარად მწიფდება მძლავრი პროტესტი გერმანიის პროლეტარიატში.

«პრავდა» № 132, 1913 წ.
11 ივნისი
ხელმოწერა: კ ა რ ი ჩ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

საინტერესო ყრილობა

გუშინ, 12 ივნისს, ხარკოვში გაიხსნა საინტერესო ყრილობა. იგი ორი მხრივაა საინტერესო. ჯერ ერთი, ეს არის პირველი საერთო-საერობო ყრილობა, მიძღვნილი სახალხო განათლების სტატისტიკისადმი. მეორეც, იგი განსაკუთრებული ყურადღების ღირსად სცნო ადმინისტრაციამ. ყრილობის თავმჯდომარე ადმინისტრაციამ დ ა ნ ი შ ნ ა, საქმის მცოდნე პირნი, როგორც ბ. ვესელოვსკი «რუსსკოე სლოვოში» ამბობს, «გაფილტრულნი არიან» მის მიერვე. პრესის წარმომადგენლები ყრილობაზე არ დაუშვეს.

არა გვგონია შეიძლებოდეს ავხსნათ ეს ღონისძიებანი,— რომლებიც «რუსული» თვალსაზრისითაც კი უზომოდ... წინდახედული ჩანს, — იმით, რომ ყრილობა უკრაინის ერთ-ერთ ცენტრში იკრიბება. საერთო-საერობო ყრილობაზე ჩამოვლენ არა მარტო უკრაინელი სტატისტიკოსები და ეროვნელნი, არამედ ამ დარგის მუშაკები, რომლებიც რუსეთის ყველა ეროვნებას ეკუთვნიან.

ალბათ, ყრილობის საქმიანობის საგანი არცთუ ძალიან მოსწონს ადმინისტრაციას, — თუმცა ლაპარაკი იქნება მხოლოდ სტატისტიკის დაყენებაზე, იმაზე, თუ რა გაკეთდა, რატომ ცოტა გაკეთდა, უნდა კი გაკეთდეს მეტი და უკეთესადო.

სახალხო განათლება ისე ჩამორჩა რუსეთში, როგორც ქვეყნად არსად ჩამორჩენილა. სათათბიროს წევრმა ბადაევმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ზანგებს შორისაც კი ამერიკაში სულ 44% უწიგნური ითვლება, — ევროპაში არის

ერთი-ორი პროცენტი, მაშინ როცა რუსეთში 79% უწიგნურია.

ამ ბოლო დროს მაინც სახალხო განათლება, ათასი დაბრკოლების მიუხედავად, წინანდელზე უფრო სწრაფად იზრდება და ვითარდება. სახალხო განათლების მდგომარეობის შესახებ სიმართლის ცოდნა საერთოდ ხალხის მასების, განსაკუთრებით მუშების პირდაპირსა და მეტად საარსებო ინტერესს შეადგენს.

სრულიადაც არ იქნებოდა ძნელი, რომ სახალხო განათლების სტატისტიკა ევროპულად დაეყენებინათ. ყოველ მასწავლებელს — ქალს თუ მამაკაცს — ადვილად შეეძლო ყოველწლიურად მიეწოდებინა ცნობები თვითეულ მოსწავლეზეც (ასაკი, ეროვნება, ოჯახური ცხოვრების პირობები, მშობელთა სამეურნეო მდგომარეობა და ა. შ.) და თვითეულ მასწავლებელზეც (განათლება, ჯამაგირის ოდენობა, სამუშაო დღე, ეროვნება და სხვ.). სტატისტიკოსთა მცირე რიცხვს ასეთი მონაცემების ყოველწლიურად დამუშავების გზით შეეძლო მიეწოდებინა სახელმწიფოსათვის უმდიდრესი და უძვირფასესი მასალა ახალგაზრდა თაობის აღზრდისა და სწავლების პირობების შესახებაც, სახალხო ცხოვრების მთელი რიგი მხარეების შესახებაც... თუკი... თუკი... პრესის წარმომადგენლები ხარკოვის ყრილობაზე არ დაუშვეს, ყრილობის თავმჯდომარე დანიშნეს, საქმის მცოდნე პირნი, როგორც ბ. ვესელოვსკი ამბობს «რუსსკოე სლოვოში», გაფილტრა ადმინისტრაციამ.

ჩვენ ბევრი სისულელე ვთქვით სახალხო განათლების ევროპულ სტატისტიკაზე. რის ევროპა, რა ევროპა! სჯობია გავჩუმდეთ.

«პრავდა» № 134, 1913 წ.
13 ივნისი
ხელმოწერა: N.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ვ. მ. კასპაროვს

ძვირფასო ამხანაგო! მივიღე და წავიკითხე თქვენი სტატია. თემა, ჩემი აზრით, კარგადაა აღებული და სწორადაა დამუშავებული, — მაგრამ ლიტერატურულად არასაკმაოდ არის გაშალაშინებული. არის ბევრი მეტისმეტი — როგორ ვთქვა ეს? — «აგიტაცია», რომელიც თ ე ო რ ი უ ლ საკითხზე დაწერილ სტატიას არ უდგება. ჩემი აზრით, ან თვითონ თქვენ უნდა გადააკეთოთ, ანდა ჩვენ ვსინჯავთ.

დიდი მადლობა კოსტროვის შესახებ ცნობების მოწოდებისათვის. თუ კაცი ხარ, სთხოვეთ აბელს უფრო ხშირად მოიწეროს და ინფორმაცია გამოგვიგზავნოს. ეს დიდმნიშვნელოვანია, ჩვენ კი ა რ ა ფ ე რ ი ა რ ვიცით.

ხომ არ შეგიძლიათ იშოვოთ და გადმოთარგმნოთ კოსტროვის ქართული სტატიები (ა) ლიკვიდატორების წინააღმდეგ, (ბ) ეროვნულ საკითხზე კულტურულ-ეროვნული ავტონომიის ს ა ს ა რ გ ებ ლ ო დ, (გ) ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ა — არკომედის პლეხანოვისეული წინასიტყვაობის წინააღმდეგ[258], ჰეგემონიის პლეხანოვისეული დაცვის წინააღმდეგ.

მე რამდენიმე კვირით ბერნში მივდივარ. დაბრუნებისას, იმედი მაქვს, კიდევ მრავალჯერ მოვისაუბრებთ წერილებით.

გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. გმადლობთ «პრავდის» №-თვის[259].

დაწერილია 1913 წ. ივნისის
მეორე ნახევარში
გაგზავნილია პორონინიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გ. ი. საფაროვს

ძვირფასო გიორგი!

კონფერენციის შესახებ არაფერი არ ვიცი[260]. **თვითონ გადაწყვიტეთ.**

ნ. კ-ს მკურნალობა ჭიანურდება, და აქ მე კიდევ ორ კვირას დავრჩები, იქნებ მეტ ხანსაც. დანამდვილებით არ ვიცი.

უკრაინელის სტატია ძალიან კარგია[261]. უმთავრესი ისაა, რომ ის ცენტრალისტია. ეს ისე იშვიათია და ისე საგულისხმოა, ჩვენი საზიზღარი დროის მიხედვით, რომ თქვენც და იურიც[262] **აუცილებლად უფრო ახლოს** უნდა გაეცნოთ მას და შეეთვისოთ რიგიანად, გამოიცნოთ კაცი.

სტატიაში საჭიროა არა იმდენად სტილის შესწორება (ეს წვრილმანია), რამდენადაც ავტორის განმარტება. მან კიდევ ერთი სტატია უნდა დაწეროს. ამის გამო შემდეგ გვერდზე ვწერ *; წაიკითხეთ თქვენ და იურიმ და თვითონ გადაწყვიტეთ, მიეცეს უკრაინელს თუ აჯობებს, რომ თქვენ მოუთხროთ.

Beste Grüße **

ნ. ლენინი

დაწერილია 1913 წ. 20 ივლისს
გაგზავნილია ბერნიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 281 — 282. რედ.

** — საუკეთესო სალამი. რედ.

უკრაინელ სოციალ-დემოკრატს

(ვ. სტეპანიუკს) [263]

პატივცემულო ამხანაგო!

ძალიან გამახარა თქვენმა სტატიამ, როგორც დონცოვებისა და კომპანიის წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრალისტის სტატიამ. მეტისმეტად მნიშვნელოვანია, რომ ამ ყაიდის ნაციონალისტებს (და უკრაინელ სოციალ-დემოკრატებს), უფრო დახელოვნებულებს, ვეომოთ!

აუცილებლად მოვითხოვ «პრავდის» რედაქციისაგან მოათავსოს თქვენი სტატია. მაგრამ, ჩემი აზრით, იგი გაუგებარია მკითხველისათვის — 40 000 რუსი (მეტწილად ველიკორუსი) მუშისათვის.

ჩემი რჩევაა, თუ ნებას მომცემთ გირჩიოთ: დაწერეთ კიდევ ერთი სტატია, რომელიც **პირველად** დაიბეჭდება. შესავალი, მოკლე საერთო ნარკვევი საკითხისა «ცენტრალიზმის» და «სეპარატიზმის» შესახებ (ტერმინები თქვენ მარჯვედ და სწორად შეგირჩევიათ) უკრაინის სოციალ-დემოკრატებს შორის. გააცანით მკითხველს საკითხი. ილაპარაკეთ საერთო მიმდინარეობათა შესახებ, რანი არიან ისინი, როგორია მათი ისტორია (მოკლედ).

შემდეგ კიდევ კითხვა: ბასოკი ხომ ნაციონალიზმისა და სეპარატიზმისაკენ შებრუნდა? მე ასე გამიგია; მართალია თუ არა ეს? ხომ არ მიშოვით შებრუნების მაჩვენებელ მის «განთქმულ» სტატიას (1910 ან 1911 თუ 1912 წლისა) [264]?

შემდეგ ამბობენ, ლვოვში ამ ცოტა ხნის წინათ ვიღაცა «გაერთიანდა» თათბირზე: სპილკოველები უკრაინელ სოციალ-დემოკრატებთან თუ დონცოვებთან?? ლვოვიდან შემპირდნენ გაერთიანებულ რეზოლუციებს, მაგრამ ჯერ კიდევ არ გამოუგზავნიათ. რა იცით თქვენ ამის შესახებ[265]? ხომ არ არის საჭირო ჩაემატოს ორიოდე სტრიქონი, რომ სპილკელთა შორისაც არიან, სამწუხაროდ, ნაციონალიზმსა და სეპარატიზმში გადავარდნილნი?

სალამი და საუკეთესო სურვილები!

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1913 წ. 20 ივლისს
გაგზავნილია ბერნიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1930 წ.
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ი. ს. განეცკის

პატივცემულო ამხანაგო! თუ იენაში იქნებით, უსათუოდ გაეცანით ჩვენს წარმომადგენელს (გაუგზავნეთ მას წერილი postlagernd Herrn Bekzadian. J e n a — თუ სხვაგვარად ვერ შეხვდებით)[266]. მოელაპარაკეთ მას ყველა საქმეზე. ის გაცნობილი უნდა იყოს ვითარებას ტიშკოს წინააღმდეგ[267]

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გააცანით იგი პანეკუკს, მერინგს და სხვა მემარცხენეებს, თუ თვითონ არ გაეცნობა მათ. მოიწერეთ, მიდიხართ თუ არა იენაში (როდესაც სავსებით გადაწყვეტთ ამ საკითხს).

Absender: Uljanow. Poronin.

დაწერილია 1913 წ. 12 სექტემბერს
გაგზავნილია პორონინიდან კრაკოვში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ზ. ლედერს [268]

1913. 28. X. კრაკოვი, Ul. Lubomirskiego. 51.

პატივცემულო ამხანაგო!

მე სავსებით მესმის თქვენი აღშფოთება ეგრეთწოდებულ მთავარ გამგეობაში მოკალათებული არამზადების წინააღმდეგ, მაგრამ ვურჩევდი კომისიას [269] ჯერ მაინც მიეღწია მთავარი გამგეობის მიერ ფორმალური უარისთქმისათვის. ამის მიღწევა ხომ შესაძლებელია (მისამართი როზა ლუქსემბურგისა, როგორც ინტერნაციონალური სოციალისტური ბიუროს წევრისა, და ა. შ.), უამისოდ კი, ალბათ, ისბ არ ჩაერევა და საკითხის დასმას ფორმალური მიზეზებით უკუაგდებენ. არ უნდა გავაუმჯობესოთ ტიშკას და კომპანიის მდგომარეობა ისეთი ნაბიჯის გადადგმით თქვენის მხრივ, რომელიც გამოიწვევდა ისბ მიერ თქვენთვის უარის თქმას.

გირჩევთ მისწეროთ კომისიის სახელით ფრთხილი, საინფორმაციო წერილი ჰიუისმანსს (უმთავრესად დაუწერეთ იმას, რომ Zarzad Główny * უარს ამბობს შეამოწმოს თავისი «სამართალი» ისბ-თან აფილირებული **, რუსეთში მოქმედი პარტიების სამართლით) და თხოვოთ სინდისში ჩააგდოს მთავარი მმართველობა (respective *** მორა-

* — მთავარი გამგეობა. რედ.
** — შეერთებული. რედ.
*** — შესაბამისად. რედ.

ლური გავლენა მოახდინოს მასზე). ეს აჯობებს, ვიდრე ნაადრევი ფორმალური მიმართვა, რაც ჩავარდნის რისკთანაა დაკავშირებული.

თუ პლეხანოვი გიპასუხებთ, იმედია, შემატყობინებთ.

სოციალ-დემოკრატიული სალამით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

Uljanow. Ul. Lubomirskiego. 51. Kraków

გაგზავნილია პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ა. მ. გორკის

ძვირფასო ალექსი მაქსიმეს ძევ! გიგზავნით დღეს შეკვეთილი ბანდეროლით იმ რომანის დასაწყისს, რომელიც «პ რ ო ს ვ ე შ ჩ ე ნ ი ე შ ი» უნდა დაიბეჭდოს. ვფიქრობთ, რომ თქვენ წინააღმდეგი არა ხართ. ხოლო თუ თქვენ, მოლოდინის მიუხედავად, წინააღმდეგი ხართ, — **უდეპეშეთ** «პროსვეშჩენიეს»: «ვოიტინსკი გადადევით» ან «ვოიტინსკის რომანს **ნ უ გ ა უ შ ვ ე ბ თ**»[270].

იმ ამბავმა, რომ თქვენ ა ხ ა ლ ი საშუალებით გმკურნალობთ «ბოლშევიკი», თუმცა ყოფილი, მე, ღმერთმანი, ჩამაფიქრა, ღმერთმა დაგიფაროთ ექიმ-ამხანაგებისაგან საერთოდ, ექიმ-ბოლშევიკებისაგან კერძოდ! მართლაც, 99 შემთხვევაში 100-დან ექიმ-ამხანაგები «ვირები» არიან, როგორც მე ერთხელ მითხრა **კარგმა** ექიმმა. გარწმუნებთ, უნდა იმკურნალოთ (გარდა წვრილმანი შემთხვევებისა) **მხოლოდ** პირველხარისხოვან სპეციალისტებთან. თავისთავზე რომ სინჯო ბოლშევიკის გამომგონებლობა — ეს საშინელებაა!! მხოლოდ აი ნეაპოლელი პროფესორების კონტროლი... თუ ეს პროფესორები მართლაც მცოდნენი არიან... იცით რა, თუ ზამთარში წახვალთ, უ თ უ ო დ შეიარეთ პირველხარისხოვან ექიმებთან შ ვ ე ი ც ა რ ი ა ს ა და ვ ე ნ ა შ ი. მიუტევებელი იქნება, თუ ამას არ იზამთ! როგორა ხართ ახლა?

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ჩვენთან საქმეები ცუდად როდი მიდის. პიტერში მუშები პარტიულად ირაზმებიან ყველა ლეგალურ საზოგადოებაში, მათ შორის დაზღვევის საზოგადოებაშიც. აქ საინტერესო და საქმიანი ყმაწვილებიც იყვნენ.

მისამართი: Wl. Uljanow. Ulica Lubomirskiego. 51. Kraków. Krakau (Galizien).

დაწერილია 1913 წ. ნოემბრის დამდეგს
გაგზავნილია კრაკოვიდან კაპრის
კუნძულზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წ.
ლენინის კრებულში I

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.! მივიღე რომანი[271] და თქვენი წერილი. ჩემი აზრით, უნდა შევაჩეროთ რომანი, რაკი თქვენ არა ხართ მომხრე. აქვე გიგზავნით კამენევის წერილს. მან რომანი წაიკითხა (მე ჯერ კიდევ არ წამიკითხავს).

მივწერთ პიტერში, რომ შეაჩერონ.

ამასთან გიგზავნით ჩემს გუშინდელ წერილს[272]: ნუ გაჯავრდებით, რომ მე გავცოფდი. იქნებ, ისე ვერ გაგიგეთ? იქნებ, თქვენ ხუმრობით მოიწერეთ «დროებით»? ღვთისმშენებლობის შესახებაც, იქნებ, სერიოზულად არ დაგიწერიათ??

უკეთ იმკურნალეთ, ღვთის გულისათვის.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1913 წ. შუა
ნოემბერში
გაგზავნილია კრაკოვიდან კაპრის
კუნძულზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში I

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ნ. ი. ბუხარინს

ძვირფასო ამხანაგო!

ჩვენ დიდი ხალისით გადავწყვიტეთ მოგვეთავსებინა თქვენი სტატია სტრუვეს წიგნის შესახებ[273]. მაგრამ მეორე წაკითხვისას დავინახეთ, რომ ადგილს ბატონყმური მეურნეობის შესახებ პარტიულ წრეებში უსათუოდ გაიგებენ, როგორც რჩევას — ამოვაგდოთ პროგრამიდან მემამულეთა მიწების კონფისკაცია. აქ დისკუსიაა საჭირო. ხომ არ აჯობებს ამოვაგდოთ ჯერჯერობით ეს ადგილი? თითქოს თქვენ ახლა არ გინდოდათ დისკუსიის ატეხა.

თუ ჩვენ შევცდით და თქვენ გინდოდათ დისკუსია აგეტეხათ, მოიწერეთ: თუ დაიჟინებთ სტატიას მოვათავსებთ *

დაწერილია 1913 წ. ნოემბერ-
დეკემბერში
გაგზავნილია კრაკოვიდან ვენაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* ამაზე ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

1914 წ.

გაზეთ «პუტ პრავდის» რედაქციას

1914. 9. II.

პატივცემულო კოლეგებო! მივიღე მდივნის წერილი სავალალო სტატიის შესახებ, რომელმაც გაზეთი საფრთხეში ჩააგდო[274]. სამწუხაროა, სამწუხარო, რომ დაიბეჭდა (კოლეგიური გადაწყვეტილებით კი?) ეს სავალალო სტატია, რომელშიც შეძლეს დაენახათ მითითება გაზეთების კავშირურთიერთობაზე...

ეს არის დავბრუნდი შინ «სამსახურის საქმეთა გამო» მგზავრობის შემდეგ[275], გადავათვალიერე ყველა გამოსული № და **ვერ ვიპოვე ორი** სტატია, რომლებიც გავგზავნე (უკვე ერთი თვის წინათ!!) ფ.-დ.-ს პასუხად ერთიანობის საკითხზე («ლიკვიდატორთა ბელადი ერთიანობის პირობების შესახებ» — ასეთია პირველი ამ სტატიათაგანის სახელწოდება[276]). სტატიები ყოვლად აუცილებელია განსაკუთრებით ახალი ჟურნალის «ბორბას»[277] გამო — და საჭიროა მათი მოთავსება ამ ჟურნალის გ ა მ ო ს ვ ლ ა მ დ ე. მაგრამ სტატიები არ არის მოთავსებული, და (თითქოს ყოველგვარი კოლეგიალობის დასაცინავად) მთელი თვის განმავლობაში ჩემთვის ერთი სტრიქონიც არ მოუწერიათ, თუ რა ბედი ეწია მათ!!! ((თუ ეს სტატიები დიდია, თუმცა ეს დაუჯერებელია, მაშინ მათ «პროსვეშჩენიეში» მოვათავსებდი.))

ღმერთმანი, სრულებით არ მესმის საქმის ასეთი წარმართვა! როგორ შეიძლება ასე მოეპყრათ თანამშრომლებს? და კოლეგებს?

გვიპასუხეთ!

სალამით ვ. ი.

P. S. გამომიგზავნეთ, თუ კაცი ხარ,
«პ რ ო ლ ე ტ ა რ ს კ ა ი ა პ რ ა ვ დ ა» № 11 (29).
«პ უ ტ პ რ ა ვ დ ი» № 2[278].
«ნ ო ვ ა ი ა რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» № 8 (126).

P. S. ხომ არ გაქვთ ჟურნალ «მისლის»[279] კომპლექტი ან ცალკეული წიგნაკები? გთხოვთ გამომიგზავნოთ.

გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1956 წელს ჟურნალ «კომმუნისტში» № 5

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ა. ა. ტროიანოვსკის

ძვირფასო ალექსანდრე ანტონის ძევ!

დიდი მადლობა ვენიდან ცნობების მოწოდებისათვის: ძალიან საინტერესოა. ტროცკის წამოწყებას დიდი მნიშვნელობა აქვს[280]; ა გ ვ ი ს ტ ო ს ბ ლ ო კ ი მთლად დაშლილია (ლატვიელები გ ა ვ ი დ ნ ე ნ ორგანიზაციული კომიტეტიდან!)[281].

გრიგოლი ამბობს, რომ თქვენ განაგრძეთ

(1) შემოწირულებათა სტატისტიკა (მუშათა ჯგუფებისა) 1913 წ. 1 ოქტომბრის შემდეგ (1914 წ. 1 იანვრამდე)[282].

(2) 7 და 6 სასარგებლოდ მიცემული ხმების სტატისტიკა (აგრეთვე თუნდაც 1914 წ. 1 იანვრამდე ან 1914 წ. 1 თებერვლამდე)[283].

გთხოვთ, რაც შეიძლება მალე მოათავოთ და მაშინვე გამომიგზავნოთ: **შევა ბროშურაში**, რომელსაც ამ დღეებში ვგზავნით[284].

იჩქარეთ!

მივიღე № 1 «პროსვეშჩენიე». არა უშავს. ოღონდ ტყუილადაა რეცენზია ლევიცკის შესახებ, სადაც ნახმარია სულელური სიტყვა «ფრაქციულობა»[285].

როგორია ნომერი თქვენი აზრით?

სალამი ელენე თევდორეს ასულს.

აგრეთვე — ბუხარინს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უადრეს 1914 წ.
11 თებერვლისა
გაგზავნილია კრაკოვიდან ვენაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

Ი. ა. გურვიჩს

1914. 27. II. კრაკოვი.

დიდად პატივცემულო კოლეგა!

უკვე დიდი ხანია მივიღე თქვენი წიგნი «Immigration and Labour»[286] და ვეძებდი თქვენს მისამართს, რომ მადლობა მომეხსენებია. მაგრამ თქვენი მისამართის გაგება ძნელი გამოდგა. მხოლოდ დღეს მივიღე იგი და ვიჩქარი მადლობა გადაგიხადოთ წიგნის გამოგზავნისათვის. მე უკვე დავწერე მის შესახებ და მის საფუძველზე პატარა სტატია[287] ჩვენს პიტერის სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ «პრავდაში» და კიდევ დავწერ. ჩემი შეხედულებით, ეს ნაშრომი უამრავ საგულისხმო რამეს იძლევა კაპიტალიზმის შესასწავლად და ამავე დროს თითქოს წარმოადგენს ჩვენი საერობო სტატისტიკის საუკეთესო მეთოდების გადატანას დასავლეთის ნიადაგზე.

ამხანაგი, რომელმაც თქვენი მისამართი გადმომიგზავნა (Mr. John Ellert), მწერს, რომ თქვენ შეგიძლიათ კარგი პროტექცია გაგვიწიოთ, რათა მივიღოთ ყოველგვარი მასალა ვაშინგტონის სტატისტიკური ბიუროდან. ამიტომ ნება მოგვეცით მოგმართოთ თხოვნით — რა თქმა უნდა, თუ თქვენ ძალიან არ გაგიძნელდებათ და მუშაობას არ მოგაცდენთ.

პარიზში ვსწავლობდი ამერიკის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკას (vol. V. Agriculture — census of 1900) — ძალიან ბევრი საინტერესო რამ ვიპოვნე. ახლა, კრაკოვში რომ ვცხოვრობ, ამ გამოცემებს ვერ ვშოულობ. კაგანი, ნიუ-იორ-

კის სოციალისტური ებრაული გაზეთის რედაქტორი[288], რომელიც ერთი წლის წინათ აქ იყო, შემპირდა, გამოგიგზავნიო, მაგრამ, ეტყობა, დაავიწყდა.

ამბობენ, თუ პროტექცია იქნა, ამერიკის სტატისტიკური ბიურო საზღვარგარეთაც კი უფასოდ გზავნის თავის გამოცემებსო. თუ ეს მართალია, ხომ არ შეგიძლიათ ეს პროტექცია გამიწიოთ? (მე შემეძლო სტატისტიკური ბიუროს ბიბლიოთეკისათვის გამეგზავნა ჩემი წიგნები «კაპიტალიზმის განვითარებაზე» და «აგრარული საკითხის» შესახებ)[289]. განსაკუთრებით მესაჭიროება Agriculture — vol. V. census of 1900 — და **იგივე census of 1910** (თუ ჯერ კიდევ არ გამოსულა, მაშინ წინასწარი ბიულეტენები).

თუ ეს შეუძლებელია, კეთილ-ინებეთ და მომწერეთ ღია ბარათი Mr. John Ellert (ორგანო «Novy Mir»-ის თანამშრომელი, 140. East 4-th Street. New York) — მას გავუგზავნი ფულს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამეების გამოსაგზავნად.

ერთხელ კიდევ გმადლობთ წიგნისათვის და ბოდიშს ვიხდი შეწუხების გამო.

სოციალ-დემოკრატიული სალამით

ნ. ლენინი (ვ. ულიანოვი)

მისამართი: Wl. Uljanow. 51. Ulica Lubomirskiego. Krakau (Galizien). Austria.

გაგზავნილია ვაშინგტონში

პირველად დაიბეჭდა 1930 წ. ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გაზეთ «პუტ პრავდის» რედაქციას

ძვირფასო კოლეგებო!

ყოველნაირად მივესალმები გაზეთს და მის აშკარა გაუმჯობესებას. როგორც იქნა, ლიტერატურული მხარე ფეხზე დგება! ახლა სამეურნეო მხარის ჯერია. არ შეიძლება აგრეთვე «უტყვად» იქნას დატოვებული ხელისმომწერთა საკითხი: უნდა ქვეყნდებოდეს მათი რიცხვი, უამისოდ ვერ ავმაღლდებით წრეობანიდან ორგანიზებულობამდე, კერძო წამოწყებიდან კოლექტიურობამდე.

არ შემიძლია აგრეთვე დუმილით ავუარო გვერდი აშკარა შეცდომას № 22-ში, სადაც ვიბორგელთა სწორი რეზოლუციის გვერდით (ბურიანოვის შესახებ) მოთავსებულია ციურიხელთა უფრო გრძელი და საზიზღარ-ინტრიგანული რეზოლუცია[290], რედაქცია კი სდუმს. «პრავდის» სიტყვა კანონია. მისი დუმილი აბნევს მუშებს, მისი თავშეკავება თესავს გაუგებრობას.

ბურიანოვთან უნდა ვიყოთ «ბრძენი ვითარცა გველი». და ამ სიბრძნეს გადაუხვია რედაქციამ. ჩვენ მას ვაქებთ **მხოლოდ** იმისათვის, რომ ლიკვიდატორებს ჩამოშორდა, და არა ერთეულის «დამოუკიდებლობისათვის». აქ ლიკვიდატორები **მართალი არიან,** და პოლიტიკოსისათვის იმაზე უფრო საშიში არაფერია ბრძოლაში, ვიდრე არასწორი პოზიციის დაკავება.

ციურიხელები კი მხარს უჭერენ ბურიანოვს არასწორ, ყალბ, ინტრიგანულ პოზიციაში!! და ჩვენ მათ სიტყვას ვაძლევთ — რატომ? როცა ვიცით, რომ ციურიხელები უმ-

ც ი რ ე ს ო ბ ა ა საზღვარგარეთ! როცა ვიცით, რომ მ თ ე ლ საზღვარგარეთს ვერ ვაიძულებთ თავისი აზრი გამოთქვას «პრავდაში»!!

ბურიანოვს უნდა შევაგნებინოთ და ვაგრძნობინოთ მისი მდგომარეობის სიყალბე. ლიკვიდატორებს ჩამოშორდი? კარგია.

წამოაყენე წინადადება თანასწორობის შესახებ? კარგია.

შემდეგ? დროა არჩევანი მოახდინო, ინტრიგანობაში კი (წაჯექ-უკუჯექობა) **მხარს არ დაგიჭერთ.** ლიკვიდატორები გდევნიან, როგორც «დამოუკიდებელ ს.-დ.-ს»: **ისინი მართალი არიან,** და ჩვენ არ დაგიცავთ. გაძლევთ ღვთისნიერ ვადას, გპირდებით დახმარებას ამ ვადისათვის (მდუმარეს, სიტყვებით და ა. შ.), **მაგრამ არა უმეტეს.** ან აირჩიე (2 — 4 კვირის შემდეგ), ან მეტი **არავითარი** დახმარება.

მხოლოდ ასე შეიძლება მოვიქცეთ. თუ არადა უ ა ხ ლ ო ე ს მ ო მ ა ვ ა ლ შ ი (ვენის კონგრესზე და **უფრო ადრეც** [291]) ბურიანოვის პოზიცია ზიანს მოგვიტანს **ჩვენ, და უფლება ექნებათ გვითხრან,** რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ «დამოუკიდებელს».

შემთხვევა თუ იქნა, რედაქციამ უნდა თქვას, რომ (1) მართალი არიან ვიბორგელები და არა ციურიხელები; (2) რომ ნაწილობრივ საზღვარგარეთის (ციურიხი) გარდა რუსეთში **არავის** არ მოუწონებია და არავინ არ მოიწონებს «დამოუკიდებლობანას».

ეს უნდა გაკეთდეს.

გისურვებთ ყოველივე კარგს და ვუსურვებ გაზეთს ყოველგვარ გაუმჯობესებასა და წარმატებას!

ვ. ი.

P. S. ბურიანოვი ერთი თვის შემდეგ იტყვის: მხარი დამიჭირეს ციურიხელებმა, გამკიცხეს მ ხ ო ლ ო დ ვიბორგელებმაო! და საერთო, მასობრივ გამოსვლას ვიბორგელთა მ ხ ა რ დ ა ს ა ჭ ე რ ა დ ჩვენ ვერ მივაღწევთ. იგი კი ახლა უაღრესად **საჭიროა.**

თუ «ნებას მივცემთ» და მხარს დავუჭერთ ბურიანოვს, იგი გამაგრდება ჩვენს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, — ეს დანაშაული იქნებოდა მუშათა უმრავლესობის ნების წინააღმდეგ და «მარქსისტული მთლიანობის» წინააღმდეგ.

P. S. ხომ არ შეიძლება საჩქაროდ გამომიგზავნოთ «ნ ა-შ ა ზ ა რ ი ა ს» № 2, როცა გამოვა, რომ პასუხი გავცე ლ. მარტოვს «პ რ ო ს ვ ე შ ჩ ე ნ ი ე შ ი»?

P. P. S. გთხოვთ ეს წერილი უჩვენოთ გაზეთის თანამშრომლებს რსდმ ფრაქციიდან.

დაწერილია 1914 წ. 23 მარტზე ადრე.
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1956 წ.
ჟურნალ «კომმუნისტში» № 5

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ვ. ბ. სტანკევიჩს

1914. 24. III. კრაკოვი

პატივცემულო ვ. ბ.!

რადგან არ ვიზიარებ ძირითადად თქვენი ჟურნალის პროგრამას, რომელიც თქვენს მიერ არის გადმოცემული, უარი უნდა ვთქვა თანამშრომლობაზე [292].

მზად ვარ გემსახუროთ.

ვ. ი ლ ი ნ ი

WI. Uljanow. 51. Ulica Lubomirskiego. Kraków.

გაგზავნილია პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ირლანდიის შესახებ სტატიების საკითხისათვის

რედაქციას ვთხოვ მაცნობოს, იბეჭდება ჩემი მეორე სტატია თუ არა![293] კარგი იქნება დაიბეჭდოს. თუ ადგილი არ არის, ორიოდე სიტყვა მომწერეთ. უამისოდ არ შემიძლია გაგრძელება დავწერო.

ძალიან გთხოვთ ნუ დამიგვიანებთ (როგორც დამიგვიანეთ «ბორბა» № 2) «ედინსტვოს» გამოგზავნას: იქაურ «ბოლშევიკ-პარტიელებს», ჩემი აზრით, ერთბაშად მაგრად უნდა დავცინოთ, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ესენი არიან ნულები, რომლებსაც არც ერთ საკითხზე არასოდეს არა ჰქონიათ არც ერთი დალაგებული აზრი. პლეხანოვს კი ვუთხრათ: სამწუხაროა, რომ თავის დიდ დამსახურებას რღვევის დროს ლიკვიდატორებთან ბრძოლაში, მახისტებთან ბრძოლაში, როცა მახიზმი ძალაში იყო, იგი ახლა ჩირქსა სცხებს ქადაგებით, რომლის ახსნა თვითონვე არ შეუძლია: ერთიანობა ვისთან? «ნაშა ზარიასთან», «სევერნაია რაბოჩაია ვაზეტასთან?» და რა პირობებით?

ჩვენ მომხრე ვართ ერთიანობისა — ზუსტად ნაჩვენები, დამუშათა უმრავლესობის მიერ დიდი ხნის წინათ მოწონებული, პირობებით: ქვემოდან, ჩაები არალეგალურ მუშაობაში, საქმით შეამოწმე შენი უარი პარტიის ლიკვიდაციაზე.

ვინც «გაიძახის» ერთიანობაო, ყველას როდი ესმის, რა არის ერთიანობა, და როდი ეხმარება მის განხორციელებას.

მუშათა უმრავლესობის ნების დამრღვევნი გამაერთიანებლები კი არა, გამთიშველები არიან.

(პლეხანოვთან ბრძოლა არ აგვცდება, რადგან იგი გაერია იდიოტურ საქმეში, მაგრამ იგი უნდა გამოვაცალკევოთ. ლიოვასა და მარკისაგან და ხაზგასმით აღვნიშნოთ: ჰქონდა დამსახურება, მაგრამ, სამწუხაროა, რომ **ისევ** თავგზა აებნა, აიშალა).

მოიწერეთ თუნდაც მოკლედ, მაგრამ უფრო ხშირად. უამისოდ ძნელია თანამშრომლობის მოგვარება.

ათასი სალამი გაზეთს, რომელიც 1000-ჯერ უფრო კარგი გახდა!! ყოველგვარი სიკეთე და წარმატება!

გამომიგზავნეთ **«სევერნაია რაბოჩაია გაზეტას»** № 8 და 36—38, «პუტ პრავდის» № 43.

არ მიმიღია დებორინი და სხვა წიგნები «პროსვეშჩენიედან», თუმცა არაერთხელ გთხოვეთ. მომწერეთ ახალი წიგნაკის გეგმის შესახებ.

დაწერილია 1914 წ. 7 და 23 აპრილს შუა.
გაგზავნილია კრაკოვიდან
პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1956 წელს
ჟურნალ «კომმუნისტში» № 5

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გ. ლ. ᲨᲙᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ

ძვირფასო მეგობარო! გუშინ მივიღე შემაშფოთებელი წერილი სამოილოვისაგან[294]. უფრო ცუდადაა, არ ეძინება, **მოწყენილია.**

ჩლენოვმა ცივი (!?) აბაზანები ურჩია. ოთხი აბაზანის შემდეგ სამოილოვმა **უფრო ცუდად** იგრძნო თავი...

საშინლად არასასიამოვნოა ეს, რადგან ჩვენ, ასე ვთქვათ, ხელი მოვკიდეთ მის მორჩენას. დღეს მას ვუგზავნით ნერვულ სნეულებათა აქაური ექიმის ლანდაუს სარეკომენდაციო წერილს დოქტორ **De Montet-თან Vevey-ში** «Mon Repos» (სანატორიუმი).

ეტყობა, სამოილოვი უნდა ვუჩვენოთ ნერვულ სნეულებათა საუკეთესო ექიმს და გადავიყვანოთ სანატორიუმში, სადაც მას სისტემატურად მოუვლიან და მიხედავენ.

ჰქენით ეს, თუ კაცი ხართ. ნუ დაერიდებით ტელეფონისა და მგზავრობის ხარჯებს: თუ საჭირო შეიქნა, ჩვენ ყოველივე ამას გადავიხდით, ვინაიდან შემოდგომისათვის რადაც უნდა დაჯდეს სამოილოვი ფეხზე უნდა დავაყენოთ.

თუ საჭიროა, ერთხელ კიდევ შეიარეთ სალისთან. მაგრამ, ეტყობა, აქ **ნერვულ** სნეულებათა ექიმია საჭირო. იმედი მაქვს, მოძებნით ს ა უ კ ე თ ე ს ო ს შვეიცარიაში და წაიყვანთ სამოილოვს. ამაზევე ვწერ რივლინს: თქვენ შეუთანხმდით მას, რათა ერთად იმოქმედოთ და შრომა გაინაწილოთ.

ამბობენ, მოწყენილობა ნევრასტენიკებისათვის ძალიან მავნებელიაო. მაგრამ რა ვქნათ? წავიყვანოთ სამოილოვი პ ო რ ო ნ ი ნ შ ი (ჩვენ იქ 1 მაისს მივდივართ), თუ ზ ა კ ო-

პ ა ნ ე შ ი? შეიძლება, მაგრამ **იქ წვიმებია მთელი ზაფხულის განმავლობაში.**

მოიწერეთ, რა შედეგი მოჰყვა ექიმთან მისვლას და რა გადაწყვეტილებები მიიღეთ. იქნებ ვსინჯოთ ახლა სანატორიუმი «Mon Repos».

სალამი ოჯახს. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულიც სალამს გითვლით.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1914 წ. აპრილის დამლევს
გაგზავნილია კრაკოვიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ჩვენი ამოცანები

ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ რუსეთის მუშათა პრესის ისტორია და «პრავდის» წარმოშობა. შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ როგორ წარმოქმნა რუსეთში დემოკრატიული მოძრაობის საუკუნოვანმა ისტორიამ მუშათა დემოკრატიის დამოუკიდებელი მოძრაობა მარქსიზმის იდეური დროშით; — როგორ მოხდა, რომ რუსეთში მარქსიზმისა და მუშათა მოძრაობის ოცი წლის ისტორიამ, წვრილბურჟუაზიულ, ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ მუშათა ავანგარდის ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად, გამოიწვია შეგნებული მუშების დიდი უმრავლესობის დარაზმვა «პრავდის» გარშემო, რომელიც მუშათა მოძრაობის 1912 წლის გაზაფხულის ცნობილმა აღმავლობამ შექმნა.

ჩვენ ვნახეთ, თუ გაზეთის არსებობის ორი წლის განმავლობაში როგორ დაირაზმნენ იდეურად, და რამდენადმე ორგანიზაციულადაც, შეგნებული მუშა-პრავდისტები, რომლებიც თავიანთი ძალღონით ქმნიდნენ და მხარს უჭერდნენ, განამტკიცებდნენ და ავითარებდნენ თანამიმდევრულად მარქსისტულ მუშათა პრესას. მუშა-პრავდისტები მკაცრად იცავდნენ თავიანთ კავშირს წინანდელი ისტორიული ეპოქის ორგანიზებულ მარქსისტებთან, არ არღვევდნენ არც ერთ მათს გადაწყვეტილებას, ძველის საძირკველზე აშენებდნენ ახალს, სისტემატურად, განუხრელად მიდიოდნენ წინ თანმიმდევრული მარქსიზმის მტკიცედ და ზუსტად დასახული მიზნისაკენ, და ამნაირად მათ დასაბამი მისცეს არაჩვეულებრივად ძნელი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტას.

ურიცხვი მტრები, უამრავი როგორც გარეშე, ისე შინაგანი სიძნელენი აღიმართნენ მუშათა მოძრაობის გზაზე 1908 — 1911 წლების ეპოქაში. დღემდე ჯერ კიდევ არც ერთ ქვეყანაში არ მოუხერხებია მუშათა მოძრაობას თავი დაეღწია ამგვარი კრიზისისაგან და შეენარჩუნებია თანამომდევნობა, ორგანიზებულობა, ძველი გადაწყვეტილებების, პროგრამისა და ტაქტიკისადმი ერთგულება.

რუსმა, — უფრო სწორად: რუსეთის — მუშამ მოახერხა ეს. მოახერხა ღირსეულად დაეღწია თავი წარმოუდგენლად მძიმე კრიზისისაგან, შეენარჩუნებინა წარსულისადმი ერთგულება, შეენარჩუნებინა ორგანიზაციული თანამომდევნობა, ამასთან ერთად შეეთვისებინა თავისი ძალის მომზადების ახალი ფორმები, პროლეტარიატის ახალ თაობათა გათვითცნობიერებისა და დარაზმვის ახალი ფორმები ძველი, ჯერ ისევ გადაუწყვეტელი, ისტორიული ამოცანების ძველი მეთოდებით გადაწყვეტისათვის.

რუსი საზოგადოების ყველა კლასიდან ეს მხოლოდ მუშათა კლასმა შეძლო არა იმიტომ, რა თქმა უნდა, რომ იგი სხვა ქვეყნების მუშებზე უფრო მაღლა იდგა; — პირიქით, იგი კიდევ ძლიერაა მათგან ჩამორჩენილი თავისი ორგანიზებულობისა და შეგნების მხრივ. ეს მან შეძლო იმიტომ, რომ ერთბაშად დაეყრდნო მთელი მსოფლიოს მუშათა გამოცდილებას, მათ თეორიულ გამოცდილებასაც, მათი შეგნების, მათი მეცნიერების მონაპოვრებს, მარქსიზმის მიერ შეჯამებულ გამოცდილებას, — მეზობელი ქვეყნების პროლეტართა პრაქტიკულ გამოცდილებასაც, რომელთაც საუცხოო მუშათა პრესა აქვთ და მასობრივი ორგანიზებულობა ახასიათებთ.

მუშა-პრავდისტებს, რომლებმაც ყველაზე ძნელ და მძიმე დროს დაიცვეს თავიანთი ხაზი გარედან დევნისა და შიგნიდან სასოწარკვეთილების, მცირედმორწმუნეობის, სულმოკლეობისა და ღალატისაგან, სრული შეგნებითა და სიმტკიცით შეუძლიათ ახლა უთხრან თავიანთ თავს: ჩვენ ვიცით, რომ სწორ გზაზე ვიმყოფებით, მაგრამ ჯერ კიდევ მხოლოდ

პირველ ნაბიჯებს ვდგამთ ამ გზაზე, და ჩვენ მოგველის მთავარი სიძნელენი, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რათა თვითონ საბოლოოდ განვმტკიცდეთ, რათა შეგნებულ ცხოვრებას ვაზიაროთ მილიონობით ჩამორჩენილი, მძინარე და დაბეჩავებული პროლეტარი.

დეე პროლეტარიატის წვრილბურჟუაზიულმა «თანამგზავრებმა», რომლებიც მონურად მიჰყვებიან ლიბერალებს, ამთვალწუნებელი გამომეტყველებით ილაპარაკონ «იატაკქვეშეთის» წინააღმდეგ; «არალეგალური პრესის რეკლამირების» წინააღმდეგ; დეე ცთუნებას მიეცენ ისინი სამი ივნისის «ლეგალობის» გამო. ჩვენ ვიცით ამ «ლეგალობის» უმტკიცობა, ჩვენ არ დავივიწყებთ ისტორიულ გაკვეთილებს ცენზურაგაუვლელი პრესის მნიშვნელობის შესახებ.

ჩვენ წემდგომ გავავითარებთ «პრავდისტულ» მუშაობას, წინ წავწევთ წმინდა საგაზეთო საქმეს მუშათა საქმის ყ ვ ე ლ ა მხარესთან ერთად.

საჭიროა «პუტ პრავდი» ახლანდელზე სამჯერ-ოთხჯერ და ხუთჯერ უფრო მეტად გავავრცელოთ. საჭიროა შევქმნათ საერთო-პროფესიული დამატება რედაქციაში ყველა პროფესიული კავშირისა და ჯგუფის წარმომადგენელთა მონაწილეობით. საჭიროა შევქმნათ ჩვენი გაზეთის საოლქო (მოსკოვის, ურალის, კავკასიის, ბალტიისპირეთის, უკრაინის) დამატებანი. საჭიროა განვამტკიცოთ — უკლებლივ ყველა ერის ყოველგვარი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ — რუსეთის ყ ვ ე ლ ა ეროვნების მუშათა ერთიანობა და ამისათვის, სხვათა შორის, დასაბამი მივცეთ ჩვენი გაზეთის დამატებებს, რომლებიც მიეძღვნება რუსეთის სხვადასხვა ეროვნების მუშათა მოძრაობას.

საჭიროა კიდევ ბევრად, ბევრად გავაფართოოთ «პუტ პრავდის» საზღვარგარეთული განყოფილებაც და შეგნებული მუშების ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი, იდეური და პოლიტიკური ცხოვრების ქრონიკაც.

საჭიროა შევქმნათ კაპიკიანი «ვეჩერნაია პრავდა»; «პუტ პრავდი» მისი ახლანდელი სახით აუცილებელია შეგნებული

მუშისათვის და კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს, მაგრამ იგი ერთობ ძვირია, ერთობ საძნელოა, ერთობ დიდია ქუჩის მუშისათვის, ჩვეულებრივი მუშისათვის, მოძრაობაში ჯერ კიდევ ჩაუბმელი მილიონების წარმომადგენლისათვის... მათ არასოდეს არ დაივიწყებს მოწინავე მუშა, რომელმაც იცის, რომ ამქრული კარჩაკეტილობა, შრომის არისტოკრატიის გამოყოფა, მასისაგან მისი გამოცალკევება ნიშნავს პროლეტარის გამოტვინებასა და გაპირუტყვებას, მის უბადრუკ ფილისტერად, საცოდავ მონად გადაქცევას, ნიშნავს მისი განთავისუფლების ყოველგვარი იმედის დაკარგვას.

საჭიროა შევქმნათ კაპიკიანი «ვეჩერნაია პრავდა», რომელიც 200, 300 ათას ცალად გავრცელდებოდა პროლეტარულ და ნახევრადპროლეტარულ მასაში, დაანახვებდა მას მსოფლიო მუშათა მოძრაობის შუქს, ჩაუნერგავდა თავისი ძალებისადმი რწმენას, წაახალისებდა დარაზმულიყო, დაეხმარებოდა სრულ შეგნებულობამდე ამაღლებულიყო.

საჭიროა მივაღწიოთ «პუტ პრავდის» მკითხველთა ახლანდელზე უფრო მეტ ორგანიზებულობას ცალკეულ ფაბრიკებში, ქარხნებში, რაიონებში და ა. შ., უფრო აქტიურ მონაწილეობას გაზეთისათვის კორესპონდენციების მიწოდებაში, მის წარმართვაში, გავრცელებაში. საჭიროა მივაღწიოთ მუშების სისტემატურ მონაწილეობას სარედაქტორო მუშაობაში.

საჭიროა... მაგრამ განა ცოტა რამ არის კიდევ საჭირო! ჩვენ აქ არ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ყველაფერი, რაც საჭიროა, ჩვენ სასაცილონიც კი ვიქნებოდით (უარესნიც, ვიდრე სასაცილონი), აქ რომ მოგვენდომებია ჩამოგვეთვალა ჩვენი მუშაობის ყველა ან მთავარი დარგები, სარბიელები!

ჩვენ ვიცით, რომ უტყუარ გზაზე ვდგავართ. ჩვენ ვიცით, რომ ყველა ქვეყნის მოწინავე მუშებთან ხელიხელგაყრილნი ვიდგავართ. ვიცით, რომ ჩვენი მუშაობის ეს სარბიელი მხოლოდ მცირედი ნაწილია მთელისა, რომ ჯერ კიდევ ჩვენი გან-

თავისუფლების დიადი გზის დასაწყისში ვიმყოფებით. მაგრამ ვიცით აგრეთვე, რომ ქვეყნად არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩვენი შეჩერება ამ გზაზე.

«რაბოჩი» № 1, 1914 წ. 22 აპრილი

იბეჭდება გაზეთ «რაბოჩის» ტექსტის მიხედვით

ა. ა. ტროიანოვსკის

1914. 20. V.

ძვირფასო ალექსანდრე ანტონის ძევ!

წარმოებს თქვენი კონსტიტუციის პროექტის განხილვა[295]. ეს საქმე — რუსეთთან და ცენტრალურ კომიტეტთან ერთად განხილვა — ხანგრძლივია.

სადისკუსიო სტატიას კონსტიტუციასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. რაც შეიძლება მალე გამოგზავნეთ იგი[296]. სტატიის დასასრული თვითგამორკვევის შესახებ უნდა დაიბეჭდოს მაისში, უკვე გაგზავნილია[297].

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. კარგი იქნება, თუ პოკროვსკის წერილებს გასაცნობად გამოგზავნით. ძალიან საინტერესოა თქვენი წინადადება, რომ გავმართოთ მასთან მიწერ-მოწერა, რათა იგი უხამს «ბორბას» ჩამოვაშოროთ.

გაგზავნილია პორონინიდან ვენაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო მეგობარო! დიდი მადლობა რუბაკინის I ტომისათვის. მალე დაგიბრუნებთ. თუ სასწრაფოა, მაცნობეთ. ძ ა ლ ი ა ნ მიხარია, რომ თქვენ «სოვრემენნიკს» არ თანაუგრძნობთ: ორ არამზადათა, ლიკვიდატორთა და ნაროდნიკთა ბლოკის ამ საძაგელ წამოწყებას ჩვენ სასტიკად გამოვლანძღავთ (გ. სტანკევიჩმა მიმიწვია; მე ვუპასუხე: «რაკი ძირითადში არ გეთანხმებით, უარი უნდა ვთქვა თანამშრომლობაზე-მეთქი» *).

რა თქმა უნდა, გასამრჯელოს გულისათვის ჩვენ ყველას ზოგჯერ გვიხდება ბურჟუაზიულ გაზეთებში მუშაობა! მაგრამ ბბ. მარტოვმა და დანმა «დემონსტრაცია» მოაწყვეს!! პლეხანოვიც ამ სამარცხვინო ადგილასაა[298]!

თქვენი დელეგატობის მოწმობას ხალისით გამოგიგზავნით: ცენზურული უნდა იყოს იგი (როგორ?) თუ არალეგალური[299]??

გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი.

დაწერილია 1914 წ. 22 მაისზე უფრო
გვიან
გაგზავნილია პორონინიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 298. რ ე დ.

გ. ე. ზინოვიევს

განეცკი «ულტიმატუმს» გვიყენებს: მოგვეცით 250 კრონი, თორემ ბრიუსელში არ მივდივართო. — არ ვუგზავნით!

მე უთუოდ წინააღმდეგი ვარ. კიდეც აჯობებს, თუ **ისინი** [300] არ წავლენ. დეე ტიშკა «შეურიგდეს» PPS *-ს, ჩვენ კი ოპოზიციის პასუხს **ველოდებით.**

დიდებულია!

ჩაუტანეთ განეცკის **უარყოფითი** პასუხი!

დაწერილია 1914 წ. 16 ივლისზე ადრე
პორონინში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — პპს — პოლონეთის სოციალისტური პარტია. რ ე დ.

გ. ლ. ᲨᲙᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ

ძვირფასო გრიგოლ ლევის ძევ! ახლა გავიგე, რომ საერთაშორისო კონგრესი გადაუტანიათ პარიზში 9 აგვისტოსათვის **ახალი** სტილით[301] იმედი მაქვს, თქვენ მიდიხართ? — და **ადრევე,** რათა მოემზადოთ პარიზში (კამსკი დელეგაციაში იყო ბრიუსელს[302] და ყველაფერს გაგაცნობთ). დაუყოვნებლივ მიპასუხეთ. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სამოილოვის გამგზავრების საკითხი. შეძლებს კი იგი წასვლას? ადვილი შესაძლებელია, რომ რუსეთიდან სახელმწიფო სათათბიროს წევრთაგან ვერავინ მოასწროს. ამიტომ სამოილოვი აუცილებლად უნდა გაემგზავროს. ყოველივეს სჯობია საქმე ისე მოვაწყოთ, რომ თქვენ მასთან ერთად წახვიდეთ. იგი შეიძლება დავაბინაოთ (თუ ამას მკურნალობა მოითხოვს) პარიზის ახლოს (რომ ტელეფონი იყოს) პანსიონში (ან სამკურნალოშიც კი) სოფელ ადგილას ასე ½ საათის სავალზე რკინიგზით. პარიზში მას მოუხდება maximum 2 — 3-ჯერ ჩასვლა 3 — 4 საათით (და, შეიძლება, უფრო ნაკლები ხნით), ასე რომ მკურნალობის თვალსაზრისით ეს, ცხადია, შეიძლება მოეწყოს. ოღონდ საჭიროა წინასწარ მოვიფიქროთ და მივწეროთ. (ჩვენ არ მივდივართ; სსბ-ში ან ლიტვინოვი იქნება ან კამსკი) — მისწერეთ ექიმ Wladimirsky-ს (rue Baillon. 10. Paris), ის რჩევას მოგცემთ.

ძალიან გთხოვთ ყოველი ღონე იხმაროთ, რათა ეს რაც შეიძლება უფრო გულდასმით მოამზადოთ და მოაწყოთ. თუ, მოლოდინის წინააღმდეგ, სამოილოვის გამგზავრება ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ შეუძლებელია, დაუყოვნებლივ მიდეპეშეთ

(მისამართი: Uljanow. Poronin) «nievozmozno» *. პირიქით, თუ სამოილოვის გამგზავრება შესაძლებელია, და თქვენ კისრულობთ ყველაფერი მოაწყოთ, მიდეპეშეთ «jedet» (= სამოილოვი მიდის) ან «jedem» (= თქვენც და სამოილოვიც მიდიხართ). პასუხი დეპეშით ჩემთვის ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა (ადვილად მიხვდებით, თუ რატომ [303]). გარდა ამისა მაშინვე მომწერეთ.

სალამი თედორე ნიკიტას-ძეს და თქვენს ოჯახს.

თქვენი ვ. ი.

P. S. შესაძლებელია, — ომის შემთხვევაში, — რომ თქვენ წერილები და ფული მიიღოთ ჩემთვის. იმედი მაქვს, გადმოგზავნას ჩვენ მაშინ წესიერად მოვაწყობთ. თუ წასვლა მომიხდება, გიდეპეშებთ.

Absender: Wl. Uljanow. Poronin (Galizien).

დაწერილია 1914 წ. 31 ივლისს
გაგზავნილია პორონინიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — (ულიანოვი, პორონინი) «შეუძლებელია», რ ე დ.

მ. ვ. კოზეცკის

ძვირფასო ამხანაგო! ჩვენი გამგზავრება ვერ მოხერხდა[304]. არ ვიცი, მიიღეთ თუ არა წერილი. თუ მიიღეთ, მოიწერეთ პასუხი, რათა შევამოწმოთ, მუშაობს თუ არა ფოსტა. თქვენ ახლა, ცხადია, აღმოჩნდებით, გამონაკლისის და თანაც მეტად იშვიათი გამონაკლისის სახით, არამეომარი ქვეყნის მცხოვრები და ამიტომ, თუკი ფოსტა თქვენგან ჩვენამდე იმუშავებს, უსათუოდ უნდა მოგვაწოდოთ ხოლმე ინფორმაცია და გვაუწყოთ ცნობები გაზეთებიდან, რომლებიც ჩვენთვის მიუწვდომელია. რა თქმა უნდა, მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ცნობები (განსაკუთრებით რუსეთის შესახებ).

გვაცნობეთ, გექნებათ თუ არა თქვენ (ან უკვე გაქვთ თუ არა ახლა) კარგი ურთიერთობა სტოკჰოლმთან, შეგიძლიათ თუ არა გადაუგზავნოთ წერილები, მისცეთ მისამართი რუსეთიდან ფულის მისაღებად და ა. შ.

სალამი!

თქვენი ვ. ი.

Absender: Wl. Uljanow. Poronin (Galizien) *

დაწერილია 1914 წ. აგვისტოს
პირველ რიცხვებში
გაგზავნილია პორონინიდან
კოპენჰაგენში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* წერილის ზემოთ ლენინს წარწერილი აქვს, ალბათ ბინის პატრონს მიმართავს: «Geehrter Herr! Bitte diesen Brief an Herrn Kobezky gefälligst zu übergeben!» («მოწყალეო ხელმწიფევ! ეს წერილი, თუ კაცი ხართ, გადაეცით ბატონ კობეცკის!»). რ ე დ.

ვიქტორ ადლერს

1914. 5. IX

პატივცემულო ამხანავო! მშვიდობით ჩავედი მთელი ოჯახითურთ ციურიხში[305]. Legitimationen * მხოლოდ ინსბრუკსა და ფელდკირხში მოგვთხოვეს: ამრიგად, თქვენი დახმარება ჩემთვის მეტად სასარგებლო იყო. შვეიცარიაში შესასვლელად პასპორტს მოითხოვენ, მაგრამ მე უპასპორტოდ შემიშვეს, როცა გრეილიხი დავასახელე. საუკეთესო სალამი და საუკეთესო მადლობა.

პარტიული სალამით ლ ე ნ ი ნ ი (ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი)

Absender: Uljanow bei Bekzadian. Bollegstraße. 40. Zürich.

გაგზავნილია ციურიხიდან ვენაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით თარგმანი გერმანულიდან

---

* — დოკუმენტები. რ ე დ.

თეზისები ომის შესახებ [306]

§ 1. ევროპისა და მსოფლიო ომს ბურჟუაზიული, იმპერიალისტური, დინასტიური ომის მკაფიოდ გამოხატული ხასიათი აქვს. ბრძოლა ბაზრებისათვის და ქვეყნების გაძარცვა, მისწრაფება — გააბრიყვონ, გააცალკევონ, გაჟლიტონ ყველა ქვეყნის პროლეტარები და ამისათვის აამხედრონ ერთი ერის დაქირავებული მონები მეორე ერის დაქირავებული მონების წინააღმდეგ ბურჟუაზიის სასარგებლოდ, — ასეთია ომის ერთადერთი რეალური შინაარსი და დანიშნულება.

§ 2. II ინტერნაციონალის (1889—1914) გერმანული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადების მოქმედება, რომლებმაც სამხედრო ბიუჯეტის სასარგებლოდ მისცეს ხმა და რომლებიც პრუსიელი იუნკრებისა და ბურჟუაზიის ბურჟუაზიულ-შოვინისტურ ფრაზებს იმეორებდნენ, სოციალიზმის აშკარა ღალატია. არავითარ შემთხვევაში, კიდეც რომ ვივარაუდოთ ამ პარტიის აბსოლუტური სისუსტე და ერის ბურჟუაზიული უმრავლესობის ნებისადმი დამორჩილების აუცილებლობა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადების მოქმედება არ შეიძლება გამართლებულ იქნას. სინამდვილეში ეს პარტია ამჟამად ეროვნულ ლიბერალურ პოლიტიკას ატარებს.

§ 3. ასევე დასაგმობია ბელგიისა და საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიათა ბელადების მოქმედება, რომლებმაც გასცეს სოციალიზმი, ბურჟუაზიულ სამინისტროებში რომ შევიდნენ.

§ 4. II ინტერნაციონალის (1889—1914) ბელადთა უმრავლესობის ღალატი სოციალიზმისადმი ამ ინტერნაციონალის იდეურ კრახს ნიშნავს. ამ კრახის ძირითადი მიზეზია ის, რომ მასში ფაქტიურად გაბატონებულია წვრილბურჟუაზიული ოპორტუნიზმი, რომლის ბურჟუაზიულობასა და საფრთხეზე დიდი ხანია მიუთითებდნენ ყველა ქვეყნის პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლები. ოპორტუნისტები დიდი ხანია ამზადებდნენ II ინტერნაციონალის კრახს, რაკი უარყოფდნენ სოციალისტურ რევოლუციას და ცვლიდნენ მას ბურჟუაზიული რეფორმიზმით, უარყოფდნენ კლასობრივ ბრძოლას, რომელიც გარკვეულ მომენტებში აუცილებლად გადაიქცევა სამოქალაქო ომად, და ქადაგებდნენ კლასების თანამშრომლობას, ქადაგებდნენ ბურჟუაზიულ შოვინიზმს ვითომდა როგორც პატრიოტიზმს და სამშობლოს დაცვას და უგულებელყოფდნენ ან უარყოფდნენ სოციალიზმის ანბანურ ჭეშმარიტებას, რაც ჯერ კიდევ «კომუნისტურ მანიფესტშია» გამოთქმული, — რომ მუშებს სამშობლო არა აქვთ; მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჯერდებოდნენ სანტიმენტალურ მეშჩანურ თვალსაზრისს, ნაცვლად იმის აღიარებისა, რომ აუცილებელია ყველა ქვეყნის პროლეტართა რევოლუციური ომი ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ; ბურჟუაზიული პარლამენტარიზმისა და ბურჟუაზიული ლეგალობის აუცილებელ გამოყენებას აქცევდნენ ამ ლეგალობის გაფეტიშებად და იმის დავიწყებად, რომ კრიზისების ეპოქებში აუცილებელია ორგანიზაციისა და აგიტაციის არალეგალური ფორმები. საერთაშორისო ოპორტუნიზმის ერთ-ერთი ორგანო, «სოციალისტური ყოველთვიური», რომელიც დიდი ხანია ეროვნულ-ლიბერალურ პოზიციაზე დადგა, სავსებით მართებულად ზეიმობს თავის გამარჯვებას ევროპულ სოციალიზმზე. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის და სხვა სოციალ-დემოკრატიული პარტიების ეგრეთწოდებულმა ცენტრმა სინამდვილეში ლაჩრულად დაჰყარა იარაღი ოპორტუნისტების წინაშე. მომავალი ინტერნაციონალის ამოცანა უნ-

და იყოს სოციალიზმში არსებულ ამ ბურჟუაზიულ მიმდინარეობისაგან საბოლოოდ და გადაჭრით განთავისუფლება.

§ 5. იმ ბურჟუაზიული და შოვინისტური სოფიზმებიდან, რომლებითაც, განსაკუთრებით, აბრიყვებენ მასებს კონტინენტის ორი მთავარი მოქიშპე ერის — გერმანელებისა და ფრანგების ბურჟუაზიული პარტიები და მთავრობები და რომლებსაც მონურად იმეორებენ ბურჟუაზიის უკან მოჩანჩალე სოციალისტი ოპორტუნისტები, როგორც აშკარა, ისე მიმალული ოპორტუნისტები, — საჭიროა განსაკუთრებით აღვნიშნოთ და დავგმოთ შემდეგი: როდესაც გერმანელი ბურჟუები მიგვითითებენ სამშობლოს დაცვაზე, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე, კულტურული და ეროვნული განვითარების თავისუფლების შენარჩუნებაზე, ისინი ცრუობენ, ვინაიდან პრუსიული იუნკრობა ვილჰელმ II მეთაურობით და გერმანიის მსხვილი ბურჟუაზია ყოველთვის ატარებდნენ მეფის მონარქიის დაცვის პოლიტიკას და არ დააყოვნებენ, როგორადაც უნდა გათავდეს ომი, წარმართონ ღონისძიებანი ამ მონარქიის მხარდასაჭერად; ისინი ცრუობენ, ვინაიდან ნამდვილად ავსტრიის ბურჟუაზიამ წამოიწყო მძარცველური ლაშქრობა სერბიის წინააღმდეგ, გერმანიის ბურჟუაზია ჩაგრავს დანიელებს, პოლონელებსა და ფრანგებს (ელზას-ლორენში), ეწევა შეტევითს ომს ბელგიისა და საფრანგეთის წინააღმდეგ უფრო მდიდარი და უფრო თავისუფალი ქვეყნების გასაძარცვად, აწყობს შეტევას იმ მომენტში, რომელიც მას უფრო ხელსაყრელად მოეჩვენა სამხედრო ტექნიკაში თავის უკანასკნელ გაუმჯობესებათა ვამოსაყენებლად, და რუსეთის მიერ ეგრეთწოდებული დიდი სამხედრო პროგრამის განხორციელების წინ. როდესაც ფრანგი ბურჟუები სწორედ ასევე მიგვითითებენ სამშობლოს დაცვაზე და სხვ., ისინიც ცრუობენ, ვინაიდან ნამდვილად ისინი იცავენ კაპიტალისტური ტექნიკის მხრივ ჩამორჩენილ ქვეყნებს, რომლებიც უფრო ნელა ვითარდებიან, თავიანთი მილიარდებით ქირაობენ რუსეთის ცარიზმის შავრაზმულ ბანდებს შეტევი-

თი ომისათვის, ავსტრიელთა და გერმანელთა მიწაწყლის გაძარცვის მიზნით. ერების ორივე მეომარი ჯგუფი ერთმანეთს არ ჩამორჩება სისასტიკესა და ბარბაროსობაში ომის წარმოებისას.

§ 6. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ამოცანაა განსაკუთრებით და პირველ რიგში ულმობელი და უთუო ბრძოლა ველიკორუსულ და ცარისტულ-მონარქისტულ შოვინიზმთან და რუსი ლიბერალების, კადეტების და სხვ. და ნაროდნიკების ნაწილის მიერ მის სოფისტურ დაცვასთან. რუსეთის ყველა ხალხის მუშათა კლასისა და მშრომელთა მასების თვალსაზრისით ყველაზე ნაკლები ბოროტება იქნებოდა მეფის მონარქიისა და მისი ჯარების დამარცხება, — მონარქიისა, რომელიც ჩაგრავს პოლონეთს, უკრაინას და რუსეთის მთელ რიგ ხალხებს, აღვივებს ეროვნულ მტრობას ველიკორუსთა მიერ სხვა ეროვნებათა ჩაგვრის გასაძლიერებლად და მეფის მონარქიის რეაქციისა და ბარბაროსული მთავრობის განსამტკიცებლად.

§ 7. სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგები ამჟამად უნდა იყოს: ჯერ ერთი, ყოველმხრივი, ჯარზე და საომარი მოქმედების ასპარეზზე გავრცელებული, პროპაგანდა სოციალისტური რევოლუციისა და იმისა, რომ აუცილებელია მივმართოთ იარაღი არა ჩვენი ძმების — სხვა ქვეყნების დაქირავებული მონების წინააღმდეგ, არამედ ყველა ქვეყნის ბურჟუაზიული მთავრობებისა და პარტიების რეაქციის წინააღმდეგ. უსათუოდ აუცილებელია შეიქმნას ასეთი პროპაგანდისათვის ყველა ენაზე არალეგალური უჯრედები და ჯგუფები ყველა ერის ჯარებში. ულმობელი ბრძოლის გაჩაღება უკლებლივ ყველა ქვეყნის მეშჩანთა და ბურჟუათა შოვინიზმისა და «პატრიოტიზმის» წინააღმდეგ. თანამედროვე ინტერნაციონალის იმ წინამძღოლთა წინააღმდეგ, სოციალიზმს რომ უღალატეს, აუცილებლად უნდა მივმართოთ მუშათა მასების რევოლუციურ შეგნებას, რომლებსაც აწევთ ომის მთელი სიმძიმე და რომლებიც მტრობენ შოვინიზმსა და ოპორტუნიზმს; მეორეც, პროპაგანდა, როგორც ერთ-ერთი უახლოესი ლოზუნ-

გისა, გერმანიის, პოლონეთის, რუსეთის და სხვა რესპუბლიკისა, ევროპის ყველა ცალკეული სახელმწიფოს რესპუბლიკურ შეერთებულ შტატებად გადაქცევასთან ერთად.

დაწერილია 1914 წ. 5 — 6 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის კრებულში XIV

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

ვ. ა. კარპინსკის

6. IX.

ძვირფასო ამხანაგო! გუშინ ჩამოვედი აქ მშვიდობით მთელი ოჯახითურთ, ავსტრიაში ხანმოკლე დატყვევების შემდეგ. ზინოვიევიც ჩამოვა. ვფიქრობდით მოვწყობილიყავით ჟენევაში, საითკენაც ყველა ძველი სიმპათია გვიზიდავს. მაგრამ აქ დაიწყო ყოყმანი ბერნის სასარგებლოდ. ამბობენ, ჟენევისაკენ გაეშურა ახლა საფრანგეთის ახალი ემიგრაციაპარიზიდან, ბრიუსელიდან და სხვ. ხომ მეტისმეტად არ გაძვირებულა ფასები, მეტადრე ბინებისა? შემდეგ, ჩვენ მოგვიხდება დროებით მოვეწყოთ: შეიძლება თუ არა თვიურად ვიშოვოთ ავეჯით გაწყობილი ოთახები (ორი პატარა) სამზარეულოთი სარგებლობის უფლებით?

კიდევ ერთი კითხვა: თუ არ გაგიძნელდებათ, შეიარეთ Société de lectur-ში (Grand' Rue. 11) *, გამოართვით იქ მათი წესდება; უნდა ვნახოთ, ხომ არ შეცვლილა იქ რაიმე. მე ჟენევისაკენ მიზიდავს განსაკუთრებით ეს Société[307], თუმცა აქაც???** იგი ძვირია. სტამბა კი? არის თუ არა რუსული სტამბა? შეიძლება თუ არა გამოვცეთ ფურცელი და მისთ.? რუსულად? განსაკუთრებით ფრთხილად თუ როგორც წინათ (ომის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, და ახალი

* — მკითხველთა საზოგადოება (დიდი ქუჩა, № 11) რ ე დ.
** ასეა ხელნაწერში. რ ე დ.

ტიპის ნაციონალისტების წინააღმდეგ, ჰააზედან ვანდერ-ველდამდე და გედამდე — ყველა საძაგელი გამოდგა!).

ძალიან დამავალებთ, თუ მალე მიპასუხებთ ყველა ამ კითხვაზე. არიან თუ არა კიდევ ჟენევაში ამხანაგი ბოლშევიკები? მათ შორის რუსეთს მიმავალნი? დიდი სალამი ყველა ჩვენგან თქვენ, ამხ. ოლღას და ყველა მეგობარს.

თქვენი ვ. ლ ე ნ ი ნ ი.

Uljanow bei Schklowsky. Falkenweg. 9. Bern.

დაწერილია 1914 წ. 6 სექტემბერს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წ. 22 აპრილს
გაზეთ «პრავდაში» № 92

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო მეგობარო! მივიღე თქვენი წერილი, რომლითაც მაუწყებთ, რომ თქვენ საუბარი გქონდათ სიგთან გამოცემის შესახებ[308]. ჩინებულია! წაიღეთ რამდენიც საჭიროა 160 frs-დან (შესაძლებელია ნაკლები, რა თქმა უნდა, რადგან ჩვენ პატარა კრებულის გამოცემაზე ვოცნებობთ) და გამოეცით **მანიფესტი**[309] (არა თეზისები[310], **არამედ** მანიფესტი) **მაქსიმალური სიფრთხილით**; გამოეცით ცოტაოდენი (2—3 ასეული) და **შეინახეთ** მარაგი უთუოდ შვეიცარიის დეპუტატთან.

თუ მანიფესტის ტექსტი არა გაქვთ, არამედ მხოლოდ თეზისები, იშოვეთ მანიფესტი ლოზანაში.

მოველი პასუხს. თქვენი ლენინი.

გამოცემულს პარიზსა და რუსეთში გავგზავნით: ასეულს საზღვარგარეთ, ორასს რუსეთში. როგორ გავგზავნოთ და რა მისამართებით, ამაზე წერილობით მოვილაპარაკებთ.

დაწერილია 1914 წ. 11 ოქტომბრამდე
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სიტყვა გ. ვ. პლეხანოვის რეფერატზე «სოციალისტების დამოკიდებულების შესახებ ომისადმი»

1914 წ. 28 სექტემბერს (11 ოქტომბერს)[311]

მოკლე საგაზეთო ანგარიში

«ჩვენი თეზისები, შემუშავებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ,— იწყებს თავის სიტყვას ამხ. ლენინი,— გაეგზავნა იტალიელებს, და ბევრი მათგანი, სამწუხაროდ, არა ყველა, შევიდა ლუგანოს რეზოლუციაში»[312].

პლეხანოვის მოხსენების პირველი ნაწილი, მიძღვნილი გერმანელი სოციალ-დემოკრატების ღალატის დახასიათებისადმი, ძალიან მოეწონა ოპონენტს, მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება მეორე ნაწილის შესახებ, რომელშიც პლეხანოვი ცდილობდა სავსებით გაემართლებინა ფრანგი სოციალისტების პოზიცია.

როგორ შეიძლება დავიცვათ ფრანგული სოციალიზმი, რომელიც ომისაკენ მოუწოდებდა იტალიელებს? ინტერნაციონალის უაღრესად ორპოფულ რეზოლუციებშიც კი ძნელია იპოვო ადგილები, რომლებიც ამ მოწოდებას ამართლებდნენ.

ახლანდელმა ომმა დაგვანახა, თუ რა უზარმაზარი ოპორტუნისტული ტალღა აზვირთდა ევროპული სოციალიზმის წიაღიდან. ევროპელმა ოპორტუნისტებმა თავიანთი რეაბილიტაციის მიზნით სცადეს მიემართათ «ორგანიზაციის მთლიანობის» ძველი, გაცვეთილი არგუმენტისათვის. გერმანელმა ორთოდოქსებმა უარი თქვეს თავიანთ პოზიციაზე, რათა პარტიის ფორმალური ერთიანობა შეენარჩუნებინათ. ის, ამხ.

ლენინი, ყოველთვის მიუთითებდა ოპორტუნიზმზე, რომელიც საკითხის ამგვარ დასმაში იმალება, ყოველთვის იბრძოდა შემარიგებლობის წინააღმდეგ, რომელიც პრინციპებს თმობს. ვანდერველდესა და კაუცკის ყველა რეზოლუციას ახასიათებს ეს ოპორტუნისტული მიდრეკილება — აშკარა წინააღმდეგობათა მიჩქმალვა. კაუცკი თავის სტატიაში «ომის შესახებ»[313] იქამდეც კი მივიდა, რომ ყველა გაამართლა და განაცხადა, ყველანი მართალი არიან თავიანთი თვალსაზრისით, რადგან სუბიექტურად თვლიან, რომ საფრთხეში იმყოფებიან, და სუბიექტურად თვლიან, ჩვენი არსებობის უფლება შებღალულიაო. რა თქმა უნდა, ფრანგების ამგვარი განწყობილება მომენტის ფსიქოლოგიის, ადამიანობის თვალსაზრისით უფრო გასაგები და ამიტომ უფრო სიმპათიურიც იყო, მაგრამ მაინც სოციალიზმს არ შეუძლია იმსჯელოს მარტოოდენ იმის მიხედვით, რომ თავდასხმის წინაშე შიში იპყრობს კაცს, და გულახდილად უნდა ითქვას, რომ ფრანგების მოქმედებაში მეტი შოვინიზმი იყო, ვიდრე სოციალიზმი.

პლეხანოვი, ამბობს შემდეგ ლენინი, იმ ამხანაგებს აკრიტიკებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ შეუძლებელია გაირკვეს, პირველი ვინ დაესხა თავსო. ოპონენტის აზრით, ახლანდელი ომი როდია შემთხვევითობა, რომელიც ამა თუ იმ თავდასხმაზე იყო დამოკიდებული, არამედ მომზადებულია ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების ყველა პირობით. უკვე დიდი ხანია რაც ის იწინასწარმეტყველეს და თან სწორედ ასეთი კომბინაციით და სწორედ ასეთი ხაზით. ბაზელის კონგრესმა ნათლად ილაპარაკა მასზე და ისიც კი გაითვალისწინა, რომ კონფლიქტის საბაბი სერბია გახდებოდა.

შემდეგ ამხ. ლენინი არკვევს, თუ რაში მდგომარეობს სოციალისტების მოვალეობა ომის დროს. მხოლოდ მაშინ ასრულებენ სოციალ-დემოკრატები თავიანთ მოვალეობას, როცა ებრძვიან თავიანთი ქვეყნის შოვინისტურ ხურვებას და ამ მოვალე-

ობის შესრულების საუკეთესო მაგალითს სერბიელი სოციალ-დემოკრატები წარმოადგენენ [314].

პროლეტარიატმა არ უნდა დაივიწყოს მარქსის სიტყვები, რომ «მუშებს სამშობლო არა აქვთ» [315], და მონაწილეობა უნდა მიიღოს არა იმაში, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ძველი ფარგლები დაიცვას, არამედ უნდა შექმნას სოციალისტური რესპუბლიკების ახალი ფარგლები. და პროლეტარიატის ფართო მასებს არ შეუძლიათ არ გაიგონ ეს თავისთი უტყუარი ალღოთი. ის, რაც ახლა ევროპაში ხდება, სხვა არაფერია, თუ არა უცუდესი და, ამასთან ერთად, უაღრესად მტკიცე ცრურწმენათა სპეკულაცია. «ჩვენი ამოცანა,— აღნიშნავს ლენინი, — ის კი არაა, რომ მდინარეს გავყვეთ, არამედ ის, რომ ეროვნული, ცრუეროვნული ომი გადავაქციოთ პროლეტარიატის გადამწყვეტ შეტაკებად მმართველ კლასებთან».

ლენინი შემდეგ აკრიტიკებს სოციალისტების შესვლას სამინისტროში და აღნიშნავს იმ პასუხისმგებლობას, რასაც კისრულობენ სოციალისტები, როცა მთავრობის ყველა ნაბიჯს სოლიდარობას უცხადებენ.

«ს ჯ ო ბ ი ა ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ქ ვ ე ყ ა ნ ა ში წ ა ხ ვ ი დ ე დ ა ი ქ ი დ ა ნ ს თ ქ ვ ა ს ი მ ა რ თ ლ ე, ს ჯ ო ბ ი ა თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი, დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ს ი ტ ყ ვ ი თ მ ი მ ა რ თ ო პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ს, ვ ი დ რ ე მ ი ნ ი ს ტ რ ი გ ა ხ დ ე», — ასე ამთავრებს თავის მოკლე სიტყვას ოპონენტი.

«გოლოს» № 33, 1914 წ.
21 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «გოლოსის» ტექსტის მიხედვით

რეფერატი თემაზე «პროლეტარიატი და ომი» 1914 წ. 1. (14) ოქტომბერი [316]

საგაზეთო ანგარიში

რეფერენტმა თავისი მოხსენება გაჰყო ორ ნაწილად: ახლანდელი ომის ხასიათის გამორკვევა და სოციალისტების დამოკიდებულება ამ ომისადმი.

ომის ხასიათის გამორკვევა მარქსისტისათვის აუცილებელი წანამძღვარია, რათა გადაწყვიტოს მისდამი თავისი დამოკიდებულების საკითხი. ასეთივე გამორკვევისათვის აუცილებელია, უწინარეს ყოვლისა, დადგინდეს, როგორია ამ ომის ობიექტური პირობები და კონკრეტული ვითარება. საჭიროა ჩავაყენოთ ეს ომი იმ ისტორიულ ვითარებაში, რომელშიც იგი ხდება, და მხოლოდ მაშინ შეიძლება განვსაზღვროთ ჩვენი დამოკიდებულება მისდამი. სხვაგვარად გამოვა საკითხის არა მატერიალისტური, არამედ ეკლექტიკური განხილვა.

ისტორიული ვითარების შესაბამისად, კლასების თანაფარდობის შესაბამისად და სხვ. ომისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი უნდა იყოს. უაზრობაა ერთხელ და სამუდამოდ პრინციპულად უარი ვთქვათ ომში მონაწილეობაზე. უაზრობაა, მეორე მხრივ, დავყოთ ომები თავდაცვით და თავდასხმით ომებად. მარქსს 1848 წელს სძულდა რუსეთი იმიტომ, რომ მაშინ დემოკრატიას გერმანიაში არ შეეძლო გაემარჯვნა და განვითარებულიყო, დაერაზმა ქვეყანა ერთიან ეროვნულ მთელად, ვიდრე მის წინააღმდეგ ჩამორჩენილი რუსეთის რეაქციული ხელი იყო აღმართული.

იმისათვის, რომ გამოარკვიო შენი დამოკიდებულება ამ ომისადმი, საჭიროა გაიგო, რით განსხვავდება იგი წინანდელი ომებისაგან, რა შეადგენს მის თავისებურებებს.

მოგვცა თუ არა ბურჟუაზიამ ასეთი ახსნა? არა. არათუ არ მოგვცა, არამედ ვერავითარ შემთხვევაში ვერც მოგვცემს. იმის მიხედვით, თუ რა ხდება სოციალისტებს შორის, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მათაც არა აქვთ წარმოდგენა ამ ომის განმასხვავებელ ხასიათზე.

ამავე დროს კი სოციალისტები ჩინებულად ხსნიდნენ და ითვალისწინებდნენ მას. უფრო მეტი, არ არის სოციალისტი-დეპუტატის არც ერთი სიტყვა, სოციალისტი-პუბლიცისტის არც ერთი სტატია, რომლებიც ამ ახსნას არ შეიცავდნენ. ეს ახსნა იმდენად მარტივია, რომ მას როგორღაც ყურადღებას არ აქცევენ, ამავე დროს კი იგი ამ ომისადმი სწორი დამოკიდებულების გასაღებს იძლევა.

ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი ო მ ი ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ომია, და ეს შეადგენს მის ძირითად ხასიათს.

იგი რომ გამოვარკვიოთ, უნდა განვიხილოთ, რას წარმოადგენდნენ წინანდელი ომები და რა არის იმპერიალისტური ომი.

ლენინი საკმაოდ დაწვრილებით ჩერდება XVIII საუკუნის დამლევის და მთელი XIX საუკუნის ომების დახასიათებაზე. ყველა ეს იყო ე რ ო ვ ნ უ ლ ი ო მ ე ბ ი, რომლებიც თან სდევდნენ და ხელს უწყობდნენ ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობას.

ეს ომები ფეოდალიზმის ნგრევას მოასწავებდნენ და ფეოდალური საზოგადოების წინააღმდეგ ახალი ბურჟუაზიული საზოგადოების ბრძოლას გამოხატავდნენ. ეროვნული სახელმწიფო აუცილებელ ფაზას წარმოადგენდა კაპიტალიზმის განვითარებაში. ბრძოლა ერის თვითგამორკვევისათვის, მისი დამოუკიდებლობისათვის, ენის თავისუფლებისათვის, სახალხო წარმომადგენლობისათვის ემსახურებოდა ამ მიზანს — ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნას, რაც, კაპიტალიზმის გარკ-

ვეულ საფეხურზე, აუცილებელ ნიადაგს წარმოადგენს საწარმოო ძალთა განვითარებისათვის.

ასეთია ომების ხასიათი საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროიდან თვით იტალიისა და პრუსიის ომებამდე.

ეროვნული ომების ამ ამოცანას ან თვითონ დემოკრატია ასრულებდა, ანდა იგი სრულდებოდა ბისმარკის დახმარებით — თვით მონაწილეთა ნებისა და შეგნების დამოუკიდებლად. თანამედროვე ცივილიზაციის ეამარჯვება, კაპიტალიზმის სრული აყვავება, კაპიტალიზმში მთელი ხალხის, ყველა ერის ჩაბმა — აი რას ემსახურებოდნენ ეროვნული ომები, კაპიტალიზმის დასაწყისის ომები.

სხვა საქმეა იმპერიალისტური ომი. და ამაში არ ყოფილა უთანხმოება ყველა ქვეყნისა და ყველა მიმდინარეობის სოციალისტებს შორის. ყველა კონგრესზე ყოველთვის, როცა განიხილავდნენ რეზოლუციებს შესაძლებელი ომისადმი დამოკიდებულების შესახებ, ყველა თანახმა იყო, რომ ეს ომი იმპერიალისტური იქნებოდა. ყველა ევროპულმა ქვეყანამ უკვე მიაღწია კაპიტალიზმის განვითარების თანაბარ საფეხურს, ყველა მათ უკვე მოგვცეს ყოველივე, რის მოცემაც კაპიტალიზმს შეეძლო. კაპიტალიზმმა უკვე მიაღწია თავის უმაღლეს ფორმას და მას უკვე გააქვს არა საქონელი, არამედ კაპიტალი. იგი უკვე ვიწროდ გრძნობს თავს ეროვნულ გარსში, და ახლა წარმოებს ბრძოლა დედამიწის უკანასკნელი თავისუფალი ნარჩენებისათვის. თუ XVIII და XIX საუკუნეთა ეროვნული ომები კაპიტალიზმის დასაწყისს მოასწავებდნენ — იმპერიალისტური ომები მის აღსასრულს გვიჩვენებენ.

XIX საუკუნის მთელი დასასრული და XX საუკუნის დასაწყისი იმპერიალისტური პოლიტიკით იყო აღსავსე.

იმპერიალიზმი არის ის, რაც სავსებით განსაკუთრებულ ბეჭედს ასვამს თანამედროვე ომს, განასხვავებს მას ყველა წინანდელი ომისაგან.

მხოლოდ მაშინ, თუ ამ ომს განვიხილავთ მის განმასხვავებელ ისტორიულ ვითარებაში, როგორც ეს სავალდებულოა

მარქსისტისათვის, — მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია განვავარკვიოთ ჩვენი დამოკიდებულება მისდამი. სხვაგვარად ჩვენ საქმე გვექნება ძველ ცნებებთან, არგუმენტებთან, რომლებიც მხოლოდ სხვა, ძველ ვითარებას მიუდგება. ასეთ მოძველებულ ცნებებს მიეკუთვნება სამშობლოს ცნება და მოხსენიებული დაყოფა თავდაცვითსა და თავდასხმით ომებად.

რა თქმა უნდა, ახლაც კიდევ არის სინამდვილის ცოცხალ სურათში ძველი საღებავის ლაქები. ასე, ყველა მეომარი ქვეყნიდან მხოლოდ სერბიელები იბრძვიან კიდევ ეროვნული არსებობისათვის. ინდოეთსა და ჩინეთშიც შეგნებული პროლეტარები ვერ წავიდოდნენ სხვა გზით, თუ არა ეროვნული გზით, რადგან მათი ქვეყნები ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულან ეროვნულ სახელმწიფოებად. თუ ჩინეთი იძულებული გახდებოდა ეწარმოებინა ამისათვის შეტევითი ომი, ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ თანაგვეგრძნო მისთვის, რადგან ობიექტურად ეს პროგრესული ომი იქნებოდა. სწორედ ასევე 1848 წელს მარქსს შეეძლო ექადაგნა შეტევითი ომი რუსეთის წინააღმდეგ.

ამრიგად, XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის დასაწყისი იმპერიალისტური პოლიტიკით ხასიათდება.

იმპერიალიზმი — ეს კაპიტალიზმის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც იგი, ყოველივე მისთვის შესაძლებელის შესრულების შემდეგ, დაქვეითებისაკენ ბრუნდება. ესაა განსაკუთრებული ეპოქა არა სოციალისტების შეგნებაში, არამედ ფაქტიურ ურთიერთობაში. ბრძოლა დარჩენილი ნაჭრების გაყოფისათვის წარმოებს. ეს კაპიტალიზმის უკანასკნელი ისტორიული ამოცანაა. რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ეპოქა, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ. შესაძლოა ასეთი ომი რამდენიმე იქნეს, მაგრამ აუცილებელია ნათლად შევიგნოთ, რომ ეს სრულებით არა ჰგავს წინათ წარმოებულ ომებს, და რომ, შესაბამისად, იცვლება ამოცანები, რომლებიც სოციალისტების წინაშე ისმება.

უკვე სრულიად სხვა ტიპის ორგანიზაციები შეიძლება დასჭირდეს პროლეტარულ პარტიას ამ ახალი ამოცანების გადასაწყვეტად.

კაუცკი თავის ბროშურაში «Weg zur Macht» * დაწვრილებით და ყურადღებით განიხილავდა ეკონომიურ მოვლენებს, ძალიან ფრთხილად აკეთებდა მათგან დასკვნებს და აღნიშნავდა, რომ ჩვენ შევდივართ ფაზაში, რომელიც სრულიადაც არა ჰგავს წინანდელ მშვიდობიან თანდათანობითს განვითარებასო...

როგორი უნდა იყოს ორგანიზაციის ახალი ფორმა, რომელიც ამ ფაზის შესაბამისია, ამის თქმა ახლა ძნელია. მაგრამ ცხადია, რომ ახალი ამოცანების გამო პროლეტარიატს დასჭირდება შექმნას ახალი ორგანიზაციები ან გადაასხვაფეროს ძველები. მით უფრო უაზროა თავისი ორგანიზაციის მოშლის შიში, რაც ასე მკაფიოდ ემჩნევა გერმანელ სოციალ-დემოკრატებს, მით უფრო უაზროა ეს ლეგალიზმი რადაც უნდა დაჯდეს. ჩვენ ვიცით, რომ პეტერბურგის კომიტეტმა გამოუშვა არალეგალური ფურცელი ომის წინააღმდეგ[317]. ასევე მოიქცნენ კავკასიისა და ზოგიერთი სხვა რუსული ორგანიზაციები. უეჭველია, რომ საზღვარგარეთაც შეუძლიათ ეს ქნან და კავშირურთიერთობა არ გაწყვიტონ.

ლეგალობა, რა თქმა უნდა, მეტად ძვირფასი რამ არის, და ტყუილად კი არ ამბობდა ენგელსი: «ბატონო ბურჟუებო, პირველებმა დაარღვიეთ თქვენი ლეგალობა»![318] ის, რაც ახლა ხდება, შესაძლებელია, ჭკუას ასწავლის გერმანელ სოციალ-დემოკრატებს, რადგან მთავრობამ, რომელსაც ყოველთვის მოჰქონდა თავი ლეგალობით, შეუშფოთებლად დაარღვია იგი მთელი ხაზით. ამ მხრივ ბერლინის კომენდანტის უხეში ბრძანება, რომელიც მან აიძულა დაებეჭდათ «Vorwärts»-ის[319] პირველ გვერდზე, შეიძლება სასარგებლო გამოდგეს. მაგრამ თვითონ «Vorwärts», მას შემდეგ, რაც მან, დახურვის შიშით, უარი თქვა კლასობრივ ბრძოლაზე და პირობა დადო არ შეეხოს მას ომის დამთავრებამდე, თავი

* — «გზა ხელისუფლებისაკენ». რ ე დ.

მოიკლა. ის მოკვდა, როგორც მართებულად შენიშნა პარიზის «გოლოსმა»[320], რომელიც ახლა საუკეთესო სოციალისტური გაზეთია ევროპაში. რაც უფრო ხშირად და რაც უფრო მეტად არ ვეთანხმებოდი მე მარტოვს, მით უფრო გარკვევით უნდა ვთქვა, რომ ეს მწერალი ახლა სწორედ იმას აკეთებს, რასაც სოციალ-დემოკრატი უნდა აკეთებდეს. ის აკრიტიკებს თავის მთავრობას, ამხილებს თავის ბურჟუაზიას, ლანძღავს თავის მინისტრებს. სოციალისტები კი, რომლებიც თავიანთი მთავრობის მიმართ განიარაღდნენ და იმით არიან გართულნი, რომ ამხილებენ და არცხვენენ მეორე მხარის მინისტრებსა და მმართველ კლასებს, ბურჟუაზიული მწერლების როლს ასრულებენ. თვითონ ზიუდეკუმიც ობიექტურად ასრულებს გერმანიის მთავრობის აგენტის როლს, ისე როგორც სხვები ასრულებენ ამ როლს ფრანგი და რუსი მოკავშირეების მიმართ.

სოციალისტები, რომლებსაც ვერ შეუგნიათ, რომ ახლანდელი ომი იმპერიალისტური ომია, რომლებიც ისტორიულად არ განიხილავენ მას, ვერაფერს ვერ გაიგებენ ამ ომში, და მათ შეუძლიათ იგი წარმოიდგინონ ბავშვურად-გულუბრყვილოდ, ისეთი სახით, რომ დამით ერთი ყელში წვდა მეორეს, და მეზობლები იძულებულნი არიან იხსნან თავდასხმის მსხვერპლი. ანდა ლაჩრულად «გასაღებით» (პლეხანოვის გამოთქმა) ჩაიკეტონ და ასე აარიდონ თავი ჩხუბს.

ჩვენ თავს არ მოვატყუილებინებთ და საშუალებას არ მივცემთ ბურჟუაზიულ მრჩეველებს ასე უბრალოდ ახსნან ომი, — მშვიდად ცხოვრობდნენ, ერთი თავს დაესხა — მეორე თავს იცავსო.

ამხ. ლენინი კითხულობს ამონაწერს ლუცატის სტატიიდან, რომელიც მოთავსებულია ერთ იტალიურ გაზეთში. ამ სტატიაში იტალიელი პოლიტიკოსი სიხარულს ეძლევა, რომ ომში დიდი გამარჯვებული გამოდგა... სამშობლო, სამშობლოს ცნება, და იმეორებს: უნდა გვახსოვდეს ციცერონის სიტყვები, რომ «უდიდეს უბედურებას წარმოადგენს სამოქალაქო ომიო».

აი რის მიღწევა შეძლეს ბურჟუებმა, აი ყველაზე მეტად რა აღელვებს, რა ახარებს მათ, აი რას მოანდომეს მათ უამრავი სახსრები და ძალღონე. ისინი ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ ეს იგივე ძველი, ჩვეულებრივი, ეროვნული ომია.

მაგრამ არა. ეროვნული ომების ხანამ განვლო. ჩვენს წინაშეა იმპერიალისტური ომი, და სოციალისტების ამოცანაა გადააქციონ «ეროვნული» ომი სამოქალაქო ომად.

ჩვენ ყველა მოველოდით ამ იმპერიალისტურ ომს. ჩვენ ვემზადებოდით მისთვის. რაკი ასეა, სრულიადაც არ არის შნიშვნელოვანი, ვინ დაესხა თავს; ომისათვის ყველა ემზადებოდა, თავს კი დაესხა ის, ვისაც უწყვებულ წუთში ეს ხელსაყრელად მიაჩნდა.

შემდეგ ამხ. ლენინი გადადის «სამშობლოს» ცნების განსაზღვრაზე სოციალისტური თვალსაზრისით.

ეს ცნება ზუსტად და ნათლადაა განსაზღვრული «კომუნისტური მანიფესტის» მიერ ბრწყინვალე ფურცლებში, რომლებიც მთლიანად შეამოწმა და გაამართლა გამოცდილებამ. ლენინი «კომუნისტური მანიფესტიდან» კითხულობს ამონაწერს, რომელშიც სამშობლოს ცნება განხილულია, როგორც ისტორიული კატეგორია, რომელიც შეეფერება საზოგადოების განვითარებას მის გარკვეულ სტადიაზე, ხოლო შემდეგ ზედმეტი ხდება. პროლეტარიატს არ შეუძლია უყვარდეს ის, რაც მას არ აქვს. პროლეტარიატს სამშობლო არ აქვს.

როგორია სოციალისტების ამოცანები ახლანდელ ომში?

ამხ. ლენინი კითხულობს შტუტგარტის რეზოლუციას, რომელიც შემდეგ დადასტურებული და შევსებულია კოპენჰაგენსა და ბაზელში [321]. ამ რეზოლუციაში ნათლადაა აღნიშნული ომის გამომწვევ ტრადიციებთან სოციალისტების ბრძოლის საშუალებანი და მათი მოვალეობანი უკვე ამტყდარი ომის მიმართ. ეს მოვალეობანი განისაზღვრება რუსეთის რევოლუციის მაგალითებითა და პარიზის კომუნით. შტუტგარტის რეზოლუცია ფრთხილადაა შედგენილი, ამასთან გათვალისწინებულია ყოველგვარი სისხლის სამართლის კანონები, მაგრამ ამოცანა ნათლადაა აღნიშნული. პარიზის კომუ-

ნა — ეს სამოქალაქო ომია. რა ფორმით, როდის და სად — ეს სხვა საკითხია, მაგრამ ჩვენი მუშაობის მიმართულება ნათლადაა განსაზღვრული.

ამ თვალსაზრისით ამბ. ლენინი შემდეგ განიხილავს იმ პოზიციებს, რომლებიც სინამდვილეში დაიკავეს სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტებმა. სერბიელთა გარდა, თავიანთი მოვალეობა შეასრულეს რუსებმა, როგორც ამას აღნიშნავს იტალიური «Avanti»*, ასრულებს მას კეირ-გარდი, რომელიც ამხილებს ედუარდ გრეის პოლიტიკას.

რაკი ომი დაიწყო, მისგან თავის არიდება წარმოუდგენელია. უნდა წახვიდე და აკეთო შენი საქმე — სოციალისტის საქმე. ომში ადამიანები ფიქრობენ და ჩაფიქრდებიან ხოლმე, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო მეტად, ვიდრე «შინ». უნდა წახვიდე და დარაზმო იქ პროლეტარიატი საბოლოო მიზნისათვის, რადგან უტოპიაა იმის ფიქრი, რომ პროლეტარიატი მას მშვიდობიანი გზით მიაღწევს. არ შეიძლება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, თუ არ დაამსხვრიე ეროვნული ფარგლები, ისევე როგორც არ შეიძლებოდა ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლა, ეროვნული იდეები რომ არ ყოფილიყო.

«გოლოს» №№ 37 და 39
1914 წ. 25 და 27 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «გოლოსის» ტექსტის მიხედვით

---

* — «წინ». რ ე დ.

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.!

გიგზავნით მანიფესტს **ხუთი** შესწორების გულისათვის. თუ კაცი ხარ, რაც შეიძლება გულდასმით შეიტანეთ ისინი კორექტურაში [322].

შემდეგ გიგზავნით «პასუხს ვანდერველდესადმი» [323] — **ასაწყობად.**

რაც შეიძლება მეტი სტატია უნდა აიწყოს **პეტიტით.** ორ გვერდში maximum მასალა უნდა მოვათავსოთ. სამწუხაროა, რომ ეს მხედველობაში არ გვქონია, როცა მანიფესტი ასაწყობად გადავეცით.

ახლა მთელი საკითხი ის არის, რამდენ ათას ნიშანს დაიტევს ორი გვერდი? ცენტრალური ორგანოს ფორმატი **წინანდელი უნდა ავიღოთ** (სათაური ხომ არ გვაქვს ენენევაში: საჭიროველია ახალი სათაური უფრო ეკონომიური. გაკეთდეს, ასე რომ ნაკლები ადგილი დაიკარგოს: მაგალითად, რომ სათაური კუთხეში დაეტიოს და რომ მან სამივე სვეტი კი არ «წაგვართვას»).

ველით ოდენობის ზუსტ გაანგარიშებას: რამდენი ნიშანი დაეტევა პეტიტით.

ყოველივეს სჯობია გამოგზავნოთ მანიფესტის კორექტურაც (მეორე კორექტურა) და ყველა შრიფტის ნიმუშებიც, სულ წვრილიც კი.

ნომრის სათაურთან (ეს უნდა იყოს ცენტრალური ორგანოს **შემდეგი** №) უნდა იყოს ფასიც: ვფიქრობ 10 cts *.

---

* — სანტიმი. **რედ.**

ყოველ შემთხვევაში ნომრის გვერდებად შეკრული კორექტურა აუცილებლად უნდა გამოგვიგზავნოთ.

თუ მოხერხდებოდა ყველაფერი პეტიტით აგვეწყო, ცენტრალური ორგანოს ფორმატისას, ჩვენ გვექნებოდა დაახლოებით 40.000 ნიშანი ორ გვერდში. მაშინ შეიძლება მოვათავსოთ კიდევ ორიოდე სტატია, რომლებსაც ჩვენ ვამზადებთ. (თუ მანიფესტი უკვე აწყობილია და შეუფერებელი შრიფტით etc., ჩვენ მას ცალკე გამოვცემთ.)

მიწერ-მოწერაზე დიდი ხარჯები დაგჭირდებათ: ყველაფერი უნდა გაიგზავნოს კონვერტებით, არა ბანდეროლით, ჩაიწერეთ ხოლმე ფოსტის ხარჯები და აიღეთ «ფონდიდან» (160 frs), თორემ გაჩანაგდებით!

სიომას თხოვეთ გვიშოვოს «Sozialistische Monatshefte»[324] (ომისშემდგომი ყველა ნომერი) ბუნდელებთან: თუ საჭიროა, გადავიხდით და **გარანტიას მივცემთ** (საწინდარითაც კი, თუ საჭირო გახდება), რომ ვადაზე დავაბრუნოთ.

გართმევთ ხელს.
თქვენი ლენინი

P. S. მოიწერეთ, როდის შეიძლება მზად იყოს ცენტრალური ორგანოს № ორგვერდიანი? მე ამ დღეებში (ჯერ კიდევ არ ვიცი, როდის) წავიკითხავ მოხსენებას Montreux*-ში და, თუ საჭირო იქნა, შევძლებ თქვენთან შემოვიარო.

დაწერილია 1914 წ. 17 თუ 18
ოქტომბერს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* — მონტრე. რედ.

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.!

საშინლად გააჯანჯლა საქმე ასოთამწყობმა!! მანიფესტს ორშაბათისათვის შეგვპირდა, დღეს კი პარასკევია. საშინელებაა!

ნუთუ ყოველთვის ასე იქნება??

მისამართის გამო, რომელიც გაზეთს წარწერილი უნდა ჰქონდეს: ღირს თუ არა ავიღოთ case? ეს ხომ (1) გაიძულებთ 100-ჯერ იაროთ ტყუილუბრალოდ, (2) სულ ერთია ხელისუფალთ ეცოდინებათ, ვინ აიღო ყუთი. მოიფიქრეთ, ხომ არ აჯობებს წავაწეროთ მისამართი Bibliothèque russe* — ცენტრალური ორგანოს რედაქციისათვის.

ამაზე ვიფიქროთ.

Nicolet-ს, ამბობენ, **უნარი არ შესწევს** შეინახოს და გადასცეს ფულიო და სხვ.

სტატიების რიგი გამოგიგზავნეთ: კორექტურა ნაწილ-ნაწილ გვიგზავნეთ. მაშინ აღარ დაგვეკარგება ორი დღე (საშინლად ბევრია) გვერდებად შეკრულის გამოსაგზავნად (ექსპრესით გაგზავნისას ერთი დღე სავსებით საკმარისია).

მოუთმენლად ველით კორექტურას.

---

* — რუსული ბიბლიოთეკა. რედ.

ორშაბათს მოხსენებას ვკითხულობ Montreux-ში, სამშაბათს — ციურიხში[325]. ჟენევაში არ წავალ.

სალამი და საუკეთესო სურვილები.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

ახლა მივიღე თქვენი წერილი. ჟორესისა და ფრანკის შესახებ ჯერჯერობით გადავდოთ. უნდა დავიცადოთ, ისე გამოლანძღვა უხერხულია. საქმები არაფერია. ჩვენ გადავწყვიტეთ ცოტა ხანს გავჩუმდეთ.

როგორღაა კორექტურა??? ნუთუ ყოველთვის ასე გაჭიანურდება? ცენტრალური ორგანოს უკანასკნელი № იყო 1913 წლის დეკემბერში — № 32. მაშასადამე, ახლა უნდა იყოს № 33.

დაწერილია 1914 წ. 23 ოქტომბერს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ა. გ. შლიაპნიკოვს

1914. 14. XI.

ძვირფასო მეგობარო! ძალიან გამახარა თქვენგან მოწოდებულმა ცნობამ, რომ ცენტრალური ორგანო მიღებულია და წავა სადაც საჭიროა. შვეციის სოციალ-დემოკრატების ყრილობაზე თქვენი სიტყვის გამო შემიძლია ერთი რამ გითხრათ: ან სულ ნუ ილაპარაკებთ, ან თქვით, მივესალმები მოძმე შვედი მუშების პარტიას და ვუსურვებ მას ყოველგვარ წარმატებას **რევოლუციური ინტერნაციონალური სოციალ-დემოკრატიის სულისკვეთებით-თქო** [326]. თუ ამის თქმა არ შეიძლება, მაშინ სულაც არ ღირს ილაპარაკო. ხოლო თუ შესაძლებელია, რა თქმა უნდა, სჯობია დასძინოთ, რომ რუსმა მუშებმა (1) გამოთქვეს თავიანთი შეხედულება სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მეშვეობით, რომელმაც ხმა არ მისცა ბიუჯეტს; (2) რომ ისინი უშვებენ არალეგალურ პროკლამაციებს ს.-პეტერბურგში, რიგაში, მოსკოვში, კავკასიაში; (3) რომ მათი პარტიის ორგანო, ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური ორგანო გამოვიდნენ საერთაშორისო ოპორტუნიზმის წინააღმდეგ.

«იღებ» თუ არა ამას? — ჰმ... რა თქმა უნდა, ბრანტინგს ეს არ მოეწონება, მაგრამ რა ჩვენი საქმეა ოპორტუნისტებს «მოვაწონოთ თავი». თუ თქვენ მოგცემენ 10—12 წუთს და სიტყვის თავისუფლებას, მაშინ უნდა ილაპარაკოთ **გერმანული** (და სხვა) ოპორტუნიზმის **წინააღმდეგ**, ისე რომ ერთი სიტყვითაც არ შელახოთ, რა თქმა უნდა, არც შვედი სოციალ-დემოკრატები, არც მათი «ახალგაზრდები» და მისთ.

ინტერნაციონალის აღდგენის შესახებ გირჩევდით არც პირდაპირ, არც არაპირდაპირ ა რ გელაპარაკნათ. გიგზავნით სტატიას (ძალიან კარგს!) ამ თემაზე (გადათარგმნეთ და გადაგზავნეთ სტატია რუსეთში)[327]. ინტერნაციონალის აღდგენის საკითხზე უნდა გავჩუმდეთ და განზე ვიყოთ. საჭიროა დაველოდოთ. გერმანელებთან მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ნ ი ამოძრავდნენ[328]: **თუ** მათთან გათიშვა მოხდება, მ ა შ ი ნ, იქნებ, ინტერნაციონალი ლპობას გადაურჩეს.

«ზავის» ლოზუნგის გამო თქვენ ცდებით, თითქოს ბურჟუაზიას ამის გაგონებაც არ სურდეს. დღეს წავიკითხე ინგლისური «ეკონომისტი». მოწინავე ქვეყნის ჭ კ ვ ი ა ნ ი ბურჟუები ზავის მ ო მ ხ რ ე ნ ი არიან (რა თქმა უნდა, კაპიტალიზმის გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ი ს გულისათვის)[329]. ჩვენ კი არავის არ უნდა მივცეთ იმის საშუალება, რომ აგვრიონ წვრილბურჟუებში, სენტიმენტალურ ლიბერალებში etc. დადგა ხ ი შ ტ ი ს ეპოქა. ეს ფაქტია, მაშასადამე, **ასეთი იარაღითაც** უნდა ვიბრძოლოთ.

ზავის ლოზუნგს ხვალ-ზეგ ხელს ჩასჭიდებს გ ე რ მ ა ნ ე ლ ი ბურჟუაზია და განსაკუთრებით ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ ე ბ ი. ჩვენ უნდა დავიცვათ ლოზუნგი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ა, რომელსაც უნარი შესწევს **იბრძოლოს თავისი** მიზნებისათვის, ეს კი სწორედ სამოქალაქო ომია. ესეც მ ე ტ ა დ კონკრეტული ლოზუნგია, და **მხოლოდ** ა მ ი თ აშკარავდება შეუცდომლად ძირითადი მიმართულებანი: პროლეტარული საქმისათვის თუ ბურჟუაზიული საქმისათვის.

შვედების მიმართ ვალის შესახებ[330] არც მე, არც ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს არიფერი არ გვახსოვს. მაგრამ ს ა ვ ს ე ბ ი თ შემეძლო არ მცოდნოდა ან დამვიწყებოდა. ამიტომ ძალიან კარგი იქნებოდა რაიმე თავაზიანი, სამადლობელი წერილი, მიმართული იქითკენ, რომ ეს ვალი «შემოწირულ» იქნეს. ვფიქრობ, თქვენ თვითონ ეს სავსებით შეგიძლიათ გააკეთოთ — მაგ., პეტერბურგის კომიტეტის სახელით პლუს რ ა მ დ ე ნ ი მ ე სოციალ-დემოკრატი დეპუტატი, რომლებმაც თქვენ პიტერში რწმუნებით აღგჭურვეს. ეს, ჩემი აზრით,

საუკეთესო ფორმაა. სესხის შესახებაც თქვენ, ვფიქრობ, ასევე უნდა იმოქმედოთ. არ გირჩევდით ჩემი წერილი გამოგეყენებიათ (დაიწყება «ფ რ ა ქ ც ი უ ლ ი» კინკლაობა!!!). თუ დაიჟინებთ, წერილს გამოვგზავნი, მაგრამ ჩემი რჩევაა: არ არის საჭირო. უ ჩ ე მ ო დ უ კ ე თ მოგცემენ, მერწმუნეთ. დაიმოწმეთ პეტროვსკი, მისგან (თუ საჭიროა) იშოვეთ წერილი. ეს სჯობია, ღმერთმანი.

მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ყოველივე კარგს!

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. თუ კოლონტაი გერმანულად გადათარგმნის ცენტრალური კომიტეტის მანიფესტს (ცენტრალური ორგანოს № 33-დან), იქნებ, პირი გამოგვიგზავნოთ?

P. S. «ზავის» ლოზუნგის საკითხისათვის. ბერნშტეინის საინტერესო სტატია, მოთავსებული «Neue Zeit»-ის უკანასკნელ ნომერში, გვიჩვენებს, რომ ინგლისში, სადაც ბურჟუაზია ყველაზე ჭკვიანია, ყველაზე თავისუფალია და ა. შ., არის მიმდინარეობა ზ ა ვ ი ს ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ არქიოპორტუნიზმის თვალსაზრისით. ესე იგი, ზავი უკვე უზრუნველყოფს «სოციალურ მშვიდობას“, ე. ი. პროლეტარიატის დ ა მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა ს ბურჟუაზიისადმი, პროლეტარიატის დაწყნარებას, კაპიტალიზმის არსებობის **განგრძობას.** ბერნშტეინს ეს არა აქვს განვითარებული. მაგრამ აშკარაა, რომ **ასეთი** მშვიდობისმყოფელნი მრავლად მოიპოვებიან ყველა ქვეყნის ლიბერალურ და რადიკალურ ბ უ რ ჟ უ ე ბ ს შორის. დაუმატეთ ამას (1), რომ ყ ვ ე ლ ა შოვინისტიც ზავის მომხრეა (ოღონდ რ ა პირობებით) — საქვეცენზურო პრესაში კი **საშუალებას არ მოგვცემენ** ჩვენს პირობებზე ვილაპარაკოთ!! (2) რომ გერმანიისა და რუსეთის ს ა მ ე ფ ო კ ა რ ი ც (დღეს ფარულად, ხვალ ნახევრად აშკარად) ერთმანეთთან განსაკუთრებული ზავის მომხრენი არიან; (3) რომ ყველა სენტიმენტალური ბუოჟუა და ფილისტერი «ზავის მომხრეა». «ანტირევო-

ლუციური», ფილისტერული, მონური და ა. შ. თვალსაზრისით.

კითხვა ისმება, **ობიექტურად** ვისთვის-ღა იქნება ახლა საარგებლო ზავის ლოზუნგი? ყოველ შემთხვევაში არა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი პროლეტარიატის იდეების პროპაგანდისათვის! არა იმ იდეისათვის, რომ **გამოვიყენოთ** ომი კაპიტალიზმის კრახის **დასაჩქარებლად.**

დაუმატეთ ოპორტუნისტ-შოვინისტების გამარჯვება თითქმის ყველა ქვეყანაში; ზავის ლოზუნგი მხოლოდ ამ ადამიანებს დ ა ე ხ მ ა რ ე ბ ა თ ა ვ ი დ ა ი ძ ვ რ ი ნ ო ნ![331]

გაგზავნილია ბერლინიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ა. ბ. შლიაპნიკოვს

25. XI.

ძვირფასო მეგობარო! ბუშინ საღამოს წავიკითხეთ, რომ დაუპატიმრებიათ 11 კაცი (მათ შორის რსდმ ფრაქციის 5 წევრი[332]) პიტერის ახლოს, და დღეს დეპეშა გავუგზავნეთ ბრანტინგს, რათა თქვენ გამოარკვიოთ (le cas échéant * ფინელთა მეშვეობით), შეპყრობილია, დაპატიმრებულია თუ არა რსდმ ფრაქციის 5 წევრი.

უბედურებაა, თუ ეს მართალია!

მაგრამ მით უფრო მიუტევებელი იქნება თქვენი წასვლა დანიაში. მე საერთოდ ენერგიულად ვაცხადებ პროტესტს ასეთი გადასვლის წინააღმდეგ. სწორედ ახლა უნდა იყოთ თქვენ სტოკჰოლმში, რათა უფრო სწორად, ხშირად, ფართოდ მოაგვაროთ კავშირურთიერთობა. ეს ძნელი საქმეა, მოითხოვს ბამოცდილ კაცს, რომელსაც ერთი უცხოური ენა მაინც ეცოდინება. შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ეს ვინმეს ანაბარა მივატოვოთ.

თუ თქვენ შეგავიწროებენ (პოლიცია) სტოკჰოლმში, უნდა დაიმალოთ სტოკჰოლმის ა ხ ლ ო ს სოფელში (ეს ადვილია, იქ ყველას აქვს ტელეფონი). ვფიქრობ, კოლონტაიც ადვილად შეძლებდა incognito ** ჩასულიყო მალე სტოკჰოლმში თუ მის გარეუბანში.

---

* — თუ შემთხვევა გექნებათ. რ ე დ.

** — ფარულად. რ ე დ.

მალე გამოვუშვებთ ცენტრალური ორგანოს № 34, შემდეგ აგრეთვე № 35.

რაც შეიძლება მალე გვიპასუხეთ. თქვენი ყველა წერილი მოგვდის. ლიკვიდატორების დოკუმენტიც[333] (მ ა თ ი პასუხი ვანდერველდესადმი) აგრეთვე მივიღეთ. გმადლობთ.

მაგრად გართმევთ ხელს და ველი ამბებს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1914 წ. 25 ნოემბერს
გაგზავნილია ბერნიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ბ. ფ. კოლონტაის

პატივცემულო და ძვირფასო ამხანაგო! ძალიან მადლობელი ვარ ფურცლის[334] გამოგზავნისათვის (ჯერჯერობით შემიძლია გადავცე იგი მხოლოდ «რაბოტნიცას» რედაქციის აქაურ წევრებს, — მათ უკვე გაუგზავნეს წერილი ცეტკინას, ეტყობა, იმგვარივე შინაარსისა, როგორსაც თქვენი წერილი შეიცავს), აგრეთვე იმისათვის, რომ გვთავაზობთ გამოგვიგზავნოთ ცენტრალური ორგანოსათვის ცნობები ინგლისის შესახებ. მე მიწერ-მოწერა მაქვს ლონდონელ ამხანაგთან (Mr. Litvinoff), რომელიც წარმოადგენს ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში, მაგრამ, იგულისხმება, რაც უფრო მეტი კავშირი გვექნება ინტერნაციონალის მემარცხენე ნაწილის წარმომადგენლებთან, მით უკეთესია. სავსებით გეთანხმებით, რომ ეს წარმომადგენლები უფრო ახლოს უნდა იყვნენ ერთმანეთთან, მათ ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ ერთიმეორესთან. და სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად ნებას მივცემ ჩემ თავს ვისარგებლო თქვენი თავაზიანი წერილით თქვენ მიერ დაწყებული საუბრის განსაგრძობად.

თქვენ სამოქალაქო ომის ლოზუნგს, ეტყობა, მთლად არ ეთანხმებით და მას, ასე ვთქვათ, დაქვემდებარებულ ადგილს უთმობთ (და შეიძლება პირობითსაც კი) ზავის ლოზუნგის შემდეგ. თქვენ ხაზგასმით აღნიშნავთ, «ჩვენ უნდა წამოვაყენოთ ხოლმე ისეთი ლოზუნგი, რომელიც ყველას გ ა ა ე რ თ ი ა ნ ებ დ ა ო».

გულახდილად ვიტყვი, რომ ამჟამად მე ყველაზე უფრო მეშინიან ასეთი განუსჯელი გამაერთიანებლობისა, რომელიც, ჩემი რწმენით, ყველაზე უფრო საშიში და ყველაზე უფრო მავნებელია პროლეტარიატისათვის. აი კაუცკიმ ხომ უკვე შეთხზა «Neue Zeit»-ში არქი-«გამაერთიანებელი თეორია»[335], რო... *

დაწერილია 1914 წ. 28 ნოემბერსა
და 8 დეკემბერს შუა
გაგზავნილია ბერნიდან ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* წერილი ამაზე წყდება. რ ე დ.

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.! მივიღე ცენტრალური ორგანო. საუცხოოა, გამოუშვით — დიდი სალამი და მადლობა თქვენ.

ამასთან გიგზავნით შენიშვნას ისევ № 35-სათვის. ჩაეტევა, იმედი მაქვს?

იქნებ კიდევ რაიმე ჩაეტევა?

სალამი!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. სიომა, თითქოს ნახულობს «Vorwärts»*? ხომ არ ინებებს გვიგზავნოს ყველაზე უფრო საინტერესო **ამონაწერები** (მოკლე)? მაგალითად «Vorwärts»-ის რედაქციის კონფლიქტზე პროფესიული კავშირების ცენტრალურ კომიტეტთან[336]? ჩემს რეფერატზე ციურიხში[337]? ოპორტუნისტების გამარჯვებაზე შვეციაში და მისთ.? მხოლოდ ყ ვ ე ლ ა ზ ე მნიშვნელოვანი ცნობები ო რ ი ო დ ე ს ი ტ ყ ვ ი თ, რათა თვალყური ვადევნოთ «Vorwärts»-ის მოქმედებას.

ი გ ი ვ ე —გერმანული სოციალ-დემოკრატიული გაზეთები ა მ ე რ ი კ ა შ ი.

ნახულობს თუ არა ის ამ გაზეთებს?

დაწერილია 1914 წ. 5 და 12
დეკემბერს შუა
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — «წინ». რ ე დ.

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.!

გიგზავნით კორექტურას.

№ 36 [338] იძულებული ვიქნებით დავაყოვნოთ... ჯერ კიდევ არ არის დაწერილი, და ცოტა რომ დაგვეცადა...

საუკეთესო სალამი.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ინტერესით წავიკითხე შენიშვნები «ეროვნული სიამაყის» შესახებ, მაგრამ... ...ვერ დაგეთანხმებით. შოვინიზმი **ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა** მხრიდან უნდა «გაშუქდეს».

აუცილებლად ჩაუმატეთ გ ა დ ა დ ე ბ ი ს შესახებ*.

ჩაუმატეთ:

ადგილის ნაკლებობის გამო გადადებულია მასალის ნაწილი, ლიბკნეხტის განცხადება და სხვა.

ბოდიში მეტისმეტი აჩქარებისათვის!!

ხელნაწერები, ე. ი. სტატიები, შევამცირეთ.

დაწერილია 1914 წ. 9 დეკემბერს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* ხელნაწერში ამ ადგილას შენიშვნა: «იხ # » მიუთითებს სხვა შენიშვნაზე « # ჩაუმატეთ», რაც დაწერილია ცალკე ფურცელზე, რომელიც, შეიცავს გაზეთში ჩამატებულ ქვემოთ მოყვანილ ტექსტს. რ ე დ.

ა. გ. შლიაპნიკოვს

ძვირფასო მეგობარო!

მივიღეთ მე (და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა) წერილი კოლონტაისაგან. ვაპირებთ ვუპასუხოთ.

ჩემი წერილები თქვენდამი, ალბათ, იკარგება ან გვიანდება: არაერთხელ მომიწერია კობეცკის მისამართით. ერთხელ კიდევ მიაკითხეთ.

თქვენი ხელნაწერი მივიღეთ — ვფიქრობთ გავუშვათ ცენტრალურ ორგანოში (ან ბროშურად)[339].

ნახულობთ თუ არა «გოლოსს»? იქ ახლა უკვე ჩანს მარტოვის შებრუნება[340], — აქსელროდის ჭაპან-წყვეტა «შეარიგოს» (მარტოვი ზიუდეკუმთან, ე. ი. პლეხანოვთან), — და მათ გვერდით ტროცკი ამნისტიის «წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ»!

ჰოდა, დომხალია! და ისინივე გვლანძღავენ «ფრაქციულობისათვის» (როცა თვითონ, ურიგდებიან სოციალ შოვინიზმს ფრაქციულობის გულისათვის!!). საძაგელი, მომაბეზრებელი სურათია.

თუ კონფერენციაზე[341] იქნებით, ფრთხილად იყავით. თუ ილაპარაკებთ, გირჩევთ **გაიმეოროთ** სტოკჰოლმში წარმოთქმული სიტყვა, ამასთან **დასძინეთ**, რომ სამინისტროში ბელგიელებისა და ფრანგების შესვლაც აგრეთვე ღალატია (თუნდაც შ ე მ ა რ ბ ი ლ ე ბ ე ლ ი გარემოება იყოს). თორემ იფიქრებენ, რომ ჩვენ რ უ ს უ ლ ი შოვინიზმის გამო **მხოლოდ** გერმანელებს ვაგინებთ.

ანგარიშის გამოგზავნა, ჩემი აზრით, **არ ღირს, საჭირო არ არის.**

უნდა გაიგზავნოს ინფორმაციისათვის (მხოლოდ) — და **ლ ი ტ ვ ი ნ ო ვ ი ს** სახელით (Litvinoff. 76. High Street. 76. Hampstead. London. N.W.) მანიფესტის სრული ტექსტი და 5-ის (და 11) დაპატიჟრების ამბავი. იმედი მაქვს, თქვენ ახლა უკვე გამართეთ მიწერ-მოწერა ლიტვინოვთან?

. მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P.S. როგორ მოეკიდა კოლონტაი «დოკუმენტს»[342] და «გოლოსის» უკანასკნელ (80 — 86 და შემდ.) №№-ს?

P.S. ახლა წავიკითხე, რომ კონფერენცია გაიმართება 17 იანვარს და შვეიცარიის პარტიამ **უ ა რ ი თ ქ ვ ა.** ვფიქრობ, თუ ასეა, სჯობია ს უ ლ ა ც არ მივიღოთ მონაწილეობა.

P. P. S. კაუცკი «Labour-Leader»-ში ზ ა ვ ი ს ლ ო ზ უ ნ გ ი ს მ ო მ ხ რ ე ა[343]. აი ჩემი პასუხი ამხანაგ კოლონტაის! ნუთუ იგი ახლაც ამ ლოზუნგს დაუჭერს მხარს??

დაწერილია 1914 წ. დეკემბრის
დამლევს
გაგზავნილია ბერნიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1915 წ.

ვ. ა. კარპინსკის

15. 3. I.

ძვირფასო მეგობრებო! დიდი მადლობა მისალმების გამო და ყოველი ჩვენგანისაგანაც (ჩემგან და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულისაგან განსაკუთრებით) საუკეთესო სურვილები ახალი წლისათვის!

ერთი პარიზელი ასოთამწყობი გვთავაზობს ჩავიდეს ჟენევაში და ააწყოს ცენტრალური ორგანო 35 f r s ნომერი, თუ აღმოჩნდება სტამბა და შრიფტს მომცემსო[344].

განიხილეთ ეს საქმე ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ (გაიაფება სასურველია, რადგან ჩვენ გადავწყვიტეთ ყოველკვირეულად გამოვუშვათ ცენტრალური ორგანო) და მალე გვიპასუხეთ.

შემდეგ. განიხილეთ აგრეთვე, როდის უნდა გამოვგზავნოთ მასალა და რა დღისათვის მოვამზადოთ ყველაფერი, რა დღეს შევუფარდოთ ცენტრალური ორგანოს გამოშვება გავრცელების ინტერესებისათვის? თითქოს, ყველაზე უფრო მოხერხებულია შაბათობით გავრცელება. თუ ასეა, ოთხშაბათს თუ ხუთშაბათს უნდა გამოვუშვათ? რათა პარასკევს აქ გვქონდეს, ხოლო შაბათისათვის მთელ შვეიცარიას ჰქონდეს?

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გრანატის გამოცემათა რედაქციის მდივანს

1915. 4. I.

დიდად პატივცემულო კოლეგავ!

გუშინ მივიღე თქვენი წერილი და გამოგიგზავნეთ დეპეშა «consens» — თანახმა ვარ. რაც უნდა სამწუხარო იყოს, რომ რედაქციამ ამოაგდო ყველაფერი, რაც სოციალიზმსა და ტაქტიკას ეხებოდა (უამისოდ კი მარქსი არ არის მარქსი), მაინც უნდა დავთანხმებულიყავ, რადგან თქვენ მიერ წამოყენებული საბუთის წინააღმდეგ («აბსოლუტურად შეუძლებელიაო») ვერაფერს გააწყობთ[345].

ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ ანაბეჭდს გამომიგზავნით, ან ღია ბარათს მოიწერთ, რ ო დ ი ს შეიძლება იყოს ანაბეჭდი. სხვათა შორის: ხომ არ მოესწრებოდა კიდევ რამდენიმე შესწორება დიალექტიკის განყოფილებისათვის? იქნებ, კეთილ ინებოთ და მოიწეროთ, სახელდობრ როდის გადაეცემა ასაწყობად და როდისაა შესწორების წარმოდგენის უკანასკნელი ვადა. მე სწორედ ამ საკითხზე ვმუშაობდი უკანასკნელი თვენახევრის განმავლობაში და ვფიქრობ, რომ შევძლებდი ზოგი რამ დამემატებინა, თუ დრო იქნებოდა.

შემდეგ ნებას მივცემ თავს შევთავაზო ჩემი სამსახური ლექსიკონის რედაქციას, თუ კიდევ არის გაუნაწილებელი სტატიები შემდგომი ტომებისათვის. ახლა მე განსაკუთრებით კარგ პირობებში ვიმყოფები გერმანული და ფრანგული ბიბლიოთეკების მხრივ, რომლებითაც შემიძლია ვისარგებლო ბერნში, — და განსაკუთრებით ცუდ პირობებში საერთოდ

ლიტერატურული მუშაობის მხრივ. ამიტომ დიდი კმაყოფილებით ვიკისრებდი სტატიების დაწერას პოლიტიკური ეკონომიის, პოლიტიკის, მუშათა მოძრაობის, ფილოსოფიის და სხვა საკითხებზე. ჩემი ცოლი, ნ. კრუპსკაიას სახელით, წერდა პედაგოგიკაზე «რუსსკაია შკოლაში» და «სვობოდნოე ვოსპიტანიეში»[346], მუშაობდა განსაკუთრებით «შ რ ო მ ი ს ს კ ო ლ ი ს» საკითხზე და პედაგოგიკის ძველი კლასიკოსების შესწავლაზე. იგი ხალისით იკისრებდა სტატიების დაწერას ამ საკითხებზე.

მზად ვარ გემსახუროთ

ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი

Wl. Uljanow. Distelweg. 11. B e r n

გაგზავნილია ბერნიდან მოსკოვში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ა. გ. შლიაპნიკოვს

ძვირფასო მეგობარო! ჩვენ ისევ და ისევ გადავწყვიტეთ (სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც გუშინ გრიმს მოვესაუბრეთ) არ გირჩიოთ ურჯულოთა ბჭობაზე წასვლა: დაე ლიკვიდატორები წავიდნენ კოპენჰაგენის კონფერენციაზე. ჩვენ კი ს ჯ ო ბ ი ა სულაც არ წავიდეთ მათთან.

შვეიცარიელებიც კი არ მიდიან.

ალბათ, ეს გერმანელთა ინტრიგაა. მე კიდევაც ვფიქრობ, რომ აქ არის გერმანიის გენერალური შტაბის ინტრიგა: მას სურს სხვათა მეშვეობით მოსინჯოს «ზავის» ნიადაგი...

იქ ვერაფერს ვერ გავიგებთ. იქ ვერაფერს ვერ დავეხმარებით. მანიფესტის გაგზავნა — აი ყოველივე, რაც ჩვენ გვჭირდება.

ძალიან ვჩქარობ და ბოდიშს ვიხდი სიჩქარისათვის.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წ. იანვრის
პირველ ნახევარში
გაგზავნილია ბერნიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში 11

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ა. გ. შლიაპნიკოვს

ძვირფასო მეგობარო! გიგზავნით ბეჭედდასმულ ფურცლებს. თუ მაინც საჭირო და აუცილებელია en-tête *, მოიწერეთ და მაშინვე შევუკვეთავთ მათ სტამბაში.

დეპუტატთა ბარათების შესახებ გუშინ მივაკითხე: აქ უკვე შეკვეთილია და ამ კვირას მზად იქნება. მაშინ გამოგიგზავნით[347].

36-ე ნომერი დიდი ხანია გამოვიდა და გაგზავნილია.

37-ე ნომერი იბეჭდება.

ინსტრუქციები, თუ რამდენი ეგზემპლარი გაიგზავნოს, გადაცემულია.

საერთოდ ვიწონებ თქვენს გეგმებს მარკების შესახებ ფულის შესაგროვებლად და ა. შ. საერთოდ, თქვენი მდგომარეობის გამო № 36-დან დაინახავთ, რომ თქვენ ცენტრალური კომიტეტის ოფიციალური და სრულუფლებიანი წარმომადგენელი ხართ. ასეთი წარმომადგენელი იყავით წინათ და ასეთადვე რჩებით. ვფიქრობ, ეს სავსებით გარკვეული მდგომარეობაა. მის შესაცვლელად არც საფუძველს ვხედავთ და არც შესაძლებლობას ახლავე (სანამ გამოირკვეოდეს, თუ რა და როგორი მდგომარეობაა რუსეთში). სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ გულწრფელად მოიწერეთ en dehors de toute etc.**, და ამიტომ იმედი მაქვს, თქვენ ასევე გულწრფელად შეგვატყობინებთ, არის თუ არა მაინც უხერხულო-

---

* — სათაურში. რ ე დ.

** — ყოველივე დანარჩენის გარდა. რ ე დ.

ბა და რანაირი. მოიწერეთ გულახდილად (თუ აჯობებს, კერძო სახით ჩემთვის).

«გოლოსი» დახურულია. ოკისტებს[348] აშკარა რღვევა ემჩნევათ. მარტოვი ციურიხში შეაბრუნეს (აქსელროდი + მარტინოვი + სემკოვსკი + ბუნდელები) მარჯვნივ პლეხანოვებთან და ზიუდეკუმებთან «ზავისაკენ». ბუნდელებმა გამოუშვეს «საინფორმაციო ბიულეტენი» № 7 — უფერულია, მთლიანად იცავს ზავს ზიუდეკუმებთან (კაუცკიც მათ შორის; რითლა სჯობია იგი ზიუდეკუმებს?).

მთელი სულითა და გულით გისურვებთ წარმატებას თქვენს ძნელ მუშაობაში და დიდად გმადლობთ ამბებისათვის. კოპენჰაგენის რეზოლუციები მივიღეთ.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1915 წ. იანვრის
მეორე ნახევარში
გაგზავნილია ბერნიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ა. გ. შლიაპნიკოვს

ძვირფასო მეგობარო! თქვენი გეგმა აპრილში მოგზაურობისა და მისთვის მზადებისა ს ა ვ ს ე ბ ი თ სწორად მეჩვენება[349] მართლაც, ასეთ გეგმაზე უნდა შევჩერდეთ და რაც შეიძლება უფრო სისტემატურად და საფუძვლიანად მოვამზადოთ იგი.

გმადლობთ წერილებისათვის. უკვე რამდენიმეჯერ მოგწერეთ. ფურცლებიც გამოგიგზავნეთ ბეჭედდასმული. იმედი მაქვს, ყოველივე ამას მიიღებდით.

დღეს მივიღეთ «ნაშე სლოვოს» №. იგი გამოდის პარიზში დახურული «გოლოსის» ნაცვლად. «ნაშე სლოვოს» №-ში მოთავსებულია მარტოვის (და დანის) განცხადება «ნაშა ზარიასთან» უთანხმოების შესახებ.

ეტყობა, მათთან (ლიკვიდატორებთან) დიდი რღვევაა, და თუ რა გამოვა, გაურკვეველია. აქსელროდი, აშკარაა, «არიგებს» გერმანელ (და ბუნდელ) შოვინისტებს ფრანკოფილებთან (და პლეხანოვთან). მარტოვი ციურიხის შემდეგ აქსელროდის ჰანგზე მღეროდა, ახლა კი დიდი ხნით «გამემარცხენდა» თუ არა, არ ვიცით.

ამ დღეებში გამოვუშვებთ «სოციალ-დემოკრატის» № 37. მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ყოველგვარ წარმატებას.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

აპრილამდე შევეცდებით (თქვენთან ერთად) მოვაგვაროთ ვიწერ-მოწერა და ზოგიერთი კავშირი. თქვენც აგრეთვე **წინასწარ** უნდა იზრუნოთ.

დაწერილია 1915 წ. 30 თუ 31
იანვარს
გაგზავნილია ბერნიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პირველი მაისი და ომი [350]

შესავალი

1. ინტერნაციონალური პროლეტარული მოძრაობის დემონსტრაცია წელს უდიდესი ევროპული ომის დროს ხდება.

2. იქნებ, 1915 წელს არაფერია გასაკეთებელი «ძალთა დათვალიერებისათვის»? «წარმატებათა და დამარცხებათა» შედარებისათვის? ბურჟუაზიული მსოფლიოს და პროლეტარული მსოფლიოს დაპირისპირებისათვის? — ვინაიდან თითქოს ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი დაიშალა.

3. მაგრამ ეს ასე არ არის. ომი უდიდესი კრიზისია. ყ ო ვ ე ლ ი კრიზისი ნიშნავს (დ რ ო ე ბ ი თ ი შეფერხებისა და რეგრესის შესაძლებლობისას)

(α) განვითარების დაჩქარებას
(γ) (β) წინააღმდეგობათა გამწვავებას
(β) (γ) მათ გამოაშკარავებას
(δ) ყ ო ვ ე ლ ი ვ ე დ ა მ პ ა ლ ი ს კ რ ა ხ ს და ა. შ.

აი სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ კრიზისი (პირველი მაისის დღეს): ხომ არ არის მასში ყ ო ვ ე ლ ი ვ ე კრიზისის პროგრესული, სასარგებლო ნიშნები.

ბურჟუაზიულ-ეროვნულ სამშობლოთა კრახი

4. «სამშობლოთა დაცვა» და ომის ნამდვილი ხასიათი. რა შეადგენს არსს? ნაციონალიზმი versus * იმპერიალიზმი.

---

* — წინააღმდეგ. რ ე დ.

5. 1789—1871 (დაახლოებით 100 წელი)...

და 1905—?

6. «სამშობლოთა დაცვა» (ბელგია? გალიცია? მონათმფლობელური დავლის გაყოფისათვის).

versus «ძირს საზღვრები». ეროვნულ სამშობლოთა კრახი? გზაც იქით ჰქონიათ!!

7. იმპერიალიზმი ძველი და ახალი, — **რომი** და **ინგლისი versus** **გერმანია.**

მიწების მიტაცება
კოლონიები
მსოფლიოს გაყოფა
კაპიტალის გატანა

8. ობიექტური პირობების სიმწიფე სოციალიზმისათვის.

9. როგორ დაიცვან status quo?

როგორ ვაწარმოოთ რევოლუციური ბრძოლა სოციალიზმისათვის?

10. ეროვნული თავისუფლება **versus** იმპერიალიზმი. მჩაგვრელი და ჩაგრული ერების პროლეტარიატი.

11. «საერთაშორისობა» ომების მიმართ ((«რომელი ბურჟუაზიაა უკეთესი»? თუ პროლეტარიატის დამოუკიდებელი გამოსვლა?))

12. უკან (ეროვნული სამშობლოსაკენ), თუ წინ (სოციალისტური რევოლუციისაკენ).

Σ* = ეროვნული შეზღუდულობის კრახი*

ოფიციალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების კრახი

13. ყველა გრძნობს გარდატეხას (თუ ყველას არა აქვს ეს შეგნებული) მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ინტერ-

---

* ბერძნული ასო «სიგმა» იხმარება მათემატიკაში ჯამის აღსანიშნავად. რ ე დ.

ნაციონალის კრიზისი და კრახი. რაშია საქმე? ერთიანი იყო ინტერნაციონალი თუ ორი ტენდენცია?

14. შიმოხილვა ომისადმი დამოკიდებულებისა უმთავრესი ქვეყნების მუშათა მოძრაობის შიგნით:

{ გერმანია: 4 აგვისტო versus Borchardt და «Die Internationale»[351]
ინგლისი:
საფრანგეთი: (გედი + სამბა versus Merrheim)
რუსეთი:

{ იტალია
შვეიცარია
შვეცია }

| სინამდვილეში ორი პარტია ყველგან |

15. რა შეადგენს არსს? შეადარე ინგლისისა და გერმანიის მუშათა მოძრაობა=

ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ტენდენციები და გავლენა მუშათა მოძრაობაში

16. 15 წლის ბრძოლა ოპორტუნიზმთან და მისი ზრდა დასავლეთ ევროპაში. ოპორტუნიზმის კრახი სასარგებლოა მუშათა მოძრაობისათვის.

((გედი — ჰაინდმანი — კაუცკი — პლეხანოვი))

17. ოფიციალური მარქსიზმის კრიზისი (1895 — 1915). არა ლენის გაცოცხლება, არამედ რევოლუციური მარქსიზმის განვითარება ოპორტუნისტული «ვითომდა-მარქსიზმის» წინააღმდეგ.

18. მარქსიზმი versus სტრუვიზმი...

დიალექტიკა versus ეკლექტიკა...

19. დაფლეთილი დროშა? შტუტგარტი 1907
(ილუზიების გაქარწყლება) ჰემნიცი* 1910
ბაზელი 1912

20. «ყველა შესაძლებლობა» გ ა რ დ ა რევოლუციური მოქმედებისა.

* იგულისხმება, ალბათ, კოპენჰაგენის კონგრესი. რ ე დ.

21. ანარქიზმი=ოპორტუნიზმი (წვრილბურჟუაზიული).
«La Bataille Syndicaliste» { Cornelissen, Grave, Kropotkine }

22. Abdankung der deutschen Sozialdemokratie *.

დაიმსხვრნენ, ანუ უფრო სწორად, დაიღუპნენ **უვარგისი** ორგანიზაციები — გავწმინდოთ ნიადაგი უკეთესთათვის. «გადამწიფება» (ის კი არა, რომ პროლეტარიატი არ მონწიფებულიყოს): შეადარე 1907.

კრახი წვრილ-ბურჟუაზიული ილუზიებისა კაპიტალიზმის მიმართ

23. ომი წარმოდგენილია, ერთი მხრივ, როგორც ერთიანი ეროვნული საქმე, ხოლო მეორე მხრივ, როგორც არანორმალობა, «მშვიდობიანი» კაპიტალიზმის დარღვევა etc.

ორივე ილუზია მავნეა. და ორივე ილუზიას სპობს ომი.

24. «Burgfrieden» **, «ეროვნული ბლოკი». «l'union sacrée» *** ომის დროს??

25. ომი «საშინელი» რამეა? დიახ. მაგრამ იგი საშინლად **მომგებიანი** რამეცაა.

160 მილიარდი > 60 მილიარდი მანეთი.

Mehrwert****=10 — 20 **მილიარდი** მანეთი.

26. ინდუსტრიის «შეგუება» ომის პირობებთან.

(გაჩანაგება, სწრაფი კონცენტრაცია).

27. ომი და კაპიტალიზმის საფუძვლები.

---

* — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის განდგომა. რ ე დ.

** — «სამოქალაქო ზავი». რ ე დ.

*** — «სამღვთო კავშირი». რ ე დ.

**** — ზედმეტი ღირებულება. რ ე დ.

«მშვიდობიანი დემოკრატიზმი», «კულტურა», «სამართლებრივი წესწყობილება» etc. versus ომის საშინელებანი?? არ არის სწორი.

კერძო საკუთრება და გაცვლა. ერთთა გაჩანაგებისწყარო, ძალადობის წყარო და საფუძველი.

28. კოლონიები და კონცესიები.

«პატიოსანი კონცესიონერი»?

«ჰუმანური» კოლონიზატორი?

29. ომი=საშინლად მომგებიანი რამეა=კაპიტალიზმის პირდაპირი და გარდუვალი პროდუქტი.

30. მავნე ილუზიებს შეუძლიათ მხოლოდ შეაფერხონ ბრძოლა კაპიტალიზმთან.

პაციფიზმის ოცნებათა კრახი

31. კაპიტალიზმი **უიმპერიალიზმოდ?** (უკან ვიცქიროთ?).

32. თეორიულად (აბსტრაქტულად) შესაძლებელია უკოლონიებოდაც etc.

33. როგორც 4-საათიანი სამუშაო დღე, 3.000 მუშა minimum...

ad* 33 «კაპიტალიზმი შეიძლება ვითარდებოდეს უიმპერიალიზმოდ, უომებოდ, უკოლონიებოდ, ვაჭრობის სრული თავისუფლების დროს».

ნუთუ?

კაპიტალიზმს შეუძლია ათეული მილიარდები გაიღოს არა ომისათვის, არამედ პაუპერებისა და მუშების დასახმარებლად, რათა გაამარადისოს ამით კაპიტალისტების კლასის ბატონობა!

თეორიულად ერთნაირი დებულებები. «მუშათა კლასის იძულებითი ზემოქმედება და ბურჟუების ჰუმანიტარუ-

* — თვის. რ ე დ.

ლი ღონისძიებანი». საქმეც ის არის, რომ ასეთ რამეებს ვერ აიძულებს ზემოქმედება ს ა ე რ თ ო დ, არამედ საჭიროა **ზემოქმედება** ნამდვილი რევოლუციის ძალით. რევოლუცია და კონტრრევოლუცია კი უფრო არსებითამდე გაამწვავებენ ბრძოლას.

საკითხი რეფორმებისათვის ბრძოლით განისაზღვრება. ეს ბრძოლა კანონიერია და საჭიროცაა გარკვეულ საზღვრებში, viz. *:

1) რევოლუციური სიტუაციის უქონლობა; — 2) გაუმჯობესებათა ნაწილობრივი ხასიათი, კლასების ბრძოლა არ გაამწვავონ რევოლუციამდე.

34. რის გამო? ომის საშინელებათა გამო? (საშინელი მოგებანი კი?)

პროლეტარიატის ზემოქმედების გამო? (ოპორტუნიზმის ღალატი კი?).

35. **უანექსიო ზავი, განიარაღება** etc. etc.	**«საიდუმლო დიპლომატიის მოსპობა»?**
ობიექტური აზრი: ხუცესური ნუგეში ((ფოიერბახი: რელიგია მანუგეშებელია. სასარგებლოა კი?))	«Utopia or hell»**? NB [«Volksrecht»-ის **აზრი Forel-ზე**]

36. ბრძოლა რეფორმებისათვის?

დიახ. — მისი ფარგლები.

კერძოობითი.

რეფორმების ეპოქა, **რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ს ი ტ უ ა ც ი ი ს უქონლობა.**

ეს არის თავიდათავი.

---

* — «ინგლისური შემოკლება ლათინური სიტყვისა «**videlicet**», ნიშნავს «სახელდობრ». რ ე დ.

** — «უტოპია თუ ჯოჯოხეთი»? რ ე დ.

ილუზიების კრახის ნაყოფი

37. რევოლუციური სიტუაციები.

α) ქვედა ფენებს არ სურთ, ზედა ფენებს არ შეუძლიათ.

β) გაჭირვების გამწვავება.

γ) ექსტრაორდინარული აქტივობა.

38. ზრდის სინელე და ხვეულობა.

შეადარე 1900 versus 1905.

39. კაპიტალისტების ძარცვა-გლეჯა «Kriegssklaverei»* და მთავრობების მატყუარობა?

40. ომი და ტექნიკის სასწაულები?

41. ომი და გადაჯგუფება.

(მუშები versus გლეხები).

42. სამი ფსიქოლოგია.

(α) სასოწარკვეთილება და რელიგია.

(β) სიძულვილი მტრისადმი.

(α) სიძულვილი კაპიტალიზმისადმი არა მხოლოდ საერთოდ, არამედ **საკუთარი** მთავრობისა და ბურჟუაზიისადმი.

43. «გაპონადა».

44. წერილი: «Mundspitzen» ** («Kamarades») ***.

45. ყოველი კრიზისი ზოგს გატეხს, სხვებს აწრთობს.

46. გამოაწრთობს — სოციალისტური რევოლუციისათვის (ΣΣ)

ΣΣ = მუშათა მოძრაობაში მავნებლურის, დამპალის კრახი = რევოლუციური ბრძოლების დაბრკოლებათა მოსპობა.

კაპიტალისტების მოგებანი

ს ხ ვ ა თ ა შ ო რ ი ს. 10-მილიარდიანი სესხი გერმანიაში. სესხი იძლევა 5%. მთავრობამ საქმე ისე მოაწყო, რომ შ ე ვ-

* — «სამხედრო მონობა». რ ე დ.

** — «ვემზადოთ სასტვენად». რ ე დ.

*** — «ამხანაგები». რ ე დ.

ნ ა ხ ვ ე ლ ი სალაროები (ამ სესხზე ხელმოწერისათვის) ფულს იღებენ გ ა მ ს ე ს ხ ე ბ ე ლ ი სალაროებისაგან (Darlehenskassen) და უხდიან მათ 5¼%. გამსესხებელ სალაროებს კი ფულს სახელმწიფო აძლევს!! მატყუარობა. **Das Volksrecht»** (Zürich), den 27. IV. 1915 [352].

«ქეთილი» უტოპიების უაზრობა: საიდუმლო დიპლომატიის გარეშე, — ვთქვათ ომის მიზანია უანექსიო ზავი etc. etc. სენტიმენტალური და რეაქციული სისულელე.

ძველი ერები (respective * ბურჟუაზიული სახელმწიფოები) v e r s u s «ძირს საზღვრები»!

რუსეთის გამოცდილება: 1900 versus 1905.

ძირს თვითმპყრობელობა (1900) და «ხალხი»...
რევოლუციური ლოზუნგები და რევოლუციური მოძრაობის ზრდა...

დაწერილია 1915 წ. აპრილის უკანასკნელ რიცხვებში.

პირველად დაიბეჭდა 1929 წლის იანვარს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 1

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — შესაბამისად. რ ე დ.

კარლ რადეკს

Werter Genosse *!

ჩვენი წერილები, ალბათ, ერთმანეთს აცდა. იმავე დროს, როცა თქვენ მწერდით, მეც მოგწერეთ (ლია ბარათი) და თანაც კრებული გამოგიგზავნეთ[353]. იმედია, მიიღეთ?

მემარცხენეთა კონფერენციის შესახებ:

მე არა ვარ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წევრი **1912** წლიდან (ცენტრალური კომიტეტისაგან სსბ წევრია მაქსიმოვიჩი, ლონდონში, 1912 წლიდან). მაგრამ, რა თქმა უნდა, ცენტრალური კომიტეტის სახელით ჩვენ აქ გრიგოლთან ერთად გავაკეთებთ ყოველივე აუცილებელს, რაც კი საჭირო იქნება.

თქვენ გვწერთ, რომ «Grimm macht das (=ცენტრალური კომიტეტის გვერდის ავლა?) ohne Absicht»**...[354].

ᲐᲐ! ᲐᲐ! Es scheint mir wenig glaubhaft zu sein. Ist Grimm wirklich ein Kind? N a c h zwei Konferenzen in Bern ***[355]??

მაგრამ თქვენთვის, რა თქმა უნდა, ბერნში უფრო ნათელია, და მოხარული ვიქნებოდი, თუ აღმოჩნდებოდა, რომ მე ვცდები, თქვენ კი მართალი ხართ.

ამრიგად, თუ Grimm macht d a s ohne Absicht, მაშინ საქმე მარტივია: Grimm-მა **უ ნ დ ა მ ი ს წ ე რ ო ს** ცენტრა-

---

* — პატივცემულო ამხანაგო! რ ე დ.

** — «გრიმი ასე იქცევა (— ცკ-ის გვერდის ავლა) არაწინასწარი განხრახვით». რ ე დ.

*** — «მე ეს ნაკლებ შესაძლებლად მიმაჩნია. განა გრიმი მართლაც ბალღია? ბერნში შემდგარი ორი კონფერენციის შ ე მ დ ე გ??». რ ე დ.

ლურ კომიტეტს (ოფიციალური მისამართი იბეჭდება ჩვენს ცენტრალურ ორგანოში — Bibliothèque russe. 7. Rue Hugo de Senger. 7. G e n è v e. Für das Kom. Central *).

(შეიძლება, რა თქმა უნდა, ჩემი მისამართითაც; ეს უფრო პირდაპირია.)

Grimm თუ ამას **ა რ** იზამს, **უპატიოსნოდ** მოიქცევა (რადგან ლ ო ნ დ ო ნ შ ი მაქსიმოვიჩისათვის მიწერა იმას ნიშნავს, რომ დაკარგო დრო და წერილიც ხიფათში ჩააგდო: პოლიცია ჩაიგდებს ხელთ!).

ხვეწნა-მუდარა ჩვენ არ შეგვფერის: არ გვინდა ავეკვიატოთ. ჩვენ ეს ა რ შ ე გ ვ ი ძ ლ ი ა!

ახლა არსებითად. თქვენ იწერებით: «Da wird Grimm und vielleicht (?? sicher meines Erachtens!) auch andere die Sache so abwechseln (nur? richtiger: zertreten und verraten!) wollen, daß nur ein Aktionsprogramm (soll heissen: Ermattungsprogramm, ბრძოლაზე უარისთქმის პროგრამა, რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ა გ ა ნ მუშების შეკავების პროგრამა, მუშების მ ე მ ა რ ცხ ვ ნ ე ფრაზებით დ ა მ შ ვ ი დ ე ბ ი ს პროგრამა) für die Stunde kommt» **.

ჩემი აზრია, რომ კაუცკის + ბერნშტეინი + კომპ. (+ 500+ + 1000 + ??) «შებრუნება» არის ნაგვის (=D r e c k) შებრუნება, რომელმაც იგრძნო, რომ მასები მეტს აღარ მოითმენენ, რომ «საჭიროა» მარცხნივ შებრუნება, რათა განაგრძონ მასების მ ო ტ ყ უ ე ბ ა[358].

ეს ცხადია.

Renaudel-იც «L'Humanité»-ში *** «მემარცხენდება»!! შეიყრებიან ნაგავნი, იტყვიან, რომ ისინი «4 აგვისტოს

---

* — რუსული ბიბლიოთეკა. ჰიუგო დე სანჟეს ქუჩა, № 7. ჟენევა. ცენტრალური კომიტეტისათვის. რ ე დ.

** — «ამ შემთხვევაში გრიმი, და იქნებ (?? ჩემი აზრით, უსათუოდ!) სხვებიც, მოისურვებენ საქმე ისე შეაბრუნონ, (მხოლოდ? უფრო სწორად ჩაახშონ და გასცენ!), რომ ამჟამად წამოყენებული იქნება მხოლოდ მოქმედების პროგრამა (უფრო სწორად: გამოფიტვის პროგრამა....)». რ ე დ.

*** — რენოდელი «იუმანიტეში», რ ე დ.

პოლიტიკის წინააღმდეგ არიან», «მშვიდობას უჭერენ მხარს», «ანექსიების წინააღმდეგი არიან» და... და... ამით **დაეხმარებიან** ბურჟუაზიას ჩაახშოს რევოლუციური განწყობილების ჩანასახი.

თქვენი წერილიდან ვასკვნი, რომ თქვენც ასე ფიქრობთ. Ergo*, ჩვენი პროგრამა უნდა იყოს:

1) **წავიდეთ, თუკი დაგვიძახებენ;**

2) დავრაზმოთ **წინასწარ** «მემარცხენენი», ე. ი. **რევოლუციური მოქმედების** მომხრენი **საკუთარი** მთავრობის წინააღმდეგ.

3) შევთავაზოთ კაუცკიანელ ნაგავთ **ჩვენი** რეზოლუციის პროექტი (ჰოლანდიელები[357] + ჩვენ + მემარცხენე გერმანელები + 0. ესეც არ არის უბედურება, **შემდეგ** კი იქნება არა ნული, არამედ **ყველაფერი!**);

4) წამოვაყენოთ 2—3 ორატორი კონფერენციაზე (თუ თქვენ მ ი ა ღ წ ე ვ თ, რომ იქ იქნებით, ეს შესაძლებელია).

ხომ არ შეიძლება თავი მოვუყაროთ რ ა მ დ ე ნ ი მ ე გერმანელ მემარცხენეს კაუცკისა და კომპანიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ? **ამგვარი** პროგრამის **სასარგებლოდ?**

მოიწერეთ, თუ რას ფიქრობთ ამ პროგრამის შესახებ. მისი არსია—ზავის გონებაჩლუნგი და გამცემლური ლოზუნგის წინააღმდეგ.

ჩამოდით!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

განა **ცხადი** არ არის, რომ ორგანიზაციული კომიტეტი იქნება Drehscheibe-Kautsky და C°-თან???** ჰა!

მერე დარწმუნებული ხართ, რომ გრეიმ + ბეტმან-ჰოლვეგმა თავი არ დაუქნიეს ზიუდეკუმს + ვანდერველდეს: დროა, ყმაწვილებო, ზავის ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ, თორემ რევოლუცია იქნებაო???

---

* — მაშასადამე. რ ე დ.

** — ორთქლმავალთა საბრუნი წრე — კაუცკი და კომპ. რ ე დ.

P. S. ჩვენს ოტელში (Hotel Mariental) * არის **ტელეფონი** (№ 111). თუ რაიმე სასწრაფო იქნება, დარეკეთ — დილის 8 ½ საათზე ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს შინა ვართ.

P. P. S. გადმოგვიგზავნეთ გეთაყვა აქ დართული, როცა წაიკითხავთ.

დაწერილია 1915 წ. ივლისში
გაგზავნილია ზერენბერგიდან
(შვეიცარია) ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — ოტელი მარიენტალი. რ ე დ.

კარლ რადეკს

Werter Genosse*

გიგზავნი წერილს «Vorkonfererz»-ის შესახებ**[358].

გადაიღეთ პირი «Lichtstrahlen»-თვის[359] — ან დაავალეთ Wynkoop-ს (**თუ თქვენ დარწმუნებული ხართ** მის აკურატობაში) გადაუგზავნოს მათ.

N. B. || ყოველივე ეს vertraulich ***. მოგვეცით დაპირება, რომ არ ეტყვით არც გრიმს, არც ბალაბანოვას, არც ტროცკის და საერთოდ არავის!

ჩემი წერილი Wynkoop-სადმი წაიკითხეთ და გადაგზავნეთ[360]. იმედი მაქვს, წინანდელი წერილი გადაგზავნილი გექნებათ! მოიწერეთ ამაზე ორიოდე სიტყვა.

ან გერმანელი მემარცხენენი დაირაზმებიან ახლა (თუნდაც **იდეური** გამოსვლისათვის **ანონიმური** ჯგუფის «Stern»[361] სახელით ან როგორც გნებავთ: მუშები შემდეგ **მიემხრობიან** ამ ჯგუფს), ან უნდა მივაფურთხოთ მათ.

(მესმის, რომ «Lichtstrahlen» არ შეიძლება პირდაპირ გამოვიდეს. მაგრამ რატომ არ უნდა გამოვიდეს ჯგუფი «Stern» X+Y+Z-დან **რეზოლუციებით** ან **მანიფესტით??** შემდეგ კი კერძოდ და ფარულად გავავრცელოთ ეს?).

არ მესმის, როგორ გამოგეპარათ Vorkonferenz ბერნში!?! და კიდევ მე მაგდებდით სინდისში!?

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

---

* — პატივცემულო ამხანაგო. რ ე დ.

** — წინასწარი კონფერენცია. რ ე დ.

*** — საიდუმლოდ. რ ე დ.

P. S. ხომ არ გიძნელდებათ რუსულად კითხვა? **ყველაფერი** გესმით თუ არა?

P. S. ბერნის რეზოლუციები (თარგმანი) ან პირდაპირ გაუგზავნეთ Wynkoop-ს, (თუ ასლი გაქვთ) ან აქ გამოგზავნეთ: ჩვენ გადავიღებთ ასლს [362].

მეტისმეტად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ თქვენთან ერთად მოვეთათბიროთ კერძო სახით გერმანელ მემარცხენეთა ნაწილს. ხომ არ მოაწყობთ ამას? სხვათა შორის, ხომ არ ჩამოხვალთ აქ?

დაწერილია 1915 წ. ივლისში
გაგზავნილია ზერენბერგიდან
(შვეიცარია) ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

კარლ რადეკს

ძვირფასო ამხ. რადეკ!

მივიღე თქვენი წერილი Wynkoop-დმი[363] და პირველი ფოსტით ვგზავნი. დავუმატე, რომ საჭიროა ახლავე შევუდგეთ მუშაობას, თუ გვინდა დეკლარაცია მოვამზადოთ (ახალ «კომუნისტურ მანიფესტზე» რომ არაფერი ვთქვათ).

ჩვენ შევადგინეთ 1) მანიფესტი, 2) რეზოლუციები, 3) დეკლარაციის პროექტი[364]. მალე მოგვაწოდეთ შესწორებანი ან კონტრპროექტები, იჩქარეთ!! დავიგვიანებთ!!

მე პირადად «ნაშე სლოვოს» მონაწილეობის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ამას ულტიმატუმად არ გავხდიდი. რატომ ვარ წინააღმდეგი? 1) ეს გახრწნილებაა, ვინაიდან თ ვ ი თ ო ნ «ნაშე სლოვოს» არ გამოუცხადებია თავი **დამოუკიდებელ**, მესამე (გარდა ცენტრალური კომიტეტისა და ორგანიზაციული კომიტეტისა) პარტიად ან ჯგუფად რუსეთში სამუშაოდ; 2) «ნაშე სლოვოში» არიან ო კ ი ს ტ ე ბ ი საზოგადოებისათვის უცნობი რაოდენობით. ორმაგი წარმომადგენლობაა!! (ოკ + «ნაშე სლოვო»), 3) «ნაშე სლოვო» ჩხეიძის ფრაქციის მომხრეა (მისი მომხრეა ა გ რ ე თ ვ ე ოკ და პლეხანოვი + + ალექსინსკი). ეს გახრწნილება არ არის???

«Lichtstrahlen»-ის ჯ გ უ ფ ა დ მიღება და ცეტკინისაზე უფრო მნიშვნელოვნად მიჩნევა ა რ ა რ ი ს კომიკური.

ამ ჯგუფში არის Borchardt + Radek + «Lichtstrahlen»-ის თანამშრომლები. ეს საკმარისია.

ამ ჯგუფს აქვს პატარა ჟურნალი. (ცეტკინასა და კომპანიას კი არ აქვს.)

Borchardt-მა პირველმა განაცხადა საჯაროდ: Die Sozialdemokratie a b g e d a n k t *[365]. ეს პროპაგანდიზმი კი არ არის, არამედ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური აქტია. ე ს ს ა ქ მ ე ა და არა დაპირება.

ჩვენთვის (ე. ი. ყველა მემარცხენისათვის) ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ცხადი, სრული, ზუსტი Prinzipienerklärung **. უამისოდ ყველა ეგრეთწოდებული «მოქმედების პროგრამა» მარტოოდენ ფრაზაა, მხოლოდ მატყუარობაა. რა გამოვიდა ბერნის ცეტკინისეული «მოქმედების რეზოლუციიდან»? ა რ ა ფ ე რ ი მოქმედების მხრივ! არაფერი პრინციპების მხრივ[366]!

ბორჰარდტის ჯგუფი, თუ იგი გამოვა (ჩვენთან ერთად ან ცალკე) როგორც ანონიმური ჯგუფი («Stern» თუ «Pfeil» *** ან როგორც გნებავთ) ზუსტი Prinzipienerklärung + მოწოდებით **რევოლუციური** მოქმედებისაკენ, მსოფლიო-ისტორიულ როლს შეასრულებს.

ცეტკინასა და კომპანიას კი, თუმცა მათ ხელშია ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი (გაზეთები, ჟურნალები, კავშირურთიერთობა «Berner Tagwacht»-თან, შვეიცარიაში წასვლის შესაძლებლობა და სხვ.), 10 თვის განმავლობაში **არაფერი** არ გაუკეთებია საერთაშორისო მემარცხენეთა გასაერთიანებლად. **ეს** სირცხვილია.

გისურვებთ ყოველივე კარგს!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P S. ჯარისკაცად წასვლას კი ა რ გირჩევთ. უაზრობაა დაეხმარო მტრებს. სამსახურს გაუწევთ შეიდემანებს. სჯობია ემიგრაციაში წახვიდეთ. ღმერთმანი, სჯობია. მემარცხენე მუშაკები ახლა მეტისმეტად საჭირონი არიან.

---

* — სოციალ-დემოკრატიამ უ ა რ ი თ ქ ვ ა თ ა ვ ი ს თ ა ვ ზ ე. რ ე დ.

** — განცხადება პრინციპების შესახებ; დეკლარაცია პრინციპების შესახებ. რ ე დ.

*** — «ვარსკვლავი» თუ «ისარი», რ ე დ.

«ოპოზიცია გერმანიაში პროდუქტია მასების მღელვარებისა, ხოლო ბოლშევიკები რევოლუციონერთა მცირე ჯგუფის ორიენტაციაა».

ეს მარქსისტული არ არის.

ეს კაუცკიანობაა — ანდა თავის დაძვრენა.

რა იყო 1847 წელს «კომუნისტური მანიფესტი» და მისი ჯგუფი?? მასების მღელვარების პროდუქტი? თუ რევოლუციონერთა მცირე ჯგუფის ორიენტაცია? თუ ე რ თ ი ც ა და მ ე ო რ ე ც?

ხოლო ჩვენ, ცენტრალური კომიტეტი? ან რსდმ ფრაქციით არ არის დამტკიცებული, რომ გვაქვს კავშირი მასებთან? ხოლო პ ე ტ რ ო გ რ ა დ ი ს «პროლეტარსკი გოლოსი»? თუ რუსეთში ა რ ა ა რ ი ს «მასების მღელვარება»?

მემარცხენენი გერმანიაში ისტორიულ შეცდომას ჩაიდენენ, თუ იმ საბაბით, რომ ისინი მასების მღელვარების პროდუქტი არიან (ისინი=ცეტკინა, Laufenberg, Borchardt, Thalheimer, Dunker!!! ხა-ხა!) — უარს იტყვიან გამოსვლაზე (ანონიმურად, ჯგუფი «Stern»-ის სახელით და მისთ. შემდეგ მუშები შ ე უ ე რ თ დ ე ბ ი ა ნ და **ჩაუფიქრდებიან** მას) Prinzipienerklärung-ით.

«მასების მღელვარების» განვითარების **მიზნით** საჭიროა მემარცხენე დეკლარაცია და პროგრამა. ასეთი მღელვარების **გამო** იგი საჭიროა. იგი საჭიროა «მღელვარების» «მოძრაობად» გადაქცევის **მიზნით.** დამპალ ინტერნაციონალში «მღელვარების» განვითარების **მიზნით იგი საჭიროა.**

და დაუყოვნებლივ!!!

თქვენ 1000-ჯერ ა რ ა ხ ა რ თ მ ა რ თ ა ლ ი!

P. S. თქვენ გარკვევით არ დაგიწერიათ ვაინკოპისათვის გაგზავნილ წერილში: დანიშნულია 20 აგვისტოსათვის თუ წინადადებაა წამოყენებული. მოგვწერეთ ორიოდე სიტყვა ამაზე მე და **გრიგოლს** (თუ საჭიროა).

რაკოვსკი (იხ. მისი ბროშურა)[367] სამშობლოს დაცვის **მ ო მ ხ რ ე ა.** ჩემი აზრით, ასეთ ადამიანებთან ჩვენ საერთო არა გვაქვს რა.

დაწერილია 1915 წ. 4 აგვისტომდე
გაგზავნილია ზერენბერგიდან (შვეიცარია) ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ს. ნ. რავიჩს

ძვირ. ამხ. ოლღა!

მეშინია მივწერო ვ. კ-ს, ვინაიდან «დამაჩქარებელი» წერილები მის ნერვულ ავადმყოფობას უფრო აუარესებენ. რაღა მოუვიდა № 44? თუ კუზმიხა[368] გადაჭრით შებრუნდა ჩვენს წინააღმდეგ? საშინლად ვაჩქარებდი № 44-ს, ვერ მოვასწარი სტატიების გასწორება, არ მინახავს კორექტურა — და უცბად შეფერხდა. კუზმა კი ბროშურას მოითხოვდა **წინაკვირისათვის[369]!!**

მოიწერეთ, გეთაყვა, ორიოდე სიტყვა, არის თუ არა იმედი გამოუშვათ 44-ც და ბროშურაც?? როდის იქნება ერთიც და მეორეც?? ბროშურაში ზოგი რამ უნდა ჩაემატოს და გასწორდეს. კორექტურა აუცილებლად უნდა გვქონდეს.

სალამი ვ. კ.

თქვენი ვ. ულიანოვი

P. S. «Peuple»* კი კარგია, არა?? ვანდერველდეს იცავს თავგამოდებით!!

დაწერილია 1915 წლის 16 აგვისტოს
გაგზავნილია ზერენბერგიდან
(შვეიცარია) ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — «ხალხი». რ ე დ.

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.!

გიგზავნით ბროშურის შემთხვევით დავიწყებულ ფურცლებს. შეამოწმეთ, თუ კაცი ხართ, ყველა გაქვთ თუ არა ახლა. გუშინ მოგწერეთ, თუ კიდევ რა **გადმონაბეჭდი** შედის ბროშურაში.

როგორაა № 44-ის საქმე.

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. მანიფესტის აქ დართული შენიშვნა უნდა შევიდეს ბროშურაში. ჩაუმატეთ იგი, თუ კაცი ხარ!

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. [ცენტრალური კომიტეტის მანიფესტის (სოციალ-დემოკრატი № 33) იმ აბზაცისათვის, სადაც ევროპის შეერთებულ შტატებზეა ლაპარაკი].

ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» № 44-ში მოთავსებულია სარედაქციო სტატია, რომელშიც დამტკიცებულია «ევროპის შეერთებული შტატების» ლოზუნგის ეკონომიური უმართებულობა. ან ეს არის კაპიტალიზმის დროს შეუძლებელი ლოზუნგი, რომელიც ნიშნავს არა მხოლოდ კოლონიების დაპრუნებას, არამედ აგრეთვე გეგმაზომიერი მსოფლიო მეურნეობის შექმნასაც ისეთ პირობებში, როცა გაყოფილია კოლონიები, გავლენის სფეროები და სხვ. ცალკეულ ქვეყნებს შორის. ანდა ეს არის რეაქციული ლოზუნგი, რომელიც ნიშნავს ევროპის დიდ

სახელმწიფოთა დროებით კავშირს უფრო სწრაფად განვითარებადი იაპონიისა და ამერიკის გასაძარცვავად. («სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შენიშვნა).

მ ა ლ ე დ ა ა ბ რ უ ნ ე თ ი

დაწერილია 1915 წ. 16 თუ 17
აგვისტოს
გაგზავნილია ზერენბერგიდან
(შვეიცარია) ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ს. ნ. რავიჩს

ძვირ. ამხ. ოლღა!

ვაშა! თქვენ თვითონ კუზმიხას აჯობეთ!! ჰოდა, გმირი-ხართ, ღმერთმანი!

გიგზავნით კორექტურას და ბროშურის **ორ** ჩანამატს. თვალყური ადევნეთ, გეთაყვა, რომ **ჩაურთონ, სადაც საჭიროა** (თუ შეფერხდება, **ამ** ჩანამატების კორექტურას ნუ გამოგზავნით, თვითონ გააკეთეთ).

ვწერ გრიგოლს, რომ მე ბროშურას ვაქვეყნებ (შეუძლია ტელეფონით მომელაპარაკოს, თუ რაიმეში არ მეთანხმება).

ბროშურის დასასრულს უნდა წავიდეს **სამი** დამატება[370]:

I. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი ომის შესახებ (3 3 №-დან. გიგზავნით).

ჩაუმატეთ შენიშვნა (შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ[371]), რაც **გამოგიგზავნეთ** (ხოლო თქვენ პირი გაუგზავნეთ თუ არა ლიალინს?)

II. რეზოლუციები № 40-დან გეგზავნებათ[372].

III. **1913** წლის რეზოლუცია (ცენტრალური კომიტეტის თათბირი პარტიულ მუშაკებთან ერთად) **ეროვნულ საკითხზე**[373]. მე იგი არა მაქვს. ვთხოვ ბერნიდან გამოგიგზავნონ (მაგრამ თქვენ ბიბლიოთეკაში უ ნ დ ა გქონდეთ).

ბროშურა დაბეჭდეთ 2.000 ცალად სულ იაფ ქაღალდზე (თუ არის თხელი, 1000 ცალი თხელზე) — სულ იაფი და კონვერტებისათვის მოხერხებული ფორმატისა.

Salut *!!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. თუ შეგიძლიათ ეს შეუფერხებლად გააკეთოთ, გამომიგზავნეთ ბროშურის ყ ვ ე ლ ა კორექტურის **მეორე** ეგზემპლარი (რუსეთში მიმავალი ამხანაგისათვის გასაგზავნად).

დაწერილია 1915 წ. 16 აგვისტოზე
უფრო გვიან
გაგზავნილია ზერენბერგიდან
(შვეიცარია) ქენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ა. მ. კოლონტაის

ძვირფასო ა. მ.!

Vorkonferenz * (II) გადაიდო 5. IX-მდე[374].

ჰეგლუნდი და მემარცხენე ნორვეგიელნი (დანიელები კი?) თვითონ უ ნ დ ა ეცადნონ, რომ მიწვეულ იყვნენ. ხოლო თავიანთი განცხადებანი, თხოვნა, დეკლარაცია გ ა მ ო გ ვ ი-გ ზ ა ვ ნ ო ნ ჩ ვ ე ნ (ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი-ს ა თ ვ ი ს) წერილობით, ხელმოწერილი, ბეჭედდასმული, სამიდან ერთ-ერთ ინტერნაციონალურ ენაზე.

დიდი-დიდი სალამი ალექსანდრეს (რაა, რომ ის **მხოლოდ** აკრიტიკებს ჩემს პროექტს[375]? მოგვეცით თქვენი შესწორებანი, s'il vous plaît **!) — და თქვენ წარმატებული მუშაობისათვის სკანდინავიის მემარცხენეთა შორის.

თ ქ ვ ე ნ ი ლ ე ნ ი ნ ი

ვფიქრობ, საეჭვოა მალე გაიმართოს კონფერენცია, თუ საერთოდ გაიმართება. მაგრამ დაე ჰეგლუნდი სერიოზულად და **სწრაფად ემზადოს.**

თანახმა ხართ თუ არა სხვადასხვა ქვეყნის მემარცხენეთა საერთო ჩვენი მანიფესტისა (კონფერენციისაგან დამოუკიდებლად)?

დაწერილია 1915 წ. 19 აგვისტომდე
გაგზავნილია ზერენბერგიდან
(შვეიცარია) ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* — წინასწარი კონფერენცია. რ ე დ.

** — ინებეთ! რ ე დ.

ვ. მ. კასპაროვს

ძვირფასო კასპაროვ!

5. IX. შედგება მემარცხენეთა კონფერენცია ბერლინში[376].

მ ე ტ ი ს მ ე ტ ა დ მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ ჩვენი ბროშურა გერმანულად მ ა ნ ა მ დ ე გამოსულიყო[377].

ხომ არ შეგიძლიათ ხელი შეუწყოთ ამას?

— ჯერ ერთი, იმით, რომ მიხვიდეთ რადეკთან, დაეხმაროთ მას მანუსკრიპტის წაკითხვაში და წაახალისოთ იგი ჩაუჯდეს თარგმნას (მანამდე, სამწუხაროდ, რუსული კორექტურის შოვნა **ვერ მოხერხდება**);

— მეორეც, იმით, რომ იზრუნოთ გერმანულ სტამბასთან ხელშეკრულების დადებაზე (რადეკმა იცის, თუ რაშია საქმე);

— მესამეც, იმით, რომ მიხვიდეთ კინკელთან, უჩვენოთ მას ეს წერილი და თ ხ ო ვ ო თ დ ა გ ე ხ მ ა რ ო თ გ ა დ ა-თ ა რ გ მ ნ ა შ ი (იკისროს ნაწილი).

ვიცი, კინკელს თითქმის ვძულვარ იმისათვის, რომ მას მივმართავ ხოლმე თხოვნით თარგმნის შესახებ. მაგრამ საჩ-ქარო და დიდმნიშვნელოვანი საქმეა, სასწრაფო დახმარება გვჭირდება, და ეგებ ისიც მეტისმეტად არ გაჯავრდეს.

მალე მოიწერეთ პასუხი ღია ბარათით.

ყოველგვარი სალამი!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წ. 19 აგვისტოს
გაგზავნილია ზერენბერგიდან
(შვეიცარია) ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ი. ა. ბერზინს

ძვირფასო ბერზინ!

დიდი მადლობა მიღებული მანდატისათვის[378]. თუ კაცი ხართ, ნუ დაიზარებთ **მაშინვე** გამომიგზავნოთ ასეთივე ფრანგულად ან გერმანულად, ბეჭედდასმული და ა. შ. მთელი ფორმით და აუცილებელი დამატებით მანდატის ტექსტში, რომ თქვენი პარტია ყოველთვის იყო (და ახლაც არის) არა მარტო აფილირებული საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროსთან, (არამედ მას იქ თავისი წარმომადგენელიც ჰყავდა სათათბირო ხმით). მეტად და მეტად საჩქაროა.

საუკეთესო სალამი!

თქვენი ვ. ულიანოვი

P. S. თუ ჩვენგან მიიღეთ მოკლე დეკლარაციის ხელნაწერი პროექტი რუსულად[379], მაშინ, თუ კაცი ხარ, გადაეცით იგი რაც შეიძლება მალე ლიტვინოვს, თხოვეთ გადათარგმნოს ინგლისურად და მალე გამომიგზავნოს. მოიწერეთ, გეთაყვა, ღია ბარათით პასუხი, რათა ვიცოდე, რომ თქვენ ეს წერილი მიიღეთ.

Uljanow in Sörenberg (Kanton Lüzern) Svitzerland.

დაწერილია 1915 წ. 20 აგვისტოს
გაგზავნილია ზერენბერგიდან
(შვეიცარია) ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ა. მ. კოლონტაის

ძვირფასო ა. მ.!

თურმე, 5. IX შედგება არა Vorkonferenz, არამედ თვითონ კონფერენცია. ამრიგად, დრო არ ითმენს.

მთელი ღონე უნდა დაძაბოთ, რათა სცადოთ გამოგზავნოთ აქ ჰეგლუნდი ან ყველაზე მემარცხენე და ყველაზე მტკიცე ნორვეგიელი, ასე რომ არაუგვიანეს 3. IX ისინი აუცილებლად აქ იყვნენ (ტელეფონით უნდა შემატყობინონ ბერნიდან Sörenberg-ში, ოტელი Mariental, **(Kanton Lüzern)**, Telefon 1.11 — (1.11)) *.

თუ **აბსოლუტურად** შეუძლებელია, რომ რომელიმე მათგანი ჩამოვიდეს, მაშინ დაე დაუყოვნებლივ (რათა 2 — 3. IX უსათუოდ ხელთ მქონდეს) შემატყობინონ დაზღვეული წერილით ან მანდატის გადაცემა ჩვენი ცენტრალური კომიტეტისათვის (თორმალური (გერმანული ან ფრანგული) მანდატი) — ან (ისინი თანახმა არ არიან მანდატი მოგვცენ) [illegible] განცხადება, რომ სოლიდარულნი არიან ცენტრალურ კომიტეტთან+თავიანთი Prinzipienerklärung**+ (აუცილებლად) წერილი კონფერენციისადმი, რომ ავალებენ ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს გამოაქვეყნოს იგი (respective ხმა მისცეს, თუ შეიძლება).

---

* — ზერენბერგი, ოტელი მარიენტალი (ლიუცერნის კანტონი), ტელეფონი 1.11 — (1.11). რედ.

** — განცხადება პრინციპების შესახებ, დეკლარაცია პრინციპების შე-

ბრძოლაში თავიდათავი იქნება: გამოეცხადოს თუ არა Prinzipienerklärung-ში ულმობელი (თვით გათიშვამდე) ბრძოლა **ოპორტუნიზმს** = სოციალ-შოვინიზმს. სწორედ ამ პუნქტის გამო მიაღწიეთ ფორმულირების რაც შეიძლება მეტ სიცხადესა და სიმტკიცეს.

მაცნობეთ მაშინვე ღია ბარათით, მიიღეთ თუ არა ეს წერილი. იმედი გაქვთ თუ არა (დარწმუნებული ხართ თუ არა?), რომ ამას და ამას შეასრულებენ.

(სალამი ალექსანდრეს!) Salut!

თქვენი ლენინი

დაწერილია 1915 წ. აგვისტოს დამლევს
გაგზავნილია ზერენბერგიდან
(შვეიცარია) ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ე. ი. რივლინას [380]

ძვირფასო ამხანაგო! ამ დღეებში გწერდით გოლეის შესახებ. ახლა საქმე დაიძრა, ასე ვთქვათ, მეორე მხრიდან. მემარცხენეთა ა რ ა წინასწარი თათბირი, არამედ თვითონ კონფერენცია (საერთაშორისო) დანიშნულია 5.IX-თვის., იქნება M e r r h e i m პარიზიდან (ყოველივე ეს entre nous*, რა თქმა უნდა). იქნებიან «ნაშესლოველები». რატომ არ უნდა იყვნენ აქ გოლეი და ნენი, მემარცხენე სოციალიზმის წარმომადგენლები ფრანგულ შვეიცარიაში (რაკი იქნება ნენსა და გოლეიზე გაცილებით უფრო ორჭოფი გრიმი)[381]? სცადეთ, გეთაყვა, რაც შეიძლება მალე ნახოთ ორივე, ემუსაიფეთ გულახდილად და, შეძლებისამებრ მალე, მოიწერეთ ორიოდე სიტყვა პასუხად იმის შესახებ, თუ როგორია ორივე ამ მემარცხენე ფრანგის განწყობილება. თქვენ, ცხადია, გესმით, რომ ს წ ო რ ე დ ფრანგ ანტიშოვინისტებს ექნებოდათ ა ხ ლ ა — და კიდევ უფრო მეტად Merrheim-ის დასწრებისას — უაღრესად დიდი მნიშვნელობა კონფერენციაზე.

მაშ, დააჩქარეთ პასუხი!

სალამი რივლინს!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წ. აგვისტოს დამლევს
— სექტემბრის დამდეგს
გაგზავნილია ზერენბერგიდან
(შვეიცარია) ლოზანაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* — ჩვენს შორის იყოს. რ ე დ.

ა. მ. კოლონტაის

ძვირფასო ალექსანდრა მიხეილის ასულო! მეტად სამწუხარო იქნება, თუ თქვენი გამგზავრება ამერიკაში საბოლოოდ ჩაიშლება. ამ მგზავრობაზე ცოტა იმედებს როდი ვამყარებდით: უნდა გამოგვეცა ამერიკაში ჩვენი ბროშურა («სოციალიზმი და ომი»; ამ დღეებში მიიღებთ), საერთოდ კავშირი გაგვება ჩიკაგოში გამომცემელ Gharles Kerr-თან[382], დაგვეერაზმა ინტერნაციონალისტები, ბოლოს, მიგვეღო ფინანსური დახმარება, რაც ასე უაღრესად გვჭირდება ჩვენ **რუსეთის** ყველა იმ საარსებო საქმისათვის, რომლებზეც თქვენ იწერებით (და სამართლიანადაც ხაზს უსვამთ მათ საარსებო ხასიათს იმასთან დაკავშირებით, რომ სასურველია ჩვენი მეტი სიახლოვე რუსეთთან: ამის დაბრკოლება **პირველ რიგში** ფინანსურია, მეორეც, პოლიტიკური: შეიძლება თუ არა უხიფათოდ ჩასვლა...).

თუ თქვენი გამგზავრების საკითხი საბოლოოდ უარყოფითად გადაწყდა, მაშინ სცადეთ მოისაზროთ, ხომ არ შეგიძლიათ (Gharles Kerr-თან ურთიერთობის გზით და მისთ.) დაგვეხმაროთ, გამოვცეთ ინგლისურად ჩვენი ბროშურა? ეს მ ხ ო ლ ო დ ამერიკაშია შესაძლებელი. ჩვენი ბროშურის გერმანულ გამოცემას გ ი გ ზ ა ვ ნ ი თ. გააკეთეთ ყოველი შესაძლებელი სკანდინავიის ქვეყნებში გასაყიდად (ჩვენთვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს დავიბრუნოთ მასზე გაწეული ხარჯების თუნდაც ნაწილი, ვინაიდან სხვაგვარად ჩვენ ვ ე რ შ ე ვ ძ ლ ე ბ თ გამოვცეთ იგი ფრანგულად!)[383].

მოიწერეთ ხოლმე უ ფ რ ო დ ე ტ ა ლ უ რ ა დ, კონკრეტულად და ხშირად (თუ ამერიკაში არ მიდიხართ), სახელდობრ რა კონკრეტული საკითხები იჩენენ თავს რუსეთში, ვინ აყენებს მას, როგორ, რა შემთხვევებში, რა ვითარებაში. ყველაფერი ეს მეტად მნიშვნელოვანია ფურცლების გამოსაცემად — ს ა ა რ ს ე ბ ო საქმისათვის — თქვენ ამაში მართალი ხართ. მემარცხენეთა კონფერენციაზე (სადაც ჩვენ კარგად დავირაზმეთ ოპოზიციად, თუმცა ხელი მოვაწერეთ მანიფესტს) ნაწილობრივ მოგითხრობთ თ ქ ვ ე ნ მ ი ე რ გამოგზავნილი დელეგატი[384], ნაწილობრივ კიდევ მოგწერთ.

(ფული არა გვაქვს, ფული არა გვაქვს!! მ თ ა ვ ა რ ი უბედურება ესაა!).

საუკეთესო სალამი!

თ ქ ვ ე ნ ი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წ. 8 და 13
სექტემბერს შუა
გაგზავნილია ზერენბერგიდან
(შვეიცარია) ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გ. ე. ზინოვიევს

გიგზავნით რადეკის წერილს. (მას თანაგრძნობით ვუპასუხე). დამიბრუნეთ.

უნდა დავწერო კონფერენციის ანგარიში: გამომიგზავნეთ, გეთაყვა, ყ ვ ე ლ ა თქვენი მასალა[385].

თქვენთან ხომ არ დამვიწყებია ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ორ გ ა ნ ო ს ჩემი კ ო მ პ ლ ე ქ ტ ი?

სალამი!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

კარგი იქნებოდა დაგვეკისრებინა ინესასათვის გადაეთარგმნა ბროშურა ფრანგულად[386]

დაწერილია 1915 წ. 11 და 17 სექტემბერს შუა
გაგზავნილია ზერენბერგიდან
გერტენშტეინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გ. ლ. ᲨᲙᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ

ძვირფასო გ. ლ.! გამომიგზავნეთ მალე, თუ კაცი ხარ, სამი ეგზემპლარი გერმანული ბროშურა[387] და ამდენივე ფრანგული რეზოლუციები[388]. (როგორია ანგარიში? და არის თუ არა გაიაფების იმედი? სდებთ თუ არა ხელშეკრულებას გერმანული ბროშურის შვეიცარიაში გაყიდვის შესახებ? მოიწერეთ).

გაგზავნეთ, გეთაყვა, 10 ეგზემპლარი გერმანული ბროშურა და ორი ეგზემპლარი ფრანგული რეზოლუციები მისამართით: Fru A. Kollontay. Turisthotel. Holmenkollen. Kristiania. Norwegen. (მოიწერეთ, რ ო დ ი ს გაგზავნეთ).

დააჩქარეთ, გეთაყვა, რადეკი, რომ გამომიგზავნოს ოფიციალურად მიღებული მანიფესტის[389] პირი. ძალიან სასწრაფოა. შეიარეთ ერთიორჯერ რადეკთან და მიაღწიეთ ამას, გეთაყვა. მასვე უნდა მოელაპარაკოთ (და არა მარტო მოელაპარაკოთ, არამედ ს ა ქ მ ი ა ნ ა დ ა ც მოაწყოთ, იმეცადინოთ, გააკეთოთ, შეამოწმოთ) გერმანული ბროშურის შვეიცარიაში გაყიდვის თაობაზე. უნდა იშოვოთ სხვადასხვა ქალაქის (ჟენევისა მათ შორის) გ ე რ მ ა ნ უ ლ მუშათა საზოგადოებებისა და კლუბების მისამართები, გამოძებნოთ კავშირი, მისწეროთ, მიაღწიოთ შედეგს. ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ეს თ ქ ვ ე ნ ი ს ა ქ მ ე ა. თუ კაცი ხართ, უფრო ენერგიულად მოჰკიდეთ ხელი.

სალამი!! თ ქ ვ ე ნ ი ლ ე ნ ი ნ ი

Uljanow in Sörenberg (Kt. Lüzern).

დაწერილია 1915 წ. 13 სექტემბერს
გაგზავნილია ზერენბერგიდან
(შვეიცარია) ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.! საქმეების გამო რამდენიმე დღით სხვაგან ვიყავი წასული (და მხოლოდ ამ დროისათვის გთხოვეთ ყველაფერი ჟენევაში გეგზავნათ; ახლა გთხოვთ ისევ გზავნოთ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი — მათ შორის ბროშურა — Sörenberg-ში).

დაბრუნებისას დამხვდა თქვენი წერილი როლანის სტატიების შესახებ[390]. ძალიან შეშფოთებული ვართ იმით, რომ თქვენ ეს სტატიები არ მიგიღიათ. ორი კვირაა, თუ მეტი არა, რომ ეს სტატიები წ ე რ ი ლ შ ი ჩ ა დ ე ბ უ ლ ი გამოგიგზავნეთ! და დღემდე შემთხვევა არ ყოფილა, რომ დაუზღვეველი წერილები შვეიცარიაში დაკარგულიყოს. ხომ არ შეიძლებოდა შეცდომა მომხდარიყო? ხომ არ მიუღია ეს სტატიები ვინმეს უ თ ქ ვ ე ნ ო დ? მოიწერეთ, გეთაყვა. თუ არ არის და არ შეიძლებოდა შეცდომა ყოფილიყო, თუ სტატიები თქვენ არა გაქვთ, მე, თავისთავად ცხადია, ყოველივე შესაძლებელს მოვიმოქმედებ, რათა ისინი ვიშოვო თქვენთვის (თუ დავკარგე) ან ვიყიდი ამ ნომერს, ანდა (თუ გასაყიდად არ იშოვება) ვიშოვი ბიბლიოთეკაში და გ ა დ მ ო ვ წ ე რ თ ქ ვ ე ნ თ ვ ი ს ს რ უ ლ პ ი რ ს. ძალიან და ძალიან გთხოვთ მაპატიოთ და გთხოვთ მალე მომწეროთ, თუ რა მდგომარეობაა. თუ პირი გინდათ, რ ა დ რ ო ი ს ა თ ვ ი ს? მოიწერეთ **გულახდილად.**

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

რატომღაც ვეღარ ვღებულობ «ეიზნს»? განა გაცვლა არ არის? ხომ არ გაიგებთ? ხოლო «ვპერიოდი»[391]? რა ისმის ოკისტების კრებულზე[392] და ბუნდის გამოცემებზე? «კომუნისტი» № 1 — 2 **გამოვიდა**[393]. **ფ ა ქ ტ ი ა.**

Uljanow in Sörenberg (Kt. Lüzern).

დაწერილია 1915 წ. 13 სექტემბერს
გაგზავნილია ზერენბერგიდან
(შვეიცარია) ენენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

ბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

კარლ რადეკს

ძვირფასო რადეკ!

დიდი მადლობა მანიფესტისა და ანგარიშისათვის[394].

1) ხომ არ შეიძლება უფასოდ მივიღოთ «Berner Tagwacht»-ის ამ ნომრის 20 ეგზემპლარი ჩვენი პარტიის ჯგუფებისათვის გასაგზავნად.

2) მანიფესტში სიტყვები **«რევოლუციური** პროლეტარული კლასობრივი ბრძოლა» შეცვლილია სიტყვით **«შეურიგებელი»**. განა ეს **ლოიალურია** გრიმის მხრივ[395]?

3) ანგარიშში არ არის ნათქვამი, რომ **გერმანელთა** დელეგაციის ნაწილმაც (1/10) (და შვეიცარელთა 1/3) ხელი მოაწერა ჩვენი რეზოლუციის პროექტს[396].

განა ეს ლოიალურია გრიმის მხრივ?

გთხოვთ მაცნობოთ თქვენი აზრი: ხომ არ უნდა მივწეროთ ამის შესახებ ოფიციალურად გრიმს?

4) გარანტიას იძლევა თუ არა გრიმი, რომ **ვრცელ** ანგარიშში (სხდომების ოქმში) ჩვენი პროექტი და ჩვენი განცხადება მთლიანად იქნება მოთავსებული?

ჰო თუ არა?

5) მრავალი უზუსტობაა ანგარიშში, კენჭისყრაზე (ჩვენი პროექტისათვის) არც ერთი სიტყვა!!

ამ ბიუროს (გრიმი და კომპ.) გათიშვისა და დაშლის საკითხისათვის კენჭი **არ** უყრიათ[397]

ჩვენ რაიმე უნდა მოვიმოქმედოთ.

თქვენი ლენინი

P. S. თუ კაცი ხარ, გამომიგზავნეთ ჩვენი პროექტი და ჩვენი განცხადება[398].

ჩვენს ბროშურაზე[399] (=მოხსენებაზე) გრიმი **კ რ ი ნ ტ ს ა რ ს ძ რ ა ვ ს!** რა თაღლითია!!

დაწერილია 1915 წ. 19 სექტემბერს
გავზავნილია ზერენბერგიდან
(შვეიცარია) ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

მ. მ. ხარიტონოვს[400]

1915. 19. IX.

ძვირფასო ამხანაგო! მინდა დაახლოებით ოქტომბრის შუა რიცხვებში წავიკითხო ციურიხში რეფერატი «1915 წ. 5 — 8 სექტემბრის ინტერნაციონალური კონფერენციის შესახებ[401]». თუ თემა შესაფერისია და თანაც მცირე შემოსავალს მაინც მოგვცემს, მოიწერეთ. (ამაზე ენენევაშიც მივწერ; საჭიროა **თარიღების** შესახებ წინასწარ შეთანხმება, ვთხოვ მათ ენენევაში დაბეჭდონ საერთო აფიშები, ამასთან გამოტოვონ ქალაქები და თარიღები). რაც შეიძლება მალე მაცნობეთ თქვენი აზრი.

სხვათა შორის. ხომ არ გამომიგზავნით აქსელროდის გერმანულ ბროშურას ინტერნაციონალური სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ, რომელიც ამას წინათ ციურიხში გამოვიდა[402]? საინტერესოა ვნახოთ.

(კონფერენციის შესახებ ჩვენ დავბეჭდავთ ცენტრალურ ორგანოში[403] — შემდეგ «ნაშე სლოვოც» და სოციალისტ-რევოლუციონერებიც და სხვ. და სხვ. მაგრამ მე უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებ, ვიდრე პრესაში იქნება, და მივცემ შეფასებას და დასკვნებს).

საუკეთესო სალამი!

თქვენი ლენინი

Uljanow in Sörenberg (Kt. Lüzern).

გაგზავნილია ზერენბერგიდან
(შვეიცარია) ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ა. გ. შლიაპნიკოვს

19. IX.

ძვირფასო ალექსანდრე! მივიღე თქვენი წერილები, სადაც ოუწყებით, გადაზიდვა კარგად მიმდინარეობსო, და უაღრესად გაგვახარა ამან. ვარდიეში არსებული ლიტერატურის შესახებ: შეეცადეთ შეინახოთ და გადაარჩინოთ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი — ჩვენ გამოგვიგზავნოთ «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს ა» და «ვ პ ე რ ი ო დ ი ს» კომპლექტები, ბროშურებსაც (ძველს, 1905 წ.) გამოვიყენებთ, ღირს მათი გადაგზავნა რუსეთში. რაკი საერთოდ იქნება გადაზიდვის შესაძლებლობა[104].

სათათბიროს «გარეკვის» ამბავი გუშინ წავიკითხე საზღვარგარეთულ გაზეთებში. ცხადია, რომ რეაქცია ან დააშინა მემარცხენეთა ბლოკმა, ანდა სპეკულაციას ეწევა რაიმე «სამხედრო შანსებით» (ან სეპარაციული ზავით?). ჩვენი დამოკიდებულება რევოლუციონერ-შოვინისტებისადმი (როგორიცაა კერენსკი და ესდეკ-ლიკვიდატორების ან პატრიოტების ნაწილი), ჩემი აზრით, არ შეიძლება გამოიხატოს ფორმულით: «მხარდაჭერა». რევოლუციონერ-შოვინისტებსა (რევოლუცია გერმანიაზე გასამარჯვებლად) და რევოლუციონერ-პროლეტარულ ინტერნაციონალისტებს შორის (რევოლუცია სხვა ქვეყნების პროლეტარიატის გამოსაღვიძებლად, მის გასაერთიანებლად საერთო პროლეტარულ რევოლუციაში) — ერთობ დიდი უფსკრულია, რომ აქ მხარდაჭერაზე ლაპარაკი შეიძლებოდეს. ჩვენ უნდა გ ა მ ო ვ ი ყ ე ნ ო თ ყოველგვარი პროტესტი (მოკრძალებულიცა და დაბნეულიც კი, à la* გორკი), გ ა მ ო ვ ი-

* — მსგავსად. რ ე დ.

ყ ე ნ ე ბ თ შოვინისტების რევოლუციურ მუშაობასაც, შემთხვევიდან შემთხვევამდე უარს არ ვიტყვით «ერთობლივ მოქმედებაზე» (ჩვენი პარტიის რეზოლუციების თანახმად — 1907 წ., ლონდონის ყრილობა, და 1913 წ., ჩვენი თათბირი)[405], მაგრამ არა უმეტესად. პრაქტიკულად ახლა: ჩვენ არ გამოვუშვებთ საერთო მოწოდებებსა და მანიფესტებს რევოლუციონერ-პატრიოტებთან ერთად, თ ა ვ ს ა ვ ა რ ი დ ე ბ თ სათათბირულ «ბლოკებს» მათთან, თავს ავარიდებთ მათთან «გაერთიანებას» ყრილობებზე, მანიფესტაციებზე და მისთ. გამოსვლებისას. მაგრამ ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი ურთიერთმომსახურება, რაკი ამას პატრიოტები დათანხმდებიან, — ალბათ, შესაძლებელი იქნება (როგორც 1905 წლამდე ლიბერალებთან), და ჩვენ ამაზე უარს არ ვიტყვით. ურთიერთობა პ ი რ დ ა პ ი რ ი, ნ ა თ ე ლ ი უნდა იყოს: თქვენ გინდათ დაამხოთ ცარიზმი გერმანიაზე გამარჯვების მოსაპოვებლად, ჩვენ ეს გვინდა პროლეტარიატის ინტერნაციონალური რევოლუციისათვის.

რუსეთიდან წარმოუდგენლად ცოტა ცნობები მოგვდის. პირდაპირ საწყენია, რომ ისეთი შედარებით უბრალო საქმე, როგორიცაა კონსპირაციული მიწერ-მოწერა რუსეთთან (რაც ომის დროსაც **სავსებით** შესაძლებელია), ძალიან ცუდად არის დაყენებული. ეს ერთ-ერთი ყველაზე არსებითი საქმეა. (იმედი მაქვს, თქვენ დ ა ნ ა დ ე ყ დ ა კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს ა ს უ ლ ს ამ მხრივ ყ ვ ე ლ ა დეტალის გამო მიწერ-მოწერა გქონდათ და კიდევ გექნებათ რაც შეიძლება უფრო დაწვრილებით.) მართებული ურთიერთობის დამყარება, რუსეთიდან თუნდაც ორი-სამი ხელმძღვანელი მუშის გამოწერა თუნდაც მხოლოდ შვეიცარიაში ფრიად დეტალური საუბრისა და მიწერ-მოწერისათვის, რათა სავსებით «შეევეწყოთ» ერთმანეთს, — ეს მეტად საარსებო საქმეა. იმედი მაქვს, ბელენინის გამგზავრება სერიოზულ გაუმჯობესებას შეიტანს ამ სფეროში: მოკლე ხანში დავტრიალდეთ, გავაბათ კავშირურთიერთობა, შევკრიბოთ ცნობები — ეს არის ახლა თავიდათავი მთელ მუშაობაში. უამისოდ ფიქრიც ზედმეტია შემდგომზე[406].

ჩვენ ვფიქრობთ გეგმაზე, რომ გამოვცეთ პროკლამაციები და ფურცლები რუსეთში გასაგზავნად. ჯერ კიდევ არ გადაგვწყვეტია, სად გამოვუშვებთ, აქ თუ სკანდინავიის ქვეყნებში. უნდა ავირჩიოთ ყველაზე იაფი, რადგან მანძილს არა აქვს მნიშვნელობა*.

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ყოველივე კარგს

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წ. 19 სექტემბერს
გაგზავნილია ზერენბერგიდან
(შვეიცარია) სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* ხელნაწერში ორი უკანასკნელი ფრაზა წაშლილია. რ ე დ.

კარლ რადეკს

20. IX.

ძვირფასო რადეკ!

ვაინკოპს წერილი გაეგზავნა.

გრიგოლსაც აგრეთვე გაეგზავნა ანგარიში თქვენს წერილთან ერთად.

თქვენ, ალბათ, არა გაქვთ პირი ჩვენი განცხადებისა (რომ ჩვენ უკმაყოფილონი ვართ მანიფესტით, რომ იგი საკმაოდ შორს არ მიდის და ა. შ.)[407]. ჩვენ იგი გადავეცით ბიუროს, და გრიმმა გამოაქვეყნა. ჩვენ აუცილებლად გვჭირდება ამ განცხადების პირი. ხომ არ დაგრთავთ გრიმი ნებას გადაიღოთ ეს პირი? თუ არა, ეს პირდაპირ სკანდალია!!!

P. S. ესეც გრიმის «კონსპირაცია»! მთელმა ქვეყნიერებამ უკვე იცის ყველაფერი! და «Avanti»-ში მოკალათებულმა ამ ბრიყვმა იტალიელებმაც. სირცხვილი და თავის მოჭრა[408]!.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1915 წ. 20 სექტემბერს
გაგზავნილია ზერენბერგიდან
(შვეიცარია) ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

კარლ რადეკს

ძვირფასო რადეკ!

გმადლობთ ბიულეტენისათვის.

ფულის საკითხს გრიგოლთან ერთად განვიხილავთ. ჩვენ ახლა უფულოდ ვსხედვართ!!

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი: რატომ დუმხართ თქვენ ჩვენი **(უკანასკნელი) რეზოლუციის პროექტის შესახებ**[409]? მე იგი **აუცილებლად დაუყოვნებლივ** მჭირდება (და ჩვენი განცხადებაც მანიფესტის კენჭისყრის გამო)!!!

თქვენ ხომ უნდა გქონდეთ ეგზემპლარი! რატომ არ მიგზავნით?

ან გრიმი? ნუთუ ის ნებას არ გრთავთ პირი გადაიღოთ? **გთხოვთ მიპასუხოთ.**

გრიმის «ლ ო ი ა ლ ო ბ ა» მხოლოდ ცარიელი ფრაზაა. ბორჰარდტს ის განზრახ არ იხსენიებს — უმსგავსობაა[410].

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წ. სექტემბრის დამლევს
გაგზავნილია ზერენბერგიდან
(შვეიცარია) ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

ა. გ. შლიაპნიკოვს

ძვირფასო ალექსანდრე! ფურცლების შესახებ ძალიან და ძალიან კარგია, რომ თქვენ კისრულობთ[411]. ჩვენ მათ დაწვრილებით გეგმას ვადგენთ და მალე გამოგიგზავნით თქვენ და ნ. ი-ს. მაგრამ, იცით რა, მაინც უსათუოდ სასურველია, რომ ნ. ი. ფურცლებს ორ ეგზემპლარად წერდეს ერთბაშად (გადამღები ფანქრით, ჩასადები შავი ქაღალდით), და მეორე ეგზემპლარს მაშინვე გვიგზავნიდეთ (ან თვითონ გვიგზავნიდეს). ვინაიდან ფურცლები **მეტად** პასუხსაგები რამ არის და ყველა სახის ლიტერატურიდან **ყველაზე** ძნელია. ამიტომ უფრო გულდასმით მოფიქრება და კოლექტიურად მოთათბირება აუცილებელია. როცა აწყობა, ბეჭდვა და გადაზიდვა ნელა ხდება, აქეთ გამოგზავნაზე შედარებით ცოტა დრო იკარგება და ყოველ შემთხვევაში არაფერს ნიშნავს, თუ მხედველობაში მივიღებთ მოფიქრებულ მოწოდებათა დიდ მნიშვნელობას.

ვისი ხელმოწერა უნდა იყოს ფურცლებზე, თქვენი აზრით? ამაზე დაგვიწყებიათ მოგეწერათ.

კოლონტაის ბროშურა კარგია შთანაფიქრის მხრივ. მაგრამ თემა მეტად ძნელია; ესოდენ პოპულარულად დაწერა მეტისმეტად ძნელია. ჩემი აზრით, საჭიროა შესწორებანი. უკვე მივწერე ამაზე და ვთხოვე დათანხმდეს შესწორებათა შეტანას[412]. თუ დათანხმდა, მე უკვე მაქვს შესწორებათა მზა პროექტი, და მაშინ საქმე სწრაფად წავა.

თქვენს ქვეყანაში გამგზავრების შესახებ[413] საქმე ჩვენთან ჭიანურდება, ჯერ ერთი, ფინანსების ნაკლებობის გამო (გზაც

3. ლენინი, ტ. 36.

ძვირია და იქ ცხოვრებაც), მეორეც, პოლიციის ეჭვიანობის გამო. მგონი, დაველოდებით ბელენინის დაბრუნებას[414] და მის ცნობებს საშობლოდან.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წ სექტემბრის
დამლევს — ოქტომბრის დამდეგს
გაგზავნილია ზერენბერგიოან
(შვეიცარია) სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გ. ლ. შკლოვსკის

ძვირფასო გ. ლ.!

მე სრულიად არ მესმის, თუ რა მოუვიდა რადეკს. **ბევრ-ჯერ** ვთხოვე მას:

1) პირი ჩვენი (ე. ი. ცკ+ლატვიელები+PSD+შვედები+ ნორვეგიელები + Borchardt+Platten) რეზოლუციის **პროექ-ტისა** (გერმანულად)[415].

2) პირი ჩვენი (იმავე ჯგუფების) განცხადებისა კონფერენ-ციაზე კენჭისყრის შესახებ (რატომ ჩვენ, რომლებიც არ ვეთან-ხმებით მანიფესტს, ხმას ვაძლევთ მის **სასარგებლოდ**);

3) პირი ჩვენი (იგივე ჯგუფები + Roland-Holst) საპრო-ტესტო განცხადებისა ლედებურის ულტიმატუმის წინააღმ-დეგ[416].

რადეკი პასუხს არ იძლევა!

მე კი **აუცილებლად** მჭირდება ცენტრალური ორგანო-სათვის.

ღვთის გულისათვის, მიდით და გამოარკვიეთ საქმე (თუ რადეკს არ აქვს, ნუთუ გრიმი **არ** იძლევა **პირის გადასაღებად?.** ეს მეტისმეტი თავხედობაა!).

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წ. სექტემბრის
დამლევს — ოქტომბრის დამდეგს
გაგზავნილია ზერენბერგიდან
(შვეიცარია) ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ამხანაგო! დღეს მივიღე კორექტურა (მგონი, უკანასკნელი) და დღესვე დავაბრუნებ. სტატიების განრიგი გაგზავნილია, ასე რომ, იმედი მაქვს, ორმაგი ნომერი (ფასი 20 სანტიმი) მალე გამოვა. მოიწერეთ, თუ სახელდობრ როდის.

ამ ექსპრესს ვწერ ასეთი სასწრაფო საქმის გამო: რუსეთიდან მიღებულია მეტად მნიშვნელოვანი (და ხელსაყრელი) ახალი ამბები. გვინდა ახლავე გამოვცეთ კიდევ ცენტრალური ორგანოს № (ორგვერდიანი), რათა იგი მ ა რ თ ლ ა ც დაუყოვნებლივ გამოვიდეს. თუ, მოლოდინის წინააღმდეგ, ამჯერად შ ე ი ძ ლ ე ბ ა გ ა რ ა ნ ტ ი რ ებულ იქნას, რომ კუზმა და კუზმიხა დაპირებას შეასრულებენ (ე. ი. ახლავე ხელს მოჰკიდებენ და სრულიად დაუგვიანებლივ გამოუშვებენ), მიდეპეშეთ: «Garanti»*. თუ არა (რაც, ცხადია, უფრო მოსალოდნელია, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ კუზმა, თქვენი მეცადინეობის მიუხედავად, საიმედო არ არის), მაშინ მიდეპეშეთ (Seidenweg. 4 a) «n o n»**[417].

რეფერატის შესახებ ხვალ მოვწერთ.

Salut! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

Uljanow. Seidenweg 4a.[III] . (bei Frau Schneider). Bern.

დაწერილია 1915 წ. 6 ოქტომბერს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — «უზრუნველყოფილია». რ ე დ.

** — (ზაიდენვეგი. 4 a) «ა რ ა». რ ე დ.

ა. მ. კოლონტაის

1915. 22. XI.

ძვირფასო ალექსანდრა მიხეილის ასულო! გულმავიწყობის გამო ვერ მოვათავე წერილი, რომელიც დღეს გამოგიგზავნეთ. აი მისამართი: Mr. C. W. Fitzgerald, Secretary of the «Socialist Propaganda League». 20. Baker Street. 20. Beverly. Mass.*.

მაშასადამე, მე შევცდი, როცა ვთქვი, ის ბოსტონში ცხოვრობს-მეთქი. მაგრამ მის ფურცელში არის ამ ლიგის 18-ვე წევრის მისამართები, მათ შორის იმათიც, ვინც ბოსტონში ცხოვრობს. იმედი მაქვს, თქვენ ყოველივეს იღონებთ, რათა მათ შესახებ ყველაფერი გაიგოთ რაც შეიძლება უფრო დაწვრილებით და შეეცადოთ შექმნათ მათგან (ან მ ა თ გ ა ნ ა ც, ანდა: რომელიმე მათგანისაგან) «ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის» ერთ-ერთი დასაყრდენი პუნქტი ამერიკაში.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

Uljanow. Seidenweg. 4a.III. Bern.

გაგზავნილია ბერნიდან ნიუ-იორკში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — ს. ვ. ფიტცჯერალდი, «სოციალისტური პროპაგანდის ლიგის» მდივანი, ბეიკერის ქ., 20. ბ ი ვ ე რ ლ ე. მ ა ს ა ჩ უ ზ ე ტ ს ი, რ ე დ.

ვ. ა. ძარპინსკის და ს. ნ. რავიჩს

ძვირფასო მეგობრებო! გიგზავნით № 1 ფურცელს[418].

დაგვეხმარეთ გავრცელებაში.

გამომცემლის მისამართი ფურცელზეა (წაშალეთ, პირს რომ გადაიღებთ)[419]. გააცანით ფრანგებს, გილბოს და სხვ.

როგორ მიდის შვეიცარიის რეფერენდუმი? არის თუ არა «სამშობლოს დაცვის» მოწინააღმდეგეთა და დამცველთა ბრძოლის გამოხმაურება (ჟენევაში)[420]?

საუკეთესო სალამი და სურვილები!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წ. ნოემბრის
დამლევს — დეკემბრის დამდეგს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ს. ნ. რავიჩს

ძვ. ამხ. ოლღა! მაპატიეთ, რომ ნაფლეთზე ვწერ.

მე მგონია, რომ თქვენ სწორად მოიქეცით. მართლაც, თუ «ნაშე დელოსთან» კავშირი არ იქნა გაწყვეტილი, ისე ყოველივე დანარჩენი მატყუარობაა. ახლა ეს ცხადზე უცხადესია, როდესაც პიტერში «გაიმარჯვეს» (არჩევნების გაყალბებით) მაბეზღარმა ოკისტებმა შავ რაზმთან შეკავშირებით [421].

რეზოლუციაში დაუმატეთ ყალბი მ ე ო რ ე არჩევნების გაკიცხვა [422]. მოტივებში კი — «თ ა ვ დ ა ც ვ ა შ ი» მონაწილეობის შეუწყნარებლობა, რაკი ომი იმპერიალისტური, ე. ი. დაპყრობითი, ე. ი. მძარცველური, ე. ი. მჩაგვრელური ხასიათისაა (საერთოდ გირჩევთ მოტივირება რაც შეიძლება გულდასმით შეადგინოთ **«სოციალ-დემოკრატის» მიხედვით**, ამასთან საბუთები შეარჩიოთ სათანადო სტატიებიდან და პიტერელი მუშების რეზოლუციებიდან).

წერილს ინესას გადავცემთ.

მაგრად გართმევთ ხელს და ყველას გითვლით სალამს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ერთი თხოვნა: ინესამ გვიამბო, რომ ჟენევაში არის ქალიშვილი, რომელიც A r r a s-ში* ცხოვრობდა. თქვენ მას იცნობთ. იგი კარგად ფლობსო ფრანგულს. იკისრებს თუ არა

* — არასი. ვისზეა ლაპარაკი, გამოურკვეველია. რ ე დ.

თარგმნოს გერმანულიდან ფრანგულად? (როლანდ-ჰოლსტის ჟურნალისათვის, რომელიც აქ ჩვენი მონაწილეობით გამოდის[428]) მუქთად თუ საფასურით? რა საფასურით? გაიგეთ, გეთაყვა.

დაწერილია 1915 წ. 16 დეკემბრამდე
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

დიალექტიკის საკითხისათვის [424]

ერთიანის გაორება და მისი წინააღმდეგობრივი ნაწილების შემეცნება (იხ. ციტატი ფილონიდან ჰერაკლიტეზე ლასალის ჰერაკლიტეს («შემეცნების შესახებ») III ნაწილის დასაწყისში) არის დიალექტიკის **არსი** (ერთ-ერთი «რაობა», ერთ-ერთი ძირითადი, თუ ძირითადი არა, თავისებურება თუ თვისება). სწორედ ასე აყენებს საკითხს ჰეგელიც (არისტოტელე თავის «მეტაფიზიკაში» მუდამ **ტრიალებს** ამის ახლოს და ე ბ რ ძ ვ ი ს ჰერაკლიტეს resp.* ჰერაკლიტესეულ იდეებს).

დიალექტიკის შინაარსის ამ მხარის სისწორე მეცნიერების ისტორიით უნდა შემოწმდეს. დიალექტიკის ამ მხარეს ჩვეულებრივ (მაგალითად, პლეხანოვი) საკმაო ყურადღებას არ აქცევენ: დაპირისპირებულთა იგივეობას იღებენ, როგორც **მაგალითების** ჯამს [«მაგალითად, მარცვალი», «მაგალითად, პირველყოფილი კომუნიზმი». ასევე ენგელსიც. მაგრამ ეს «პოპულარობისათვის»...], და არა როგორც **შემეცნების კანონი** (**და** ობიექტური სამყაროს კანონი).

მათემატიკაში + და —. დიფერენციალი და ინტეგრალი.

მექანიკაში მოქმედება და უკუქმედება.

ფიზიკაში დადებითი და უარყოფითი ელექტროობა.

ქიმიაში ატომების შეერთება და დისოციაცია.

საზოგადოებრივ მეცნიერებაში კლასობრივი ბრძოლა.

---

* — შესაბამისად. რ ე დ.

დაპირისპირებულთა იგივეობა (მათი «ერთიანობა», იქნებ, უფრო სწორია ითქვას? თუმცა ტერმინების — იგივეობისა და ერთიანობის განსხვავება აქ არც ისე არსებითია. გარკვეული აზრით ორივე სწორია) არის წინააღმდეგობრივი, ურთიერთგამომრიცხავი, დაპირისპირებული ტენდენციების ალიარება (აღმოჩენა) ბუნების (მათ შორის აგრეთვე სულისა და საზოგადოების) **ყველა** მოვლენასა და პროცესში. პირობა, რომ სამყაროს ყველა პროცესი შეიმეცნება მათ «თვითმოძრაობაში», მათ სპონტანურ განვითარებაში, მათ ცოცხალ ცხოვრებაში, არის მათი შემეცნება, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობისა. განვითარება არის დაპირისპირებულთა «ბრძოლა». განვითარების (ევოლუციის) ორი ძირითადი (ან ორი შესაძლებელი? ან ორი ისტორიაში შემჩნეული) კონცეფცია: განვითარება როგორც შემცირება და გადიდება, როგორც განმეორება, და განვითარება, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა (ერთიანის გაორება ურთიერთგამომრიცხავ დაპირისპირებულობებად და მათი ურთიერთობა).

მოძრაობის პირველი კონცეფციისას ჩრდილში რჩება **თვითმოძრაობა**, მისი **მამოძრავებელი** ძალა, მისი წყარო, მისი მოტივი (ან ეს წყარო გადაიტანება **გარეთ** — ღმერთი, სუბიექტი etc.). მეორე კონცეფციისას მთავარი ყურადღება ექცევა სწორედ **«თვით»**მოძრაობის წყაროს შემეცნებას.

პირველი კონცეფცია არის მკვდარი, უფერული, მშრალი. მეორე ცხოველმყოფელია. **მხოლოდ** მეორე იძლევა მთელი არსებულის «თვითმოძრაობის» გასაღებს; მხოლოდ იგი იძლევა «ნახტომების», «თანდათანობითობის შეწყვეტის», «დაპირისპირებულობად გადაქცევის», ძველის მოსპობისა და ახლის წარმოშობის გასაღებს.

დაპირისპირებულთა ერთიანობა (თანადამთხვევა, იგივეობა, ტოლქმედება) პირობითია, დროებითია, წარმავალია, რელატიურია. ურთიერთგამომრიცხავ დაპირისპირებულთა ბრძოლა აბსოლუტურია, როგორც აბსოლუტურია განვითარება, მოძრაობა.

N B: სუბიექტივიზმის (სკეპტიციზმისა და სოფისტიკის etc.) განსხვავება დიალექტიკისაგან, სხვათა შორის, ისაა, რომ (ობიექტურ) დიალექტიკაში რელატიურსა და აბსოლუტურს შორის განსხვავებაც კი შეფარდებითია (რელატიურია). ობიექტური დიალექტიკისათვის რელატიურში არის აბსოლუტური. სუბიექტივიზმისა და სოფისტიკისათვის რელატიური მხოლოდ რელატიურია და გამორიცხავს აბსოლუტურს.

მარქსს «კაპიტალში» ჯერ გაანალიზებული აქვს სულ მარტივი, ჩვეულებრივი, ძირითადი, ყველაზე მასობრივი, ყველაზე ყოველდღიური, ის, რაც მილიარდჯერ გვხვდება, ბურჟუაზიული (საქონელმწარმოებელი) საზოგადოების ურთიერთობა: საქონელგაცვლა. ანალიზი ააშკარავებს ამ უმარტივეს მოვლენაში (ბურჟუაზიული საზოგადოების ამ «უჯრედში») თანამედროვე საზოგადოების **ყველა** წინააღმდეგობას (resp. ყველა წინააღმდეგობის ჩანასახებს). შემდგომი გადმოცემა გვიჩვენებს ამ წინააღმდეგობათა და ამ საზოგადოების განვითარებას (ზრდასაც და მოძრაობასაც) მის ცალკეულ ნაწილთა Σ-ში,* მისი დასაწყისიდან მის დასასრულამდე.

ასეთივე უნდა იყოს საერთოდ დიალექტიკის გადმოცემის (resp. შესწავლის) მეთოდი (ვინაიდან ბურჟუაზიული საზოგადოების დიალექტიკა მარქსთან დიალექტიკის მხოლოდ კერძო შემთხვევაა). დავიწყოთ სულ მარტივიდან, ჩვეულებრივიდან, მასობრივიდან etc., **რომელიც გინდა** წინადადებიდან: ხის ფოთლები მწვანეა; ივანე ადამიანია; ცუგრია ძაღლია და მისთ. უკვე აქ (როგორც გენიალურად შენიშნა ჰეგელმა) არის დიალექტიკა **ცალკეული არის ზოგადი** (შდრ. Aristoteles, Metaphysik**, თარგმ. შვეგლერისა. Bd. II, S. 40, 3 Buch, 4 Kapitel, 8—9***: «denn natürlich kann

* — ბერძნული ასო «სიგმა», იხმარება მათემატიკაში ჯამის აღსანიშნავად. რ ე დ.

** — არისტოტელე. მეტაფიზიკა. რ ე დ.

*** — ტ. II, გვ. 40, მე-3 წიგნი, მე-4 თავი, 8 — 9. რ ე დ.

man nicht der Meinung sein, daß es ein Haus,—საერთოდ სახლი — gebe ausser den sichtbaren Häusern», «οὐ γὰρ ἂν θείημεν εἶναί τινα οἰκίαν παρὰ τὰς τινὰς οἰκίας» * მაშასადამე, დაპირისპირებულნი (ცალკეული უპირისპირდება ზოგადს) იგივეობითია: ცალკეული არ არსებობს სხვაგვარად, თუ არა იმ კავშირში, რომელსაც ზოგადამდე მივყავართ. ზოგადი არსებობს მხოლოდ ცალკეულში, ცალკეულის მეშვეობით. ყოველი ცალკეული არის (ესე თუ ისე) ზოგადი. ყოველი ზოგადი არის ცალკეულის (ნაწილაკი ან მხარე ან არსი). ყოველი ზოგადი მხოლოდ დაახლოებით მოიცავს ყველა ცალკეულ საგანს. ყოველი ცალკეული არასრულად შედის ზოგადში და ა. შ. და ა. შ. ყოველი ცალკეული ათასი გადასვლებით დაკავშირებულია სხვა **გ ვ ა რ ე ო ბ ი ს** ცალკეულებთან (საგნებთან, მოვლენებთან, პროცესებთან) და ა. შ. **უ კ ვ ე** აქ არის ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი ს, ბუნების ობიექტური კავშირის etc. ელემენტები, ჩანასახები, ცნებები. შემთხვევითი და აუცილებელი, მოვლენა და არსი აქ უკვე მოიპოვება, ვინაიდან როცა ვამბობთ: ივანე ადამიანია, ცუგრია ძაღლია, ე ს ხ ის ფოთოლია და ა. შ., ჩვენ უ კ უ ვ ა გ დ ე ბ თ რიგ ნიშნებს, როგორც შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ე ბ ს, ჩვენ გამოვყოფთ არსებითს მოვლენილისაგან და ერთიმეორეს ვუპირისპირებთ.

ამრიგად, ყ ო ვ ე ლ წინადადებაში შეგვიძლია (და უნდა) აღმოვაჩინოთ, როგორც «უჯრედში», დიალექტიკის ყ ო ვ ე ლ ა ელემენტის ჩანასახები და ამგვარად ცხადვყოთ, რომ ადამიანის მთელ შემეცნებას საერთოდ ახასიათებს დიალექტიკა. ბუნებისმეტყველება კი გვიჩვენებს (ეს ისევ უნდა ცხადვყოთ რ ო მ ე ლ ი ც გ ი ნ დ ა თ უმარტივესი მაგალითით) ობიექტურ ბუნებას იმავე თვისებებით, ცალკეულის გადაქცევას ზოგადად, შემთხვევითისა აუცილებლად, დაპირისპირებულთა გადასვლებს, ნაირსახეობებს, ურთიერთკავშირს. დიალექტიკა ა რ ი ს ს წ ო რ ე დ (ჰეგელის და) მარქსიზმის შემეცნების თე-

* — ჩვენ ხომ არ შეგვიძლია დავუშვათ, რომ არის რაღაც სახლი (ზოგადად) ცალკეული სახლების გვერდით. რ ე დ.

ორია: აი საქმის რა «მხარისათვის» (ეს საქმის «მხარე» კი არა, საქმის ა რ ს ი ა) არ მიუქცევია ყურადღება პლეხანოვს, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა მარქსისტებზე.

* * *

შემეცნება წრეების რიგის სახით წარმოდგენილი აქვს ჰეგელსაც (იხ. ლოგიკა) — ბუნებისმეტყველების თანამედროვე «გნოსეოლოგსაც», ეკლექტიკოსს, ჰეგელელობის მტერს (რომელიც მან ვერ გაიგო!) Paul Volkmann-ს (იხ. მისი Erkenntnistheoretische Grundzüge*, S.).

«წრეები» ფილოსოფიაში: [სავალდებულოა თუ არა პ ი რ თ ა ქრონოლოგია? არა!]
ანტიკური: დემოკრიტედან პლატონამდე და ჰერაკლიტეს დიალექტიკამდე.
აღორძინება: დეკარტე versus** Gassendi (Spinoza?).
ახალი: ჰოლბახი — ჰეგელი (ბერკლის, იუმის, კანტის განვლით).
ჰეგელი — ფოიერბახი — მარქსი.

დიალექტიკა როგორც ც ო ც ხ ა ლ ი, მრავალმხრივი (მხარეთა რიცხვი მუდამ მატულობს) შემეცნება სინამდვილესთან ყოველგვარი მიდგომის, მიახლოვების უამრავი ელფერით (ფილოსოფიური სისტემით, რომელიც თვითეული ელფერიდან მთელად იზრდება) — აი განუზომლად მდიდარი შინაარსი «მეტაფიზიკურ» მატერიალიზმთან შედარებით, რომლის ძირითადი უ ბ ე დ ურ ე ბ ა ა უუნარობა მიუყენოს დიალექტიკა Bildertheorie-ს***, შემეცნების პროცესსა და განვითარებას.

* — P. Volkmann. «Erkenntnistheoretische Grundzüge der Naturwissenschaft»—პ. ფოლკმანი. «საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა» შემეცნების თეორია». სპბ., 1911. რ ე დ.

** — მიმართ, მიმართულებით, რ ე დ.

*** — ასახვის თეორია. რ ე დ.

ფილოსოფიური იდეალიზმი მ ხ ო ლ ო დ ჩმახვაა ტლანქი, მარტივი, მეტაფიზიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით. პირიქით, დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი მატერიალიზმის თვალსაზრისით ფილოსოფიური იდეალიზმი არის შემეცნების ერთი ხაზის, მხარის, მიჯნის ც ა ლ მ ხ რ ი ვ ი, გაზვიადებული, überschwengliches* (Dietzgen) განვითარება (გაბერვა, გასივება) მატერიას, ბუნებას მ ო წ ყ ვ ე ტ ი ლ, გაღმერთებულ აბსოლუტად. იდეალიზმი არის ხუცობა. სწორია. მაგრამ ფილოსოფიური იდეალიზმი არის **(«უფრო სწორად»** და **«გარდა ამისა»)** გ ზ ა ხუცობისაკენ ადამიანის უსასრულოდ რთული (დიალექტიკური) **შემეცნებისა ერთ-ერთი ელფერის** მ ე შ ვ ე ო ბ ი თ.

NB

ეს აფორიზმია

ადამიანის შემეცნება არ არის (resp. არ მიიმართება) პირდაპირი ხაზი, არამედ მრუდი ხაზია, რომელიც უსასრულოდ უახლოვდება წრეების რიგს, სპირალს. ამ მრუდი ხაზის ყოველი ნაწყვეტი, ნატეხი, ნაჭერი შეიძლება გადაქცეულ იქნეს (ცალმხრივად გადაქცეულ იქნეს) თვითმყოფ, მრთელ, სწორ ხაზად, რომელსაც (თუ ქვების გამო რიყე ვერ შეამჩნიეთ) მივყავართ მაშინ ჭაობისაკენ, ხუცობისაკენ (სადაც მას **განამტკიცებს** გაბატონებული კლასების კლასობრივი ინტერესი). სწორხაზოვნობა და ცალმხრიობა, გახევებულობა და გაშეშებულობა, სუბიექტივიზმი და სუბიექტური სიბრმავე voilà** იდეალიზმის გნოსეოლოგიური ფესვები. ხუცობას კი (=ფილოსოფიურ იდეალიზმს), რა თქმა უნდა, აქვს გ ნ ო ს ე ო ლ ო გ ი უ რ ი ფესვები, იგი უნიადაგო არ არის, იგი, უდავოდ, ფ უ ჭ ყ ვ ა ვ ი ლ ა ა, მაგრამ ისეთი ფუჭყვავილა, რომელიც ადამიანის ცოცხალი, ნაყოფიერი, ჭეშმარიტი, მძლავრი, ყოვლისშემძლე, ობიექტური, აბსოლუტური შემეცნების ცოცხალ ხეზე იზრდება.

დაწერილია 1915 წ.

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ჟურნალ «ბოლშევიკში» № 5—6

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — მეტისმეტი, განუსაზღვრელი. რ ე დ.
** — აი. რ ე დ.

1916 წ.

ჰენრიეტა როლანდ-ჰოლსტს

პატივცემულო ამხანაგო!

ამხ. რადეკმა ეს-ეს არის გვიჩვენა ამხ. პანეკუკის წერილი და «შესავალი».

ეს წერილი და «შესავალი» არსებითად ცვლიან წინათ მიღებულ «ობოზრენიეს»[425] კონსტიტუციას. წინათ შეთანხმებული ვიყავით, რომ «ობოზრენიე» გამოვიდოდა როგორც ორი ჯგუფის ორგანო, სახელდობრ: 1) როლანდ-ჰოლსტის და ტროცკისა (ან როლანდ-ჰოლსტისა და მისი მეგობრებისა უტროცკოდ, თუ ტროცკი შესვლას არ მოისურვებდა), 2) ციმერვალდის მემარცხენეთა ჯგუფისა (რომლის ბიურო შედგება სამი ამხანაგისაგან: რადეკისა, ლენინისა და ზინოვიევისაგან). ამხ. პანეკუკი ამ მეორე ჯგუფის წარმომადგენლად იყო დანიშნული.

ახლა ზემოაღნიშნული დოკუმენტები (წერილი და «შესავალი») ცვლიან კონსტიტუციას: «ობოზრენიე» გამოდის როგორც **ორი ამხანაგის** — პანეკუკისა და როლანდ-ჰოლსტის ორგანო.

თუ ამხ. პანეკუკმა და როლანდ-ჰოლსტმა გადაწყვიტეს მოახდინონ ეს ცვლილება, ჩვენ ამას ცნობად ვიღებთ. «ობოზრენიეს» მესაკუთრეს სრული უფლება ჰქონდა მოეხდინა ეს ცვლილება.

ჩვენ უარს არ ვამბობთ თანამშრომლობაზე ამ ახალ პირობებში, მაგრამ გარკვეული გარანტიები უნდა მოვითხოვოთ. «ობოზრენიე» პირველად გამოდის როგორც ციმერვალდის მემარცხენეთა ორგანო ან «ციმერვალდის მემარცხენეთა პლატფორმაზე». ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის ყველა წევრის

მიერ (გარდა პლატენისა), რომლებიც ციმერვალდში იყვნენ, ჩვენ არ ჩ ე ულ ი ვართ ამ მემარცხენე ჯგუფის წარმომადგენლად. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, — და ამ პუნქტში სამივე ერთხმივ გადაწყვეტილებამდე მივედით — რომ ეს გარანტია თავისთავად იგულისხმება და თქვენ მიერ უეჭველად იქნება მოცემული. გარანტია იმაში მდგომარეობს, რომ, თუ ჩვენ შორის პრინციპული უთანხმოება წამოიჭრება, მაშინ სტატიის, რომელსაც... რსდმპ ცენტრალური კომიტეტი (წარმომადგენელი...), რედაქცია...*

დაწერილია 1916 წ. 21 იანვრამდე

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

---

* — აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

მ. მ. ხარიტონოვს

ძვირფასო ამხანაგო! ძალიან მინდა ერთი შრომისათვის ჩავიდე ციურიხში 2 — 3 კვირით, რათა ბიბლიოთეკებში ვიმუშაო[426]. ცოლსაც ასევე უნდა. ჯერჯერობით ქაღალდები არა გვაქვს, მაგრამ იმედი გვაქვს მალე მივიღოთ. საკითხი ის არის, შეეძლებთ თუ არა გადავლახოთ ფინანსური სიძნელენი. ძალიან გთხოვთ მიპასუხოთ გულახდილად და გ ა უ ზ ვ ი ა დ ე ბ ლ ა დ შემდეგ კითხვებზე:

1) რამდენი შეიძლება მოგვცეს წ მ ი ნ დ ა შემოსავალი (ე. ი. ჩემთვის) რეფერატმა? Minimum და maximum? თემა: «ორი ინტერნაციონალი»: მზარდი დაყოფა და გათიშვა სოციალ შოვინისტებთან მთელ მსოფლიოში. შეიძლება თუ არა გავადიდოთ შემოსავალი ორი რეფერატით და რამდენად[427]? 2) დაგვეხმარებიან თუ არა ადგილობრივი ამხანაგები მოვეწყოთ ორივენი იაფად და რამდენი ეღირება 3) ოთახი (ორისათვის, თუნდაც ერთი საწოლით) **კვირაში?** ყველაზე იაფი, სასურველია მუშის ოჯახში? 4) სადილი სასადილოში, თუ ასეთი არის (აქ ვიხდით 65 სანტიმს სტუდენტთა სასადილოში). 5) Morgenkafee* და ყავა საღამოს, ვინაიდან ციურიხში, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ შეეძლებთ ოჯახურად მოვეწყოთ?

გზის ხარჯი იქნება 7×4=28 frs.; გადახარჯვაუცხო ქალაქში ცხოვრებაზე? საკითხიც ეს არის. აქ ცუდადაა საქმე ოთახე-

---

* — დილის საუზმე. რ ე დ.

ბის მხრივ. ხომ არ გყავთ ნაცნობი მუშის ოჯახი, რომელიც სერიოზულად შეგვპირდებოდა იაფად მოწყობას?

ძალიან მადლობელი ვიქნები გულახდილი პასუხისათვის, ოღონდ გაზვიადებული დაპირებები არ იყოს.

Beste Grüße *!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ხომ არ იშოვება იაფი ავტომატები და მისთ. და რა ფასებია მანდ?

დაწერილია 1916 წ. 27 იანვარს
გაგზავნილია ბერნიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — საუკეთესო სალამი! რ ე დ.

მ. მ. ხარიტონოვს

ძვირფასო ამხანაგო! დიდად გმადლობთ სწრაფი და დაწვრილებითი პასუხისათვის. ჩვენ 4 თებერვალს ჩამოვალთ. თუ შესაძლებელია, გვიშოვეთ ოთახი, რომელიც **კვირეულად** ქ ი რ ა ვ დ ე ბ ა ო რ ი ს ა თ ვ ი ს, დღეში 1 fr. უფრო ძვირი არ უნდა იყოს. ყოველივეს სჯობია **უ ბ რ ა ლ ო** მუშის ოჯახში (ღუმელით: იქნება ჯერ კიდევ ცივა).

თუ არ შეიძლება, იქნებ მიგვითითებთ ი ა ფ ოტელზე (1 fr. დღეში და უფრო იაფიც კი), სადაც ჩვენ მოვეწყობოდით. ვიდრე თვითონ მოვნახავთ ოთახს. რეფერატის ვადისა და სხვ. შესახებ შევთანხმდებით.

იმედია, ორშაბათს დილას მექნება თქვენგან ფულადი გზავნილი (სახარჯოდ: ე ქ ს პ რ ე ს ი და მისთ. ფოსტა საერთოდ etc. აიღეთ ფული განსაკუთრებული ანგარიშით, რადგან ჩვენ მას დავფარავთ).

Beste Grüße!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

Uljanow. Seidenweg. 4-*a*. Bern.

დაწერილია 1916 წ. 29 იანვარს
გაგზავნილია ბერნიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ა. მ. გორკის

ა. მ. გორკისათვის

დიდად პატივცემულო ალექსი მაქსიმეს-ძევ!

გიგზავნით დაზღვეული ბანდეროლით ჩემი ცოლის ბროშურას: «სახალხო განათლება და დემოკრატია»[428].

ავტორი დიდი ხანია მუშაობს პედაგოგიკაში, 20 წელზე მეტია. ბროშურაში შეგროვილია როგორც პირადი დაკვირვებანი, ისე მასალები ევროპისა და ამერიკის ახალი სკოლის შესახებ. სათაურიდან დაინახავთ, რომ მოცემულია აგრეთვე, პირველ ნახევარში, დემოკრატიულ შეხედულებათა ისტორიის ნარკვევი. ესეც მეტად საგულისხმოა, ვინაიდან წარსულის დიდი დემოკრატების შეხედულებებს ჩვეულებრივ არასწორად ან არასწორი თვალსაზრისით გადმოგვცემენ. არ ვიცი, შეგიძლიათ თუ არა თვითონ მოიცალოთ წასაკითხავად და გაინტერესებთ თუ არა; §§ 2 და 12 ნიმუშად გამოდგებოდა, უახლესი, იმპერიალისტური ეპოქის სკოლაში შეტანილი ცვლილებები გადმოცემულია უკანასკნელი წლების მასალების მიხედვით და მეტად საინტერესო გაშუქებას იძლევიან რუსეთის დემოკრატიისათვის.

ძალიან დამავალებთ, თუ ხელს შეუწყობთ — პირდაპირ თუ არაპირდაპირ — ამ ბროშურის გამოცემას. ამ დარგის

ლიტერატურის მოთხოვნა, ალბათ, ძალიან გაიზარდა ახლა რუსეთში.

საუკეთესო სალამი და სურვილები.

ვ. ულიანოვი

Wl. Uljanow. Seidenweg. 4-a. Bern.

დაწერილია 1916 წ. 8 თებერვალზე
ადრე
გაგზავნილია ბერნიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში III

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ს. ნ. რავიჩს

ძვირ. ამხ.! გაცნობებთ ჩვენს ახალ მისამართს. ამ მისამართით გვიგზავნეთ, გეთაყვა, **ყველაფერი.** ჩვენ ეს ბინა ერთი თვით დავიქირავეთ. ხუთშაბათს (17. II) აქ ვკითხულობ პირველ რეფერატს («ორი ინტერნაციონალი»), რამდენიმე ხნის შემდეგ კი — მეორეს («ზავის პირობები და ეროვნული საკითხი» ან რაიმე ამდაგვარი).

მომწერეთ, გეთაყვა, როდის შეიძლება წავიკითხო რეფერატი (პირველი თუ ორივე?) ჟენევაში და ანაზღაურდება თუ არა ხარჯი? რამდენი შეიძლება მოგვცეს, minimum წმინდა შემოსავალი? ეს უნდა ვიცოდე, რადგან ძალიან ქესატად ვარ და ზედმიწევნით უნდა გავიანგარიშო, წავიდე აქედან (დიდი ხარჯია საჭირო) თუ უკვე ბერნიდან, უფრო გვიან (მე აქ შემიძლია თვეზე მეტხანს დავყო, თუ მომეწონა). თქვენგან დაწვრილებითსა და ავტორიტეტულ მითითებებს დაველოდები. იქნებ, ლოზანაშიც მისწეროთ, ღირს თუ არა იქ ერთი საღამოთი ჩასვლა.

გართმევთ ხელს და გულითად სალამს ვუძღვნი ვ. კ. და ყველა მეგობარს.

თქვენი ვ. უ.

ნადია დიდად მოგიკითხავთ.

Uljanow (bei Frau Prelog) 7.I Geigergasse. 7.I Zürich. I.

დაწერილია 1916 წ. 13 თებერვალს
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ს. ნ. რავიჩს

ძვირ. ამხ.! დიდი მადლობა დაწვრილებითი ცნობებისათვის.

აქ მე დასაქმებული ვარ 25 და 26 თებერვალს [429].

მაშ, **თვითონ** დანიშნეთ, გეთაყვა, რეფერატის დღე ან 25-მდე ან 26-ის შემდეგ და წინასწარ მაცნობეთ[430]. ძალიან გთხოვთ აგრეთვე მისწეროთ ლოზანაში, ასე რომ **2 დღეში** მოვათავო ყველაფერი, ე. ი. წავიკითხო ლოზანაში ან ჟენევის წინადღეს ან მეორე დღეს ჟენევის შემდეგ.

თანახმა ვარ თემაზე: ««ზავის პირობები» (ბრჭყალებში) და ეროვნული საკითხი». მაშ, ეს თემა დამტკიცებულია. გართმევთ ხელს. სალამი ვ. კ. და ყველა მეგობარს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

არის ჩემთვის მოხერხებული მატარებელი; ჟენევაში ჩადის 9.15 **საღამოს**. ხომ არ შეიძლება ამ მატარებლით ჩამოვიდე? თუ არა, ხომ არ შეიძლება ლოზანაში **წინადღეს** წავიკითხო[431]? გთხოვთ!!!

დაწერილია 1916 წ. 17 თებერვალს
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.! ნება მომეცით შეგაწუხოთ ასეთი თხოვნით. მინდა მქონდეს რეფერატისათვის პარიზის «გოლოსის» («ნაშე სლოვოს» წინამორბედის) ის ნომერი, სადაც ს ე მ კ ო ვ ს კ ი მეკამათებოდა ერების თვითგამორკვევის საკითხის გამო და ერთ შ ე ნ ი შ ვ ნ ა შ ი (მახსოვს, რომ ეს იყო შენიშვნა) საგანგებოდ ეხებოდა ერების გამოყოფის უფლების შ ე დ ა რ ე ბ ა ს გ ა ყ რ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს თ ა ნ[452]. ამ ნომერს დაგიბრუნებდით, როგორც კი მოითხოვდით. თუ ამ ნომრის გამოგზავნა შეუძლებელია, ხომ არ შეიძლება გადმოწეროთ შენიშვნა (იგი პატარაა). იქნებ, თქვენთან ბიბლიოთეკაში არის ან ვინმეს ჟენევაში აქვს «გოლოსის» კომპლექტი? მე აქ ზეგ, შაბათს, ვკითხულობ. ამიტომ, თუ არ შეიძლება გამოიგზავნოს ისე, რომ შაბათ დილას მქონდეს, მაშინ სულაც არ ღირს გამოგზავნა.

სალამი და ნახვამდის!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

Uljanow. Spiegelgasse. 12 (Schuhladen Kammerer) Zürich. I.

დაწერილია 1916 წ. 24 თებერვალს
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ს. ნ. რავიჩს

ძვირ. ამხ.! მომხდარი თათბირის შესახებ კლუბში წაკითხვა შეუძლებელია, რადგან გახმაურება გამოვა. რისაც თათბირის ორგანიზატორებს უფრო მეტად ეშინიათ, ვიდრე ცეცხლისა. და მათ საგანგებოდ გვთხოვეს ამას ყოველნაირად ავარიდოთ თავი[433]. მაშასადამე, თემა უნდა შეიცვალოს. ნათლად ვერ წარმომიდგენია, **ვინ** იქნება ინტერნაციონალურ კლუბში[434], და ამიტომ თემის ამორჩევა მიძნელდება. წინადადებას ვიძლევი ასე მოვიქცეთ: თუ სავალდებულოა თემის წინასწარ დასახელება, აირჩიეთ არაფრისმთქმელი სათაური («სადღეისო თემებზე» ან «მუშათა მოძრაობის მორიგი საკითხები» და მისთ.), რათა ამას **ყველაფერი** მიუდგებოდეს. მე კი მოვითათბირებ ჟენევაში და მოვამზადებ 2-ის დილისათვის **პატარა** მოხსენებას ან დისკუსიის შესავალს.

Au revoir*!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

Uljanow. Spiegelgasse. 12. Zürich.

დაწერილია 1916 წ. 27 თებერვალს
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* — ნახვამდის! რ ე დ.

ი. ლარინს

ი. ლარინისათვის

პატივცემულო ამხანაგო!

სამწუხაროდ, თანამშრომელთა შემადგენლობაც, კრებულის გამოურკვეველი ხასიათიც, თანამშრომელთათვის შემზღუდველი პირობებიც და მათი ნაწილის უცნობობაც, ყოველივე ეს მაიძულებს უარი ვთქვა მონაწილეობაზე[435].

სოციალ-დემოკრატიული სალამით

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წ. 13 მარტს
გაგზავნილია ციურიხიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ა. მ. კოლონტაის

1916. 19. III.

ძვირფასო ა. მ.! მივიღეთ თქვენი წერილი და ერთხელ-კიდევ მოგილოცავთ წარმატებას.

საშინლად ვბრაზობდი, რომ «კეთილშობილმა» საფრანგეთმა კონფისკაცია უყო (ფაქტია!) ამერიკაში გასაგზავნ რიგ ჩემ დაზღვეულ წერილებს თქვენდამი. რა გაეწყობა. ახლა თქვენ მთელი ძალღონით უნდა დააწვეთ ამერიკასთან ურთიერთობას.

თქვენ ხომ მწერდით, რომ გერმანულ ენაზე გამოსული «Internationales Flugblatt» № 1 მიიღეთ ამერიკაში და რომ შეეცდებით გამოსცეთ იგი ინგლისურად[436]! ახლა კი კრინტსაც არ სძრავთ ამაზე??

რას ნიშნავს ეს?!

ნუთუ ამერიკაში არ აღმოჩნდნენ თანამგრძნობნი და არ შეიძლებოდა გამოცემულიყო «Internationales Flugblatt» ინგლისურად????

დაუჯერებელია!

მაგრამ თუ ყოველივე ეს მაინც ასეა, უნდა გამოვცეთ ნორვეგიაში (ინგლისურად). ხელს მოჰკიდებთ თუ არა თარგმნას და რა დაჯდება გამოცემა?

შემდეგ გწერდით ამერიკის მისამართით, რომ Boston Mass.-დან * მივიღე ფურცელი «Socialist Propaganda

---

* — ბოსტონი, მასაჩუზეტსი. რედ.

League»* (ხელმოწერა: 20 სოციალისტი მ ი ს ა მ ა რ თ ე-ბ ი თ, მეტწილად Massachusets-იდან). ეს ლიგა ინტერნაციონალისტურია, ისეთი პროგრამით, რომელიც აშკარად მარცხნივ იხრება.

მე მათ გავუგზავნე უ ზ ა რ მ ა ზ ა რ ი ინგლისური წერილი[437] (და «Internationales Flugblatt» გერმანულად). პასუხი არ არის. «კეთილშობილმა» საფრანგეთმა მოახდინა კონფისკაცია?

თუ თქვენ ა რ მიგიღიათ და არაფერი ა რ იცით მათ შესახებ, გამოგიგზავნით მათს მისამართს და ჩემი წერილის პირს. იკისრებთ ამერიკაში გადაგზავნას?

მაგრამ Socialist **Labour** Party**? ისინი ხომ ინტერნაციონალისტები არიან (თუმცა ვიწრო, სექტანტური სულისკვეთებით). მიუტანეს თუ არა მათ «Internationales Flugblatt»? ვაქვთ თუ არა თქვენ **მათთან** ურთიერთობა??

შემდეგ. თქვენ გვწერდით, Charles Kerr.-თან მოლაპარაკება დ ა ვ ი წ ყ ე ო. შედეგი? ვითომდა შეგპირდათ, რომ ჩვენი (ლენინისა და ზინოვიევის) ბროშურის **ნაწილს** დაბეჭდავდა.

ახლა კი თქვენ დუმხართ ამაზე... როგორ გავიგოთ ეს[438]?

«Internationale Korrespondenz»[439] იუწყებოდა, რომ «New Review»-მ*** ამერიკაში ხელი მოჰკიდა ციმერვალდის მემარცხენეთა ჯგუფის სტატიების ბეჭდვასო. მართალია ეს? იცნობთ თუ არა «New Review»-ს?

გვიპასუხეთ რაც შეიძლება მალე და დაწვრილებით. ნორვეგიიდან ამერიკაში მიმავალი პ ი რ დ ა პ ი რ ი საფოსტო გემების შესახებ თქვენ, ცხადია, არქიდაწვრილებით შეიტყობთ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს.

ჰეგლუნდისა და ნორვეგიელების შესახებ დ ღ ე მ დ ე ვერაფერი ვერ გავიგე. მიიღეს თუ არა მათ «Internationales Flugblatt», გამოსცეს თუ არა იგი შვედურად და ნორვეგუ-

* — «სოციალისტური პროპაგანდის ლიგა». რ ე დ.
** — სოციალისტური **მუშათა** პარტია. რ ე დ.
*** — «ახალი მიმოხილვა». რ ი ო

ლად, შეუერთდნენ თუ არა ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფს ოფიციალურად (ისე, როგორც როლანდ-ჰოლსტის «Rev. Soc. Verband»* შეუერთდა)? თუ კაცი ხარ, გაისარჯეთ, გაიგეთ, მიაღწიეთ, გამოლანძღეთ, აიძულეთ, თვალყური დაიჭირეთ! დაე ბუხარინმა გაცნობოთ ის, რაც მას მივწერეთ განსაკუთრებული წერილით ციმერვალდელთა შესახებ, თქვენ კი თვალი ადევნეთ შესრულებას.

სალამი! თქვენი ლენინი

მისამართი: Herrn Uljanow (Schuhladen Kammerer). Spiegelgasse. 12. *Zürich* I.

P S. რა საინტერესო წიგნები და ბროშურები ჩამოიტანეთ? შლიუტერის ჩარტიზმის ისტორია? კიდევ რა?

P S. გიგზავნით ჩვენს «თეზისებს» (№ 2 «Vorbote»-დან). შეასმენინეთ ეს სკანდინავიელებს.

გაგზავნილია ციურიხიდან ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — «რევოლუციური სოციალისტური კავშირი». **რ ე დ.**

ა. მ. კოლონტაის

ძვირფასო ა. მ.! დიდად გმადლობთ თქვენი წერილისათვის. «Socialist Propaganda League»-ის მისამართს გამოგიგზავნით, თუ იგი ბერნში არ დამრჩა: მაშინ უკვე ბერნიდან გამოგიგზავნით (ე. ი. 2—3 კვირის შემდეგ).

უარს ხომ არ იტყვის «Appeal to Reason»* გადაბეჭდოს № 1 «Internationales Flugblatt»? განა ღირს ვცადოთ?

Socialist **Labour** Party დათანხმდება კი გამოსცეს **ჩვენი** ფულით? წყალწაღებული სექტანტები არიან ეს ადამიანები თუ არა? გაქვთ თუ არა მათთან კავშირურთიერთობა? რატომ არ გვიგზავნიან ჩვენ Internationale Sozialistische Kommission-ში** წარდგენილი თავიანთი ქაღალდების პირს? (ნაწილი შემთხვევით ვნახე) თუ ისინი თავიანთი «idée fixe»-ის*** მანიაკები არიან მუშათა განსაკუთრებული «ეკონომიური» ორგანიზაციის მიმართ?

ვვეკითხებით, რამდენად სასურველია, რომ კონფერენციაზე ოფიციალურად გზავნიდეს თავის წარმომადგენელს ნორვეგიელთა პარტია? რა თქმა უნდა, 1000-ჯერ სჯობია შეგნებული და საზრიანი **მემარცხენე** ახალგაზრდობისაგან, ვიდრე მემარჯვენე ან 1/2-კაუცკელი პარტიისაგან.

ეს ცხადია. თუ შესაძლებელია, გავლენა მოახდინეთ ამ მიმართულებით.

---

* — «მოწოდება გონებისადმი». რ ე დ.

** — ინტერნაციონალური სოციალისტური კომისია. რ ე დ.

*** — «აკვიატებული იდეა». რ ე დ.

მეტად და მეტად მწყინს, რომ ჩვენ ერთმანეთს არ ვეთანხმებით თვითგამორკვევის საკითხის გამო. მოდით, ვცადოთ საფუძვლიანად ვიდაოთ **კინკლაობის დაუშვებლად** (რასაც ჩვენ ზოგი ვინმე მთელი ძალღონით გვიმზადებს ამ საკითხის გამო)[440]... Entre nous*: იქნებ, ალექსანდრემ გიჩვენოთ ჩემი პასუხი ნ. ი. ბუხარინის შენიშვნებზე (ეს განხეთქილება ჯერჯერობით უმკაცრესად უნდა დარჩეს სულ ვიწრო წრეში, მაგრამ თქვენს დისკრეტულობას ვენდობი).

ეს საკითხი («თვითგამორკვევა») უაღრესად მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, იგი გ ა ნ უ ხ რ ე ლ ა დ დაკავშირებულია **ა ნ ე ქ ს ი ე ბ ი ს** საკითხთან.

მაგრად გართმევთ ხელს და გითვლით საუკეთესო სალამს!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ალექსანდრეს ამ დღეებში ვრცელი წერილი გავუგზავნე. მიიღო თუ არა?

დაწერილია 1916 წ. მარტში
გაგზავნილია ციურიხიდან ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — ჩვენს შორის დარჩეს. რ ე დ.

ა. გ. შლიაპნიკოვს

ძვირფასო ალექსანდრე! გუშინ მოკლედ მოგწერეთ, დღეს მინდა კიდევ მოგელაპარაკოთ.

იაპონელთა[441] «პირობებმა» გულის სიღრმემდე აღმაშფოთეს. ორ რედაქტორს მიეცეს უფლება შემოიღონ თანამშრომლის დისკუსია!! სამსაც კი არა, არამედ ორს — იმას ნიშნავს, რომ გამომცემელნი არავის არ «ენდობიან», გარდა საკუთარი თავისა[442].

ამ პუნქტის აზრი ცხადია: სურთ რადეკს ამოეფარონ და გააღვივონ ჩვენი უთანხმოებანი მასთან და PSD-თან[443]. ეს დისკუსია კი არ არის, არამედ უაღრესი ინტრიგანობაა, უაღრესი საძაგლობაა. ეს იმას ჰგავს, რომ პარიზში «თავს გვახვევდნენ» დისკუსიას რაპოპორტთან, ან ლევასთან, ან ვიქტორენკოსთან, ან ბოგდანოვთან 1911 წელს!!! გწერდით, რომ პოლონური «გაზეტა რობოტნიჩა» (1916 წ. თებერვალი) ჩვენს წინააღმდეგ სავსებით ისევე გამოდის, როგორც მაშინდელი პარიზელები გამოდიოდნენ.

არასგზით არ წავალ რედაქციაში ამგვარი ინტრიგანობით, რომელიც დისკუსიას ეფარება, თუ გინდათ ხელი შეუწყოთ ჩვენი პარტიის დაშლას, ბატონო იაპონელებო: ჰქენით ეს თქვენი პასუხისმგებლობით. თქვენ ქისა გატენილი გაქვთ. თვითონ გამოეცით რადეკის ან «გაზეტა რობოტნიჩას» «დისკუსია»: მაშინ რუსი მუშები ერთბაშად დაინახავენ, რომ თქვენ ინტრიგანები ხართ და გამოგაგდებენ. თქვენ კი გინდათ ეს საზიზღრობა «კოლექტიური რედაქციის» საფარით გა-

ა ტ ა რ ო თ. უკაცრავად, ამას არ დავთანხმდები და გამხილებთ. აი ჩემი პასუხი იაპონელებს ამის შესახებ.

ასევე «თანასწორუფლებიანობის» გამო (მეშვიდის განდევნა ან მისთვის კენჭის ყრა)[444]. ეს ძველი «თამაშის» გაგრძელებაა. რა შუაშია აქ პარტიულობა: ჩვენ «თანასწორუფლებიანობას» მივანიჭებთ ადამიანებს, რომლებმაც უ ა რ ყ ო ფ ი თ ა დ გამოიჩინეს თავი!! რისთვის? თანასწორუფლებიანობა = მუშაობის წახდენის უფლება! რის გულისათვის? რისთვის? კინკლაობის გ ა მ ა რ ა დ ი ს ე ბ ი ს ა თ ვ ი ს?

არა, თუ უნდათ ა ხ ა ლ ი ცდა მოახდინონ, — ავიღოთ ა ხ ა ლ ი ჟურნალი, უფრო სწორად — კ რ ე ბ უ ლ ი, და ვ ც ა დ ო თ (ძველი ნდობა შერყეულია) გამოვუშვათ ერთი კრებული შვიდის რედაქციით. მოვახდინოთ ცდა: ესაა დათმობის მაქსიმუმი, რასაც სინდისით შემიძლია დავთანხმდე, თუ ცდა არ გამართლდა, ბატონი ინტრიგანები და კაპიტალისტები არაფერს კარგავენ, ვინაიდან «ქისის» წართმევა ყოველთვის შეიძლება. ჩვენ კი მაშინ გამოვუშვებთ ჩვენს კრებულს. მარტივია. ნათელია. კინკლაობა არ იქნება.

მაგრამ გართმევთ ხელს და გთხოვთ იყოთ მომთმენი.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წ. მარტ-აპრილში
გაგზავნილია ციურიხიდან ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 7.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წინადადება მეოთხე სოციალისტურ კონფერენციას, რომელსაც იწვევს (ბერნის) ISK*[445]

(თეზისები დღის წესრიგის 5, 6, 7a და 7b და 8 პუნქტების გამო)

ISK-მ, გამოაცხადა რა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოწვევა, გამოაქვეყნა დღის წესრიგის შემდეგი უმნიშვნელოვანესი პუნქტები:

5. «ბრძოლა ომის დამთავრებისათვის»

6. «ზავის საკითხები»

7a. პარლამენტური «აქცია» { «აგიტაცია და
7b. მასობრივი « { პროპაგანდა» }

8. საერთაშორისო სოციალისტური ბიურო.

ISK-მ თხოვა ორგანიზაციებს განეხილათ ეს საკითხები და გამოეგზავნათ თავიანთი წინადადებანი. აი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხი ამ თხოვნაზე:

1. როგორც ყოველი ომი არის მხოლოდ იმ პოლიტიკის გაგრძელება ძალადატანების საშუალებით, რომელსაც მეომარი სახელმწიფოები და იქ გაბატონებული კლასები აწარმოებდნენ ომამდე მრავალი წლის თუ ათეული წლების განმავლობაში, ისე ზავიც, რომლითაც მთავრდება ყოველი ომი, შეიძლება იყოს მხოლოდ აღრიცხვა და ჩაწერა ძალთა იმ

---

* — Internationale Sozialistische Kommission — ინტერნაციონალური სოციალისტური კომისია. რ ე დ.

ნამდვილი ცვლილებებისა, რაც უწყებული ომის შედეგად მიღწეულია.

2. ამიტომ თეორიის თვალსაზრისით, სოციალიზმის მოძღვრების თვალსაზრისით უდიდეს სისულელეს და სიყეყეჩეს, ხოლო პრაქტიკულად მუშათა კლასის უდიდეს მოტყუებას წარმოადგენს ყოველგვარი ლაპარაკი, რომ ეს ომი შეფასდეს თავდაცვისა და თავდასხმის «უბრალო» ცნებათა საფუძველზე და მომავალი ზავი შეფასდეს მტკიცე, დემოკრატიული, საპატიო და მისთ. ზავის შესახებ «უბრალო» ღვთისნიერი სურვილების საფუძველზე.

3. ახლანდელი ომი არის იმპერიალისტური ომი, ე. ი. ომი, რომელიც წარმოშვეს წინაალმდეგობებმა დიდად განვითარებული, მონოპოლისტური, სოციალიზმში გადასვლისათვის მომწიფებული კაპიტალიზმის ნიადაგზე. ეს ომი წარმოებს მსოფლიო ჰეგემონიის გულისათვის, ე. ი. სუსტ ერთა ახალი ჩაგვრის, მსოფლიოს ახალი გაყოფის, კოლონიების, გავლენის სფეროებისა და სხვათა გაყოფის — ისეთი გაყოფის გულისათვის, როდესაც ძველი მძარცველური სახელმწიფოები, ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, თავიანთი ნადავლის წილს დაუთმობდნენ ახალგაზრდა და უფრო ძლიერ მძარცველურ სახელმწიფოს, გერმანიას.

4. ამიტომ, თუ პროლეტარიატის რევოლუცია არ დაამხობს მეომარ «დიდ» სახელმწიფოთა ახლანდელ მთავრობებსა და ახლანდელ გაბატონებულ კლასებს, მაშინ **აბსოლუტურად** შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა **რაიმე სხვანაირი** ზავი, თუ არა იმპერიალისტური სახელმწიფოების მეტნაკლებად ხანმოკლე დაზავება, ზავი, რომელსაც თან სდევს რეაქციის გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ა სახელმწიფოთა შიგნით, ეროვნული ჩაგვრისა და სუსტი ერების დამონების გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ა, ახალი ომების შემამზადებელი ფიცხი მასალის გ ა დ ი დ ე ბ ა და სხვ. და მისთ. ვინაიდან იმ პოლიტიკის ობიექტური შინაარსიდან, რომელიც იმპერიალიზმის მთელმა ეპოქამ წარმოშვა და რომელსაც ატარებდა ყ ვ ე ლ ა მეომარი «დიდი» სახელმწიფოს ბურჟუაზია როგორც **ამ** ომის წინ, ისე **მის** დ რ ო ს ა ც, გარდუვალად

გამომდინარეობს ზავი ერების ახალი და უცუდესი ჩაგვრის საფუძველზე და ა. შ.

5. ხალხის მასებში იმ აზრის თუ იმედის აღძვრა, თითქოს შესაძლებელი იყოს მტკიცე ან დემოკრატიული და მისთ. ზავი ახლანდელ მთავრობებსა და ახლანდელ გაბატონებულ კლასებს შორის (ე. ი. ბურჟუაზიასა და მასთან შეკავშირებულ მემამულეებს შორის), როგორც ამას სჩადის ოფიციალური სოციალისტური პარტიების უმრავლესობა, იმას ნიშნავს, რომ არათუ უსირცხვილოდ მოატყუო ხალხი, არამედ აგრეთვე მიაძინო იგი, ჩამოაშორო რევოლუციურ ბრძოლას, რომელიც ფაქტიურად უკვე იწყება საგაფიცვო და სადემონსტრაციო მოძრაობის სახით.

6. სწორედ ხალხის მოტყუების და რევოლუციური ბრძოლისაგან პროლეტარიატის ჩამოშორების ასეთი ხასიათი აქვს იმ «ზავის პროგრამას», რომელსაც «ერთსულოვნად» აყენებენ ახლა II ინტერნაციონალის ოფიციალური წარმომადგენელი ჰიუისმანსიც ჰოლანდიის Sozialdemokratische Arbeiter Partei-ს* ყრილობაზე Arnhem-ში[446] და II ინტერნაციონალის უგავლენიანესი თეორეტიკოსი, ყველა ქვეყნის სოციალ-პატრიოტებისა და სოციალ-შოვინისტების უგავლენიანესი დამცველი კაუცკიც. მათი პროგრამა მდგომარეობს რამდენიმე დემოკრატიული კეთილი სურვილის სიტყვიერ და თვალთმაქცურ აღიარებაში: ანექსიებისა და კონტრიბუციების უარყოფა, ერების თვითგამორკვევა, საგარეო პოლიტიკის დემოკრატიზაცია, სამედიატორო სასამართლოები სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების გასარჩევად, განიარაღება, ევროპის შეერთებული შტატები და ა. შ. და მისთ.

7. ყველაზე თვალსაჩინო დამადასტურებელი, რომ ეს «ზავის პროგრამა» მთლიანად თვალთმაქცურია, არის, ერთი მხრივ, ის, რომ მას სიტყვიერად აღიარებენ მთელი რიგი ბურჟუაზიული პაციფისტები და მეომარი ქვეყნების დემაგოგი მინისტრები, მეორე მხრივ, მას იმეორებენ აშკარა

* — სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის. რ ე დ.

(notorisch) შოვინისტები მეომარ სახელმწიფოთა როგორც ერთი, ისე მეორე ჯგუფის «სოციალისტთა» კონფერენციებზე ლონდონსა (II. 1915) და ვენაში (IV. 1915)[447]. სწორედ ის «სოციალისტები», რომლებიც შედიან მძარცველური ომის მწარმოებელ ბურჟუაზიულ სამინისტროებში, აძლევდნენ ხმას სამხედრო კრედიტებს, ხელს უწყობდნენ ომს სხვადასხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მონაწილეობით და სხვ., სწორედ ისინი, რომლებიც **სინამდვილეში** ეწევიან ძველი და ახალი ანექსიების დაცვის, კოლონიური ჩაგვრის და სხვ. პოლიტიკას, მთელი მსოფლიოს წინაშე აცხადებენ თავიანთ «ზავის პროგრამას», რაც მდგომარეობს ანექსიების უარყოფაში და ა. შ.

8. თუ II ინტერნაციონალის ყველაზე დიდმა ავტორიტეტმა, კაუცკიმ, მთელი მსოფლიოს წინაშე გამოაცხადა 1915 წ. 21 მაისს («Neue Zeit»), რომ «სოციალისტების» ეს თანხმობა და «ერთსულოვნება» ლონდონსა* და ვენაში ერთა «დამოუკიდებლობისა» თუ თვითგამორკვევის პრინციპის გამო ამტკიცებს II ინტერნაციონალის «ერთსულოვნებას» და «სიცხოველეს» «ზავის პროგრამაში»[448], ყველაზე აღმაშფოთებელი, ყველაზე თავხედური თვალთმაქცობისა და მუშათა მოტყუების ეს დაცვა და სანქცია შემთხვევითი მოვლენა კი არ არის, არამედ სისტემატური პოლიტიკაა, რასაც მთელ რიგ ქვეყნებში ეწევიან ადამიანები, რომლებიც სიტყვიერად «ინტერნაციონალისტებად» ასაღებენ თავს, ნამდვილად კი აფერადებენ იმპერიალისტურ ომს მის მიმართ «სამშობლოს დაცვის» იდეის გამოყენებით და განამტკიცებენ მუშათა მოძრაობაზე სოციალიზმის მოღალატე სოციალ-შოვინისტების ბატონობას მათთან «ერთიანობის» ქადაგებით. ამ პოლიტიკას, რომელიც ყველაზე მავნე და საშიშია მუშათა კლასისათვის, აწარმოებენ კაუცკი, ჰააზე და სხვ. გერმანიაში, ლონგე, პრესმანი და სხვ. საფრანგეთში, ბელადების უმრავლესობა ინგლისში, აქსელროდი, მარტოვი, ჩხეიძე და კომპ. რუსეთში,

* — ხელნაწერში წერის შეცდომაა. «კოპენჰაგენში». რ ე დ.

ტრევესი და სხვ. იტალიაში (იხ. იტალიის პარტიის ცენტრალური ორგანოს «A v a n t i!»-ს მუქარა 1916 წ. 5 მარტის ნომერში, რომ იგი ამხილებს ტრევესს და სხვა «რეფორმისტ პოსიბილისტებს», თუ ვინ «იხმარა ყოველგვარი საშუალება, რათა ხელი შეეშალა პარტიის გამგეობისა და ოდინო მორგარის მოქმედებისათვის, რომელიც მიმართული იყო ციმერვალდის გაერთიანებისა და სულ ახალი ინტერნაციონალისადმი»)[149]. ამ მსოფლიო პოლიტიკას, რომელიც ყველაზე საშიშია მუშათა კლასისათვის, შეიძლება ეწოდოს, მისი ფრიად ავტორიტეტული წარმომადგენლის სახელის მიხედვით, კ ა უ ც კ უ რ ი პოლიტიკა.

9. სოციალისტებს არ შეუძლიათ უარი თქვან რეფორმებისათვის ბრძოლაზე. მათ ხმა უნდა მისცენ, სხვათა შორის, პარლამენტებშიც მასების მდგომარეობის ყოველგვარ, თუნდაც სულ მცირედ, გაუმჯობესებას, მაგალითად, აოხრებული ოლქების მცხოვრებთათვის დახმარების გადიდებას, ეროვნული ჩაგვრის შესუსტებას და მისთ. მაგრამ აშკარაა, რომ ამ ომის და მ ი ს გ ა ნ გამომდინარე ზავის ნიადაგზე ამგვარი რეფორმისტული საქმიანობა მასების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მხოლოდ მინიმალურ ფარგლებშია შესაძლებელი. მასების აღმაშფოთებელი მოტყუება იქნებოდა მათთვის, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, იმ აზრის ჩაგონება, თითქოს შესაძლებელი იყოს ამ ომით დასმული საკითხების რეფორმისტული გადაწყვეტა. ამ ომმა რევოლუციური სიტუაცია შექმნა ევროპაში, დღის წესრიგში დააყენა იმპერიალიზმის უ ძ ი რ ი თ ა დ ე ს ი საკითხები, რომლებიც არ შეიძლება იმპერიალისტურად არ გადაწყვიტონ, თუ არ მოხდა ევროპის ახლანდელი მთავრობებისა და გაბატონებული კლასების რევოლუციური დამხობა. ამიტომ მტკიცე და დემოკრატიული ზავისათვის ბრძოლაში სოციალისტების მთავარი და ძირითადი ამოცანა უნდა იყოს: ჯერ ერთი, განუმარტონ მასებს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს აუცილებლობა, სისტემატურად აწარმოონ მისი პროპაგანდა და შექმნან სათანადო ორგანიზაცია; მეორეც, ამხილონ თ ვ ა ლ თ მ ა ქ-

ცობა და სიცრუე, როგორც ბურჟუაზიულ-პაციფისტური, ისე სოციალისტური, განსაკუთრებით კაუცკური, ფრაზებისა ზავის შესახებ, «ზავის პროგრამის» საკითხში. II ინტერნაციონალის «ერთსულოვნების» შესახებ. ასეთი ფრაზები ერთი-ორად თვალთმაქცურია «სოციალისტების» მხრივ, რომლებიც, ბურჟუაზიის კვალდაკვალ, უარყოფენ შესაძლებლობას, რომ გადაქცეულ იქნას ახლანდელი იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომად სოციალიზმისათვის, და წინააღმდეგობას უწევენ ყოველგვარ რევოლუციურ მუშაობას ამ მიმართულებით.

10. «ზავის პროგრამის» შესახებ ახლა გაბატონებული თვალთმაქცობის ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენს ძველი და ახალი **ანექსიების** წინააღმდეგ ბრძოლის ვითომდა ერთსულოვანი აღიარება. მაგრამ იმათ, ვინც ანექსიებზე და მათთან ბრძოლაზე ლაპარაკობს, უნარი არ შესწევთ ან მეტწილად არ სურთ ჩაუფიქრდნენ იმას, თუ რაარის ანექსია. ცხადია, რომ ანექსია არ შეიძლება ვუწოდოთ «სხვისი» ტერიტორიის ყოველგვარ შემოერთებას, ვინაიდან სოციალისტები, ზოგადად რომ ვილაპარაკოთ, თანაუგრძნობენ ერთა შორის საზღვრების მოშლას, ერების დაახლოებასა და შერწყმას, უფრო მსხვილ სახელმწიფოთა წარმოქმნას. ცხადია, რომ ანექსიად არ შეიძლება მივიჩნიოთ status quo-ს ყოველგვარი დარღვევა: ეს იქნებოდა უდიდესი რეაქციულობა და ისტორიული მეცნიერების ძირითადი ცნებების სასაცილოდ აგდება. ცხადია, რომ ანექსიად არ შეიძლება მივიჩნიოთ ყოველი ძალდატანებითი, სამხედრო საშუალებით, შემოერთება, ვინაიდან სოციალისტებს არ შეუძლიათ ძალდატანების წინააღმდეგ გაილაშქრონ, თუ იგი გამოიყენება მოსახლეობის მასის ინტერესებისათვის და კაცობრიობის პროგრესის ინტერესებისათვის. ცხადია, რომ ანექსიად შეიძლება და უნდა მივიჩნიოთ ტერიტორიის ყოველი ისეთი შემოერთება, რომელიც ამ ტერიტორიის მოსახლეობის ნება-სურვილის წინააღმდეგ ხდება. სხვა სიტყვებით, ანექსიის

ცნება განუყრელადაა დაკავშირებული ერთა თვითგა-
მორკვევის ცნებასთან.

11. სწორედ ახლანდელი ომის ნიადაგზე, იმის გამო, რომ იგი იმპერიალისტურია მეომარ «დიდ» სახელმწიფოთა ორივე ჯგუფის მხრივ, უნდა წარმოშობილიყო და წარმოიშვა კიდევაც ისეთი მოვლენა, რომ ბურჟუაზია და სოციალ-შოვინისტები გაძლიერებით «იბრძვიან» «ანექსიების» წინააღმდეგ, თუ ანექსიები მტრულმა სახელმწიფომ მოახდინა ან თუ მათ ასეთი სახელმწიფო ახდენს. ზიუდეკუმი და მისი ავსტრიელ-გერმანელი მეგობრები და დამცველები, თვით ჰააზეს და კაუცკის ჩათვლით, დუმან იმ ანექსიაზე, რაც გერმანიამ მოახდინა ელზას-ლორენის, დანიის, პოლონეთის და სხვათა მიმართ, მაგრამ ძალიან ხშირად «იბრძვიან ანექსიების წინააღმდეგ», რომლებიც რუსეთმა მოახდინა ფინეთის, პოლონეთის, უკრაინის, კავკასიის მიმართ და ა. შ., ინგლისმა — ინდოეთის მიმართ და მისთ. მეორე მხრივ, ინგლისელი, ფრანგი, იტალიელი და რუსი ზიუდეკუმები, ე. ი. ჰაინდმანი, გედი, ვანდერველდე, რენოდელი, ტრევესი, პლეხანოვი, აქსელროდი, ჩხეიძე და კომპ., დუმან ინგლისის ანექსიებზე ინდოეთის მიმართ, საფრანგეთისა — ნიცისა თუ მაროკოს მიმართ, იტალიისა — ტრიპოლის თუ ალბანეთის მიმართ, რუსეთისა — პოლონეთის, უკრაინის და სხვათა მიმართ, სამაგიეროდ მეტწილად «იბრძვიან ანექსიების წინააღმდეგ», რომლებსაც გერმანია ახდენს.

ცხადია, რომ ამგვარი «ბრძოლა ანექსიების წინააღმდეგ» სოციალ-შოვინისტებისა და კაუცკელების მხრივ თავიდან ბოლომდე თვალთმაქცური ხასიათისაა, ხოლო ამგვარ ბრძოლას ბურჟუაზია ეხმარება პირდაპირაც, როცა მილიონებს და მილიონებს ხარჯავს შოვინისტურ პროპაგანდისათვის, და არაპირდაპირაც, როცა მხოლოდ სოციალ-შოვინისტებსა და კაუცკელებს ანიჭებს ლეგალობის მონოპოლიას.

ცხადია, რომ ფრანგი «სოციალისტებიც», რომლებიც მართლებენ ომს ელზას-ლორენისათვის, და გერმანელ-

«სოციალისტებიც», რომლებიც არ მოითხოვენ გერმანიისაგან ელზას-ლორენის გამოყოფის თავისუფლებას, თანაბრად ანექსიონისტები არიან, რაც უნდა იფიცონ მათ ამის საწინააღმდეგოდ. ცხადია, რომ რუსი «სოციალისტები», რომლებიც ლაპარაკობენ ან წერენ «რუსეთის დაშლის» წინააღმდეგ, ამართლებენ ახლა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ომს იმის გამო, თუ ვინ-დაიმონებს პოლონეთს, «უანექსიო ზავის» ლოზუნგის გულისათვის, ასეთივე ანექსიონისტები არიან და ა. შ. და ა. შ.

12. «ანექსიის წინააღმდეგ ბრძოლა» რომ ცარიელ ფრაზად ან საზიზღარ თვალთმაქცობად არ გადაიქცეს, სოციალისტებმა უნდა: ჯერ ერთი, განუმარტონ მასებს, რომ აუცილებელია რევოლუციური ბრძოლა პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისათვის და სოციალისტური გადატრიალების მოხდენისათვის, რასაც იწვევს იმპერიალისტური ეპოქის და ახლანდელი იმპერიალისტური ომის ყველა პირობა; მხოლოდ მას ძალუძს მტკიცედ და ყველგან უზრუნველყოს ერთა თვითგამორკვევა, ე. ი. გაათავისუფლოს ჩაგრული ერები და განახორციელოს ერების დაახლოება და შერწყმა არა ძალდატანების საფუძველზე, არამედ ყველა ერის პროლეტარიატისა და მშრომელი მასების თანასწორუფლებიანობისა და თანხმობის საფუძველზე; მეორეც, დაუყოვნებლივ უნდა გააჩაღონ უაღრესად ფართო პროპაგანდა და აგიტაცია ოფიციალური სოციალისტური პარტიების შენიღბული შოვინიზმისა და ანექსიონიზმის წინააღმდეგ, განსაკუთრებით «დიდ» სახელმწიფოებში. სოციალისტებმა უნდა განუმარტონ მასებს, რომ მხოლოდ სიტყვითაა სოციალისტი და ინტერნაციონალისტი, ნამდვილად კი შოვინისტი და ანექსიონისტია ის ინგლისელი სოციალისტი, რომელიც არ იბრძვის ახლავე ირლანდიის, ინდოეთის და ა. შ. გამოყოფის თავისუფლებისათვის; — ის ფრანგი სოციალისტი, რომელიც არ იბრძვის საფრანგეთის კოლონიების თავისუფლებისათვის, ელზას-ლორენის შემოსაერთებლად ომის წინააღმდეგ და

ა. შ., — ის გერმანელი სოციალისტი, რომელიც არ იბრძვის ელზას-ლორენის, დანიელების, პოლონელების, ბელგიელების, სერბიელების და სხვათა გამოყოფის თავისუფლებისათვის, — ის რუსი სოციალისტი, რომელიც არ იბრძვის უკრაინის, ფინეთის და სხვათა გამოყოფის თავისუფლებისათვის, პოლონეთის გამო ომის წინააღმდეგ, — ის იტალიელი სოციალისტი, რომელიც არ იბრძვის ტრიპოლის, ალბანეთის და ა. შ. გამოყოფის თავისუფლებისათვის, — ის ჰოლანდიელი სოციალისტი, რომელიც არ იბრძვის ჰოლანდიის ინდოეთის გამოყოფის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, — ის პოლონელი სოციალისტი, რომელიც არ იბრძვის პოლონელების მიერ დაჩაგრულ ებრაელთა და უკრაინელთა სრული თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისათვის, და ა. შ.

13. ციმერვალდის მანიფესტიდან და ISK-ის 1916 წ. 10 თებერვლის ცირკულარიდან (ბიულეტენი №3)[450] გარდუვალად გამომდინარეობს, რომ ყოველი «ომი ომის წინააღმდეგ» და «ბრძოლა ზავისათვის» თ ვ ა ლ თ მ ა ქ ც ო ბ ა ა, თუ იგი განუყრელად დაკავშირებული არ არის დაუყოვნებლივ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ მ ა ს ო ბ რ ი ვ ბ რ ძ ო ლ ა ს თ ა ნ, ასეთი ბრძოლის პროპაგანდასა და მომზადებასთან. მაგრამ ეს დასკვნა პირდაპირ და გარკვევით უნდა გადმოიცეს. საჭიროა, ჯერ ერთი, განვუმარტოთ მასებს, თუ რა შეუძლია გამოიწვიოს და უ ნ დ ა (must) გამოიწვიოს რევოლუციური მასობრივი ბრძოლის განვითარებამ ევროპული ომის ვითარებაში. იგი გარდუვალად იწვევს იმპერიალისტური ომის გადაქცევას სამოქალაქო ომად სოციალიზმისათვის. ამაზე გ ა დ ა კ ვ რ ი თ მ ი უ თ ი თ ებ ს ყველა სიტყვა იმის შესახებ, რომ მუშები სჯობია იღუპებოდნენ თავიანთი და არა სხვისი საქმისათვის, მაგრამ გადაკვრით ნათქვამი საკმარისი არ არის. საჭიროა ნათლად დავაყენოთ მასების წინაშე დიადი, თუმცა, იქნებ არცთუ ახლობელი მიზანი. უნდა იცოდე, თუ საით და რისთვის უნდა იარო. მეორეც, თუ ჩვენ მასებს მოვუხმობთ ებრძოლონ თავიანთ მთავრობებს «უწყებული ქვეყნის საომარი მდგომა-

რეობის მიუხედავად», ჩვენ ამით არათუ უარვყოფთ პრინციპულად, რომ ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ომში «სამშობლოს დაცვა» დასაშვებია, არამედ იმასაც ვაღიარებთ, რომ ს ა ს უ რ ვ ე ლ ი ა ყოველგვარი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი მთავრობის დამარცხება, რათა ეს დამარცხება რევოლუციად გადავაქციოთ. და ეს პირდაპირ უნდა ითქვას: რევოლუციური მასობრივი ბრძოლა არ შეიძლება ინტერნაციონალური გახდეს, თუ მისი შეგნებული წარმომადგენლები აშკარად არ გაერთიანდნენ ერთმანეთთან ყ ვ ე ლ ა ბურჟუაზიული მთავრობის დამარცხებისა და დამხობის გულისათვის. მესამეც — და ეს უმთავრესია — ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა აწარმოო რევოლუციური მასობრივი ბრძოლა, თუ არ შექმენი ყველგან არა მარტო ზემოთ, არამედ მასებშიც, არალეგალური ორგანიზაცია ამ ბრძოლის პროპაგანდისა და მომზადებისათვის, მისი მსვლელობისა და პირობების განხილვისათვის. თუ გერმანიაში ქუჩის დემონსტრაციები იმართებოდა, თუ საფრანგეთში იგზავნებოდა მთელი რიგი წერილები ფრონტიდან, რომლებიც მოუწოდებდნენ ხელი არ მოეწერათ სამხედრო სესხზე, თუ ინგლისში, რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთზე, იყო მასობრივი გაფიცვები, ამ ბრძოლის დასახმარებლად, მისი ინტერნაციონალური შეკავშირებისათვის უსათუოდ აუცილებელია გავაშუქოთ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ, ე. ი. **არალეგალურ,** პრესაში ამ გზაზე გადადგმული **ყოველი** ნაბიჯი, შევამოწმოთ წარმატებანი, ავწონ-დავწონოთ მათი პირობები, შევაკავშიროთ და გავავითაროთ ბრძოლა. თუ არ არის არალეგალური ორგანიზაცია და არალეგალური პრესა, ისე «მასობრივი მოქმედების» აღიარება (როგორც ეს კიდევაც არის შვეიცარიაში) ცარიელ ფრაზად დარჩება*.

14. სოციალისტების პარლამენტური ბრძოლის (Aktion) საკითხზე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ციმერვალდის რეზოლუცია არათუ სიმპათიას გამოთქვამს სახელმწიფო სათათბიროს ხუთი სოციალ-დემოკრატი დეპუტატისადმი,

* 12 და 13 პუნქტები ხელნაწერში ამოშლილია. რ ე დ.

რომლებიც ჩვენს პარტიას ეკუთვნიან და რომლებსაც ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს, არამედ სოლიდარობასაც კი უცხადებს მათ ტაქტიკას. შეუძლებელია მასების რევოლუციურ ბრძოლას აღიარებდე და იმავე დროს პარლამენტებში სოციალისტების მხოლოდ და მხოლოდ ლეგალურ, მხოლოდ და მხოლოდ რეფორმისტულ საქმიანობას ურიგდებოდე; ამას მოსდევს მხოლოდ მუშების კანონიერი უკმაყოფილება და მათი გადასვლა სოციალ-დემოკრატიიდან ანტიპარლამენტურ ანარქიზმსა თუ სინდიკალიზმში. აუცილებელია ნათლად და ყველას გასაგონად ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატები პარლამენტებში უნდა სარგებლობდნენ თავიანთი მდგომარეობით არა მარტო პარლამენტებში გამოსვლებისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ პარლამენტს გარეთ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მუშათა არალეგალურ ორგანიზაციას და რევოლუციურ ბრძოლას, და რომ მასები, თავიანთი არალეგალური ორგანიზაციის მეშვეობით, თვითონ ამოწმებდნენ თავიანთი ბელადების ასეთ საქმიანობას.

15. საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწვევის საკითხი, რომელიც დასმულია მომავალი მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის დღის წესრიგში, გარდუვალად აყენებს უფრო ძირითად და პრინციპულ საკითხს, შესაძლებელია თუ არა ძველი პარტიებისა და II ინტერნაციონალის ერთიანობა? რაც უფრო ფართოდ იზრდება მასებში სიმპათიები ციმერვალდის გაერთიანებისადმი, მით უფრო გაუგებარი ხდება მასებისათვის, მით უფრო მავნებელია მათი ბრძოლის განვითარებისათვის იმ პოზიციის არათანმიმდევრობა და გაუბედაობა, რომელიც არსებითად აიგივეებს ძველ პარტიებსა და II ინტერნაციონალს ბურჟუაზიულ პოლიტიკასთან მუშათა მოძრაობაში (იხ. ციმერვალდის მანიფესტი და ISK-ის 1916 წ. 10 თებერვლის ცირკულარი), მეორე მხრივ კი ეშინია მათთან გათიშვისა და გვპირდება დაშალოს ISK, როგორც კი შეიკრიბება ძველი საერთაშორისო სოციალისტური ბიურო.

ამ დაპირებისათვის ციმერვალდში კენჭი არ უყრიათ, იგი არც კი განუხილავთ.

ციმერვალდის შემდეგ განვლილი ნახევარი წლის მანძილზე კიდევ უფრო ცხადი გახდა, რომ გათიშვა გარდუვალია, რომ არ შეიძლება ძველ პარტიებთან ერთიანობის ნიადაგზე იმ მუშაობის წარმოება, რომელსაც ციმერვალდის მანიფესტი გვირჩევს, რომ გათიშვის შიში აფერხებს ყოველ ნაბიჯს ამ გზაზე. გერმანიაში არა მარტო ISD* ჯგუფმა დაგმო გათიშვის შიში და აშკარად გაილაშქრა ერთიანობის მქადაგებელთა თვალთმაქცობის წინააღმდეგ, არამედ Reichstags fraktion** წევრიც, Otto Rühle, კ. ლიბკნეხტის უახლოესი ამხანაგი, აშკარად გამოვიდა გათიშვის სასარგებლოდ. და რიულეს წინააღმდეგ «Vorwärts»-მა ვერც ერთი სერიოზული, ვერც ერთი პატიოსანი საბუთის წამოყენება ვერ შეძლო. საფრანგეთში სოციალისტური პარტიის წევრი ბურდერონი სიტყვით გათიშვის წინააღმდეგია, ნამდვილად კი მან კონგრესს შესთავაზა რეზოლუცია, რომელიც პირდაპირ «désapprouve (ადეზავუირებს) CAP (Comité Administratif Permanent= პარტიის ცენტრალურ კომიტეტს) და GP» (Groupe Parlementaire = პარლამენტურ ჯგუფს). ცხადია, რომ ასეთი რეზოლუციის მიღება პარტიის დაუყოვნებლივი და უთუო გათიშვის მომასწავებელი იქნებოდა. ინგლისში ზომიერი «Labour Leader»-ის ფურცლებზეც კი T. Russel Williams-ს აშკარად და არაერთხელ განუცხადებია, გათიშვა გარდუვალიაო, და ამაში მას მხარს უჭერენ პარტიის მთელი რიგი წევრები. ამერიკაში, თუმცა სოციალისტური პარტია ფორმალურად ერთიანია, ზოგი მისი წევრი მხარს უჭერს მილიტარიზმსა და ომს (ე. წ. preparedness-ს***), სხვები, მათ შორის E. Debs, ყოფილი კანდიდატი პრეზიდენტობისა სოციალის-

---

* — Internationale Sozialisten Deutschlands — **გერმანიის ინტერნაციონალური სოციალისტები, რედ**

** — რეიხსტაგის ფრაქცია. რედ.

*** — მომზადებულობას. რედ.

ტებისაგან, აშკარად ქადაგებს სამოქალაქო ომს სოციალიზმისათვის კარზე მომდგარ ომთან დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ.

მთელ მსოფლიოში ფაქტიურად უკვე ა რ ი ს გათიშვა, და ამისაგან თვალის არიდება მხოლოდ ვნებს ციმერვალდელებს, სასაცილოდ ხდის მათ მასების თვალში, რომლებმაც ჩინებულად იციან, რომ ციმერვალდის სულისკვეთებით **მათ** მ უ შ ა ო ბ ა შ ი გადადგმული ყოველი ნაბიჯი გათიშვის გაგრძელებასა და გაღრმავებას ნიშნავს.

უნდა შეგვწევდეს მამაცობა აშკარად ვაღიაროთ გარდუვალი და მომხდარი, უარი ვთქვათ მავნე ილუზიებზე, თითქოს შესაძლებელი იყოს ერთიანობა «სამშობლოს დამცველებთან» ახლანდელ ომში, დავეხმაროთ მასებს თავი დააღწიონ იმ ბელადების გავლენას, რომლებსაც ისინი შეცდომაში შეჰყავთ (იხ. ISK-ის 1916 წ. 10 თებერვლის ცირკულარი) ან რომლებიც ამზადებენ «ამნისტიის» გზით «შეთქმულებას» (Pakt) სოციალიზმის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

ასეთია ჩვენი წინადადება დღის წესრიგის საკითხის გამო ჰაგაში საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწვევასთან დაკავშირებით.

დაწერილია 1916 წ. აპრილის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1927 წლის 6-7 ნოემბერს გაზეთ «პრავდაში» № 255

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ა. მ. კოლონტაის

ძვირფასო ა. მ.! მხოლოდ ახლა გავიგე ალექსანდრეს წერილიდან გრიგოლისადმი მეგობრების სამწუხარო ბედი იმ ქალაქში, საიდანაც ალექსანდრე ჩამოვიდა[451].

იმედია, გამოიყენებთ მთელ თქვენს ნაცნობობას და იხმართ ყოველივე თქვენზე დამოკიდებულ, შესაძლებელ და შეუძლებელ, ღონისძიებებს, რათა ისინი დაიხსნათ და ყოველნაირად დაეხმაროთ მათ.

მე გადავწყვიტე არაფერი არ მივწერო ბრანტინგს, ვინაიდან ჩემს რეკომენდაციას ახლა ყ ო ვ ე ლ მხრივ — თქვენთვის გასაგებია — შეუძლია საქმეს ავნოს. ალბათ, ყველაფერს აჯობებს, თუ თქვენ საქმეს დასძრავთ თქვენი ნორვეგიელი მეგობრების მეშვეობით. თუკი სხვა რაიმეა საჭირო, მიდეპეშეთ.

(თუ საჭირო შეიქნა, იქნებ დანიის მეშვეობით მიმართავთ? კარგი იქნება გერმანელი სოციალ-დემოკრატი დეპუტატების მეშვეობითაც, ოღონდ შემარჯვენენი ძალიან გაბრაზებულნი არიან თქვენზე. აი თუ თქვენ შეძლებთ ა რ ა-მემარჯვენე სოციალ-დემოკრატი გერმანელების მეშვეობით სცადოთ...)

მიკვირს, რომ ალექსანდრეს მხოლოდ ერთი წერილი მიუღია ჩემგან. მე სამი გავგზავნე: მეორე იმ ქალაქის მისამართით, საიდანაც ალექსანდრე ჩამოვიდა («პარტიის მდივნის» სახელზე, სახალხო სახლის მისამართით — ტელეფონით მოელაპარაკეთ იქ, თუ შეიძლება); მესამე — მისი ახლანდელი მისამართით, იმედია, მესამეს მაინც მიიღებდა ახლა. ველი მის-

გან წერილებს, თორემ ის როგორღაც ძალიან ძუნწობს. დიდი სალამი მას ჩემგანაც და ნ. კ-საგანაც. თქვენც აგრეთვე.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

Uljanow. Spiegelgasse. 12. Zürich.

დაწერილია 1916 წ. 4 აპრილს
გაგზავნილია ციურიხიდან ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში II

•ბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ა. მ. კოლონტაის

ძვირფასო ა. მ.! თქვენ, რა თქმა უნდა, გეცოდინებათ, რომ ჰიუისმანსი 26 ივნისისათვის იწვევს ნეიტრალებს[452]. უნდა შეეცადოთ, რომ სკანდინავიის ქვეყნებიდან ვინმე «ჩვენთაგანი» იყოს, და კარგად მოვისაზროთ, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი. მალე მოიწერეთ, გეთაყვა (რომ ჩვენ მოვასწროთ მიწერ-მოწერა), არის თუ არა ამის იმედი.

ნახულობთ თუ არა გერმანულ სოციალ-დემოკრატულ გაზეთებს? კარგად უპასუხა ჰიუისმანს «Volksfreund»-მა (Braunschweig)*[453], ხოლო მემარჯვენეთა ორგანომ Chemnitzer «Volksstimme»-მ** განაცხადა, სავსებით ვეთანხმებიციმერვალდელთა იმ კრიტიკას, რომელსაც ჰიუისმანსი იძლევაო[454].

არ არის იმედი, რომ ჰეგლუნდისათვის გამოტანილ განაჩენს გააუქმებენ? გაუგონარი, წარმოუდგენელი სისასტიკეა[455]!!

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლენინი

დიდი სალამი ნიკ. ივანეს-ძეს, რომლისგანაც დეპეშა იყო, ხოლო წერილი არ ყოფილა. სულით და გულით ვუსურვებ მას, რაც შეიძლება მალე დაისვენოს და გამომჯობინდეს. როგორია მისი ფინანსები?

P. S. ძვირი ხომ არ არის ინგლისური ბროშურის ფასად 75 კრონი?[456] ხომ არ უნდა დავიცადოთ?

დაწერილია 1916 წ. 19 აპრილსა და
7 მაისს შუა

გაგზავნილია ციურიხიდან ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — «ხალხის მეგობარი» (ბრაუნშვეიგი). რ ე დ.

** — ხემნიცის «ხალხის ხმა». რ ე დ.

ა. გ. ᲨᲚᲘᲐᲪᲜᲘᲙᲝᲕᲡ

ძვირფასო ალექსანდრე! დამთავრდა კონფერენცია, გამოქვეყნდა მისი (1 მაისის) მანიფესტი [457]. იმედი მაქვს, თქვენ მოგდით «Berner Tagwacht»—ან სხვა შვეიცარიული გაზეთი? თუ არა, მოიწერეთ, ფრანგულ ტექსტს გამოგიგზავნით.

გრიგოლი კონფერენციის შესახებ ამზადებს ვრცელ წერილს, რომელიც თქვენ გამოგეგზავნებათ.

საერთოდ მიღებულია მანიფესტი — წინგადადგმულია ნაბიჯი, ვ ი ნ ა ი დ ა ნ ფრანგმა დეპუტატებმა (სამმა, მათგან ერთმა ნახევრად შოვინისტმა ბრიზონმა)[458] მიიღეს. მიღებულია რეზოლუცია, რომელიც შეიცავს პაციფიზმის კრიტიკას, და რეზოლუცია საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს შესახებ, სადაც იგი მკაცრადაა გაკრიტიკებული. საერთოდ, ეს მ ა ი ნ ც, უამრავი ნაკლის მიუხედავად, სოციალ-პატრიოტებთან კავშირის გაწყვეტისაკენ გადადგმული ნაბიჯია.

მემარცხენე ჯგუფი ამჯერად უფრო ძლიერი იყო: სერბიელმა, სამმა შვეიცარიელმა, ერთმა ფრანგმა (არა დეპუტატმა, ა რ ა ჯგუფის, არამედ თავისი სახელით) გააძლიერეს ჩვენი მემარცხენე ჯგუფი. შემდეგ ორი გერმანელი («ინტერნაციონალის» ჯგუფისაგან)[459] მთავარში ჩვენთან ერთად იყვნენ.

ნახეთ ჰიუისმანსის მანიფესტი? იქ აშკარად ღვარძლიანი «გადაკვრაა» ჩვენს შესახებ! კარგად უპასუხა მას «Volksfreund»-მა (Braunschweig).

იაპონელთა შესახებ ჩვენ გადავწყვიტეთ მოვახდინოთ შეთანხმების კიდევ ერთი, იმედია, უკანასკნელი ცდა: 1) ყველა ძველი ხელშეკრულება (სიტყვიერი) უქმდება; 2) შეთანხმება

ცენტრალური ორგანოს რედაქციასა, რომელიც ნომერს რედაქტორობს, და გამომცემლებს შორის წიგნაკიდან წიგნაკამდე, ე. ი. თვითეული წიგნაკის გამო ცალკე; 3) გამოიცეს № 3 ბერნში (სტოკჰოლმში აშკარად არ შეიძლება).

სცადეთ — გამოვა თუ არა. და თუ არა, გამოვცემთ «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას». ცდა არ შეიძლება[460].

აი № 3 გეგმა:

1) მასალები რუსეთიდან (3 ფურცლამდე).

2) ცენტრალური ორგანოს რედაქციის თეზისები თვითგამორკვევის შესახებ.

3) ლენინის სტატია ამაზევე.

4) ციმერვალდის მე-2 კონფერენცია. გრიგოლ ზინოვიევი ან ლენინი.

5) ბუხარინი: ეკონომიური თემა.

6) ლიალინი სიძვირის შესახებ.

7) ალექსანდრე — რუსეთიდან.

8) სერბიელი და იტალიელი სტატიებს შეგვპირდნენ.

9) რუსული თემები. გრიგოლ ზინოვიევი.

10) რადეკი — გაგრძელება (?? არა გვგონია, ღირდეს. ჩემი აზრით, არ ღირს)*.

10) კოლონტაი — ამერიკიდან.

11) ლატვიელი.

12) ვარინი[461].

13) მუშა ქალთა მოძრაობა.

14) ბიბლიოგრაფია.

15) ტროცკიზე, მარტოვზე და ჩხეიძის ფრაქციაზე.

მოიფიქრეთ, გამოიკვლიეთ ნიადაგი, გაიგეთ მეტი ტაქტიკით და რაც შეიძლება მალე გვიპასუხეთ[462].

---

* ხელნაწერში ეს სტრიქონი წაშლილია. ვ. ი. ლენინს მხედველობაში ჰქონდა გაგრძელება კ. რადეკის სტატიისა «იმპერიალიზმის განვითარების მეოთხედი საუკუნე», რომელიც დაიბეჭდა «კომმუნისტის» № 1 — 2-ში. რ ე დ.

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ყოველგვარ წარმატებას.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ებრაული კრებულის შესახებ[483], როგორც ნადიამ უკვე მოგწერათ, გეთანხმებით. მასალების გამო ნადიას არაერთხელ მიუწერია ბერნში. სალამი ალექსანდრა მიხეილის ასულს!!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წ. მაისის პირველ ნახევარში
გაგზავნილია ციურიხიდან ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ლენინის კრებულში II

•ბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

8. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.! ჩვენი მოლაპარაკების თანახმად, ვფიქრობ ჩავიდე ჟენევასა და ლოზანაში რეფერატით «ორი მიმდინარეობა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში» (თქვენ ამბობდით, ეს სათაური სჯობია, ვიდრე «ორი ინტერნაციონალიო», როგორც აქ წავიკითხე).

თუ პირობები არ შეცვლილა და ჩემი მგზავრობა ანაზღაურდება, მაშინ დანიშნეთ, გეთაყვა, დაახლოებით ორი კვირის შემდეგ (მ ე ო რ ე დ ღ ე ს ლ ო ზ ა ნ ა შ ი)[464].

პასუხს დაველოდები.

ერთი დღე დამჭირდება, რომ ვიმუშაო ჟენევის ბიბლიოთეკაში (უნივერსალურში)[465]. შეგიძლიათ თუ არა გაიგოთ, ხომ არ იქნება იგი შემთხვევით დაკეტილი რომელიმე დღეს გარდა უქმეებისა.

Salutations*!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წ. 17 მაისს
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* — სალამი! რ ე დ.

ა. გ. შლიაპნიკოვს

ალექსანდრესათვის

1916 წ. 23. V.

ძვირფასო მეგობარო! ეს-ეს არის მივიღე გრიგოლისაგან თქვენი 19. V წერილი მისდამი.

თქვენ იწერებით, «საშინლად მომბეზრდა «კომმუნისტთან» მიწერ-მოწერა და მოლაპარაკებაო». სავსებით მესმის თქვენი, მაგრამ იქონიეთ მოთმინება! მართლაც, რაკი ერთხელ დაიწყეთ მოლაპარაკება, ხომ არ შეიძლება ინერვიულოთ და სასოწარკვეთილებას მიეცეთ! ეს პროლეტარული არ არის, ღმერთმანი.

თქვენ ორ საკითხს აყენებთ: (1) კოოპტაციის წესით შევიყვანოთ რედაქციაში კიდევ ორი კაცი (ცენტრალური ორგანოს მომხრე); (2) შევქმნათ «სადისკუსიო განყოფილება» «კომმუნისტთან».

პირველი პუნქტის გამო თქვენ წერთ: «მათთან საუბრებიდან გამოვარკვიე, რომ ამის საწინააღმდეგო მათ არაფერი აქვთ, რა თქმა უნდა, ერთგვარი გულისტკივილითო».

მე ვიფიქრე თქვენს გეგმაზე. არალიტერატორთა აყვანა (მეტადრე ყველა სავალალო ცდის შემდეგ) პირდაპირ გახრწნილებად და პარტიის წინაშე გაუმართლებელ საქმედ მიმაჩნია. ერთი ლიტერატორის შოვნა თითქოს მოხერხდება (მხედველობაში მყავს ერთი კაცი; უნდა გამოვიკითხოთ და კიდევ და კიდევ ვიფიქროთ, რომ ვთქვათ: ჰო თუ არა). მეორეს შესახებ უფრო ძნელია.

ხომ არ შეგიძლიათ ამგვარად შეცვალოთ თქვენი გეგმა, პრაქტიკულად რომ შეიძლებოდეს მისი განხორციელება: ან ცენტრალური ორგანოს რედაქცია შეიყვანს კოოპტაციის წესით (მაშინ იქნება 7) ორ პ ა რ ტ ი ო ულ ლ ი ტ ე რ ა ტ ო რ ს, თუ ასეთებს გამონახავს; ანდა, თუ მხოლოდ ერთს გამონახავს, გამომცემელნი (კაცი და ქალი — კიეველები) გამოგზავნიან რედაქციაში ერთს თავიანთი წრიდან? (მაშინ იქნება 5: ბუხარინი + გამომცემელი, + 3 აქ).

(ეს უკანასკნელი მე პირადად განსაკუთრებით მომეწონებოდა, ვინაიდან (ა) თავიდან აგვაცილებდა რედაქტორების გ ა მ ო გ ო ნ ე ბ ა ს; (ბ) არ შებღალავდა გამომცემელთა «უფლებებს», ვინაიდან სულერთია, ერთი ერთის წინააღმდეგ, თუ ორი ორის წინააღმდეგ; (გ) შექმნიდა რედაქციას ლიტერატორებისაგან, რაც მეტისმეტად მნიშვნელოვანია პარტიული მხრივ, რედაქტორობისადმი საზღვარგარეთულ მისწრაფებასთან საბრძოლველად).

იფიქრეთ ამაზე და მიპასუხეთ (თუ უხერხული არ არის, მოსინჯეთ ნიადაგი მეგობრებთან).

«სადისკუსიო განყოფილების» შესახებ თქვენი გეგმა დისკუტაბელურია, თუ იგი პრაქტიკულად დაისმება და მოისპობა ერთი რამ, რაც თქვენ არ შეგეძლოთ მხედველობაში გქონოდათ.

პრაქტიკულად, — ეს ნიშნავს ზუსტად დადგინდეს, ვის აქვს უ ფ ლ ე ბ ა მოათავსოს სადისკუსიო სტატია? რედაქტორთა კოლეგიის ყველა წევრს. ეს უდავოა. საკმარისია ეს? ვფიქრობ, რომ საკმარისია. რედაქციაში 5 — 7 კაცი იქნება.

«საქმე» აი რაში მდგომარეობს. დისკუსია პარტიის შიგნით. უდავოა. ჰოდა, უთანხმოებათა გაღვივება თუ კარების გაღება ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ ულ ი ჯ გ უ ფ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, რომელნიც პარტიაში არ შედიან?? ესაა თავიდათავი. გამომცემლებმა «კომმუნისტი» აუტანელი გახადეს, ვინაიდან მათ დისკუსიის გამართვა როდი უნდოდათ, ისინი არაფერს არ წერდნენ და არ ამზადებდნენ დისკუსიისათვის, — არამედ

სურდათ გამოეყენებინათ რადეკის მისწრაფება — გარედან შემძვრალიყო ჩვენი პარტიის ხვრელებში. რადეკიც, «ნაშესლოველებიც» და ბევრნი სხვანიც საზღვარგარეთული ჯგუფებიდან წელებზე ფეხს იდგამენ, რათა დისკუსიის ს ა ბ ა ბ ი თ ჩვენში შექმნან დაყოფანი, გაჰბერონ უკმაყოფილება, შეაფერხონ მუშაობა (საზღვარგარეთელთა ძველი თამაში!).

თქვენ, ალბათ, არ იცით, რომ რადეკმა ჩვენ გამოგვაძევა «Vorbote»-ს რედაქციიდან? თავდაპირველად დათქმული იყო, რომ რედაქცია საერთოა და შედგება ორი ჯგუფისაგან: (1) ჰოლანდიელები (იქნებ+ტროცკი) და (2) ჩვენ (ე. ი. რადეკი, **გ რ ი გ ო ლ ი** და **მ ე**). ეს პირობა ჩვენ თანასწორობას გვანიჭებდა რედაქციაში.

რადეკი თვეების განმავლობაში ინტრიგას ეწეოდა და მიაღწია იმას, რომ «პატრონმა» (როლანდ-ჰოლსტმა) ეს გეგმა **გააუქმა.** ჩვენ თანამშრომელთა მდგომარეობაზე გადაგვიყვანეს. ფაქტია!

განა მიზანშეწონილია ამ გმირობის ჯილდოდ მიეცეს რადეკს «დისკუსიის» უ ფ ლ ე ბ ა, ხოლო გამომცემლებს იმის უ ფ ლ ე ბ ა, რომ რადეკს ამოეფარონ? ეს იქნება არა დისკუსია, არამედ კინკლაობა და ინტრიგა. (1) «გაზეტა რობოტნიჩამ» (1916. II), რომელშიც რადეკი მონაწილეობს, მოათავსა აშკარა კინკლაობის შემცველი, არასაკადრისი რამეები ჩვენს წინააღმდეგ და «ნაშესლოვური» ხასიათის რეზოლუცია. (2) ახლა ირლანდიელთა აჯანყების შეფასების საკითხში (უმნიშვნელოვანესი საკითხია, ხომ მართალია? შიშველი «თეორია» როდია!) რადეკიც[466] და კულიშერიც («რეჩში» მოკალათებული კადეტი)[467] **ერთსულოვანნი** აღმოჩნდნენ და ყეყეჩურად მას «პუტჩი» უწოდეს.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია!

თუ გამომცემლებს უნდათ «დისკუსიის» საბაბით ტრიბუნა დაუთმონ ყველა საზღვარგარეთულ ჯგუფს, რომლებსაც კი სურთ ებრძოლონ ჩვენს პარტიას ისე, რომ მასში არ შედიოდნენ, ეს დისკუსია კ ი ა რ ა რ ი ს, ეს თამაშია.

თუ არ უნდათ, რატომ არ დადგინდეს ზუსტად, რომ მაგალითად, დისკუსიის უ ფ ლ ე ბ ა იფარგლება (1) რედაქციის წევრებით; (2) რუსეთის ორგანიზაციებით; (3) სოკ-ით[168], როგორც პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციით?

«კომმუნისტი» იყო კ ა ვ შ ი რ ი ჰოლანდიელებთან და რადეკთან. ეს კავშირი **შეცვლილია** იმით, რომ ჩვენ ჰოლანდიელთა და რადეკის ჟურნალში რედაქტორობიდან თანამშრომლებამდე ჩამოგვაქვეითეს. ნუ მიეცემით მავნე ილუზიებს, თითქოს კავშირი ძველებურად არსებობდეს!! მავნე ილუზიებია!! ჩვენ თვითონ უნდა ვიაროთ წინ და ა რ დ ა ვ უ შ ვ ა თ, რომ ხელები შეგვიკრან. ა რ ა ვ ი თ ა რ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი.

პრაქტიკული დასკვნა: მოიფიქრეთ (მეც მოვიფიქრებ და მივწერ გრიგოლს) შემდეგი §§:

1) იცვლება რედაქციის შემადგენლობა: 5 ან 7 (იხ. ზემოთ);

2) ვიღებთ სხვა ფირმას («კრებული» და მისთ.);

3) **ზუსტი კონსტიტუცია დისკუსიის შესახებ** (მაგ. ხასიათისა );

4) გამოცემის ადგილი შვეიცარია (ამ პუნქტზე თქვენ რატომღაც სდუმხართ, რაშია საქმე?);

5) შემოსავალი ა ს ე დ ა ა ს ე იყოფა. დათანხმდებიან თუ არა გამომცემელნი გვაძლიონ ½ ტრანსპორტისათვის, კავშირურთიერთობის და მისთ. ორგანიზატორის, ე. ი. თქვენი შენახვისათვის?

გვიპასუხეთ! თქვენი ვ. ულიანოვი

ათასი საუკეთესო სურვილი და ნუ ნ ე რ ვ ი ულ ო ბ თ. უფროსებს უფლება არა აქვთ ინერვიულონ!!

გაგზავნილია ციურიხიდან ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 7

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ა. გ. შლიაპნიკოვს

ამხანაგ ალექსანდრესათვის

ძვირფასო ალექსანდრე! რა თქმა უნდა, ჩვენ მივცემთ ბელენინს 300 კრონს, თუკი მან უკვე ასე მტკიცედ გადაწყვიტა განახორციელოს თავისი გამგზავრების გეგმა. დასანანია მისი წასვლა. ყოველ შემთხვევაში, თქვენ ყ ო ვ ე ლ ი ვ ე უნდა მოიმოქმედოთ, რათა უზრუნველყოთ მისი დაბრუნება რამდენიმე თვის შემდეგ.

«იაპონელთა» შესახებ ტყუილად ფიქრობთ, რომ ისინი «მნიშვნელოვან დათმობებს» დათანხმდნენ თქვენ მიერ გადმოგზავნილ პროექტში. არავითარს! პირიქით, მოთხოვნა, რომ მიეცეს ო რ ს უფლება გააძვრინონ არათანახმა თანამშრომელნი, არის ა ხ ა ლ ი რ ა მ, დამატება, surenchère* და ეს ახალი რამ აშკარა მხილებაა მათი «პოლიტიკისა» სიტყვის ყოვლად ცუდი აზრით. თუ დამაარსებლებს, გამომცემლებს, ახალგაზრდა თანამშრომლებს უნდათ თ ა ვ ი ა ნ თ თ ვ ი ს აზრის, დისკუსიის თავისუფლება, — ეს კანონიერია. მაგრამ თუ ადამიანები ი ნ ი ღ ბ ე ბ ი ა ნ ამ კანონიერი სურვილით, რათა გააპარონ ა რ ა თ ა ვ ი ა ნ თ ი, არამედ «თანამშრომლების» «დისკუსია», განა ცხადი არ არის, რომ ეს თამაშია??

---

* — დანართი. რ ე დ.

ეს ქვეყნად არასოდეს და არსად არ ნახულა. თუ ორს უნდა ყოველგვარი საზღვარგარეთული კინკლაობის პუბლიკაცია — დაე ასე მოიქცნენ და დაეპასუხი აგონ ამისათვის. მე აქ არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ არ შემიძლია მონაწილეობა მივიღო.

იქნებ, იკითხოთ, სადაა დამამტკიცებელი საბუთები, რომ საზღვარგარეთულ კინკლაობაზეა ლაპარაკიო? ამაზე უკვე დიდი ხანია მოგწერეთ, და თქვენ ერთხელაც არ გიპასუხნიათ. დამამტკიცებელი საბუთია «გაზეტა რობოტნიჩას» № (1916 წ. თებერვალი), საიდანაც ჩვენთან არიან «თანამშრომლები» რადეკი და ბრონსკი.

ფაქტი თვალწინაა.

ამ ვაუბატონებმა მემარცხენე ციმერვალდელთა შორის პირველებმა წამოიწყეს კინკლაობა — — — და მერე რა დროს?!! მათ უნდათ «ხელი ჩასჭიდონ» ჩხეიძეს და ტროცკის.

და ასეთ მომენტში ორ გამომცემელს ჰყოფნის თავხედობა წინადადებით მოგვმართონ **ჩვენ,** რომ **ჩვენ** მათ მივცეთ დისკუსიის «თავისუფლება და გარანტია» ასეთი თანამშრომლებისათვის!! ეს სიგიჟეა ან უაღრესი უტიფრობა.

თანასწორუფლებიანობა მათთან (6 = 3 + 3)? ეს ხომ იგივეა. მათ ხომ თქვენ ერთხელ გაგრძნობინეს (და თქვენვე თვითონ გვწერდით ამაზე), მიიღებენ ორის, ცენტრალური ორგანოს **მომხრეების,** კოოპტაციასო. ხოლო როცა საქმე წერილობით ხელშეკრულებაზე მიდგა, მათ უკან დაიხიეს. განა ეს ჩარჩული თამაში არ არის?

თუ ადამიანები პრინციპულად და გულწრფელად თანახმანი არიან, რათა ჟურნალი თუ კრებული პარტიის პროგრამას ატარებდეს, — უმრავლესობამ მათ მხარი უნდა დაუჭიროს. სხვაგვარად არ არის გულწრფელობა, არ არის პრინციპულობა, არამედ არის მხოლოდ «ქისა».

ჩემი აზრით, განუმარტეთ ეს მათ ნათლად, პოპულარულად, თუ საჭიროა — წერილობით, და წაუყენეთ ულტიმატუმი: ან ასე (7 = 4 + 3), ანდა თქვენს დასკვნას მათი «თამაშის» შესახებ ბიუროში გზავნით[469]. ეს სწორი პარტიული პასუხი იქნება.

გართმევთ ხელს.
თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წ. მაისში
გაგზავნილია ციურიხიდან ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 7

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ა. გ. შლიაპნიკოვს

1916. 17. VI.

ძვირფასო ამხანაგო! ნადეჟდა კონსტანტინეს ასული გწერთ თქვენ სხვა საქმეებზე, მე კი გიპასუხებთ ჩემთვის განკუთვნილ თქვენს მინაწერზე.

თქვენ იწერებით, «ჩვენებს ბოროტი განზრახვები არა აქვთო», და დასძენთ, რომ «კომმუნისტს» «მხოლოდ ეროვნული საკითხი აინტერესებს და სტატიებს თვითონ ისინი სწერენო».

საქმე რომ ასე იყოს, მაშინ რაღა საჭიროა წესდების §, რომელიც ლაპარაკობს დისკუსიის უფლებაზე თანამშრომლებისათვის 2-ის მოთხოვნით (მიიღეთ მხედველობაში: 3-ისაც კი არა, არამედ 2-ის, ე. ი. უნდობლობა ბუხარინისადმი იაპონელთა მხრივ)? მაშინ ეს § აზრს იქნებოდა მოკლებული. და არნახული რამაა, რომ ორი რედაქტორი 6 — 7-დან მოითხოვდეს დისკუსიის (ვითომდა დისკუსიის) «თავისუფლებას» არა თავისთვის, არამედ თანამშრომლებისათვის.

არა. იაპონკას არ შეუძლია წესდებაში მოათავსოს აზრსმოკლებული პარაგრაფები. ამ პარაგრაფის აზრი სწორედ ის არის და მხოლოდ ის, რომ ჩვენ ხელებს გვიკრავენ, ჩვენ უმწეონი გამოვდგებით პოლონელების იმ მისწრაფებათა წინააღმდეგ, რომ კინკლაობა შემოიტანონ.

თქვენ იწერებით, «გაზეტა რობოტნიჩა» არ მინახავსო (თქვენთვის უნდა გამოეგზავნათ ეს გაზეთიც და **საზღვარგარეთული ორგანიზაციების კომიტეტის რეზო-**

ლუციაც, რომელიც გრიგოლის მონაწილეობით გატარდა; ახლავე ვწერ მას და ზინას, რომ დაუყოვნებლივ გამოგიგზავნონ). თქვენ იქვე იწერებით, ამიტომ «არ ვიცი რაშია საქმეო».

და ამავე დროს როგორღაც დასძენთ: «ვიცი, ვგრძნობ, რომ **თქვენ** რადეკისა და კომპანიისადმი გულგრილნი გახდითო».

დამეთანხმეთ, რომ ეს ცოტათი უცნაურია. ჩემი შიში რადეკისა და კომპანიისაგან გამომდინარე კინკლაობის გამო, ჩემი რ წ მ ე ნ ა ამის გამო ემყარება სწორედ ფ ა ქ ტ ე ბ ს, რომლებიც «Vorbote»-ს ეხება (ამაზე გწერდით)[470]. ეს ერთი. მეორე და მთავარი კი: სწორედ «გაზეტა რობოტნიჩაჰ».

ამ გაზეთში სწორედ რადეკმა და კომპანიამ დ ა ი წ ყ ე ს კინკლაობა ჩვენს წინააღმდეგ, როცა ჩვენ ერთი სტრიქონიც არსად არ გვქონდა დაწერილი მათ წინააღმდეგ[471]!! ეს ხომ ფაქტია. ფაქტებისათვის გვერდის ავლა არ შეიძლება. «გაზეტა რობოტნიჩაში» დაიწყო ძველი «თამაში» (საზღვარგარეთული ორგანიზაციების კომიტეტის რეზოლუციის გამოთქმა) ჩვენს გათიშვაზე ჩხეიძესა და კომპანიასთან, ტ ი შ კ ე ლ თ ა თამაში[472], მოძველებული, დიდი ხნის ცნობილი.

როგორ მოვიქცეთ? ან ნება მივცეთ, რომ ეს თამაში არათუ შეუფერხებლად იზრდებოდეს, არამედ **ჩვენს ჟურნალშიც შემოძვრეს,** აი აქეთკენ მივყავართ წესდების პარაგრაფს იაპონკის პროექტში! აი ეს იქნებოდა უიმედო, საბოლოო ომი რადეკთან და კომპანიასთან.

თქვენ თ ი თ ქ ო ს ჩემს წინააღმდეგ წერთ, «ჩვენთვის ხელსაყრელი არ არის ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფს წავეჩხუბოთო».

მე გიპასუხებთ: სწორედ იმისათვის, რომ საბოლოოდ ა რ წავეჩხუბოთ რ ა დ ე კ ს ა დ ა კ ო მ პ ა ნ ი ა ს (მათი მეშვეობით კი სხვებსაც, უარეს შემთხვევაში), სწორედ ამისთვისაა ს ა ჭ ი რ ო შეუძლებელი გავხადოთ «თამაში» და კინკლაობა ჩვენს ჟურნალში.

აი რატომ არის, რომ უარს ვამბობ ვიარო მოდისკუსიე თანამშრომლებთან ერთად, უარს ვამბობ ჩავება «კომმუნისტში».

ორში ერთი: რომ დავთანხმდეთ აღვადგინოთ «კომმუნისტი», ეს ნიშნავს გზა გავუხსნათ ამ კინკლაობის გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ს, თვითონ გავუღოთ მას ჭიშკარი. ეს, ჩემის რწმენით, უგუნური პოლიტიკაა. ესმის თუ არა ეს მთლად იაპონკას? არ ვიცი და ეს არცაა მნიშვნელოვანი: საზღვარგარეთული ურთიერთობის «მექანიკა» თვითონ გამოიწვევდა ამას იაპონკის განზრახვათა სიბოროტის თუ ანგელოზისებრი გულკეთილობის და სიწმინდის დამოუკიდებლად.

მეორე პერსპექტივა: «კომმუნისტი» ა რ იქნას აღდგენილი. გამოიცეს ს ხ ვ ა კრებული. მიეცეს დისკუსიის უფლება რედაქტორებს. განხილული იქნეს ეროვნული საკითხი. **წინააღმდეგობა გაეწიოს «გაზეტა რობოტნიჩას» თამაშსა და ინტრიგას.**

რადეკი თუ მისი მეგობრები თავს დაგვესხნენ «გაზეტა რობოტნიჩაში». ჩვენ ვუპასუხეთ ჩ ვ ე ნ ს კრებულში [473], მხოლოდ ჩვენსაში, დაიხსომეთ, ა რ ა ს ხ ვ ა ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი ს მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ც ი მ ე რ ვ ა ლ დ ე ლ ე ბ თ ა ნ ს ა ე რ თ ო შ ი.

საქმე გათავებულია.

მემარცხენე ციმერვალდელები, რომლებთანაც ჩვენს წაჩხუბებას **რადეკი** კინტალში წ ა რ უ მ ა ტ ე ბ ლ ა დ **ცდილობდა** (მას პლატენისა და სხვათა წინაშე უნდოდა წაერთმია ჩვენთვის თანასწორობა მემარცხენეთა მთავარ კომისიაში: **და მემარცხენეებმა** მას ამის **საშუალება არ მისცეს**), — ეს მემარცხენე ციმერვალდელები **არაფერ შუაში არიან** «გაზეტა რობოტნიჩას» ბრძოლაში «სბორნიკ სოციალ-დემოკრატასთან».

მემარცხენე ციმერვალდელებს არ შეუძლიათ ჩაერიონ ა მ ბრძოლაში, არ შეუძლიათ გულნატკენნი დარჩნენ და გვისაყვედურონ: რადეკი და კომპანია **პირველნი** დაგვესხნენ «გაზეტა რობოტნიჩაში», მათ ვუპასუხეთ «სბორნიკ სოციალ-დემოკრატაში» (ან სხვა კრებულში). რადეკისა და კომპანიის არავითარ ჭაპან-წყვეტას, ს ა ქ მ ი ს ა ს ე თ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ა ს, არ ძალუძს, აბსოლუტურად არ ძალუძს წაგვაჩხუბოს ჩვენ მემარცხენე ციმერვალდელებთან (ისევე როგორც კინტალში რადეკმა **ვერ** წაგვაჩხუბა ვერც პლატენთან,

ვერც გერმანელ მემარცხენესთან, თუმცა კი ცდილობდა ამას).

ვიდრე რადეკი და კომპანია გვიპასუხებენ «გაზეტა რობოტნიჩას» შემდეგ ნომერში და ჩვენ ვუპასუხებთ ს ხ ვ ა კრებულში (მე აბსოლუტურად მოვითხოვ შეთანხმებას კრებულიდან კრებულამდე), ცოტა დრო როდი გავა.

და მთელი ამ ხნის განმავლობაში, საქმის ა ს ე თ ი დაყენებისას, რადეკისა და კომპანიის საზიზღარი გამოსვლა «გაზეტა რობოტნიჩაში» **ვერ შესძლებს** წაგვაჩხუბოს მემარცხენეებთან.

აი რატომ ვამბობდი და ვამბობ, რომ მე ახლა არასგზით არც «კომმუნისტში» მონაწილეობას დავთანხმდები, არც იაპონკასთან თანასწორობას, არც **საერთოდ** რადეკთან **ერთად** მონაწილეობას ჩვენს კრებულში, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, რომ **ეს** ნიშნავს — გარდუვალი გავხადოთ ჩხუბი მემარცხენეებთან.

თუ ჩვენ ვუშვებთ № 3 «კომმუნისტს», მაშინ რადეკსაც, ბრონსკისაც, პანეკუკსაც (და ფართო საზოგადოებასაც) უფლება აქვთ ელოდნენ **ამისვე გაგრძელებას,** უფლება აქვთ ელოდნენ ყოველგვარ გარანტიებს თანამშრომლებისათვის და ისინი კიდევაც დაელოდებიან ამას, ბოლოს, უფლება აქვთ (და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია) გულნატკენნი დარჩნენ და ჩაერიონ ხოლმე, თუ ჩვენ **აქ** პასუხს ვაძლევთ «გაზეტა რობოტნიჩას» საზიზღრობას. აქ კინკლაობისათვის კარი ფართოდაა გაღებული.

აქ რადეკი და კომპ. **უსათუოდ** წაგვაჩხუბებენ ჩვენ მემარცხენეებთან, ვინაიდან თუნდაც პანეკუკს აქვს ყოვლად წმინდა უფლება თქვას: მე ა ს ე თ «კომმუნისტს» კი არ ვეტანებოდი, მე ა რ მინდა, რომ «გაზეტა რობოტნიჩას» «თავს ესხმოდნენო» (ის თავდაცვას თავდასხმად დახატავს: ხომ იცით, თუ როგორ ხდება ეს).

აქ რადეკსა და კომპანიას უფლება აქვთ გამოუშვან ყოველგვარი წერილი საზოგადოებისადმი რუსულადაც და **გერმანულადაც,** უფლება აქვთ თქვან: «კომმუნისტი» ფაქტიუ-

რად იყო (ეს ფაქტია) თქვენი საერთო ორგანო + პანეკუკი + + რადეკი + ბრონსკი, **თქვენ** კი **იქ** «შეურაცხყოფთ» «გაზეტა რობოტნიჩას», **თქვენ იწყებთ** მემარცხენეთა გათიშვასა და სხვ. და სხვ. (როგორც ის **უკვე** ლაპარაკობდა კინტალში, დაიხსომეთ: ეს სტრატეგია მან **უკვე** გამოიყენა კინტალში).

და ყველა მემარცხენის წინაშე ბრალი ჩვენ დაგვეკისრება!! ჩვენ ის დავუშვით, რომ წაგვაჩხუბეს მემარცხენეებთან, ჩვენ გავებით ტიშკას ხაფანგში. აი საითკენ მივყავართ «კომუნისტის» გაგრძელებას, აი რატომ ვამბობ უარს მასში მონაწილეობაზე.

პირიქით, ვიმეორებ, თუ ჩვენ განსაკუთრებულ, **ახალ** კრებულში, სადაც არ იქნებიან პანეკუკი, რადეკი, ბრონსკი, **ვუპასუხებთ** «გაზეტა რობოტნიჩას», ვუპასუხებთ ბუხარინს და ვინც უნდა იყოს, ეს აბსოლუტურად არ შეეხება ციმერვალდელთა მემარცხენე ჯგუფს, და მას **არ შეუძლია** არც ჩაერიოს, არც გულნატკენი დარჩეს. რადეკს არ შეუძლია არც პანეკუკს «შესჩივლოს», არც გერმანელებს იმისათვის, რომ «სბორნიკ სოციალ-დემოკრატამ» უპასუხა «გაზეტა რობოტნიჩას».

ამას კიდევ ემატება პორაჟენობის საკითხი. **იგივე.**

ამას კიდევ ემატება ჩხეიძის ფრაქციის საკითხი. **იგივე.** ვინაიდან **ამაზე** თამაშობდა «გაზეტა რობოტნიჩა».

თუ იაპონკას «ბოროტი განზრახვები» არა აქვს, მას არ შეუძლია უარი თქვას შეთანხმებაზე ერთი კრებულის ფარგლებში (რადეკისა და სხვათა გამორიცხვით), ამასთან ერთად ვუშვებთ დისკუსიას **იაპონელებთან და ბუხარინთან.** თამამანი ვართ აგრეთვე, რომ დისკუსია გამოტანილ იქნეს ალკეულ ბროშურად (თუ ეს სურს ბუხარინს, რომელსაც ეუძლია მაშინ წინდაწინ ნახოს ჩემი «ტონი», რის გამოც ის შიშს გამოთქვამდა). მაშინ შეიძლება გამოიყოს ბუხარინთან დავა ბუხარინთან საერთო მუშაობისაგან.

ჩემი და გრიგოლის სტატიები პორაჟენობის, თვითგამორკვევის, «გაზეტა რობოტნიჩას» საძაგლობის, ჩხეიძის, «თავდაცვისა» და სხვათა შესახებ, **თქვენი სტატიები**

«სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებისა» და სხვათა შესახებ, სტატიები ვარინისა, საფაროვისა (უცხოელები ამ კრებულში **არ შეიძლება** იყვნენ) და სხვ. და **რაც უნდა იყოს** ბუხარინისა და იაპონელებისაგან.

ეი ერთი კრებულის გამო შეთანხმების გეგმა.

იაპონკას არ შეუძლია უარი თქვას, თუ მას ბოროტი განზრახვები არა აქვს.

არც შეიძლება დავიჟინოთ «კ ო მ მ უ ნ ი ს ტ ი», თუ იგი დაიშალა; უაზრობაა და სასაცილოცაა ძალით მათრიონ «კ ო მ-მ უ ნ ი ს ტ ი ს ა კ ე ნ»: ვერ ჩამითრევენ.

თუკი იაპონკას არ უნდა შეთანხმება განსაკუთრებული კრებულის გამო, ეს **ნიშნავს**, რომ მას ბოროტი განზრახვები აქვს ან (საქმისათვის ეს სულერთია) მის პოლიტიკას ბოროტი კინკლაობა **მოსდევს.**

და მაშინ ჩვენ მ ა რ ტ ო ნ ი გამოვუშვებთ «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას».

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ციურიხიდან ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 7

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ს. ნ. რაპოპჩს

ძვირ. ამხ. ოლღა! ინესას ძალიან სჭირდება პასპორტი [474]. ძალიან გთხოვთ მიხვიდეთ აქ დართული წერილით Guilbeau-სთან (directeur de «Demain», 28 rue du Marché*, მიღება პარასკევობით—2—4; იქნებ, სჯობდეს ღია ბარათით შეეკითხოთ მას შეხვედრის გამო).

რა თქმა უნდა, არ ცმას, არ ცხვა ვინმეს არ უთხრათ, თუ ვისთვისაა პასპორტი.

გილბოს პირადად ნახვა სჯობია — ჩვენ ყოველმხრივ მოვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რომ ეს სჯობია, ვიდრე წერილის მიწერა. იმედი მაქვს, თქვენ ან ვ. კ-ს არ გაგიძნელდებათ ამ თხოვნის შესრულება?

ხომ არა გაქვთ ბიბლიოთეკაში წიგნი: ი. დელევსკი (მგონი, ასეა?) «კლასობრივი წინააღმდეგობანი თანამედროვე პროლეტარიატში» ან **რაღაც ამგვარი** [475]?

თუ ბიბლიოთეკაში არა გაქვთ, ხომ არ იცით, ვის აქვს ნაცნობთაგანს (სხვათა შორის: შეიძლება იცით წიგნის ზუსტი სახელწოდება?).

მაგრად გართმევთ ხელს ორივეს.

თქვენი ლენინი

ნადია სალამს გითვლით.

Wl. Uljanow. Spiegelgasse. 12. Zürich. I.

დაწერილია 1916 წ. 27 ივნისს
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* — გილბო (ჟურნალ «ზავტრას» რედაქტორი. 28. მარშეს ქ.). რ ე დ.

ა. მ. კოლონტაის

ძვირფასო ა. მ.! ძალიან მახარებს თქვენ მიერ გამოგზავნილი ამბები და ცნობები[476]. ამერიკის შესახებ მოცდა დაგვჭირდება; მ ხ ო ლ ო დ იქ ღირს გამოიცვლს.

მემარცხენე შვედებისა და ნორვეგიელების შესახებ, იმედია, თქვენ ყველაფერს გააკეთებთ, რათა საქმე განამტკიცოთ. ჯერჯერობით არაფერიც არ არის განმტკიცებული. არაფერი! სულ სიტყვებია. არ არის არც ფორმალური შემოერთება მემარცხენე ჯგუფებისადმი, არც წესიერი ურთიერთობა ჩვენთან, არა-ფე-რი. და ეს ჰეგლუნდის შემდეგ!! რა ხალხია?

ნეიტრალთა კრების შესახებ ჰაგაში 26 ივნისს ასეთი გეგმა მაქვს: ცხადია, რომ უენო და არაენერგიული, მთვლემარე ნორვეგიელები ვერაფრის გაკეთებას ვ ე რ შ ე ძ ლ ე ბ ე ნ. რატომ თ ქ ვ ე ნ ც არ უნდა წახვიდეთ[477]?

რატომ არ შეუძლია ნორვეგიელთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დანიშნოს იქსი პ ლ უ ს თქვენ? იქსი, ადგილობრივი, აუცილებელია, თქვენ კი პ ლ უ ს. თუნდაც თარჯიმანად. თქვენ მეტად სასარგებლო იქნებოდით, ვინაიდან ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს შეიტყობდით. თორემ დარწმუნებული ვარ, რომ მომხდარის შესახებ სრულ, ზუსტ, ნათელ, უტყუარ ა ნ გ ა რ ი შ ს ა ც კ ი ვ ე რ მივიღებთ (და მთელი მსოფლიოს მუშებიც ვ ე რ მიიღებენ). იფიქრეთ ამაზე. და გააკეთეთ ყოველივე შესაძლებელი ამისათვის.

მაგრად გართმევთ ხელს.

თ ქ ვ ე ნ ი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. რიბალკას ბროშურა[175] არ წამიკითხავს: არ მცალია. მითხარით: ესერების სულელური ბროშურები ა ს უ ს ტ ე ბ დ ნ ე ნ ესერი გლეხების რევოლუციური ბრძოლის მნიშვნელობას?? პროვოკატორმა გაპონმა შ ე ა ს უ ს ტ ა გაპონელი მუშების რევოლუციური ბრძოლის მნიშვნელობა?? ირლანდიელთა აჯანყებას «პუტჩს» უწოდებენ (ნახეთ K. Radek «Berner Tagwacht»-ში?)— და თქვენ **ურიგდებით** ამას!!?? არ მესმის. სრულიად არ მესმის. თუ სადმეა, სწორედ აქაა დამტკიცებული K. Radek-ის უმართებულო პედანტობა და უგონო დოქტრინერობა «Berner Tagwacht»-ში და «მასთან მყოფთა».

თუ თქვენი გამგზავრება **შეუძლებელია,** ხომ არ შეიძლება გატარდეს თუნდაც ნორვეგიელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება, რათა დელეგატმა **გულდასმით და ადგილობრივად** ჩასწეროს **ყ ო ვ ე ლ ი ვ ე,** რაც მოხდა?

დაწერილია 1916 წ. ივნისში
გაგზავნილია ციურიხიდან ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში, II

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ა. მ. კოლოტაის

1916. 25. VII.

ძვირფასო ა. მ.! მთებში გადასვლის გამო, რაც ნადიას ავადმყოფობითაა გამოწვეული, თქვენი წერილის პასუხი დამიგვიანდა. სავსებით გეთანხმებით, რომ მემარცხენის როლი ჰიუისმანსთან თათბირზე უმთავრესად საინფორმაციო ხასიათისა იქნება[479] ეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. უმთავრესია **იქვე** და ყველაფერი ჩაიწეროთ. შეაგროვოთ ყველა და ყოველგვარი დოკუმენტები; ერთი წუთითაც არ დაივიწყოთ, რომ აუცილებელია სრული ინფორმირება. ჩაიწეროთ ყველაფერი (თუნდაც მოკლედ) იქვე, ადგილობრივ, განსაკუთრებულ რვეულში — ერთადერთი საშუალებაა. გრიმი არ მიდის; პასპორტი არ მისცეს. მაშასადამე, მემარცხენე ერთი იქნება. მით უფრო დიდია მისი პასუხისმგებლობა. ერთმა რომ ხაზი გაატარო, საჭიროა დიდი გამბედაობა, სრული შეგნებულობა: თქვენთვის უფრო დასანახია, არის თუ არა ეს თვისებები. თუ არის, კარგი იქნება «დაისვას» ორიოდე კითხვა კენჭის ყრის resp.*: მოიწონონ ციმერვალდი; — აგრეთვე კინტალი; გაიცხონ სოციალ-პატრიოტები, ჰაინდმანი და კომპ., სამბა და კომპ.; ლეგინი და კომპ.; პლეხანოვი და კომპ.. ასევე შეიძლება კითხვების სახით. თქვენთვის უფრო დასანახია, შეიძლება თუ არა ეს განხორციელდეს.

---

* — შესახებ. რ ე დ.

მოიწერეთ, გეთაყვა, ორიოდე სიტყვა, მიიღეთ თუ არა ეს ღია ბარათი.

ალექსანდრემ, ალბათ, წაიღო ყველა მისამართი და შეეცდება გაიგოს, დაბეჭდილია თუ არა რაიმე ამერიკაში ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის შესახებ; ეს უნდა ვიშოვოთ; დავუკავშირდეთ «Socialist Propaganda League»-ს; აგრეთვე Socialist Labour Party-ს, აგრეთვე «International Socialist Review*-ს; აგრეთვე «Appeal to Reason»-ს**. თუ ამ ღია ბარათს მიიღებთ და მიპასუხებთ, იქნებ, ჩვენ კიდევ მოგწეროთ იმის შესახებ, თუ სახელდობრ რაა მოსახერხებელი დავავალოთ მას იქ.

ერთი პირადი თხოვნა: ხომ არ გაქვთ კავშირურთიერთობა გამომცემლობებთან? მე არა მაქვს. თავის სარჩენად მინდოდა მქონოდა ან **სათარგმნი**, ან **პედაგოგიურ**-ლიტერატურული სამუშაო ნადიასათვის (ვინაიდან მისი ავადმყოფობა მოითხოვს ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ცხოვრებას მთებში, ეს კი ძვირი ღირს).

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ყოველივე კარგს. ნადია სალამს გითვლით.

თქვენი ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი

Uljanow. Kurhaus Tschudiwiese.
F l u m s (Kt. St.—Gallen). Schweiz.

გაგზავნილია ფლიუმსიდან (შვეიცარია) ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — «ინტერნაციონალური სოციალისტური მიმოხილვა». რ ე დ.
** — «მოწოდება გონებისადმი». რ ე დ.

გ. ლ. ᲨᲙᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ

ძვირფასო გ. ლ.!

არ ვიცი, ბერნში ხართ თუ არა. მოიწერეთ, გეთაყვა, **ამ** წერილის მიღებისთანავე.

1) თქვენდამი თხოვნა მაქვს: აუცილებლად მჭირდება გავგზავნო ყდიანი ხელნაწერი: 100 ფ უ რ ც ე ლ ი (არა გვერდი, არამედ ფურცელი) **სწორედ ისეთი,** როგორიც ესაა (იქვე, სადაც გრიგოლმა გაგზავნა)[480].

თუ კაცი ხარ, შეუკვეთეთ შ ე ს ა ფ ე რ ი ფორმატის ო რ ი წიგნი: 5 — 6 დღის შემდეგ ხელნაწერს მიიღებთ. ს ა შ ი ნ ლ ა დ ვ ჩ ქ ა რ ო ბ გ ა ვ გ ზ ა ვ ნ ო (ჩემი ეგზემპლარი დამეკარგა!!) და ამიტომ ძალიან გთხოვთ დააჩქაროთ, ხოლო თუ თქვენ არ შეგიძლიათ, მიპასუხოთ რაც შეიძლება მალე, რათა გამოვძებნო ვინმე, ვინც ამას იზამს.

2) რატომ დუმხართ ჩემი ქაღალდების შესახებ? თუ არაფერი გამოგიდისთ (ან თქვენთვის უხერხულია), მოიწერეთ, ნუ გერიდებათ. ძალიან ჯახირი არ ღირს ამის გამო!

3) იშოვეთ თუ არა მოორისაგან «ქაღალდის» ნაბეჭდი ეგზემპლარი ც.-ს საქმის გამო[481]? **ეს აუცილებელია. არ დაგავიწყდეთ!** უნდა ვიშოვოთ რაც უნდა დაგვიჯდეს, თორემ დაკარგავს, საძაგელი!

4) რატომაა რომ დიდი ხანია ფულის ანგარიში არ ყოფილა? ან იქნებ უკვე იმდენი დახვავდა, რომ ვერ დაითვლი?

სალამი ყველას, ლიუდათი დაწყებული.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. თუ კაცი ხართ, გვიგზავნეთ, **გამოყენების შემდეგ,** ტყვეების წერილები: ხომ უნდა ვადევნოთ თვალყური განწყობილებას, მოთხოვნებს, აზრს და მისთ.

დაწერილია 1916 წ. 4 თუ 5 აგვისტოს
გაგზავნილია ფლიუმსიდან (შვეიცარია)
ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გ. ლ. ᲨᲙᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ

ძვირფასო გ. ლ.! ძალიან გამახარა თქვენგან ამბების მიღებამ. გმადლობთ ტყვეების წერილების გამოც. წარმატებითი მუშაობაა, მოგილოცავთ!

«ტრიბუნას» გაუგზავნეთ ფული, და, თუ კაცი ხარ, თხოვეთ გაზეთს აწი ნუ გამოგზავნიან. არაფრის მაქნისია! მე არც გამომიწერია.

სალამი მთელ ოჯახს

თქვენი ლენინი

დაწერილია 1916 წ. აგვისტოს დამლევს
გაგზავნილია ფლიუმსიდან (შვეიცარია)
ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ზ. ი. ლილინას

ძვირფასო ზინა! ვნახე «Berner Tagwacht»-ში და გავიგე, რომ თქვენ მიერ ოლშანში წაკითხული რეფერატი ძ ა ლ ი ა ნ მოეწონათ. Ich gratuliere*! იქნებ, შესაძლებელი იყოს მ ო კ ლ ე დ გადმოსცეთ უმთავრესი ჩვენი «სბორნიკ სოციალ-დემოკრატასათვის», თუ თქვენ ამავე თემაზე გინდოდათ დაგეწერათ? ჩვენ საშინლად ძნელ მდგომარეობაში ვართ: წინასწარ არ გვიანგარიშნია სტატიების ზუსტი ოდენობა, უზომოდ «გავიბერეთ», ვერ შევძელით «განვტვირთულიყავით» და ახლა იმ პერსპექტივის წინაშე ვიმყოფებით, რომ გამოვცეთ სქელი-წიგნი, რომელიც ყველაზე ნაკლებად შესაფერისია საზღვარგარეთიდან პროპაგანდისათვის.

მოიწერეთ ორიოდე სიტყვა თქვენი თემის შესახებ და იმაზე, შეძლებდით თუ არა, თ ე მ ი ს ა თ ვ ი ს ზ ი ა ნ ი ს მ ი უ ყ ე ნ ე ბ ლ ა დ, დატეულიყავით ჩვენი დიდი ფორმატის 4—5 გვერდზე (თქვენ ეს ფორმატი გაქვთ კორექტურის სახით და ზუსტად გამოთვლა თქვენთვის, ალბათ, ძნელი არ იქნება).

მოიწერეთ.

Beste Grüße და სალამი სტეპკას, რომელიც, ალბათ, ისე გაიზარდა, რომ მის ჭერისაკენ აგდებას ვერ შევძლებ!

დაწერილია 1916 წ. სექტემბერში
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ჟურნალ «კრასნაია ლეტოპისში» № 4

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* — მოგილოცავთ! რ ე დ.

ბ. ი. ბელენკის

ძვირფასო გრიშა! მაშ, გაუგებრობა გამორკვეულია. მეტი აღარ ღირს მასზე ლაპარაკი. ცენზურის ქვეშ პარიზში გამოცემა არ ღირს. თუ სავსებით გამოირკვევა უცენზუროდ გამოცემის შესაძლებლობა, მაშინ მოიწერეთ და უფრო ზუსტად.

თანახმა ვართ, რომ პარიზში ფურცლების გამოსაცემად იყოს რედაქცია (დროებითი): ვარინი+დომოვი+1 პარიზელთა ჯგუფისაგან [432].

გაზეთები წერენ, რომ 1916 წ. 24. XII Palais Bourbon-ში * შედგება Entente-ის სოციალისტების კონფერენცია [433]. გაიგეთ, ასეა თუ არა. გამოგიგზავნით ფურცელს ცენტრალური კომიტეტისაგან, თქვენ კი მოამზადეთ მისი საფუძვლიანად გამოცემა და გავრცელება ამ შემთხვევისათვის.

დიდი მადლობა ყოველივე გამოგზავნილისათვის. გვიგზავნეთ და მოიწერეთ უფრო მეტი.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1916 წ. 26 ოქტომბერს
გაგზავნილია ციურიხიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — ბურბონების სასახლე. რედ.

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ამხანაგებო!

მე აქ უნდა წავიკითხო მოხსენება 1905 წლის 9 იანვრის შესახებ, მასალა კი არა მაქვს[484]. დაგვეხმარეთ, გეთაყვა, ვიშოვო:

1) «მისლი» 1910 (?) — 1911
   ვ. ილინის სტატიები გაფიცვებზე რუსეთში[485].
2) «რსდმპ ცენტრალური ორგანოს «სადისკუსიო ფურცელი» 1910—1911(?) ჩემი სტატია რევოლუციისა და კონტრრევოლუციის შესახებ რუსეთში გაფიცვების სტატისტიკის შენაჯამის დართვით[486]
3) Trotzky: «Russland in der Revolution»*.
4) გორნი, მეჩი, ჩერევანინი და სხვ.
   კრებულები (არალეგალური) 1906 — 1907 წწ. (?) საზოგადოებრივი მოძრაობა რუსეთში ან რაღაც ამდაგვარი. ერთი ნაკვეთი — გ ლ ე ხ ო ბ ი ს შესახებ[467]
   (აგრარული საკითხი)
5) მასლოვი, ტ. II გლეხთა მოძრაობა 1905 — 1906 წლებში[488].
6) «საზოგადოებრივი მოძრაობა რუსეთში». პოტრესოვისა და კომპ. ხუთტომიანი კრებული.
7) მოსკოვი 1905 წელს[489].
   და 1905—1906 წლების სხვა ბროშურები. რ ა ც ა რ ი ს.

გამომიგზავნეთ, გეთაყვა, რაც გაქვთ ან აღნიშნეთ ამ ბარათის მიხედვით, რაც არის და რის გამოგზავნაც შეგიძლიათ.

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

---

* — ტროცკი: «რუსეთი რევოლუციაში». რ ე დ.

P. S. გილბოს გავუგზავნე ჩემი თეზისები შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მემარცხენეთა შორის მუშაობის შესახებ და ვთხოვე, შემდეგ თქვენ გადმოგცეთ [490]. გადაეცით ნოესაც და სტეკლოვსაც.

დაწერილია 1916 წ. 20 დეკემბერს
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1917 წ.

უცნობს

ნობსმა და მიუნცენბერგმა დღეს მიამბეს შემდეგი ფაქტები, რომლებიც არ არის მნიშვნელობას მოკლებული.

7. I მიუნცენბერგმა წინადადება წამოაყენა გადაიდოს ყრილობა მ ა რ ტ ა მ დ ე (ამ წინადადებით აშკარად სურდა გამოეაშკარავებინა გრიმის + სოციალ-პატრიოტების მოსაზრებათა სიყალბე). ჩაშალეს[491].

გრეილიხმა წინადადება წამოაყენა გადაედოთ მ ა ი ს ა მ დ ე. ნობსმა განაცხადა, რომ თანახმაა (ისევ იმისათვის, რომ აერჩია ნაკლები ბოროტება და ემხილებინა იგივე კომპანია). როდესაც ნობსმა თქვა, თ ა ნ ა ხ მ ა ვ ა რ ო, მაშინ გრეილიხმა (კარგი ვაჟბატონი კია!) უ კ ა ნ წ ა ი ღ ო თავისი წინადადება (რაკი დაინახა თავისი შეცდომა). მაშინ ნენმა განაცხადა, რომ მ ა ს შეაქვს გრეილიხის წინადადება. ჩ ა შ ა ლ ე ს.

მიუნცენბერგმა წინადადება შეიტანა დაენიშნათ საკანტონო გამგეობებისათვის (რომლებსაც ახლა საქმე გადასცეს) ვადა ივლისამდე. ჩაშალეს!

ამ ფაქტებიდან შეგიძლიათ დაინახოთ, თუ რა გაუგონარ უსირცხვობამდე მივიდა გრიმი თავის სტატიაში («Berner Tagwacht» 9 ან 8. I Parteibeschlüsse[492]), როცა ის ამბობს, მემარცხენენიც «პრინციპულად» წინააღმდეგ **არ იყვნენ** გადადებისაო!

მიუნცენბერგმა სტატია დაწერა «Volksrecht»-თვის (ნობსი შეპირდა ხვალ თუ ზეგ მოათავსოს იგი) Partei-Vorstand-ის* გადაწყვეტილების წინააღმდეგ[493].

წაკითხვის შემდეგ გადაუგზავნეთ ეს ოლღას, რათა მან აბრამოვიჩს გადაუგზავნოს.

დაწერილია 1917 წ. 11 თუ
12 იანვარს ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — პარტიის გამგეობის. რ ე დ.

3. ა. ᲙᲐᲠᲞᲘᲜᲡᲙᲘᲡ

ძვირფასო მეგობარო! გიგზავნით რეზოლუციას. გეთაყვა, წაიკითხეთ და გადაეცით როგორც გილბოს, ისე გერმანელთა ჯგუფს.

უნდა გავიყვანოთ ეს რეზოლუცია (აქ იგი მიიღო მემარცხენეთა კრებამ)[494] ყველა შესაძლებელ ორგანიზაციაში და, თუ პატარა **პარტიული** ორგანიზაცია მაინც მიიღებს მას, გავუგზავნოთ **ოფიციალურად** პარტიის ადგილობრივ გამგეობასაც და ცენტრალურსაც (Geschäftsleitung der sozialistischen Partei. Zürich. Volkshaus*) მოთხოვნით, რომ დაბეჭდონ.

გილბოზე მე საშინლად ვარ გაჯავრებული — უთხარით ეს მას, — რომ ის არ მიბრუნებს გრიმის წინააღმდეგ განცხადების პროექტს[495] (გიჩვენათ თუ არა თქვენ? დაე გიჩვენოთ!).

თუ არ სურს ხელი მოაწეროს, **ახლავე** დამიბრუნოს.

საუკეთესო სალამი.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1917 წ. 19 იანვარს
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — სოციალისტური პარტიის საქმეთა მმართველობა. ციურიხი. სახალხო სახლი. რედ.

ს. ნ. რავიჩს

ძვირფასო ამხანაგო ოლღა!

დიდი მადლობა წერილისათვის ადგილობრივი თქვენი პარტიის საქმეთა შესახებ. «პესიმიზმი», მართალი რომ ითქვას, ხშირად მარტო თქვენ როდი მოგიცავთ[496]. პარტია აქ მთლად ოპორტუნისტულია, საქველმოქმედო დაწესებულებაა მოხელე-მეშჩანებისათვის.

ბელადები, ვითომდა ბემარცხენენიც კი (როგორიც არიან ნობსი და პლატენი), ა რ ა ფ რ ა დ არ ვარგანან; ორი დასახელებული განსაკუთრებით[497]. მასასთან ხელი თუ არ მიგიწვდება, ისე ვერაფერს იზამ. მაგრამ თუ მეტისმეტი იმედებით თავი არ უნდა მოიტყუილო, პესიმიზმში გადავარდნაც არ ღირს: დიდმნიშვნელოვანი მომენტია. და თუ ჩვენ ც ო ტ ა თ ი მაინც ხელს შევუწყობთ (ორიოდე ფურცელი და სხვ.), ესეც რ ა ღ ა ც ა ს ნიშნავს. ესეც სრულიად უკვალოდ ა რ დ ა ი კ ა რ გ ე ბ ა.

ძალიან და ძალიან მიხარია, რომ განზრახვა გაქვთ ყოველნაირად დაეხმაროთ ფურცლის გავრცელებას[498]. ნუ დაიეიწყებთ, გეთაყვა, მ თ ე ლ ი ჩვენი მიწერ-მოწერა მოსპოთ.

როდის არის თქვენთან სოციალისტური პარტიის საკანტონო ყრილობა? რეზოლუციის პროექტი მე აბრამოვიჩს გავუგზავნე. გადმოგიგზავნათ თუ არა თქვენ? იცით თუ არა რაიმე (გარდა Volksrecht-ისა) ციურიხის პარტიის ყრილობის შესახებ Töss-ში[499]

ვინ იყო მომხსენებელი 1 თებერვლის შესახებ ოლტენში?[500] მხოლოდ გილბო და კომპ.? ისინი ხომ დაფრთხნენ!! ამოცანა ვერ გაიგეს, შეეშინდათ!

ფრანგულ ენაზე მე წაკითხვა არ შემიძლია.

გართმევთ ხელს და გისურვებთ ყოველგვარ წარმატებას. სალამი ვიაჩესლავ ალექსის-ძეს!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

როგორაა რეფერენდუმის საქმეები? რამდენი ხელმოწერაა? განაგრძობენ თუ არა მის შეგროვებას?[501].

დაწერილია 1917 წ. 12 თებერვლის
შემდეგ
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ვ. ა. კარპინსკის

მარტოვის გეგმა კარგია[502]; მისთვის უ ნ დ ა ვიზრუნოთ, ოღონდ ჩ ვ ე ნ (და თქვენ) არ შეგვიძლია ეს პირდაპირ ვქნათ. ჩ ვ ე ნ ზ ე ეჭვს მიიტანენ. საჭიროა, რათა მარტოვის გარდა უპარტიო რუსებმა და პატრიოტმა რუსებმა მიმართონ შვეიცარიის მინისტრებს (და გავლენიან პირებს, ადვოკატებს და მისთ., რაც ჟენევაშიც შეიძლება გაკეთდეს) თხოვნით **მოელაპარაკონ** ამაზე გერმანიის მთავრობის ელჩს ბერნში. ჩვენ არ შეგვიძლია არც პირდაპირ მივიღოთ მონაწილეობა და არც არაპირდაპირ; ჩვენი მონაწილეობა ყველაფერს წ ა ა ხ დ ე ნ ს. მაგრამ გეგმა, თავისთავად, **მეტად** კარგია და **მეტად** სწორია.

დაწერილია 1917 წ. 21 და 23 მარტს შუა
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დეპეშა ი. ს. განეცკის

ფიურსტენბერგს. ბულვარ-ოტელი. ქრისტიანია

უდეპეშეთ «პრავდას», სააქეთო მისამართის დართვით. ეს-ეს არის წავიკითხე ცენტრალური კომიტეტის მანიფესტის ამონაწერები[503]. საუკეთესო სურვილები! გაუმარჯოს პროლეტარულ მილიციას, რომელიც მშვიდობასა და სოციალიზმს ამზადებს!

ულიანოვი

დაწერილია 1917 წ. 23 მარტს
გაგზავნილია ციურიხიდან
ქრისტიანიაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

გეგმა ციურიხში წაკითხული რეფერატისა «რუსეთის რევოლუცია, მისი მნიშვნელობა და მისი ამოცანები»[504]

1. Die erste Etappe der ersten Revolution.
2. Nicht die letzte Revolution, nicht die letzte Etappe.
3. In drei Tagen Sturz der monarchischen Regierung, die Jahrhunderte gedauert und mit Kämpfe 1905—1907...
4. Wunder*.

ნაწილი I

1. «ქვეყნიერება სხვანაირი გახდა სამი დღის განმავლობაში».
2. «სასწაული».
3. როგორ შეიძლებოდა დაემხოთ 8 დღეში?
   ოთხი მთავარი პირობა:
4. — (I) — — 1905 — 7 წლების რევოლუცია.

(((გააფხვიერა ნიადაგი; გვიჩვენა ყველა კლასი და

* — 1. პირველი რევოლუციის პირველი ეტაპი.
2. არა უკანასკნელი რევოლუცია, არა უკანასკნელი ეტაპი.
3. სამ დღეში დამხობილ იქნა მონარქისტული მთავრობა, რომელიც საუკუნეები ძლებდა და 1905 — 1907 წლების ბრძოლებში... (შემდეგ გაურკვეველია. რ ე დ.)
4. სასწაული. რ ე დ.

პარტია; გააშიშვლა და განამარტოვა **ნიკოლოზ II** და კომპ. (რასპუტინი).

5. — — (II) — — სამი ძალის თანამშრომლობა ახლანდელ რევოლუციაში:
— — (α) ინგლის-საფრანგეთის ფინანსური კაპიტალი.

6. — — (β) რუსეთის მთელი ბურჟუაზია და მემამულე-კაპიტალისტთა კლასი (და არმიის ზედაფენები).

7. — — — (γ) რევოლუციური პროლეტარიატი და არმიის, ჯარისკაცების რევოლუციური ნაწილი.

8. სამი ძალა ახლა:
— (αα) მეფის მონარქია; დინასტიის ნაშთები (კონტრრევოლუცია სამხრეთში).

9. — (ββ) ახალი მთავრობა და ბურჟუაზია.

10. — (γγ) მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო.
ზავი, პური, თავისუფლება=

11. = სამი ძირითადი მოთხოვნა

12. ||

13. || ახალ მთავრობას **არ შეუძლია** მოგვცეს ისინი...

14. **სამი ხაზი** მუშათა დეპუტატების საბჭოში:

15. რეზოლუცია **კერენსკის** შესახებ[505] etc.

16. ჩხეიძის მერყეობა.

17. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ხაზი. **ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი.**

ნაწილი II

18. რა ვქნათ? საით და როგორ ვიაროთ?
კომუნისაკენ? დასაბუთდეს ეს.

19. სიტუაციის ანალიზი. სიტუაციების სწრაფი ცვლა.
(გუშინწინ — უდიდესი **არალეგალობა.** რევოლუ-

ციური ბრძოლისათვის მოწოდება. ბრძოლა **ს ო ც ი ა ლ-შ ო ვ ი ნ ი ზ მ თ ა ნ.**

(გ უ შ ი ნ — რევოლუციური გმირობის maximum-ი შეტაკებაში.

(დ ღ ე ს — **გარდამავალი ორგანიზაცია...**

(ხ ვ ა ლ — ისევ შეტაკება.

20. **ორგანიზაცია** — დღის ლოზუნგი.

რ ო გ ო რ ი? პარტია? პროფკავშირები? etc.

21. **მ უ შ ა თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო.** Quid est* თეზისი № 4 [506].

22. ჩვენი **«ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო».**

23. პარიზის კომუნა... მისი არსი.

24. მარქსისა და ენგელსის მოძღვრება გარდამავალი ტიპის სახელმწიფოს შესახებ[507];

25. პროლეტარული **მილიცია.** როგორი...

26 — საჭიროა მ ა თ თ ვ ი ს

27. — — და **ჩვენთვისაც**

«პოლიცია არ უნდა იქნას აღდგენილი»

28. პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა...

29. ზავი? რ ო გ ო რ (გორკი?)

30. — ჩვენი ზავის პირობები.

(თეზისი № 11 № 47-ში)[508].

31. ნაბიჯი (გადასვლა) სოციალიზმისაკენ.

32. გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას, გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას, რომელიც იწყება!

დაწერილია 1917 წ. 27 მარტზე
არაუგვიანეს

პირველად დაიბეჭდა 1955 წელს
ჟურნალ «ისტორიჩესკი არხივში» № 2

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* — რა არის ეს. რ ე დ.

დეპეშა ი. ს. განეცკის

ბერლინის ნებართვა ჩემთვის მიუღებელია. ან შვეიცარიის მთავრობა მიიღებს ვაგონს კოპენჰაგენამდე* ან რუსეთის მთავრობა შეუთანხმდება, რომ ყველა ემიგრანტი გაცვლილ იქნეს ინტერნირებულ გერმანელებზე.

დაწერილია 1917 წ. 28 მარტს
გაგზავნილია ბერნიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

---

* — სიტყვა «კოპენჰაგენამდე» ჩამატებულია ნ. კ. კრუპსკაიას მიერ.
რ ე დ.

დეპეშა ი. ს. განეცკის[509]

თქვენი გეგმა მიუღებელია. ინგლისი არასოდეს არ გამატარებს, უფრო კი მოახდენს ჩემს ინტერნირებას. მილიუკოვი მოგვატყუებს. ერთადერთი იმედია, გაგზავნოთ ვინმე პეტროგრადში, მიაღწიოთ მუშათა დეპუტატების საბჭოს მეშვეობით ინტერნირებულ გერმანელებზე გაცვლას. მიდეპეშეთ.

ულიანოვი

დაწერილია 1917 წ. 30 მარტს
გაგზავნილია ციურიხიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში II

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

დეპეშა რ. გრიმს

ეროვნულ მრჩეველს გრიმს[510]

ჩვენმა პარტიამ გადაწყვიტა შეუსიტყვებლად მიიღოს წინადადება, რომ რუსმა ემიგრანტებმა გერმანიაზე გაიარონ და რომ ახლავე მოეწყოს ეს გამგზავრება[511]. ჩვენ უკვე ახლა ვვარაუდობთ, რომ გამგზავრების მონაწილე ათზე მეტი იქნება.

ჩვენ სრულიად არ შეგვიძლია პასუხი ვაგოთ შემდგომი დაყოვნებისათვის, გადაჭრით ვაცხადებთ პროტესტს ამის წინააღმდეგ და მარტონი მივდივართ. დაბეჯითებით გთხოვთ დაუყოვნებლივ შეუთანხმდეთ და, თუ შესაძლებელია, ხვალვე გვაცნობოთ გადაწყვეტილება.

მადლობით ლ ე ნ ი ნ ი, ზ ი ნ ო ვ ი ე ვ ი, უ ლ ი ა ნ ო ვ ა

დაწერილია 1917 წ. 31 მარტს
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში II

იბეჭდება უცნობის ხელით
დაწერილი პირის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

ბოლშევიკების ციურიხის სექციას

ძვირფასო მეგობრებო!

ამასთან გიგზავნით ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას (კარპინსკებმა 2 პირის გადაღების შემდეგ **მაშინვე** უნდა დამიბრუნონ ეს გადაწყვეტილება)[512]. დაუყოვნებლივ გადაიღეთ **(თქვენთვის)** პირი და **ექსპრესით** გაუგზავნეთ პირველი მატარებლით **(წაიღეთ ვაგზალზე)** კარპინსკებს, თან ჩემი ეს წერილიც დაურთეთ.

ლოზანას (გობერმანს)[513] საგანგებოდ შეატყობინეთ.

ჩემი მხრივ დავძენ, რომ საერთო საქმის ჩამშლელი მენშევიკები პირველი ხარისხის არამზადებად მიმაჩნია, რომლებსაც «ეშინიათ» იმისა, თუ რას იტყვის «საზოგადოებრივი აზრი», ე. ი. სოციალ-პატრიოტები[514]!!! მე მივდივარ (და ზინოვიევიც) **ყოველ შემთხვევაში.**

გამოარკვიეთ ზუსტად, (1) ვინ მიდის, (2) რამდენი ფული აქვს.

მისწერეთ ეს მაშინვე რადომისლსკის, Neufeldstr. 27. Bern.

ჩვენ **უკვე** გვაქვს საგზაოდ 1000 frs*-ზე მეტი. გამგზავრების დღედ ვფიქრობ დავნიშნოთ ოთხშაბათი, 4. IV.

---

* — francs — ფრანკი. რედ.

პასპორტები რუსეთის კონსულთან **ახლავე** აიღოს **ყველამ** ბინადრობის ადგილის მიხედვით.

სალამი!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

აბრამსა და მის ცოლს პირები ახლავე გაუგზავნეთ.

P. S. ამასთან გიგზავნით 100 frs, რაც თქვენ სესხად თხოვეთ გრიგოლს.

დაწერილია 1917 წ. 3 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის კრებულში XIII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დეპეშა ი. ს. განეცკის

უცნაურად გვიგვიანდება. მენშევიკები მუშათა დეპუტატების საბჭოს სანქციას მოითხოვენ. დაუყოვნებლივ გაგზავნეთ ფინეთს ან პეტროგრადს ვინმე, რომ შეუთანხმდეს ჩხეიძეს რამდენადაც ეს შესაძლებელია. სასურველია ვიცოდეთ ბელენინის აზრი[515]. მიდეპეშეთ: სახალხო სახლი, ბერნი.

ულიანოვი

დაწერილია 1917 წ. 5 აპრილს
გაგზავნილია ბერნიდან
სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 1 (24)

იბეჭდება სატელეგრაფო ბლანკის ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

დეპეშა ანრი გილბოს

ხვალ, შუადღეს, მივემგზავრებით გერმანიაში [516]. პლატენი მიჰყვება მატარებელს, გთხოვთ დაუყოვნებლივ ჩამოხვიდეთ, ხარჯს გავისტუმრებთ. ჩამოიყვანეთ რომენ-როლანი, თუ ის პრინციპულად თანახმაა. მოიმოქმედეთ ყოველივე შესაძლებელი, რათა თან ჩამოიყვანოთ ნენი ან გრაბერი. გვიდეპეშეთ. სახალხო სახლი, ულიანოვს.

ულიანოვი

დაწერილია 1917 წ. 6 აპრილს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს
ფრანგულ ენაზე წიგნში: Henri
Guilbeaux.
«Wladimir Iljitsch Lenin», Berlin

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

აპრილის თეზისების პირვანდელი მონასახი [517]

თეზისები:

1) დამოკიდებულება ომისადმი.

არავითარი დათმობა «რევოლუციურ ობორონობას».

2) «მოეთხოვოს დროებით მთავრობას» «უარი სთქვას დაპყრობებზე». (α) დამოკიდებულება დროებითი მთავრობისადმი.

(β) » მუშათა დეპუტატების საბჭოებისადმი.

2 bis*) მუშათა დეპუტატების საბჭოების კრიტიკა.

3) არა პარლამენტური რესპუბლიკა, არამედ მუშათა, მოჯამაგირეთა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკა.

(α) არმიის, მოხელეობის, პოლიციის მოსპობა.
(β) გასამრჯელო მოხელეებს.

4) პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციის ამოცანების თავისებურება რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორეზე გადასვლის პერიოდში. ლეგალობის მაქსიმუმი.

მ ხ ო ლ ო დ «აუცილებლობის გამო ომის», «არა დაპყრობათათვის ომის» კეთილსინდისიერი, მაგრამ ბურჟუაზიის მიერ მოტყუებული მომხრეები და მათი შოტყუება ბურჟუაზიის მიერ.

* — ხელმეორედ. რ ე დ.

5) აგრარული პროგრამა.

(α) ნაციონალიზაცია. (მემამულეთა ყველა მიწის კონფისკაცია).

(β) «სანიმუშო მეურნეობანი» თვითეული მსხვილი მამულიდან მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოს კონტროლით.

+ (γ) სიმძიმის ცენტრი მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოებშია.

6) ერთი ბანკი მუშათა დეპუტატების საბჭოების კონტროლით.

6 bis) სოციალიზმის **არა ერთბაშად** შემოღება, არამედ მუშათა დეპუტატების საბჭოების დაუყოვნებლივი, სისტემატური, თანდათანობითი გადასვლა პროდუქტების საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების **კ ო ნ ტ რ ო ლ ზ ე**.

7) ყრილობა.

პროგრამისა და სახელწოდების შეცვლა.

ინტერნაციონალის განახლება. შექმნა რეეოლუციურ-ინტერნაციონალური...*

დაწერილია 1917 წ. 3 (16) აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის კრებულში VII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* ამაზე ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

36. ვ. ი. ლენინი, ტ. 36.

სიტყვა
პეტერბურგის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1917 წ. 4 (17) აპრილის სხდომაზე გერმანიაზე გამოვლის საკითხის გამო

საოქმო ჩანაწერი

იმისათვის, რომ აღიკვეთოს სიცრუე, რასაც ბურჟუაზიული პრესა ავრცელებს, აუცილებელია მივიღოთ ამხ. ზინოვიევის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია. წინადადებას იძლევა განვაცხადოთ, რათა გამოატარონ ხოლმე ყოველგვარი მიმდინარეობის ემიგრანტები. არავითარი ვალდებულება ჩვენ არ გვიკისრია. ჩვენ მხოლოდ აღვუთქვით, დაბრუნების შემდეგ მივმართავთ მუშებს, რომ მათ ხელი შეუწყონ გაცვლას-თქო. თუ თქვენ გაცვლას მართებულად მიიჩნევთ, ამით გააქარწყლებთ მთელ სიცრუეს. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ საზრდოს მისცემთ ინსინუაციისა და ცილისწამებისათვის...

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს წიგნში «პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, ოქმები».
სახ. გამომცემლობა

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

სიტყვა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების სრულიად-რუსეთის თათბირის მონაწილე ბოლშევიკების კრებაზე 1917 წ. 4 (17) აპრილს[518]

მე დავსახე რამდენიმე თეზისი, რომლებსაც ზოგიერთ კომენტარს დაეურთავ. დროის სიმცირის გამო ვერ შევძელი წარმომედგინა ვრცელი, სისტემატური მოხსენება.

ძირითადი საკითხია ომისადმი დამოკიდებულება. ძირითადი, რაც პირველ პლანზე დგება, როცა კითხულობ რუსეთის შესახებ და ხედავ აქ, ესაა ობორონობის გამარჯვება, სოციალიზმის მოღალატეთა გამარჯვება, ბურჟუაზიის მიერ მასების მოტყუება. თვალში გვეცემა, რომ აქ, რუსეთში, სოციალისტური მოძრაობის მხრივ იგივე მდგომარეობაა, რაც სხვა ქვეყნებში: ობორონობა, «სამშობლოს დაცვა». განსხვავება ისაა, რომ არსად არ არის ისეთი თავისუფლება, როგორც ჩვენშია, და ამიტომ ჩვენ გვეკისრება პასუხისმგებლობა მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე. ახალი მთავრობა, ისევე როგორც წინანდელი, იმპერიალისტურია, მიუხედავად რესპუბლიკის დაპირებისა — მთლად იმპერიალისტურია.

«I. ჩვენს დამოკიდებულებაში ომისადმი, რომელიც რუსეთის მხრივ ლვოვისა და კომპ. ახალი მთავრობის დროსაც უეჭველად მძარცველურ, იმპერიალისტურ ომად რჩება ამ მთავრობის კაპიტალისტური ხასიათის გამო, შეუწყნარებელია სულ მცირედი დათმობაც კი «რევოლუციური ობორონობისადმი».

«რევოლუციურ ომს, რომელიც ნამდვილად გაამართლებდა რევოლუციურ ობორონობას, შეგნებული პროლეტარიატი შეიძლება დაეთანხმოს მხოლოდ იმ პირობით ა) თუ ძალაუფლება გადავა პროლეტარიატისა და მისი მომხრე გლეხობის უღარიბესი ნაწილის ხელში; ბ) თუ უარყოფილი იქნება ყოველგვარი ანექსია საქმით და არა სიტყვით; გ) თუ სავსებით და ნამდვილად გაწყვეტილი იქნება კავშირი კაპიტალის ყოველგვარ ინტერესებთან.

«რევოლუციური ობორონობის მასობრივ წარმომადგენელთა ფართო ფენების უეჭველი კეთილსინდისიერების გამო, რადგან ისინი ომს სცნობენ მხოლოდ როგორც აუცილებლობას და არა როგორც დაპყრობის საშუალებას, იმის გამო, რომ ეს ფენები მოტყუებული არიან ბურჟუაზიის მიერ, საჭიროა განსაკუთრებით საფუძვლიანად, დაჟინებით, მოთმინებით განვუმარტოთ ამ ფენებს მათი შეცდომა, განვუმარტოთ, თუ რა განუყრელი კავშირი არსებობს კაპიტალსა და იმპერიალისტურ ომს შორის, დავუმტკიცოთ, რომ კაპიტალის დაუმხობლად შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ომი დამთავრდეს ჭეშმარიტად დემოკრატიული, არა ძალდატანებითი ზავით.

«ამ შეხედულების ფრიად ფართო პროპაგანდის მოწყობა ჩოქმედ არმიაში.

«დაძმობილება».

— ჩვენს დამოკიდებულებაში ომისადმი ახალი მთავრობის დროსაც, რომელიც იმპერიალისტური რჩება, შეუწყნარებელია სულ მცირედი დათმობაც კი ობორონობისადმი. მასები საქმეს პრაქტიკულად უყურებენ და არა თეორიულად. ისინი ამბობენ: «ჩვენ გვინდა სამშობლო დავიცვათ და არა სხვისი მიწები ჩავიგდოთ ხელთო». როდის შეიძლება ეს ომი ჩვენად მივიჩნიოთ? როცა სავსებით უარს იტყვიან ანექსიებზე.

მასები საკითხს უდგებიან არა თეორიულად, არამედ პრაქტიკულად. ჩვენი შეცდომაა თეორიული მიდგომა. რევოლუციურ ომს, რომელიც ნამდვილად გაამართლებდა რევოლუციურ ობორონობას, შეგნებული პროლეტარიატი შეიძლება დაეთანხმოს. ჯარისკაცთა მასის წარმომადგენლებთან საკითხი

პრაქტიკულად უნდა დაისვას, სხვაგვარად არ შეიძლება. ჩვენ სრულიადაც არა ვართ პაციფისტები, მაგრამ ძირითადი საკითხია: რომელი კლასი აწარმოებს ომს? კაპიტალისტების კლასს, რომელიც ბანკებთანაა დაკავშირებული, არავითარი სხვა ომი არ შეუძლია აწარმოოს, გარდა იმპერიალისტური ომისა. მუშათა კლასს — შეუძლია. სტეკლოვმა, ჩხეიძემ ყველაფერი დაივიწყეს. როცა მუშათა დეპუტატების საბჭოს რეზოლუციას კითხულობ, გაოცებას ეძლევი, როგორ შეეძლოთ ადამიანებს, რომლებიც თავიანთ თავს სოციალისტებად აცხადებენ, ასეთი რეზოლუცია გამოეტანოთ[519].

რაც თავისებურია რუსეთში, ესაა გიგანტურად სწრაფი გადასვლა ველური ძალადობიდან უაღრესად დახვეწილ მატყუარობაზე. ძირითადი პირობაა: უ ა რ ი ს თ ქ მ ა ა ნ ე ქ ს ი ე ბ ზ ე ა რ ა ს ი ტ ყ ვ ი ე რ ა დ, არამედ ნამდვილად. «რეჩი» ღმუის «სოციალ-დემოკრატის» განცხადების გამო, რომ კურლიანდიის შემოერთება რუსეთთან ანექსიაა. მაგრამ ანექსიაა შემოერთება ყოველი ქვეყნისა, რომელიც ეროვნული თავისებურებებით განსხვავდება, ერის ყოველი შემოერთება მისი ნება-სურვილის წინააღმდეგ, სულერთია, განსხვავდება იგი ენით თუ არა, თუ თავს სხვა ხალხად გრძნობს. ეს ველიკოროსების ცრურწმენაა, რაც საუკუნეებით ინერგებოდა.

ომი შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ მაშინ, თუ სავსებით გავწყვეტთ კავშირს საერთაშორისო კაპიტალთან. ომი წარმოშვეს არა ცალკეულმა პირებმა, არამედ წარმოშვა საერთაშორისო ფინანსურმა კაპიტალმა. საერთაშორისო კაპიტალთან კავშირის გაწყვეტა ადვილი საქმე როდია, მაგრამ ადვილი არ არის ომის დამთავრებაც. ბალღობაა, გულუბრყვილობაა ვივარაუდოთ ომის შეწყვეტა ერთი მხარის მიერ... ციმერვალდი, კინტალი[520]... ჩვენ ყველა სხვაზე მეტად გვაწევს მოვალეობა დავიცვათ საერთაშორისო სოციალიზმის ღირსება. მიდგომის სიძნელე...

იმის გამო, რომ ობორონული განწყობილება უეჭველად არსებობს ფართო მასებში, რომლებიც ომს მ ხ ო ლ ო დ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი ს გ ა მ ო ცნობენ და არა დაპყრობათა გუ-

ლისათვის, საჭიროა განსაკუთრებით საფუძვლიანად, დაჟინებით, მოთმინებით განვუმარტოთ მათ, რომ კაპიტალის დაუმხობლად შეუძლებელია ომი დამთავრდეს არა ძალდატანებითი ზავით. ეს აზრი ფართოდ, უაღრესად ფართო მასშტაბით უნდა გავავითაროთ. ჯარისკაცები მოითხოვენ კონკრეტულ პასუხს — როგორ დავამთავროთ ომი. მაგრამ ხალხს რომ შეეპირდეთ, შეგვიძლია ომი დავამთავროთ მარტოოდენ ცალკეულ პირთა კეთილი სურვილითო,— პოლიტიკური შარლატანობა იქნება. მასები უნდა გავაფრთხილოთ. რევოლუცია ძნელი საქმეა. უშეცდომებოდ არ შეიძლება. შეცდომა ისაა, რომ ჩვენ (არ გვიმხილებია?) რევოლუციური ობორონობა მთელი მისი სიღრმით. რევოლუციური ობორონობა სოციალიზმის ღალატია. არ კმარა დავჯერდეთ... უნდა ვაღიაროთ შეცდომა. რა ვქნათ? განვუმარტოთ. როგორ მივცეთ... ვინც არ იცის, თუ რა არის სოციალიზმი... ჩვენ შარლატანები როდი ვართ. ჩვენ მხოლოდ მასების შეგნებულობას უნდა დავეყრდნოთ. თუნდაც უმცირესობაში რომ დავრჩეთ, — დაე. ღირს დროებით უარი ვთქვათ ხელმძღვანელ მდგომარეობაზე, არ უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ უმცირესობაში დავრჩებით. როდესაც მასები აცხადებენ, დაპყრობანი არ გვინდაო, — მე მათი მჯერა. როდესაც გუჩკოვი და ლვოვი ამბობენ, დაპყრობანი არ გვინდაო, ისინი მატყუარები არიან. როდესაც მუშა ამბობს ქვეყნის თავდაცვა მინდაო, — მასში ჩაგრული ადამიანის ინსტინქტი მეტყველებს».

«II. რუსეთის მიმდინარე მომენტის თავისებურება მდგომარეობს რევოლუციის პირველი ეტაპიდან, რომელმაც პროლეტარიატის არასაკმარისი შეგნებულობისა და დარაზმულობის გამო ძალაუფლება ბურჟუაზიას მისცა, მის მ ე ო რ ე ე ტ ა პ ზ ე გ ა დ ა ს ვ ლ ა შ ი, რომელმაც ძალაუფლება უნდა გადასცეს პროლეტარიატს და გლეხობის უღარიბეს ფენებს.

«ამ გადასვლას ახასიათებს, ერთი მხრივ, ლეგალობის მაქსიმუმი (რუსეთი ა მ ჟ ა მ ა დ მეომარ ქვეყანათაგან ყველაზე უფრო თავისუფალი ქვეყანაა მსოფლიოში), მეორე მხრივ, მასებზე ძალადობის უქონლობა და, ბოლოს, ამ მასების

შეუგნებელ-მიმნდობი დამოკიდებულება კაპიტალისტებ-ების — მშვიდობისა და სოციალიზმის ყველაზე უარესი მტრე-ბის მთავრობისადმი.

«ეს თავისებურება მოითხოვს ჩვენგან უნარს შევეგუოთ პარტიული მუშაობის განსაკუთრებულ პირობებს პროლეტარიატის იმ წარმოუდგენლად ფართო მასებში, რომ-ლებმაც ეს-ეს არის გამოიღვიძეს პოლიტიკური ცხოვრები-სათვის».

რატომ არ ავიღეთ ხელთ ძალაუფლება? სტეკლოვი ამ-ბობს: ამიტომ და ამიტომო. ეს სიცრუეა. საქმე ის არის, რომ პროლეტარიატი არასაკმაოდ შეგნებულია და არასაკმაოდ ორგანიზებული. ეს უნდა ვაღიაროთ. მატერიალური ძალა პროლეტარიატის ხელშია, ბურჟუაზია კი შეგნებული და მომ-ზადებული აღმოჩნდა. ეს გასაოცარი ფაქტია, მაგრამ აუცი-ლებელია ეს გულახდილად და პირდაპირ ვაღიაროთ და გან-ვუცხადოთ ხალხს, ძალაუფლება იმიტომ არ ავიღეთ ხელში, რომ არაორგანიზებულნი და შეუგნებელნი ვართ... მილიონე-ბის გაჩანაგება, მილიონების სიკვდილი. ყველაზე მოწინავე ქვეყნები იღუპებიან, და ამიტომ მათ წინაშე ამრიგად დგება საკითხი...

პირველი ეტაპიდან მეორეზე გადასვლას — პროლეტარია-ტისა და გლეხობის ხელში ძალაუფლების გადასვლას — ახა-სიათებს, ერთი მხრივ, ლეგალობის მაქსიმუმი (რუსეთი ახლა ყველაზე თავისუფალი, ყველაზე მოწინავე ქვეყანაა მსოფლი-ოში), მეორე მხრივ, მასების შეუგნებელ-მიმნდობი დამოკიდე-ბულება მთავრობისადმი. ჩვენი ბოლშევიკებიც კი იჩენენ მიმნდობელობას მთავრობისადმი. ამის ახსნა მხოლოდ რევო-ლუციის ციებ-ცხელებით შეიძლება. ეს სოციალიზმის და-ღუპვაა. თქვენ, ამხანაგებო, ნდობით ეპყრობით მთავრობას. თუ ასეა, ჩვენ საერთო გზა არა გვაქვს. სჯობია უმცირესო-ბაში დავრჩეთ. მარტო ლიბკნეხტი უფრო ძვირფასია, ვიდრე სტეკლოვისა და ჩხეიძის ტიპის 110 ობორონელი. თუ თქვენ თანაუგრძნობთ ლიბკნეხტს და ამავე დროს თუნდაც თითს უწვდით (ობორონელებს), ეს საერთაშორისო სოციალიზმის

ღალატი იქნება. თუ ჩვენ ზურგს შევაქცევთ იმ ადამიანებს... ჩვენთან მოვა ყოველი ჩაგრული, რადგან ჩვენთან მას მოიყვანს ომი. სხვა გამოსავალი მას არა აქვს.

ხალხს უნდა მივუდგეთ ლათინური სიტყვების მოუშველებლად, უბრალოდ, გასაგებად. მას უფლება აქვს... — უნდა შევეგუოთ... გადავიდეთ, მაგრამ საჭიროა. ჩვენი ხაზი სწორი გამოდგება.

«III. არავითარი მხარდაჭერა დროებითი მთავრობისათვის, განმარტება იმისა, რომ სრული სიცრუეა ყველა მისი დაპირება, განსაკუთრებით ანექსიებზე ხელისაღების შესახებ. მხილება, ნაცვლად შეუწყნარებელი, ილუზიების გამავრცელებელი «მოთხოვნისა», რომ ეს მთავრობა, კაპიტალისტური მთავრობა, ა ღ ა რ იყოს იმპერიალისტური».

— «პრავდა» მოითხოვს მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ა გ ა ნ, რომ მან ხელი აიღოს ანექსიებზე. კაპიტალისტების მთავრობისაგან რომ მოითხოვო, ხელი აიღე ანექსიებზეო, ეს სისულელეა, ალმაშფოთებელი დაცინვაა...

მეცნიერული თვალსაზრისით ეს ისეთი უდიდესი მატყუარობაა, რომელსაც მთელი საერთაშორისო პროლეტარიატი, მთელი... დროა ვაღიაროთ შეცდომა. კმარა მისალმებანი, რეზოლუციები, დროა საქმეს შევუდგეთ. უნდა გადავიდეთ საქმიან, ფხიზელ...

«IV. აღიარება იმ ფაქტისა, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოების უმეტესობაში ჩვენი პარტია წარმოადგენს უმცირესობას, და ჯერჯერობით სუსტ უმცირესობას, იმ ბ ლ ო კ თ ა ნ შედარებით, რომელშიც შედიან ყ ვ ე ლ ა წვრილბურჟუაზიული ოპორტუნისტული, ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ მყოფი და ამ გავლენის პროლეტარიატზე გადამტანი ელემენტები, დაწყებული სახალხო სოციალისტებით, სოციალისტ-რევოლუციონერებით და გათავებული ორგანიზაციული კომიტეტით (ჩხეიძე, წერეთელი და სხვ.), სტეკლოვით და სხვ. და სხვ.

«უნდა განემარტოს მასებს, რომ მუშათა დეპუტატების საბჭო ე რ თ ა დ ე რ თ ი შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ფორმაა რე-

ვოლუციური მთავრობისა და ამიტომ, ვიდრე ეს მთავრობა ბურჟუაზიის გავლენას განიცდის, ჩვენ ამოცანას უნდა შეადგენდეს მხოლოდ მოთმინებითი, სისტემატური, დაჟინებითი, განსაკუთრებით მასების პრაქტიკულ მოთხოვნილებებთან შეგუებული განმარტება მათი ტაქტიკის შეცდომებისა.

«ვიდრე უმცირესობას წარმოვადგენთ, ჩვენ ვაწარმოებთ კრიტიკას, ვარკვევთ შეცდომებს და იმავე დროს ვქადაგებთ მთელი სახელმწიფო ძალაუფლების მუშათა დეპუტატების საბჭოებისათვის გადაცემის აუცილებლობას, რათა მასებმა გამოცდილებით დააღწიონ თავი შეცდომებს».

— ჩვენ, ბოლშევიკები, შეჩვეული ვართ რევოლუციურობის მაქსიმუმი გამოვიჩინოთ ხოლმე. მაგრამ ეს ცოტაა. უნდა გავერკვეთ.

ნამდვილი მთავრობა მუშათა დეპუტატების საბჭოა. სხვაგვარად ფიქრი ანარქიზმში გადავარდნას ნიშნავს. აღიარებული ფაქტია, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოში ჩვენი პარტია უმცირესობას შეადგენს. უნდა განვუმარტოთ მასებს, რომ მუშათა დეპუტატების საბჭო ერთადერთი შესაძლებელი მთავრობაა, მთავრობა, როგორიც ჯერ არ ნახულა ქვეყნად, გარდა კომუნისა. მერე რა, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოს უმრავლესობა ობორონულ თვალსაზრისზე დგას? რა გაეწყობა. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ მოთმინებით, დაჟინებით, სისტემატურად განვმარტოთ მათი ტაქტიკის მცდარობა.

ვიდრე უმცირესობას შევადგენთ, ჩვენ კრიტიკის მუშაობას ვეწევით, რათა მასები მოტყუებისაგან ვიხსნათ. ჩვენ ეო გვინდა, რომ მასები ჩვენ ბრმად გვენდონ. ჩვენ შარლატანები არა ვართ. ჩვენ გვინდა, რომ მასებმა გამოცდილებით დააღწიონ თავი თავიანთ შეცდომებს.

მუშათა დეპუტატების საბჭოს მოწოდება, — იქ არ არის არც ერთი სიტყვა, რომელიც კლასობრივი შეგნებით იყოს გამსჭვალული. იქ მხოლოდ ფრაზაა! ერთადერთი, რაც ყველა რევოლუციას ღუპავდა, ესაა ფრაზა. ესაა რევოლუციური ხალხის წინაშე მლიქვნელობა. მთელი მარქსიზმი გვასწავლის

არ ავყვეთ რევოლუციურ ფრაზას, მეტადრე ისეთ მომენტში, როცა მას განსაკუთრებით აქვს გასავალი.

«V. პარლამენტური რესპუბლიკა კი არა, — მუშათა დეპუტატების საბჭოების შემდეგ ამ რესპუბლიკისაკენ დაბრუნება ნაბიჯის უკან გადადგმა იქნებოდა, — არამედ მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკა მთელს ჩვენს ქვეყანაში, თავიდან ბოლომდე.

«გაუქმება პოლიციისა, ჯარისა, მოხელეობისა*.

«ყველა მოხელის ხელფასი არ უნდა აღემატებოდეს კარგი მუშის საშუალო ხელფასს; ყველა მოხელის არჩევითობა და გადაყენება ყოველ დროს».

— ეს გაკვეთილია, რომელიც მოგვცა საფრანგეთის კომუნამ, რომელიც დაივიწყა კაუცკიმ და რომელსაც გვასწავლიან მუშები 1905 და 1917 წლებში. ამ წლების გამოცდილება ჩვენ გვასწავლის, რომ არ დავუშვათ პოლიციის აღდგენა, არ დავუშვათ ძველი არმიის აღდგენა.

პროგრამა უნდა შევცვალოთ, იგი მოძველდა. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო ნაბიჯია სოციალიზმისაკენ. არავითარი პოლიცია, არავითარი არმია, არავითარი მოხელეობა. დამფუძნებელი კრების მოწვევა, — მაგრამ ვის მიერ? რეზოლუციები იმისათვის იწერება, რომ ისინი მაუდქვეშ ამოსდონ, ან მასზე დასხდნენ. მე გამიხარდებოდა, დამფუძნებელ კრებას ხვალ რომ მოიწვევდნენ, მაგრამ იმის რწმენა, გუჩკოვი დამფუძნებელ კრებას მოიწვევსო, გულუბრყვილობაა. მთელი ლაყბობა იმაზე, რომ აიძულონ დროებითი მთავრობა მოიწვიოს დამფუძნებელი კრება, — ცარიელი ლაყბობაა, მთლად მატყუარობაა. რევოლუციები ხდებოდა, ხოლო პოლიცია რჩებოდა, რევოლუციები ხდებოდა, ხოლო ყველა მოხელე და მისთ. რჩებოდა. ესაა რევოლუციების დაღუპვის მიზეზი. მუშათა დეპუტატების საბჭო ერთადერთი მთავრობაა, რომელსაც შეუძლია ეს კრება მოიწვიოს. ჩვენ ყველამ ხელი ჩავჭიდეთ მუშათა დეპუტატების საბჭოებს, მაგ-

* ვ. ი. მუდმივი ჯარის შეცვლა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით.

რაშ ისინი ვერ გავიგეთ. ჩვენ ამ ფორმიდან უკან ვიწევთ, ინტერნაციონალისაკენ, რომელიც ბურჟუაზიას უკან მისჩანჩალებს.

ბურჟუაზიულ რესპუბლიკას არ შეუძლია გადაწყვიტოს საკითხი (ომისა), ვინაიდან იგი შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით. ჩვენ არ ვპირდებით განთავისუფლებას... მაგრამ ვამბობთ, რომ იგი შესაძლებელია მხოლოდ ამ ფორმით (მ. და ჯ. დეპუტატების საბჭო). არავითარი მთავრობა, გარდა მუშათა და მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოსი. კომუნაზე რომ ვილაპარაკოთ — ვერ გაიგებენ. მაგრამ რომ ვთქვათ, პოლიციის ნაცვლად — მუშათა და მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოო, ისწავლეთ მართვა, — ჩვენ ხელს ვერავინ შეგვიშლისო, — (ამას გაიგებენ).

მართვის ხელოვნებას ვერც ერთი წიგნაკიდან ვერ ამოიკითხავ. სინჯე, შეცდი, ისწავლე მართვა.

«VI. აგრარულ პროგრამაში სიმძიმის ცენტრის გადატანა მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოებზე.

«მემამულეთა ყველა მიწის კონფისკაცია.

«ჩვენი ქვეყნის მ თ ე ლ ი მიწის ნაციონალიზაცია, მიწას უნდა განაგებდნენ მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები. გამოყოფა უღარიბესი გლეხების დეპუტატთა საბჭოებისა. ყოველი მსხვილი მამულისაგან (დაახლოებით 100-დან 300 დესეტინამდე ადგილობრივი და სხვა პირობების მიხედვით და ადგილობრივი დაწესებულებების დადგენით) შექმნა სანიმუშო მეურნეობისა მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოს კონტროლით და საზოგადოების ხარჯზე».

— რა არის გლეხობა? ჩვენ არ ვიცით, სტატისტიკა არ მოიპოვება, მაგრამ ვიცით, რომ ძალაა.

თუ ისინი მიწას დაეუფლებიან, — დარწმუნებული იყავით, რომ მას თქვენ არ მოგცემენ, ჩვენ არ შეგვეკითხებიან. პროგრამის ღერძმა გადაინაცვლა. სიმძიმის ცენტრია მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოები. თუ რევოლუციის სა-

კითხს რუსი გლეხი ვერ გადაწყვეტს, მას გერმანელი მუშა გადაწყვეტს.

ტამბოველი გლეხი...

ერთ დესეტინაში არ უნდა იხადო, მეორეში უნდა გადა-ხადო 1 მან., მესამეში — 2 მან. ჩვენ მიწას დავეუფლებით, მე-მამულე კი ვეღარ შეძლებს მის წართმევას.

მ ე ურ ნ ე ო ბ ა ს ა ე რ თ ო ს ა წ ყ ი ს ებ ზ ე.

აუცილებელია დეპუტატთა საბჭოს გამოყოფა უღარი-ბესი გლეხებისაგან. არის მდიდარი გლეხი, არის მოჯამაგირე. მას მიწაც რომ მისცე, იგი სულერთია მეურნეობას ვერ შექმ-ნის. საჭიროა მსხვილი მამულებიდან შევქმნათ სანიმუშო მეურნეობანი, სადაც მეურნეობა საერთო საწყისებზე მოე-წყობა, ხოლო მეურნეობას უნდა გაუძღვენ მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოები.

მსხვილი მამულები არის.

«VII. ჩვენი ქვეყნის ყველა ბანკის დაუყოვნებლივ შეერ-თება, მათგან ერთი საერთო-ნაციონალური ბანკის შექმნა და მის მიმართ მუშათა დეპუტატების საბჭოების კონტროლის დაწესება».

— ბანკი, ეს «საზოგადოებრივი ანგარიშწარმოების ფორმაა» (მარქსი).— ომი მომჭირნეობას გვასწავლის, ყველამ იცის, რომ ბანკები ანიავებენ ხალხის ძალებს. ბანკები სახალხო მეურნე-ობის ნერვია, ფოკუსია. ჩვენ არ შეგვიძლია ხელთ ავიღოთ ბანკები, მაგრამ ვქადაგებთ მათ გაერთიანებას მუშათა დე-პუტატების საბჭოს კონტროლქვეშ.

«VIII. ჩვენი უ შ უ ა ლ ო ამოცანაა არა სოციალიზმის «შემოღება», არამედ დაუყოვნებლივ გადასვლა მხოლოდ პროდუქტების საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების კ ო ნ ტ რ ო ლ ზ ე მუშათა დეპუტატების საბჭოების მხრივ».

— ცხოვრება და რევოლუცია დამფუძნებელ კრებას უკანა რიგში აქცევენ. კანონები იმით კი არ არის დიდმნიშვ-ნელოვანი, რომ ისინი დაწერილია ქაღალდზე, არამედ იმით, თუ ვინ ატარებს მათ. პროლეტარიატის დიქტატურა არის, მაგრამ არ იციან, თუ რა უყონ მას. კაპიტალიზმი სახელმწი-

ფოებრივ კაპიტალიზმში გადავიდა... მარქსი... მხოლოდ ის, რაც პრაქტიკულად მომწიფდა...

«IX. პარტიული ამოცანები:

ა) პარტიის ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევა;

ბ) პარტიის პროგრამის შეცვლა, უმთავრესად:

1) იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური ომის შესახებ,

2) სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების შესახებ და ჩ ვ ე ნ ი მოთხოვნა «სახელმწიფო-კომმუნისა»*,

3) მოძველებული პროგრამა-მინიმუმის შესწორება.

გ) პარტიის სახელწოდების გამოცვლა**.

«X. ინტერნაციონალის განახლება.

«რევოლუციური ინტერნაციონალის, ს ო ც ი ა ლ-შ ო ვ ი ნ ი ს ტ ე ბ ი ს ა და «ც ე ნ ტ რ ი ს»*** წინააღმდეგ მიმართული ინტერნაციონალის დაარსების ინიციატივა».

საერთო დასკვნა.

მუშათა დეპუტატების საბჭო შექმნილია. იგი უდიდესი გავლენით სარგებლობს. ყველა ინსტინქტურად თანაუგრძნობს მას. ამ ინსტიტუტში გაცილებით მეტი რევოლუციური აზრია ჩაქსოვილი, ვიდრე ყ ვ ე ლ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ფ რ ა ზ ა შ ი თუ მუშათა დეპუტატების საბჭო შეძლებს ხელთ აიღოს მართვა-გამგეობა, — თავისუფლების საქმე უზრუნველყოფილია. ყველაზე იდეალური კანონები რომ დაწეროთ, — ვინ განა-

---

* ე. ი. სახელმწიფოსი, რომლის პირველსახე პარიზის კომუნამ მოგვცა.

** ნაცვლად «სოციალ-დემოკრატიისა», რომლის ოფიციალურმა ბელადებმა მ თ ე ლ მსოფლიოში გასცეს სოციალიზმი და მიემხრნენ ბურჟუაზიას («ობორონელები» და მერყევი «კაუცკელები»), უნდა დავარქვათ კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ა.

*** «ცენტრი» საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში ეწოდება იმ მიმართულებას, რომელიც ქანაობს შოვინისტებსა (=«ობორონელებსა») და ინტერნაციონალისტებს შორის, სახელდობრ: კაუცკი და კომპ. გერმანიაში, ლონგე და კომპ. საფრანგეთში, ჩხეიძე და კომპ. რუსეთში, ტურატი და კომპ. იტალიაში, მაკდონალდი და კომპ. ინგლისში და სხვ.

ხორციელებს მათ? იგივე მოხელენი, მაგრამ ისინი ბურჟუაზიასთან არიან დაკავშირებულნი.

«სოციალიზმის განხორციელება» კი არა — არამედ გატარება (?), აი რას უნდა ვეუბნებოდეთ მასებს. კაპიტალიზმი წინ წავიდა, სამხედრო კაპიტალიზმი ის არ არის, რაც ომამდე იყო.

ტაქტიკური დასკვნების საფუძველზე აუცილებელია პრაქტიკული ნაბიჯები გადავდგათ. აუცილებელია დაუყოვნებლივ მოვიწვიოთ პარტიული ყრილობა, აუცილებელია გადავსინჯოთ პროგრამა. მასში ბევრი რამ მოძველდა. აუცილებელია შევცვალოთ პროგრამა-მინიმუმი.

პირადად ჩემი მხრივ — წინადადებას ვიძლევი შევცვალოთ პარტიის სახელწოდება, ვუწოდოთ მას კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ა. სახელწოდებას «კომუნისტური» ხალხი გაიგებს. ოფიციალური სოციალ-დემოკრატების უმრავლესობამ უღალატა სოციალიზმს, გასცა იგი... მარტო ლიბკნეხტია სოც.-დემოკრატი... თქვენ გეშინიათ ძველ მოგონებებს უღალატოთ. მაგრამ საცვალი რომ გამოიცვალოთ, ჭუჭყიანი პერანგი უნდა გაიხადოთ და სუფთა ჩაიცვათ. რატომ უნდა უკუვაგდოთ მსოფლიო ბრძოლის გამოცდილება? სოციალ-დემოკრატების უმრავლესობამ მთელს მსოფლიოში უღალატა სოციალიზმს და თავის მთავრობათა მხარეზე გადავიდა (შეიდემანი, პლეხანოვი, გედი). რა ექნათ, რომ შეიდემანი დათანხმდეს... ეს თვალსაზრისი დაღუპვაა სოციალიზმისათვის. გაეგზავნოს რადიოდეპეშა შეიდემანს ომის შეწყვეტის შესახებ... — მატყუარობაა.

სიტყვა «სოციალ-დემოკრატია» ზუსტი არ არის. ნუ ჩაებღაუჭებით ძველ სიტყვას, რომელიც მთლად დალპა. თუ გინდათ ახალი პარტია აშენოთ... და თქვენთან ყველა ჩაგრული მოვა.

ციმერვალდსა და კინტალში ცენტრი გაბატონდა... «რაბოჩაია გაზეტა». ჩვენ დაგიმტკიცებთ, რომ მთელმა გამოცდილებამ ცხადყო... ჩვენ ვაცხადებთ, რომ მემარცხენე ჯგუფი

შევქმენით და ცენტრთან კავშირი გავწყვიტეთ. ან თქვენ ლაპარაკობთ ინტერნაციონალზე, მაშინ გაატარეთ..., ან თქვენ...

მემარცხენე ციმერვალდის მიმდინარეობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობს. მასები უნდა გაერკვნენ, რომ სოციალიზმი მთელს მსოფლიოში გაითიშა. ობორონელები განუდგნენ სოციალიზმს. მარტო ლიბკნეხტი.... მთელი მომავალი მისია.

მესმის, რუსეთში გამაერთიანებელი ტენდენციაა, ხდება ობორონელებთან გაერთიანება. ეს სოციალიზმის გამცემლობაა. ვფიქრობ, სჯობია ლიბკნეხტივით მარტო დარჩე: ერთი 110-ის წინააღმდეგ.

პირველად დაიბეჭდა 1924 წლის
7 ნოემბერს
გაზეთ «პრავდაში» № 255

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

ი. ს. განეცკის და კ. ბ. რადეკს

ამხანაგებს განეცკისა და რადეკს: Herrn Fürstenberg (Fürstenberg). 8. Birgerjarlsgatan. 8. Stockholm.

1917.12. IV.

ძვირფასო მეგობრებო! დღემდე არაფერი, სრულიად არაფერი: თქვენგან არც წერილები, არც პაკეტები, არც ფული არ მიგვიღია[521]. მხოლოდ ორი დეპეშა განეცკისაგან. გიგზავნით «პრავდის» ორ კომპლექტს. ერთს თქვენთვის, მეორეს კარპინსკისათვის (Mr. Karpinsky. Bibliothèque russe. 7. rue Hugo de Senger. 7. Genève. (Genf) Suisse) და ამონაწერების ორ კომპლექტს: ერთს თქვენთვის, მეორეს კარპინსკისათვის.

გვაცნობეთ ღია ბარათით (მ. ტ. ელიზაროვს (ვ. ი.—სათვის). შიროკაიას ქუჩა № 48, ბ. 24. პეტროგრადი) ან დეპეშით, მიიღეთ თუ არა ეს წერილი და გაზეთები.

შტეინბერგი[522] ჩამოვიდა და გვპირდება მოძებნოს გამოგზავნილი პაკეტები. ვნახოთ, შეძლებს თუ არა.

თუ გაზეთებს მიიღებთ, იქიდან მთელ მდგომარეობას გაიგებთ.

იმ შემთხვევისათვის, თუ გაზეთები არ მოგივათ, მოკლეუ მოგიყვებით. ბურჟუაზია (+ პლეხანოვი) ცოფმორეულნი ილაშქრებენ ჩვენს წინააღმდეგ გერმანიაზე გამოვლის გამო. ცდილობენ მოგვისიონ ჯარისკაცები. ჯერჯერობით ვერ ახერხებენ. არიან ერთგული მომხრეებიც. ესერებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის საშინელი შოვინისტური ციებ-ცხელება სუფევს, რომელმაც «რევოლუციური ობორონობის» სახე მიიღო (ახ-

ლა გვაქვს, რაც უნდა დავიცვათო: რესპუბლიკა ვილჰელმისა-გან). გააფთრებით გვდევნიან იმისათვის, რომ ჩვენ «ერთიანობის» წინააღმდეგი ვართ, მასები კი ყველა სოციალ-დემოკრატის გაერთიანებას უჭერენ მხარსო. ჩვენ წინააღმდეგი ვართ.

ჩხეიძე ს ა ვ ს ე ბ ი თ დაქანდა «რევოლუციური ობორონობისაკენ». ბლოკშია პოტრესოვთან. ყ ვ ე ლ ა მხარს უჭერს თავისუფლების სესხს[523]. მხოლოდ ჩვენ ვართ წინააღმდეგი + «ნაშესლოველები» + ლარინი და მარტოვის მეგობრების მცირე ნაწილი.

1917 წ. 22 აპრილს ვიწვევთ ბოლშევიკების სრულიად-რუსეთის კონფერენციას[524].

იმედი გვაქვს სავსებით გამოვასწოროთ «პრავდის» ხაზი: იგი «კაუცკელობისაკენ» იხრებოდა[525]

წერეთ სტატიები «პრავდისათვის» საგარეო პოლიტიკის შესახებ — სულ მოკლე და «პრავდის» სულისკვეთებისა (პატარაა! ცოტა ადგილია! თავს ვიმტვრევთ, რომ გავადიდოთ). აგრეთვე სულ მოკლედ გერმანული რევოლუციური მოძრაობისა და მემარცხენეთა პრესის შესახებ.

მოიწერეთ წერილი იმაზე, როგორ და რა მდგომარეობაში არიან შვედი მემარცხენენი[526]. გავიგეთ, შოვინისტი ბრანტინგი რადეკს სდევნისო.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ რევოლუციის დასაწყისში შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა დადო დროებით მთავრობასთან მისი მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ[527]. არის «საკონტაქტო კომისია»[528]: საბჭო «კონტროლს უწევს» დროებით მთავრობას.

მდგომარეობა მეტისმეტად რთულია, მეტისმეტად საინტერესოა. ვსცემთ პატარა ბროშურებს ტაქტიკის შესახებ[529]. საბჭოს უნდა ს ა ე რ თ ო სოციალისტური საერთაშორისო ყრილობა. ჩვენ მ ხ ო ლ ო დ მემარცხენეთა ყრილობას ვუჭერთ მხარს, სოციალ-შოვინისტების წინააღმდეგ და «ცენტრის» წინააღმდეგ.

მაგრად გართმევთ ხელს და სულითა და გულით გისურვებთ ყოველივე კარგს. მოიწერეთ უფრო ხშირად, უაღრესად აკურატული და ფრთხილნი იყავით ურთიერთობაში.

თქვენი ვ. ულიანოვი

გაგზავნილია პეტროგრადიდან
სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს
ჟურნალ «პროლეტარსკაია რევო-
ლუციაში» № 9 (21)

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

თეზისები დროებითი მთავრობის დეკლარაციის გამო

თეზისები:

1) უანექსიო ზავი = მსოფლიო რევოლუცია კაპიტალის წინააღმდეგ.

2) ხელშეკრულების გადასინჯვა = ან კომედია, ანდა მსოფლიო რევოლუცია კაპიტალის წინააღმდეგ.

«მოსამზადებელი ნაბიჯები მოკავშირეებთან შესათანხმებლად».

2 bis*) კაპიტალისტების შელამაზება: «მოკავშირე დემოკრატიები»: კლასობრივი ბრძოლის მიჩქმალვა.

3) მთელი მიწა გლეხებს — ეს შეიძლება განხორციელდეს ისეც, რომ არ მოხდეს რევოლუცია კაპიტალის წინააღმდეგ, მდიდარ გლეხებთან კაპიტალისტების ბლოკის, კავშირის გზით.

4) მთელი მიწა მშრომელებს — ეს განუხორციელებელია, თუ არ მოხდა რევოლუცია კაპიტალის წინააღმდეგ.

* — ხელმეორედ. რედ.

5) **წარმოების ორგანიზაცია** — ან მატყუარობაა (და კაპიტალისტების ახალი გამდიდრება) ანდა უტოპიაა, თუ არ მოხდა რევოლუცია კაპიტალის წინააღმდეგ.

6) «**შეტევა**» — უტოპიაა, თუ არ იქნა მასების უდიდესი რევოლუციური ენთუზიაზმი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ უდიდესი რევოლუციიდან: კაპიტალის წინააღმდეგ.

7) საბჭოებისაგან ჩამოშორება.
მათდამი ღალატი.
მოხელეობაზე გადასვლა:
«სახელმწიფოებრივი კონტროლი», ჩვენ **მომხრე ვართ.**
მაგრამ **ვისი** საშუალებით?
ვინ ეწევა კონტროლს?
მოხელეები?
თუ საბჭოები.

8) დამფუძნებელი კრება მიწის შესახებ:

უკვე ჩამორჩნენ

9) არავითარი ნდობა და არავითარი მხარდაჭერა!

10) კიდევ უფრო ძლიერად: **პროლეტარული** ხაზის განმარტება, მისი გამოყოფა **წვრილბურჟუაზიულისაგან.**

ΣΣ* = წვრილბურჟუაზიული ილუზიებისა და წვრილბურჟუაზიული შემთანხმებლობის სამინისტრო.

დაწერილია არა უადრეს 1917 წ.
4 (17) მაისისა

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში IV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — Summa summarum — საერთო დასკვნა. რ ე დ.

'გეგმა მოხსენებისა აპრილის კონფერენციის შესახებ [530]

I

«გამარჯვება!» აქედან... ფრაზების, განწყობილების, «აღტაცების» ქაოსი... «რევოლუციური დემოკრატია» = რ ე ა ქ ც ი უ ლ ი დემოკრატია.

α) სამინისტრო (კაპიტალისტების მხარდაჭერა)...

) შეტევისათვის...

) მიწის დაუფლების წინააღმდეგ.

) დაძმობილების წინააღმდეგ...

კლასობრივი პროლეტარული ხაზის გამოყოფა = პროლეტარული პარტიის შექმნა მასობრივი მასშტაბით...

ყველა პარტიის გარდაქმნა...

|| კაპიტალისტები...

| (ტრუდოვიკები) ნაროდნიკები და მენშევიკები

||| პროლეტარული პარტია.

«ყველანი ვით ბავშვები» («ზემლია ი ვოლია» № 36) (1917. 6. V)

ლექსი ი ლ ი ა ი ლ ი ნ ი ს «საგაზაფხულო განწყობილებიდან».

«ყველანი ვით ბავშვები! დღე ესოდენ ვარ-
დისფერია!
ღამე არ არის! ძილი
არ იქნება!
თითქოს ყინვები არ
ყოფილიყოს,
თითქოს სულ გაზაფხ-
ული სუფევდეს!»

№ 47 «სოციალ-დემოკრატი» 1915. 13. X. თეზისები №№ 8 — 11[531].

წვრილი ბურჟუაზია **მერყეობს,** მაგრამ წვრილი ბურჟუაზია ათეული და ათეული მილიონებია, «უამრავზე უამრავია», ურიცხვი ჯგუფი და ფენა, ქვეჯგუფი და ქვეფენა და ა. შ. და ა. შ. **მეტისმეტად ხანგრძლივი** პროცესი...

II

ყველა რევოლუციის წითელი ძაფი.

(1) ომი: კაპიტალისტები

რევოლუციური ობორონელები (ნაროდნიკები და მენშევიკები)...

პროლეტარ-ინტერნაციონალისტები.

(2) დამოკიდებულება დროებითი მთავრობისადმი:

კაპიტალისტები

საკონტაქტო კომისია (ნაროდნიკები და მენშევიკები)

პროლეტარ-ინტერნაციონალისტები.

(3) **აგრარული საკითხი**

მემამულეები და კაპიტალისტები

«მიწას ნუ დავეუფლებით» (ნ ა რ ო დ ნ ი კ ე ბ ი დ ა მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ი) (§ 4)

ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ მ უ შ ე ბ ს ნ უ გ ა მ ო ვ ყ ო ფ თ, ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს ა კ ე ნ ნ უ წ ა ვ ა ლ თ... (§§ 8 და 9)[532]

პროლეტარ-ინტერნაციონალისტები

(4) ბორგბიერგი და **ინტერნაციონალი**[533].

(+5) სამი მიმდინარეობა: (α) კაპიტალისტების სასარგებლოდ.

(β) მერყევნი (ნაროდნიკები და მენშევიკები).

(γ) პროლეტარ-ინტერნაციონალისტები.

+(6) კოალიციური მთავრობა — კაპიტალისტები უმრავლესობაა ნაროდნიკები და მენშევიკები პროლეტარ-ინტერნაციონალისტები

(7) ეროვნული საკითხი ფინეთი — { კაპიტალისტები მენშევიკები და ნაროდნიკები პროლეტარ-ინტერნაციონალისტები }

8) ინტერნაციონალისტებთან გაერთიანება წვრილბურჟუაზიული ობორონული ბლოკის წინააღმდეგ...

9) მიმდინარე მომენტი: დამოკიდებულება სოციალიზმისადმი.

(α) კაპიტალისტები

(β) მენშევიკები და ნაროდნიკები (არა სოციალიზმი)

(γ) პროლეტარ-ინტერნაციონალისტები

10) პარტიული პროგრამა. ΣΣ* **იმპერიალიზმის შესახებ სახელმწიფოს შესახებ ინტერნაციონალის შესახებ.**

11) ვიაროთ სოციალიზმისაკენ N B.

12) საბჭოები { განვითარება ადგილებზე, შეფერხება ცენტრში }

ΣΣ=ხელახალი არჩევნები...

((ვ. კ.!!)) [534]

III

ახალი პირობები:

{ (α) გაუგონარი ლეგალობა...
(β) ათეული მილიონები ჩვენს წინაშე...
(γ) არნახული სიდიდის კრახის წინადღე (მთავარი)...

Inde:** (ომი — და შიმშილი)

---

* — Summa summarum — საერთო დასკვნა. რ ე დ.

** — აქედან. რ ე დ.

ვიყოთ ქვასავით მტკიცენი, პროლეტარულ ხაზში წვრილბურჟუაზიულ მერყეობათა წინააღმდეგ — — — — გავლენა მოვახდინოთ მასებზე დ ა რ წ მ უ ნ ე- ბ ი თ, **«განმარტებით»**.

— — ვემზადოთ კრახისა და რევოლუციისათვის, რომელიც **თებერვლისაზე 1000-ჯერ უფრო ძლიერი** იქნება.

წვრილბურჟუაზიის მერყეობა: ტროცკი... ლარინი და ბინშტოკი მარტოვი «ნოვაია ჟიზნ»

მასა: (გლეხთა ყრილობა[535])

აგიტატორების ძველი შემადგენლობა + პროპაგანდისტები + **ო რ გ ა ნ ი ზ ა ტ ო რ ე ბ ი** + etc.??

ახალი ძალები (უ კ ა ც უ რ ო ბ ა).

(α) პარტიის წევრთა დიდი კრებები (როგორც ესაა).

(β) აგიტატორთა + პროპაგანდისტთა + **ორგანიზატორთა** კ ო ლ ე გ ი ე ბ ი ს გ ა ა თ კ ე ც ე ბ ა.

როგორ? **არ ვიცი.** მაგრამ მტკიცედ ვიცი, რომ **უამისოდ ლაპარაკიც კი არ შეიძლება** პროლეტარულ რევოლუციაზე.

(γ) აგიტაცია ჯგუფობრივ მასობრივი (versus* მიტინგური).

(γ) აგრეთვე **ორგანიზაცია.**

(δ) მარქსიზმის მაქსიმუმი = პოპულარობისა და სიმარტივის მაქსიმუმი («Umschlag»**).

(δ) პროლეტარიატისა და ნახევრადპროლეტარიატის პარტია = მუშათა და უღარიბეს გლეხთა პარტია...

(δ) მარქსიზმის მაქსიმუმი = (Umschlag) **პოპულარობის** მაქსიმუმი.

---

* — მიმართ. რ ე დ.

** — ერთის მეორეში გადასვლა. **რ ე დ.**

ულარიბესი გლეხები.

დემაგოგია? ამაში ყველას ბრალს სდებდნენ ყველა რევოლუციაში.

სწორედ მარქსიზმია გარანტია...

დაწერილია 1917 წ. 6 და 8 (19 და 21) მაისს შუა

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის კრებულში IV

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

საბჭოების ყრილობისათვის[536]

ფრაზიორობა რევოლუციის შესახებ და რევოლუციის შეჩერება (= ჩახშობა) ნაროდნიკებისა და მენშევიკების მიერ.

«ახალი» მთავრობა[537]:

(1) მელოკაუტენი..	შეტევა (უანექსიო ზავის გულისათვის)
...(2) ხოცვა-ყლეტის გამჭიანურებელნი...	საიდუმლო ხელშეკრულებანი (და უანექსიო ზავი)
...(3) მემამულის მხსნელ-ნი.	ფინეთი (და უანექსიო ზავი — და **დემოკრატია**)

მიწის საკითხის გადადება (შდრ. გლეხთა საბჭო და სახელმწიფოს სათათბიროს წევრთა თათბირი[538] versus* მთავარი საადგილმამულო კომიტეტი)[539].

მელოკაუტენი (და მუშების დევნა).

შლისელბურგი და კრონშტადტი, — ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი (დამშვიდების მინისტრები თუ რევოლუციის ჩახშობის მინისტრები? მინისტრები დამშვიდებისათვის გასაგზავნ-გამოსაგზავნად?).

* — მიმართ. **რედ.**

ტერეშჩენკო+შინგარიოვი+ ლვოვი და კომპ.=საქმის ხალხი...
კერენსკი=რევოლუციური თეატრალობის მინისტრი...

ნგრევა და კატასტროფა (და დაპირებანი).

მენშევიკების ბლოკი + ნაროდნიკები (ს. — რ.)+«ედინსტვო»...

წვრილი ბურჟუაზიის ბლოკი მსხვილ ბურჟუაზიასთან მუშების **წინააღმდეგ...**

დაწერილია 1917 წ. ივნისის პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის კრებულში IV

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გარათი ლ. ბ. კამენევს

ამხ. კამენევს

Entre nous *: თუ მომკლავენ, გთხოვთ გამოსცეთ ჩემი რვეული: «მარქსიზმი სახელმწიფოს შესახებ» (ჩამრჩა სტოკჰოლმში[540]). ლურჯი გარეკანი, ყდაში ჩასმული. შეგროვილია ყველა ციტატი მარქსიდან და ენგელსიდან, აგრეთვე კაუცკიდან პანეკუკის წინააღმდეგ. არის რიგი მოსაზრებანი და შენიშვნები, ფორმულირებანი. ვფიქრობ, ერთი კვირის მუშაობის შემდეგ შეიძლება გამოიცეს. დიდი მნიშვნელობის მქონედ მიმაჩნია, რადგან არა მარტო პლეხანოვმა, არამედ კაუცკიმაც **არივ-დარია.** პირობა: ყოველივე ეს აბსოლუტურად entre nous!

დაწერილია 1917 წ. 5 (18) ივლისამდე

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს გამომცემლობის წინასიტყვაობაში წიგნისათვის: ნ. ლენინი. «სახელმწიფო და რევოლუცია. მარქსის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ და პროლეტარიატის ამოცანები რევოლუციაში». მოსკოვი, გამომც., « კრასნაია ნოვი»

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

---

* — ჩვენს შორის დარჩეს. რ ე დ.

ბარათი
ა. გ. შლიაპნიკოვს და ფ. ე. ძერჟინსკის

ამხ. შლიაპნიკოვს და ამხ. ძერჟინსკის

ამის წარმომდგენს, ამხ. ვოროგბიოვს, ურალის დელეგატს, საუცხოო რეკომენდაციები აქვს ადგილობრივი ორგანიზაციისაგან. ურალში საკითხი ძალიან მწვავედ დგას: საჭიროა ურალის ქარხნების **აქაური** (პიტერში მყოფი) გამგეობანი დაუყოვნებლივ **დავაპატიმროთ**, გასამართლებით (რევოლუციურით) დავემუქროთ ურალში კრიზისის შექმნისათვის და **მოვახდინოთ** ურალის ყველა ქარხნის **კონფისკაცია**, რაც შეიძლება მალე დაამზადეთ დადგენილების პროექტი[545].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წ. დეკემბრის
დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1920 წ. 22 აპრილს
გაზეთ «ურალსკი რაბოჩიში» № 95

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

დეპეშა ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს

ხარკოვი. ანტონოვის შტაბი. ანტონოვს

მთელი სულითა და გულით მივესალმები თქვენს ენერგიულ საქმიანობას და ულმობელ ბრძოლას კალედინელთა წინააღმდეგ. სავსებით ვიწონებ დაუთმობლობას ადგილობრივი შემთანხმებლების მიმართ, რომლებმაც, მგონი, თავგზა აუბნიეს ბოლშევიკების ნაწილს. განსაკუთრებით ვიწონებ და მივესალმები მილიონერ-მესაბოტაჟეთა გამომწყვდევას I და II კლასის ვაგონში[546]. გირჩევთ გაგზავნოთ ისინი ნახევარი წლით იძულებით სამუშაოზე სამადნოებში. ერთხელ კიდევ მოგესალმებით სიმტკიცისათვის და ვგმობ მერყეებს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წ. 21 და 28 დეკემბერს
(1918 წ. 3 და 8 იანვარს) შუა.

დაბეჭდილია 1918 წ. 12 იანვარს
(1917 წ. 30 დეკემბერს) გაზეთ
«პრავდაში» № 226

იბეჭდება სატელეგრაფო
ბლანკის ტექსტის
მიხედვით

პუბლიცისტის დღიურიდან

(დასამუშავებელი თემები[547])

1. «ახლა თოფიანი კაცისა არ უნდა გვეშინოდეს».

1 bis *: ღარიბთა ბინები და მათი სურსათი.

1 ter **: გაუმლელი საბჭოთა ხელისუფლების სუსტი მხარეები.

2. «პროპაგანდა საქმით».

3. აგიტატორად თუ პროკურორად?

4. პრაქტიციზმი და «დადებითი მუშაობა».

5. ორგანიზაციული მუშაობა და ორგანიზატორები ხალხიდან.

5 bis: შდრ. «პრავდა» 4 აპრილამდე ორგანიზაციულ საკვირველებათა შესახებ[548].

6. ჩვენი დამოკიდებულება ანარქისტებისადმი.

6 bis: ანარქისტები გაუგებრობით, — მოუთმენლობით,— განწყობილებით, — ინსტინქტით.

7. უკმაყოფილონი მუშებიდან.

8. ინტელიგენციის ჯანჯლობა და დოყლაპიობა.

9. გატეხილია თუ არა კაპიტალისტების წინააღმდეგობა. (კეთილი პეშეხონოვის ისტორიული ფრაზა[549]).

9 bis. სამოქალაქო ომი, მისი მნიშვნელობა, მისი სიმძიმე (მოღალატენი), მისი გარდუვალობა 1917 — 1918 წლებში.

---

* — ხელმეორედ. რ ე დ.

** — მესამედ. რ ე დ.

10. ეროვნული შოვინიზმი მჩაგვრელ და ჩაგრულ ერებში.

10 bis: წვრილი ბურჟუაზიის პარაზიტიზმი და ფინეთის სოციალ-დემოკრატიის ღალატი.

11. როგორ «მოვიზიდოთ» რუსეთის საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკის მხარეზე სხვა ერები საერთოდ და ის ერები კერძოდ, რომლებსაც აქამომდე ველიკოროსები სჩაგრავდნენ?

12. ექსპლოატატორთა დათრგუნვა.

13. როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?

14. აღრიცხვა და კონტროლი, როგორც სოციალიზმის არსი.

14 bis: სახელდახელო კონტროლიორების ჯგუფები.

14 ter: ყალთაბანდები რევოლუციებში.

15. საწარმოთა მართვა თუ დისკუსია სოციალიზმის შესახებ?

16. მუშათა დისციპლინა და მაწანწალური ჩვევები.

16a. წითელგვარდიელთა მიერ ქურდების სიკვდილით დასჯა და დახვრეტა.

17. რა ნათესაობაა მაწანწალებსა და ინტელიგენტებს შორის?

17 bis: «მემარჯვენე ბოლშევიზმი»; განა მას ადგილი უნდა ჰქონდეს ჩვენს პარტიაში?

18. დამფუძნებელი კრება და საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკა.

რევოლუციის ტალღები ერთი მეორეს ასკდებიან არამწყობრად, არათანაზომიერად, არაერთნაირად.

18 bis: ბურჟუაზიის ფორმალური დემოკრატიზმი და (versus*) ბურჟუაზიის წინააღმდეგ ომში პროლეტარიატის მიერ ხალხის ჩაბმის აპარატი.

18 ter: დემოკრატია და (versus) პროლეტარიატის დიქტატურა.

---

* — მიმართ. რედ.

19. ციტატი პლეხანოვის 1903 წლის სიტყვიდან[550]. რაშია «მათი» სრული იდეური კრახი? (წვრილი ბურჟუების, სოციალისტ-ოპორტუნისტების, მენშევიკების, მემარჯვენე და ჩერნოველი ესერების, «ნოვაიაჟიზნელების» და კომპ.).

20. «სეპარატული ზავი», მისი საშიშროება და მისი შესაძლო მნიშვნელობა. არის თუ არა სეპარატული ზავი იმპერიალისტებთან «შეთანხმება» («შემთანხმებლობა»)?

20 bis. სეპარატული ზავი და ჩვენი ვალი ინტერნაციონალური პროლეტარიატის წინაშე. «Die Deutschen brauchen eine Niederlage»[551].

21. საფეხურები თუ სტადიები რევოლუციაში. კლასობრივ ძალთა და მოკავშირეთა აღრიცხვა. მშვიდობა და მიწა — რუსეთში.

22. იმპერიალისტების პროვოკაცია: მოგვეცით მარჯვე საბაბი, რაც შეიძლება მალე დაგახრჩოთ შენ, საბჭოების რესპუბლიკავ!

22 bis. 24 დეკემბრის «პრავდა»: «მათი გეგმა». ლოიდ-ჯორჯის ისტორიული სიტყვები. «რუსეთის ხარჯზე»[552].

23. რევოლუციური ინტერნაციონალისტების გადასვლა «ობორონობაზე».

24. საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკის საერთაშორისო პოლიტიკა.

25. რევოლუციური ფრაზა და რევოლუციური ვალი რევოლუციური ომის საკითხში.

26. როგორ უნდა «მოვამზადოთ» რევოლუციური ომი?

27. ძალაუფლების მპყრობელი პროლეტარიატის რევოლუციური ომი შეიძლება იყოს მხოლოდ ომი განმტკიცებული სოციალიზმისათვის.

28. ჯერ დავამარცხოთ ბურჟუაზია რუსეთში, შემდეგ ვეომოთ გარეშე, საზღვარგარეთის, უცხო ქვეყნის ბურჟუაზიას.

29. რევოლუციის სიძნელენი დასავლეთ ევროპის «პარაზიტულ» ქვეყნებში.

31 *. რევოლუციები ისტორიის ლოკომოტივებია.

გავაქანოთ ლოკომოტივი ისე, რომ რელსებიდან არ გადავარდეს.

32. ავამოძრავოთ უდაბლესი ქვედა ფენები ისტორიული შემოქმედებისათვის: Mit dem Umfang der geschichtlichen Action wird auch der Umfang der Masse zu nehmen, deren Action sie ist. «ისტორიული მოქმედების შემოწვდომის სიღრმის გადიდება დაკავშირებულია ისტორიულად ქმედითი მასის რაოდენობის გადიდებასთან»[551].

33. Κτῆμα ἐς ἀεί**. { უკვე ძოაოვებულია:
α. დემოკრატიზმის მაქსიმუმი
β. სოციალიზმისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯების კონკრეტიზაცია.
γ. ძმვიდობა და მიწა }

34. ფინანსები და სურსათი.

ცენტრი და ადგილები.

35. სპეკულანტებისა და მესაბოტაჟეების «დევნა».

36. ფული. მისი როლი. მისი მოქცევა «ხაზინაში».

37. მრეწველობის ნაციონალიზაცია და მუშების «ვალი» მუშაობაში.

38. საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია.

39. ფისკი («ხაზინა») და ამ ცნების გადაქცევა სოციალისტურ რევოლუციაში.

40. ბანკები — ანგარიშწარმოების ფორმა.

(პიატაკოვის სტატია «პრავდაში»[554]).

41. «დროის მოგება»=სეპარატული ზავი (ვ ი დ რ ე საერთო ევროპული რევოლუცია მოხდებოდეს).

---

* რიგითი ნომერი (30) ხელნაწერში გამოტოვებულია. რ ე დ.

** — სამუდამოდ შეძენა. რ ე დ.

42. | სამი «თარიღი». 20. IV და 3. VII «დამარცხებანი» versus 25. X გამარჯვება.

43. ამ «დამარცხების» შედარება სეპარატულ ზავთან.

44. შრომის განაწილება და პროდუქტების განაწილება = = ΣΣ *.

ეკონომიური საკითხები:
ეროვნული საკითხი:
პოლიტიკური საკითხები:
ორგანიზაციული საკითხები:
საერთაშორისო პოლიტიკა.

დაწერილია 1917 წ. 25—28 დეკემბერს
(1918 წ. 7—10 იანვარს)

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

*— Summa summarum—საერთო დასკვნა. რ ე დ.

პროექტი დეკრეტისა სამოქმედო კომუნების შესახებ[555]

1

წინასწარი თეზისები

სურსათის კომისარიატის პროექტები «მომარაგების გამგეობათა», «დელეგატკომთა»[556] და სხვათა შესახებ, აგრეთვე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი — «სახალხო მეურნეობის რაიონული საბჭოების» შესახებ[557] იმ აზრს ჩაგვაგონებენ, რომ აუცილებელია ასეთი ორგანიზაციების გაერთიანება (Etwa)*:

მომგასკომები?	
მომარაგებისა და გასაღების კომიტეტები?	

წინასწარი თეზისები:

უკრედს უნდა წარმოადგენდნენ მომარაგებისა და გასაღების სამომხმარებლო-საწარმოო კომიტეტები (მომგასკომები) მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებთან (სჯობია, ვიდრე შემსყიდველ-სავაჭრო კომიტეტები etc.), სათემო კავშირები, რომლებიც ასრულებენ როგორც მომარაგების კომიტეტების, ისე გასაღების ორგანოების როლს. თემების საზღვრები, თუ საჭირო გახდა, შეიძლება შეიცვალოს.

---

* — დაახლოებით. რ ე დ.

ქალაქებში, იქნებ, ამგვარ ადგილს დაიკავებდნენ უბნების თუ ქუჩათა ნაწილების კომიტეტები.

თუ მოხერხდებოდა უჯრედის ასეთი კომიტეტების შექმნა ადგილებზე, მაშინ ამ კომიტეტების გაერთიანება მოგვცემდა ისეთ ქსელს, რომელიც შესაძლებელს გახდიდა სწორად მოგვეწყო მთელი მოსახლეობის მომარაგება ყოველივე აუცილებელით, მოგვეწყო წარმოება საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბით.

შესაძლებელია, რომ «კავშირების» ნაცვლად ეს იქნებოდა «მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები» ვაჭრობის მოსამსახურეთა მონაწილეობით და ა. შ. და მისთ.

თვითეული ასეთი კავშირი თუ კომიტეტი ან საბჭო (ან მომარაგება-გასაღების კომიტეტი) დაიყოფოდა სექციებად, თუ განყოფილებებად გასაღების წ ა რ მ ო ე ბ ი ს მიხედვით და მომარაგების პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ი ს ს ა ხ ე ო ბ ა თ ა მიხედვით წარმოებისა და მოხმარების საერთო მოწესრიგებისათვის (დაფინანსების, ანუ ფულის შემოსავლისა და გასავლის განყოფილება თვითეულ მომარაგება-გასაღების კომიტეტთან უნდა იყოს). თუ დავუშვებთ საშემოსავლო დაბეგვრას და ხელმოკლეთა უპროცენტოდ დაკრედიტების უფლებას, აგრეთვე საყოველთაო შრომითი ბეგარას, ეს შეიძლებოდა სოციალისტური საზოგადოების უჯრედი ყოფილიყო. სათემო ბანკები მაშინ შეუერთდებოდა სახელმწიფო საშემნახველო სალაროებს და გადაიქცეოდა საერთო სახელმწიფოებრივ ბუხჰალტერიად, სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის დავთრების ჯამად.

პროდუქტების გადაზიდვა, აგრეთვე ყიდვა-ვაყიდვა მაშინ დაიშვებოდა **მხოლოდ** ერთი მომარაგება-გასაღების კომიტეტისაგან. მეორისათვის, ამასთან აიკრძალებოდა ყოველგვარი ინდივიდუალური გასაღება. მომარაგებისა და გასაღების სათემო (საერთოდ «ძირეული», ქვედა) კომიტეტების მოწმობით პროდუქტები შეიძლება მიეყიდოს ცალკეულ პირებსაც ცენტრალური საწყობებიდან იმ პირობით, რომ ეს ვატარდეს გასაღებისა და მომარაგების სათემო და სხვა კომიტეტების დავთრებში (წვრილი ერთეულების ანდა წვრილმა-

ნების გამოკლებით). თუ მომარაგება-გასაღების კომიტეტის მოწმობა არ იქნა, ისე პროდუქტების არავითარი გადაზიდვა არ დაიშვება.

ეს იქნებოდა მიწათმოქმედების, ვაჭრობისა და მრეწველობის, შრომის, სურსათის სახალხო კომისარიატების, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, ფინანსებისა და გზათა სახალხო კომისარიატების გაერთიანება.

NB: «მომარაგებისა და გასაღების კომიტეტები»: სათემო, სამაზრო, საგუბერნიო, რაიონული. (**ΣΣ*** = სმუსი), მათი განყოფილებანი: ცენტროქსოვილი, ცენტროშაქარი, ცენტროქვანახშირი და ა. შ. **ΣΣ** = სმუსი), ცენტრობანკი და ა. შ.

NB: ქალაქების მდიდარი უბნები (ან მდიდარი საგარაკო დაბები და მისთ.) უნდა დაექვემდებარონ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ემისრებს, ის უბნები etc., სადაც მუშათა და გლეხთა პროცენტი, ვთქვათ, 60 პროცენტზე ნაკლებია.

ნაწერილია 1917 წ. 25 — 28 დეკემბერს
(1918 წ. 7 — 10 იანვარს)

პირველად დაიბეჭდა 1929 წლის 22 იანვარს გაზეთ «იზვესტია ციკ»-ში № 18

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — Summa summarum — საერთო დასკვნა. რედ.

საზღვაო რევოლუციურ კომიტეტს

1918 წ. 15. I.

გთხოვთ მიიღოთ სასწრაფო ზომები, რათა დაუყოვნებლივ გადასცეთ ამხ. ტერ-არუთიუნიანცის განკარგულებაში 2000 მატროსი ბურჟუაზიული რადის წინააღმდეგ საომარი მოქმედებისათვის[560].

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს წიგნში «ლენინი და წითელი ფლოტი»

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დეპეშა ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს

ხარკოვი, სახალხო კომისარს ანტონოვს

მივიღე თქვენი დეპეშა, მივესალმები კაზაკების შემოერთებას[561], რომელთა დელეგატები უკვე აქ არიან და საბჭოების ყრილობაზე შემოვიდნენ. რაც შეეხება მოგილიოვს, მე ახლა გადავეცი პოდვოისკის და გადავცემ კიდევ კრილენკოს; მიწის საკითხის გამო დონში გირჩევთ მხედველობაში იქონიოთ ტექსტი გუშინწინ საბჭოების ყრილობაზე მიღებული რეზოლუციისა საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ[562]. ამ რეზოლუციამ კაზაკები სავსებით უნდა დაამშვიდოს. გთხოვთ გადასცეთ სამდივნოს, რომ ზატონსკი ხარკოვს გაემგზავრა; ხარკოვში წასვლისას ითხოვა დაენიშნათ იგი ამხანაგ არტემის მოადგილედ. გვიპასუხეთ დაუყოვნებლივ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 17 (30) იანვარს
გაგზავნილია პეტროგრადიდან ხარკოვში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
წიგნში: ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკო.
«ჩანაწერები სამოქალაქო ომის შესახებ»,
ტომი პირველი

იბეჭდება სატელეგრაფო
ბლანკის ტექსტის მიხედვით

დეპეშა ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს

ხარკოვი, სახალხო კომისარს ანტონოვს

თქვენსა და უკრაინის ცაკს შორის შეხლა-შემოხლის თაობაზე სახალხო სამდივნოს საყვედურების გამო[563] გთხოვთ თქვენი მხრივ მაცნობოთ, თუ რაშია ნამდვილად საქმე; თავისდათავად ჩვენი ჩარევა უკრაინის საშინაო საქმეებში, რამდენადაც ეს სამხედრო აუცილებლობით არ არის გამოწვეული, სასურველი არ არის. უფრო შესაფერისია, ესა თუ ის ღონისძიება ტარდებოდეს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა მეშვეობით და, საერთოდ, ყოველივეს აჯობებდა, თუ ყოველგვარი გაუგებრობა ადგილობრივ მოგვარდებოდა.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 21 იანვრამდე
გაგზავნილია პეტროგრადიდან ხარკოვში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
წიგნში: ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკო.
«ჩანაწერები სამოქალაქო ომის
შესახებ»,
ტომი პირველი

იბეჭდება სატელეგრაფო
ბლანკის ტექსტის
მიხედვით

დეპეშა ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს

1918 წ. 21. I.

ამხ. ანტონოვ! მე მივიღე (ხარკოვის) ცაკ-ისაგან საჩივარი თქვენზე. მეტისმეტად ვწუხვარ, რომ ჩემი თხოვნა, ახსნა-განმარტება მოგეცათ, თქვენამდე არ მოსულა. გთხოვთ რაც შეიძლება მალე დამიკავშირდეთ (პირდაპირი მავთულით — ერთით თუ ორით, ხარკოვის მეშვეობით), რათა ჩვენ შეგვეძლოს გასაგებად მოველაპარაკოთ ერთმანეთს და გავარკვიოთ საკითხი. ღვთის გულისათვის, ყ ო ვ ე ლ ი ვ ე იღონეთ, რათა **ყველა და ყოველგვარი** შეხლა-შემოხლა (ხარკოვის) ცაკ-თან **თავიდან აიცილოთ.** ეს უ ა ღ რ ე ს ა დ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ა **სახელმწიფოებრივი** მხრივ. ღვთის გულისათვის, შეურიგდით მათ და სცანით მათი **ყოველგვარი** სუვერენიტეტი, დაბეჯითებით გთხოვთ მოხსნათ თქვენ მიერ დანიშნული კომისრები.

ძალიან და ძალიან ვიმედოვნებ, რომ თქვენ ამ თხოვნას შეასრულებთ და ხარკოვის ცაკ-თან ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ზავს მიაღწევთ. ა ქ უ ა ღ რ ე ს ი **ე რ ო ვ ნ უ ლ ი** ტ ა ქ ტ ი ა საჭირო.

კალედინსა და კომპანიაზე გამარჯვებათა გამო[564] გითვლით უმხურვალეს სალამს, სურვილებსა და მილოცვას. ვაშა და ვაშა! მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
წიგნში: ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკო.
«ჩანაწერები სამოქალაქო ომის
შესახებ»,
ტომი პირველი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გამოსვლები რსდმპ (ბ) ცკ 1918 წ. 24 იანვრის (6 თებერვლის) სხდომაზე[565]

საოქმო ჩანაწერი

1

ამხ. ლენინს მიაჩნია, რომ ყრილობის დღის წესრიგში უნდა დაისვას: პარტიული პროგრამა, ზავის საკითხი, ტაქტიკური საკითხები.

2

ნ. ი. ბუხარინს, ი. მ. სვერდლოვს და ი. ბ. სტალინს შეაქვთ კონკრეტული წინადადებანი პარტიის VII ყრილობის დღის წესრიგის გამო.

ამხ. ლენინი ეთანხმება ყოველივე ნათქვამს, მაგრამ მას აფიქრებს ოქტომბრელი ბოლშევიკების დიდი რაოდენობა პარტიაში, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ყრილობას მტკიცე პროგრამის შემუშავებაში.

3

ამხ. ლენინს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, რათა წევრების მიღებისას კეთდებოდეს სავალდებულო წარწერა, თუ როდის შემოვიდა პარტიაში: 25 ოქტომბრამდე თუ ამის შემდეგ, რომ ახლად შემოსულთათვის აუცილებელია სავალდებულოდ ჩაითვალოს ის ტაქტიკა, რომელიც პარტიამ სწორად ცნო ოქტომბრის რევოლუციის მიმართ.

დაბეჭდილია 1929 წ. წიგნში «რსდმპ ცკ ოქმები. 1917 წ. აგვისტო — 1918 წ. თებერვალი»

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის ხელნაწერი ეგზემპლარის მიხედვით

შტუტგარტის კონგრესზე ბებელის მიერ შეტანილი რეზოლუციის შესწორების შესახებ[566]

მე კარგად მახსოვს, რომ ამ შესწორების საბოლოო რედაქტირებას წინ უძღოდა ჩვენი ხანგრძლივი უშუალო მოლაპარაკება ბებელთან. პირველი რედაქცია გაცილებით უფრო პირდაპირ ლაპარაკობდა რევოლუციური აგიტაციისა და რევოლუციური მოქმედების შესახებ. ჩვენ იგი ბებელს ვუჩვენეთ; მან გვიპასუხა: არ ვიღებთ, რადგან მაშინ პროკურორის ხელისუფლება ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს დაშლის, ჩვენ კი ამას არ ვშვრებით, ჯერჯერობით არაფერია რაიმე სერიოზულიო. სპეციალისტ იურისტებთან თათბირისა და ტექსტის მრავალგზის გადაკეთების შემდეგ, რათა იგივე აზრი ლეგალურად გამოთქმულიყო, ნაპოვნი იქნა საბოლოო ფორმულა, რომლის მიღებაზეც ბებელმა თანხმობა განაცხადა.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაბეჭდილია 1918 წ. კრებულში «მდინარების წინააღმდეგ». პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გამოცემა

•ბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დეპეშა მ. ა. მურავიოვს

კიევი. მთავარსარდალ მურავიოვს

1918. 14. II.

თუ ანტონოვისაგან სხვა განკარგულება არ იქნა, რაც შეიძლება უფრო ენერგიულად იმოქმედეთ რუმინეთის ფრონტზე რაკოვსკისა და მის კომისიასთან შეთანხმებით.

ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პეტროგრადიდან
კიევში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
წიგნში: ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკო.
«ჩანაწერები სამოქალაქო ომის
შესახებ»,
ტომი პირველი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მთავარსარდალ მ. ა. მურავიოვს, რუმინეთის უმაღლეს კოლეგიას, უკრაინის რესპუბლიკის სახალხო სამდივნოს ვ. ა. ანტონოვს

რუმჩეროდი[567] იუდოვსკის მთავარსარდალ მურავიოვისათვის გადასაცემად, ოდესა მთავარსარდალ მურავიოვს, რუმინეთის უმაღლეს კოლეგიას, უკრაინის რესპუბლიკის სახალხო სამდივნოს ანტონოვს

იმის გამო, რომ რუსეთ-რუმინეთის ფრონტზე სერიოზული მდგომარეობაა და აუცილებელია სასწრაფო დახმარება გაეწიოს რევოლუციურ რაზმებს ბესარაბიაში, მთავარსარდალი მურავიოვი და მისი ჩრდილოეთის არმია რუმინეთის უმაღლესი კოლეგიის განკარგულებაში ჩაირიცხებიან. ჩვენ ერთი წუთითაც არ ვეჭვობთ, რომ კიევის განთავისუფლების მამაცი გმირები არ დააყოვნებენ შეასრულონ თავიანთი რევოლუციური მოვალეობა.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 17 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს წიგნში: ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკო. «ჩანაწერები სამოქალაქო ომის შესახებ», ტომი პირველი

იბეჭდება სატელეგრაფო ბლანკის ტექსტის მიხედვით

სრულიად რუსეთის საბჭოების IV საგანგებო ყრილობის ფრაქციაზე წარმოთქმული სიტყვის გეგმა[573]

1. გარდატეხა: 1917 წ. 25. X — 1918 წ. 17. II და შემდეგ.

2. ბრესტ-ლიტოვსკის ზავი და ახლა... (ტროცკი versus * რევოლუციური ომის მომხრენი)...

3. «შესვენება».

4. ეკონომიური სიმძიმე... ბელგია?

5. «გამცემლობა».

ფრაზა.

2 versus 10 და 200 000 versus 1 000 000

6. უკრაინა და ფინეთი.

7 გლეხთა მასების, წვრილი ბურჟუაზიის, დეკლასირებული ჯარისკაცის თვალსაზრისი...

8. კლასობრივი ძალები და «სამარცხვინო ზავი». რუსეთის ბურჟუაზია?

9. მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერების «მემარცხენეობა».

10. «სასოწარკვეთილებაც» კი?

11. გამოყენება «ხვრელისა», «წინააღმდეგობებისა», ძალთა სტრატეგიული განლაგებისა: გერმანია—ინგლისი—იაპონია—ამერიკა.

NB: II bis: Tilsit** ომი და ზავი, მათი კავშირი.

---

* — მიმართ. წინააღმდეგ. რ ე დ.

** — ხელმეორედ: ტილზიტი. რ ე დ.

12. დაველოდოთ, უკან დავიხიოთ მოლოდინში.
რის? ვის? საერთაშორისო რევოლუციის.

13. ძალთა მომზადება. «სამშობლოს დაცვის» ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ. დისციპლინა და დისციპლინა (თვით დრაკონულ ზომებამდე).

დაწერილია 1918 წ. 12 — 13 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბრესტის ზავის რატიფიკაციის შესახებ

საგზოეგის ურილოგაზე წარმოთქმული სიტყვის გეგმა

1. გავიგოთ ისტორიის შემობრუნება, კლასთა და საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობაში მომხდარი ცვლილება.

2. (1917) 23. II — (1918) 11. II რუსეთის რევოლუციის «თავისთ÷ვადობა» (მიზეზები).

3. ტრიუმფალური მსვლელობა: (1917) 25. X — (1918) 11. II.

4. იმპერიალიზმი: მძიმე დამარცხებათა, უკანდახევათა ეპოქა. მტერი ის არ არის, არმია არა გვყავს.

5. საკითხის «არაისტორიული» დაყენება. ბურჟუაზია და მისი დამქაშები.

6. ვინ გახრწნა არმია?

7. ვინიჩენკოები =კერენსკები+წერეთლები+ჩერნოვები.

8. პროვოკაცია და მახე. «გერმანელს შეჰხარიან»...

9. სასოწარკვეთილება და ფრაზა. ფრაზა და ტრაბახობა: შემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერებთან [ჩვენთან∠1/10 (453 და 36 და 8=497)]... (ავადმყოფი არმია).

10. შეადარე 1907 და 1918.

11. გლეხობა და ფრაზა.

12. «შესვენება». **ს ა მ შ ო ბ ლ ო ს დ ა ც ვ ა.**

13. 2 და 10; 200 000 და 1 000 000.

14. ტილზიტის ზავი და სუსტი გერმანელი ხალხი (მ ხ ო ლ ო დ სუსტი და ჩამორჩენილი). ზავი და ომი მათ კავშირში.

15. უკან რომ ვიხევთ, ველოდებით **სხვა** მოკავშირეს: საერთაშორისო სოციალისტურ პროლეტარიატს.

დაწერილია 1918 წ. 13 — 14 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დეპეშა კომისარ ივანოვს

ვორონეჟი, კომისარ ივანოვს

მემარცხენე ესერების ამბოხება და მურავიოვის ღალატი სავსებით ლიკვიდირებულია. აუცილებელია გაძლიერებული დახმარება ჩეხოსლოვაკთა ფრონტზე[577] ყუბანის ფრონტზე მყოფი ღონისძიებები მოვანდომოთ ტიხორეცკაიადან ცარიცინისაკენ და ცარიცინიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზის სრულ და საიმედო დაცვას და არა წინსვლას[578]. ჩეხოსლოვაკთა ფრონტზე დროებით ხელმძღვანელობენ მეხანოშინი, კობოზევი და ბლაგონრავოვი.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 11 ივლისს
გაგზავნილია მოსკოვიდან ვორონეჟში

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს ჟურნალ **«კრასნოარმეეცში» № 21 (114)**

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

15. უკან რომ ვიხევთ, ველოდებით **სხვა** მოკავშირეს: საერთაშორისო სოციალისტურ პროლეტარიატს.

დაწერილია 1918 წ. 13 — 14 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დეპეშა კომისარ ივანოვს

ვორონეჟი, კომისარ ივანოვს

მემარცხენე ესერების ამბოხება და მურავიოვის ღალატი სავსებით ლიკვიდირებულია. აუცილებელია გაძლიერებული დახმარება ჩეხოსლოვაკთა ფრონტზე[577] ყუბანის ფრონტზე მთელი ღონისძიებები მოვანდომოთ ტიხორეცკაიადან ცარიცინისაკენ და ცარიცინიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზის სრულ და საიმედო დაცვას და არა წინსვლას[578]. ჩეხოსლოვაკთა ფრონტზე დროებით ხელმძღვანელობენ მეხანოშინი, კობოზევი და ბლაგონრავოვი.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 11 ივლისს
გაგზავნილია მოსკოვიდან ვორონეჟში

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს ჟურნალ **«კრასნოარმეეცში» № 21 (114)**.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დეპეშა ე. ბ. ბოშს

პენზა. გუბალმასკომი, პირი ევგენია ბოგდანის ასულ ბოშს

მივიღე თქვენი დეპეშა[579]. აუცილებელია მოეწყოს გაძლიერებული რაზმი უაღრესად სანდო ადამიანებისაგან, გატარდეს ულმობელი მასობრივი ტერორი კულაკების, ხუცებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ; საეჭვონი დაამწყვდიეთ საკონცენტრაციო ბანაკში ქალაქგარეთ. აამუშავეთ ექსპედიცია. მიდეპეშეთ შესრულება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 9 აგვისტოს
გაგზავნილია მოსკოვიდან პენზაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 3 (26)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დეპეშა ე. ბ. ბოშს

1918 წ. 12. VIII.

პენზა, გუბაღმასკომი, ბოშს

მივიღე თქვენი დეპეშა. მეტისმეტად მაკვირვებს, რომ არ გვაწვდით ცნობებს, თუ როგორ მიმდინარეობდა და რით გათავდა ხუთი თემის კულაკთა აჯანყების ჩახშობა. არ მინდა ვიფიქრო, რომ თქვენ დააყოვნეთ ან სისუსტე გამოიჩინეთ აჯანყების ჩახშობისას და აჯანყებული კულაკებისაგან მთელი ქონების და განსაკუთრებით პურის სანიმუშო კონფისკაციის დროს.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია მოსკოვიდან პენზაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 3 (26)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დეპეშა მ. ს. კედროვს

საიდუმლოდ

ვოლოგდა, გუბაღმასკომი, კედროვს

თქვენი წასვლის მავნეობა დამტკიცებულია იმით, რომ ხელმძღვანელი არ აღმოჩნდა დვინაზე ინგლისელთა მოძრაობის დასაწყისში.

ახლა თქვენ გაძლიერებით უნდა გამოასწოროთ მდგომარეობა, დაუკავშირდეთ კოტლასს, დაუყოვნებლივ გაგზავნოთ იქ მფრინავები და მოაწყოთ კოტლასის დაცვა რაც უნდა დაჯდეს[580]

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 12 აგვისტოს
გაგზავნილია მოსკოვიდან ვოლოგდაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ჟურნალ «ბოლშევისტსკაია
მისლში» № 11 (13)

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ნ. ი. მურალოვს

1918 წ. 29. VIII.

ამხ. მურალოვ!

ხელი შეუწყვეთ, გეთაყვა, ამის წარმომდგენს ამხ. მალიშევს, რომელიც აწყობს კოტლასში მიმავალი ჯგუფის მომარაგებას ასაფეთქებელი მასალით. უ ა ღ რ ე ს ა დ ს ა ს წ რ ა ფ ო ს ა ქ მ ე ა.

საჭიროა, რათა დ რ ო ი ს დ ა უ კ ა რ გ ა ვ ა დ მიღებულ იქნას ფეთქებადი ქონება ვიაზმიდან (**დღესვე**, თქვენი მიწერილობით, მალიშევი ვიაზმას წავა).

საჭიროა აგრეთვე დეპეშა გაგზავნოთ კურსკში ამხ. ს ო ბ ო ლ ე ვ ი ს, ფეთქებადი საქმის ინსტრუქტორის, გამოსახმობად.

ამფეთქებელთა ჯგუფისათვის საჭიროა ერთი ვაგონი (ჩქარი) კოტლასამდე.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ჟურნალ «სპუტნიკ პოლიტრა-ბოტნიკაში» № 15 (45)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება სახალხო კომისარიატების ანგარიშების შესახებ [582]

დაევალოს ყველა კომისარიატს შეადგინონ ერთ კვირაში მოკლე, ორიდან ხუთამდე ნაბეჭდი გვერდის მოცულობით, ანგარიში 1917 წ. 25 ოქტომბრიდან გაწეული მუშაობის შესახებ.

ეს ანგარიშები უაღრესად პოპულარულად უნდა იქნეს შედგენილი და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ფაქტებს მართვა-გამგეობაში მუშათა ორგანიზაციებისა და პროლეტარიატის წარმომადგენლების როლის შესახებ, სოციალისტური ხასიათის დიდ ღონისძიებებს და ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დათრგუნვისათვის წარმოებული ბრძოლის ღონისძიებებს.

იგივე ევალება სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას.

ეთხოვოს ცაკ-ის პრეზიდიუმს იგივე დაადგინოს თავისი მოღვაწეობის შესახებ (განსაკუთრებით კონსტიტუცია და საბჭოების ყრილობების შედეგი).

დაწერილია 1918 წ. 29 აგვისტოს
პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის კრებულში VIII

•ბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ბარათი მ. თ. ვლადიმირსკის

1918 წ. 27. X.

ამხ. ვლადიმირსკის (ან მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს პრეზიდიუმის სხვა წევრს)

ამის წარმომდგენნი ვიბორგელი ამხანაგები არიან. ძალიან გთხოვთ **დაუყოვნებლივ** მიიღოთ ისინი. გარდა ამისა, ისინი ყურადღებას აქცევენ მეტისმეტ ფორმალიზმს საბჭოში შესვლისას, კონტროლის დაუჯერებელ შარიანობას, სრულიად ზედმეტ განსაკუთრებულ საშვებთა წერას. ხომ არ შეიძლება ეს საქმე გამარტივდეს?

სალამი!

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს წიგნში «ილიჩის შესახებ. სტატიების, მოგონებების, დოკუმენტებისა და მასალების კრებული». გამომც. «პრიბოი»

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რადიოგრამა მოსკოვიდან ყველას, ყველას, ყველას!

ყველა საზღვრისპირა დეპუტატთა საბჭოს

უკანასკნელი ცნობებით გერმანელმა ჯარისკაცებმა დაპატიმრეს გერმანელი გენერლების დელეგაცია, რომელიც დაზავების შესახებ მოსალაპარაკებლად გამოემგზავრა. გერმანელმა ჯარისკაცებმა უშუალო მოლაპარაკება გამართეს ფრანგ ჯარისკაცებთან. კაიზერმა ვილჰელმმა ხელი აიღო ტახტზე. კანცლერი, ბადენის პრინცი, გადადგა. ახალი კანცლერი. იქნება მთავრობის სოციალ-დემოკრატი ებერტი. სამხრეთ გერმანიის ყველა დიდ ქალაქში საყოველთაო გაფიცვაა. მთელი გერმანიის ფლოტი რევოლუციის მხარეზეა. რევოლუციური ფლოტის ხელშია ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების ყველა გერმანული ნავსადგური. ჩვენ კილის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსაგან მივიღეთ ინტერნაციონალური პროლეტარიატისადმი მიმართული რადიოტელეგრამა იმის შესახებ, რომ წითელი დროშა თავს დაფრიალებს გერმანიის ფლოტს და რომ დღეს მოხდება თავისუფლებისათვის დაღუპულთა დასაფლავება. ძალიან შესაძლებელია, რომ ყოველივე ამას დაუმალავენ აღმოსავლეთის ფრონტზე და უკრაინაში მყოფ გერმანელ ჯარისკაცებს. თქვენს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით აცნობეთ ეს ფაქტები გერმანელ ჯარისკაცებს.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩ ი ჩ ე რ ი ნ ი
სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

მოსკოვი
რადიო

დაწერილია 1918 წ. 10 ნოემბერს
პირველად დაიბეჭდა 1927 წ. 6 — 7 ნოემბერს გაზეთ «იზვესტია ციკ»-ში № 256

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია მანქანაზე დაბეჭდილ პირთან

ჯ. მ. სერატის

1918 წ. 4. XII.

ძვირფასო ამხანაგო სერატი!

ჩემი საუკეთესო სურვილები თქვენ და ამხანაგ ლაცარის. ჩვენ ყველანი ვიმედოვნებთ, რომ იტალიაში, ისევე როგორც ანტანტის სხვა ქვეყნებში, მალე დაიწყება პროლეტარული რევოლუცია.

გულითადად გართმევთ ხელს.

სალამი იტალიელ ამხანაგებს.

მუდამ თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1920 წელს «Almanacco socialista italiano»-ში, Milano

იბეჭდება ალმანახის ტექსტის მიხედვით თარგმანი იტალიურიდან

ამხ. პროშიანის ხსოვნას

მე შემთხვევა მქონდა გავცნობოდი ამხ. პროშიანს და დამეფასებინა იგი სახკომსაბჭოში ერთად მუშაობისას გასული წლის დამლევს და მიმდინარე წლის დამდეგს, როდესაც მემარცხენე ესერები ჩვენთან შეკავშირებული იყვნენ. პროშიანი ერთბაშად გამოირჩეოდა რევოლუციისა და სოციალიზმისადმი დიდი ერთგულებით. ყველა მემარცხენე ესერზე როდი შეიძლებოდა გვეთქვა, ისინი სოციალისტები არიანო, თითქოს, მათ უმრავლესობაზეც კი არ შეიძლებოდა ეს გვეთქვა. მაგრამ პროშიანზე ეს უნდა გვეთქვა, ვინაიდან, მიუხედავად მისი ერთგულებისა რუსი ნაროდნიკების იდეოლოგიისადმი, არასოციალისტური იდეოლოგიისადმი, პროშიანი ღრმად დარწმუნებული სოციალისტი ჩანდა. თავისებურად, არა მარქსიზმის მეშვეობით, არა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის იდეათა წყალობით, ეს კაცი სოციალისტი გახდა, და მე არაერთხელ მინახავს, სახკომსაბჭოში ერთად მუშაობისას, თუ როგორ გადაჭრით დგებოდა ამხ. პროშიანი ბოლშევიკ-კომუნისტების მხარეზე თავისი კოლეგების, მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერების წინააღმდეგ, როდესაც ისინი წვრილ-მეპატრონეთა თვალსაზრისს გამოხატავდნენ და უარყოფითად ეკიდებოდნენ კომუნისტურ ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის დარგში.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა საუბარი, რაც მე ამხ. პროშიანთან მქონდა ბრესტის ზავზე ცოტა ხნით ადრე. მაშინ გვეჩვენებოდა, რომ ჩვენს შორის რამდენადმე მაინც არსებითი უთანხმოება უკვე არ იყო დარჩენილი. პროშიანი მეუბნე-

ბოდა, რომ აუცილებლად საჭიროა ჩვენი პარტიების შეერთება, რომ კომუნიზმს (მაშინ ეს სიტყვა ჯერ კიდევ არ იყო ხმარებაში) ყველაზე მეტად დაშორებული მემარცხენე ესერები შესამჩნევად და მეტად ძლიერად დამიახლოვდნენ სახკომსაბჭოში ერთად მუშაობის დროსო. მე თავდაჭერილად მოვეკიდე ამხ. პროშიანის წინადადებას, ნაადრევი ვუწოდე მის წინადადებას, მაგრამ პრაქტიკული მუშაობისას ჩვენს შორის დაახლოვება სრულიადაც არ უარმიყვია.

სრული უთანხმოება მოიტანა ბრესტის ზავმა, ხოლო უთანხმოებას, პროშიანის რევოლუციური თანამიმდევრობისა და დარწმუნებულობის დროს, არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა აშკარა, სამხედრო ბრძოლაც კი. საქმე რომ აჯანყებამდე მივიდოდა ან ისეთ ფაქტებამდე, როგორიც იყო მთავარსარდლის, მემარცხენე ესერის მურავიოვის ღალატი, ამას, უნდა გამოვტყდე, არასგზით არ მოველოდი. მაგრამ პროშიანის მაგალითმა მიჩვენა, თუ რა ღრმად გამჯდარა პ ა ტ რ ი ო ტ ი ზ მ ი მემარცხენე ესერთა შორის ყველაზე გულწრფელ და დარწმუნებულ სოციალისტებშიც კი, — თუ როგორ გარდუვალად იჩინეს თავი მსოფლმხედველობის ზოგად საფუძვლებში ჩაქსოვილმა უთანხმოებებმა ისტორიის ძნელი მობრუნებისას. ნაროდნიკების სუბიექტივიზმმა საბედისწერო შეცდომამდე მიიყვანა მათგან საუკეთესონიც კი, რომლებიც დააბრმავა საშინელი ძალის, სახელდობრ გერმანიის იმპერიალიზმის აჩრდილმა. სხვაგვარი ბრძოლა ამ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თუ არა აჯანყება, ამასთან უეჭველად ახლა, ჩვენი და საერთაშორისო მდგომარეობის ობიექტური პირობების სრულიად გაუთვალისწინებლად, რევოლუციონერის მოვალეობის თვალსაზრისით პირდაპირ შეუწყნარებელი ეჩვენებოდათ. აქ გამოაშკარავდა სწორედ ის შეცდომა, რომელმაც 1907 წელს სოციალისტ-რევოლუციონერები სტოლიპინის სათათბიროს უთუო «ბოიკოტისტებად» აქცია. ოღონდ ცხარე რევოლუციური ბრძოლების ვითარებაში შეცდომამ უფრო სასტიკად იყარა ჯავრი და წაუბიძგა პროშიანს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის გზისაკენ.

და მაინც პროშიანმა 1918 წლის ივლისამდე მეტი გააკეთა საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად, ვიდრე 1918 წლის ივლისიდან მისთვის ძირის გამოსათხრელად. და საერთაშორისო ვითარებაში, რომელიც გერმანიის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა, პროშიანის ახალი — წინანდელზე უფრო მტკიცე, — დაახლოება კომუნიზმთან გარდუვალი იქნებოდა, ამ დაახლოებისათვის რომ ნაადრევ სიკვდილს ხელი არ შეეშალა.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

«პრავდა» № 277,
1918 წ. 20 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

1919 წ.

დეპეშა კურსკის საგანგებო კომისიას

1919 წ. 6. I.

კურსკი
საგანგებო კომისიას
პირი გუბალმასკომს

დაუყოვნებლივ დააპატიმრეთ კოგანი, კურსკის ცენტრშესყიდვის წევრი, იმისათვის, რომ ის არ დაეხმარა მოსკოვის 120 დამშეულ მუშას და ხელცარიელნი გამოუშვა ისინი. გამოქვეყნდეს გაზეთებში და ფურცლებად, რათა ცენტრშესყიდვისა და სასურსათო ორგანოების ყველა მუშაკმა იცოდეს. რომ საქმისადმი ფორმალურ და ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას, დამშეული მუშებისათვის დახმარების გაწევის უუნარობას მოჰყვება სასტიკი რეპრესია, დახვრეტაც კი.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია მოსკოვიდან კურსკში

დაბეჭდილია 1919 წ. 11 იანვარს
გაზეთ «ვოლნაში» (კურსკი) № 5

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პასუხი გლეხის შეკითხვაზე [582]

2 თებერვლის «იზვესტია ციკ»-ში მოთავსებული იყო გლეხ გ. გულოვის წერილი, რომელშიც იგი აყენებს საშუალო გლეხისადმი ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობის დამოკიდებულების საკითხს და ლაპარაკობს გავრცელებულ ხმებზე, თითქოს ლენინი და ტროცკი ერთმანეთს ვერ ეწყობიან, თითქოს მათ შორის დიდი უთანხმოებაა და სწორედ საშუალო გლეხის გამოო[583].

ამხანაგმა ტროცკიმ უკვე გასცა პასუხი «წერილში საშუალო გლეხებისადმი», რაც დაიბეჭდა 7 თებერვლის «იზვესტია ციკ»-ში. ამხანაგი ტროცკი ამ წერილში ამბობს, რომ ხმები ჩემსა და მას შორის უთანხმოებათა შესახებ ყველაზე საზარელი და უსინდისო სიცრუეა, რასაც ავრცელებენ მემამულეები და კაპიტალისტები, ან მათი ნებსითი თუ უნებლიეთი ხელშემწყობნიო. მე, ჩემი მხრივ, სავსებით ვადასტურებ ამხანაგ ტროცკის განცხადებას. არავითარი უთანხმოება ჩვენს შორის არ არის, საშუალო გლეხების გამოც არ არის უთანხმოება არა მარტო ჩემსა და ტროცკის შორის, არამედ საერთოდ კომუნისტურ პარტიაში, რომელშიც ორივენი შევდივართ.

ამხანაგმა ტროცკიმ თავის წერილში დაწვრილებით და ნათლად გადმოგვცა, თუ რატომ არ მიაჩნიათ საშუალო გლეხები თავიანთ მტრებად კომუნისტების პარტიას და ახლანდელ მუშურ-გლეხურ მთავრობას, რომელიც საბჭოებმა აირჩიეს და ამ პარტიას ეკუთვნის. მე ორივე ხელს ვაწერ იმას, რაც ამხ. ტროცკიმ თქვა.

არ არის საბჭოთა ხელისუფლების არც ერთი დეკრეტი (კანონი), არც ერთი დადგენილება, რომელშიც გატარებული არ ყოფილიყოს განსხვავება გლეხთა სამ მთავარ ჯგუფს შორის: პირველი ჯგუფია ღარიბი გლეხობა (პროლეტარები და ნახევრადპროლეტარები, როგორც იტყვიან ხოლმე ეკონომიურ მეცნიერებაში). ასეთები ძალიან ბევრია. როდესაც მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლება იყო, მათი მხრივ მთელი ჩაგვრა ყველაზე მეტად ღარიბ გლეხობას ატყდებოდა თავს. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ჭეშმარიტი სოციალისტური მოძრაობის ყველაზე მტკიცე დასაყრდენს შეადგენენ მუშები და სოფლის ღარიბები, რომლებიც მათ მხარს უჭერენ. მეორე ჯგუფია კულაკები, ესე იგი მდიდარი გლეხები, რომლებიც სჩაგრავენ სხვის შრომას, — ან ქირაობენ მუშებს, ან ვახშით ასესხებენ ფულს და სხვა ამდაგვარი. ეს ჯგუფი ხელს უწვდის მემამულეებსა და კაპიტალისტებს, საბჭოთა ხელისუფლების მტრებს. მესამე ჯგუფია საშუალო გლეხები. ესენი საბჭოთა ხელისუფლების მტრები როდი არიან, ისინი შეიძლება მისი მეგობრები იყვნენ, ჩვენ ამას ვცდილობთ და მივაღწევთ კიდევაც. სოციალიზმის ყველა მასწავლებელი ყოველთვის აღიარებდა, რომ მუშებმა უნდა დაამხონ მემამულეები და კაპიტალისტები, რათა სოციალიზმი განახორციელონ, მაგრამ საშუალო გლეხებთან შესაძლებელია შეთანხმება და აუცილებელია შეთანხმებაო.

მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობის დროს საშუალო გლეხთაგან სულ ცოტაოდენნი, ძლივს ასზე ერთი, აღწევდნენ მტკიცე კეთილდღეობას, ისიც აღწევდნენ მხოლოდ იმით, რომ კულაკები ხდებოდნენ, ღარიბ გლეხს კისერზე ასხდებოდნენ. საშუალო გლეხთა დიდი უმრავლესობა კი, მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების დროს, გარდუვალად განიცდის გაჭირვებას და აბუჩად აგდებულია მდიდრების მიერ. ასეთი ვითარებაა ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

სოციალიზმის დროს შესაძლებელია სრული და მტკიცე კეთილდღეობა როგორც ყველა მუშისა, ისე უკლებლივ ყველა საშუალო გლეხისა, ისე რომ სხვისი შრომა ოდნავადაც

არ იყოს გაძარცული. არასოდეს არც ერთ ბოლშევიკს, არც ერთ კომუნისტს, არც ერთ გონიერ სოციალისტს ფიქრადაც არ მოსვლია დაეშვა ძალადობა საშუალო გლეხის წინააღმდეგ. ყველა სოციალისტი ყოველთვის ლაპარაკობდა მათთან შეთანხმებაზე, საშუალო გლეხთა თანდათანობით და ნებაყოფლობით გადასვლაზე სოციალიზმისაკენ.

ჩვენი ქვეყანა კაპიტალისტების დანაშაულებრივი ოთხწლიანი ომით უფრო მეტადაა გაჩანაგებული, ვიდრე სხვა ქვეყნები. ყველგან ნგრევა და შიმშილობაა. არ არის საქონელი, ქალაქებსა და არამიწათმოქმედ გუბერნიებში საშინელი, აუტანელი შიმშილია. საჭირო ხდება მთელი ძალღონის დაძაბვა, რათა დავძლიოთ ნგრევა, დავძლიოთ შიმშილი, დავძლიოთ ჯარები მემამულეებისა და კაპიტალისტებისა, რომლებიც ცდილობენ აღადგინონ მეფისა და მდიდრების, ექსპლოატატორების ძველი ძალაუფლება. სამხრეთში, დონზეც, უკრაინაშიც თეთრგვარდიელნი დაძლეულნი არიან, გზა სათბობისა (ნახშირისა) და პურისაკენ იწმინდება. ძალღონის კიდევ ცოტაოდენი უკანასკნელი დაძაბვა, და ჩვენ შევძლებთ თავი დავაღწიოთ შიმშილს. მაგრამ ომის შედეგად დარჩენილი ნგრევა დიდია, და მხოლოდ ყველა მშრომელის ხანგრძლივ, თავდადებულ მუშაობას ძალუძს გამოიყვანოს ჩვენი ქვეყანა მტკიცე კეთილდღეობის გზაზე.

იმ საჩივრებიდან, რომლებიც საშუალო გლეხთა წრიდან გაისმის, ორგვარი საჩივარი უნდა აღინიშნოს. ჯერ ერთი, საჩივრები ადგილობრივ ხელისუფალთა მეტისმეტად «უფროსული», არადემოკრატიული, ზოგჯერ კი პირდაპირ უმსგავსო მოქმედების გამო, განსაკუთრებით მივარდნილ ადგილებში. უეჭველია, რომ სოფლებში უფრო ძნელია ადგილობრივ ხელისუფალთა მიმართ მართებული კონტროლის და ზედამხედველობის დაწესება, რომ ზოგჯერ კომუნისტებს ეტმასნებიან უცუდესი ელემენტები, არაკეთილსინდისიერი ადამიანები. ასეთ ადამიანებთან, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების კანონების წინააღმდეგ უსამართლოდ ეპყრობიან გლეხობას, აუცილებელია ულმობელი ბრძოლა, მათი დაუყოვნებლივ გა-

ძევება, მათი მეტად სასტიკი გასამართლება. პატიოსანი მუშებისა და გლეხების მთელი მეცადინეობა იქითკენაა მიმართული, რომ რუსეთი გაწმინდონ მემამულური და კაპიტალისტური ყოფის ასეთი «ნაბოლარებისაგან», რომლებიც თავიანთ თავს ნებას აძლევენ «უფროსებივით» იქცეოდნენ, მაშინ როცა, ჩვენი მუშურ-გლეხური რესპუბლიკის კანონების ხედვით, ისინი საბჭოებისაგან უნდა იყვნენ არჩეულნი და იძლეოდნენ კეთილსინდისიერებისა და კანონების მტკიცედ შესრულების მაგალითს. საბჭოთა ხელისუფლებას უკვე ცოტა როდი დაუხვრეტია ისეთი თანამდებობის პირნი, რომლებიც მხილებულნი ყოფილან, მაგალითად, მექრთამეობაში, და ბრძოლა ამგვარი არამზადების წინააღმდეგ ბოლომდე იქნებ მიყვანილი.

მეორეგვარი საჩივრები გაისმის პურის ჩამორთმევის გამო. პურის თავისუფალი ვაჭრობის სასტიკად აკრძალვის გამო თვითნებობასა და კანონის დარღვევას ჩვენი მთავრობა დაუზოგავად ებრძვის. მაგრამ შეიძლება თუ არა დავუშვათ პურის თავისუფალი ვაჭრობა? გაჩანაგებულ ქვეყანაში პური არ გვყოფნის ან ძლივსძლივობით გვყოფნის, ამასთან რკინიგზები ომის მიერ ისეა გაფუჭებული, რომ მოზიდვა ძალიან ცუდად მიმდინარეობს.

პურის ნაკლებობისას პურის თავისუფალი ვაჭრობა ნიშნავს გაშმაგებულ სპეკულაციას და ფუთი პურის ფასის ასეულ მანეთებამდე აწევას, ვინაიდან მშიერი კაცი ყველაფერს გაიღებს ლუკმაპურისათვის. პურის თავისუფალი ვაჭრობა დამშეულ ქვეყანაში იმას ნიშნავს, რომ საშინლად გამდიდრდნენ კულაკები, უნამუსო მდიდარი გლეხები, რომლებიც ქისას ივსებენ ხალხის გაჭირვებისა და შიმშილის წყალობით. პურის თავისუფალი ვაჭრობა დამშეულ ქვეყანაში ნიშნავს მდიდრობა გამარჯვებას ღარიბებზე, ვინაიდან მდიდარი გლეხები პურს საარაკო, გაუგონარ ფასადაც კი იყიდიან, ღარიბნი კი პირში ჩალაგამოვლებული დარჩებიან. პურის თავისუფალი ვაჭრობა ნიშნავს ,თავისუფლებას მდიდრებისათვის, რომ უფრო გამდიდრდნენ, თავისუფლებას ღარიბთათვის, რომ მოკვდნენ.

პურის თავისუფალი ვაჭრობა ესაა აებრუხება უკან, კაპიტალისტების ბატონობისა და ყოვლისშემძლეობისაკენ.

არა. ჩვენ არ გვინდა და არც წავალთ უკან, კაპიტალისტთა ძალაუფლების, ფულის ძალაუფლების აღდგენისაკენ, გამორჩომის თავისუფლებისაკენ. ჩვენ გვინდა ვიაროთ წინ, სოციალიზმისაკენ, ყველა მშრომელთა შორის პურის მართებულად განაწილებისაკენ. მთელი ნაჭარბი პური სამართლიან ფასად უნდა მიეცეს საბჭოთა სახელმწიფოს, ხოლო სახელმწიფომ იგი უნდა გაანაწილოს მშრომელთა შორის თანაბრად. ამის მიღწევა ერთბაშად არ შეიძლება, ასეთი სამართლიანი, სოციალისტური, წესწყობილების დამყარება ადვილი როდია. ბევრი უნდა ვიშრომოთ, დიდხანს ვიმუშაოთ, მუშათა და გლეხთა მტკიცე ამხანაგური დისციპლინა უნდა შევქმნათ, რათა აღმოვფხვრათ ვაჭრობის ძველი, კაპიტალისტური, თავისუფლება, გამორჩომის თავისუფლება, ჩხუბის თავისუფლება, ჩაგვრის თავისუფლება, რომელმაც სისხლით მორწყო მთელი ქვეყნიერება.

მაგრამ ამ ძნელ სამუშაოს ახლა ხელი მოჰკიდეს მილიონობით და მილიონობით მუშებმა და გლეხებმა. ყოველი პატიოსანი, კეთილსინდისიერი გლეხი და მუშა ჩაწვდა ახლა სოციალიზმის მნიშვნელობას და დაჟინებით იბრძვის მისთვის.

მთელ მსოფლიოში იზრდება სოციალისტური რევოლუცია. კაპიტალისტების ძალაუფლება, «ვაჭრობის თავისუფლება» არ დაბრუნდება. სოციალიზმი გაიმარჯვებს.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

1919 წ. 14 თებერვალი.

«პრავდა» № 35,
1919 წ. 15 თებერვალი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

შენიშვნები სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაციის საკითხის გამო [584]

1) მუშათა ორგანო თუ მუშათა მონაწილეობის ორგანო, ცენტრში და ადგილებზე.

2) თანამოწმენი, როგორც სისტემა.

2 bis *: აუცილებლად 2/3 ქალები.

3) უახლოესი პრაქტიკული ამოცანები:

(α) სახელდახელო რევიზიები, მოქალაქეთა საჩივრების გამო

(β) ბრძოლა საქმის გაჭიანურებასთან

(γ) ბოროტმოქმედებათა და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის რევოლუციური ღონისძიებანი

(δ) ტრანსპორტი

(ε) შრომის ნაყოფიერების ამაღლება

(ζ) პროდუქტების რაოდენობის გადიდება.

დაწერილია 1919 წ. 8 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — ხელმეორედ. რ ე დ.

პროგრამის ზოგადპოლიტიკური ნაწილის მესამე პუნქტის პროექტი (პარტიის VIII ყრილობის საპროგრამო კომისიისათვის)

ბურჟუაზიული დემოკრატია სჯერდებოდა ფორმალურ უფლებათა გამოცხადებას, რომლებსაც თანაბრად ავრცელებდნენ ყველა მოქალაქეზე, მაგალითად, კრებების, კავშირების, პრესის უფლების გამოცხადებას. უკეთეს შემთხვევაში ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებში აუქმებდნენ ყველა საკანონმდებლო შეზღუდვას ამ პუნქტების მიმართ. მაგრამ სინამდვილეში როგორც ადმინისტრაციული პრაქტიკა, ისე უმთავრესად მშრომელთა ეკონომიური მონობა, ბურჟუაზიული დემოკრატიის დროს, ყოველთვის შეუძლებელს ხდიდა იმას, რომ მათ რამდენადმე მაინც ფართოდ ესარგებლნათ უფლებებითა და თავისუფლებებით.

პირიქით, პროლეტარული ანუ საბჭოთა დემოკრატია უფლებათა და თავისუფლებათა ფორმალური გამოცხადების ნაცვლად ფაქტიურად ანიჭებს მათ უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად მოსახლეობის სწორედ იმ კლასებს, რომლებსაც კაპიტალიზმი სჩაგრავდა, ე. ი. პროლეტარიატსა და გლეხობას. ამისათვის საბჭოთა ხელისუფლება ახდენს ბურჟუაზიის შენობების, სტამბების, ქაღალდის საწყობების ექსპროპრიაციას და გადასცემს მათ მშრომელებისა და მათი ორგანიზაციების სრულ განკარგულებაში.

რკპ ამოცანაა ჩააბას მშრომელი მოსახლეობის სულ უფრო ფართო მასები დემოკრატიული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობაში და გააფართოოს საამისოდ მატერიალური შესაძლებლობანი.

დაწერილია არაუგვიანეს 1919 წ.
20 მარტისა

პირველად დაიბეჭდა 1956 წ.
22 აპრილს გაზეთ
«პრავდაში» № 113

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ბარათი ე. მ. სკლიანსკის

საჭიროა დღეს, თქვენი და ჩემი ხელმოწერით, გაეგზავნოს მკაცრი დეპეშა მთავარ შტაბსაც და დასავლეთის ფრონტის უფროსსაც, რომ მათ ევალებათ განავითაროონ მაქსიმალური ენერგია და სისწრაფე ვილნოს აღებისათვის.

დაწერილია 1919 წ. 24 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1925 წ. 23 სექტემბერს გაზეთ «პრავდაში» № 217

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გ. ე. ზინოვიევს

1919 წ. 30. IV.

ამხ. ზინოვიევ!

ამხ. ემელიანოვს რომ ვესაუბრებოდი, მე განსაკუთრებით გამაოცა იმან, რომ ასეთი, საუკეთესო და ფრიად საიმედო, პიტერელი მუშები ტ ყ უ ი ლ ა დ იღუპავენ თავს ავტოსაჭაპანო საქმის მაგვარ ტექნიკაზე.

მიუტევებელია! ტექნიკაზე შეიძლება დაიქირავო, შეიძლება აიყვანო მეცხრეხარისხიანებიც, უცნობნიც, ესე იგი პატიოსნების მხრივ უცნობნი. ისეთები კი, როგორიც ემელიანოვია, უნდა იყვნენ ს ო ფ ე ლ შ ი, ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი ა შ ი, მმართველობაში, სამაზრო აღმასკომებში, სადაც პატიოსანი მუშაკები ცოტანი არიან, სადაც პატიოსანი მუშაკების მხრივ უაღრესი საჭიროებაა.

ხომ არ შეიძლება ამხ. ემელიანოვისა და 5 — 10 მისი მეგობრისაგან შევადგინოთ პიტერში მუშათა ს ა ი ნ ი ც ი ა ტ ი ვ ო ჯ გ უ ფ ი, რათა შევარჩიოთ 300 — 600 პიტერელი მუშა, რომლებსაც ფრიად სერიოზული რეკომენდაცია ექნებათ პარტიისა და პროფესიული კავშირებისაგან, და დავგზავნოთ თითო-თითო, ორ-ორი მთელი რუსეთის სამაზრო აღმასკომებში.

ამ გეგმას მე სავსებით დავუჭერდი მხარს. მოვხსნათ ყველა ასეთი (ვინც ასაკის გამო ომში არ მიდის) ტექნიკიდან და ა დ ვ ი ლ ა დ შ ე ს ა ც ვ ლ ე ლ ი პოსტებიდან და გადავიყვანოთ სოფლად ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი ა შ ი სამუშაოდ. თუ

არა ასეთი, აბსოლუტურად საიმედო და გამოცდილი პიტერელი მუშების ჯგუფი, ისე ჩვენ სოფელში დიდ გაუმჯობესებას ვერ მივაღწევთ.

სალამი!

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალ «კრასნაია ლეტოპისში» № 2 (11)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დეპეშა ლ. ბ. კამენევს[585]

კიევი. სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს რაკოვსკის
კამენევისათვის
გადაეცეს ტელეგრაფის მორიგე კომისარს

აბსოლუტურად აუცილებელია, რათა თქვენ პირადად არათუ შეამოწმოთ და დააჩქაროთ, არამედ თვითონაც მიიყვანოთ მაშველი ძალა ლუგანსკთან და საერთოდ დონბასში, ვინაიდან სხვაგვარად ეჭვი არ არის, რომ დიდი და თითქმის გამოუსწორებელი კატასტროფა მოხდება, ამასთან, თუ საჭიროა, დამხმარედ აიყვანეთ იოფე. წაიღეთ, თუ საჭიროა, მანდატი კიევის თავდაცვის საბჭოსაგან. ჩვენ, უეჭველია, დავიღუპებით, თუ მ ო კ ლ ე ხ ა ნ შ ი მ თ ლ ი ა ნ ა დ ა რ გ ა ვ წ მ ე ნ დ თ დ ო ნ ბ ა ს ს. მახნოს ჯარებთან დროებით, ვიდრე როსტოვი აღებული არ არის, დიპლომატურნი უნდა ვიყოთ, იქ პირადად ანტონოვი გავგზავნოთ და დავაკისროთ ანტონოვს პირადი პასუხისმგებლობა მახნოს ჯარებისათვის. მიდეპეშეთ დაწვრილებითი პასუხი.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 7 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 6 (41)

იბეჭდება სატელეგრაფო ბლანკის ტექსტის მიხედვით

დეპეშა ბელა კუნს[586]

ბუდაპეშტი, ბელა კუნს

მხოლოდ დღეს, 13 მაისს, მივიღე თქვენი 22 აპრილის წერილი. დარწმუნებული ვარ, რომ, უდიდეს სიძნელეთა მიუხედავად, უნგრეთის პროლეტარები შეინარჩუნებენ და განამტკიცებენ ძალაუფლებას. სალამი უნგრელ მუშათა და გლეხთა წითელ არმიას, რომელიც სულ უფრო მტკიცდება. ანტანტის მხეცური ზავი გააძლიერებს თანაგრძნობას საბჭოთა ხელისუფლებისადმი. გუშინ უკრაინის ჯარებმა დაამარცხეს რუმინელები და გადალახეს დნესტრი. გითვლით საუკეთესო სალამს თქვენ და ყველა უნგრელ ამხანაგს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 13 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1919 წ. 16 მაისს უნგრულ ენაზე გაზეთ «Vörös Újság»-ში № 83

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ლ. ბ. კამენევს

ხარკოვი. ქვანახშირის მთავარი სამმართველო, გეცოვს, პირი ბაკანოვს, პირი ხარკოვი, მომარაგების საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ბოგდატიანს ან სერებროვსკის, პირი კიევი, მომარაგების საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ბოგდატიანს, პირი სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარს პოდვოისკის, კიევი, პირი ტროცკის, კამენევს ადგილსამყოფელის მიხედვით

დონეცის აუზის მუშათა მობილიზაციის საერთო გაუქმება ფრონტის ახლანდელი მდგომარეობის დროს სრულიად დაუშვებელია[587] თავდაცვის საბჭომ გაითვალისწინა დონეცის აუზის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა და ამიტომ დაადგინა გაათავისუფლოს მობილიზაციისაგან მხოლოდ და მხოლოდ მნგრეველნი, იმ საწარმოებშიც კი, რომლებსაც ამჟამად ამა თუ იმ მიზეზით ქვანახშირი არ ამოაქვთ. მნგრეველთა შენარჩუნება უთუოდ გადაარჩენს კატასტროფისაგან ქვანახშირის მრეწველობას და საშუალებას მოგვცემს განსაკუთრებულ გარემოებათა გავლის შემდეგ კვლავ აღვადგინოთ ქვანახშირის ამოღება. რაიმე სხვა შეღავათები გაწვევისაგან გასათავისუფლებლად შეუძლებელია.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 16 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 6 (41)

იბეჭდება სატელეგრაფო ბლანკის ტექსტის მიხედვით

ბარათი ვ. ა. ავანესოვს [588]

ავანესოვს სახელმწიფო კონტროლში იმ მოხელის დასა-
პატიმრებლად, რომელმაც ასეთი პასუხი გასცა.

ლენინი

20. V.

დაწერილია 1919 წ. 20 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1956 წელს ჟურნალ «ისტორიჩესკი არხივში» № 2

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბელა კუნს

შიფრით

ამხ. ჩიჩერინ! გთხოვთ გადათარგმნოთ და გაუგზავნოთ ბელა კუნს.

18. VI. ლ ე ნ ი ნ ი

ბელა კუნს, ბუდაპეშტი

ჩვენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში საგანგებოდ განვიხილეთ, როგორც დღის წესრიგის განსაკუთრებული პუნქტი, თქვენ მიერ დასმული საკითხი, რომ გამოგზავნილი ყოფილიყო თქვენ მიერ დასახელებული ამხანაგი. ჩვენ შეუძლებლად მივიჩნიეთ მისი გაგზავნა და გამოვგზავნეთ სხვა ამხანაგი, რომელიც უკვე გაემგზავრა და მხოლოდ ტექნიკური მიზეზების გამო იგვიანებს; მალე უნდა ჩამოვიდეს თქვენთან.

ამასთან დავძენ ჩემი მხრივ, რომ თქვენ, ცხადია, მართალი ხართ, ანტანტასთან მოლაპარაკებას რომ იწყებთ. ეს მოლაპარაკება უნდა დაიწყოთ და აწარმოოთ, თუნდაც დროებითი დაზავების ან ზავის ყოველგვარი შესაძლებლობა აუცილებლად უნდა გამოიყენოთ, რათა ხალხი დაასვენოთ. მაგრამ ანტანტას ერთი წუთითაც ნუ ენდობით, იგი თქვენ გატყუებთ და მხოლოდ დროს იგებს, რათა უკეთ დაგვახრჩოს თქვენც და ჩვენც.

სცადეთ მოაწყოთ ფოსტა ჩვენთან აეროპლანების საშუალებით. საუკეთესო სალამი.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 18 ივნისს

დაბეჭდილია 1954 წელს უნგრულ ენაზე წიგნში «Lenin Magyarországról», Budapest

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბარათი ე. მ. სკლიანსკის[589]

1919 წ. 4. IX.

(ცხენოსანი ჯარი აეროპლანის ღაბლა ფრენისას უძლურია მის წინააღმდეგ.)

ამხ. სკლიანსკი! ხომ არ შეგიძლიათ თქვენ სწავლულ სამხედროს X, Y, Z... შეუკვეთოთ პასუხი: (სწრაფად) აეროპლანები ცხენოსანი ჯარის წინააღმდეგ? **მაგალითები. სულ დაბლა** ფრენა. **მაგალითები.** რათა მოგვცეს ინსტრუქცია «მეცნიერების» საფუძველზე (ერთხელ წავიკითხე ამაზე, ხოლო ერთი «პრაქტიკოსი», ი. ნ. სმირნოვი, იცინის — სისულელეაო).

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1927 წ.
23 თებერვალს
გაზეთ «პრავდაში» № 44

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

წინასიტყვაობა გ. ზინოვიევის სტატიისა: «ჩვენი პარტიის რიცხოვრივი შემადგენლობის შესახებ»

ამხ. ზინოვიევმა გამომიგზავნა მე ეს სტატია და მთხოვა მოსკოვის პრესისათვის გადამეცა. დიდი სიამოვნებით ვასრულებ ამ თხოვნას. სტატია, ჩემი აზრით, ღირსია იმისა, რომ იგი ყველა გაზეთში დაიბეჭდოს. საჭიროა, რათა ყველა პარტიულმა ამხანაგმა მიაქციოს მას ყურადღება და რათა ყველგან, პეტერბურგის მაგალითისამებრ, შეუდგნენ ერთსა და იმავე დროს ჩვენი პარტიის უსასტიკეს წმენდასაც «მიტმასნებულებისაგან» და პარტიაში მუშათა და გლეხთა მასის ყველა საუკეთესო ელემენტის გაძლიერებით მოზიდვასაც.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

«პრავდა» № 210,
1919 წ. 21 სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

დეპეშა პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს იუდენიჩის შემოტევის გამო
1919 წ. 14 ოქტომბერი

ცხადია, რომ თეთრების შემოტევა მანევრია, რათა სამხრეთში ჩვენი იერიში შევასუსტოთ. მოიგერიეთ მტერი, დაარტყით იამბურგსა და გდოვს. გაატარეთ მუშაკთა მობილიზაცია ფრონტზე გასაგზავნად. გააუქმეთ განყოფილებათა ცხრა მეათედი. მთელი ძალების მობილიზაცია ფრონტისათვის ჩვენში ჯერ კიდევ არსად არ გატარებულა, თუმცა ამაზე ბევრს წერდნენ, არის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაც და ცირკულარული წერილებიც[590]. უნდა მოვასწროთ მათი განდევნა, რათა თქვენ შეგეძლოთ ისევ აღმოუჩინოთ თქვენი დახმარება სამხრეთს.

დაბეჭდილია 1924 წლის 21 ოქტომბერს გაზეთ «კრასნაია გაზეტაში» № 241

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

ბარათი ა. ს. ენუქიძეს, ლ. ბ. კამენევს და ე. დ. სტასოვას

ამხ. ენუქიძეს, ლ. ბ. კამენევს და ე. დ. სტასოვას

ძალიან გთხოვთ დაეხმაროთ ტანისამოსის, ბ ი ნ ი ს, ს უ რ ა ს ა თ ი ს მხრივ ამის წარმომდგენს

ამხ. პ ე ტ რ ე ო ხ რ ი მ ე ნ კ ო ს[591]

თუ რაიმე სიძნელე შეგხვდებათ დახმარების აღმოჩენისას, ძალიან გთხოვთ დამირეკოთ.

1919. 12. XI ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1956 წელს ჟურნალ «სმენაში» № 7

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბარათი დ. ი. კურსკის

კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ს კ ი ს [592]

ჩემი აზრით, დაემატოს

1) ოქმის შედგენა ჯერ კიდევ ა რ არის «საჩივარი», არამედ მხოლოდ დავის **დაწყების** ზუსტი დ ა დ გ ე ნ ა ა. საუკეთესო საშუალება, რომ საქმე უსაჩივროდ მოგვარდეს, **ისაა**, რომ მივაღწიოთ ზუსტ პასუხს ან მაშინვე შესრულებას.

2) ამ გზით შეიძლება და კიდევაც უნდა ვაღწევდეთ სწრაფ გადაწყვეტას ა რ ს ე ბ ი თ ა დ, გაუჭიანურებლად, სახელდობრ: შევთავაზოთ ადგილობრივ გადაწყვეტის მოკლე საშუალება, შევთავაზოთ ოფიციალურად («აქა და აქ იშოვეთ მასალა, აქა და აქ შეუკვეთეთ, გთხოვთ გააკეთოთ ეს საქმის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად»), ასეთი განცხადება თუ თხოვნა ძ ა ლ ი ა ნ გაუადვილებს ცენტრს საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლას.

3) სახკომსაბჭოს და თავდაცვის საბჭოს [593] — სრ. რუსეთის ცაკ-ში.

4) სახკომსაბჭოში დამტკიცების შემდეგ გამოქვეყნდეს **ხ ტ ა ტ ი ა** (მაგალითებით; დაიღეჭოს) **«ბ ე დ ნ ო ტ ა ში»**.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 17 და 23 დეკემბერს შუა

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბარათი დ. ი. კურსკის[594]

კ უ რ ს კ ი ს:

(საქმის გაჭიანურების ბოროტება)

1) საჭიროა უფრო პოპულარულად დაიწეროს.

2) კანონის ტექსტი მთლად გავიმეოროთ.

3) მოვიყვანოთ 3—4 კონ-კრეტული მაგალითი. { რატომ? რით? ეს აადვილებს საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლას }

4) მოვითხოვოთ, რომ თ ვ ი თ ე უ ლ მ ა გუბალმასკომმა გამოსცეს,

5) განვმარტოთ, რომ დავსჯით ამ კანონის უ ც ო დ ნ ე ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ა ც და მისი გ ა მ ო უ ყ ე ნ ე ბ ლ ო ბ ი ს თ ვ ი ს ა ც.

დაწერილია 1919 წ. 17 და 23 დეკემბერს შუა

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წინასიტყვაობა ჯონ რიდის წიგნისა «10 დღე, რამაც შესძრა მსოფლიო»

უდიდესი ინტერესითა და შეუნელებელი ყურადღებით წავიკითხე ჯონ რიდის «ათი დღე, რამაც შესძრა მსოფლიო» და მთელი სულითა და გულით ვურჩევ ყველა ქვეყნის მუშებს გაეცნონ ამ თხზულებას. მე მსურს, რომ ეს წიგნი მრავალ მილიონ ეგზემპლარად გავრცელდეს და ყველა ენაზე გადაითარგმნოს, რადგან იგი მართლად და არაჩვეულებრივ ცოცხლად გადმოგვცემს ისეთ მოვლენებს, რომლებსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვთ იმის გასაგებად, თუ რა არის პროლეტარული რევოლუცია, თუ რა არის პროლეტარიატის დიქტატურა. ამ საკითხებს ამჟამად ფართოდ განიხილავენ. მაგრამ, ვიდრე მიიღებდე ან უარყოფდე ამ იდეებს, აუცილებლად საჭიროა გაიგო მისაღები გადაწყვეტილების მთელი მნიშვნელობა. ჯონ რიდის წიგნი, უეჭველია, დაგვეხმარება გავარკვიოთ ეს საკითხი, რომელიც მსოფლიო მუშათა მოძრაობის ძირითად პრობლემას წარმოადგენს.

ნ. ლენინი

დაწერილია 1919 წ. დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს წიგნში: ჯონ რიდი. «10 დღე, რამაც შესძრა მსოფლიო». მოსკოვი

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

1920 წ.

სიტყვა პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე 1920 წ. 15 მარტი[595]

საოქმო ჩანაწერი

ამხანაგებო, ამხ. ლოზოვსკიმ თქვა, რომ ამხ. ბუხარინი და მე ნაწილობრივ დავეთანხმებით მას. ეს მართალია. თქვენ თეზისები დაგიწერიათ, მაგრამ რას იცავთ? მაშინ უნდა ამოვშალოთ თქვენი თეზისები, რადგან იქ წერია: «ძირითადი პრინციპი», მაგრამ ჩვენ პრაქტიკას არ ვეყრდნობით. ასეც დაწერეთ. და რაღა დარჩება თქვენი თეზისებიდან? დღეს მე ვიყავი წყალტრანსპორტელთა კრებაზე და ვკამათობდი; ამხ. იშჩენკო ამბობდა: «ყოველ შემთხვევაში, არის გარანტია რომ საკითხს დავაყენებთ, როგორც პრაქტიკოსებიო». ასეც დაწერეთ, თქვენ კი ეს არ დაგიწერიათ; თქვენ დაწერეთ: «ძირითადი პრინციპიო». სადა გაქვთ საფუძველი, ვინ იცავს? არავინ. უკან იხევენ. დაწერეთ ეს, და მაშინ უთანხმოებათა ნახევარი გაქრება. რაც დაწერეთ, ეს ხომ მართალი არ არის: სადაა თქვენი პასუხი იმ მოსაზრებაზე, რომელიც წამოყენებულია კოლეგიალობის წინააღმდეგ, — სადაა ფართო მასების მონაწილეობა, როცა კოლეგიაში სამი, ხუთი, შვიდი მუშა მონაწილეობს? გინდათ თუ არ გინდათ ფართო მასების მონაწილეობა? რა თქმა უნდა, ვისაც ეს არ უნდა, მას ქეჩოში ვტაცოთ ხელიო, მორჩა და გათავდა, მაგრამ ეს ხომ საბუთი არ არის. თქვენ ამბობთ «ფართო უპარტიო მუშათა მასებიო». ასეთი მასები არც ერთ კოლეგიაში არ მოიპოვებიან, ეს მართალი არ არის, და ასე მსჯელობა არ შეიძლება. ფართო უპარტიო მასების მოსაზიდად ეს სისტემა როდია საჭირო: საჭიროა ვასწავლოთ, საჭიროა დავაწინაუროთ, გამოვაცოცხლოთ,

რამდენი მუშა წამოსწიეს ფეიქართა ცენტრალურმა კომიტეტმა და სხვებმა? მათგან რამდენი ამაღლდა სამი თვის განმავლობაში და რამდენი დაქვეითდა? მომეცით ციფრები, და მაშინ ვიტყვი: აი ეს ხალხია მეთქი. «პრინციპების» წერა — ეს ხომ ბალღობაა: ორ წელს სწავლობდნენ და პრინციპები დაწერესო, — სიცილს დაიწყებენ. აქ საბუთი არ შეესაბამება დასკვნას, ფართო მასების მონაწილეობას უზრუნველყოფს შვიდი-სამი კაცისაგან შემდგარი კოლეგიაო: ამას დასცინებენ; ეს პირველი საწინააღმდეგო მოსაზრებაა.

მეორე, ვიმოწმებ ბურჟუაზიას: ვისგან უნდა ვისწავლოთ, თუ არა ბურჟუაზიისაგან? როგორ მართავდა იგი? იგი მართავდა, როგორც კლასი, როდესაც ბატონ-პატრონი იყო, და განა იგი უფროსებს არ აყენებდა? მათი განვითარების დონეს ჩვენ ვერ დავეწიეთ. მათ შეეძლოთ ებატონათ, როგორც კლასს, და ემართნათ ყველას მეშვეობით, სავსებით ერთპიროვნულად და სათავისოდ. ზემოთ მათ ჰყავდათ მცირე კოლეგია, და ისინი ძირითად პრინციპებზე არ მსჯელობდნენ და ასეთ რეზოლუციებს არ წერდნენ, — მათ ხელთ ჰქონდათ მთელი ძალაუფლება, ხოლო კომპეტენტურია ის, ვინც იცის. მუშები აქამდე ჯერ კიდევ არ მისულან, და, რომ გავიმარჯვოთ, ძველ ცრურწმენებზე ხელი უნდა ავიღოთ. მუშათა კლასის ბატონობა კონსტიტუციის, საკუთრების მხრივ, იმ მხრივ, რომ სწორედ ჩვენ მივუძღვებით საქმეს, ხოლო მართვა — ეს სხვა საქმეა, ეს უნარის საქმეა, დახელოვნების საქმეა. ბურჟუაზიას ეს ჩინებულად ესმოდა, ჩვენ კი ეს ჯერ კიდევ არ გვესმის. მოდით ვისწავლოთ. ჩვენ აქ უკვე განვაცხადეთ, რომ საჭიროა მტკიცედ გვეპყრას ხელთ ძალაუფლება, ხოლო აი როგორ უნდა ვმართოთ — ჩვენ ვერ ვისწავლეთ, ჩვენ კიდევ ბევრი და ბევრი უნდა ვისწავლოთ მართვის საქმეში.

მესამე საბუთი: კომპეტენტურობა. როგორ შეგიძლიათ მართოთ, თუ კომპეტენტურობა გაკლიათ, მართოთ, თუ სრული ცოდნა არა გაქვთ, თუ მართვის მეცნიერების ცოდნა არა გაქვთ? სასაცილოა! რაღა სიმწყობრეა აქ, რაღა საჭიროა მთელი ეს სიტყვები, რომლებიც თქვენ დაახვავეთ?

რომ მართო, საქმე უნდა იცოდე და ჩინებული ადმინისტრატორი უნდა იყო. სად თქმულა, რომ ამიტომ კოლეგიალობაა საჭირო? ეს პირუკუ გამომდინარეობს იქიდან, რომ ჩვენ ცოტანი გვყვანან გამოცდილი მუშაკები, აქედან გამომდინარეობს, რომ კოლეგიალობა დაუშვებელია. მიიღეთ მაშინ თეზისები, რომლებშიც სწორედ ასეა ნათქვამი: იყოლიეთ სპეცთან კომისარი, კომისია და ა. შ.. ვიდრე თქვენ არა გაქვთ კომპეტენტურობისა და სპეციალიზმის პატივისცემის პრინციპი — ჩვენ პრიმიტიულ თვალსაზრისზე ვდგავართ. ასე ვერავითარ სამრეწველო ფრონტს ვერ შექმნი. ნებისყოფის ერთიანობა! უამისოდ არავითარი დიქტატურა არ არის ფრონტზე, არამედ ჯანჯლობა გვექნება. ეს ხომ ტიპიური მოვლენაა, რომ იქ შეხლა-შემოხლაა, მართვა-გამგეობა კი არ არის. დასვით გამოცდილი სპეცი, მაგრამ ჩვენ ახლა ვიცით, რომ როცა კოლეგიაში კომპეტენტურ კაცს აერთებთ არაკომპეტენტურთან, მაშინ თქვენ ნებისყოფის სიმრავლესა და სრულ უპასუხისმგებლობას ქმნით. ეს მეხუთე საბუთია* ყველა წერს რეზოლუციებს, თვითეული თავისი დავალებისათვის აგებს პასუხსო. მერე სად სრულდება ეს? დაე თქვან სად გავყავით ჩვენ ასე პასუხისმგებლობა? ორი წელია ვსწავლობდით სახელმწიფოს მართვას, მაგრამ ისევ და ისევ წერენ: «ძირითადი პრინციპიო». ეს სასაცილოა. ეს მე-2 კლასის გიმნაზიელია (ანი, ბანი), გვიჩვენეთ კი თქვენი გამოცდილება, და ჩვენ დავინახავთ, რამდენად კომპეტენტური ადამიანები ხართ და რაში ჩანს კომპეტენციის ნაკლებობა. ამბობენ, ააარტილერიო უწყებასთან საქარხნო სამმართველოები ცუდი იყოო. ამ მაგალითს ხომ ლოზოვსკი და ტომსკი იღებენ? როდის? ამხ. ლოზოვსკი, ანგარიში უნდა გაეწიოს საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობას: რით დავიწყეთ, ვინ იყო სათავეში? — კრილენკო, დიბენკო, პოდვოისკი ტროცკამდე, ჩვენც ამ კოლეგიასთან ვიყავით და თუ ჩვენ კოლჩაკი და დენიკინი გვირტყამდ-

* აშკარაა, იყო კიდევ მეოთხე საბუთი კოლეგიალობის წინააღმდეგ, მაგრამ იგი საოქმო ჩანაწერებში არ ყოფილა ასახული. რ ე დ.

ნენ, რატომ ხდებოდა ეს? იმიტომ, რომ როცა ჩვენ 7 კაცი ვისხედით, 2 წელს უნდა გვესწავლა, და აქედან ერთმმართველობაზე გადავედით. ამას ანგარიში უნდა გაეწიოს თუ არა? ეს არაფერი, რესპუბლიკის ორი წლის ისტორია აიღეს და წაშალეს. რატომ? არ მოგწონთ იგი? გარდაქმენით თავიდანვე. ხოლო რა არის რიკოვი—ჩუპსოვობორი (საბჭოთა თავდაცვის საგანგებო რწმუნებული), და რიკოვი ერთპიროვნულად ეწეოდა. თქვენ არ იცნობთ საკუთარ ისტორიას, თქვენი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და საბჭოთა რესპუბლიკის ისტორიას. ისტორია ამბობს: მუშების კოლეგიალობიდან გადადიოდნენ ათეულებზე, კისერს იტეხდნენ, და კოლჩაკი ჩვენ გვირტყამდა, კარგადაც იქცეოდა, რომ გვირტყამდა, რადგან ჩვენ ზოგი რამ ვისწავლეთ, ვისწავლეთ, რომ კოლეგიალობას მკაცრად უნდა მოვეპყრათ. ჩვენ დაწერილი გვაქვს 4 სისტემა — მიიღეთ ეს ოთხი სისტემა[596], მიიღეთ ცენტრალური კომიტეტის თეზისები. თქვენ დადგებით საბჭოთა ხელისუფლების ორი წლის ისტორიის, მისი გამოცდილების ნიადაგზე, და არა იმ მსჯელობებისა, რომლებიც პრიმიტიულია, რომლებიც დაგაბნევენ თქვენ...* მოწიფულ მუშაკს, რომელსაც არავითარი სპეციისა არ ეშინია და რომელიც ამბობს — «თუ გამოცდილ ხალხს დააყენებ, ჩვენში მანქანა ამუშავდებაო». ასე მსჯელობს მოწიფული მუშა, მოშიშარნი კი ამბობენ: «ვაი თუ უსპეცოდ დაგვტოვონო», ეს სისუსტის ნიშანია. შეწყვიტეთ წუწუნი და იყავით მოწიფულნი.

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს წიგნში: «ნ. ლენინი (ვ. ულიანოვი) «სტატიები და სიტყვები პროფესიული მოძრაობის საკითხებზე» საკ. პროფ-საბჭოს გამოცემა

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია საოქმო ჩანაწერთან

---

* ეს ადგილი გაურკვეველია. რ ე დ.

1920 წ. 6 მაისის რადიოს მინაწერი [597]

სავსებით ვუერთდები ამ განცხადებას, ისევე როგორც ამხ. მილიუტინის მიერ 1920 წ. 16 მარტს გაგზავნილ რადიოს, და გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რათა საზღვარგარეთელი მუშების ყოველი დელეგაცია, რომელიც რუსეთში ჩამოდის, აუცილებლად იძლეოდეს ხელწერილს, რომ ამ რადიოს და ჩემი ამ მინაწერის შინაარსი მას გამოეცხადა საზღვარგარეთელი მუშების საუწყებლად. საზღვარგარეთელმა მუშებმა უნდა იცოდნენ სიმართლე: მათ, ჩვენთან რომ საცხოვრებლად გადმოდიან, გაჭირვება მოელით.

1920. 6. V

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლენინი

დაბეჭდილია 1933 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა 2-3 გამოცემებში, ტომი XXIX	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბარათი ვ. პ. მილიუტინს

არ შეიძლება ერთი დღითაც კი მოვითმინოთ ეს გაურკვევლობა. თუ ვინმე პროტესტს აცხადებს, მაშინათვე სახკომსაბჭოში შემოიტანეთ (სხვაგვარად თქვენ დამნაშავე იქნებით).

ჩამოერთვათ თუ არა გერმანელთა დელეგატებს ხელწერილი, თქვენ რომ მათ გამოუცხადეთ: ჩვენ არ ვიძლევით გარანტიას, რომ სურსათის, ტანისამოსისა და ბინის მხრივ მათი მდგომარეობა რუსეთის დანარჩენ და რიგით მუშებზე უკეთესი იქნება.

დაწერილია 1920 წ. მაისში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალ «პროფექტორში» № 4 (26)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ს. ი. ბოტინს

4. VI. საღ. 11½ ს.

ამხ. ბოტინ! როდესაც თქვენ დღეს ჩემთან იყავით, მხოლოდ 2 წუთი მქონდა, რადგან დიდმნიშვნელოვან სხდომას ვიყავი მოწყვეტილი.

ახლა მეოთხედი საათი მაქვს თავისუფალი და ამიტომ შემიძლია (და ვალდებულიცა ვარ) გითხრათ უფრო დაწვრილებით და ნათლად, რომ აშკარად დაშვებული იყო შეცდომები და რომ პირდაპირ, პატიოსნად, გადაჭრით უნდა უარყოთ ეს შეცდომები. სხვაგვარად ფრიად სერიოზული საქმე გაფუჭდება.

შეცდომა იყო, ჯერ ერთი, ის, რომ უნდობლობა გამოიჩინეთ «სპეციისადმი»[593], რაც ხელს უშლიდა მას ერთბაშად ეთქვა ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი და სწრაფად მოეწყო ც დ ა; მეორეც, ის, რომ «შავ», მოსამზადებელ მუშაობას პირადად თქვენ ასრულებდით, რაც ნ ა მ დ ვ ი ლ ი მუშაობისაგან გაცდენდათ, მაშინ როცა ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ა მთელი ეს უამრავი «შავი», ე. მოსამზადებელი სამუშაო გადასცეთ მექანიკოსებს, მონტიორებს, ელექტროტექნიკოსებს და სხვებს, რომლებსაც ჩვენ ბ ლ ო მ ა დ ვიპოვით. ხოლო იმისათვის, რომ თქვენი ნ ა მ დ ვ ი ლ ი სამუშაო გამოიყოს მოსამზადებელი ან დამხმარე სამუშაოებისაგან, საჭიროა «სპეციის» მ უ დ მ ი ვ ი რჩევა.

ახლა თქვენ აღმითქვით სრული ნდობა «სპეციისადმი», და მჯერა, რომ თქვენ სავსებით დარწმუნდით მის პარტიულობასა და რევოლუციისადმი აბსოლუტურ ერთგულებაში. ამი-

ტომ უნდა გთხოვოთ: მ თ ლ ი ა ნ ა დ შემისრულეთ თქვენი დაპირება (სხვაგვარად შეცდომები გარდუვალად გ ა ნ მ ე ო რ დ ე ბ ა). ხვალვე, დილიდან ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი უ ჩ ვ ე ნ ე თ, უ ა მ ბ ე თ «ს პ ე ც ს» (ვიდრე თ ა ნ ა შ ე მ წ ე ნ ი ვაგონებს მოაყენებდნენ და მოსამზადებელ სამუშაოს ასრულებენ). მაშინ სპეცთან ერთად ც დ ე ბ ი დაუხანებლივ მოეწყობა.

გთხოვთ მიპასუხოთ, რომ ამას მპირდებით.

სალამი!

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წ. 4 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1927 წ. 21 იანვარს გაზეთ «კრასნაია გაზეტაში» № 17.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სახელმწიფო გამოცემლობას
და ე. ა. პრეობრაჟენსკის და ნ. ი. ბუხარინს

სახელმწიფო გამოცემლობას
და ამხ. პრეობრაჟენსკის.
ამხ. ბუხარინს

როგორც ჩვენს გაზეთებში, ისე უცხოურში (სხვადასხვა ქვეყნის არა მარტო კომუნისტურ, არამედ აგრეთვე ბურჟუაზიულ გაზეთებში) ყოველკვირეულად გროვდება დიდძალი მასალა, **განსაკუთრებით** ანტანტის **საგარეო პოლიტიკის** შესახებ.

ეს მასალა (იხილე აგრეთვე «საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბიულეტენი») იკარგება საერთაშორისო კომუნისტური აგიტაციისათვის, იგი კი შეტად საგულისხმოა.

წინადადებას ვიძლევი შეიქმნას კომისია ამ მასალის შესაჯერებლად და ყოველთვიურად პატარა ბროშურების გამოსაცემად.

შინაარსი: ანტანტის საგარეო პოლიტიკის **ფაქტები** (ძარცვა-გლეჯა; ომები; აჯანყებანი; **ფინანსური** მოშთობა).

ეგზემპლარების რიცხვი სულ მცირე, რადგან მთავარი მიზანია სხვა ენებზე გადათარგმნა.

რამდენიმე პროფესორისაგან შემდგარი ქვეკომისია უნდა (სასტიკ კონტროლქვეშ) აგროვებდეს **ყოველივე** საგუ-

ლისხმოს, **განსაკუთრებით ბურჟუაზიულ გაზეთებიდან** (რომ-ლებიც ყველაზე უკეთ ა მ ქ ღ ა ვ ნ ე ბ ე ნ თავიანთ «მეტო-ქეებს»).

პ ა რ ტ ი უ ლ ი ამხანაგების კომისია წაიკითხავს პროფე-სორთა ხელნაწერებს, გაასწორებს და ა ი ძ უ ლ ე ბ ს მ ა თ გაასწორონ.

გაზეთები იკარგება; ბროშურები შეინახება და დ ა ე ხ-მ ა რ ე ბ ა ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ ე ლ ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ს.

გთხოვთ გამოთქვათ თქვენი აზრი.

1920. 8. VIII

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალში «ენიგა ო ენიგა» № 3

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ნ. ი. ბუხარინს

ამხ. ბუხარინ!

ჩემი აზრით, **უნდა** გამოიცეს რუსულად დე-ლეონის «Two pages» etc. ფრეინის შენიშვნებითა და წინასიტყვაობით[599]. მეც დავწერ რამდენიმე სიტყვას.

თუ თანახმა ხართ, გაეცით განკარგულება სახელმწიფო გამომცემლობის მეშვეობით.

თუ არა, მოვილაპარაკოთ.

ლენინი

დაწერილია 1920 წ. ზაფხულის
დამლევს

პირველად დაიბეჭდა
1924 წელს ჟურნალ «ეიზნშიი» № 1

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ბარათი ა. ი. ელიზაროვას[600]

მართვის ძირითადი პრინციპი, რკპ და ცენტრალური საბჭოთა დაწესებულებების ყველა გადაწყვეტილების მიხედვით, — გარკვეული პირი მთლიანად აგებს პასუხს გარკვეული სამუშაოს გაძღოლისათვის.

მე ვუძღვები (ამდენ და ამდენ ხანს), მე ვაგებ პასუხს. მე ხელს მიშლის პირი X, თუმცა იგი არ არის პასუხისმგებელი, არ არის გამგე.

ეს კინკლაობაა. ეს ქაოსია. ეს პასუხსაგები სამუშაოსათვის **გამოუსადეგარი** პირის ჩარევაა. მოვითხოვ მის **ჩამოშორებას.**

დაწერილია 1920 წ. შემოდგომაზე

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 11 (94)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მ. ნ. პოკროვსკის

ამხ. მ. ნ. პოკროვსკის

ამხ. მ. ნ.!

მხურვალედ მოგილოცავთ წარმატებას: უაღრესად მომეწონა თქვენი ახალი წიგნი: «რუსეთის ისტორიის სულ მოკლე ნარკვევი»[601]. აგებულება და გადმოცემა ორიგინალურია. დიდი ინტერესით იკითხება. ჩემი აზრით, საჭიროა ევროპულ ენებზე გადაითარგმნოს.

ნებას მივცემ თავს ერთი შენიშვნა გამოვთქვა. იგი რომ სახელმძღვანელო იყოს (უნდა იყოს კი), საჭიროა შ ე ი ვ ს ო ს **ქრონოლოგიური საძიებლით.** განვმარტავ ჩემს აზრს; დაახლოებით ასე: 1) ქრონოლოგიის სვეტი; 2) ბურჟუაზიული შეფასების სვეტი (მოკლედ); 3) თ ქ ვ ე ნ ი მარქსისტული შეფასების სვეტი, **თქვენი წიგნის გვერდების აღნიშვნით.**

მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ თქვენი წიგნიცა და ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი ც, რათა არ იყოს **ზერელობა,** რათა **ი ც ო დ ნ ე ნ ფ ა ქ ტ ე ბ ი,** რათა ისწავლონ ძველი და ახალი მეცნიერების შედარება. თქვენი აზრი ამ დამატების შესახებ?

5. XII კომ. სალამით. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წ. 5 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ჟურნალ «არხივნოე დელომი» ნაკეეთი IV (17)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დეპეშა ელექტროგუთნეგის მკეთებელ საწარმოებს [602]

წინადადებას გაძლევთ ყოველი ღონე იხმაროთ, რათა მიწსახკომის მიერ შეკვეთილი 22 ელექტროსახნავი იარაღი და მათი ნაწილები გაკეთდეს არაუგვიანეს 1921 წ. 1 აპრილისა. შენაკვეთის შესრულების სამუშაოთა მდგომარეობა მიდეპეშეთ ყოველკვირეულად სახკომსაბჭოს მისამართით, გორბუნოვის სახელზე.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წ. 31 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1956 წელს ჟურნალ «ისტორიჩესკი არხივში» № 4

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით

პოლიტექნიკური განათლების შესახებ

შენიშვნები ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის თეზისების გამო[603]

(კერძო წესით. შავად მონასახი. **არ გამოქვეყნდეს.** შე კიდევ არა ერთხელ და ორჯერ მოვიფიქრებ ამას.)

არ შეიძლება ასე წერა პოლიტექნიკური განათლების შესახებ: გამოდის აბსტრაქტულად, შორეული მომავლისათვის, გათვალისწინებული არ არის საარსებო, ახლანდელი, სავალალო სინამდვილე.

უნდა

1) დაემატოს 1 თუ 2 თეზისი პოლიტექნიკური განათლების პრინციპული მნიშვნელობის შესახებ.

{მარქსის მიხედვით
ჩვენი რკპ პროგრამის მიხედვით}

2) ნათლად ითქვას, რომ ჩვენ არასგზით არ შეგვიძლია უარი ვთქვათ სწორედ პოლიტექნიკური განათლების პრინციპზე და შეძლებისამებრ მის ახლავე განხორციელებაზე.

მე-17 თეზისი ამოიშალოს.

მეორე საფეხურის შესახებ (12 — 17) ითქვას:

რესპუბლიკის მეტისმეტად მძიმე საშეურნეო მდგომარეობა ამჟამად მოითხოვს უთუოდ და დაუყოვნებლივ

შევუერთოთ* მე-2 საფეხური პროფტექსკოლებს,

---

* (გასწორდეს: შეერთდეს არა მთელი მე-2 საფეხური, არამედ 13, 14 წლიდან, **პედაგოგთა** მითითებითა და გადაწყვეტილებით).

გადავაქციოთ* მე-2 საფეხური პროფტექსკოლებად, მაგრამ ამასთან ერთად, **რათა ხელოსნობად არ გადაიქცეს**, უნდა დავადგინოთ შემდეგი ზუსტი წესები:

1) თავი ავარიდოთ ნაადრევ სპეციალიზაციას; შევიმუშაოთ ინსტრუქცია ამის შესახებ.

2) გავაფართოოთ **ყველა** პროფტექსკოლაში **საერთო-საგანმანათლებლო** საგნები.

შევადგინოთ პროგრამა წლების მიხედვით:

(თუ ასეთი პროგრამები ჯერ კიდევ არ არის, ჩამოვახრჩოთ ლუნაჩარსკი)	კომუნიზმი ისტორია საერთოდ » რევოლუციებისა » 1917 წ. რევოლუციისა	გეოგრაფია ლიტერატურა და ა. შ.

3) უ თ უ ო დავალებად დავაყენოთ **დაუყოვნებლივ** გადასვლა **პოლიტექნიკურ** განათლებაზე, ან, უფრო სწორად, დაუყოვნებლივი განხორციელება რიგი ახლავე მისაწვდომი **ნაბიჯებისა პოლიტექნიკური განათლებისაკენ**, როგორიცაა:

გოელროსთან ერთად

ა) უახლოეს ელექტროსადგურში სიარული და რიგი ლექციები იქ ცდების ჩატარებით; **რიგი პრაქტიკული სამუშაოები**, როგორიც კი შესაძლებელია ელექტრობაში; ახლავე დამუშავდეს დეტალური პროგრამები.
(1 დასწრებისა;
5,10 ლექციის კურსისა; 1-2 თვისა და ა. შ.),

ბ) იგივე — **თვითეული** რ ი გ ი ა ნ ა დ დაყენებული ს ა ბ ჭ ო თ ა მ ე უ რ ნ ე ო ბ ა,

გ) იგივე — **თვითეული** რ ი გ ი ა ნ ა დ დაყენებული ქ ა რ ხ ა ნ ა,

გოელროსთან ერთად

დ) **ყ ვ ე ლ ა** ინჟინრის, აგრონომის, უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ყველა კურსდამთავრებულის მობილიზაცია (ლექციებისათვის ელექტრობისა და პოლიტექ-

* იხ. შენიშვნა ამ ტომის გვ. 613. რ ე დ.

ნიკური განათლების შესახებ, პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელობის გასაწევად, გამგზავრებისათვის და სხვ.),

ე) პოლიტექნიკური განათლების პატარა მუზეუმების, მატარებლების, გემების და სხვათა მოწყობა.

ეს უაღრესად მნიშვნელოვანია. ჩვენ ღატაკნი ვართ. ჩვენ გვჭირდება დურგლები, ზეინკლები, **ახლავე. უსათუოდ. ყველა** უნდა გახდეს დურგალი, ზეინკალი და სხვა., მაგრამ ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტექნიკური მინიმუმის ასეთი და ასეთი დამატებით.

მე-2 საფეხურის სკოლების (უფრო სწორად: მე-2 საფეხურის უფროსი კლასების) (12 — 17) ამოცანაა: მოგვცენ ისეთი მუშაკები, რომლებსაც სავსებით ეცოდინებათ თავიანთი საქმე, სავსებით შეეძლებათ გახდნენ ოსტატი და იქნებიან საამისოდ პრაქტიკულად მომზადებული

დ უ რ გ ა ლ ი,

ხ უ რ ო,

ზეინკალი და მისთ.,

მ ა გ რ ა მ ი ს ე, რომ ეს «ხელოსანი» ფლობდეს

ფ ა რ თ ო ზ ო გ ა დ გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა ს (რომ მან იცოდეს ასეთ და ასეთ მეცნიერების ს ა ფ უ ძ ვ ლ ი ს minimum; უჩვენეთ ზუსტად, რა მეცნიერებათა);

ი ყ ო ს კ ო მ უ ნ ი ს ტ ი (ზუსტად აღინიშნოს, რა უნდა იცოდეს);

ჰ ქ ო ნ დ ე ს **პოლიტექნიკური ჰორიზონტი და პოლიტექნიკური** გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს **საფუძვლები** (ს ა წ ყ ი ს ე ბ ი).

სახელდობრ:

(გრინკომ, ალბათ, გადაამლაშა სისულელემდე, როცა ის უარყოფდა პოლიტექნიკურ გა-

(აა) ძ ი რ ი თ ა დ ი ცნებები ელექტროობაში (ზუსტად განისაზღვროს, რა ცნებები),

(ბბ) ელექტროობის გამოყენებაზე მ ე ქ ა ნ ი კ უ რ მრეწველობაში,

(გგ) —— ასევე ქიმიურში,

ნათლებას (იქ- ნებ ნაწილობ- რივ ო. ი. შმიდ- ტმაც)[604]. ეს გას- წორდეს).

(დდ) ასევე რსფსრ ელექტროფიკაციის გეგმის შესახებ,

(ეე) **1—8-ჯერ მაინც** მივიდეს ელექტრო- სადგურში, ქარხანაში, საბჭოთა მეურნეობაში,

(ვვ) დაუფლებული იყოს აგრონომიის ასეთ და ასეთ საფუძვლებს. **დეტალურად** დამუშავდეს ცოდ- ნის მინიმუმი.

დაწერილია 1920 წ. დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ჟურნალში «ნა პუტიახ კ ნოვოი შკოლე» №2

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

1921 წ.

გეგმა რკპ(ბ) X ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვისა გაწერის გადასახადით შეცვლის შესახებ [605]

გეგმა სიტყვისა გაწერის გადასახადით შეცვლის შესახებ

ამ საკითხის ზოგადპოლიტიკური მნიშვნელობა: **გლეხური** (წვრილბურჟუაზიული) **კონტრრევოლუციის** საკითხი.
ასეთი კონტრრევოლუცია უკვე დგას ჩვენს წინააღმდეგ.

2. თეორიული ექსკურსი

(α) ბურჟუაზიული თუ სოციალისტური **რევოლუცია? ბრძოლა გადაწყვეტს.**

(β) რენეგატი კაუცკი (გვ. 102, 1918 წ. გამოცემა [606])

3. ვინ ვის? 2 სხვადასხვა კლასი.
«კრონშტადტის» გაკვეთილი [607]

——— პოლიტიკაში: მეტი დარაზმულობა (და დისციპლინა) პარტიის შიგნით, მეტი ბრძოლა მენშევიკებთან და სოციალისტ-რევოლუციონერებთან.

——— ეკონომიკაში: რაც შეიძლება უფრო მეტად დავაკმაყოფილოთ საშუალო გლეხობა.

4. მთელი გლეხობა (თითქმის) საშუალო გახდა. «ღარიბთა კომიტეტები»[608].

5. რით შეგვიძლია **ეკონომიურად** დავაკმაყოფილოთ საშუალო გლეხობა? წვრილი საქონელმწარმოებელი?

NB
(α) **ბრუნვის თავისუფლება, ვაჭრობის თავისუფლება (=კაპიტალიზმის თავისუფლება)**
(β) ვიშოვოთ ამისათვის **საქონელი.**

6. «ბრუნვის თავისუფლება» = ვაჭრობის თავისუფლება = კაპიტალიზმის თავისუფლება.
უკან კაპიტალიზმისაკენ?
ჩვენი ერთობ ნაჩქარევი, სწორხაზოვანი, მოუმზადებელი «კომუნიზმი» გამოწვეული იყო ო მ ი თ და იმის შეუძლებლობით, რომ გვეშოვა საქონელი, აგვემუშავებინა ფაბრიკები.
არის კიდევ მთელი რიგი შესაძლებელი გადასვლები.

7.	NB: კოოპერაცია. IX ყრილობის რეზოლუციის გ ა ნ ქ ძ ე ბ ა. პროექტი ახალი რეზოლუციისა[609] (უფრო თავისუფლად გავწიოთ მანევრირება)	კ ო ო პ ე რ ა ი ა = ესერები და მენშევიკები პოლიტიკურად ეკონომიურად თავისუფალი ბრუნვის საუკეთესო ფორმა

8. სად ვიშოვოთ საქონელი?
(α) სესხი (100 მილიონი ოქროთი).
(2 წინადადება).
(β) სავაჭრო ხელშეკრულება ინგლისთან, ამერიკასთან.
(γ) კონცესიები.
9. სახელმწიფო კაპიტალიზმი, ბლოკი მასთან, ზ ე მ ო თ, — ვაჭრობის თავისუფლება გლეხებისათვის და სხვ. ქ ვ ე მ ო თ.

ყავარჯნები და ბანდი?
ნაცემნი ვართ სიკვდილის პირამდე.

10. მუშებსაც ემჩნევათ მეტისმეტი დაღლილობა, დაუძლურება.
ბრესტის მაგვარი «შესვენება», ეკონომიური შესვენება.
გავაუმჯობესოთ მუშების მდგომარეობა (10 მილიონი ოქროთი და გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი რ ე ზ ო ლ უ ც ი ა)[610].
გავაუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დავძრათ ბ რ უ ნ ვ ა.

11. ინდივიდუალური საქონელგაცვლა?
დიახ! გავაძლიეროთ წარმოება, დავძრათ ბრუნვა, მივცეთ შესვენება, გავაძლიეროთ წ ვ რ ი ლ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა, მაგრამ გაცილებით უფრო განვამტკიცოთ **მსხვილი წარმოება** და პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი. ერთი მეორესთან დაკავშირებულია.

12. არ შეიძლება განვამტკიცოთ მსხვილი წარმოება, ფაბრიკები და ქარხნები, პროლეტარიატი ისე, თუ **გარკვეულ დონემდე** არ გამოვაცოცხლეთ წვრილი ბურჟუაზია და მ ი ს ი ბრუნვა.

13. ნ ა ტ უ რ ა ლ უ რ ი გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი.
კანონმდებლობითი ისტორია (მოკლედ).
1918 წ. 30. X[611].
საკითხის სხვაგვარად დასმა ახლა.
მისი ეკონომიური მნიშვნელობა.
(1) ს ტ ი მ უ ლ ი წვრილი მწარმოებლისათვის: აამოძრავე წარმოება.
ყველაზე მნიშვნელოვანი.
(2) ახლა სავალდებულო არ არის სახელმწიფო მონოპოლია. (არა მთელი ნაჭარბი).
(3) ზუსტი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე.
ბიუროკრატიზმის დ ა ს უ ს ტ ე ბ ა.
(4) მეტი თავისუფლება მთელ «ბრუნვას» და შ ე ი ძ ლ ე ბ ა «რაზმებისაგან» უფრო განთავისუფლება.

მოუსავლობა და მოსავალი	**პოპოვი და მისი «ცნობა».[612]**	**წინდაწინ გამოვაცხადოთ? შევცვალოთ მოსავლის გამორკვევის შემდეგ**	**NB**

14. შევინარჩუნოთ «აპარატის» ს ი მ ტ კ ი ც ე.
მაგრამ აპარატი პ ო ლ ი ტ ი კ ი ს ა თ ვ ი ს (= კლასების ურთიერთობის გადასინჯვისა და გამოსწორებისათვის), და არა პოლიტიკა აპარატისათვის!!

(კარგი) ბიუროკრატია პოლიტიკის სამსახურში, და არა პოლიტიკა (კარგი) ბიუროკრატის სამსახურში.

ახლა საჭიროა მაქსიმალური მოქნილობა და **ა მ ი ს ა თ ვ ი ს**, მოქნილი მანევრირებისათვის, აპარატის უაღრესი სიმტკიცე.

დაწერილია 1921 წ. მარტის
პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
21 მარტს
გაზეთ «პრავდაში» № 79

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

კრონშტადტის აჯანყების შესახებ

დამიჯერეთ, რუსეთში მხოლოდ ორი მთავრობაა შესაძლებელი: მეფისა ან საბჭოთა. კრონშტადტში ზოგიერთი უგუნური და მოღალატე დამფუძნებელი კრების შესახებ ლაპარაკობდა. მაგრამ განა საღი გონების ადამიანს შეუძლია ფიქრიც კი დაუშვას დამფუძნებელ კრებაზე იმ არანორმალურ მდგომარეობაში, რომელშიც რუსეთი იმყოფება. დამფუძნებელი კრება ამჟამად იქნებოდა დათვების კრება, რომლებსაც მეფის გენერლები ცხვირში გაყრილი რგოლებით დაატარებდნენ. აჯანყება კრონშტადტში მართლაც სრულიად უმნიშვნელო ინციდენტია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებისათვის გაცილებით ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე ირლანდიის ჯარები ბრიტანეთის იმპერიისათვის.

ამერიკაში ფიქრობენ, რომ ბოლშევიკები ბოროტგანმზრახველ ადამიანთა მცირე ჯგუფს წარმოადგენენ, ტირანიულად რომ ბატონობენ განათლებულ ადამიანთა დიდ რაოდენობაზე, რომლებსაც შეეძლოთ, საბჭოთა რეჟიმის გაუქმების პირობებში, საუცხოო მთავრობა შეექმნათ. ეს აზრი სავსებით ყალბია. ბოლშევიკების შეცვლა არავის არ ძალუძს, გარდა გენერლებისა და ბიუროკრატებისა, რომლებმაც უკვე დიდიხანია ცხადყვეს თავიანთი უსუსურობა. თუ საზღვარგარეთ აზვიადებენ კრონშტადტის აჯანყების მნიშვნელობას და მხარს უჭერენ მას, ეს იმიტომ ხდება, რომ მსოფლიო ორ ბანაკად გაიყო: კაპიტალისტურ საზღვარგარეთად და კომუნისტურ რუსეთად.

«პეტროგრადსკაია პრავდა» № 67,
1921 წ. 26 მარტი

იბეჭდება გაზეთ
«პეტროგრადსკაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

გარათი ნ. ი. ბუხარინს

საკითხი თეორიულადაც საინტერესოა:
პროლეტარულ სახელმწიფო ხელისუფლებას
ზელთ უპყრია

მატერიალური ბაზა { ფაბრიკები
რკინიგზები
საგარეო ვაჭრობა

დასკვნა: მის ხელშია **საქონლის ფონდი** და ამ ფონდის **საბითუმო** (სარკინიგზო) გადაზიდვა.

რას უშვრება პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება ამ ფონდს?

ჰყიდის მას

(α) მუშებსა და მოსამსახურეებზე ფულით ან მათ შრომაში უფულოდ.

(β) გლეხებზე პურში.

როგორ ჰყიდის? ვისი მეშვეობით?

კომისიონერის (= **ვაჭრის**) მეშვეობით საკომისიო **პროცენტით.**

უპირატესობას ანიჭებს კოოპერაციას (ცდილობს საყოველთაოდ ჩააბას მასში მოსახლეობა).

რატომაა ეს **შეუძლებელი**? ეს კი არის **კაპიტალიზმი+სოციალიზმი.**

დაწერილია 1921 წ. მარტ-აპრილში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის კრებულში IV

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დეპეშა პეტროგრადში ელექტროგუთნების მკეთებელი მუშების სასურსათო პრემიების შესახებ[613]

ხ ე ლ მ ე ო რ ე დ

სამი მისამართით 1) პეტროგრადი, საოლქო ეკონომიურ საბჭოს

2) პეტროგრადის პროფსაბჭო, ავდეევს და უგლანოვს

3) პეტროგრადის აღმასკომი, მიხაილოვს

იმის გამო, რომ ამხ. **მიხაილოვი** ჩივის — ელექტროგუთნის მუშებს სასურსათო პრემიებს არ აძლევენო, წინადადებას გაძლევთ სასწრაფოდ მოაწესრიგოთ და შეათანხმოთ საკითხი, ამასთან მხედველობაში იქონიეთ საშემოდგომო ხვნისათვის ოცი ელექტროგუთნის დამზადების დიდი მნიშვნელობა.

გვიპასუხეთ სრულიად ზუსტად. 31 მაისი.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წ. 31 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1956 წელს ჟურნალ «ისტორიჩესკი არხივში» № 4

იბეჭდება დეპეშის პირის მიხედვით

ს. გ. საიდ-გალიევს [614]

პირველ კითხვაზე — კი.

მეორეზე — კიდევ დიდხანს.

.მესამეზე — არა «პედაგოგებისა და გამდელების», არამედ თანაშემწეების.

მეოთხეზე — გთხოვთ ზუსტ, მოკლე, ნათელ მითითებებს ფაქტებზე «ორი მიმდინარეობის» შესახებ.

დაწერილია 1921 წ. 18 — 20
ივლისს შუა

ბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს
წიგნში «რკპ(ბ) ცკ მეოთხე თათ-
ბირი ეროვნული რესპუბლიკებისა
და ოლქების პასუხისმგებელ მუშა-
კებთან ერთად (სტენოგრაფიული ან-
გარიში)». მოსკოვი.

ბარათი ვ. ა. სმოლიანინოვს

ამხ. სმოლიანინოვ! საჭიროა ამ საქმეს თვალყური მიადევნოთ[615] (განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, თუ: 1) ვინ აგებს პასუხს? 2) სწორადაა თუ არა დაყენებული საწარმოს **დამოუკიდებლობა?)**

თუ საჭიროა, მოეთათბირეთ კოროსტელოვს.

ჩაინიშნეთ ეს საქმე და **თ ვ ა ლ ყ უ რ ი ა დ ე ვ ნ ე თ.**

5/8 ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წ. 5 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1956 წელს ჟურნალ «ისტორიჩესკი არქივში» № 4

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ნ. პ. გორბუნოვს

3. IX.

ამხ. გორბუნოვ!

მე ახლა ხელი მოვაწერე მანდატებს, რომლებიც ეძლევა შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული ექსპორტის საგანგებო კომისიის[616] თავმჯდომარეს და წევრებს (რიკუნოვს, პიატიგორსკის, ვალაევს და ვლადიმერ სპირიდონის-ძე ერმაკოვს). გავალებთ გაეცნოთ ამ კომისიის შემადგენლობას და მის დებულებას, შემდეგ სისტემატურად გაეცნოთ ხოლმე მისი მუშაობის მსვლელობას, მის **ანგარიშებს**, და მაცნობოთ.

ვსარგებლობ ამ საბაბით, რათა მიგითითოთ, რომ აუცილებელია სწორად განაწილდეს სამუშაო თქვენსა და სმოლიანინოვს შორის (და ბორის ვოლინს შორის, თუ მოხერხდება მისი მოზიდვა) და სწორად იქნას დაყენებული სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველობის მთელი მუშაობა.

საჭიროა ზუსტად განაწილდეს ფუნქციები თქვენსა და სმოლიანინოვს შორის. თვითეული უნდა **«უწევდეს მეთვალყურეობას»** გარკვეულ **საქმეებს** (ელექტროგუთნები; ჰიდროტორფი; კოლექტიური მომარაგება; ტარიფები და ა. შ. და მისთ.).

თვითეულ როგორც «ძველ», ისე ახლად აღმოცენებულ საქმეზე სისტემატურად უნდა მოეყაროს თავი ყველა ქალალდსა და ყველა ცნობას, რათა ყოველთვის ადვილი იყოს ვიპოვოთ ის, რაც საჭიროა.

თქვენს შორის «ეკონომიური ფრონტის», ამჟამად უმნიშვნელოვანესი ფრონტის საქმეების განაწილების გარდა, საჭიროა აგრეთვე განაწილდეს (ან მთლად თქვენ იკისროთ) არაეკონომიური სახალხო კომისარიატები, «თვალყური ადევნოთ» მათ მუშაობას საგუბერნიო და სამაზრო ეკონომიური თათბირების ანგარიშების მიხედვით და სხვაგვარად.

თვითეული «საქმის» გამო საჭიროა დროდადრო (1-ჯერ კვირაში, 1-ჯერ თვეში, ან ორ თვეში, საქმის ხასიათისა და მნიშვნელოვანების მიხედვით, — შემდეგ კი უ ე ც რ ა დ) შ ე მ ო წ მ დ ე ს **რეალური** შესრულება. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე აუცილებელია. თვითეული შემოწმების შედეგები აღინიშნოს.

მე ვფიქრობ, რომ, როდესაც თქვენ სამნი იქნებით (თქვენ + სმოლიანინოვი + ბ. ვოლინი ან ვინმე სხვა, თუ ვოლინთან საქმე არ გამოვა), ეს საკმარისი აღმოჩნდება (კანცელარულ თანაშემწეთა მცირე რაოდენობისას) მთელი მუშაობის გასაძღოლად, — რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ დავიცავთ აბსოლუტურ აკურატულობას, ერთი მხრივ, და თუ მეორე მხრივ, ყოველივეს, რაც შეიძლება და უნდა იქნას გადაცემული, გადავცემთ «ე კ ო ნ ო მ ი ჩ ე ს კ ა ი ა ე ი ზ ნ ს», ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა გ ე გ მ ო კ ო მ ი ს ი ა ს და სხვა სათანადო დაწესებულებებს. სამაზრო ანგარიშების წასაკითხავად საჭირო გახდება მოვიზიდოთ კიდევ მთელი რიგი პირნი, ამასთან სავალდებულოა, რომ წამკითხველმა ხელი მოაწეროს თვითეულ ანგარიშს მიკერებულ ფურცელს: მოვიზიდავთ ლიტერატორებსაც და პარტიის ზოგიერთ წევრსაც უძველესთაგან და ზოგიერთ «სპეცს». როდესაც გამოგზავნილი ანგარიშების რიცხვი გადიდდება, თქვენ შეადგენთ «ანგარიშების კითხვისას დამხმარეთა» სიას და დაადგენთ წაკითხულის დაბრუნების **მკაცრ** წესრიგს.

გადაიღეთ მანქანაზე ამ წერილის პირი და გამომიგზავნეთ თან თქვენი პასუხიც იმ გეგმის გამო, თუ როგორ უნდა განაწილდეს და წარიმართოს სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველობის ყველა სამუშაო.

კერძოდ, გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ყურადღებით უნდა ა დ ე ვ ნ ო თ თ ვ ა ლ ყ უ რ ი ჰიდროტორფს როგორც იმასთან დაკავშირებით, რომ საზღვარგარეთ მიცემულია ტორფსასრუტების შეკვეთები 22 წ. სეზონისათვის, ისე რ. ე. კლასონის ამასწინდელ ცნობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მის მიერ გაუწყლოების ამოცანის გადაწყვეტას[617].

შემდეგ გავალებთ გამოიძიოთ შვედური ქარხნის «ნიტვეს და ჰოლმის» გაცდენის საქმე («ე კ ო ნ ო მ ი ჩ ე ს კ ა ი ა ქ ი ზ ნ» № 194, გვ. 4)[618]. წყლის ტურბინების დაკვეთას **«ნელა აფორმებდნენ»!!** ამ ტურბინების მხრივ ჩვენ საშინელ ნაკლებობას განვიცდით!! ეს მეტისმეტი უმსგავსობა და უტიფრობაა! ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ **იპოვეთ** დამნაშავენი, რათა შევძლოთ ამ არამზადების ციხეში ჩალპობა.

დააწესეთ ზ უ ს ტ ი პ ე რ ს ო ნ ა ლ უ რ ი პასუხისმგებლობა ამ ქარხნის მუშაობისათვის და მისი შეკვეთებისათვის.

საერთოდ ზუსტი პერსონალური პასუხისმგებლობის დაწესება სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველობის უმნიშვნელოვანესი საქმეა. ამას მე ყველაზე უფრო მკაცრად მოვითხოვ. თუ საჭირო აღმოჩნდება, დაუყოვნებლივ მოვიზიდოთ ამისათვის იუსტიციის სახალხო კომისარიატი და მუშგლეხინი ან მათი «ექსპერტი».

კიდევ ერთი საქმე. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო ტექნიკურმა განყოფილებამ, ეტყობა, სავსებით დაიძინა. საჭიროა ან გამოვაღვიძოთ იგი, ან ჯეროვნად დავძრათ ამ სწავლულ ცუღლუტთა გარეკვის საქმე და აუცილებლად დავადგინოთ ზუსტად, ვინ აგებს პასუხს იმისათვის, რომ ჩვენ გაგვაცნონ ევროპული და ამერიკული ტექნიკა საზრიანად, დროზე, პრაქტიკულად, არა ფორმალურად. კერძოდ, მოსკოვს უნდა ჰქონდეს თითო ეგზემპლარი ყ ვ ე ლ ა უმნიშვნელოვანესი მანქანა უ ა ხ ლ ე ს ე ბ ი დ ა ნ — რათა ისწავლოს და ასწავლოს. (ორი ინჟინერი მეუბნებოდა, ამერიკაში გზებს აკეთებენ მანქანით, რომელიც სასოფლო გზას ეზატკეცილად აქცევს მხოლოდ თავისი წნევის ძალითო; რა-

ოდენ მნიშვნელოვანია ეს ჩვენი უგზოო ნახევრად ველური ქვეყნისათვის!)

უნდა მივაღწიოთ, რათა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო ტექნიკურმა განყოფილებამ და მისმა მრავალრიცხოვანმა საზღვარგარეთელმა უქნარებმა თავი დაანებონ უსაქმურობას ან რათა **ჩვენ ისინი სხვებით შევცვალოთ.**

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წ. 3 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ა. ს. კისელიოვს

ამხ. კისელიოვს, მცირე საბჭოს თავმჯდომარეს,
პირები: ამხ. ბოგდანოვს, უნშლიხტს, ავანესოვსა და კურსკის

თქვენს ყურადღებას მივაქცევ მიხელსონის შენიშვნაზე, რომელიც მოთავსებულია 13.IX «იზვესტიაში» № 203[619].

ავტორი წერს, რომ 18 წლიდან 2½ მილიონი ფუთი უძვირფასესი ლითონის ტვირთი ძევს საწყობებში, კინაღამ ჭაობში, არ არის აღნუსხული და დაცული, ნიავდება და იღუპებაო.

გთხოვთ სასწრაფოდ შეამოწმოთ, მართალია თუ არა ეს შენიშვნა.

თუ იგი მართალია, დაუყოვნებლივ მიიღეთ ყველა საჭირო ზომა ქონების აღრიცხვისათვის, შენახვისათვის და ა. შ. და დამნაშავეთა უსასტიკეს პასუხისგებაში მისაცემად.

წარმომიდგინეთ დაწვრილებითი წერილობითი მოხსენება ამ უმსგავსოებაში დამნაშავეთა ვინაობისა და თანამდებობის აღნიშვნით და გააკეთეთ მოხსენება შრომისა და თავდაცვის საბჭოში.

გთხოვთ უაღრესად სწრაფად გაატაროთ ყოველივე ეს.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წ. 15 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი ორიგინალის მიხედვით

ვ. ა. ავანესოვს

15. X.

ამხ. ავანესოვ! ხომ არ უნდა გადავცეთ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დაკვრითი-სატრანსპორტო ქარხნების ნაწილი გზათა სახალხო კომისარიატს? (გუშინდელთან დაკავშირებით) [620].

უნდა დავაინტერესოთ მომხმარებელი.

მოიფიქრეთ.

კომუნისტური სალამით. ლ ე ნ ი ნ ი

სასაწყობო საქმის გამო. ხომ არ შეიძლება დავადგინოთ: საწყობთა მოსამსახურეებს ეძლევათ პ რ ე მ ი ა საწყობის 1/8, 1/4, 1/2 გაწმენდისათვის, თუ ისინი დაუგზავნიან (მიაწოდებენ) საწყობში არსებულს უშუალოდ სახელმწიფოს სამრეწველო საწარმოებს (ფაბრიკებს, საბჭოთა მეურნეობებს და მისთ.).

ასეთივე პრემია ეძლევათ საწყობებიდან მიმღებთ, თუ ისინი მიუტანენ იმავე ფაბრიკებს და ა. შ.

თუ პირადი დაინტერესება არ იქნა, ისე არაფერი არ გამოვა. უნდა შ ე ვ ძ ლ ო თ დავაინტერესოთ.

ტროიანოვსკი კი უჭკუო კაცია. თ ქ ვ ე ნ აგებთ პასუხს ასეთი «თავმჯდომარისათვის», თქვენ პერსონალურად. იქონიეთ მხედველობაში.

აქ ჭკვიანი კაცია საჭირო.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წ. 15 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პოლიტგანეგის სრულიად რუსეთის II ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვის გეგმა[621]

ახალი ეკონომიური პოლიტიკა და პოლიტგანეგის ამოცანები

1. არა პირდაპირ კომუნისტურად, არამედ «შემოვლით და მიდგომით».
2. დამარცხება და უკან დახევა — — ახალი შეტევისათვის.
3. ვინ შეძლებს უფრო მალე ისარგებლოს, კაპიტალისტები თუ ჩვენ?
4. «პირადი დაინტერესება»... გლეხები, მუშები, სპეცები, უამრავი სისულელე მათ მიმართ.
5. **ვისწავლოთ** მოიჯარეებისა და კაპიტალისტებისაგან. სერიოზული, **მკაცრი** მეცნიერება.
6. წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა ღ მ ა ვ ლ ო ბ ა რაც უნდა დაჯდეს. თქვენ დაწესებულებაში არ ხართ? კიდევაც სჯობია, რომ არ ხართ.
7. **წიგნიერება.** უწიგნურობის ლიკვიდაცია, და არა ემპირეებში+ ლიკვიდაციის კომისიის ლიკვიდაცია. 1920. 19. VII[622].

   უწიგნურობის მხრივ ჩამორჩენილი გუბერნიებისა და მაზრების სამარცხვინო სია.
8. კ ულ ტ ურ ი ს ა მ ა ღ ლ ე ბ ა.
   (ყოველი დიდი პოლიტიკური გადატრიალების შემდეგ ხანგრძლივი დროა საჭირო «მონელებისათვის», «შეთვისებისათვის», გამოყენების შესწავლისათვის, ტლანქი, უშნო, პირვანდელი ნაგებობის მოთავებისათვის).
9. კანონიერების ამაღლება... ვასწავლოთ კ უ ლ ტ უ რ უ ლ ა დ იბრძოლონ კანონიერებისათვის, ამავე **დროს** სრულიადაც არ დავივიწყოთ კანონიერების საზღვრები რევოლუციაში. ბოროტება ა ხ ლ ა ამაში კი **არ** არის, არამედ **უამრავ** უკანონობაშია.

10. **მექრთამეობა** სპეციალურად, ვინ რა მოიმოქმედა მექრთამეობასთან საბრძოლველად.

10. bis* ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება.

11. საწარმოო პროპაგანდა, მეურნეობის ისეთ წარმატებათა წამოწევა, რომლებიც ახლავე **მისაწვდომია** გლეხისათვის, იმის უნარი, რომ წამოვწიოთ, პროპაგანდა გავწიოთ, **თვალყური ვადევნოთ** წარმატებას.

12. მეურნეობის **მშენებლობის პრაქტიკული წარმატებანი.** — — — ესაა თავიდათავი. ყველაფერი ამით შემოწმდეს.

სამი მტერი:

კომუნისტური ყოყოჩობა — აი მტერი

13. ΣΣ** ოთხი მცნება:

(1) ბრძენობას ნუ დაიწყებ. თავი ნუ მოგაქვს კომუნიზმით, დიადი სიტყვებით ნუ ჩქმალავ დაუდევრობას, უსაქმურობას, ობლომოვობას, ჩამორჩენილობას.

უწიგნურობა

(2) მოსპე უწიგნურობა.

მექრთამეობა

(3) ებრძოლე მექრთამეობას.

ΣΣ

(4) შეამოწმე მთელი შენი **მუშაობა** სამეურნეო მშენებლობის **პრაქტიკული** წარმატებებით, რათა სიტყვა სიტყვად არ დარჩეს.

ΣΣ

დაწერილია 1921 წ. 17 ოქტომბრამდე

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალ «მოლოდაია გვარდიაში» № 2 — 3

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — ხელმეორედ. რ ე დ.

** — Summa summarum — საერთო დასკვნა. რ ე დ.

დ. ი. კურსკის მიწათმოქმედებაში იჯარისა და კონცესიის საკითხის გამო [623]

ამხ. კურსკი!

უნდა ჩავწვდეთ მიწათმოქმედებაში იჯარისა და კონცესიის საკითხს.

საკმაოდ ვერ ჩავწვდით.

იჯარის პრინციპულ დაუშვებლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ვინც ამუშავებს, ის ფლობს.

იჯარა არ უნდა იყოს.

მაგრამ **საბჭოთა** მეურნეობის ან «დაუმუშავებელი მიწის» იჯარა?

ეს უნდა გამოვყოთ.

ეს განსაკუთრებული სახეობაა.

ვინც ამუშავებს, **აქაც** ის ფლობს. სახელმწიფო მესაკუთრეა, საბჭოთა მეურნეობის მოიჯარე ამუშავებს. ეს **საკუთრივ** მოიჯარე არ არის და ეს იჯარა არ არის პირდაპირი აზრით.

ეს უფრო მართვის გადაცემაა.

ამას უფრო დეტალურად და უფრო საფუძვლიანად უნდა ჩავწვდეთ.

1921 წ.

ლენინი

დაწერილია 1921 წ. 25 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს დ. ი. კურსკის წინასიტყვაობაში წიგნისათვის «საბჭოთა იუსტიციის მოღვაწეთა სრულიად რუსეთის V ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში». რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის იურიდიული გამომცემლობა. მოსკოვი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები რკპ ისტორიის გამო[624]

გარათი ნ. ი. ბუხარინს

ამხ. ბუხარინ!

იმ თემასთან დაკავშირებით, რომელიც თქვენ დღეს ცენტრალურმა კომიტეტმა დაგავალათ, გიგზავნით ჩემს შენიშვნებს. მე ამ თემაზე ვიფიქრე და გეგმაც შევადგინე:

(α) დავის, უთანხმოებისა და გათიშვის ს ა გ ა ნ თ ა ჩამოთვლა.

(β) გათიშვის პერიოდებისა და ერთიანობის პერიოდების ცვლა.

(γ) მენშევიკებისა და ბოლშევიკების უმრავლესობის პერიოდების ცვლა (იქნებ, შეიძლება დიაგრამით წარმოვადგინოთ?)

მოიწერეთ თქვენი აზრი.

ლ ე ნ ი ნ ი

1. XII.

ხომ არ აიღებთ ამას თქვენი სტატიის ქ ა რ გ ა დ? ან რაიმე ამდაგვარს.

უთანხმოების საგანთა ჩამოთვლა (ქრონოლოგიური)

1903. X. ორგანიზაციული საკითხი: წესდების § 1.
1904. «საერობო კამპანია».

1905. V. დამოკიდებულება რევოლუციისადმი, საგაფიცვო ბრძოლისადმი, შეიარაღებული აჯანყებისადმი.

1905. VIII. სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტი თუ მონაწილეობა?

1905. X.

1905. XII. აჯანყება.

1906. I — III. სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტი თუ მონაწილეობა?

1906. IV — V. დამოკიდებულება 1-ლი მოწვევის სახელმწიფო სათათბიროსადმი.

1906. VII. დამოკიდებულება შეიარაღებული აჯანყებისადმი.

IX. « პარტიზანული ბრძოლისადმი.

1907. I — II. II სათათბიროს არჩევნები: მემარცხენე ბლოკი თუ კადეტებთან?

1907. IV. მე-2 სახელმწიფო სათათბირო.

1909 — 10. ლიკვიდატორობა.

1911. ცკ პლენუმი.

ერთიანობა თუ გათიშვა?

1912. გათიშვა (ლიკვიდატორობა).

1913. «საგაფიცვო აზარტი» და ა. შ.

1913. დამოკიდებულება III სახელმწიფო სათათბიროსადმი.

1914. დამოკიდებულება იმპერიალისტური ომისადმი.

1917. II — III. დამოკიდებულება თებერვლის რევოლუციისადმი.

1917. V. კოალიციური სამინისტრო.

1917. VII. საბჭოების 1-ლი ყრილობა.

1917. IX. კორნილოველობა და დემოკრატიული თათბირი.

1917. X.

საბჭოთა ხელისუფლება.

ტერორი.

ბრესტის ზავი.

შეთქმულებანი და სამოქალაქო ომი.

1918. სამოქალაქო ომი. მენშევიკების დამოკიდებულება.

1919. « « «

1920.

1921.

ბოლშევიკების ბრძოლა მენშევიკებთან
(რიცხოვრივი თანაფარდობის ცვლა)

1903. ყ რ ი ლ ო ბ ა $\frac{20}{24}$ 44 ხმა[625] (ერთი პარტია).

1905. ორი ყრილობა. Za (Zirka=დაახლოებით) (ორი პარტია)[626].

1906. სტოკჰოლმის ყრილობა. ზუსტად (ხმების რიცხვი) **ერთი** პარტია.

1907. ლონდონის ყრილობა. ზუსტად (ხმების რიცხვი)[627] **ერთი პარტია.**

(ფრაქციები სახელმწიფო სათათბიროებში).

1911 — 1912. **მუშების მიერ ფულის შეგროვება** (კრებულიდან ლიკვიდატორობის შესახებ)[628] (ერთი და 2 პარტია).

1917. VI. საბჭოების სრულიად რუსეთის პირველი ყრილობა.

1917. *XI.* { $1^1/_2$ (?) მილიონი. 9 მილიონი[629]. **დამფუძნებელი კრების არჩევნები.**

$\frac{1^1/_2 \text{ მილიონი}}{9 \text{ მილიონი.}}$

დაწერილია 1921 წ. 1 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალ «ბოლშევიკში» № 7 — 8

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ტელეფონოგრამა ვ. ა. ავანესოვს, დ. ი. კურსკისა და ა. დ. ციურუპას

ფრიად სასწრაფოდ.

ავანესოვს, კურსკის, ციურუპას

ეჭვი მაქვს, რომ ოსინსკი და ბოგდანოვი პატარა სამხედრო ფანდს მიმართავენ: დღეს ჩემი არყოფნისას მათ შეაქვთ საკითხი — გაუქმდეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება, რომელიც ეხება ფაულერის გუთნების დამზადების გაჯანჯლებაში დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემას[630]. გთხოვთ მიაქციოთ ამ საქმეს ყურადღება და გავლენა მოახდინოთ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების გაუქმების წინააღმდეგ. ეჭვი არ არის, რომ საქმის გაჯანჯლებაში დამნაშავენი აქ მოიპოვებიან, ხოლო პრინციპის თვალსაზრისით საჭიროა ასეთი საქმეები ბიუროკრატიულ დაწესებულებათა ფარგლებში კი არ დავტოვოთ, არამედ საჯარო მსჯავრის დასადებად გამოვიტანოთ, არა იმდენად მკაცრად დასჯისათვის (იქნებ, საკმარისი აღმოჩნდეს საყვედური), არამედ საქვეყნოდ გამოცხადებისათვის და იმ საყოველთაო რწმენის გასაქარწყლებლად, თითქოს დამნაშავენი დაუსჯადნი იყვნენ.

21 წ. 13. XII

ლ ე ნ ი ნ ი

მიიღო ტელეფონით ლ. ა. ფოტიევამ

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

პ. ა. ბოგდანოვს

1921 წ. 23. XII.

ამხ. ბოგდანოვ!

გადაჭრით და პრინციპულად უმართებულოდ მიმაჩნია მთელი თქვენი მსჯელობა ფაულერის გუთნების საქმის გამო. მართალია, თქვენი ეს უმართებულობა არც ისე უხამსია (ბოდიშს ვიხდი ძლიერი გამოთქმისათვის), როგორც ოსინსკისა, რომელიც პირდაპირ გადაიქცა უცუდესი ბიუროკრატიზმის დამცველად, მაგრამ თქვენც აგრეთვე ც უ დ ა დ გამოგიდით.

არ უნდა გვეშინოდეს სამართლისა (ჩვენში პროლეტარული სამართალია) და საჯაროობისა, არამედ საქმის გაჯანჯლება საქვეყნო მსჯავრისათვის უნდა გამოვათრიოთ: მხოლოდ ასე განვკურნავთ ჩვენ სერიოზულად ამ ავადმყოფობას.

თქვენი მოსაზრება: ძალიან კარგი, ერთგული, ძვირფასი მუშაკები არიანო.

ვთქვათ, რომ ეს მართალია, რომ თქვენ «უწყებრივი გატაცება» არ გჩვევიათ.

რა გამოდის აქედან?

მხოლოდ ის, რომ სასამართლო, თუკი ა მ ა შ ი დაგეთანხმებათ (ხოლო თქვენ, ალბათ, რაკი ეს მტკიცედ გჯერათ, წამოაყენებთ მთელ რიგ ფრიად სერიოზულ მოწმეებს ამის დასამტკიცებლად), გამოიტანს გადაწყვეტილებას:

> დამნაშავენი არიან საქმის გაჯანჯლების აღმოუფხვრელობაში და უთაურობაში, მაგრამ, ვიღებთ რა მხედველობაში განსაკუთრებულ ერთგულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რაც სავსებით დამტკი-

ცებულია მთელი რიგი მოწმეების მიერ, უაღრეს კეთილსინდისიერებასა და გულმოდგინებას, რაც აგრეთვე სავსებით დამტკიცებულია, ვიღებთ რა მხედველობაში სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მექანიზმის საერთო ნაკლოვანებებს, რაც ნაწილობრივ დაკავშირებულია პრეზიდიუმის შეცვლასთან და ა. შ..... განთავისუფლებულ იქნან ყოველგვარი სასჯელისაგან იმ რწმენით, რომ ბრალდებულნი ამას სერიოზულად გაითვალისწინებენ, ისევე როგორც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მთელი პრეზიდიუმი.

მერე, თუ დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ ასეთი გადაწყვეტილება იქნება გამოტანილი, შეგიძლიათ უარყოთ მისი სარგებლობა? მისი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი მნიშვნელობა, 1000-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე შინაურულ-პარტიულ-ცეკისტურ-იდეოლოგიური მიჩქმალვა, გაუხმაურებლობა საზიზღარი საქმისა საზიზღარი ჯანჯლობის შესახებ?

თქვენ პრინციპულად სრულიადაც არა ხართ მართალი. ჩვენ უნარი არ შეგვწევს საჯაროდ გავასამართლოთ საზიზღარი ჯანჯლობა: ამისათვის ჩვენ ყველა და იუსტიციის სახალხო კომისარიატი ორმაგად უნდა ჩამოგვკიდონ მყრალი თოკით. და მე ჯერ კიდევ არ დამიკარგავს იმედი, რომ ჩვენ ამისათვის როდისმე დ ა მ ს ა ხ ი ო რ ე ბ ულ ა დ ჩამოგვკიდებენ.

თუ თქვენ ფიქრობთ, რომ რსფს რესპუბლიკაში არ აღმოჩნდება ე რ თ ი ჭკვიანი ბრალმდებელი და სამი ჭკვიანი, მართლაც ჭკვიანი მოსამართლე (არა ფუსფუსა, არა მყვირალა, არა ყბედი), მაშინ მე თქვენ ბრალს დაგდებთ კიდევ პესიმიზმში საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ამ წერილის პირს თქვენს წერილთან ერთად ვუგზავნი ამხ. კურსკის საგანგებო თხოვნით, რათა მან წაიკითხოს და რაც შეიძლება ფართოდ წაკითხოს იურისტებს და რათა სწორედ მან, კურსკიმ, პასუხისმგებლად მიიჩნიოს თავი—გამოძებნოს ამ პროცესისათვის უეჭველად ჭ კ ვ ი ა ნ ი ბრალმდებელი და ჭ კ ვ ი ა ნ ი მოსამართლენი. და რათა კურსკიმ პირადად აგოს პასუხი (1) გასამარ-

თლების მაქსიმალური დაჩქარებისათვის და (2) ამ პროცესის შესახებ ჩემთვის ს ტ ე ნ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ანგარიშის წარმოდგენისათვის (დასკვნის გასაკეთებლად: იწყებს თუ არა ბოლოს ჩვენი ს უ ს ტ ი იუსტიციის სახალხო კომისარიატი იმის ს წ ა ვ ლ ა ს, რომ მოაწყოს და წარმართოს საჯარო საქმეები ჯანჯლობის შესახებ). დროა დავიწყოთ სწავლა.

არ მესმის, თუ რატომ არ შეუძლია ჭკვიან ბრალმდებელს ყ ვ ე ლ ა ს წინაშე გააცამტვეროს, სასაცილოდ აიგდოს და შეარცხვინოს ბიუროკრატიული ჯანჯლობის «ბოგდანოვისეული» და «ოსინსკისეული» დაცვა. ამასთან ერთად გონივრულად, სწორად, ზომიერად დააყენოს ბრალდება.

რატომ არ შეიძლება დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ ასეთი ტიპის განაჩენი:

> ვაკუთვნებთ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჯანჯლობის საქმეთა საჯარო გასამართლებას. ამჯერად გამოგვაქვს ფრიად რბილი განაჩენი ბრალდებულთა განსაკუთრებით იშვიათი კეთილსინდისიერების გამო, ამასთან გაფრთხილებას ვიძლევით, რომ შემდეგში საქმის გაჯანჯლებისათვის დავსჯით წ მ ი ნ დ ა ნ, მ ა გ რ ა მ ბ ე ც რეგვნებსაც კი (სასამართლო, ალბათ, უფრო ზრდილობიანად იტყვის), რადგან ჩვენ, რსფსრ, გვჭირდება არა წმინდანობა, არამედ საქმის წარმართვის უ ნ ა რ ი.
>
> ამიტომ, თუ ლომოვსა და სტიუნკელს[631] «წმინდანობის» გამო ამჯერად სასჯელისაგან ვათავისუფლებთ, სამაგიეროდ უნქსოვი[632] (მგონი, ასეა?), რომელიც ვალდებული იყო წარედგინა შრომისა და თავდაცვის საბჭოში ანგარიშები და არ წარადგინა, დაპატიმრებულ იქნას ერთი კვირით, ხოლო ილინს[633] (ყოფ. ილინის ქარხნის დირექტორს?) და ამ ქარხნის მ თ ე ლ ფ ა ბ კ ო მ ს და (სათანადო) პროფკავშირის გამგეობის მთელ შემადგენლობას და ამა და ამ ქარხნის ან ამა და ამ ქარხნების კომუჯრედის მთელ შემადგენლობას დ ა მ ნ ა შ ა ვ ე ე ბ ა დ ვა-

ცხადებთ საქმის გაჯანჯლებაში, სიბეცეში, ბიუროკრატიზმის ხელშეშვებაში და ვუცხადებთ ს ა ს ტ ი კ ს ა ყ ვ ე დ ურ ს და ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ გაკიცხვას, ამასთან ვაფრთხილებთ, რომ მხოლოდ პირველად ვსჯით ასე რბილად, შემდეგში კი ამ პროფკავშირულ და კომუნისტურ არამზადებს (სასამართლო, ალბათ, უფრო რბილად იტყვის) ულმობლად ჩავსვამთ საპყრობილეში.

კომუნისტური სალამით.

ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბარათი გ. ი. კრუმინს [634]

განიხილეთ და შეავადგინოთ საბოლოო ფორმით:

აბსოლუტურად აუცილებლად იქნას მიჩნეული მიექცეს გაძლიერებული ყურადღება ცნობების შეგროვებას (სპეციალური კორესპონდენტების მეშვეობითაც, მაგრამ ისე, რომ არ ავიყვანოთ ისინი მხოლოდ ამ მიზნით, შრომისა და თავდაცვის საბჭოს და სახალხო კომისარიატების ყველა საგანგებო რწმუნებულის მეშვეობითაც; და, ბოლოს, — რაც უმთავრესია — ადგილებიდან სათანადო ორგანოებში ნორმალურად შემოსული ანგარიშებიდან) — ცნობებისა, რაც უშუალოდ შემოდის ორგანოებისაგან, რომლებიც ადგილებზე ეწევიან მუშაობას (ქარხნები, სამადნოები, ცალკეული ტყესაკაფები, ცალკეული ტყესაჩეხები და მისთ.). არა მარტო მთავარი კომიტეტებისაგან, არამედ სწორედ ამ უშუალოდ ადგილობრივ მომუშავე ორგანოებისაგან მიღებული ცნობების შეგროვება და **ანალიზი** უნდა გახდეს «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წ. დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1924 წლის 26 იანვარს გაზეთ «ეკონომიჩესკაია ჟიზნში» № 96

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

1922 წ.

ომთან ბრძოლის საკითხისათვის

ამხ.ბუხარინს, ზინოვიევს და მოლოტოვს (პოლიტბიუროს წევრებისათვის)

ჰანოვერიდან გუშინ მიღებული ცნობის გამო, რომ მელიტონეთა საერთაშორისო კავშირი დღის წესრიგში აყენებს ომთან ბრძოლის საკითხს და რომ მან მიიღო რეზოლუცია — ომს გაფიცვით ვუპასუხოთო[635], — ვიძლევი შემდეგ წინადადებას:

1. მოთავსდეს რიგი სტატიები «პრავდასა» და «იზვესტიაში», სადაც უნდა მოვიგონოთ ბაზელის მანიფესტის ბედი და დაწვრილებით განვმარტოთ მთელი ბალღური უგუნურება თუ მთელი სოციალ-გამცემლობა, რასაც მელიტონენი იმეორებენ.

2. დაისვას კომინტერნის აღმასკომის უახლოეს გაფართოებულ სხდომაზე ომის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი და მიღებულ იქნას დაწვრილებითი რეზოლუციები, სადაც განიმარტება, რომ მხოლოდ წინასწარ მომზადებულსა და ნაცად, კარგი არალეგალური აპარატის მფლობელ რევოლუციურ პარტიას შეუძლია წარმატებით ჩაატაროს ბრძოლა ომის წინააღმდეგ. ამასთან ბრძოლის საშუალებას წარმოადგენს არა გაფიცვა ომის წინააღმდეგ, არამედ რევოლუციური უჯრედების შექმნა მეომარ არმიებში, მათი მომზადება რევოლუციის მოსახდენად.

1922. 4. II.

ლენინი

მიიღო ტელეფონით ლ. ბ. ფოტიევამ

პირველად დაიბეჭდა 1929 წ. 20 იანვარს გაზეთ «პრავდაში» № 17

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის პირის მიხედვით

ბარათი დ. ი. კურსკის

1922. 20. II.

ჩვენ არაფერს «კერძოს» არ ვცნობთ, ჩვენთვის **ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი** მეურნეობის დარგში **ს ა ჯ ა რ ო-ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი ა** და არა კერძო. ჩვენ ვუშვებთ მხოლოდ სახელმწიფო კაპიტალიზმს... აქედან გავაფართოოთ «კერძო-სამართლებრივ» ურთიერთობაში სახელმწიფოს ჩარევის გამოყენება, გავაფართოოთ სახელმწიფოს უფლება გააუქმოს «კერძო» ხელშეკრულებანი, გამოვიყენოთ «სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის» მიმართ არა corpus juris romani *, არამედ ჩვენი **რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი შ ე გ ნ ე ბ ა**, ვაჩვენოთ სისტემატურად, შეუპოვრად, დაჟინებით რიგ სანიმუშო პროცესებზე, თუ **რ ო გ ო რ** უნდა კეთდებოდეს ჭკუითა და ენერგიით.

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს წიგნში «საბჭოთა იუსტიციის მოღვაწეთა სრულიად რუსეთის V ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში». რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის იურიდიული გამომცემლობა. მოსკოვი.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

---

* — რომაული სამართლის კანონთა კრებული. **რ ე დ.**

ა. დ. ციურუპას

მცირე სახკომსაბჭოსადმი დირექტივის პროექტის გამო [636]

ამხ. ციურუპა! ჩვენ თითქოს გვრჩება ძირეული უთანხმოება. მთავარია, ჩემი აზრით, სიმძიმის ცენტრის გადატანა დეკრეტებისა და ბრძანებების წერიდან (აქ ჩვენ იდიოტობამდე ვსულელობთ) **ადამიანთა შერჩევაზე** და **შესრულების შემოწმებაზე.** ეს არის თავიდათავი.

არ ვარგა ამისათვის მცირე სახკომსაბჭო? დავუშვათ. მაშინ **თქვენ და რიკოვმა** ამას $^{9}/_{10}$ დრო უნდა მოანდომოთ (**ს ა ს ა ც ი ლ ო ა** მუშგლეხინისა და საქმეთა მმართველობისაგან მეტს მოველოდეთ, ვიდრე **უბრალო** დავალებათა შესრულებას). ჩვენთან ყველანი ჩაიძირენ «უწყებათა» საზიზღარ ბიუროკრატიულ ჭაობში. დიდი ავტორიტეტი, ჭკუა, ხელი არის საჭირო ამის წინააღმდეგ ყოველდღიური ბრძოლისათვის. უწყებები ნაგავია; დეკრეტები ნაგავია. მოვძებნოთ ადამიანები, შევამოწმოთ მუშაობა — ესაა ყველაფერი. **თუ** თქვენ+რიკოვი $^{9}/_{10}$-ით მოჰკიდებთ ამას ხელს, **ხოლო** საქმეთა მმართველებს (ზოგჯერ კი მცირე სახკომსაბჭოს წევრებსაც) თანაშემწეებად გაიხდით, მაშინ კიდევ, თითქოს, არა უშავს.

ერთხელ კიდევ გამომიგზავნეთ პროექტი მცირე სახკომსაბჭოს შესახებ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წ. 21 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარეს

28. II.

ამხ. შეიმან!

თქვენმა სიტყვებმა, სახელმწიფო ბანკი ახლა «მძლავრი აპარატიაო» (22. II), გამაცინეს. საიდუმლოდ გეტყვით: ეს მეტისმეტი ბალღობაა, მეტისმეტი კომუნისტურ-დიდკაცური ბალღობაა.

«მძლავრი აპარატი»! «მძლავრი აპარატი» = ერთი სახელმწიფო ჯიბიდან მეორეში გადალაგება ისეთ შესანიშნავ «რეალურ ფასეულობათა», როგორიცაა საბჭმანეთები... მიმდინარე ანგარიშები ოქროს მანეთებში (ისიც ყალბად, არა რ ე ა ლ უ რ ი კურსით) 2,8 — 7,9 — 10,3 მილ. მან. (16. XII, 16. I და 1. II-თვის). ხა-ხა! აქედან რამდენი? 90—98% ჩვენი ს ა ხ ა ზ ი ნ ო ტ რ ე ს ტ ე ბ ი ს ა გ ა ნ! ე. ი. იმავე ბიუროკრატების იგივე სახაზინო ქაღალდის ფული.

სახელმწიფო ბანკი ახლა=ფარატინა ქაღალდის ბიუროკრატიული მიწერ-მოწერის თამაშია. აი თქვენ სიმართლე, თუ გინდათ იცოდეთ არა საამო მოხელურ-კომუნისტური სიცრუე (რითაც თქვენ ყველანი გიმასპინძლდებიან, როგორც დიდკაცს), არამედ **სიმართლე.**

და თუ თქვენ არ მოისურვებთ ღია თვალებით განჭვრიტოთ მთელი კომსიცრუე და შეხედოთ ამ სიმართლეს, მაშინ თქვენ დავაჟკაცებისას ბიუროკრატიული სიცრუის წუმპეში დ ა ღ უ პ უ ლ ი კაცი ყოფილხართ. აი ეს არასასიამოვნო ჭეშმარიტებაა, მაგრამ ჭეშმარიტებაა.

ან ვეძებოთ და **ნელა** ვიპოვოთ (ასჯერ გამოცდისა და შემოწმების გზით) ისეთი **ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი,** რომლებსაც უნარი შესწევთ სახელმწიფო ბანკის სახელით მოაწყონ ვაჭრობა, შეამოწმონ ვაჭრობა, წაახალისონ საქმიანი ვაჭრები, **დავხუროთ** ვითომდა სავაჭრო, ნამდვილად კი ბიუროკრატიულ-კომუნისტური სავაჭრო და საფაბრიკო «პოტიომკინური სოფლები», — ანდა მთელი სახელმწიფო ბანკი და მთელი მისი მუშაობა=ნოლი, ნოლზე უარესი, ახალი ბიუროკრატიული ჩხარუნათი თავისი ცთუნება.

და ვიდრე თქვენ საქმით, შემოწმებული გამოცდილებით არ დამიმტკიცებთ, რომ სახელმწიფო ბანკი **უკვე პოულობს** ასეთ ადამიანებს, ინსპექტორებს, აგენტებს და სხვ., მანამდე ალაპარაკოც არაფერია: ერთ სიტყვასაც არ დავიჯერებ.

გთხოვთ არ გაჯავრდეთ გულახდილობისათვის.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წ. 28 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1949 წელს ჟურნალ «ბოლშევიკში» № 1

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ვ. ა. ტიხომიროვს[637]

პირები ამხ. მოლოტოვს, ციურუპას

ამხ. ტიხომიროვ!

ჩემი აზრით, არავითარი ცვლილება არ არის საჭირო.

კოოპერაცია კი არ უნდა შევუგუოთ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, არამედ ახალი ეკონომიური პოლიტიკა კოოპერაციას.

პროფკავშირებთან პარალელი სწორი არ არის, ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს იქნებოდა საბჭოებთან პარალელი.

დარჩეს წინანდელი წყობა. მთელი ყურადღება და მთელი ძალები წარიმართოს ადამიანთა შერჩევისაკენ (ეს ჩვენში ცუდადაა) და კერძო ვაჭრობის დაძლევისაკენ.

ყველაფერი აქეთკენ.

არავითარი გარდაქმნა.

არის თუ არა პრაქტიკული წარმატებანი? ვშიშობ, რომ არ არის.

ბრუნვა IX — 1
X — 3
XI — 6
XII — 10 მილიონი ომამდელი მანეთი?

ხოლო 1922 წ. — I?

ხარჯების %? სუსტდება თუ მტკიცდება ადგილობრივი კოოპერაცია.

კომუნისტური სალამით.

ლენინი

დაწერილია 1922 წ. 1 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1927 წლის 6 — 7 ნოემბერს გაზეთ «კოოპერატივნაია ჟიზნში» № 255

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვს

19. III.

ამხ. სტეპანოვ!

ახლა დავამთავრე თქვენი წიგნის[638] 160 გვერდის გადასინჯვა.

რამდენიც გაშმაგებით (თვით უცენზურობამდე) გაგინეთ იმისათვის, რომ თქვენ ახლა შეგიძლიათ თვეები მოანდომოთ კუნოვის[639] გაბათილებას, იმდენად აღტაცებული ვარ ამ წიგნით. აი ეს საქმეა! აი ეს ნიმუშია იმისა, როგორ უნდა ვასწავლოთ რუს ველურს **ანბანიდან**, მაგრამ ვასწავლოთ არა «ნახევარმეცნიერება», არამედ **მთელი მეცნიერება.**

დაწერეთ კიდევ (ჯერ დაისვენეთ **როგორც საჭიროა**) ასეთივე ტომი რელიგიის ისტორიიდან და **ყოველგვარი** რელიგიის **წინააღმდეგ** (მათ შორის კანტიანური და სხვა დახვეწილ-იდეალისტური თუ დახვეწილ-აგნოსტიკური რელიგიის წინააღმდეგ), ამასთან მოგვეცით ათეიზმის ისტორიისა და ბურჟუაზიასთან ეკლესიის **კავშირის** მასალების მიმოხილვა.

ერთხელ კიდევ: სალამი და მოლოცვა საუცხოო წარმატების გამო.

თქვენი ლენინი

P. S. 97-ე გვერდზე ვერ არის კარგად. რესპონდეკმა არივდარია[640]. გირჩევთ აიღოთ პირველწყარო და შეუკვეთოთ შემოწმება. ამასთან გიგზავნით წერილს პოპოვისადმი (შეგიძლიათ გაგზავნოთ ჩემი მდივნის მეშვეობით).

P. P. S. წინასიტყვაობას[641] ვუგზავნი მდივანს.

დაწერილია 1922 წ. 19 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 10 (93)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

1922 წ. 27. III. წარმოთქმული სიტყვის გეგმა [642]

1. გ ე ნ უ ი ს შესახებ მოკლედ განმეორდეს ის, რაც ვთქვი 1922. წ. 6. III [643].

(+ დელეგაცია შედგენილია — დირექტივები არაერთხელ და ორხელ იქნა გულდასმით განხილული. — «**ჩვენ მზად ვართ**»).

2. ნ ე პ ი. ამ «საკითხის» მთავარი პუნქტები:
(ა) გლეხურ ეკონომიკასთან «კავშირის» შემოწმება.
3. (ბ) შემოწმება სახელმწიფოებრივი და კაპიტალისტური საწარმოებისა შეჯიბრებით (როგორც ს ა ვ ა ჭ რ ო, ისე ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო, როგორც რ უ ს ე თ ი ს, ისე ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ ი ს საწარმოებისა).
4. (გ) «სახელმწიფო კაპიტალიზმი». სქოლასტიკური versus * ამ სიტყვის რევოლუციური და პრაქტიკული მნიშვნელობა.

((ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი. სახელმწიფო, — ეს «**ჩ ვ ე ნ**» ვართ)).

5. (დ) უკანდახევის შეჩერება. არა იმ აზრით, რომ «უკვე ვისწავლეთ», არამედ იმ აზრით, რომ: ნუ ნერვიულობ, ნუ თხზავ, არამედ **ახლანდელ ნიადაგზე** ისწავლე,

დაზვერვა მოხდენილია. **შერეული საზოგადოებანი.**

* — მიმართ, წინააღმდეგ. რ ე დ.

«ძალთა გადაჯგუფება და მომზადება»=დღის ლოზუნგი. **კერძოსამეურნეო კაპიტალზე** შეტევის მომზადება=ლოზუნგი.

6. «ევოლუცია თუ ტაქტიკა»? უსტრიალოვი «სმენა ვეხში»[644]: «საამო კომსიცრუეზე» უფრო სასარგებლოა.

7. ვინ გაიმარჯვებს? რა გვაკლია? კულტურულობა, მ ა რ თ ვ ი ს უ ნ ა რ ი (მათ შორის სახვაჭრობის წარმოების უნარი).

8. **ტოდორსკი, გვ. 62, ხაზი გაესვას**[645]. უკვე 1918. X-ში!

(შდრ. დამპყრობელი და დაპყრობილი: ვინაა უფრო კულტურული? მოსკოვის 4700 პასუხისმგებელი კომუნისტი და მოსკოვის ბიუროკრატია).

ო რ ი ტ ი პ ი უ რ ი მ ა გ ა ლ ი თ ი:

9. მაგალითი № 1: მსს ებრძვის სვსკ ბიუროკრატიზმს[646].

«თეთრი ძროხის ასლი»[647]. **რა აკლდათ «მათ»** (უკრასიზნოდ და უკამენევოდ)? კ უ ლ ტ უ რ უ ლ ო ბ ა.

(მსს **«საქმის» მახალები** versus სვსკ).

10. მაგალითი № 2: როგორ გ ა დ ა ა მ ლ ა შ ი ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ტ ო რ ო ბ ა შ ი «მან» და («მათ») (დონბასში).

(აქ იყო მართვის **ა რ ა ს რ უ ლ ი უ ნ ა რ ი** + ერთგვარი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი შეცდომა).

11. «სახელმწიფო ტრესტები»: მაგალითი... მომავალი წლისათვის!

(კომუნისტების **როლი: ც უ დ ნ ი ა რ ი ა ნ!**)

12. დასკვნა: ჩვენ სავსებით საკმაო საშუალებები გვაქვს **ნ ე პ შ ი** გა-

მარჯვებისათვის: პოლიტიკურიცა
და ეკონომიურიც. საკითხი **«მხო-
ლოდ»** კ ულ ტ ურ ულ ო ბ ა ა!

13. თეთრგვარდიელები (მათ შორის
მ ენ შ ე ვ ი კ ებ ი და ე ს ერ ე-
ბ ი და კომპ.) ამაში რ ა ღ ა ც თა-
ვიანთთვის სასარგებლოს ხედა-
ვენ! ამაოდ! მოთავებულისა და
მოუთავებელის მიმოხილვა მე-
ტად სასარგებლოა:

(α) ორგანიზებული **დემოკრატიული** რევოლუციაო — ამ-
ბობენ ისინი! მათ **წინააღმდეგ** (400 წლის ხაგავი 4 წელში!).

(β) ომისაგან თავის დაღწევა: რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი **თავის**
დაღწევა რეაქციული ომისაგან. მათთან კი?

(γ) საბჭოთა სახელმწიფო. **პირველი** მსოფლიოში. **ახალი**
ეპოქა: პირველ ორთქლმავალზე უარესი!!

სამი ხელშეუვალია.

მეოთხე, და მთავარი, მოუთავებელია: **სოციალიხტური-
ეკონომიკის საძირკველი.** მრავალჯერ **გადაკეთდეს.**

14. რომელ «ჯაჭვის რგოლს» უნდა
ჩავჭიდოთ ახლა ხელი?
1917 — ომისაგან თავის დაღწევა.
1918 — საბჭოთა სახელმწიფო
versus დამფუძნებელი
კრება.
1919 და 1920—შემოსევის უკუ-
გდება.
1921: ეკონომიური მიდგომა
გლეხობისადმი. **ეკონო-
მიური** პ ო ლ ი ტ ი კ ი ს
ძებნა.
1922: თ ა ვ ი დ ა თ ა ვ ი ა არა
დაწესებულებები, არა ხელახა-
ლი ორგანიზება, არა ახალი დე-

კრეტები, არამედ ადამიანები და შესრულების შემოწმება. ადამიანთა შერჩევა და შესრულების შემოწმება. სამი (3) პირობით:

(α) თუ ინტერვენცია არ არის. მენშევიკებისა და ესერების მიმართ: დახვრეტა პოლიტიკური წინააღმდეგობისათვის.

(β) არც ისე ძლიერი ფინანსური კრიზისი.
(არც ისე ძლიერი? სახელმწიფო ტრესტების წმენდა).

(γ) არ დავუშვათ პოლიტიკური შეცდომები.

15. «მომენტის ღერძი» (ჯაჭვის რგოლი)=გათიშვა დასახული ამოცანების სიდიადესა და არა მარტო მატერიალური, არამედ აგრეთვე **კულტურულ** სიღატაკეს შორის.

16. მასების სათავეში უნდა ვიყოთ, თორემ ჩვენ წვეთი ვართ ზღვაში. «დეკრეტებით პროპაგანდის ხანამ» განვლო. მასები გაიგებენ და დააფასებენ **მხოლოდ** საქმიან პრაქტიკულ მუშაობას, **პრაქტიკულ წარმატებას** სამეურნეო და კულტურულ მუშაობაში.

ΣΣ *=ადამიანთა შერჩევა და შესრულების შემოწმება!

* — Summa summarum — **საერთო დასკვნა. რ ე დ.**

დამატებანი:

1. პარტია versus საბჭოთა ორგანოები. (გავათავისუფლოთ წვრილმანებისაგან. ავამაღლოთ საბჭოთა მუშაკების პასუხისმგებლობა).
2. სრ რუსეთის ცაკი? სესიები უფრო მეტ ხანს. უფრო გულდასმით განხილვა. უფრო საფუძვლიანი შემოწმება.
3. სახკომსაბჭო და შრომისა და თავდაცვის საბჭო.
   ჩემი მოადგილენი (რიკოვი და ვილჰელმ II სარგებლობა).
   მიწერ-მოწერა 1922 წ. 1 იანვრიდან. შესრულების შემოწმება, გაბეჯითება, **წმენდა ზემოდან.**
4. სახკომსაბჭო. ავამაღლოთ ავტორიტეტი, გავათავისუფლოთ წვრილმანებისაგან.
5. შრომისა და თავდაცვის საბჭო. საოლქო ეკონომიური თათბირების მუშაობის განვითარება და გაფართოება.
6. მცირე სახკომსაბჭო. აგრეთვე გავანთავისუფლოთ წვრილმანებისაგან.
   დირექტივების პროექტი (ცკ დავალებით) შეტანილი იქნება.

დაწერილია 1922 წ. 27 მარტამდე

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ჟურნალ «ბოლშევიკში» № 4

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დ. ი. კურსკის

სრ. საიდუმლოდ

იუსტიციის სახალხო კომისარიატს, ამხ. კურსკის
პირი — ამხ. კრილენკოს

ჩემი დავალებით ყოფილი მოსკოვის საგანგებო კომისიის მიერ დაწყებული იყო სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებასა და გამოგონებათა საქმეების კომიტეტში გამეფებული დანაშაულებრივი დაუდევრობის, გაჯანჯლებისა და უმოქმედობის საქმის გამოძიება.

ძიების შედეგები წარედგინა მოსკოვის რევტრიბუნალს, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ არსებითად განეხილა ეს საქმე, გამოევლინა და დაესაჯა დამნაშავენი (ამ დაწესებულებებში რომ საკმაო რაოდენობით მოიპოვებიან სწავლული ცუღლუტები, უქნარები და სხვა არამზადები, ეს არაერთხელ ყოფილა აღნიშნული პრესაში, ამხ. სოსნოვსკისა და სხვების სტატიებში) — უაღრესად მფარველურად მოეპყრო ბრალდებულთ, გაასამართლა უბრალმდებლოდ, ბოლოს და ბოლოს დაუმტკიცებლად ცნო ბრალდება და ყველა დამნაშავე გაამართლა.

ახლა მე მაცნობეს, რომ სახპოლიტსამმართველოს მოსკოვის საგუბერნიო განყოფილებას გაუსაჩივრებია მოსკოვის რევტრიბუნალის გადაწყვეტილება იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლო კონტროლის განყოფილებაში. ვთხოვთ პირადად გაეცნოთ ამ საქმეს, განსაკუთრებული

ყურადღებით მოეპყროთ მას, სცადოთ მუშგლეხინთან ერთად შეაგროვოთ დამატებითი მასალები, ამ დაწესებულებათა საქმიანობის შესახებ, თუ საჭიროა, დანიშნოთ ამხ. ავანესოვთან შეთანხმებით რევიზია არა მოხელეებისა და დოყლაპიებისაგან, არამედ ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც მართლაც შეძლებენ ჯეროვნად მოახდინონ რევიზია, მოიპოვონ საჭირო მასალები და აღმოაჩინონ დამნაშავენი. საჭიროა რევტრიბუნალში მოეწყოს პოლიტიკური პროცესი (ამასთან პრესისათვის მოიწვიონ ამხ. სოსნოვსკი), რომელიც სათანადოდ გადაბერტყავდა ამ «მეცნიერულ» ჭაობს.

წინადადებას ვიძლევი, რომ მოსკოვის რევტრიბუნალს ხელის დაფარებისათვის და საქმისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულებისათვის სასტიკი საყვედური გამოეცხადოს.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1922 წ. 31 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1931 წ. 21 იანვარს გაზეთ «პრავდაში» № 21

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

ნ. ოსინსკის

1) «პრავდის» რედაქციას
პირები 2) ამხ. სტეკლოვს
3) რიკოვსა და ციურუპას

1922. 12. IV.

ამხ. ოსინსკი!

დიდად მივესალმები დღევანდელ «პრავდაში» მოთავსებულ თქვენს სტატიას: «ადგილობრივი გამოცდილების ახალი მონაცემები». ჩვენ ყველაზე მეტად სწორედ ასეთი სტატიები გვაკლია, და ვფიქრობ, საჭიროა ყოველ სახალხო კომისარიატში «გავიჩინოთ» თითო პუბლიცისტი (რომელიც ყველაზე ახლოს იქნება დაკავშირებული სახალხო კომისარიატისა და სახალხო კომისრის მუშაობასთან) ასეთ მიმოხილვათა შესადგენად.

ყველაზე ცუდი ჩვენში ის არის, რომ მეტისმეტად მოჭარბებულია ზოგადი მსჯელობა პრესაში და პოლიტიკური ლაქლაქი მაშინ, როცა ძალიან ნაკლებად შ ე ვ ი ს წ ა ვ ლ ი თ ხოლმე ადგილობრივ გამოცდილებას. ადგილებზეც და ზემოთაც მძლავრი ტენდენციები იბრძვიან ამ გამოცდილების მართლად გამოვლინებისა და მართლად შეფასების წინააღმდეგ. ეშინიათ იმისა, რომ ქოხიდან ნაგავი გაიტანონ, ეშინიათ აშკარა სიმართლისა, გვერდს უვლიან მას «რაღაცაზე შეხედულებით», პირდაპირ რომ ვთქვათ, ქარაფშუტობით...

კიდევ და კიდევ უფრო კონკრეტულად შევისწავლოთ ადგილობრივი გამოცდილება, დეტალები, წვრილმანები,

იქნებ, კრესტინსკის[651] მეშვეობით შეძლებთ მიიღოთ ზოგიერთი გამოუქვეყნებელი მასალა? ან ნორვეგიაში მყოფი ელჩის მეშვეობით.

ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა გამოვიმუშავოთ კანცელარული მუშაობის ღრმა ნორმალიზაცია, და შემდეგ ყველგან გამოვიყენოთ იგი. ეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. თუ თქვენ შემთხვევას მოგცემენ, ნახოთ ერთ-ერთი საუკეთესო დაწესებულება გერმანიაში ან ნორვეგიაში, ღირს ერთ კვირას დარჩეთ.

მთავარია: ნორმები (ე. ი. რამდენი კაცია საჭირო ამდენ და ამდენ სამუშაოზე). ჩვენ შემდეგ ავამუშავებთ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსაც.

გთხოვთ, ამ წერილის გამოყენების შემდეგ, გადაუგზავნოთ იგი ა. დ. ციურუპასაც. ვიდრე ის ავადაა, არ მინდა შევაწუხო.

საუკეთესო სალამი.

თქვენი ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ლ. მ. ხინჩუკს

ამხ. ხინჩუკ!

გთხოვთ გამომიგზავნოთ თქვენი ახალი წიგნაკის[652] კორექტურა (პირველი, თუნდაც შეუსწორებელი).

ხომ არ შეიძლებოდა (თუკი ამით გამოცემა არ შეფერხდებოდა: არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეფერხდეს) — ხომ არ შეიძლებოდა დაგემატებინათ ცხრილები ბრუნვის ზრდაზე კვარტალების მიხედვით,

გაყიდვის ადგილების რიცხვზე სოფლად
(და რაიონების მიხედვით),
გაყიდვის ოდენობაზე სოფლად,
ხარჯების %-ზე (ბრუნვის მიმართ),
მოსამსახურეთა რიცხვზე
და მისთ.

საერთოდ მგონია, რომ აუცილებელია გვქონდეს ზუსტი მონაცემები იმის დასახასიათებლად, თუ რა ღრმად, რა ფართოდ და სახელდობრ როგორ იჭრება ბრუნვა სოფელში.

თუ რატომღაც არ შეიძლება დაიბეჭდოს, გთხოვთ მე გამომიგზავნოთ.

კომუნისტური სალამით. ლ ე ნ ი ნ ი.

დაწერილია 1922 წ. 12 სექტემბრამდე

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალში «სოიუზ პოტრებიტელეი» № 5

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

კომინტერნის IV კონგრესზე წარმოთქმული სიტყვის გეგმა[653]

1. არა მომხსენებელი, არამედ კამათის მოკლე შესავალი (ავადმყოფობა და ა. შ.)[654].
2. თემა: ახალი ეკონომიური პოლიტიკა შემოწმებულია გამოცდილებით? სასარგებლოდ (გამოცდილებისა) თუ წინააღმდეგ?
3. «სახელმწიფო კაპიტალიზმის» საკითხი ჯერ კიდევ 1918 წელს იქნა აღძრული.
4. ციტატი ბროშურიდან[655]. Seite* 5 **«სახელმწიფო კაპიტალიზმი პროგრესი იქნებოდა».**
5. ციტატი: რუსეთის ეკონომიკის «5 ელემენტი».
6. ციტატი: რომელი ელემენტი სჭარბობს?[656]
7. რაშია ახალი ეკონომიური პოლიტიკის გეგმა თუ იდეა თუ არსი?

   α) მიწის შენარჩუნება სახელმწიფოს ხელში.

   β) ასევე ყველა მბრძანებელი მწვერვალი წარმოების **საშუალებათა** დარგში (**ტრანსპორტი** და ა. შ.)

   γ) ვაჭრობის თავისუფლება წვრილი წარმოების დარგში

   δ) სახელმწიფო კაპიტალიზმი კერძო კაპიტალის მოზიდვის აზრით (კონცესიებიც და შერეული საზოგადოებებიც).

---

* — გვერდი. რედ.

8. შედეგად ეს იძლევა: 1 9 1 8 უზრუნველყოფილ იქნა უკანდახევა.
9. 5 წელია ჩვენ მარტონი ვართ; რევოლუციები სხვა ქვეყნებში ჯერ კიდევ არ არის;
ომი და შიმშილი. დავიღუპოთ?
10. ცოტაოდენი უ კ ა ნ დ ა ვ ი ხ ი ო თ. უკან დავიხიეთ. შ ე დ ე გ ი?
11. 1921 * გაზაფხულზე — 1922 წ. შემოდგომამდე. როგორია შედეგები?
12. მ ა ნ ე თ ი. მისი სტაბილიზაცია<1921 წ. 3 თვე
>**1922** წ. 5 »
ჩვენ სულს ვითქვამთ, მარტონი, დაუხმარებლად. (კვადრილიონი? დიახ, მაგრამ ამოშლას დიდი დრო არ დასჭირდება).
13. გლეხობა? **სასურსათო გადასახადი (წარმატებით** შეგროვება; ასეული მილიონები).
14. მსუბუქი ინდუსტრია? ს ა ე რ თ ო ა ღ მ ა ვ ლ ო ბ ა.
15. მძიმე ინდუსტრია?
ძალიან მძიმე მდგომარეობაა.
გარდატეხა 1921 — 22 უკეთესისაკენ, მაგრამ ძალიან მცირე. (ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ბ ა ნ კ ი ს შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი: 20 მ ი ლ. ო ქ რ ო თ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა).
16. დასკვნა: მაშასადამე, წარმატება შესაძლებელია, წარმატება გ ვ ა ქ ვ ს.
სისტემა არა ნებისმიერი, არა აბნეულ-დაბნეული, პრაქტიკულად ნაცადია.
ჩ ვ ე ნ მ ა რ ტ ო ნ ი ვ ა რ თ, ს უ ლ ს ვ ი თ ქ ვ ა მ თ ს ხ ვ ი ს დ ა უ ხ მ ა რ ე ბ ლ ა დ.
17. სიძნელეები **ძალიან დიდია, კიდევ რამდენიმე წელს.**
უამრავი სისულელე, დიახ. გზის სიახლე.
არავითარი დახმარება, პირიქით.
უ ც ხ ო ა პ ა რ ა ტ ი.

---

* ხელნაწერში წერის შეცდომაა: «1911». რ ე დ.

ჩვენი სისულელენი 2×2=5.
«მათი» სისულელენი 2×2=კარტოფილის სანთელი.

1) **კოლჩაკი**
2) ვერსალის **ზავი**

18. ამიტომ
პერსპექტივები საუცხოოა.
და კიდევ უკეთესი იქნება, თუ
ჩვენც შემდეგ ხუთწლედში **უმთავრესად** დავაწვებით სწავლას
და კომუნისტურ ინტერნაციონალს,
ვინაიდან რეზოლუცია პარტიების ორგანიზაციული აგებულების შესახებ (1921) **არ არის შესრულებული**[657]
პერსპექტივები
უფრო უკეთესი იქნება.

სიტყვა 22.13.XI **კომინტერნის კონგრესზე**	სახელწოდება: «კომუნისტური პარტიების ორგანიზაციული მშენებლობის შესახებ». «მათი მუშაობის მეთოდებისა და შინაარსის შესახებ». Organisatorischer Aufbau der kommunistischen Parteien. Methoden und Inhalt ihrer Arbeit.

დაწერილია 1922 წ. 13 ნოემბრამდე

პირველად დაიბეჭდა 1926 წ. 21 იანვარს გაზეთ «პრავდაში» № 17

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობაზე წარმოუთქმელი სიტყვის კონსპექტი[658]

1. 5 წლის იუბილე (ვლადივოსტოკი).

2. სამოქალაქო ომმა შეადუღაბა მუშათა კლასი და გლეხობა, ეს კი უძლეველი ძალის საწინდარია.

3. სამოქალაქო ომმა გვასწავლა და გამოგვაწრთო (დენიკინი და სხვები კარგი მასწავლებლები არიან; სერიოზულად გვასწავლიდნენ; ყველა ჩვენი საუკეთესო მუშაკი არმიაში იყო).

3. *bis*:... 3 *bis**: **დიპლომატია** (NB). აპარატის შექმნა უფრო ადვილია

4. გასული წლის შიმშილიც **დავძლიეთ.**

5. ეხლა მთლიანად **ეკონომიკას** დავაწვეთ: როგორ (NB) **მივუდგეთ** სოციალიზმს.

6. მხოლოდ ახალი ეკონომიური პოლიტიკის მეშვეობით.

7. შემოწმება წლის განმავლობაში?

8. ფინანსები. **მცირე** ნაბიჯი წინ.

9. კრიცმანი, 1920 — 16%. 21 — 50%. 22 — 60%[659].

10. ვაჭრობის ზრდა, როგორც საშინაოს,

11. — — ისე საგარეოს.

12. — შერეული საზოგადოებანი: **სწავლება.**

13. მრეწველობა: მსუბუქი ინდუსტრია **უმჯობესდება.**

* — ხელმეორედ. რედ.

14. — — — მძიმე ძ ნ ე ლ ა დ, მაგრამ არა უიმედოდ. აერის მცირე ნაბიჯი წინ.

15. **ცენტროკავშირი:** მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა.

16. სახელმწიფო აპარატი საერთოდ: **ძ ა ლ ი ა ნ ც უ დ ი ა;** ბ ურ ჟ უ ა ზ ი ულ კ ულ ტ ურ ა ზ ე დ ა ბ ა ლ ი ა.

(«შეგვეშინდა» 1917 წელს, XI); სწორედ **მ თ ე ლ ი** კულტურის საკითხი, მის ა მ ა ღ ლ ე ბ ა ს კ ი წ ლ ე ბ ი ს ჭ ი რ დ ე ბ ა.

NB

17. ასეული ათასობით მოსამსახურე სახელმწიფო აპარატში. **გადიდება.**
18. 1922 (X—XI) აღწერა.
19. მისი შედეგები.
20. კინის სტატია [660].

21. **არა** გადაკეთება, **არამედ გადაადგილება** და **შემცირება.**

22. **მრავალი** წლის **სამუშაო:** (ჩვენ მარტონი ვართ, ჩვენ ვეზიდებით, საჭიროა კი **ჩვენ გვეზიდებოდნენ).**

23. უფრო სწრაფად (1917 — 22).

უფრო ნელა (1922 — 27??). («ლოზუნგი»).

24. ქალაქის უჯრედების შეფობა სოფლის უჯრედებზე და v i c e v e r s a*

ხ შ ი რ ა დ: ჩვენ კი არ გვეკუთვნის ეს აპარატი, არამედ ჩვენ ვეკუთვნით მას!!

ნ ე დ ლ ე უ ლ ი თ და დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ი თ მ ო მ ა რ ა გ ე ბ ა შ ე მ დ ე გ ი წ ლ ი ს ა თ ვ ი ს! NB (საფრთხე).

დაწერილია 1922 წ. დეკემბრის
პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1925 წლის
27 სექტემბერს
გაზეთ «პრავდაში» № 221

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — პირიქით. რ ე დ.

ლ. მ. ხინჩუკს

ამხ. ხინჩუკ!

გადავწყვიტე გამოგიგზავნოთ ბროშურა, რათა არ შევავერხო, გთხოვთ გვერდებად შეკრული ერთხელ კიდევ გამომიგზავნოთ.

ხომ არ შეიძლება დავუმატოთ

1) დაწვრილებით აპარატის შემცირების შესახებ? სამსახურის სახეობათა მიხედვით?

2) იგივე ნორმალიზაციის შესახებ?

(ამბობენ, თქვენ გაქვთ განყოფილება)

3) იგივე მონაცემების (საერთოდ ყველა მონაცემის) შედარების შესახებ კვარტალების მიხედვით?

4) იგივე რამდენ თემში (და %) და რამდენ სოფელში (და % ყველა სოფლის მიმართ) არის გაყიდვის პუნქტები?

5) ჩაის ფასი? მცირე ხომ არ არის? გესმით თუ არა, რომ ეს ფუფუნების საგანია? როგორ განვსაზღვროთ ჩაის ფასის დასაშვები maximum?

6) პროდუქტების გაყოფა აუცილებელ და ფუფუნების საგნებად.

7) სასოფლო-სამეურნეო იარაღთა და მათ შორის გაუმჯობესებულ იარაღთა გაყიდვა? მათი პროპაგანდის ღონისძიებანი?

კომუნისტური სალამით.

ლენინი

P. S. ბროშურა ძალიან კარგია.

დაწერილია 1922 წლის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალში «სოიუზ პოტრებიტელეი» № 5

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

1922 — 1923 წწ.

წერილი ყრილოგბისადმი [661]

სახელმწიფო საგეგმო კომისიისათვის საკანონმდებლო ფუნქციების მინიჭების შესახებ

ეროვნებათა საკითხისათვის ანუ «ავტონომიზაციის» შესახებ

ნაკარნახევია 1922 წ. დეკემბერში
1923 წ. იანვარში

დაიბეჭდა 1956 წ. ჟურნალ «კომ-
მუნისტში» № 9 და ცალკე
ბროშურად

-ბეჭდება სტენოგრაფიული
ჩანაწერის მიხედვით

VII

ჩანაწერების გაგრძელება
1922 წ. 29 დეკ.

(ცენტრალური კომიტეტის წევრთა რიცხვის გადიდების შესახებ განყოფილებისათვის)

ცენტრალური კომიტეტის წევრთა რიცხვის გადიდებისას საჭიროა, ჩემი აზრით, ხელი მოვკიდოთ აგრეთვე და, შეიძლება ითქვას, უმთავრესად, იმას, რომ შევამოწმოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი აპარატი, რომელიც არაფრად არ ვარგა. ამ მიზნით ჩვენ უნდა ვისარგებლოთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების სამსახურით, და ამ სპეციალისტთა შერჩევის ამოცანა მუშგლეხინის ამოცანა უნდა იყოს.

თუ როგორ უნდა შევახამოთ ეს შემოწმების სპეციალისტები, რომლებსაც საკმაო ცოდნა აქვთ, და ცენტრალური კომიტეტის ეს ახალი წევრები, — ეს ამოცანა პრაქტიკულად უნდა გადაწყდეს.

მე მგონია, რომ მუშგლეხინმა (თავის განვითარების შედეგად და ამ განვითარების გამო ჩვენი შეშფოთების შედეგად) ბოლოს მოგვცა ის, რასაც ჩვენ ახლა ვხედავთ, ს ხელდობრ, გარდამავალი მდგომარეობა განსაკუთრებული სახალხო კომისარიატიდან ცენტრალური კომიტეტის წევრთა განსაკუთრებული ფუნქციისაკენ; დაწესებულებიდან, რომელიც ყოველივესა და ყველაფერს **რევიზიას უწევს, რიცხობრივად** მცირე, მაგრამ პირველხარისხოვანი რევიზორების ერთობლიობისაკენ, რომლებსაც კარგი გასამრჯელო უნდა ეძლეოდეთ (ეს განსაკუთრებით აუცილებელია ჩვენს დროში, როცა ყველაფერი ნაზღაურდება, და იმ პირობებში, როცა

შენიშვნები

1 ვ. ი. ლენინის წერილი შეფასებაა მისთვის ი. მ. სტეკლოვის მიერ გამოგზავნილი დ. ბ. რიაზანოვის სტატიისა «შენიშვნები «რაბოჩეე დელოს» პროგრამის გამო». სტატია შემდეგ დაიბეჭდა ჟურნალ «ზარიას» № 1-ში, 1901 წლის აპრილს.

«რაბოჩეე დელოს» პროგრამა («რედაქციისაგან») დაიბეჭდა ჟურნალ «რაბოჩეე დელოს» 1899 წლის აპრილის № 1-ში და იმავე წელს გამოიცა ცალკეულ ამონაბეჭდად სათაურით: «რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირის პერიოდული ორგანოს «რაბოჩეე დელოს» პროგრამა».

«რ ა ბ ო ჩ ე ე დ ე ლ ო» — «ეკონომისტების» ჟურნალი, «საზღვარგარეთელი რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირის» ორგანო; გამოდიოდა ჟენევაში 1899 წლის აპრილიდან 1902 წლის თებერვლამდე ბ. ნ. კრიჩევსკის, ა. ს. მარტინოვისა და ვ. პ. ივანშინის რედაქციით.

«რაბოჩეედელოელების» შეხედულებათა კრიტიკა მოცემულია ლენინის წიგნში «რა ვაკეთოთ?» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 5, გვ. 431 — 673).— 1.

2 ვ. ი. ლენინის შენიშვნების ეს მე-2 პუნქტი შეიცავს რიაზანოვის სტატიის პლუსების (+ +), დადებითი მხარეების, კონსპექტურ ნუსხას. — 1.

3 ბ-ნ გ რ ი შ ი ნ ი ს «ჯ ე ე ლ ე ბ ი» — პლეხანოვის გამოთქმა, რომელიც მან იხმარა პოსტსკრიპტუმში, რაც დართული აქვს მის გამოცემას: «სოციალ-დემოკრატის უბის წიგნაკიდან», ფურცელი პირველი, ჟენევა, 1900, გვ. 6 (იხ. გ. ვ. პლეხანოვი. თხზულებანი, ტ. XII, 1924, გვ. 59).

გ რ ი შ ი ნ ი — ბუნდის საზღვარგარეთელი წარმომადგენლის, «საზღვარგარეთელი რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირის» მოღვაწის, ც. კოპელზონის პარტიული მეტსახელი. — 2.

4 ვ. ი. ლენინის ხელნაწერში ტექსტის ნაწილი — სიტყვებიდან: «ზედმეტი — ზუსტი თეორიული თვალსაზრისით» და სიტყვებამდე: «შემდეგ, უფრო კერძო შენიშვნები» — უფრო გვიან წაშლილია ფანქრით. — 3.

5 «სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის «შრომის განთავისუფლების» პროგრამა» დაწერილია პლეხანოვის მიერ და გამოიცა ჟენევაში 1884 წელს (ლენინს წლის აღნიშვნაში წერის შეცდომა აქვს).

ლენინს მხედველობაში აქვს ამ პროგრამის უკანასკნელი, დასკვნითი აბზაცი (იხ. გ. ვ. პლეხანოვი. თხზულებანი, ტ. II, 1923, გვ. 362), რომელიც «რუსი სოციალ-დემოკრატების პროგრამის მეორე პროექტში» (1888 წლის გამოცემა) გადამუშავებულ იქნა პროექტის ბოლოში დართულ განსაკუთრებულ შენიშვნად (იხ. იქვე, გვ. 404).—4.

6 K. Marx. «Der achtzehnte Brumaire des Louis Bonaparte» (კ. მარქსი, «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა» — იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 371 — 380). — 4.

7 ბელრივი — დაბა ჟენევიდან რამდენიმე კილომეტრზე. 1900 წლის აგვისტოს დამდეგს ბელრივში გაიმართა თათბირი ვ. ი. ლენინის, გ. ვ. პლეხანოვის, ა. ნ. პოტრესოვის, ნ. ე. ბაუმანის, ვ. ი. ზასულიჩისა და ი. მ. სტეკლოვის მონაწილეობით «ისკრისა» და «ზარიას» პროგრამის საკითხზე. — 4.

8 ადრესატი არ არის დადგენილი. — 5.

9 «რევოლუციური ორგანიზაცია «სოციალ-დემოკრატი»» წარმოიშვა 1900 წლის მაისში, მას შემდეგ, რაც «საზღვარგარეთელი რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირი» გაითიშა თავის II ყრილობაზე (1900 წლის აპრილს ჟენევაში). ორგანიზაციამ რამდენიმე ბროშურა გამოუშვა. 1901 წლის ოქტომბერში იგი «ისკრა»— «ზარიას» საზღვარგარეთულ განყოფილებასთან ერთად შეერიდა ახლადშექმნილ «რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთულ ლიგაში». — 5.

10 ლაპარაკია პირველი საერთო-რუსული არალეგალური მარქსისტული გაზეთის «ისკრის» და მარქსისტული სამეცნიერო-პოლიტიკური ჟურნალის «ზარიას» შექმნაზე. — 5.

11 ლიტერატურული ჯგუფი ვ. ი. ლენინის, ლ. მარტოვისა და ა. ნ. პოტრესოვის შემადგენლობით შეიქმნა ლენინის ინიციატივით, გადასახლებიდან მისი დაბრუნების შემდეგ, 1900 წლის დასაწყისში. ლიტერატურული ჯგუფის ძირითადი ამოცანები და მოღვაწეობის გეგმა ის იყო, რომ შეექმნათ საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთი და გაეერთიანებინათ მის გარშემო საუკეთესო სოციალ-დემოკრატიული ძალები. — 5.

12 «საზღვარგარეთელი რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირი» დაარსდა 1894 წელს ჟენევაში «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის ინიციატივით. მას ჰქონდა თავისი სტამბა, რომელშიც ბეჭდავდა რევოლუციურ ლიტერატურას, სცემდა ჟურნალ «რაბოტნიკს». დასაწყისში «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი ხელმძღვანელობდა «კავშირს» და რედაქციას უკეთებდა მიაგამოცემებს. შემდგომ «კავშირში» უმეტესობა მოიპოვეს ოპორტუნისტულმა ელემენტებმა («ახალგაზრდებმა» — «ეკონომისტებმა»). 1898 წლის ნოემბერში «კავშირის» პირველ ყრილობაზე «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა უარი თქვა მის გამოცემათა რედაქტირებაზე. საბოლოო გათიშვა და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის გამოსვლა «კავშირიდან» მოხდა 1900 წლის აპრილში «კავშირის» მეორე ყრილობაზე, როდესაც «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა და მისმა თანამოაზრეებმა დატოვეს ყრილობა და შექმნეს დამოუკიდებელი ორგანიზაცია «სოციალ-დემოკრატი». — 5.

13 ლენინს მხედველობაში ჰყავს ა. ი. ელიზაროვა. — 7.

14 «Family Pictures» («ოჯახური სურათები») — ჟურნალი, რომელშიც გადაგზავნილი იყო კორესპონდენციები თუ სტატიები «ისკრისათვის». — 7.

15 «Die Neue Zeit» («ახალი დრო») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჟურნალი; გამოდიოდა შტუტგარტში 1883-დან 1923 წლამდე. 1885 — 1895 წლების მანძილზე «Die Neue Zeit»-ში გამოქვეყნებული იყო ფ. ენგელსის ზოგიერთი სტატია. ის ჟურნალის რედაქციას ხშირად აძლევდა მითითებებს და მკაცრად აკრიტიკებდა მას მარქსიზმისაგან გადახვევებისათვის. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ, ჟურნალი სისტემატურად ბეჭდავდა რევიზიონისტების სტატიებს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914—1918) ჟურნალი ცენტრისტულ, კაუცკიურ პოზიციაზე იდგა, მხარს უჭერდა სოციალ-შოვინისტებს. — 7.

16 პროექტი რედაქციის განცხადებისა გაზეთ «ისკრის» გამოსვლის შესახებ შეადგინა ვ. ი. ლენინმა და მანვე წაიკითხა ფსკოვის თათბირზე (ვ. ი. ლენინი, ლ. მარტოვი, ა. ნ. პოტრესოვი, ს. ი. რადჩენკო) «ლეგალურ მარქსისტებთან» ერთად (პ. ბ. სტრუვე, მ. ი. ტუგან-ბარანოვსკი) 1900 წლის მარტის დამლეს — აპრილის დამდეგს (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 4, გვ. 391 — 404). ეს პროექტი მერე გადაამუშავა ლენინმა მას შემდეგ, რაც ის საზღვარგარეთ ჩავიდა და 1900 წლის აგვისტოში მოეთათბირა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის წევრებს (გ. ვ. პლეხანოვი, პ. ბ. აქსელროდი და ვ. ი. ზასულიჩი). ოქტომბრის პირველ ნახევარში განცხადება დაიბეჭდა ცალკეულ ფურცლად სათაურით: ««ისკრა». რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. რედაქციისაგან» (იხ. იქვე, გვ. 430 — 437).

განცხადების პირვანდელი პროექტისაგან განსხვავებით, რომელშიც ერთსა და იმავე დროს გადმოცემული იყო ორი ორგანოს — გაზეთისა და ჟურნალის პროგრამა, «ისკრის» რედაქციის მიერ გამოცემულ განცხადებაში ლაპარაკი იყო მხოლოდ გაზეთ «ისკრაზე». ჟურნალ «ზარიას» ამოცანების შესახებ გადაწყვიტეს ცალკე დაეწერათ, ჟურნალის პირველ ნომერში. კონსპირაციული მოსაზრებებით გადაწყვიტეს აგრეთვე განცხადება საზღვარგარეთ არ გაევრცელებინათ, ვიდრე იგი რუსეთში არ მოხვდებოდა. — 7.

17 იგულისხმება მარქსისტული სამეცნიერო-პოლიტიკური ჟურნალი **«ზარია»**, რომელსაც სცემდა 1901 — 1902 წლების მანძილზე შტუტგარტში «ისკრის» რედაქცია. «ზარიაში» დაიბეჭდა ლენინის შემდეგი სტატიები: «შემთხვევითი შენიშვნები», «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები», პირველი ოთხი თავი ნაშრომისა «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» (სათაურით «ბბ. «კრიტიკოსები» აგრარულ საკითხში»), «შინაური მიმოხილვა», «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა». სულ გამოვიდა «ზარიას» ოთხი ნომერი — სამი წიგნი: № 1 — 1901 წლის აპრილს (ფაქტიურად № 1 გამოვიდა 23 მარტს ახალი სტილით), № 2—3 — 1901 წლის დეკემბერს, № 4 — 1002 წლის აგვისტოს.

 დ ი ტ ც ი — გერმანელი სოციალ-დემოკრატიული გამომცემელი, რომლის სტამბაშიც, შტუტგარტში, იბეჭდებოდა «ზარია». — 7.

18 ლაპარაკია «ზარიას» ეგრეთწოდებულ პასუხისმგებელ რედაქტორზე, რომლის არსებობას მოითხოვდნენ გერმანიის კანონები პრესის შესახებ. — 7.

19 ლაპარაკია პ. ბ. აქსელროდის სტატიაზე «ვილჰელმ ლიბკნეხტი», რომელიც დაიბეჭდა «ისკრის» № 1-ში, 1900 წლის დეკემბერს; გერმანიის დემოკრატიული და მუშათა მოძრაობის ამ თვალსაჩინო მოღვაწის, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებლისა და ბელადის სიკვდილის გამო (მოკვდა 1900 წლის 7 აგვისტოს). აქსელროდი, გარდა ამ პატარა სტატიისა, რომელიც «ისკრაში» დაიბეჭდა, ამზადებდა კიდევ დიდ სტატიას ლიბკნეხტის შესახებ ჟურნალ «ზარიასთვის». სტატია «ზარიაში» არ გამოსულა. — 8.

20 ზ ა გ ო რ ს კ ა ი ა (ი. გ. სმიდოვიჩ-ლემანი) «ისკრის» რედაქციაში ასრულებდა მდივნის მოვალეობას, ვიდრე ნ. კ. კრუპსკაია 1901 წლის აპრილში ჩამოვიდოდა; შემდეგ რუსეთში მუშაობდა; 1902 წელს დაპატიმრეს კრემენჩუგში; 1903 წელს იანვარში გაიქცა კიევის ჟანდარმთა სამმართველოდან. შემდეგში ზაგორსკაია-სმიდოვიჩი მენშევიკი გახდა. — 9.

21 «პ ა რ ი ზ ე ლ ე ბ ი» (დ. ბ. რიაზანოვი, ი. მ. სტეკლოვი, ე. ლ. გურევიჩი)—საზღვარგარეთული ლიტერატურული ჯგუფის «ბორბას» წარმომადგენლები. ვ. ი. ლენინი მათ «პარიზელებს» უწოდებს იმის გამო, რომ ისინი მაშინ პარიზში იმყოფებოდნენ.

პ ა რ ი ზ ე ლ ე ბ თ ა ნ «ჯ ა ხ ი რ ი», რაზედაც პ. ბ. აქსელროდი თავის წერილში გადაკვრით მიუთითებდა ვ. ი. ლენინს, როგორც ეტყობა, იმას ნიშნავდა, რომ ძნელი იყო მათთან მოლაპარაკება «ისკრაში» მუდმივი თანამშრომლობისათვის მათი მოზიდვის შესახებ, რადგან ისინი რედაქციაში მონაწილეობის პრეტენზიას აცხადებდნენ (იხ. ეს ტომი, გვ. 45 —46, 47 — 48). — 9.

22 ბროშურა «მ ა ი ს ი ს დ ღ ე ე ბ ი ხ ა რ კ ო ვ შ ი» შეადგინა რსდმპ ხარკოვის კომიტეტმა და 1901 წლის იანვარში გამოსცა «ისკრამ»; მიძღვნილია 1900 წლის 1 მაისის დღეს ხარკოველი მუშების მიერ გამართული პირველი მასობრივი დემონსტრაციის აღწერისადმი; გამოვიდა საზღვარგარეთ ვ. ი. ლენინის წინასიტყვაობით (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 4, გვ. 438 — 448). — 9.

23 პ. ბ. აქსელროდის რჩევა, რასაც შეიცავდა მისი 1900 წლის 15 ოქტომბრის წერილი ვ. ი. ლენინისადმი, ეხებოდა რუსეთიდან მიღებული კორესპონდენციების დამუშავებას «ისკრისათვის». იგი წინადადებას იძლეოდა გამოყენებული ყოფილიყო ზოგიერთი კორესპონდენცია სხვა მასალასთან ერთად საშინაო მიმოხილვებისათვის ან მოწინავე სტატიებისათვის (იხ. ლენინის კრებული III. გვ. 66). — 10.

24 ნაგულისხმევია ა. ნ. პოტრესოვი. — **10.**

25 პოლიციას ძალიან აინტერესებდა ვ. ი. ლენინის ადგილსამყოფელი და საერთოდ მთელი ჯგუფი, რომელმაც შემდგომ შეადგინა «ისკრის» რედაქცია. ყანდარმთა მოკვლევის 1901 წლის მიმოხილვაში პირდაპირ აღნიშნულია, რომ ლენინი ცხოვრობს მიუნხენში და მუშაობს «ისკრაში». პოლიციისათვის ცნობილი იყო პოტრესოვის ადგილსამყოფელიც მიუნხენში. ასეთ პირობებში პოტრესოვის გამომგზავრება რუსეთს, რაზედაც ლაპარაკია წერილში, სახიფათო იყო. — **10.**

26 ლაპარაკია «ისკრისა» და «ზარიას» ბეჭდვის შეფერხებაზე. — **10.**

27 «ს ბ, ჯ გ უ ფ ი» — «რ ა ბ ო ჩ ე ე ზ ნ ა მ ი ა ს» ჯ გ უ ფ ი წარმოიშვა 1897 წლის მეორე ნახევარში.

ჯგუფს მკვეთრად უარყოფითი პოზიცია ეკავა «ეკონომიზმის» წინააღმდეგ; თავისი მუშაობის მიზნად იგი მუშებს შორის პოლიტიკურ პროპაგანდას ისახავდა. სცემდა გაზეთ «რაბოჩეე ზნამიას» (გამოვიდა სამი ნომერი); დაბეჭდა რამდენიმე ბროშურა და პროკლამაცია. ამ ჯგუფის მოღვაწენი იყვნენ: ს. ვ. ანდროპოვი, ე. ბ. ნოგინი, მ. ბ. სმირნოვი და სხვ. 1900 წლისათვის, პოლიციური რეპრესიების შედეგად, ჯგუფი გაფანტულ იქნა. ზოგიერთი მისი წევრი რუსეთში დარჩა და მუშაობას განაგრძობდა, ნაწილი კი საზღვარგარეთ გაიხიზნა და იქ განაგრძობდა თავის საგამომცემლო მოღვაწეობას. 1901 წლის იანვარში «რაბოჩეე ზნამიას» პეტერბურგის ჯგუფი შეუერთდა «სოციალისტის» ჯგუფს, მაგრამ გაერთიანებული ჯგუფის მოღვაწენი, რომელნიც რუსეთში იმყოფებოდნენ, იანვარ-აპრილის განმავლობაში დააპატიმრეს. «რაბოჩეე ზნამიას» პეტერბურგის ჯგუფის წევრთა უმრავლესობა «ისკრის» ორგანიზაციაში გადავიდა.

ზემოთ მოხსენებული «თ ქ ვ ე ნ ი ა ხ ლ ო მ ე გ ო ბ ა რ ი» — ეს არის ს. ვ. ანდროპოვი, სოციალ-დემოკრატი, «რაბოჩეე ზნამიას» ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური მუშაკი, შემდეგში ისკრელი, «ისკრის» ერთ-ერთი პირველი აგენტი. — **15.**

28 «გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი მ ო ს ა ზ რ ე ბ ა ნ ი» — წმინდა კონსპირაციული ხასიათისა. დიტცს, რომლის შტუტგარტის სტამბაშიც ჟურნალი «ზარია» იბეჭდებოდა, პოლიციის მხრივ შარის მოდებისა ეშინოდა, თუ გამოირკვეოდა ამ ჟურნალის კავშირი არალეგალურ გაზეთ «ისკრასთან»; სტამბა, სადაც გაზეთი «ისკრა» იბეჭდებოდა, იმ დროს ლაიფციგში იმყოფებოდა. — **15.**

29 «ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს მ უ შ ა თ ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა» — «ეკონომისტების» ორგანიზაცია; წარმოიშვა 1900 წლის ზაფხულში. თავის მოწოდებაში «ყველა ფაბრიკა-ქარხნის მუშებისადმი», რომელიც დაიბეჭდა ეკონომისტთა გაზეთ «რაბოჩაია მისლში» № 9, 1900 წლის სექტემბერს, მოუხმობდა მუშებს შეექმნათ წრეები თავიანთი ბრძოლის პროგრამის შესამუშავებლად და ურთიერთ დახმარებისათვის. 1900 წლის ნოემბერში მუშათა ორგანიზაცია შეუერთდა პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირს», შემუშავებულ იქნა ამ გაერთიანებული ორგანიზაციის პროგრამა და წესდება, რომლებიც დაიბეჭდა გაზეთ «რაბოჩაია მისლში» № 11, 1901 წლის აპრილს.

მას შემდეგ, რაც პეტერბურგის კომიტეტში ისკრელმა მიმართულებამ გაიმარჯვა და ამ კომიტეტმა გაზეთი «ისკრა» და ჟურნალი «ზარია» რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელ ორგანოდ აღიარა, პეტერბურგის ორგანიზაციის ნაწილი, რომელიც «ეკონომიზმის» მომხრეთა გავლენისა და ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებოდა, 1902 წლის სექტემბერში გამოეთიშა პეტერბურგის კომიტეტს და კვლავ გამოიყო დამოუკიდებელ ორგანიზაციად «მუშათა ორგანიზაციის კომიტეტის» სახელწოდებით. იგი მხოლოდ 1904 წლის დასაწყისში, პარტიის II ყრილობის შემდეგ, შეერიდა საერთო-პარტიულ ორგანიზაციაში. — 17.

30 «ნ ა კ ა ნ უ ნ ე» — ნაროდნიკული მიმართულების ჟურნალი; იცემოდა რუსულ ენაზე ლონდონში 1899 წლის იანვრიდან 1902 წლის თებერვლამდე. გამოვიდა 37 ნომერი. ჟურნალი თავის გარშემო აჯგუფებდა სხვადასხვა წვრილბურჟუაზიულ პარტიათა წარმომადგენლებს. — 18.

31 ლაპარაკია პ. ბ. აქსელროდის სტატიაზე «ვილჰელმ ლიბკნეხტი». — 20.

32 ლაპარაკია ლ. მარტოვის სტატიაზე «რ უ ს ე თ ი ს პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ა ხ ა ლ ი მ ე გ ო ბ რ ე ბ ი», რომელიც დაბეჭდილია ჟურნალში «ისკრაში» № 1, 1900 წლის დეკემბერს. — 20.

33 იგულისხმება საზღვარგარეთული ლიტერატურული ჯგუფი «ბ ო რ ბ ა», რომელიც თავისთავს რსდმ პარტიას მიაკუთვნებდა; წარმოიშვა 1900 წლის ზაფხულს პარიზში. როგორც დამოუკიდებელი ჯგუფი გაფორმდა 1901 წელს, «გამაერთიანებელი» ყრილობის შემდეგ. ჯგუფი ამახინჯებდა მარქსიზმის რევოლუციურ თეორიას, უარყოფდა «ისკრის» რევოლუციურ ტაქტიკას, მტრულად ეკიდებოდა პარტიის აგების ლენინურ ორგანიზაციულ პრინციპებს. სოციალ-დემოკრატიული შეხედულებებისა და ტაქტიკისაგან გადახვევების, დეზორგანი-

ზატორული მოქმედებისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან კავშირის უქონლობის გამო, ჯგუფი პარტიის II ყრილობაზე არ იქნა დაშვებული. რსდმპ II ყრილობის გადაწყვეტილებით «ბორბას» ჯგუფი დაშლილი იქნა. — 21.

84 იგულისხმება ლ. მარტოვი. — 21.

85 «ისკრის» გამოცემის მომზადების პერიოდში, ერთი მხრივ, ვ. ლენინსა და ა. ნ. პოტრესოვსა, ხოლო მეორე მხრივ — გ. ვ. პლეხანოვსა და პ. ბ. აქსელროდს შორის წარმოიშვა უთანხმოება იმის ვამო, თუ სად უნდა გამოეცათ «ისკრა». პლეხანოვი და აქსელროდი იძის წინააღმდეგი იყვნენ, რომ «ისკრა» გერმანიაში გამოცემულიყო. მათ უნდოდათ, რომ გაზეთი გამოსულიყო შვეიცარიაში მათი უშუალო ხელმძღვანელობით. ლენინი და პოტრესოვი ამის საპირისპირო აზრს ადგნენ. მას შემდეგ, რაც კორსიეში (ქენევის ახლოს) 1900 წლის აგვისტოში გაიმართა თათბირი «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის წევრებთან, ლენინისა და პოტრესოვისათვის ცხადი ვახდა, რომ საქმის ინტერესებისათვის აუცილებელია, რათა ორივე ორგანოს გამოცემა გერმანიაში მოწყობილიყო. პრინციპული ხასიათის მქონე უთანხმოებათა არსი ვრცლად არის გადმოცემული ვ. ი. ლენინის მიერ მის ნაშრომში «როგორ კინაღამ ჩაქრა «ისკრა»?» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 4, გვ. 407 — 427). ლენინმა და პოტრესოვმა თავიანთი აზრი გაატარეს, და «ისკრამ» იწყო გამოსვლა გერმანიაში — ჯერ ლაიფციგში, ხოლო შემდეგ მიუნხენში. ჟურნალი «ზარია» ლეგალურად იბეჭდებოდა შტუტგარტში. — 21.

86 ლაპარაკია «ისკრის» გამოცემის შესახებ ამერიკის სოციალისტური საზოგადოებისათვის განცხადებათა გაგზავნაზე. ამ საზოგადოების მდივანი ს. ინგერმანი 80-იანი წლების შუახანებიდან «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის წევრი იყო; 80-იანი წლების დამლევს ის ამერიკაში გაიხიზნა, სადაც დიდხანს სათავეში ედგა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის მომხრეებს და იქიდან გზავნიდა სახსრებს ჯგუფის, მერე კი «ისკრის» საგამომცემლო საქმიანობისათვის; 1903 წლის შემდეგ მენშევიკი გახდა. — 22.

87 პუტმანის (ა. ნ. პოტრესოვის ფსევდონიმი) სტატია «რ ა მ ო ხ დ ა?» და პივალის (ბოგუჩარსკის (ვ. ი. იაკოვლევის) ფსევდონიმი) სტატია «ძ ვ ე ლ ი ს ა დ ა ა ხ ლ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ», რომლებზედაც ლაპარაკია ამ წერილში, დაბეჭდილია ჟურნალ «ზარიაში» № 1, 1901 წლის აპრილს. — 23.

88 ღ. კოლცოვის (ბ. ა. გინზბურგის) სტატია პარიზის საერთაშორისო კონგრესის შესახებ ჟურნალ «ზარიაში» არ ყოფილა დაბეჭდილი... — 23.

39 ვ. ი. ლენინს აქ მხედველობაში აქვს გ. ვ. პლეხანოვის ღია წერილი «რამდენიმე სიტყვა პარიზის უკანასკნელ საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის შესახებ», რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ «ზარიაში» № 1, 1901 წლის აპრილს (იხ. გ. ვ. პლეხანოვი. თხზულებანი, ტ. XII, 1924, გვ. 103 — 116). — 23.

40 ბ ა ხ ა რ ე ვ ი — ვ. პ. მახნოვეცის ფსევდონიმი. ლაპარაკია მის ბროშურაზე: «როგორ უნდა გვეჭიროს თავი დაკითხვაზე», ჟენევა, 1900, «საზღვარგარეთელი რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირის» გამოცემა. — 24.

41 ბროშურის სახელწოდება არ არის დადგენილი. — 24.

42 ვ. ი. ზასულიჩის სტატია დეკაბრისტების შესახებ არ დაბეჭდილა. 1900 წლის 14 (27) დეკემბერს გ. ვ. პლეხანოვი გამოვიდა სიტყვით: «1825 წლის თოთხმეტი დეკემბერი» რუსი პოლიტიკური ემიგრანტების კრებაზე ჟენევაში. სიტყვა დაიბეჭდა ჟურნალ «ზარიაში» № 1, 1901 წლის აპრილს (იხ. გ. ვ. პლეხანოვი. თხზულებანი, ტ. X, 1924, გვ. 351 — 372). — 25.

43 იგულისხმება გ. ვ. პლეხანოვის სტატია «ე რ თ ხ ე ლ კ ი დ ე ვ ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი დ ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბ რ ძ ო ლ ა», დაბეჭდილი ჟურნალ «ზარიაში» № 1, 1901 წლის აპრილს (იხ. გ. ვ. პლეხანოვი, თხზულებანი, ტ. XII, 1924, გვ. 67 — 102). — 26.

44 იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 4, გვ. 307—346.—26.

45 შენიშვნა «რ ა მ ო ჩ მ ა ხ ე ს?» გ. ვ. პლეხანოვს არ დაუწერია, რადგან მისი ნავარაუდევი შინაარსი მან მოაქცია სტატიაში «ერთხელ კიდევ სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა». — 27.

46 «კ ა ვ შ ი რ ი» — პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი», დაარსებულია ვ. ლენინის მიერ 1895 წლის შემოდგომაზე. — 27.

47 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის სტატიაზე «ჩ ვ ე ნ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ა რ ს ე ბ ო ა მ ო ც ა ნ ე ბ ი». სტატია დაბეჭდილია მოწინავედ გაზეთ «ისკრაში» № 1, 1900 წლის დეკემბერს (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 4, გვ. 449 — 456). — 29.

48 «დ ო კ უ მ ე ნ ტ ი შ ე ე რ თ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» — ესაა «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ს.-პეტერბურგის კავ-

შირის პროგრამა» და «საკავშირო მუშათა ორგანიზაციის წესდება». ამ დოკუმენტებში განვითარებული დებულებანი საფუძვლად დაედო შეთანხმებას პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირისა» და მუშათა ორგანიზაციის შეერთების შესახებ 1900 წლის ნოემბერში. — **29.**

49 ჟურნალ «ზარიას» პირველი წიგნაკის თავფურცლის უკანა მხარეზე წერია: «Verantwortlich für die Redaktion: K. Fentz in Stuttgart» («პასუხისმგებელი რედაქტორი: კ. ფენცი, შტუტგარტი»).

კ. ფ ე ნ ც ი—ე. ს. ეტინგერი, სოციალ-დემოკრატი ქალი, 1900 წელს მიემხრო «ისკრას», «რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის» წევრი; შემდეგში გადავიდა მენშევიკების მხარეზე. — **30.**

50 ვ. ი. ლენინი გამოთქმას — «Kinderpflege-ს საკითხში სერიოზული რეფორმები წამოიწყეს» — გადატანითი აზრით ხმარობს. ი. გ. სმიდოვიჩ-ლემანს ბავშვი უნდა გასჩენოდა. — **31.**

51 «ისკრაში» № 1 დანევიჩის (ე. ლ. გურევიჩის) სტატია საფრანგეთის საქმეების შესახებ არ არის, მისი პირველი სტატია საფრანგეთის საქმეების შესახებ «წერილები საფრანგეთიდან. წერილი პირველი» დაბეჭდილია 1901 წლის ივლისს გაზეთ «ისკრაში» № 6. ჟურნალ «ზარიაში» დანევიჩის სტატიები ამ საკითხზე არ დაბეჭდილა. — **31.**

52 ლაპარაკია არალეგალური ლიტერატურის ტრანსპორტზე რუსეთში ბალტიისპირეთით, რის ორგანიზაცია იკისრეს ლატვიელმა სტუდენტებმა ერნსტ როლაუმ და ედუარდ სკუბიკმა, რომლებიც იმ დროს ციურიხში ცხოვრობდნენ. როგორც შემდგომ გამოირკვა, ჟანდარმებმა იცოდნენ ამ სატრანსპორტო ჯგუფის არსებობა, ისკრულ გამოცემათა ორივე ტრანსპორტი, მათ მიერ 1900 წლის დეკემბერში და 1901 წლის ივნისში მოწყობილი, კონფისკებულ იქნა. «ისკრის» ტრანსპორტი მხოლოდ 1901 წლის შუახანებიდან მოწესრიგდა.

ე. რ ო ლ ა უ, მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი, მალე პირველი ტრანსპორტის ჩავარდნის შემდეგ, ისკრულ გამოცემათა ახალ ტრანსპორტთან ერთად, რუსეთს გამოემგზავრა, რათა პირადად მოეგვარებინა საქმე; 1901 წლის 21 ივნისს დააპატიმრეს და 6 წლით აღმოსავლეთ ციმბირში გადაასახლეს. 1905 — 1906 წლებში ის მუშაობდა «ლატვიელთა სოციალ-დემოკრატიულ კავშირში», მოკლულ იქნა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში (1905—1907).

ე. სკუბიკი განაგრძობდა მუშაობას ტრანსპორტის ხაზით და გასამართლებულ იქნა არალეგალური ლიტერატურის ტრანსპორტის საქმის გამო 1904 წელს რუსი სოციალ-დემოკრატების კენინსბერგის პროცესზე. — **31.**

53 იგულისხმება ლ. მ. აქსელროდის (ორტოდოქსის) სტატია «რატომ არ გვინდა ჩვენ უკანვიაროთ?» (ლიბერალის, ხოლო შემდეგ რეაქციონერის, ნ. ა. ბერდიაევის წიგნის გამო — «სუბიექტივიზმი და ინდივიდუალიზმი საზოგადოებრივ ფილოსოფიაში»), რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ «ზარიაში» № 2 — 3, 1901 წლის დეკემბერს. — **32.**

54 ლაპარაკია ი. ს. ბლიუმენფელდზე, რომელიც მაშინ «ისკრის» ასოთამწყობი იყო ლაიფციგში.

«ისკრის» და «ზარიას» საზღვარგარეთ გამოცემის მომზადება დაევალა ა. ნ. პოტრესოვს, რომელიც ამ მიზნით ჯერ კიდევ 1900 წლის აპრილში გაემგზავრა საზღვარგარეთ. გერმანელი სოციალ-დემოკრატების დახმარებით მან შეძლო მოეგვარებინა «ისკრის» აწყობა, ჯერ ლაიფციგში, ხოლო შემდეგ მიუნხენში, გერმანულ სოციალ-დემოკრატიულ სტამბებში. «ზარია» იცემოდა ლეგალურად შტუტგარტში დიცცთან.

პასპორტი ნუსპერლის სახელზე საჭირო იყო ბლიუმენფელდისათვის, ალბათ, ლაიფციგში გასაწერად. — **33.**

55 პარიზის კონგრესის შესახებ სტატიის ავტორი იყო ქ. გ. რაკოვსკი. მისი სტატია «საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი პარიზში» გამოქვეყნებულია გაზეთ «ისკრაში» № 1, 1900 წლის დეკემბერს. — **33.**

56 იგულისხმება გ. ვ. პლეხანოვის ერთ-ერთი სტატია, დაბეჭდილი ჟურნალ «ზარიაში» № 1, 1901 წლის აპრილს. — **34.**

57 ვ. ი. ლენინი აქ წერს მისი იმ სტატიის შესწორებებზე, რომლებიც განკუთვნილი იყო «ისკრის» № 1-სათვის სათაურით: «გათიშვა რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთულ კავშირში» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 4, გვ. 464 — 466) და რომლებსაც მოითხოვდა პლეხანოვი თავის 1900 წლის 8 დეკემბრის წერილში ლენინისადმი (იხ. ლენინის კრებული III, გვ. 116). — **35.**

58 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ფ. ადლერის სტატია ავსტრიის საქმეების შესახებ, რომელიც მას უნდა დაეწერა გაზეთ «ისკრისათვის». სტატია «ისკრის» ფურცლებზე არ დაბეჭდილა. — **36.**

59 ვ. ი. ლენინი მიუნხენიდან ლაიფციგს გაემგზავრა, რათა საბოლოო რედაქცია გაეკეთებინა «ისკრის» პირველი ნომრისათვის მისი გამოქვეყნების წინ. — 38.

60 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს პ. ბ. აქსელროდის სტატია «ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს შ ე დ ე გ ე ბ ი», რომელიც გამოქვეყნებულია «ისკრაში» № 1 და № 2, 1900 წლის დეკემბერს და 1901 წლის თებერვალს. — 38.

61 იგულისხმება გ. ვ. პლეხანოვის სტატია «ჩ ვ ე ნ ი კ რ ი ტ ი კ ო ს ე ბ ი ს კ რ ი ტ ი კ ა. ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი. ბ-ნ ი პ. ს ტ რ უ ვ ე მ ა რ ქ ს ი ს ს ო ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ი ს კ რ ი ტ ი კ ო ს ი ს რ ო ლ შ ი. ს ტ ა ტ ი ა პ ი რ ვ ე ლ ი». გამოქვეყნებულია ჟურნალ «ზარიაში» № 1, 1901 წლის აპრილს (იხ. გ. ვ. პლეხანოვი. თხზულებანი, ტ. XI, 1923, გვ. 141 — 182). — 38.

62 ვ. ი. ლენინის მიერ მოხსენებული ფ. ენგელსის ნაშრომი «რ ე ვ ო ლ უ ც ი ა დ ა კ ო ნ ტ რ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი» რუსულად გადმოთარგმნილი გამოვიდა 1900 წლის დეკემბრის პირველ ნახევარში; არალეგალურად გამოსცა «რაბოჩეე ზნამიამ» (იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1941, 31 — 126).

ქვემოთ, წერილში, სადაც ლაპარაკია ბროშურის გადმოგზავნაზე, იგულისხმება ის გარემოება, რომ «ისკრის» რედაქციამ რუსეთში არალეგალურად გადმოგზავნა ფ. ენგელსის იგივე ნაშრომი «რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში». — 40.

63 ცნობები მაქს მენკუსის შესახებ არ მოიპოვება; როგორც ეტყობა, ეს იყო არალეგალური გამოცემების საზღვარზე გადმოტანასთან დაკავშირებული პირი. — 40.

64 «ისკრის» პირველი ნომერი, რომელიც დათარიღებულია «1900 წ. დეკემბრით», აწყობილი და გვერდებად შეკრული იყო 1901 წლის 24 დეკემბერს (იხ. სტ.) (იხ. ეს ტომი, გვ. 38); ნომრის ბეჭდვა შეფერხდა. და და ამიტომ იგი უფრო გვიან გამოვიდა. — 40.

65 კაუცკის წიგნი «Bernstein und das Sozialdemokratische programm. Eine Antikritik» («ბერნშტეინი და სოციალ-დემოკრატიული პროგრამა. ანტიკრიტიკა») გერმანულ ენაზე გამოვიდა 1899 წელს დიტცის გამოცემით, შტუტგარტში. ეს წიგნი ვ. ი. ლენინმა წაიკითხა გადასახლებაში — სოფელ შუშენსკოეში და მაშინვე გადმოთარგმნა; გამოიცა 1905 წელს სათაურით: «კ. კაუცკი. სტატიების კრებული». პირველ გამოცემა-

ში მთარგმნელის ვინაობა არ არის აღნიშნული; 1906 წელს მეორე გამოცემაში კი აღნიშნულია: «ლენინის თარგმანი». — **40.**

66 ჰ.-მ. ჰაინდმანის სტატია «სოციალიზმი, ტრედ-უნიონიზმი და პოლიტიკური ბრძოლა» (H. M. **Hyndmann** «Socialism, trade-unionism and political action») ავტორს შეუკვეთა ს. ვ. ანდროპოვმა ჟურნალ «რაბოჩეე ზნამიას» № 3-სათვის. არ ყოფილა დაბეჭდილი. ხელნაწერი ინახება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივში.

არის სტატიის თარგმანი, შესრულებული ვ. ი. ლენინის მიერ; ინახება აგრეთვე ინსტიტუტში. — **41.**

67 «ალექსის» (მარტოვის) სახელი, მამის სახელი, გვარი—იული ოსიპისძე ცედერბაუმი. ვ. ი. ლენინის მიერ 22 ციფრის წინ გამოშვებულია ციფრი 18, რომელიც ნიშნავს «რ». ეს ციფრი რომ ჩავსვათ, გამოვა «სმირნოვი». იგულისხმება მ. ბ. სმირნოვი, სოციალ-დემოკრატი, «რაბოჩეე ზნამიას» პეტერბურგის ჯგუფის წევრი. — **43.**

68 1901 წლის 3 იანვარს (ახ. სტ.) ვ. ი. ლენინი აუწყებდა ვ. პ. ნოგინს, გაზეთ «ისკრის» პირველი ნომერი ამ დღეებში მზად უნდა იყოს და მაშინ გამოგეგზავნებათო (იხ. ეს ტომი, გვ. 40). «ნურავის» ნუ უჩვენებთო, — თხოვდა ლენინი კონსპირაციული მოსაზრებებით, ვიდრე ეს ნომერი რუსეთში არ გამოჩნდებოდა. — **44.**

69 ვ. ი. ლენინმა, როცა იგი შეუდგა გაზეთ «ისკრის» და ჟურნალ «ზარიას» ორგანიზაციას, უახლოეს ამოცანად დაისახა დაერაზმა რედაქციის გარშემო რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ის ელემენტები, რომლებიც შეიძლებოდა სასარგებლონი ყოფილიყვნენ ლიტერატურული მუშაობისათვის. ამით აიხსნება ლენინის ცდა მიეზიდა «ისკრაში» თანამშრომლობისათვის «ბორბას» ჯგუფის წევრები, მიუხედავად იმისა, რომ ეს პატარა ჯგუფი არც იდეურ-პოლიტიკური მხრივ, არც მასობრივ მუშათა მოძრაობასთან კავშირის მხრივ რამდენადმე მაინც მნიშვნელოვან სიდიდეს არ წარმოადგენდა. — **45.**

70 იგულისხმება «ისკრის» რედაქციის მოლაპარაკება ლიბერალებთან, რომელთა წარმომადგენელი იყო პ. სტრუვე, ჟურნალ «ზარიას» საერთო-პოლიტიკური დამატების გამოცემის შესახებ „სოვრემენნოე ობოზრენიეს» სახელწოდებით; მოლაპარაკება 1901 წლის იანვრის განმაელობაში წარმოებდა (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 4, გვ. 467 — 470; ტომი 34. გვ. 47 — 49). შემდგომ მოლაპარაკება შეწყდა, და ორგანო არ გამოსულა. — **45.**

71 ვ. ი. ლენინი გაემგზავრა პრაღასა და ვენაში იმ მიზნით, რომ საკონსულოს მეშვეობით მიეღო საზღვარგარეთული პასპორტი ნ. კ. კრუპსკაიას გერმანიაში შესასვლელად. — 49.

72 პარვუსის (მოლოტოვის) სტატია დაიბეჭდა «ისკრაში» № 4, 1901 წლის მაისს. — 49.

73 იგულისხმება გაზეთ «ისკრის» მეორე ნომერი. — 50.

74 დოკტორის რა ჯგუფზეა ლაპარაკი, არ არის დადგენილი. — 51.

75 «ისკრის» წარმომადგენლად ბერლინში იყო მ. გ. ვეჩესლოვი. — 51.

76 ორმაგი ძირის მქონე ჩემოდნებით რუსეთში გადაჰქონდათ «ისკრისა» და «ზარიას» არალეგალური ლიტერატურა. — 52.

77 ტრანსპორტით ფინეთსა და სტოკჰოლმზე გავლით სარგებლობდა პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი» ჯერ კიდევ 90-იანი წლების დამლევს; ტრანსპორტი მოგვარებული იყო შვედი სოციალ-დემოკრატის ბრანტინგის, ნორვეგიელი სოციალ-დემოკრატის გარდერისა და შვედი მუშის ა. ვეიდელის დახმარებით, რომელიც ამ მიზნით ფინეთს გადასახლდა. 1900 წელს გარდერის დაპატიმრებამ დაარღვია კავშირი და მოშალა ტრანსპორტი ფინეთით. 1901 წელს არალეგალური ლიტერატურის ტრანსპორტი კვლავ მოგვარდა სტოკჰოლმ — აბოს გზით და ფინეთ—რუსეთის საზღვრით.

ამ წერილში ვ. ი. ლენინს აინტერესებს, თუ რა შედეგები გამოიღო ამ ახალმა ცდამ — განახლებულიყო ფინეთით ლიტერატურის გადაზიდვის გზა. — 52.

78 წერილი კ.-ი. ბრანტინგისადმი გამოფენილი იყო 1955 წელს სტოკჰოლმში, სამეფო ბიბლიოთეკაში (შვეცია) მოწყობილ გამოფენაზე. პირველად გამოქვეყნდა გაზეთ «Morgon—Tidningen»-ში («დილის გაზეთი») № 65, 1955 წლის 8 მარტს, ხოლო შემდეგ გაზეთ «Helsingin Sanomat»-ში («ჰელსინგის მოამბე») № 68, იმავე წლის 11 მარტს. — 54.

79 როცა ვ. ი. ლენინი იხსენიებს, «თ ა ვ გ ა დ ა ს ა ვ ა ლ ი კ ე თ ი ლ ა დ დ ა მ თ ა ვ რ დ ა ო», მას მხედველობაში აქვს შემდეგი. ქენევაში 1901 წლის 5 აპრილს რუსმა სტუდენტებმა რუსეთის საკონსულოს შენობის წინ გამართეს საპროტესტო დემონსტრაცია იმ რეპრესიების

წინააღმდეგ, რომლებიც მიმართული იყო პოლიტიკური ემიგრანტების წინააღმდეგ. რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ესარგებლნა ამ შემთხვევით, რათა ზეგავლენა მოეხდინა შვეიცარიის ხელისუფლებაზე და ამრიგად მიეღწია შვეიცარიიდან მთელი რიგი ცნობილი პოლიტემიგრანტების და პირველ რიგში პლეხანოვის განდევნისათვის. მაგრამ პლეხანოვმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ მას ამ დემონსტრაციასთან დამოკიდებულება არა ჰქონია. «ისკრის» რედაქციის წევრებს ეშინოდათ, რომ პლეხანოვის მეცადინეობა მარცხით დამთავრდებოდა. — **56.**

80 ს. ფრანკი. «მარქსის ფასების თეორია და მისი მნიშვნელობა. კრიტიკული ეტიუდი», სპბ., 1900. პლეხანოვის რეცენზია ამ წიგნის გამო დაბეჭდილია «ზარიაში» № 2 — 3, 1901 წლის დეკემბერს (იხ. გ. ვ. პლეხანოვი. თხზულებანი, ტ. XI, 1923, გვ. 348 — 357). — **56.**

81 «ნ ა ს ლ ა ვ ნ ო მ პ ო ს ტ უ (1860 — 1900)» — ლიტერატურული კრებული, მიძღვნილი ნ. კ. მიხაილოვსკისადმი, სპბ., 1901; გამოცემულია ნ. კ. მიხაილოვსკის ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავის გამო. კრებულში მონაწილეობა მიიღეს მაშინდელი დროის ცნობილმა მწერლებმა — ნაროდნიკებმა და ლიბერალებმა: ვ. გ. კოროლენკომ, დ. ნ. მამინ-სიბირიაკმა, ლ. მელშინმა, ს. ელპატიევსკიმ, ს. იუჟაკოვმა და სხვ. ამ წიგნის რეცენზია არც «ისკრაში», არც «ზარიაში» არ ყოფილა. — **56.**

82 აქ ვ. ი. ლენინი უპასუხებს გ. ვ. პლეხანოვს «ი ს კ რ ი ს» ტ ა ქ ტ ი კ ი ს ა დ ა ლ ო ზ უ ნ გ ე ბ ი ს საკითხზე, რომლებიც რუსეთში 1901 წ ლ ი ს 1 მ ა ი ს ი ს ჩატარებასთან დაკავშირებით გამოხატულია «ი ს კ რ ი ს» ს ა პ ი რ ვ ე ლ მ ა ი ს ო «ფ უ რ ც ე ლ შ ი». პლეხანოვი წერილში «ისკრის» რედაქციის მიუნხენელთა ნაწილისადმი 1901 წლის 19 აპრილს წერდა, რომ რუსეთში 1 მაისის ზეიმობის დღეს მუშებმა ქუჩისაკენ არ უნდა მოვუხმოთ, რადგან მთავრობა ხოცვა-ულეტისათვის მოემზადება, სისხლი დაიღვრება და მუშები დამარცხდებიანო. მომენტის მთავარ ამოცანად პლეხანოვს მიაჩნდა მუშაობა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების განსამტკიცებლად. ამ საკითხში, იმ პერიოდის კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში, ლენინი, როგორც წერილიდან ჩანს, ეთანხმებოდა პლეხანოვს. — **57.**

83 «ნ ა რ ო დ ნ ო ე ხ ო ზ ი ა ს ტ ვ ო» — საზოგადოებრივ-ეკონომიური ჟურნალი; გამოდიოდა ჯერ ყოველთვიურად, შემდეგ თვეში ორჯერ პეტერბურგში 1900 — 1905 წლებში. — **57.**

84 «ისკრის» ხელშემწყობი ბერლინელთა ჯგუფი შეიქმნა 1900 წლის შემოდგომაზე; განზრახული იყო ჯგუფის ბიულეტენების გამოცემა, მაგრამ სახსრებისა და მასალების ნაკლებობის გამო ბიულეტენები არ გამოცემულა. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: მ. თ. ვლადიმირსკი, პ. გ. სმიდოვიჩი, ე. ე. შანდელშტამი, რ. ა. გროსმანი, ვ. ა. ბუხგოლცი და სხვები; ჯგუფის სათავეში იდგა მ. გ. ვეჩესლოვი. ჯგუფი დიდ როლს ასრულებდა «ისკრის» ტრანსპორტის მოწყობაში და სახსრების შეგროვებაში.

სოციალ-დემოკრატების ნეიტრალური ჯგუფი ბერლინში ჩამოყალიბდა ვ. ა. ბაზაროვის გარშემო 1900 წლის შემოდგომაზე და ამოცანად ისახავდა მოესპო «რაბოჩეე დელოს» მომხრეთა და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის გათიშვა, რაც წარმოიშვა «საზღვარგარეთის რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირის» II ყრილობის შემდეგ. ამ ჯგუფში შედიოდნენ ვ. ა. ბაზაროვი, მ. გ. ვეჩესლოვი, ი. ბ. ბასოვსკი და სხვები. 1900 წლის დამდეგს ჯგუფმა, ბაზაროვის სიტყვით, თავისი წარმომადგენლები გაგზავნა ჟენევაში იმ მიზნით, რომ «ისკრის» ორგანიზაცია და «სოციალ-დემოკრატის» ორგანიზაცია დაეყოლებინა «კავშირთან» შერიგებაზე. ჯგუფმა გამოუშვა 3—4 ფურცელი-პროკლამაცია პოლიტიკურ თემებზე და იარსება 1901 წლის ზაფხულამდე. — **59**.

85 გაზეთი «ისკრა» დასაწყისში არაპერიოდულად გამოდიოდა; მხოლოდ № 4-დან, 1901 წლის მაისში, «ისკრა» იწყებს რეგულარულად გამოსვლას: ერთი-ორჯერ თვეში. — **59**.

86 ჯგუფი «სოციალისტი» შეიქმნა 1900 წლის მაისს პეტერბურგში. იგი იყო ერთი იმ ჯგუფთაგანი, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ პეტერბურგის ბრძოლის კავშირის ეკონომისტური მიმართულებით, და პირველ პლანზე პოლიტიკურ ბრძოლას აყენებდა. 1901 წლის იანვარში ჯგუფები «რაბოჩეე ზნამია» და «სოციალისტი» შეერთდნენ. 1901 წლის გაზაფხულზე მომხდარ დაპატიმრებათა შემდეგ ჯგუფი დაიშალა. — **61**.

87 1901 წელს გამოვიდა ორი საპირველმაისო ფურცელი: ««ისკრის» ფურცელი», რომელსაც ხელს აწერდა: ««ისკრის» ორგანიზაცია, 1901 წ. აპრილი», და საერთო-პარტიული ფურცელი: «პირველ მაისი». ამ უკანასკნელ ფურცელს შემდეგი ხელმოწერა აქვს: «ეს ფურცელი შედგენილი და გამოცემულია, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელით, პარტიის ს.-პეტერბურგის, ოდესის, კიევის, ნიკოლაევისა და ხარკოვის კომიტეტების და «იუჟნი რაბოჩის» და «ისკრის» ორგანიზაციების მიერ». საერთო-პარტიული

ფურცელი «პირველი მაისი» მიღებულ იქნა 1901 წლის თებერვლის დამდეგს სამხრეთის რამდენიმე კომიტეტის კონფერენციაზე. მეორე ფურცელი აუცილებელი შეიქნა იმის გამო, რომ სამაისო ფურცლის შემმუშავებელი კონფერენციის მუშაობის დროს სტუდენტთა მღელვარებას ჯერ კიდევ არ ჰქონია მიღებული დიდი მოვლენის ხასიათი, ამიტომ იგი პარტიულ ფურცელში არ არის მოხსენებული. 1901 წლის ორივე სამაისო ფურცლის ტექსტების შეპირისპირება გვიჩვენებს, რომ «საერთო-პარტიული» ფურცელი ისახავდა სოციალიზმის იდეების მასობრივი პროპაგანდის საერთო მიზნებს, ხოლო ««ისკრის» ფურცელი», რომელიც ეხმაურებოდა სტუდენტთა ფართო მოძრაობას, რამაც მუშების მონაწილეობით რევოლუციური ხასიათი მიიღო, აყენებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის ლოზუნგებს. — **61.**

88 2а 3б — პ. ნ. ლეპეშინსკი; — р — — — პ. ა. კრასიკოვი. — **62.**

89 დ ე ბ. — ვ. კ. დებოგორი-მოკრიევიჩი, 70-იანი წლების რევოლუციონერ-ნაროდნიკი. 1894 წლიდან ცხოვრობდა ბულგარეთში, სადაც მოკვდა. 1901 წელს «ზარიას» რედაქციამ დებოგორი-მოკრიევიჩს მიმართა თხოვნით — მოეცა რაიმე ნაწყვეტი თავისი მოგონებებიდან. ის დათანხმდა. ამ საკითხის გამო რედაქციის წევრებს შორის მიწერ-მოწერა წარმოებდა. მაგრამ მოგონებანი «ზარიაში» არ ყოფილა დაბეჭდილი. — **65.**

90 აქ მოხსენიებული კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა გაიმართა ჟ ე ნ ე ვ ა ში 1901 წ ლ ი ს ი ვ ნ ი ს ს. კონფერენციაზე იყვნენ «ისკრისა» და «ზარიას», «ბორბას» ჯგუფის, «რაბოჩეე დელოს», «საზღვარგარეთელი რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირის», «ბუნდის» და რევოლუციური ორგანიზაცია «სოციალ-დემოკრატის» წარმომადგენლები. კონფერენცია წინასწარ ხასიათს ატარებდა. საბოლოო გადაწყვეტილებანი გადაიდო «გამაერთიანებელ» ყრილობამდე, რომელიც შედგა იმავე წლის ოქტომბერში და რომელზეც მოხდა «რაბოჩეე დელოს» და «ისკრის» საბოლოო გათიშვა. — **65.**

91 «ლ ი ს ტ ო კ რ ა ბ ო ჩ ე გ ო დ ე ლ ა» — «საზღვარგარეთელი რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირის» არაპერიოდული გამოცემა; გამოდიოდა ჟენევაში 1900 — 1901 წლებში.

«ლ ი ს ტ ო კ რ ა ბ ო ჩ ე გ ო დ ე ლ ა» № 7 გამოვიდა 1901 წლის აპრილში და მიძღვნილია სტუდენტთა მოძრაობისადმი. — **65.**

92 ლენინი აქ ლაპარაკობს პეტერბურგში 1901 წლის 4 და 7 მაისს ვიბორგის მხარეში და ობუხოვის (სახაზინო) ფოლადსამსხმელო ქარხა-

ნაში მომხდარ ამბებზე (ეგრეთწოდებულ «ობუხოველთა თავდაცვაზე»). ვიბორგის მხარეში გაფიცულმა მუშებმა 4 მაისს მოაწყვეს დემონსტრაცია და ქალაქისაკენ დაიძრნენ. სამპსონიევსკის ხიდზე მათ შეხვდა პოლიცია, მოხდა შეტაკება, რომელიც რამდენიმე საათს გრძელდებოდა, შედეგად დაიჭრა 70-მდე კაცი ორივე მხრიდან, მათ შორის ბევრი მუშა. 7 მაისს ობუხოვის ქარხნის მუშებმა იმის პასუხად, რომ ადმინისტრაციამ უარი თქვა უკან მიეღო 1 მაისს სამუშაოზე გამოუცხადებლობისათვის დათხოვნილი მუშები, მიატოვეს მუშაობა და დაახლოებით 3 $^1/_2$ ათასი კაცის რაოდენობით გავიდნენ შლისელბურგის ტრაქტზე, სადაც პოლიციამ მუშები საბრძოლველად გამოიწვია. ობუხოველებმა მამაცური წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას. ამ ამბებს 1901 წლის ივნისის «ისკრაში» № 5 მიძღვნილი აქვს ორი შენიშვნა განყოფილებაში «პირველი მაისი რუსეთში» და ლენინის სტატია «ახალი ხოცვა-ყლეტა» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 5, გვ. 16 — 23). — **66.**

98 ლაპარაკია ი. ვ. ბ ა ბ უ შ კ ი ნ ზ ე. 1901 წლის ივნისის «ისკრაში» № 5, განყოფილებაში «პირველი მაისი რუსეთში», მოთავსებულია მისი კორესპონდენცია «ივანოვო-ვოზნესენსკი». ი. ვ. ბაბუშკინის როლზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში (მის დახვრეტამდე 1905 წელს ციმბირში მეფის მთავრობის სადამსჯელო ექსპედიციის მიერ), «ისკრის» შექმნაში და მუშა-კორესპონდენტებით მის უზრუნველყოფაში დაწვრილებითაა ნათქვამი ლენინის ნეკროლოგში მის შესახებ 1910 წლის 18 (31) დეკემბრის «რაბოჩაია გაზეტაში» № 7 (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 16, გვ. 450 — 455). — **66.**

94 იგულისხმება ნევზოროვის (ი. სტეკლოვის) სტატია «მაშ, რით დავიწყოთ?», რომელიც მიმართულია ვ. ი. ლენინის სტატიის წინააღმდეგ — «რით დავიწყოთ?» (იხ. თხზულებანი, გამოც., 4, ტომი 5, გვ. 1 — 15). ლენინის სტატია დაბეჭდილი იყო მოწინავედ 1901 წლის მაისს გაზეთ «ისკრაში» № 4. ლენინის მიერ ნევზოროვის სტატიის შეფასება იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 34, გვ. 72. — **69.**

95 საზღვარგარეთ არალეგალურად გამოიცა მეფის მინისტრის ს. ი. ვიტეს საიდუმლო მოხსენება «თვითმპყრობელობა და ერობა», რომელსაც წამძღვარებული ჰქონდა ლიბერალ პ. ბ. სტრუვეს მიერ (რ. ნ. ს.) დაწერილი წინასიტყვაობა. ამ მოხსენებისა და წინასიტყვაობის კრიტიკისადმია მიძღვნილი ლენინის სტატია «ე რ ო ბ ი ს მ დ ე ვ ნ ე ლ ნ ი და ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი ს ჰ ა ნ ი ბ ა ლ ე ბ ი», დაწერილი 1901 წლის ივნისში. დაბეჭდილია 1901 წლის დეკემბერს ჟურნალ «ზარიაში» № 2 — 3 (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 5, გვ. 25 — 89).

პოლემიკა სტატიის გარშემო «ისკრის» რედაქციის წევრთა მიწერ-მოწერაში დაახლოებით ერთ თვეს გრძელდებოდა. ლენინმა მიიღო ცალკეული წინადადებანი ზოგიერთი კერძო ფორმულირების შეცვლის შესახებ, მაგრამ გადაჭრით უარი თქვა შეეცვალა სტატიის მკაცრად მამხილებელი ტონი და მისი მიმართულება (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 34, გვ. 82 — 83; იხ. ეს ტომი, გვ. 74). — **69.**

96 გაზეთ «ისკრის» რედაქცია ვ. ი. ლენინის ინიციატივით 1901 წლის ზაფხულში შეუდგა რსდმპ პროგრამის პროექტის შედგენას. რსდმპ პროგრამის პროექტი გამოქვეყნდა 1902 წლის 1 ივნისის «ისკრაში» № 21. — **70.**

97 «ლ ო ნ დ ო ნ ე ლ ე ბ ი» — ვ. პ. ნოგინი და ს. ვ. ანდროპოვი. — **70.**

98 1901 წლის ივლისის «ისკრაში» № 6 მოთავსებულია პ. ბ. აქსელროდის შენიშვნა «ავსტრიელი მუშების უკანასკნელი საარჩევნო გამარჯვება» (ვ. ადლერის ქვემო ავსტრიის ლანდტაგში არჩევის შესახებ). — **71.**

99 იგულისხმება გ. ვ. პლეხანოვის 1901 წლის 11 ივლისის წერილი ვ. ი. ლენინისადმი (იხ. ლენინის კრებული III, გვ. 195 — 196). — **72.**

100 ო რ ტ ო დ ო ქ ს ი ს **P. S c r i p t u m**—ბოლოსიტყვაობა ლ. ი. აქსელროდის (ორტოდოქსის) სტატიისა «რატომ არ გვინდა ჩვენ უკან ვიაროთ?», დაწერილი მის მიერ იმის გამო, რომ 1901 წლის ივნისს ჟურნალ «მირ ბოჟიში» № 6 მოთავსებულ იქნა ლიბერალის, ხოლო შემდეგ რეაქციონერის, ნ. ბერდიაევის სტატია «ბრძოლა იდეალიზმისათვის».

ვ. ი. ლენინი და გ. ვ. პლეხანოვი მოითხოვდნენ **Post Scriptum**-ის დაბეჭდვას, მაგრამ რედაქციის უმრავლესობამ — ლ. მარტოვმა, ვ. ი. ზასულიჩმა, ა. ნ. პოტრესოვმა — უკუაგდო ბოლოსიტყვაობა, და სტატია უიმისოდ გამოქვეყნდა 1901 წლის დეკემბერს ჟურნალ «ზარიაში» № 2 — 3. — **72.**

101 **Struvefreundliche Partei** — სტრუვეს მეგობრული პარტია, «ისკრას» რედაქციაში ასე უწოდებდნენ ხუმრობით ვ. ი. ზასულიჩსა და ნ. პოტრესოვს. — **72.**

102 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის სტატიაზე «ე რ ო ბ ი ს მ დ ე ვ ნ ე ლ ნ ი და ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი ს ჰ ა ნ ი ბ ა ლ ე ბ ი». — **72.**

103 **Vandervelde E. «La propriété foncière en Belgique», Paris, 1900.** (ე. ვანდერველდე. «მიწის საკუთრება ბელგიაში»; პარიზი, 1900). — **73.**

104 ლაპარაკია გ. ვ. პლეხანოვის რედაქციულ შენიშვნებზე ვ. ი. ლენინის სტატიისათვის — «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები». — **74.**

105 Wilhelm Liebknecht. «Zur Grund-und Bodenfrage». Zweite vervollständigte Auflage, Leipzig, 1876 (ვილჰელმ ლიბკნეხტი. «აგრარული საკითხისათვის». მეორე შევსებული გამოცემა, ლაიფციგი, 1876). ეს წიგნი, ისევე როგორც 1 ინტერნაციონალის კონგრესების ოქმები და ჟურნალი «Vorbote» («წინასწარმაუწყებელი») ვ. ი. ლენინს ესაჭიროებოდა თავისი ნაშრომისათვის «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»», რომელიც დაწერილია 1901 წლის ივნის-სექტემბერში (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 5, გვ. 119 — 277).

«Vorbote» («წინასწარმაუწყებელი») — ყოველთვიური ჟურნალი, I ინტერნაციონალის გერმანული სექციების ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა ჟენევაში 1866 წლიდან 1871 წლამდე. — **75.**

106 იგულისხმება ის გარემოება, რომ ვ. ჩერნოვი თავის სტატიაში «კაპიტალისტური და აგრარული ევოლუციის ტიპები» მიუთითებს რიტინგჰაუზენის წინადადებაზე — საზოგადოებამ მიწით სარგებლობა გადასცეს «სოლიდარიზებულ თემებსო»; — ეს წინადადება რიტინგჰაუზენმა შეიტანა I ინტერნაციონალის ბაზელის 1869 წლის IV კონგრესის აგრარულ კომისიაში და მიღებულ იქნა კომისიის უმრავლესობის მიერ. — **75.**

107 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის ნაშრომზე «ბბ. «კრიტიკოსები» აგრარულ საკითხში. ნარკვევი პირველი», რომელიც დაბეჭდილია 1901 წლის დეკემბერს ჟურნალ «ზარიაში» № 2 — 3. შემდეგ იგი ლეგალურად გამოსცა ოდესაში (აღნიშვნით: «ნებადართულია ცენზურის მიერ. ოდესა, 1905 წლის 23 ივლისი) წიგნის გამომცემლობა «ბურევესტნიკმა» ცალკეულ ბროშურად შეცვლილი სათაურით: ნ. ლენინი. «აგრარული საკითხი და მარქსის «კრიტიკოსები». ავტორმა შემდგომ გამოცემებში ეს სათაური შეუნარჩუნა როგორც მთელ ნაშრომს, ისე მის ცალკეულ ნაწილებს (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 5, გვ. 119 — 277 და ტომი 13, გვ. 205 — 263). — **77.**

108 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის სტატიაზე «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები». — **78.**

109 «გ ა მ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ე ლ ი» ყ რ ი ლ ო ბ ა, რომელიც მიმდინარეობდა ციურიხში 1901 წლის 21 — 22 სექტემბერს (4 — 5 ოქტომბერს), წარმოადგენდა ცდას — გაეერთიანებინათ საზღვარგარეთის რუსული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები პრინციპულ მარქსისტულ პლატფორმაზე. ყრილობას ესწრებოდნენ «ისკრა» — «ზარიას» ორგანიზაციის საზღვარგარეთული განყოფილების, «სოციალ-დემოკრატის» ორგანიზაციის (რომელიც შეიცავდა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს), «საზღვარგარეთის რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირის», ბუნდისა და «ბორბას» ჯგუფის წარმომადგენლები.

ზაფხულში კონფერენციაზე დასახული დაახლოება ოფიციალურად უნდა გაფორმებულიყო «გამაერთიანებელ» ყრილობაზე. მაგრამ «კავშირის» ხელმძღვანელთა სტატიებმა, რაც 1901 წლის სექტემბერს გამოქვეყნდა «რაბოჩეე დელოში» № 10, ქენევის კონფერენციის რეზოლუციის შესწორებებმა და დამატებებმა, რაც «კავშირის» წარმომადგენლებმა ყრილობაზე შეიტანეს, ცხადყვეს, რომ «კავშირი» უწინდებურად ოპორტუნისტულ პოზიციებზე იდგა. «ისკრისა» და «სოციალ-დემოკრატის» ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განცხადება გამოაქვეყნეს, რის შემდეგ ყრილობა დატოვეს.

ვ. ი. ლენინი «გამაერთიანებელ ყრილობას ესწრებოდა და გამოდიოდა «ფრეის» სახელით. ეს იყო ლენინის პირველი საჯარო გამოსვლა საზღვარგარეთის რუს სოციალ-დემოკრატებს შორის. — **78.**

110 იგულისხმება «ისკრის» № 7. — **79.**

111 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის სტატიაზე «ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ი ს მ ო ტ რ ფ ი ა ლ ე ნ ი მ უ შ ა ო ბ ე ნ» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 5, გვ. 107 — 114). — **79.**

112 იგულისხმება სტატია «ი ვ ა ნ ო ვ ო-ვ ო ზ ნ ე ს ე ნ ს კ ი ს მ უ შ ე ბ ი ს დ ა ს ა ც ა ვ ა დ», დაბეჭდილი ხელმოწერით: «მუშა მუშებისათვის» გაზეთ «ისკრის» № 9-ის სპეციალურ დამატებაში, 1901 წლის ოქტომბერს. სტატიის ავტორი იყო ი. ვ. ბაბუშკინი. ეს სტატია პასუხი იყო ვ. დადონოვის სტატიისა «რუსული მანჩესტერი (წერილები ივანოვო-ვოზნესენსკის შესახებ)», რომელიც დაიბეჭდა 1900 წელს ჟურნალ «რუსსკოე ბოგატსტვოში» № 12.

«რ უ ს ს კ ო ე ბ ო გ ა ტ ს ტ ვ ო» — ყოველთვიური ჟურნალი, ეამოდიოდა პეტერბურგში 1876 წლიდან 1918 წლის შუახანებამდე. 90-იანი წლების დასაწყისიდან — ლიბერალური ნაროდნიკების ორგანო; 1906 წლიდან ჟურნალი ფაქტიურად ხდება «სახალხო სოციალისტების» ნახევრადკადეტური პარტიის (ენესების) ორგანო. — **79.**

113 «შინაური მიმოხილვა» — «ზარიას» № 2 — 3-სათვის დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 5, გვ. 311 — 375). საგარეო მიმოხილვა — ლ. მარტოვის სტატია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიუბეკის ყრილობის შესახებ დაბეჭდილია «ზარიას» იმავე ნომერში ხელმოწერით: «Ignotus» — 79.

114 ლაპარაკია ციურიხში საზღვარგარეთელი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების «გამაერთიანებელ» ყრილობაზე გამგზავრების შესახებ (იხ. შენიშვნა 109). ყრილობის წინ ე. გურევიჩ-დანევიჩი, «ბორბას» ჯგუფის წარმომადგენელი, «ისკრის» რედაქციასთან მოსალაპარაკებლად ჩავიდა ჯერ ციურიხში, ხოლო შემდეგ მიუნხენში. — 80.

115 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის წიგნზე «რა ვაკეთოთ? ჩვენი მოძრაობის საჭირბოროტო საკითხები» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 5, გვ. 431 — 673). — 82.

116 ლაპარაკია სიდნეი და ბეატრისა ვებების წიგნზე «ინგლისის ტრედ-უნიონიზმის თეორია და პრაქტიკა». ამ წიგნის პირველი ტომი რუსულ ენაზე გადმოთარგმნეს ვ. ი. ლენინმა და ნ. კ. კრუპსკაიამ და გამოვიდა 1900 წელს, მეორე ტომი კი, ვ. ი. ლენინის რედაქციით, როგორც ამ წერილიდან ჩანს, გამოვიდა 1901 წლის ნოემბერში. — 82.

117 მ. ი. ვოდოვოზოვა — წიგნთგამომცემელი პეტერბურგში, მისი გამოცემით 1899 წელს გამოვიდა ვ. ი. ლენინის წიგნი «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 3).— 83.

118 «The Economist» («ეკონომისტი») — ყოველკვირეული ეკონომიური და სტატისტიკური ბურჟუაზიული ჟურნალი; გამოდის ლონდონში 1843 წლიდან. — 85.

119 ლაპარაკია გ. ვ. პლეხანოვის საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს კონფერენციაზე გამგზავრების შესახებ; პლეხანოვი, ბ. ნ. კრიჩევსკისთან ერთად, ამ ბიუროს წევრად იყო არჩეული II ინტერნაციონალის პარიზის კონგრესზე 1900 წელს. კონფერენცია გაიმართა 1901 წლის 30 დეკემბერს ბრიუსელში. 1902 წლის 15 იანვრის «ისკრაში» № 15 დაბეჭდილია პლეხანოვის საინფორმაციო ცნობა კონფერენციის მუშაობის შესახებ მისი დამთავრებისთანავე სათაურით: «ბრიუსელიდან. წერილი «ისკრის» რედაქციას». (იხ. გ. ვ. პლეხანოვი. თხზულებანი, ტ. XII, 1924, გვ. 193 — 198). — 86.

120 იხ. ნ. კ. კრუპსკაიას 1901 წლის აგვისტოს წერილი ლ. ი. გოლდმანისა და ს. ო. ცედერბაუმისადმი ლენინის კრებულში VIII, გვ. 196— 197. — **88.**

121 ვ. ი. ლენინი მიუთითებს კავშირზე «ისკრის» კიშინიოვისა და ბაქოს სტამბებსა და ი. ბ. ბასოვსკის მიერ მოწყობილ ცენტრალურ ტრანსპორტს შორის. — **88.**

122 ვ. ი. ლენინმა, ლ. ი. აქსელროდს (ორტოდოქსს) რომ შეატყობინა პ. სტრუვეს და ს. ბულგაკოვის სტატიების გამოქვეყნების ამბავი, მას გაუგზავნა აგრეთვე სტატიების ტექსტიც, ამოჭრილი ჟურნალ «ნოვოე სლოვოდან» (წიგნი 8, 1897 წ. მაისი). გამოგზავნილი მასალა აქსელროდმა (ორტოდოქსმა) გამოიყენა თავის სტატიაში «ზოგიერთი «კრიტიკოსის» ზოგიერთი ფილოსოფიურ ვარჯიშობაზე», რომელიც დაიბეჭდა 1902 წლის აგვისტოს «ზარიაში» № 4; სტატია შიმართულია სტრუვეს და ბულგაკოვის წინააღმდეგ.

«ნ ო ვ ო ე ს ლ ო ვ ო»— ლიბერალური ნაროდნიკების, ხოლო 1897 წლის გაზაფხულიდან — «ლეგალური მარქსისტების» ყოველთვიური სამეცნიერო-ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1894 — 1897 წლებში. ვ. ი. ლენინმა «ნოვოე სლოვოში» გამოაქვეყნა ორი სტატია: «ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის» და «ერთი საგაზეთო შენიშვნის გამო» (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 2, გვ. 143 — 323 და 387 — 395).—**90.**

123 «S o z i a l i s t i s c h e M o n a t s h e f t e» («სოციალისტური ყოველთვიური») — ჟურნალი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტების მთავარი ორგანო და საერთაშორისო ოპორტუნიზმის ერთ-ერთი ორგანო, გამოდიოდა ბერლინში 1897 წლიდან 1933 წლამდე. — **90.**

124 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს პარტიის პროგრამის მეორე პროექტი, შედგენილი გ. ვ. პლეხანოვის მიერ.

საქმის «კ ო მ ი ს ი ე ბ ი თ მ ო გ ვ ა რ ე ბ ა» იმაში მდგომარეობდა, რომ შეთანხმებულ იქნა პროგრამის ორი პროექტი — პროგრამის პროექტი, შემუშავებული ლენინის მიერ, და მეორე პროექტი — პლეხანოვისა — შემთანხმებელ კომისიაში, რომელიც გამოჰყო «ისკრის» რედაქციამ რსდმპ პროგრამის ერთიანი პროექტის შესადგენად. კომისიის შემადგენლობაში დასახელებული იყვნენ ლ. მარტოვი, ვ. ზასულიჩი, თ. დანი ან ლ. დეიჩი. ამ წერილში ლაპარაკია

ამ შეთანხმების პროექტის გაგზავნაზე (მისი ტექსტი იხ. ლენინის კრებული II, გვ. 91 — 92).

შეთანხმების პროექტი «არ ჩაფუშულა», როგორც ამას ლენინი შიშობდა: პლეხანოვი დათანხმდა ორივე პროექტის კომისიურ შეთანხმებას. — **91.**

125 იგულისხმება პ. ბ. აქსელროდის სტატია, რომლის დაბეჭდვაც ცალკეულ ბროშურად — «ისკრის» დამატებად მას განზრახული ჰქონდა. ეს სტატია სახელწოდებით «ბურჟუაზიული დემოკრატიის, როგორც დამოუკიდებელი რევოლუციური ძალის, ჩასახვა ჩვენში» გამოქვეყნდა მხოლოდ 1906 წელს აქსელროდის სტატიების კრებულში «სოციალისტური და ბურჟუაზიული ტენდენციების ბრძოლა რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში» — **91.**

126 «ისკრის» რედაქციის მიუნხენური ნაწილის (ვ. ი. ლენინი, ვ. ი. ზასულიჩი, ლ. მარტოვი, ა. ნ. პოტრესოვი ავადმყოფობის გამო კონტინენტზე რჩებოდა) ლონდონში გადასვლას რედაქცია განიხილავდა 1902 წლის მარტის განმავლობაში მის მიერ ცნობების მიღებასთან დაკავშირებით, რუსეთის და გერმანიის პოლიციამ მოახერხა გაეგო, რომ «ისკრა» გერმანიაში იბეჭდებაო. გადასვლის საკითხი გადაწყდა მარტის დამლევს. ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია მიუნხენიდან ლონდონში 12 აპრილს გაემგზავრნენ და ლონდონში იმავე თვის 14-ს ჩავიდნენ. — **93.**

127 «კანუნ რევოლუციი» — «ეკონომისტ»-ტერორისტების ჯგუფის «თავისუფლების» არაპერიოდული გამოცემა, ლ. ნადეჟდინის რედაქციით. № 1-ის რეცენზია, რაზეედაც ამ წერილში ლაპარაკია, ჟურნალ «ზარიაში» არ ყოფილა. — **93.**

128 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის შენიშვნებზე გ. ვ. პლეხანოვის მეორე პროექტის გამო (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 6, გვ. 27 — 55), შენიშვნების ხელნაწერი ა. ნ. პოტრესოვთან იყო 2 აპრილამდე. პოტრესოვის აზრი ლენინის შენიშვნების შესახებ იხ. ლენინის კრებული II, გვ. 105 — 107. — **93.**

129 «თავმოყრა», ე. ი. «ისკრის» რედაქციის წევრთა შეხვედრა, წამოაყენა პ. ბ. აქსელროდმა თავის 1902 წლის 25 მარტის წერილში ვ. ი. ლენინისადმი (იხ. ლენინის კრებული II, გვ. 99 — 100): ლენინმა უარი თქვა მასში მონაწილეობაზე. რედაქციის წევრთა თათბირი გ. ვ. პლეხანოვის, ვ. ი. ზასულიჩის, პ. ბ. აქსელროდისა და ლ. მარტოვის შემადგენლობით გაიმართა ციურიხში 1902 წლის 12 და

15 აპრილს შუა. ამ თათბირზე განიხილეს და მიიღეს კომისიის მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტი. კომისიამ თავის მუშაობას საფუძვლად დაუდო პლეხანოვის პროექტი, ამასთან შეიტანა მასში შესწორებანი ლენინის კონტრპროექტითა და «შენიშვნებით» ნაჩვენები მიმართულებით. — **94.**

130 «1902 წლის სოციალ-დემოკრატიული კალენდარი» გამოსცა «ბორბას» ჯგუფმა 1902 წელს ჟენევაში. — **94.**

131 ლაპარაკია პარტიის II ყრილობის მომწვევი ორგანიზაციული კომიტეტის აღდგენაზე, რადგან ბელოსტოკის კონფერენციაზე არჩეული ორგანიზაციული კომიტეტი თითქმის მთლიანად დააპატიმრეს. ნ. კ. კრუპსკაია იმავე რიცხვის წერილში ფ. ვ. ლენგნიკისადმი იუწყებოდა კონფერენციის წევრებისა და არჩეული ორგანიზაციული კომიტეტის ჩავარდნის ამბავს და ამბობდა: «ყრილობის მომამზადებელ კომისიაში (ე. ი. ორგანიზაციულ კომიტეტში — რ ე დ.) არჩეულ პირთაგან დარჩა მხოლოდ ბუნდელი, მას გამოგიგზავნით. თქვენ მოგიხდებათ ხელი მოჰკიდოთ ყრილობის მომზადებას მასთან ერთად, მაგრამ მასთან დიპლომატობა უნდა გასწოოთ და ყველაფერი კი არ გადუშალოთ». ლენგნიკი ამით კოოპტაციის წესით შეჰყავდათ ორგანიზაციული კომიტეტის შემადგენლობაში. ამასვე, ერთი თვის შემდეგ, ვ. ი. ლენინი სწერდა ი. ი. რადჩენკოს პეტერბურგში (იხ. ეს ტომი, გვ. 98 — 99).

«ბ უ ნ დ ე ლ ი» — კ. პორტნოი, პირველი შემადგენლობის ორგანიზაციული კომიტეტის წევრი, რომელიც დარჩა ოკ-ის ყველა წევრის დაპატიმრების შემდეგ. — **97.**

132 1902 წლის ივნისის დამლევს — შუა იელისში ლენინი ცხოვრობდა ლოგოვში (საფრანგეთის ჩრდილოეთი ნაპირი) თავის დედასთან, მ. ა. ულიანოვასთან, და დასთან — ა. ელიზაროვასთან ერთად. — **100.**

133 იგულისხმება სარედაქციო (ხელმოუწერელი) შენიშვნა ვილნოდან მიღებული კორესპონდენციისათვის (საპირველმაისო დემონსტრაციის დაპატიმრებულ მონაწილეთადმი სხეულებრივი სასჯელის მასობრივად გამოყენების შესახებ), რაც დაბეჭდილია 1902 წლის 1 ივნისს გაზეთ «ისკრაში» № 21, განყოფილებაში «ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან», მუშა ლეკერტის მიერ ვილნოს გუბერნატორის ფონ ვალის ხელყოფის გამო. — **100.**

134 რ უ ს ე თ შ ი მ ო მ უ შ ა ვ ე ი ს კ რ ე ლ თ ა ყ რ ი ლ ო ბ ა შ ვ ე ი ც ა რ ი ა შ ი, როგორც ვ. ი. ლენინის წერილის შინაარსიდან ჩანს,

განზრახული ჰქონდა მოეწყო ლიგის ადმინისტრაციის წევრს ლ. გ. დეიჩს, რომელსაც უნდოდა ესარგებლნა იმით, რომ საზღვარგარეთ იმ დროს იმყოფებოდა რამდენიმე ისკრელი პრაქტიკოსი: პ. ნ. ლეპეშინსკი, ვ. ა. ნოსკოვი, ფ. ი. შჩეკოლდინი. ყრილობის ინიციატივა, როგორც ეტყობა, გამომდინარეობდა «რსდმპ ჩრდილოეთის კავშირის» წევრებისაგან — ნოსკოვისა და შჩეკოლდინისაგან, რომელებიც ციურიხში იმყოფებოდნენ და რომლებსაც მთელი რიგი წინადადებანი შემოჰქონდათ «ისკრის» ორგანიზაციის გამო (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 34, გვ. 113 — 118); ყრილობის მოწვევის მომხრე იყო ლეპეშინსკიც. ყრილობის იდეას მხარს უჭერდა «ისკრის» რედაქციის ორი წევრი: გ. ვ. პლეხანოვი და პ. ბ. აქსელროდი. ისკრელთა ყრილობა არ შემდგარა. — **102.**

135 «ს ო ნ ი ა» — ისკრელთა სამარის ცენტრის კონსპირაციული სახელწოდება. — **102.**

136 ვ. ი. ლენინი ლაპარაკობს ბულგაკოვის დამოწმებაზე თავის ნაშრომში «რ უ ს ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ა გ რ ა რ უ ლ ი პ რ ო გ რ ა მ ა» (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 6, გვ. 143, შენიშვნა), რომელიც იმ დროს კორექტურაში იყო ჟურნალ «ზარიას» 1902 წლის აგვისტოს № 4-სათვის. საქმე ეხება იმას, რომ მითითებულ იქნეს ბულგაკოვის წიგნის «კაპიტალიზმისა და მიწათმოქმედების» ტომი და გვერდი. — **104.**

137 იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 6, გვ. 212—219. — **105.**

138 «მ ა ნ ი ა» — პეტერბურგის მუშათა ორგანიზაციის კომიტეტის კონსპირაციული სახელწოდება. — **105.**

139 «ვ ა ნ ი ა» — პეტერბურგის კომიტეტის კონსპირაციული სახელწოდება. — **106.**

140 ლაბარაკია პეტერბურგის ორგანიზაციის «ცენტრალურ კომიტეტზე», რომელიც ერთიანებდა პეტერბურგის ბრძოლის კავშირს და მუშათა ორგანიზაციას. — **106.**

141 «გ ა ვ გ ზ ა ვ ნ ე თ თ ე ვ ზ ი ს ა თ ვ ი ს» ნიშნავდა: გაიგზავნოს ლიტერატურისათვის ვარდეში (ნორვეგია).

ვარდეთი ლიტერატურის ტრანსპორტზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობა არ არის დადგენილი. — **106.**

142 ლაპარაკია პარტიის II ყრილობის მომზადებაზე. — **107.**

143 ნიჟნი ნოვგოროდში 1902 წლის 1 და 5 (14 და 18) მაისს გამართულ დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის სამართალში მიცემული პ. ა. ზალომოვის, ა. ი. ბიკოვის, მ. ი. სამილინის და სხვა სორმოველი და ნიჟნინოვგოროდელი მუშების სიტყვები წარმოთქმული იყო მეფის სასამართლოს წინაშე 1902 წლის 28 — 31 ოქტომბერს (10 — 13 ნოემბერს). სულ ამ საქმის გამო სამართალში მიცემული იყო დემონსტრაციის 23 ორგანიზატორი და ხელმძღვანელი; სასამართლოს განაჩენით მათგან 13 კაცი სამუდამოდ ციმბირში გადაასახლეს. სიტყვები თავდაპირველად გამოსცა ცალკეულ ფურცლად რსდმპ ნიჟნი-ნოვგოროდის კომიტეტმა, შემდეგ გადაიბეჭდა 1902 წლის 1 დეკემბრის «ისკრაში» № 29 სახელწოდებით «ნიჟნინოვგოროდელი მუშები გასამართლებაზე» ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი წინასიტყვაობით.

თუ როგორ აფასებს ლენინი ნიჟნინოვგოროდელი მუშების ქცევას გასამართლებაზე, იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 6, გვ. 346 — 347. — **112.**

144 თავისი განზრახვა — გაერჩია კ. ტარასოვის (ნ. ს. რუსანოვის) სტატია «რუსული სოციალისტური აზრის ევოლუცია» გ. ვ. პლეხანოვმა შეასრულა არა «ისკრისათვის», არამედ თავის წინასიტყვაობაში, რომელიც წამძღვარებული აქვს ა. ტუნის წიგნს «რუსეთის რევოლუციურ მოძრაობათა ისტორია». 1903 (იხ. გ. ვ. პლეხანოვი. თხზულებანი, ტ. XXIV, 1927, გვ. 113 — 121). — **113.**

145 «ჟ ი ზ ნ ე ლ ე ბ ი» — პირთა ჯგუფი (ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი, გ. კუკლინი, ვ. ა. პოსე და სხვ.), რომელიც საზღვარგარეთ სცემდა ლიტერატურულ, მეცნიერულ და პოლიტიკურ ჟურნალ «ჟიზნს». — **113.**

146 1902 წლის ნოემბერ-დეკემბრის «რაბოჩაია მისლში» — № 16 დაბეჭდილი იყო «მუშათა ორგანიზაციის კომიტეტის პროტესტი», მიმართული რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის იმ განცხადების წინააღმდეგ, რომ იგი ვაზეთ «ისკრას» და ჟურნალ «ზარიას» პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებად ცნობს. გაზეთის იმავე ნომერში გამოქვეყნებული იყო მუშათა ორგანიზაციის კომიტეტის წერილი «სვობოდას» ჯგუფისა და ჟურნალ «ოტკლიკის» რედაქციისადმი, რომელშიც მაღლობა იყო გამოთქმული თანაკრძნობისა და მხარდაჭერისათვის. ვ. ი. ლენინი წერილში მიუთითებდა, აუცილებელია გადაჭრით შეებრძოლოთ «ეკონომისტების» მოქმედებასა. — **115.**

147 «ლისტოკ «რაბოჩეი მისლი»»-ს უშვებდა ისკრული პეტერბურგის კომიტეტი 1902 წლის დეკემბერში და 1903 წლის იანვარში გაზეთ «რაბოჩაია მისლის» ნაცვლად. «ლისტოკ «რაბოჩეი მისლი»» №1 მოსპობილ იქნა კომიტეტის გადაწყვეტილებით მისი მეტისმეტად უხეირო რედაქციის გამო. — 115.

148 1703 წლის 2 იანვრიდან რუსეთში რეგულარულად იცემოდა პირველი რუსული გაზეთი სახელწოდებით «უწყებანი სამხედრო და სხვა საქმეებზე, რაიც ცოდნისა და ხსოვნის ღირსია და რაიც მოხდა მოსკოვის სახელმწიფოში და სხვა მეზობელ ქვეყნებში». პირველი რუსული გაზეთის გამოსვლის დღის 200 წლისთავის გამო რსდმპ პეტერბურგის კომიტეტმა 1903 წლის 3 იანვარს გამოუშვა ფურცელი «არათავისუფალი პრესის ორასი წლისთავი». ფურცელში დაგმობილია ცენზურის სამარცხვინო სისტემა, რომელიც რუსეთში არსებობდა, აწერილია ბრძოლა თავისუფალი სიტყვისათვის (დაწყებული რადიშჩევით და განგრძობილი გერცენით), აღნიშნულია არალეგალური რევოლუციური პრესის ფართო განვითარება XIX საუკუნის დამლევს, XX საუკუნის დამდეგს, ფურცელი მოუწოდებს ბრძოლისაკენ თვითმპყრობელობის მოსპობისათვის. — 115.

149 ლაპარაკია «ისკრის» წინანდელი რედაქციის ყველა წევრის კრებაზე («ექვსეულისა») ცენტრალური კომიტეტის წევრის ფ. ვ. ლენგნიკის მონაწილეობით შეთანხმების საკითხის გამო. მთელი რიგი ცდები ცენტრალური ორგანოს რედაქციის (ვ. ი. ლენინისა და გ. ვ. პლეხანოვის) მხრივ, რომ მიეზიდათ მარტოვი რედაქციის შემადგენლობაში, ხოლო «ისკრის» დანარჩენი წინანდელი რედაქტორები და თანამშრომლები უმცირესობიდან — გაზეთში თანამშრომლობისათვის, უშედეგო გამოდგა, რამდენადაც მენშევიკები მოითხოვდნენ ოთხივე ყოფილი რედაქტორის კოოპტაციას რედაქციაში. ლენინისათვის საკვანძო ცხადი იყო ამ მოთხოვნის «უანზრობა»; მან გადაწყვიტა უარი ეთქვა შემდგომ მოლაპარაკების ყოველგვარ ცდაზე. მაგრამ 1903 წლის 4 ოქტომბერს მოლაპარაკების კიდევ ერთი ცდა იყო პლეხანოვის მხრივ. ის წინადადებას ბჭლეოდა კოოპტაციით შეეყვანათ ორი კაცი. ორის კოოპტაციაც უკუგდებულ იქნა. დაწვრილებით 4 ოქტომბრისა და შემდგომი — 6 ოქტომბრის კრების შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 7, გვ. 432 — 443. — 117.

150 «პირადი კონფლიქტი» ვ. ი. ლენინსა და ლ. მარტოვს შორის ლიგის II ყრილობაზე შემდეგში მდგომარეობდა: მარტოვმა ბრალად დადო ლენინს, მოხსენებაში ლიგის ყრილობაზე ლენინმა

ინტრიგანად და მატყუარად გამომიყვანაო პარტიის მეორე ყრილობაზე ცენტრალური ორგანოს რედაქციის ორგანიზაციის წესის საკითხის გამო, და სამედიატორო სამართალში გამოიწვია ლენინი. ლენინმა პროტესტი განაცხადა ბრძოლის ასეთი მეთოდის წინააღმდეგ, დათანხმდა მარტოვის გამოწვევას და, თავის მხრივ, გამოიწვია იგი სამედიატორო სამართალში ამის გამო. კონფლიქტი ლიკვიდირებულ იქნა ლენინსა და მარტოვს შორის ბარათების ურთიერთ გაცვლის გზით გ. მ. კრჟიჟანოვსკის შუამავლობით, როცა ის ნოემბრის მეორე ნახევარში საზღვარგარეთ იმყოფებოდა. ლენინის სურვილი, რომ ეს ბარათები დაბეჭდილი ყოფილიყო ლიგის ყრილობის ოქმების დამატებაში, ოქმების რედაქციამ არ შეასრულა. მასსა და მარტოვს შორის «პირადი კონფლიქტის აცილების» ფაქტი დადასტურებულ იქნა მხოლოდ იმით, რომ რედაქციამ ოქმების სათანადო ადგილს დაურთო შემდეგი სტრიქონქვეშა შენიშვნა: «სამედიატორო გასამართლების საკითხი აცილებულია ლენინისა და მარტოვის ურთიერთი ახსნა-განმარტებით, რაც ლიგის ყრილობის შემდეგ მოხდა» («რუსეთის რევოლუციური სოც.-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის მე-2 მორიგი ყრილობის ოქმები», გვ. 66). ლენინისა და მარტოვის ბარათები შემდგომ დაიბეჭდა «რუსეთის რევოლუციური სოც.-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის მეორე ყრილობის ოქმების კომენტარებში». ჟენევა, 1904 (იხ. აგრეთვე ლენინის კრებული VII, გვ. 293 — 295). — **119.**

151 ვ. ი. ლენინის წერილი გაიგზავნა იმ მიზნით, რომ, პარტიის საბჭოში საქმის მომავალი განხილვის გამო, წინასწარ გამოერკვიათ კონფლიქტის საკითხი, რომელიც წარმოიშვა ნიკოლაევის კომიტეტში მისი წევრების 1904 წლის 8 — 9 მარტს დაპატიმრების შემდეგ კომიტეტის ახალი შემადგენლობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

წერილში მოხსენებულ და ინიციალებით აღნიშნულ პირთა ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა; არა გვაქვს აგრეთვე მონაცემები აგიტატორთა ჯგუფის შესახებ, რომელიც წერილის ბოლოშია მოხსენებული. — **120.**

152 იმ ხნის მანძილზე, როცა ვ. ლენინი 1904 წლის ზაფხულში ჟენევიდან გასული იყო (იელის—აგვისტო ვ. ი. ლენინმა და ნ. კ. კრუპსკაიამ დაჰყვეს შვეიცარიის მთებში) და იმავე დროს ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული განყოფილების წევრი ვ. ა. ნოსკოვი რუსეთს იყო წასული, ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული განყოფილების მთელი მიმდინარე პრაქტიკული მუშაობა დაკისრებული ჰქონდა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი აგენტების კოლეგიას ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩის, მ. ნ. ლიადოვისა და პ. ნ.

ლეპეშინსკის შემადგენლობით; მათგან პირველი განაგებდა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ექსპედიციას, მეორე იყო საზღვარგარეთელი მოლარე, მესამე — «ისკრის» — რედაქციასთან ურთიერთობის ხაზით ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წარმომადგენლის მოადგილე. ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხზე ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი აგენტები მუდამ უკავშირდებოდნენ ლენინს, უგზავნიდნენ მას აგრეთვე რუსეთიდან მოსულ კორესპონდენციას. — 123.

53 ლაპარაკია ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წარმომადგენლების (ვ. ი. ლენინისა და ვ. ა. ნოსკოვის) მიერ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი აგენტების ჟენევის კოლეგიისათვის ოფიციალური წერილობით უფლებამოსილობის მიცემაზე—წარუმარღვია ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული განყოფილების ყველა საქმე ცენტრალური კომიტეტის წევრების სხვაგან ყოფნის დროს. იმის გამო, რომ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელ აგენტებს ასეთი ოფიციალური დოკუმენტი არ გააჩნდათ, «ისკრის» რედაქციამ უარი თქვა ჰქონოდა მათთან საქმე როგორც ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წევრების უფლებამოსილ მოადგილეებთან. რედაქციასთან ამ ახალი კონფლიქტის შესახებ აუწყებდა ლენინს ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი თავის წერილში. — 123.

ლაპარაკია ჟენევის პარტიულ ბიბლიოთეკაზე, რომელიც შექმნილი იყო ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ განყოფილებასთან და საკუთარი სახსრებით (საწევრო შემოსატანითა და განსაკუთრებული გამოსაღებით) არსებობდა. 300 ფრანკი, რაზედაც ლენინი ლაპარაკობს, ბიბლიოთეკამ სესხად აიღო პარტიულ სალაროში და მალე დაუბრუნა. — 124.

ლაპარაკია 37 ბოლშევიკის (ჟენევის ჯგუფის) ღია წერილზე გ. ვ. პლეხანოვისადმი მ. ნ. ლიადოვის ღია წერილზე მისი პასუხის გამო. ლიადოვმა პლეხანოვს მიმართა ღია წერილით 1904 წლის 1 ივნისის «ისკრაში» № 67 მისი სტატიის გამო — «ახლა დუმილი შეუძლებელია!», რომელიც მოთავსებული იყო 1904 წლის 15 მაისის «ისკრაში» № 66. პლეხანოვი მკაცრად აკრიტიკებდა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელ წარმომადგენელთა მოღვაწეობას და წინადადებას აძლევდა ცენტრალური კომიტეტის წევრებს გამიჯნოდნენ ვ. ი. ლენინს და მის ბროშურას «ნაჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან». ლიადოვმა მოითხოვა პლეხანოვისაგან კარად ეცნობებინა ფაქტები და დოკუმენტები, რომლებიც დაასტურებდნენ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელ წარ-

მომადგენელთა მოღვაწეობის შესახებ პლეხანოვის მიერ მოცემულ დახასიათებას, აგრეთვე მოითხოვა ნამდვილი საფუძვლები ლენინისაგან გამიჯვნის შესახებ ცენტრალური კომიტეტის წევრებისადმი წაყენებული მოთხოვნისათვის. პლეხანოვმა ლიადოვს «ისკრის» იმავე ნომერში უპასუხა უხეში პოლემიკური ფორმით. ლენინისა და ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებათა შესახებ ლიადოვის შეკითხვის არსის გამო კი პლეხანოვს პასუხი არ გაუცია. პლეხანოვის პასუხმა აიძულა საზღვარგარეთ მყოფი ბოლშევიკების ჯგუფი (37 კაცი) გამოსულიყო ახალი ღია წერილით მისადმი. ბოლშევიკების წერილში აღნიშნული იყო, რომ პლეხანოვმა თავი აარიდა მის მიერ ცენტრალური კომიტეტისა და ამ უკანასკნელის საზღვარგარეთელი წარმომადგენლების წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათა დოკუმენტურ, ფაქტიურ დადასტურებას, და დაგმობილი იყო მისი მოქმედება ამ შემთხვევაში და საერთოდ მისი მოქმედება რსდმპ II ყრილობის უმრავლესობის მიმართ. — **124.**

156 აქ მოხსენიებული ბოლშევიკური ლიტერატურა და დოკუმენტები შემდეგია: 1) გალიორკის (მ. ს. ოლმინსკის) და რიადოვოის (ა. ა. ბოგდანოვის) ბროშურა «ჩვენი გაუგებრობანი», 2) ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩის განცხადება ბოლშევიკური სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის წამოწყებული გამომცემლობის შესახებ, რასაც დართული აქვს გლებოვის (ნოსკოვის) წერილი, რომ ის უარს ამბობს დაბეჭდოს ეს განცხადება პარტიულ სტამბაში, 3) გალიორკის ბროშურა «ძირს ბონაპარტიზმი!» (ბონჩ-ბრუევიჩის განცხადება დაბეჭდილი იყო უკანასკნელ ფურცელზე, რომელიც დართული ჰქონდა ბროშურას «ჩვენი გაუგებრობანი» — იხ. ჟენევის გამოცემა. 1904 წ.).—**125.**

157 ს ა ქ მ ე, რომელზეც ვ. ი. ლენინი ელაპარაკა «ილიას» (ი. ვილენსკის), პარტიული სტამბის გამგეს, იყო ლენინის კონფლიქტი ცენტრალური კომიტეტის შემარიგებლურ უმრავლესობასთან ჟენევის პარტიული სტამბის გამგებლობის საკითხზე. — **126.**

158 ვ. ი. ლენინის მიერ მოხსენიებული «ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა» — ესაა ლენინის ხელშეკრულება ვ. ა. ნოსკოვთან, რომელიც მაშინ საზღვარგარეთ ჩავიდა როგორც ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული წარმომადგენელი და საბჭოს მეორე წევრი ცენტრალური კომიტეტისაგან (რუსეთში წასული ფ. ვ. ლენგნიკის ნაცვლად) ცენტრალური კომიტეტის სახელით საზღვარგარეთ ლენინთან ერთობლივი და სოლიდარული გამოსვლის შესახებ. «ხელშეკრულება» ხელმოწერილ იქნა 26 მაისს ცენტრალური კომიტეტის მესამე წევრის — მაშინ საზღვარგარეთ მყოფი მ. ვ. ესენის დასწრებით და

მონაწილეობით (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 7, გვ. 536—537 და 531 — 535). — **126.**

159 იგულისხმება ვ. ი. ლენინის წერილი ცენტრალური კომიტეტის ხუთი წევრისადმი, რაც რუსეთს გაიგზავნა და შეიცავს მოტივირებულ პროტესტს ცენტრალური კომიტეტის «ივლისის დეკლარაციის» წინააღმდეგ (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 7, გვ. 576 — 578).

ცენტრალური კომიტეტის «ი ვ ლ ი ს ი ს დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა» — დადგენილება, მიღებული ცენტრალური კომიტეტის სახელით ცენტრალური კომიტეტის წევრების — შემარიგებლების ლ. ბ. კრასინის, ვ. ა. ნოსკოვისა და ლ. ე. გალპერინის მიერ 1904 წლის ივლისში. იგი გამოქვეყნდა 1904 წლის 25 აგვისტოს «ისკრაში» № 72 სათაურით «ცენტრალური კომიტეტის განცხადება». ამ დადგენილებაში შემარიგებლებმა კანონიერად ცნეს გ. ვ. პლეხანოვის მიერ კოოპტაციით შექმნილი «ისკრის» მენშევიკური რედაქციის შემადგენლობა და იცავდნენ მენშევიკების ოპორტუნიზმს. მათ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში კოოპტაციით შეიყვანეს კიდევ სამი შემარიგებელი: ა. ი. ლიუბიმოვი, ლ. ი. კარპოვი და ი. თ. დუბროვინსკი. შემარიგებლებმა გაილაშქრეს პარტიის III ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ და დაშალეს ცენტრალური კომიტეტის სამხრეთის ბიურო, რომელიც ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ აგიტაციას ეწეოდა. მათ ლენინს ჩამოართვეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წარმომადგენლის უფლებები და აკრძალეს მას ნაწარმოებთა ბეჭდვა ცენტრალური კომიტეტის კოლეგიის ნებადაურთველად.

«ივლისის დეკლარაციის» მიღება ნიშნავდა რსდმპ II ყრილობის გადაწყვეტილებებისადმი ღალატს ცენტრალური კომიტეტის წევრების — შემარიგებლების მხრივ. — **126.**

160 ვ. ლენინს მხედველობაში აქვს «წ ე რ ი ლ ი რ ს დ მ პ ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ა გ ე ნ ტ ე ბ ი ს ა დ ა კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი ს წ ე ვ რ ე ბ ი ს ა დ მ ი, რ ო მ ლ ე ბ მ ა ც მ ხ ა რ ი დ ა უ ჭ ი რ ე ს II პ ა რ ტ ი უ ლ ი ყ რ ი ლ ო ბ ი ს უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა ს» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც. 4, ტომი 7, გვ. 579 — 581). — **126.**

161 ლაპარაკია ენენეის რუსულ კოოპერაციულ სტამბაზე, რომელთანაც თავის დროზე კონტრაქტი დადო ბონჩ-ბრუევიჩმა ბოლშევიკური ლიტერატურის გამოსაცემად მას შემდეგ, რაც მოხდა ლენინისა და საზღვარგარეთული ლიტერატურული ჯგუფის ფაქტიური გათიშვა შემარიგებლურ ცენტრალურ კომიტეტთან. — **126.**

162 ლაპარაკია იმ გადატრიალებაზე, რაც ცენტრალურ კომიტეტში მოახდინა მის წევრთა შემარიგებლურმა სამეულმა (ნოსკოვი, კრასინი, გალპერინი) «ივლისის» სხდომაზე (იხ. ეს ტომი, შენიშვნა 159).—126.

163 ვ. ა. ნოსკოვის წინადადების გამო, ცენტრალურ კომიტეტს მივმართოთ ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩის მიერ ნავარაუდევი გამომცემლობის მოწყობის ნებართვისათვისო, ბონჩ-ბრუევიჩს, ეტყობა, განზრახვა ჰქონდა მიემართა ნოსკოვისათვის წერილობითი განცხადებით, რომ მისთვის ნება დაერთოთ გამოეცა პარტიული ლიტერატურა. — 127.

164 ლაპარაკია გალიორკისა და რიადოვოის ბროშურაზე «ჩ ვ ე ნ ი გ ა უ გ ე ბ რ ო ბ ა ნ ი». — 127.

165 ვ. ი. ლენინის ეს წერილი დაწერილია ვ. ა. ნოსკოვის იმ წერილიდან თავისუფალ ადგილზე, რომელიც მან 1904 წლის 12 სექტემბერს მისწერა ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს, ხოლო ამ უკანასკნელმა ლენინს გადაუგზავნა. — 127.

166 «სამსონოვისა» და «პანის» ფსევდონიმები არ არის გახსნილი. — 128.

167 ადრესატი დადგენილი არ არის. — 133.

168 უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს ცნობაში პარტიის III ყრილობის მოწვევის შესახებ, ორგანიზაციული საკითხების განყოფილებაში, რომლებიც ყრილობას უნდა გადაეწყვიტა, დასმული იყო პუნქტი ცენტრების გაორმაგების შესახებ. იგი ამბობს: «ცენტრი უნდა იყოს ე რ თ ი დ ა თ ა ნ ა ც რ უ ს ე თ ი ს ა» (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში». ნაწ. I, 1954, გვ. 85). ლენინი ცენტრების იმ სისტემის შენარჩუნების მომხრე იყო, რომელიც მიღებულ იქნა რსდმპ II ყრილობაზე: ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური ორგანო და პარტიის საბჭო (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 8, გვ. 221 — 224). — 133.

169 სტატია «რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ», დაბეჭდილი 1905 წლის 28 (15) თებერვალს გაზეთ «ვპერიოდში» № 8, დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ; გამოქვეყნებულია თხზულებებში სათაურით «III პარტიული ყრილობის მოწვევის შესახებ» (იხ. 4 გამოც., ტომი 8, გვ. 197 — 200). — 138.

170 1905 წლის 28 (15) თებერვალს გაზეთ «ვპერიოდში» № 8, განყოფილებაში «პარტიიდან» მოთავსებულია მ. ს. ოლმინსკის მიერ შედგენილი შემდეგი ცნობა: «რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ. ჩვენ ეს-ეს არის მივიღეთ ცნობა, რომელიც შეიძლება იმ აზრით გავიგოთ, რომ ცენტრალური კომიტეტი თანახმაა დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას ყრილობა. ჯერჯერობით ვერასგზით ვერ ვითავდებებთ, ეს ცნობა უტყუარიაო. მაგრამ მიგვაჩნია, რომ იგი სიმართლესა ჰგავს. ცენტრალური კომიტეტი მრავალი თვის განმავლობაში იბრძოდა ყრილობის წინააღმდეგ — შლიდა ორგანიზაციებს, ბოიკოტს უცხადებდა და არევდარევდა კომიტეტებს, რომლებიც ყრილობის მოწვევას მხარს დაუჭერდნენ. ასეთი ტაქტიკა დამარცხდა. ახლა, ხელმძღვანელობს რა თავისი წესით — «მიზანშეწონილობა ყველაფერია, ფორმალობა კი არაფერი», — ცენტრალური კომიტეტი «მიზანშეწონილობის» გულისათვის (ესე იგი ყრილობის არდაშვების გულისათვის) მზად არის თუნდაც ასჯერ განაცხადოს ფორმალურად, რომ ის ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევის მომხრეა».

ამ ტექსტს ვ. ი. ლენინმა შემდეგი დაუმატა: «იმედი გვაქვს, რომ არც ბიურო, არც ადგილობრივი კომიტეტები არავის მოატყუებინებენ თავს პარტიული «შიდლოვსკის კომისიის» ოინებით». ცენტრალური კომიტეტის თანხმობისადმი ასეთივე დამოკიდებულება გამოთქვა ლენინმა თავის 1905 წლის 25 თებერვლის წერილშიც ს. ი. გუსევისადმი (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 34, გვ. 334). — **133.**

171 ლაპარაკია იმაზე, რომ მწერალ ლ. ანდრეევის ბინაზე მოსკოვში 1905 წლის 9 (22) თებერვალს დაპატიმრეს ცენტრალური კომიტეტის წევრები. — **134.**

172 ვ. ი. ლენინის წერილი ინგლისის «მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტის» მდივნისადმი შემდეგ გარემოებებში გაიგზავნა. 1904 წელს რუსეთში მომხდარ გაფიცვებთან დაკავშირებით რუსების სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა ლონდონში შექმნეს რუს გაფიცულთა დახმარების კომიტეტი, რომელმაც ინგლისის პროფკავშირებს დაუგზავნა მოწოდებანი დახმარების შესახებ. გადაწყდა აგრეთვე მიემართათ «მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტისადმი» («Labour Representation Committee»), რომლის მდივნად იყო მაკდონალდი. კომიტეტთან მოლაპარაკება დაევალა კ. მ. ტახტარიოვს და ნ. ა. ალექსეევს; ესენი ორივენი შედიოდნენ ლონდონის რუსულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გათიშული. «მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტი» გამოეხმაურა დახმარების თხოვნას, მაგრამ მან წამოაყენა პირობა, რათა გაგზავნილი ფულის ნაწილი დაეხარჯათ მეფის რუსეთში 1905

წლის 9 (22) იანვარს და ამ დღის შემდეგ მრავლად დაღუპულთა ქვრივ-ობლებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. — **135.**

173 ვ. ი. ლენინის 1905 წლის 13 მარტის წერილი რსდმპ პეტერბურგის კომიტეტისადმი იხ. ლენინის კრებულში V, გვ. 162. — **135.**

174 ლაპარაკია პარტიის III ყრილობის მუშაობის დაწყებაზე. ვ. ი. ლენინი პ. კრასიკოვს სწერს ოთხშაბათს, 5 აპრილს, და ვარაუდობს, რომ ყრილობა ორშაბათზე (10 აპრილი) უფრო ადრე არ დაიწყება. ნამდვილად კი ყრილობა მხოლოდ 25 აპრილს გაიხსნა (ახ. სტ.). ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, რომლებიც ყრილობის მომწვევ ორგანიზაციულ კომიტეტში შედიოდნენ, უკანასკნელად სცადეს შეთანხმებოდნენ პარტიის საბჭოს ყრილობის ცნობის შესახებ და მისცეს მას ვადა პასუხისათვის. — **136.**

175 «დ ნ ე ვ ნ ი კ ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ა»— არაპერიოდული ორგანო, რომელსაც გ. ვ. პლეხანოვი სცემდა; გამოდიოდა ჟენევაში დროგამოშვებით 1905 წლის მარტიდან 1912 წლის აპრილამდე; გამოვიდა 16 ნომერი. «დნევნიკის» გამოცემა განახლებულ იქნა 1915 წელს პეტროგრადში; გამოვიდა ერთი ნომერი. — **136.**

176 ლაპარაკია 1905 წ ლ ი ს 12 მ ა რ ტ ი ს ე რ თ ო ბ ლ ი ვ მ ო წ ო დ ე ბ ა ზ ე პ ა რ ტ ი ი ს ა დ მ ი ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ა და უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ თ ა ბ ი უ რ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ ამ ორ ცენტრს შორის დადებული ხელშეკრულების, III ყრილობის მოწვევის, მათ მიერ ყრილობის მომწვევი ორგანიზაციული კომიტეტის შექმნის, ყრილობის დღის წესრიგის და სხვათა შესახებ (იხ. 1905 წლის 5 აპრილის (23 მარტის) «ვპერიოდი» № 13).—**136.**

177 გაზეთ «ვპერიოდში» № 13 სათაურით «ორგანიზაციული საკითხი» გამოქვეყნებულია რსდმპ III ყრილობისადმი უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს მოხსენების პროექტი («ივანოვისა» — ა. ა. ბოგდანოვისა), რომელიც შეიცავდა პარტიის წესდების შეცვლის პროექტს. — **136.**

178 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს პ. ა. კრასიკოვის მოხსენება. კრასიკოვი რსდმპ III ყრილობის დელეგატი იყო საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტისაგან (სოკ), რომელიც საზღვარგარეთული ლიგისაგან გამოთიშულ საზღვარგარეთულ ბოლშევიკურ ჯგუფებს მეთაურობდა; საზღვარგარეთული ლიგა მისი II ყრილობის შემდეგ მთლიანად მენშევიკების ხელში იყო. — **137.**

179 კ ი ს კ ა — ლ. ა. ფოტიევა — სკკპ წევრი 1904 წლიდან. როცა ემიგრაციაში იმყოფებოდა (1904 — 1905 წწ.) ჟენევასა და პარიზში, ნ. კ. კრუპსკაიასთან ერთად ასრულებდა პარტიულ მუშაობას რუსეთის ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან კავშირის გასაბმელად. «კისკა» ფოტიევას პარტიული მეტსახელი არ ყოფილა; ასე უწოდებდნენ მას მ. ი. ულიანოვა და ნ. კ. კრუპსკაია. წერილებში ვ. ი. ლენინიც მას ზოგჯერ ასე უწოდებდა. — 137.

180 ადრესატი დადგენილი არ არის. — 138.

181 ვ. ი. ლენინი დაწვრილებით ჩერდება ფ. ენგელსის ნაწარმოებზე «Die deutsche Rlichsverfassungskampagne» («გერმანული კამპანია იმპერიის კონსტიტუციისათვის») თავის მოხსენებაში, რომელიც მან გააკეთა სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის შესახებ დროებით რევოლუციურ მთავრობაში რსდმპ III ყრილობაზე 1905 წლის 1 მაისს (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 8, გვ. 463 — 465). ენგელსის ეს ნაშრომი წარმოადგენს ბადენ-პფალცის 1849 წლის აჯანყების ისტორიის ნარკვევებს: ამ აჯანყებაში ენგელსი პირადად იღებდა მონაწილეობას როგორც ვილიხის ადიუტანტი. ნაშრომი დაიბეჭდა 1850 წელს, ჟურნალ «Neue Rheinische Zeitung. Politisch-ökonomische Revue»-ს («ახალი რაინის გაზეთი. პოლიტიკურ-ეკონომიური მიმოხილვა») პირველ სამ ნომერში. რუსული თარგმანი იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, 2 გამოც., ტ. 7, გვ. 111 — 207. — 138.

182 ცენტრალური კომიტეტის 1905 წლის 24 აგვისტოს (6 სექტემბრის) წერილი, ხელმოწერილი ცენტრალური კომიტეტის სამი წევრის (ა. ბოგდანოვისა, დ. პოსტოლოვსკისა და ი. კრასინის) მიერ, დაწერილი იყო ვ. ი. ლენინის 1905 წლის 14 აგვისტოს (ახ. სტ.) წერილის პასუხად (იხ. თხზულებანი, ტომი 34, გვ. 365 — 367).

ლენინის წერილის უკანასკნელი აბზაცი («III. ფ უ ლ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ») პასუხია სამი ცეკისტის მითითებისა, რომ გაზეთი «პროლეტარი» საზღვარგარეთ მიღებული სახსრებით უნდა იცემოდეს.— 143.

183 იგულისხმება ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია, დაბეჭდილი 1905 წლის 3 ოქტომბერს (20 სექტემბერს) გაზეთ «პროლეტარში» № 19 სათაურით «ცენტრალური კომიტეტი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ». — 144.

184 «რ ს დ მ პ ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ს ა ხ ე ლ დ ა ხ ე ლ ო ფ უ რ ცლ ე ბ ი» იცემოდა 1905 წლის ივნის—სექტემბერში, სულ

გამოვიდა 4 ნომერი. № 1-ში, რომელიც 1905 წლის 10 ივნისით (ძვ. სტ.) არის დათარიღებული, ნათქვამია: «პარტიულმა ყრილობამ ცენტრალურ კომიტეტს დააკისრა მძიმე და პასუხსაგები ამოცანა — გაუწიოს პარტიას პოლიტიკური ხელმძღვანელობა ყრილობის მიერ შემუშავებულ ძირითად მითითებათა თანახმად. ამ. ამოცანის შეასრულების ერთ-ერთი საშუალება უნდა იყოს «ცენტრალური კომიტეტის სახელდახელო ფურცლები», რომლებიც მიეძღვნება მიმდინარე ტაქტიკური და ორგანიზაციული საკითხების გარკვევას. «სახელდახელო ფურცლები» საჭიროებისდა მიხედვით გამოვა. მათი გამოცემის გარკვეული პერიოდულობით რედაქცია თავს არ იბოჭავს». № 1 დაიბეჭდა პეტერბურგის კომიტეტის სტამბაში, არასრულად გადაიბეჭდა მოსკოვის კომიტეტის სტამბაში. № 2-დან «სახელდახელო ფურცლები» ჰექტოგრაფზე იბეჭდებოდა. — **145.**

185 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს კორესპონდენცია ნიკოლაევიდან, რომელიც დაიბეჭდა 1905 წლის 26 (13) ივლისს «პროლეტარში» № 9, განყოფილებაში «პარტიიდან». — **147.**

186 რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენცია, რომელზეც წერს ვ. ი. ლენინი, გაიმართა რიგაში 1905 წლის 7 — 9 (20 — 22) სექტემბერს. კონფერენცია მოწვეული იყო რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მიერ სახელმწიფო სათათბიროს მიმართ ტაქტიკის შესამუშავებლად. კონფერენციას ესწრებოდნენ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის, მენშევიკების ორგანიზაციული კომისიის, ბუნდის, ლატვიის სოციალ-დემოკრატიის, პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის, უკრაინის რევოლუციური პარტიის წარმომადგენლები. მენშევიკების პროტესტების მიუხედავად და მათ წინააღმდეგ კონფერენციამ გამოიტანა რეზოლუცია ბულიგინის სათათბიროს აქტიური ბოიკოტის შესახებ. კონფერენციის გადაწყვეტილებანი დაიბეჭდა 1905 წლის 24 (11) ოქტომბრის «პროლეტარში» № 22 (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. 1, 1954, გვ. 111 — 115). მათი შეფასება მოცემულია ლენინის სტატიებში: «პოლიტიკური დაჯგუფების პირველი შედეგები» და «დამარცხებულთა ისტერიკა» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 9, გვ. 488 — 498 და 499 — 501). — **149.**

187 საერთაშორისო სოციალისტური ბიურო (სსბ) — II ინტერნაციონალის აღმასრულებელი ორგანო; შეიქმნა პარიზის 1900 წლის კონგრესის გადაწყვეტილებით. 1905 — 1912 წლებში ვ. ი. ლენინი შედიოდა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს შემადგენლობაში რსდმპ წარმომადგენლად. — **151.**

188 კონსპირაციის მიზნით მიწერ-მოწერაში ბერლინი პირობითად უნდა წოდებულიყო ოდესად, ხოლო კენიგსბერგი — ვარშავად.

ქვემოთ, ისევე როგორც ვ. ი. ლენინის 1905 წლის 5 ოქტომბრის წერილში (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 34, გვ. 392 — 394) ლაპარაკია ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს წევრთა საერთო კრებაზე ლენინთან ერთად. — **151.**

189 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის ნაშრომების გამოცემაზე. ხელშეკრულება ლენინის ნაწარმოებთა სამ ტომად გამოცემაზე ხელმოწერილ იქნა 1907 წლის 10 აგვისტოს გამომცემლობა «ზერნოსთან», რომლის სათაოში იდგა მ. კედროვი (ხელშეკრულების დედანი ინახება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივში). თხზულებათა განზრახული კრებულის სამი ტომიდან 1907 წლის შუა ნოემბერში (გარეკანზე აღნიშნულია 1908 წ.) გამოვიდა პირველი ტომი: «12 წლის მანძილზე. სტატიების კრებული. ტომი პირველი. ორი მიმართულება რუსულ მარქსიზმში და რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში», სპბ., 1908. მალე ტომი კონფისკებულ იქნა პოლიციის მიერ, მაგრამ მოხერხდა ტირაჟის მნიშვნელოვანი ნაწილის გადარჩენა, და წიგნი არალეგალურად ვრცელდებოდა. განზრახული მეორე ტომის ნაცვლად მოხერხდა გამოეცათ მხოლოდ კრებული: ვლ. ილინი. «აგრარული საკითხი», ნაწ. I, სპბ., 1908. ამ კრებულის მეორე ნაწილი, რომელშიც შედიოდა ნაშრომი «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 13, გვ. 265 — 396) კონფისკებულ იქნა სტამბაში. — **153.**

190 პარტიის ლონდონის ყრილობიდან დაბრუნების შემდგ ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა ფინეთში, პეტერბურგის ახლოს. იმის გამო, რომ დაპატიმრებანი დაიწყო, ბოლშევიკურმა ცენტრმა დაადგინა გადაეტანა გაზეთ «პროლეტარის» გამოცემა ფინეთიდან საზღვარგარეთ. ლენინს, აგრეთვე ა. ა. ბოგდანოვს და ი. თ. დუბროვინსკის დაევალათ საზღვარგარეთ წასულიყვნენ «პროლეტარისათვის» ხელმძღვანელობის გასაწევად. ლენინი ფინეთიდან 1907 წლის დეკემბერში გაემგზავრა, რამდენიმე დღე გაატარა სტოკჰოლმში, სადაც ნ. კ. კრუპსკაიას ელოდებოდა, 3 დღე დაჰყო ბერლინში და 1907 წლის 25 დეკემბერს (1908 წ. 7 იანვარს) ჟენევაში ჩავიდა.— **155.**

191 ლაპარაკია «პროლეტარის» სტამბისა და ექსპედიციის გამგებლობაზე. — **155.**

192 1907 წლის 13 ივნისს თბილისში მოეწყო სახელმწიფო ბანკის ფულის ექსპროპრიაცია, როცა იგი ფოსტიდან გადაჰქონდათ. ექსპროპრიაციის ორგანიზატორმა «კამომ» (ტერ-პეტროსიანმა) და მისმა ყველა მონაწილემ მოახერხეს დამალულიყვნენ. მაგრამ რუსეთის მთავრობამ თავისი ქვეყნის პოლიციას და საზღვარგარეთ აცნობა ექსპროპრიაციის დროს გატაცებული 500-მანეთიანი საკრედიტო ბილეთების სერიები და ნომრები. 1907 წლის დეკემბერს ბერლინში, მიუნხენში, პარიზში, კოპენჰაგენში, სტოკჰოლმსა და ჟენევაში ერთსა და იმავე დროს დააპატიმრეს პირნი, რომელნიც ამ ბილეთებს ახურდავებდნენ. 1907 წლის ნოემბერს ბერლინში დააპატიმრეს თბილისში მომხდარი ექსპროპრიაციის ორგანიზატორი, რომელიც გასცა პროვოკატორმა ი. ჟიტომირსკიმ. რუსეთის მთავრობამ «კამოს» ვინაობა რომ გამოარკვია, მოითხოვა გადაეცათ იგი მისთვის, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე, და «კამოს» გადაცემულ იქნა. იმისათვის, რომ მოეძებნათ თბილისში განხორციელებული ექსპროპრიაციის მონაწილენი, მოახდინეს დაპატიმრებანი პარიზის, მიუნხენის, ჟენევის და სტოკჰოლმის რუსი სოციალ-დემოკრატების კოლონიებში. — **156.**

193 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის ნაშრომზე «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 13, გვ. 265 — 542). — **157.**

194 სათათბიროს 104 დეპუტატის პროექტი, გამოქვეყნებული ფრანგულ ენაზე **«Rapport du Parti Socialiste Révolutionnaire de Russie au Congrés Socialiste International de Stuttgart» (Août 1907), gand,** 1907 («რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მოხსენება სოციალისტური ინტერნაციონალის შტუტგარტის კონგრესს (1907, აგვისტო), გენტი, 1907), გვ. 289 — 304, შეიტანა ი. მუშენკომ, II სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა, სათათბიროს აგრარული კომისიის წევრმა და ესერების ფრაქციის ოფიციალურმა მომხსენებელმა. რუსულ ენაზე პროექტი გამოქვეყნდა კრებულში «მე-2 მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს სესიის დროს დაბეჭდილი მასალები», სპბ., 1907, გვ. 486 — 491. ლენინს ეს გამოცემა არ უნახავს, რასაც მოწმობს მისი შენიშვნა, რომელიც დართული აქვს «სოციალ-დემოკრატიის აგრარულ პროგრამას რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 13, გვ. 332, სტრიქონქვეშა შენიშვნა). — **157.**

195 გ. ა. კ უ კ ლ ი ნ ი — სოციალ-დემოკრატი, ემიგრანტი, სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის გამომცემელი; 1901 წლიდან — სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის «ეიზნის» წევრი; 1905 წელს მიემხრო ბოლშევიკებს; შეაგროვა დიდი რევოლუციური ბიბლიოთეკა. კუკლინია მიერ შეგროვებული ბიბლიოთეკა ჟენევაში არსებობდა 1902 წლიდან როგორც საყოველთაოდ ხელმისაწვდომი. ბოლშევიკების ხელში იგი გადავიდა 1907 წლის ივლისში, კუკლინის სიკვდილის შემდეგ, ანდერძით.

ვ. ა. კარპინსკის წერილის პოვნა ვერ მოხერხდა; კარპინსკი იმ დროს ჟენევაში ბიბლიოთეკარად მუშაობდა კუკლინის ბიბლიოთეკაში. — **160.**

196 ზ. პ ე შ კ ო ვ ი — ა. მ. გორკის შვილობილი. — **160.**

197 ნ. ბ. ბ ო გ დ ა ნ ო ვ ა — ა. ა. ბოგდანოვის ცოლი. — **160.**

198 რსდმპ V (ლონდონის) ყრილობის დროს (1907 წ. 30 აპრილი — 19 მაისი (13 მაისი — 1 ივნისი)) პარტიის მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო ისესხეს ფული, ა. მ. გორკის დახმარებით, ერთი ინგლისელისაგან იმ პირობით, რომ ვალი 1908 წლის 1 იანვრისათვის დაებრუნებინათ. ეს ვალი ბოლშევიკურმა პარტიამ 1922 წელს დაბრუნა. — **161.**

199 ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს კ რ ე ბ ა — რსდმპ ცკ პლენუმი, რომელიც შედგა ჟენევაში 1908 წლის 11 — 13 (24 — 26) აგვისტოს. ლონდონის ვალის საკითხის გამო პლენუმმა გადაწყვიტა შეედგინა კომისია სამი პირისაგან (ბოლშევიკი, მენშევიკი, ბუნდელი) და დაევალებინა მისთვის მიეწერა წერილი ინგლისელისათვის (იხ. «საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 232). — **161.**

200 1908 წლის ოქტომბერში ი. მ. სტეკლოვმა წინადადებით მიმართა ვ. ი. ლენინს — მონაწილეობა მიეღო ნ. გ. ჩერნიშევსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ კრებულში. სტეკლოვი ლენინს უსახავდა თემას «ჩერნიშევსკი და გლეხთა საკითხი» და თხოვდა ეცნობებინა თავისი წერილის შინაარსი ბოგდანოვისათვის. ლენინმა ბოგდანოვს გაუგზავნა სტეკლოვის მთელი წერილი თავისი მინაწერით.

კრებული არ გამოსულა. — **168.**

201 ლაპარაკია საყოველთაო გაფიცვაზე შვეიცარიაში, რამაც იფეთქა 1909 წლის 4 აგვისტოს მრეწველობის სხვადასხვა დარგის 83 000 მუშის ლოკაუტის პასუხად; ლოკაუტი გამოცხადებულ იქნა მეწარმეთა კავშირის მიერ 2 აგვისტოს. გაფიცვა ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. — **165.**

202 იგულისხმება ვ. ი. ლენინის სტატია «ოტზოვიზმისა და ღვთისმშენებლობის მომხრეთა ფრაქციის შესახებ» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 16, გვ. 20 — 64). — **165.**

203 ვერ მოხერხდა იმის დადგენა, თუ როზა ლუქსემბურგის რომელ სტატიებზეა სახელდობრ ლაპარაკი. გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» № 11 1910 წლის 26 (13) თებერვალს დაბეჭდილი იყო როზა ლუქსემბურგის ერთი სტატია «ავგუსტ ბებელი». გაზეთი «პროლეტარი» რსდმპ ცკ 1910 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ არ გამოსულა. შესაძლებელია, რომ ლენინს მხედველობაში აქვს როზა ლუქსემბურგის სტატიები, რომლებიც გერმანულ ან პოლონურ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში გამოქვეყნდა და მას ლ. ტიშკამ გამოუგზავნა.—**166.**

204 ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ მალე დააპატიმრეს რუსეთში ი. ფ. დუბროვინსკი (ინოკენტი), ვ. პ. ნოგინი (მაკარი) და ი. პ. გოლდენბერგი (მეშკოვსკი). — **170.**

205 ლაპარაკია ცენტრალური კომიტეტის რუსული ნაწილის («კოლეგიის») მოწვევაზე და მის შევსებაზე ახალი წევრებით კოოპტაციის გზით. შევსება აუცილებელი გახდა იმის გამო, რომ დაპატიმრებულ იქნენ ცენტრალური კომიტეტის მთელი რიგი წევრები, რომლებიც ლონდონის ყრილობაზე 1907 წელს აირჩიეს. ლიკვიდატორები, რომლებიც უარყოფითად ეკიდებოდნენ ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობის განახლებას რუსეთში, ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ ცენტრალური კომიტეტის დარჩენილი წევრების მოწვევას და მის შემადგენლობის ახალი წევრებით შევსებას. მათ ფორმალურად უარი თქვეს მიეღოთ მონაწილეობა ცენტრალური კომიტეტის აღდგენის ცდაში, და ეს შემდეგ შეიქმნა იმ შეთანხმების დარღვევის უახლოესი საბაბი, რომელიც დადებული იყო ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმზე. ვ. ი. ლენინის დაჟინებითი მოთხოვნის შედეგად რუსეთში გამოემგზავრა ი. მარხლევსკი. — **170.**

206 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს კოპენჰაგენს გამგზავრება II ინტერნაციონალის VIII საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე, რომელიც გაიმართა 1910 წლის 28 აგვისტოს — 3 სექტემბერს (იხ. სტატიით). — **170.**

207 1910 წლის 28 სექტემბერს ვ. ი. ლენინი დაბრუნდა პარიზში კოპენჰაგენიდან, სადაც ის რჩებოდა II ინტერნაციონალის VIII საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის შემდეგ და საიდანაც გაემგზავრა სტოკჰოლმში, რათა ენახა დედა მ. ა. ულიანოვა და და მ. ი. ულიანოვა. — **171.**

208 ფ. ენგელსის სტატია **«Kann Europa abrüsten?»** («შესაძლებელია თუ არა ევროპა განიარაღდეს?» დაბეჭდილი იყო გაზეთ **«Vorwärts»**-ში («წინ») №№ 51 — 56, 58 — 59; 1893 წლის 1 — 7, 9 — 10 მარტს (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 335 — 360). — **172.**

209 ლაპარაკია ი. მარხლევსკის სტატიაზე ლ. მარტოვის წინააღმდეგ **«Ein Mißverständnis»** («გაუგებრობა»), რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ **«Die Neue Zeit»**-ის («ახალი დრო») № 4-ში, 1910 წლის 28 ოქტომბერს, გვ. 100 — 107. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ლენინის 1910 წლის 7 ოქტომბრის წერილი მარხლევსკისადმი (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 34, გვ. 487 — 493). — **173.**

210 ვ. ი. ლენინის სტატია «ისტორიული აზრი შინაპარტიული ბრძოლისა რუსეთში» მხოლოდ 1911 წლის 29 აპრილს (12 მაისს) დაიბეჭდა «სადისკუსიო ფურცელში» (რსდმპ ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» დამატება) № 3 (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 16, გვ. 468 — 492). — **173.**

211 პროექტი ვ. ი. ლენინის პასუხისა კ. ჰიუისმანსის წერილზე არ არის ნაპოვნი. — **176.**

212 ლაპარაკია მეფის რუსეთის მიერ ბოლშევიკური ლეგალური ჟურნალის «მისლის» დახურვაზე; ჟურნალი გამოდიოდა მოსკოვში 1910 წლის დეკემბრიდან 1911 წლის მაისამდე. — **177.**

213 ვ. ი. ლენინს მზედველობაში აქვს რუსული თარგმანი კ. კაუცკის ბროშურისა — **«Taktische Strömungen in der deutschen Sozialdemokratie», Berlin,** 1911 («ტაქტიკური მიმართულებანი გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში», ბერლინი, 1911); თარგმანის დასაწყისი დაიბეჭდა ჟურნალ **«მისლის»** № 5-ში 1911 წლის აპრილს და ჟურნალის დახურვის საბაბი შეიქმნა. — **178.**

214 ლაპარაკია კ. კაუცკის სტატიაზე **«Malthusianismus und sozialismus»**

(«მალთუზიანობა და სოციალიზმი»), რომელიც დაბეჭდილი იყო ჟურნალ «Die Neue Zeit»-ის («ახალი დრო») 18, 19, 20 №№-ში 1911 წლის თებერვალს. — **178.**

215 იგულისხმება ი. მ. სტეკლოვის წიგნი «ნ. გ. ჩერნიშევსკი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა (1828 — 1889)», რომელიც 1909 წელს გამოიცა. — **178.**

216 ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო (ცკსბ) შექმნა ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1908 წლის აგვისტოში როგორც საერთო-პარტიული წარმომადგენლობა საზღვარგარეთ, დაქვემდებარებული ცენტრალური კომიტეტის რუსეთის კოლეგიისადმი. მალე ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროში ლიკვიდატორული უმრავლესობა ჩამოყალიბდა, და ბიურო ანტიპარტიული ძალების თავმოყრის ცენტრი გახდა. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს ლიკვიდატორულმა ტაქტიკამ აიძულა ბოლშევიკები გაეწვიათ 1911 წლის მაისში მისი შემადგენლობიდან თავიანთი წარმომადგენელი (ალექსანდროვი — ნ. ა. სემაშკო). უფრო გვიან გაწვეულ იქნენ პოლონეთისა და ლატვიის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები.

1912 წლის იანვარში მოხდა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს თვითლიკვიდაცია. — **180.**

217 ორგანიზაციული კომისია (საზღვარგარეთული ორგანიზაციული კომისია) და ტექნიკური კომისია (საზღვარგარეთული ტექნიკური კომისია) შექმნა 1911 წლის ივნისში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირმა პრაღის პარტიული კონფერენციის მოწვევის მომზადებასთან დაკავშირებით.

ორგანიზაციული და ტექნიკური კომისიების წევრთა უმრავლესობის (ვ. კ. ვლადიმიროვი, ვ. ლ. ლედერი, ა. ი. ლიუბიმოვი და სხვ.) შეშარიგებლურმა პოლიტიკამ და უარმა, რომ დამორჩილებოდნენ შექმნილი რუსეთის ორგანიზაციული კომისიის გადაწყვეტილებას, აიძულეს ბოლშევიკ-ლენინელები გასულიყვნენ ამ კომისიების შემადგენლობიდან და თავიდან მოეხსნათ პასუხისმგებლობა მათი მოქმედებისათვის. — **180.**

218 გოლოსელები — მენშევიკ-ლიკვიდატორები, რომლებიც დაჯგუფებული იყვნენ თავიანთი საზღვარგარეთული ორგანოს «გოლოს სოციალ-დემოკრატას» გარშემო (ვ. ბ. აქსელროდი, თ. ი. დანი, ლ. მარტოვი, ა. ს. მარტინოვი, ნ. პოტრესოვი და სხვ.); ეს ორ-

განო გამოდიოდა ჟენევაში, შემდეგ კი პარიზში 1908 წლის თებერვლიდან 1911 წლის დეკემბრამდე. — **181.**

219 ვ ა პ ე რ ი ო დ ე ლ ე ბ ი — ანტიპარტიული ჯგუფის «ვპერიოდის» მომხრეები: იგი შედგებოდა ოტზოვისტებისა, ულტიმატისტებისა, ღვთისმშენებლებისა და ემპირიომონისტებისაგან (მახისა და ავენარიუსის რეაქციულ-იდეალისტური ფილოსოფიის მომხრეებისაგან); ჯგუფი შეიქმნა 1909 წლის დეკემბერში ა. ბოგდანოვისა და გ. ალექსინსკის ინიციატივით; გარდა ამისა მასში შედიოდნენ: ა. ვ. ლუნაჩარსკი, მ. ნ. ლიადოვი, მ. ნ. პოკროვსკი, ა. ვ. სოკოლოვი და სხვ. ჯგუფს ჰქონდა იმავე სახელწოდების თავისი ბეჭდვითი ორგანო. 1912 წელს ვპერიოდელები მენშევიკ-ლიკვიდატორებთან ერთად გაერთიანდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ საერთო ანტიპარტიულ ბლოკად (აგვისტოს ბლოკი), რომელიც ტროცკიმ შექმნა. ჯგუფი მუშების მხარდაჭერით არ სარგებლობდა და ფაქტიურად დაიშალა 1913 წელს. მისი საბოლოო დაშლა მოხდა 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ. — **181.**

220 იგულისხმება ვ. ი. ლენინის ნაშრომი «პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი», განყოფილება, რომელიც მიძღვნილია რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმზე შემარიგებელთა მიერ დაკავებული პოზიციის ანალიზისადმი (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 16, გვ. 280 — 287). — **184.**

221 პარტიული სკოლა ლონჟიუმოში, პარიზის მახლობლად, შექმნა ბოლშევიკურმა ცენტრმა რუსეთიდან ჩამოსული მუშაკებისათვის 1911 წლის ზაფხულში. ლექციებს სკოლებში კითხულობდნენ ვ. ი. ლენინი, ი. ფ. არმანდი, ნ. ა. სემაშკო და სხვ. სკოლის მსმენელთა შორის იყვნენ გ. კ. ორჯონიკიძე, ი. დ. ზევინი, ი. ი. შვარცი, მუშები ი. ბელოსტოცკი, ა. ი. დოგადოვი, ი. ვ. პრისიაგინი. მეცადინეობა შედგებოდა ლექციებისაგან და მსმენელთა სემინარული მუშაობისაგან. სკოლადამთავრებულნი დიდ პარტიულ მუშაობას ეწეოდნენ რუსეთში.

წერილი, რომელსაც ლენინი იხსენიებს, იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 34, გვ. 516 — 518. — **186.**

222 როგორც ეტყობა, «ბ ა ზ რ ო ბ ა დ» იგულისხმებოდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირი პარიზში 1911 წლის 28 მაისიდან 4 ივნისამდე (10 — 17 ივნისი.) — **186.**

223 ვ. ლენინის რეფერატი თემაზე «სტოლიპინი და რევოლუცია» წაკითხულ იქნა ჟენევაში 1911 წლის 19 სექტემბერს (2 ოქტომბერს), ორშაბათს. — **189.**

224 იგულისხმება: გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» კომპლექტი, ი. კამენევის ბროშურა «ორი პარტია» ნ. ლენინის წინასიტყვაობით (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 17, გვ. 260 — 265), გ. ვ. პლეხანოვის «სოციალ-დემოკრატის დღიური» და ს. ტ. არკომედის წიგნი «მუშათა მოძრაობა და სოციალ-დემოკრატი» კავკასიაში», ნაწილი I, გ. ვ. პლეხანოვის წინასიტყვაობით, ჟენევა, 1910. — **190.**

225 იგულისხმება მშვიდობის XIX საერთაშორისო კონგრესი, რომელიც შედგა 1912 წლის 22 — 28 სექტემბერს (ახ. სტ.) ჟენევაში. — **196.**

226 «მელითონე» — ერთ-ერთი სახელწოდება ჟურნალისა «მელითონე მუშა», რომელიც მელითონეთა პროფესიული კავშირის ორგანოს წარმოადგენდა; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 30 აგვისტოდან (12 სექტემბრიდან) 1914 წლის 13 (26) ივნისამდე. თავდაპირველად ჟურნალის რედაქცია, ისევე როგორც კავშირის გამგეობა, ლიკვიდატორთა ხელში იყო. 1913 წელს, კავშირის გამგეობის ხელახალი არჩევნების შემდეგ, კავშირისა და ჟურნალის რედაქციის ხელმძღვანელობა ბოლშევიკების ხელში გადავიდა. — **197.**

227 «სოვრემენნი მირ» — ყოველთვიური ლიტერატურული, სამეცნიერო და პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლიდან 1918 წლამდე. ჟურნალში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკები. პლეხანოვის ჯგუფთან მენშევიკ-პარტიელთა ბლოკის პერიოდში და 1914 წლის დამდეგს ჟურნალში თანამშრომლობდნენ ბოლშევიკები. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს (1914—1918) ჟურნალი სოციალ-შოვინისტების ორგანო ვახდა.—**204.**

228 ლაპარაკია II ინტერნაციონალის ბაზელის საგანგებო ყრილობის კომისიაზე, რომელსაც დავალებული ჰქონდა ომის საფრთხის წინააღმდეგ მანიფესტის შემუშავება. კონგრესი, რომელიც მოწვეული იყო ბალკანეთის ომთან და მსოფლიო იმპერიალისტური ომის გაძლიერებულ მუქარასთან დაკავშირებით, მიმდინარეობდა 1912 წლის 24 — 25 ნოემბერს (ახალი სტილით). მანიფესტის შემმუშავებელ კომისიაში შევიდა საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისისა და რუსეთის თითო წარმომადგენელი. რსდმპ წარმომადგენლებთან და საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროსთან შეთანხმებით, რუსეთის წარმომადგენლად კომისიაში იყო ი. რუბანოვიჩი (ესერი). კონგრესის 25 ნოემბრის

სხდომაზე ერთხმად მიიღეს მანიფესტი, რომელიც მუშებს მოუწოდებდა გამოეყენებინათ პროლეტარიატის ორგანიზაცია და ძლიერება რევოლუციური ბრძოლისათვის ომის საფრთხის წინააღმდეგ. — **206.**

229 იგულისხმება საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომა, რომელიც გაიმართა ბრიუსელში 1912 წლის 28 — 29 ოქტომბერს (იხ. სტ.); სხდომაზე გადაწყდა მოეწვიათ საგანგებო სოციალისტური კონგრესი. რუსეთის წარმომადგენლებად სხდომაზე იყვნენ გ. პლეხანოვი და ი. რუბანოვიჩი. საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს განსაკუთრებული დახურული სხდომა მიეძღვნა რუსეთის საქმეებს — **206.**

230 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს კ. კაუცკის სტატია **«Der Krieg und die Internationale»** («ომი და ინტერნაციონალი»), რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ **«Die Neue Zeit»**-ის («ახალი დრო») № 6-ში, 1912 წლის 8 ნოემბერს, გვ. 191 — 192. — **206.**

231 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის სტატიაზე «ამერიკაში პრეზიდენტის არჩევნების შედეგები და მნიშვნელობა» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 18, გვ. 485 — 488). — **209.**

232 ტ ე ო დ ო რ რ უ ზ ვ ე ლ ტ ი — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი 1901 — 1909 წლებში.— **209.**

233 «მოწოდება გონებისადმი» («A to Reason») — ამერიკელი სოციალისტების გაზეთი; დაარსდა 1895 წელს. — **210.**

234 სტატია «პრავდაში» არ ყოფილა დაბეჭდილი. — **214.**

235 «ზ ა პ რ ო ს ი ე ი ზ ნ ი» — ყოველკვირეული ჟურნალი; გამოდიოდა 1909 — 1912 წლების მანძილზე პეტერბურგში. ჟურნალში თანამშრომლობდნენ კადეტები, სახალხო სოციალისტები და მენშევიკ-ლიკვიდატორები. სტუდენტ მ-ს სტატია «სტუდენტობის განწყობილება» დაბეჭდილი იყო ჟურნალის № 47-ში, 1912 წლის 23 ნოემბერს. — **214.**

236 ლაპარაკია რსდმპ ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის ანგარიშზე II ინტერნაციონალის ბაზელის კონგრესის შესახებ. ეს ანგარიში დაიბეჭდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 30-ში, 1913 წლის 12 (25) იანვარს. — **217.**

237 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ცენტრალური კომიტეტის ექვსი წარმომადგენლის გასვლა რსდმპ ქვესექციიდან ბაზელის კონგრესზე.

თავიანთი გასვლა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებმა იმით დაასაბუთეს, რომ ისინი არ ეთანხმებიან ქვესექციის მიერ პეტერბურგის «საინიციატივო ჯგუფის» წარმომადგენლის მანდატის დამტკიცებას, რადგან ეს ჯგუფი მტრული ორგანიზაციაა და პარტიასთან ბრძოლას აწარმოებსო. — **217.**

238 «პ რ ო ს ვ ე შ ჩ ე ნ ი ე» — ყოველთვიური ბოლშევიკური ორგანო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი; გამოდიოდა ლეგალურად პეტერბურგში 1911 წლის დეკემბრიდან 1914 წლის ივნისამდე. ჟურნალი შეიქმნა ვ. ი. ლენინის მითითებით მეფის მთავრობის მიერ დახურული ბოლშევიკური ჟურნალის «მისლი» ნაცვლად, რომელიც მოსკოვში გამოდიოდა. ლენინი საზღვარგარეთიდან ხელმძღვანელობდა «პროსვეშჩენიეს», რედაქციას უკეთებდა სტატიებს, რეგულარულ მიწერ-მოწერას აწარმოებდა სარედაქციო კოლეგიის წევრებთან. ჟურნალში გამოქვეყნებული იყო ლენინის ნაშრომები: «საარჩევნო კამპანიის პრინციპული საკითხები», «მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი», «კრიტიკული შენიშვნები ეროვნული საკითხის გამო», «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ» და სხვ.

ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» მუდმივი თანამშრომელი იყო ვ. მ. მოლოტოვი; ჟურნალის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ი. ბ. სტალინი; სამხატვრო-ლიტერატურულ განყოფილებას რედაქციას უწევდა ა. მ. გორკი. სარედაქციო კოლეგიაში მუშაობდნენ: მ. ა. საველიევი, მ. ს. ოლმინსკი, ა. ი. ელიზაროვა და სხვ. ჟურნალის ტირაჟი 5 ათას ეგზემპლარამდე ადიოდა. პირველი მსოფლიო ომის წინ ჟურნალი მთავრობამ დახურა. 1917 წლის შემოდგომაზე «პროსვეშჩენიეს» გამოცემა განახლდა, მაგრამ გამოვიდა ჟურნალის მხოლოდ ერთი (ორმაგი) ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია ლენინის ნაშრომები «შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას?» და «პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის». — **218.**

239 «კ უ რ ი უ ლ ი მ უ შ ე ბ ი ს ე ქ ვ ს ე უ ლ ი» — IV სახელმწიფო სათათბიროს 6 სოციალ-დემოკრატი დეპუტატი ბოლშევიკი (ა. ე. პადაევი, რ. ვ. მალინოვსკი (შემდეგში მხილებულ იქნა როგორც პროვოკატორი), მ. კ. მურანოვი, გ. ი. პეტროვსკი, ფ. ნ. სამოილოვი, ნ. რ. შაგოვი), რომლებიც სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მუშათა კურიით გავიდნენ. — **218.**

240 იხ. «რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა (რომელიც 1907 წელს შედგა). ოქმების სრული ტექსტი». ცენტრალური კომიტეტის გამოცემა, პარიზი, 1909, გვ. 451 (იხ. აგრე-

თვე «რსდმპ მეხუთე ყრილობა. 1907 წლის მაისი — ივნისი», მე-2 გამოც., მ., პარტგამომცემლობა, 1935, გვ. 723). — **218.**

241 იგულისხმება ლ. მარტოვის სტატია «საერთაშორისო ბიურო სოც.-დემოკრატების ერთიანობის შესახებ», რომელშიც გადმოცემული იყო, რომ გ. ვ. პლეხანოვმა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომაზე ბრიუსელში (1912 წ. 28 — 29 (ახ. სტ.) ოქტომბერი) განაცხადა: შორს არ არის ის დრო, როდესაც რუსი სოციალ-დემოკრატები გაერთიანდებიან არა მარტო ერთმანეთს შორის, არამედ ესერებთანაც. — **219.**

242 პირველი სტატია გამოქვეყნებული იყო (ასეთივე სათაურით) გაზ. «პრავდაში» № 191, 1912 წლის 12 დეკემბერს (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 18, გვ. 530 — 531); მეხუთე — ქვემოთ იბეჭდება; მეორე და მეოთხე ჯერ არ არის ნაპოვნი. — **223.**

243 იგულისხმება 1907 წლის 5 — 12 (18 — 25) ნოემბერს ჰელსინგფორსში შემდგარი რსდმპ მეოთხე («საერთო-რუსეთის მესამე») კონფერენციის რეზოლუცია «სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკის შესახებ» (იხ. სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 226 — 227). — **223.**

244 ლაპარაკია პარიზში 1908 წლის 21 — 27 დეკემბერს (1909 წ. 3 — 9 იანვარს) შემდგარი რსდმპ მეხუთე კონფერენციის რეზოლუციაზე «სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ» (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 245 — 248). — **224.**

245 იგულისხმებიან მენშევიკ-პარტიელები — მენშევიკების მცირე ჯგუფი პლეხანოვის მეთაურობით, რომელიც მენშევიკ-ლიკვიდატორებს გამოეყო და ლიკვიდატორობის წინააღმდეგ გამოდიოდა 1908 — 1912 წლებში. — **224.**

246 «ნაშა ზარია» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ყოველთვიური ლეგალური ეურნალი; გამოდიოდა 1910 — 1914 წლების მანძილზე პეტერბურგში. «ნაშა ზარიას» გარშემო ჩამოყალიბდა ლიკვიდატორების ცენტრი რუსეთში. — **224.**

247 იაგელო, ე. ი. — პოლონეთის სოციალისტური პარტიის (პსპ) წევრი — არჩეულ იქნა IV სათათბიროს დეპუტატად ქ. ვარშავიდან.

ბოლშევიკები კატეგორიულად ილაშქრებდნენ იაგელოს ს.-დ. ფრაქციაში მიღების წინააღმდეგ, რადგან იაგელო სათათბიროში ბურჟუაზიის დახმარებითა და პსპ და ბუნდის ბლოკის მხარდაჭერით გაიცდა. დეპუტატ-ბოლშევიკების ზეგავლენით მისი უფლებები ფრაქციის შიგნით შეზღუდულ იქნა: ყველა შინაპარტიულ საკითხზე იაგელომ სათათბირო ხმა მიიღო. — **226.**

248 იგულისხმება ი. ბ. სტალინის სტატია «იაგელო, როგორც ს.-დ. ფრაქციის არასრულუფლებიანი წევრი», რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 182, 1912 წლის 1 დეკემბერს. — **229.**

249 გერმანიის საყოველთაო მუშათა კავშირი (1863—1875) — ფ. ლასალის მიერ შექმნილი ოპორტუნისტული ორგანიზაცია. კავშირი თავის მიზნებს ზღუდავდა საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლით და მშვიდობიანი პარლამენტური საქმიანობით; მოითხოვდა საწარმოო მუშათა ამხანაგობების შექმნას, რომლებსაც დახმარებას გაუწევდა სახელმწიფო, და მათ თვლიდა ისეთ საშუალებად, რომელიც ვითომ უზრუნველყოფდა ახალი საზოგადოების აშენებას; გლეხობას განიხილავდა, როგორც რეაქციულ მასას. კავშირი იწონებდა პრუსიის მთავრობის რეაქციულ პოლიტიკას და გერმანიის ზემოდან, პრუსიის დინასტიური ომების გზით გაერთიანებას. — **234.**

250 განსაკუთრებული კანონი სოციალისტების წინააღმდეგ შემოღებულ იქნა გერმანიაში 1878 წელს. ამ კანონით აიკრძალა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა ორგანიზაცია, მასობრივი მუშათა ორგანიზაციები, დახურულ იქნა მუშათა პრესა, აიკრძალა სოციალისტური ლიტერატურა, დაიწყო სოციალ-დემოკრატების გადასახლება. მასობრივი მუშათა მოძრაობის ზეგავლენით კანონი სოციალისტების წინააღმდეგ გაუქმებულ იქნა 1890 წელს. — **235.**

251 იგულისხმება ვ. ი. ლენინის წიგნი «12 წლის მანძილზე. სტატიების კრებული. ტომი პირველი. ორი მიმართულება რუსულ მარქსიზმში და რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში», გამოცემული 1907 წელს პეტერბურგში ვლ. ილინის ფსევდონიმით. ეს წიგნი, მეფის მთავრობის განკარგულებით კონფისკაციაქმნილი, მეორედ გამოიცა 1918 წელს. — **236.**

252 საყოველთაო გაფიცვა ბელგიაში მიმდინარეობდა 1913 წლის 14 — 24 აპრილს (ახალი სტილით). ბელგიის პროლეტარიატი გამოვიდა კონსტიტუციური რეფორმის — საყოველ

თაო თანასწორი საარჩევნო უფლების მოთხოვნით. მუშების საერთო რიცხვიდან — ერთ მილიონზე მეტიდან გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო 400 — 500 ათასმა კაცმა. «პრავდაში» სისტემატურად შუქდებოდა გაფიცვის მსვლელობა, იბეჭდებოდა ცნობები გაფიცულთა სასარგებლოდ რუსი მუშების შეწირულების შესახებ. — **245.**

253 «ფინანსების, მრეწველობისა და ვაჭრობის მოამბე» — ფინანსთა სამინისტროს ყოველკვირეული ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1885 წლიდან 1917 წლამდე. — **248.**

254 «მრეწველობა და ვაჭრობა» — ჟურნალი, მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენელთა ყრილობების საბჭოს ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1908 წლის იანვრიდან 1917 წლის დეკემბრამდე. ჟურნალი გამოხატავდა მსხვილი ვაჭარ-მრეწველთა ბურჟუაზიის ინტერესებს. — **253.**

255 გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭო — კონტრრევოლუციური მემამულური ორგანიზაცია, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა მეფის მთავრობის პოლიტიკაზე; შეიქმნა 1906 წლის მაისში; თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მსხვილი მიწათმფლობელი გრაფი ა. ა. ბობრინსკი. III სახელმწიფო სათათბიროს პერიოდში საბჭოს წევრთა მნიშვნელოვანი რიცხვი სახელმწიფო საბჭოში და შავრაზმული ორგანიზაციების ხელმძღვანელ ცენტრებში შეღიოდა. — **268.**

256 ლენინს მხედველობაში აქვს სამი ივნისის (1907 წლის 3 (16) ივნისის) საარჩევნო კანონი, რომელმაც უზრუნველყო III და IV სახელმწიფო სათათბიროს შავრაზმულ-კადეტური შემადგენლობა. სამი ივნისის საარჩევნო კანონის მიხედვით ერთი ამომრჩევი მოდიოდა: მიწათმოქმედთა კურიის ხაზით (მემამულენი) — 230 ამომრჩეველზე, პირველი საქალაქო კურიის ხაზით (მსხვილი ბურჟუაზია)— 1 ათას ამომრჩეველზე, მეორე საქალაქო კურიის ხაზით (ქალაქის დანარჩენი ამომრჩეველნი) — 15 ათას ამომრჩეველზე, გლეხთა კურიის ხაზით — 60 ათას ამომრჩეველზე და მუშათა კურიის ხაზით — 125 ათას ამომრჩეველზე. — **274.**

257 ჩარტიზმი (ინგლისურად «ჩარტერ» — ქარტია) — ინგლისელი მუშების მასობრივი რევოლუციური მოძრაობა, რაც ძძიმე ეკონომიური მდგომარეობითა და პოლიტიკური უუფლებობით იყო გამოწვეული. მოძრაობა დაიწყო 30-იანი წლების დამლევს გრანდიოზული მიტინგ-დემონსტრაციებით და გრძელდებოდა ხანგამოშვებით XIX საუკუნის 50-იანი წლების დამდეგამდე.

ჩარტისტული მოძრაობის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი იყო თანმიმდევრულად რევოლუციური პროლეტარული ხელმძღვანელობისა და ნათელი პროგრამის უქონლობა. — **275.**

258 იგულისხმება ს. ტ. არკომედის წიგნი «მუშათა მოძრაობა და სოციალ-დემოკრატია კავკასიაში» გ. ვ. პლეხანოვის წინასიტყვაობით, ჟენევა, 1910 წელი.

ნ. ჟორდანია (კოსტროვი) თავის სტატიებს ათავსებდა ქართულ ჟურნალ «წყაროში», რომელიც ბაქოში გამოდიოდა, და გაზეთ «ჩვენს ცხოვრებაში». — **279.**

259 იგულისხმება 1913 წლის 25 მაისის «პრავდა» № 199, სადაც მოთავსებულია ვ -ს (მ. ს. ოლმინსკის) სტატია «საეჭვო შეცდომა».—**279.**

260 ლაპარაკია რსდმპ საზღვარგარეთული ორგანიზაციების ბერნის მეორე კონფერენციაზე, რომელზეც ლენინი 1913 წლის 3 აგვისტოს (ახ. სტ.) გამოვიდა მოხსენებით «საქმის ვითარების შესახებ პარტიაში».— **280.**

261 იგულისხმება ვ. სტეპანიუკის სტატია: «უკრაინული მარქსიზმის ისტორიიდან», რომელიც დაბეჭდილია 1914 წლის ივნისის «პროსვეშჩენიეში» № 6. — **280.**

262 ი უ რ ი, — როგორც ეტყობა, ა. ბეკზადიანი, სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკი, 1904 — 1906 წლებში აქტიურ არალეგალურ მუშაობას ეწეოდა ბაქოში; რეაქციის წლებში საზღვარგარეთ გაიხიზნა. — **280.**

263 სათაური რედაქციისაა. ეს წერილი ვ. სტეპანიუკს გაეგზავნა გ. ი. საფაროვისადმი მიმართულ წერილთან ერთად (იხ. ეს ტომი, გვ. 280). — **281.**

264 ბ ა ს ო კ ი — მ. მ. მ ე ლ ე ნ ე ვ ს კ ი — უკრაინის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის «სპილკის» («კავშირის») წევრი; მელენევსკის ნაციონალიზმი სავსებით გამოვლინდა უფრო გვიან ომის დროს. ბასოკის რა სტატიაზეა ლაპარაკი, დადგენილი არ არის. — **281.**

265 ლაპარაკია სრულიად უკრაინის სტუდენტობის ყრილობაზე, რომელიც გაიმართა ლვოვში 1913 წლის 2 — 5 ივლისს (ახ. სტ.). ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის უკრაინელი სტუდენტობის წარმომადგენლებიც. უკრაინელმა სოც.-დემოკრატმა დონცოვმა (რომელიც შემდგომ ფაშიზმამდე დაჭანდა) წაიკითხა მოხსენება თემაზე: «უკრაინელი ახალგაზრდობა და ერის ახლანდელი მდგომარეობა». დონცოვის მიერ წამოყენებულ «დამოუკიდებელი»

უკრაინის ლოზუნგს მხარი დაუჭირეს სახალხო დემოკრატებმა, მაგრამ მან პროტესტი გამოიწვია რუსეთიდან გახიზნული უკრაინელი სოციალ-დემოკრატების ჯგუფის მხრივ, რომლებმაც განაცხადეს დონცოვის აზრი უკრაინელი სოციალ-დემოკრატების აზრს არ წარმოადგენსო. ამ პროტესტს ყრილობაზე მხარი არ დაუჭირეს და კამათის შედეგად მიღებულ იქნა დონცოვის რეზოლუცია, რომელიც აყალიბებდა უკრაინელი სეპარატისტების პროგრამას. — 282.

266 ა. ბ ე ბ ე ლ ი ა ნ ი რსდმ პარტიის წარმომადგენელი იყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე, რომელიც მიმდინარეობდა ივნაში 1913 წლის 14-დან 20 სექტემბრამდე. — 283.

267 იგელისხმება «მფლობელთაგან» ფულის მიღების საკითხის გადაჭრა. ბოლშევიკებს უნდოდათ ესარგებლნათ ყრილობით და მოეთავებინათ მფლობელთა ფულის საქმე. საქმე გაჭიანურდა, რადგან ლ. ტიშკა და როზა ლუქსემბურგი, რომლებიც სარგებლობდნენ «მფლობელებთან» — კ. ცეტკინთან, კ. კაუცკისა და ფ. მერინგთან თავიანთი სიახლოვით და თანაუგრძნობდნენ შემარიგებლებს, ყოველნაირად ხელს უშლიდნენ ფულის ბოლშევიკებისათვის დაბრუნებას. — 283.

268 ზ. ლ ე დ ე რ ი — პოლონელი სოციალ-დემოკრატი, პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთის მომხრე («როზლამოველი»). — 284.

269 ლაპარაკია იმ სასამართლოს გადაწყვეტილების გადამსინჯავი კომისიის შესახებ, რომელიც მოაწყო პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის მთავარმა გამგეობამ კ. რადეკისათვის მთელ რიგ არაეთიკურ საქციელში ბრალის დადების გამო; ამ სასამართლოს დადგენილებით რადეკი გარიცხულ იქნა პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრობიდან.

კომისია შეიქმნა 1913 წლის სექტემბრის დამდეგს პარიზში პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული სექციების («როზლამოველების») ბიუროს ინიციატივით.

კომისია ხუთი თვის განმავლობაში მუშაობდა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არ იყო საფუძველი პარტიულ სამართალში მიეცათ კ. რადეკი და გაერიცხათ იგი პარტიიდან.

ლენინი, რომელიც ოპოზიციის მხარეზე იდგა და ფიქრობდა, რომ პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის მთავარი გამგეობის მიერ კ. რადეკისათვის ბრალის დადება დაკავშირებული იყო მწვავე ბრძოლასთან, რასაც მთავარი გამგეობა ეწეოდა ოპოზიციასთან —

«როზლამოველებთან», და ფრაქციული მოტივებით იყო გამოწვეული, — მხარს უჭერდა ოპოზიციის მომხრე კ. რადეკის საქმის გადასინჯვას.

პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის მთავარი გამგეობისა და ოპოზიციის («როზლამოველების») უთანხმოებათა ისტორიაზე იხ. ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემის 19 ტომის შენიშვნა 113. — **284.**

270 ვ. ვოიტინსკის მოთხრობის «ტალღების» ნაწყვეტი სათაურით «სინათლის შუქი ღამეში» მოთავსებულია 1914 წელს ჟურნალ «პროსვეშჩენიეში» № 4. ვ. ი. ლენინის წერილიდან ა. მ. გორკისადმი, რომელიც 1913 წლის შუა ნოემბერშია დაწერილი (იხ. ეს ტომი, გვ. 289), ჩანს, რომ ა. მ. გორკი ვოიტინსკის მოთხრობის «პროსვეშჩენიეში» მოთავსების **წინააღმდეგ** გამოსულა. ამიტომ ძნელია ითქვას, წერილებში მოთხრობა «ტალღებზეა» ლაპარაკი თუ ვ. ვოიტინსკის რომელიმე სხვა ხელნაწერზე. — **286.**

271 ლაპარაკია ვ. ვოიტინსკის ხელნაწერზე (იხ. ეს ტომი, გვ. 227).—**289.**

272 იხ. ვ. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 35, გვ. 113—117.— **288.**

273 ლაპარაკია ნ. ბუხარინის სტატიაზე «ბ-ნ სტრუვეს ოინები», რომელიც მოთავსებულია 1913 წელს ჟურნალ «პროსვეშჩენიეში» № 12; სტატია წარმოადგენს რეცენზიას პ. სტრუვეს წიგნისა «მეურნეობა და ფასი. ნაწ. I. მეურნეობა და საზოგადოება. — ფასი-ფასეულობა», სპბ.— მ., ვ. პ. რიაბუშინსკის გამომცემლობა, 1913.— **289.**

274 რედაქციის მდივანი კ. ნ. სამოილოვა იუწყებოდა გაზეთ «პუტ პრავდის» დახურვის ამბავს. დახურვის საბაბი შეიქმნა ის, რომ გაზეთში 1914 წლის 23 იანვარს გამოქვეყნდა სტატია «იგი იმისთვის არსებობს...» მ. ფ-ს ფსევდონიმით (მ. ფირინი. შემდეგში მხილებული პროვოკატორი მ. ე. ჩერნომაზოვი), რომელშიც დადგენილი იყო გაზეთ «პრავდის» სხვადასხვა სახელწოდების მონაცვლეობა: «პრავდა», «რაბოჩაია პრავდა», «სევერნაია პრავდა», «პრავდა ტრუდა» და ა. შ. — **290.**

275 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს თავისი მგზავრობა პარიზში, ბრიუსელში, ლიეჟსა და ლაიფციგში ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობის მუშაობასთან და ეროვნული საკითხის გამო რეფერატების წაკითხვასთან დაკავშირებით. — **290.**

276 იხ. ვ. ლენინი, თხზულებანი, 4 გამოც., ტ. 20, გვ. 101—105.—**290.**

277 «ბ ო რ ბ ა» — ტროცკის ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1914 წლის თებერვლიდან ივლისამდე. ტროცკი «არაფრაქციულობით» ინიღბებოდა და ჟურნალის ფურცლებზე ბრძოლას აწარმოებდა ლენინის წინააღმდეგ, ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. — 290.

278 ბოლშევიკური «პრავდა» 1913 წლის 7 (20) დეკემბრიდან 1914 წლის 21 იანვრამდე (4 თებერვლამდე) გამოდიოდა «პროლეტარსკაია პრავდას» სახელწოდებით, ხოლო 22 იანვრიდან (4 თებერვლიდან) 21 მაისამდე (3 ივნისამდე) — «პუტ პრავდის» სახელწოდებით.— 291.

279 «მ ი ს ლ» — ბოლშევიკური ლეგალური ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-ეკონომიური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1910 წლის დეკემბრიდან 1911 წლის აპრილამდე. ჟურნალი შექმნა ლენინმა ლიკვიდატორული ჟურნალების საპირისპიროდ და მათთან საბრძოლველად. — 291.

280 იგულისხმება ტროცკის მიერ თავისი ანტიპარტიული, ფრაქციული ჟურნალის «ბორბას» გამოცემა. — 292.

281 ლატვიელი სოციალ-დემოკრატების IV ყრილობაზე, რომელიც მიმდინარეობდა 1914 წლის 26 იანვრიდან 8 თებერვლამდე (ახ. სტ.), გადაწყდა საკითხი, რომ ლატვიელ სოციალ-დემოკრატებს კავშირი გაეწყვიტათ მენშევიკურ ორგანიზაციულ კომიტეტთან (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 20, გვ. 440 — 443). — 292.

282 სტატისტიკური მონაცემები «პრავდისა» და «ლუჩისათვის» ფულის შეგროვების შესახებ, რასაც ლენინი იხსენიებს, მოყვანილია ლენინის სტატიაში «მუშათა კლასი და მუშათა პრესა» (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 20, გვ. 444 — 453). — 292.

283 იგულისხმება სახელმწიფო სათათბიროს ორივე სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის — ბოლშევიკური «ექვსეულისა» და მენშევიკური «შვიდეულის» სასარგებლოდ მიცემული მუშათა ხმების სტატისტიკა (იხ. ცხრილი, ლენინის სტატიაში «მუშების გამოხმაურება სახელმწიფო სათათბიროში რსდმ ფრაქციის შექმნაზე», თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 20, გვ. 669). — 292.

284 ლენინს მხედველობაში აქვს ბროშურა «რუსეთის მუშათა პრესის ისტორიიდან», რომელიც გამოვიდა გაზეთ «რაბოჩის» № 1-ლის სახით 1914 წლის 22 აპრილს. ნომერი მთლიანად მიძღვნილია რუსეთის მუშათა პრესის ისტორიისადმი. — 292.

285 ლაპარაკია ვ. იან-სკის (ს. ს. დანილოვის) რეცენზიაზე ვ. ლევიცკის წიგნის გამო «ავგუსტ ბებელი. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა». რეცენზიაში ნათქვამია: «ლევიცკი ცდილობს მკითხველის განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ბებელის დამოკიდებულებას «კომპრომისებისადმი», ლიბერალებთან შეთანხმებისადმი, ამასთან მას მხედველობაში აქვს, ასე ვთქვათ, მაგალითად დაუსახოს ბებელი ზოგ ვინმეს»... «ლევიცკის გადმოცემისათვის უცხო არ არის ფრაქციულობა, იგი დიდ გერმანელ ბელადს და მის შეხედულებებს არასწორად გვიხატავს...» — 292.

286 იგულისხმება წიგნი: Isaak A. Hourwich. «Immigration and Labour. The Economic aspects of European Immigration to the United States». New York and London. 1912. (ისააკ ა. გურვიჩი. «იმიგრაცია და შრომა. შეერთებულ შტატებში ევროპული იმიგრაციის ეკონომიური ასპექტი». ნიუ-იორკი და ლონდონი. 1912). — 293.

287 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 19, გვ. 539 — 543. — 293.

288 ა. კ ა გ ა ნ ი — რედაქტორი ნიუ-იორკის ებრაული სოციალისტური გაზეთისა «Vorwärts» («წინ») რომელიც დაარსდა 1897 წელს. მასალები (Census Reports. Twelfth Census 1900. Vol. V; Agriculture. Wash. 1902. Thirteenth Census of the United States, taken in the year 1910. Vol. V; Agriculture. Wash. 1913), რომლებსაც აქ ლენინი იხსენიებს, მან მიიღო ამერიკიდან ნაწილობრივ 1914 წლის მაისში (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 35, გვ. 133 — 134), დანარჩენი — იმპერიალისტური ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე და საფუძვლად დაედო ლენინის ნაშრომს: «ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ. ნაკვეთი I. კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებში» (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 1 — 116). — 294.

289 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს თავისი ნაშრომები: 1. «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში. მსხვილი მრეწველობის შინაური ბაზრის წარმოშობის პროცესი» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 3); 2. «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 13, გვ. 265 — 542). — 294.

290 ლენინს მხედველობაში აქვს ვიბორგელთა ჯგუფის რეზოლუცია «ამხ. ბურიანოვის «შეიდეულიდან» გასვლის გამო» და «ღია წერილი ა. ფ. ბურიანოვს» რსდმპ ხელშემწყობი ციურიხის ჯგუფის ხელმოწერით, რომლის უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ. ორივე დოკუმენტი მოთავსებულია გაზეთ «პუტ პრავდაში» № 22, 1914 წლის 26 თებერვალს. — **295.**

291 ლენინს მხედველობაში აქვს II ინტერნაციონალის ვენის კონგრესი, დასახული 1914 წლისათვის, და რსდმპ მორიგი ყრილობა, რომელიც მზადდებოდა: არც კონგრესი და არც ყრილობა არ შემდგარა დაწყებული პირველი მსოფლიო ომის გამო. — **296.**

292 ლაპარაკია ყოველთვიურ ლიტერატურულ-პოლიტიკურ ჟურნალ «სოვრემენნიკზე», რომელიც პეტერბურგში გამოდიოდა 1911 — 1915 წლებში. ჟურნალის გარშემო დაჯგუფებული იყვნენ მენშევიკ-ლიკვიდატორები, ესერები, სახალხო სოციალისტები და მემარცხენე ლიბერალები. ჟურნალის პოლიტიკური მიმართულება ლენინმა დააახასიათა: 1914 წელს როგორც ნაროდნიკობის ნარევი მარქსიზმთან. ჟურნალის მუშათა მასებთან კავშირი არა ჰქონია.

ვ. ი. ლენინის წერილი წარმოადგენს ჟურნალ «სოვრემენნიკის» რედაქციის წევრის ვ. სტანკევიჩის 1914 წლის 9 (22) მარტის წერილის პასუხს. თავის წერილში სტანკევიჩი აღნიშნავდა ჟურნალ «სოვრემენნიკის» შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებს, აგრეთვე გადმოსცემდა ჟურნალის ამოცანებს. სტანკევიჩი წერდა, რომ ჟურნალი «პრინციპულად ფრაქციათაშორისო ორგანო იქნება», «ჩვენ ვამტკიცებთ, რომ აუცილებელია ყველა სოციალისტური მიმდინარეობის სრული ორგანიზაციული ერთიანობა». სტანკევიჩი თხოვდა ლენინს «ნება დაერთო, რომ მისი სახელი თანამშრომელთა რიცხვში მოექციათ». ლენინის დამოკიდებულებაზე ინტელიგენტური ჯგუფებისადმი და ჟურნალ «სოვრემენნიკის» მიერ გაერთიანებული ჯგუფისადმი იხ. მისი სტატია «მუშების ერთიანობა და ინტელიგენტების «მიმდინარეობანი»» (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 20, გვ. 354 — 357). — **298.**

293 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 20, გვ. 171 — 175 და 269 — 273. — **299.**

294 თ. ნ. ს ა მ ო ი ლ ო ვ ი — IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, ბოლშევიკი — 1914 წლის თებერვალში ჩავიდა საზღვარგარეთ შერყეული ჯანმრთელობის აღსადგენად. 1914 წლის გაზაფხულზე და ზაფხულს შვეიცარიაში მკურნალობდა. — **301.**

295 ლაპარაკია ურთიერთობის ხელშეკრულებაზე «პროსვეშჩენიეს» რედაქციასთან, რომელმაც ფულადი დახმარება მიიღო ჟურნალის გამოსაცემად ა. ა. ტროიანოვსკისაგან. — 308.

296 ა. ა. ტროიანოვსკის სტატია, რომლის თვალსაზრისი არ ეთანხმებოდა ლენინის შეხედულებას ეროვნულ საკითხში, «პროსვეშჩენიეში» არ გამოქვეყნებულა. — 308.

297 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს თავისი ნაშრომი «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ», რომელიც იბეჭდებოდა ჟურნალ «პროსვეშჩენიეში» № 4, 5, 6, 1914 წლის აპრილში, მაისსა და ივნისში ვ. ილინის ხელმოწერით (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 20, გვ. 479 — 560). — 308.

298 ლაპარაკია ლ. მარტოვის, თ. დანისა და გ. პლეხანოვის თანამშრომლობაზე ჟურნალ «სოვრემენნიკში». — 309.

299 ლაპარაკია ვ. კარპინსკის დელეგატად გაგზავნის შესახებ II ინტერნაციონალის ვენის საერთაშორისო კონგრესზე (კონგრესი არ შემდგარა). — 309.

300 ი. განეცკი და ა. მალეცკი—პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოპოზიციის დელეგატები ბრიუსელის «გამაერთიანებელ» თათბირზე. ერთ-ერთი სადავო საკითხი პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარ გამგეობასა (რომელშიც ტიშკა შედიოდა) და ოპოზიციას — «როზლამოველებს» შორის იყო ლიკვიდატორებისა და პოლონეთის სოციალისტური პარტიისადმი დამოკიდებულების საკითხი. ლენინი მკაცრად გმობდა მთავარი გამგეობის პოლიტიკას და თანაგრძნობით ეკიდებოდა «როზლამოველებს». — 310.

301 1914 წლის 23 აგვისტოსათვის დანიშნული იყო მორიგი საერთაშორისო კონგრესი ვენაში. ავსტრიასა და სერბიას შორის ატეხილ ომთან დაკავშირებით საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ დაადგინა უფრო ადრე მოეწვია კონგრესი და დანიშნა იგი 9 აგვისტოსათვის პარიზში. კონგრესი არ შემდგარა. — 311.

302 ბრიუსელის «გამაერთიანებელ» თათბირზე რსდმპ ცენტრალური კომიტეტისაგან გაგზავნილ დელეგაციაში შედიოდნენ ი. არმანდი (პეტროვა), მ. ვლადიმირსკი (კამსკი) და ი. პოპოვი. — 311.

303 აშკარაა, ტელეგრაფით პასუხის გაცემა საჭირო იყო ვ. ლენინისათვის, რათა, თუ შეუძლებელი აღმოჩნდებოდა სამოილოვის წასვლა

კონგრესზე, მოესწრო გამოეხმო რუსეთიდან ვინმე კონგრესში მონაწილეობის მისაღებად. — **312.**

304 როგორც ეტყობა, ლაპარაკია საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომაზე ბრიუსელს გამგზავრების შესახებ. — **313.**

305 იმპერიალისტური ომის დაწყებამ ლენინს მოუსწრო სოფელ პორონინში (გალიცია). 25 ივლისს (7 აგვისტოს) ავსტრიის ხელისუფლებმა გაჩხრიკეს ლენინის ბინა, ამასთან ჟანდარმერიის ვახმისტრმა ლენინს ჩამოართვა ხელნაწერი აგრარული საკითხის გამო, რადგან ხელნაწერის სტატისტიკური ცხრილები შიფრად მიიჩნია. მეორე დღეს ლენინი დაპატიმრეს. რუსი და პოლონელი სოციალ-დემოკრატების მეცადინეობით და ავსტრიელი სოციალისტების ვ. ადლერისა და ავსტრიის პარლამენტის დეპუტატის დიამანდის დახმარებით ლენინი, ორი კვირის პატიმრობის შემდეგ, გაათავისუფლეს საპყრობილიდან; მან ნებართვა მიიღო გასულიყო ავსტრიიდან შვეიცარიაში. ლენინი 1914 წლის 23 აგვისტოს (5 სექტემბერს) ჩავიდა ბერნში (შვეიცარია) ნ. კ. კრუპსკაიასა და დედამის ე. ვ. კრუპსკაიასთან ერთად. — **314.**

306 ლენინის თეზისები ომის შესახებ აღმოჩენილ იქნა: 1) პოლიციის დეპარტამენტის განსაკუთრებული ნაწილის საქმეებში № 343, განყოფილება 3, 1914 წელი, «რევოლუციური (ს.-დ.) პარტიების საქმიანობის შესახებ 1914 წ. ომთან დაკავშირებით» (ბაქოს ჟანდარმთა სამმართველოს მოხსენება); 2) პოლიციის დეპარტამენტის მე-9 საქმისწარმოების საქმეებში, № 5, ნაწ. 46, ლ. ბ. 1914 წ. (ქ. მოსკოვი), რომელშიც იუწყებოდნენ: ამ თეზისებს ომის შესახებ მოსკოველ სოციალ-დემოკრატებს შორის ავრცელებს მ. ი. ულიანოვა, რომელიც დაბრუნდა ვოლოგდის გუბერნიიდან, სადაც ადმინისტრაციული წესით იყო გადასახლებული; 3) პოლიციის დეპარტამენტის მე-9 საქმისწარმოების საქმეში № 5/ф, 1914 წელი, «სახელმწიფო სათათბიროს წევრების ბადაევის, მურანოვის, პეტროვსკის, სამოილოვისა და შაგოვის მონაწილეობით შემდგარი სოციალ-დემოკრატიული კონფერენციის შეპყრობის შესახებ» — ნივთიერ საბუთებში, რომლებიც გაჩხრეკის დროს ჩამოერთვა ბადაევსა და პეტროვსკის.

ამ «თეზისების» შედარება ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილ სოციალ-დემოკრატების ჯგუფის რეზოლუციასთან სახელწოდებით «რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანები ევროპის ომში» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 1—6) უეჭველად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აქ დაბეჭდილი დოკუმენტი წარმოადგენს ლენინის მიერ

ომის შესახებ დაწერილი თეზისების პირვანდელ ტექსტს, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო აღნიშნულ რეზოლუციას.

ამ თეზისების შემუშავების ისტორიის შესახებ ლენინი წერდა სტატიაში «სოციალისტური ინტერნაციონალის მდგომარეობა და ამოცანები» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 28). — **315.**

307 ლაპარაკია «საზოგადოებასთან» არსებულ უახლესი წიგნების ბიბლიოთეკაზე. — **320.**

308 ლაპარაკია ვ. ა. კარპინსკის მოლაპარაკებაზე ფედერალური პარლამენტის დეპუტატთან, შვეიცარიელ სოციალ-დემოკრატ ჟ. სიგთან, რომელთანაც განზრახული იყო შეენახათ ბოლშევიკების გამოცემანი. — **322.**

309 იგულისხმება რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია». მანიფესტი გამოქვეყნდა რსდმპ ცენტრალურ ორგანო «სოციალ-დემოკრატში» № 33, 1914 წლის 1 ნოემბერს (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 13—24). — **322.**

310 ვ. ი. ლენინს, როგორც ეტყობა, მხედველობაში აქვს სოციალ-დემოკრატების ჯგუფის რეზოლუცია («თეზისები ომის შესახებ»), მიღებული ბოლშევიკების თათბირის მიერ, რომელიც შედგა ბერნში 1914 წლის 6 — 8 სექტემბერს (იხ. სტ.) (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 1 — 6). — **322.**

311 გ. ვ. პლეხანოვის რეფერატი «სოციალისტების დამოკიდებულებაზე ომისადმი», რაც 1914 წლის 11 ოქტომბერს (იხ. სტ.) შედგა, მოაწყო ლოზანაში (შვეიცარია) რსდმპ ხელშემწყობმა ადგილობრივმა ბოლშევიკურმა ჯგუფმა.

კამათში მოხსენების გამო გამოვიდა ვ. ი. ლენინი (სხვას არავის კრებაზე დამსწრეთაგან სიტყვა არ უთხოვია). პლეხანოვის მოხსენების, ლენინის გამოსვლისა და პლეხანოვის საბოლოო სიტყვის ანგარიში სათაურით «რუსეთის სოც.-დემოკრატიის ბვლადები ომის შესახებ» დაბეჭდილი იყო პარიზის მენშევიკურ გაზეთ «გოლოსის» 1914 წლის 18, 20 და 21 ოქტომბრის №№-ში 31, 32 და 33-ში.

კრებაზე წარმოთქმულ სიტყვებს იწერდა «გოლოსის» კორესპონდენტი (ინიციალები: ი. კ.). — **323.**

312 1914 წლის 27 სექტემბერს (ახ. სტ.) ლუგანოში შედგა იტალია-შვეიცარიის სოციალისტური კონფერენცია, რომლის მომზადებაშიც მონაწილეობა მიიღო ვ. ი. ლენინმა. ვ. ი. ლენინის თეზისები ომის შესახებ განხილულ იქნა კონფერენციაზე და ნაწილობრივ შევიდა რეზოლუციაში. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ შვეიცარიიდან: რ. გრიმი, შ. ნენი და სხვ., იტალიიდან: სერატი, ლაცარი, მორგარი, ტურატი, მოდილიანი და სხვ. კონფერენციის რეზოლუცია ახასიათებდა ომს როგორც იმპერიალისტურს და მოითხოვდა პროლეტარიატის საერთაშორისო ბრძოლას მშვიდობისათვის. ამ კონფერენციის გადაწყვეტილებანი თანმიმდევრულად ინტერნაციონალისტური და რევოლუციურად გამართულნი არ ყოფილან, მაგრამ მაინც წარმოადგენდნენ ერთგვარ წინგადადგმულ ნაბიჯს საერთაშორისო პროლეტარული კავშირურთიერთობის აღდგენის მომზადების საქმეში. — 323.

313 ლენინს მხედველობაში აქვს კ. კაუცკის სტატია «Die Sozialdemokratie im Kriege» («სოციალ-დემოკრატია ომის დროს»), მოთავსებული **გერმანიის სოციალ-დემოკრატიის თეორიული ორგანოს «Die Neue Zeit»-ის («ახალი დრო») 1914 წლის 2 ოქტომბრის № 1-ში.—324.**

314 სერბიის სოციალ-დემოკრატიამ, რომელსაც მოუხდა სინამდვილეში სხვებზე ადრე განესაზღვრა თავისი დამოკიდებულება ომისადმი, უყოყმანოდ დაიკავა ინტერნაციონალისტური პოზიცია: სკუპშჩინაში (პარლამენტში) სოციალ-დემოკრატმა დეპუტატებმა ხმა მისცეს სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ. სერბიული სოციალ-დემოკრატიული «ბუშათა გაზეთიც», რომელიც ნიშაში გამოდიოდა, ეწეოდა ბრძოლას შოვინიზმის წინააღმდეგ. — 325.

315 იხ. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 გამოც., ტ. 4, გვ. 444. — 325.

316 ვ. ი. ლენინის რეფერატი თემაზე «პროლეტარიატი და ომი» წაკითხულ იქნა ლოზანაში 1914 წლის 14 ოქტომბერს (ახ. სტ.), პლეხანოვის სოციალ-შოვინისტური რეფერატის 2 დღის შემდეგ, გამოქვეყნებულია 25 და 27 ოქტომბერს პარიზის «გოლოსში» №№ 37 და 38. რეფერატი ჩაწერილია «გოლოსის» კორესპონდენტის მიერ (ინციალები: ი. ჯ.), რომელმაც აღნიშნა, რომ «ლენინის მოხსენება დიდძალი ხალხის დასწრებით გაიმართა». — 326.

317 1914 წლის ივლისში ბოლშევიკების პეტერბურგის კომიტეტმა გამოუშვა ფურცელი მოახლოებული ომის საფრთხის წინააღმდეგ ლოზუნგით: «ძირს ომი, ძირს მეფის მთავრობა, გაუმარჯოს რევოლუციას!» აგვისტოში პეტერბურგის კომიტეტმა ამტყდარი ომის წინააღმდეგ გამოსცა ორი ფურცელი ლოზუნგებით: «ძირს თვითმპყრობელური მონარქია, გაუმარჯოს სოციალიზმს! გაუმარჯოს რევოლუციას! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!» და მოწოდებებით მუშებისადმი: «შეკავშირდით პოლიტიკურ პარტიებად, მოიმარაგეთ იარაღი: დრო არ იცდის». სექტემბერში გამოვიდა ომის წინააღმდეგ პეტერბურგის კომიტეტის კიდევ ერთი ფურცელი, რომელსაც, როგორც ეტყობა, იხსენიებს აქ ვ. ი. ლენინი. — **330.**

318 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 245. — **330.**

319 1914 წლის 27 სექტემბერს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურმა ორგანომ «Vorwärts»-მა დაბეჭდა სტატია «გერმანია და საზღვარგარეთი», სადაც მორიდებული ფორმით გამოთქმული იყო ის აზრი, რომ გერმანიისა და საფრანგეთის პროლეტარიატი ომში მათი ნების წინააღმდეგ ჩააბესო. ბრანდენბურგის ოლქის სარდალმა გენერალმა ფონ კასელმა ამასთან დაკავშირებით გაზეთის გამოსვლა აკრძალა. ჰააზემ და ფიშერმა ითხოვეს აკრძალვის გაუქმება. კასელი დათანხმდა, მაგრამ იმ პირობით, თუ **«Vorwärts»** აღარ შეეხებოდა კლასობრივი სიძულვილისა და კლასების ბრძოლის თემას. რედაქციამ ეს პირობა მიიღო, და 1 ოქტომბერს **«Vorwärts»** გამოვიდა, ამასთან პირველ გვერდზე დაბეჭდილი იყო გენერალ კასელის ბრძანება გამოცემის განახლების შესახებ. — **330.**

320 «გ ო ლ ო ს» — ყოველდღიური მენშევიკურ-ტროცკისტული გაზეთი; გამოდიოდა პარიზში 1914 წლის სექტემბრიდან 1915 წლის იანვრამდე; გაზეთს ცენტრისტური პოზიცია ეკავა.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914 — 1918) პირველ დღეებში «გოლოსში» დაბეჭდილი იყო მარტოვის სტატიები სოციალ-შოვინისტების წინააღმდეგ. სწორედ ამ დროს განეკუთვნება ვ. ი. ლენინის დადებითი აზრი გაზეთის საქმიანობის შესახებ. მას შემდეგ, რაც მარტოვი მარჯვნივ შებრუნდა, გაზეთი სულ უფრო იცავდა სოციალ-შოვინისტებს, ამჯობინებდა «სოციალ-შოვინისტებთან ერთიანობას, ვიდრე იმ ადამიანებთან დაახლოებას, რომლებიც შეურიგებლად ეკიდებიან სოციალ-შოვინიზმს» (ლ ე ნ ი ნ ი).

1915 წლის იანვრიდან «გოლოსის» ნაცვლად იწყო გამოსვლა გაზეთმა «ნაშე სლოვომ». — **331.**

321 იგულისხმება II ინტერნაციონალის შტუტგარტის (1907), კოპენჰაგენისა (1910) და ბაზელის (1912) საერთაშორისო სოციალისტური კონგრესების ომის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებანი. — **332.**

322 ლაპარაკია რსდმპ ცენტრალური ორგანოს — «სოციალ-დემოკრატის» № 33-ის დასაბეჭდად მომზადებაზე; ნომერი გამოვიდა ჟენევაში 1914 წლის 14 ნოემბერს (ახ. სტ.). «სოციალ-დემოკრატი» ლენინმა ალადგინა თითქმის ერთი წლის შეწყვეტის შემდეგ.

ხუთი შესწორება, რაზედაც ლენინი ლაპარაკობს, შეტანილ იქნა № 33 «სოციალ-დემოკრატში» დაბეჭდილი მანიფესტის ტექსტში (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 21, გვ. 13 — 24). — **333.**

323 ლაპარაკია ბოლშევიკების პასუხზე ე. ვანდერველდეს დეპეშის გამო, რომელიც მან გამოგზავნა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელზე მოწოდებით — მხარი დაეჭირათ რუსეთის მთავრობისათვის ომში გერმანიის წინააღმდეგ. პასუხი დაბეჭდილია რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ხელმოწერით 1914 წლის 1 ნოემბრის «სოციალ-დემოკრატში» № 33. პასუხში რუსმა ბოლშევიკებმა განაცხადეს, რომ დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის ინტერესებისათვის იმპერიალისტური ომის პერიოდში რევოლუციური პროლეტარული პარტიის გადაუდებელ ამოცანად მიაჩნიათ პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციების გაფართოება და განმტკიცება, მისი კლასობრივი ბრძოლის განვითარება იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და თავიანთი მთავრობების წინააღმდეგ. — **334.**

324 «Sozialistische Monatshefte» («სოციალისტური ყოველთვიური») — ჟურნალი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტების მთავარი ორგანო და საერთაშორისო ოპორტუნიზმის ერთ-ერთი ორგანო. იმპერიალისტური ომის დროს (1914 — 1918) სოციალ-შოვინიზმის პოზიციაზე იდგა; გამოდიოდა ბერლინში 1897 წლიდან 1933 წლამდე. — **335.**

325 ორშაბათს, 1914 წლის 26 ოქტომბერს (ახ. სტ.), კლარანში, მონტრეს ახლოს (შვეიცარია) და, სამშაბათს, 1914 წლის 27 ოქტომბერს

(ახ. სტ.), ციურიხში ვ. ი. ლენინი გამოვიდა რეფერატებით ომის შესახებ. — **337.**

326 შვეციის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა მიმდინარეობდა 1914 წლის 23 ნოემბერს სტოკჰოლმში. ყრილობის გახსნის დღეს ა. შლიაპნიკოვი, ბელენინის ფსევდონიმით, გამოვიდა შვედი სოციალ-დემოკრატების ყრილობაზე დეკლარაციით რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სახელით; დეკლარაცია შედგენილი იყო ამ წერილში ვ. ი. ლენინის მიერ მოცემულ მითითებათა მიხედვით (იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 116 — 118). — **338.**

327 იგულისხმება ა. პანეკუკის სტატია **«Der Zusammenbruch der Internationale»** («ინტერნაციონალის კრახი»), დაბეჭდილი 1914 წლის 20, 21 და 22 ოქტომბერს შვეიცარიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების გაზეთ **«Berner Tagwacht»**-ში №№ 245, 246 და 247. — **339.**

328 იგულისხმება ის გარემოება, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შეიქმნა მემარცხენე ინტერნაციონალისტური ფრთა, კ. ლიბკნეხტისა და რ. ლუქსემბურგის მეთაურობით, რომელმაც კავშირ «სპარტაკის» ძირითადი ბირთვი შეადგინა. — **339.**

329 იგულისხმება, როგორც ეტყობა, სტატია **«The opening of parliament»**. **«The Economist»** № 3716, 14 **November** 1914 («პარლამენტის გახსნისათვის», «ეკონომისტი» № 3716, 1914 წ. 14 ნოემბერი).— **339.**

330 ლაპარაკია 3000 კრონის სესხზე, რაც რსდმ პარტიამ მიიღო შვეციის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან 1907 წელს რსდმპ ლონდონის V ყრილობის დროს. — **339.**

331 ვ. ი. ლენინის ხელნაწერზე არის ნ. კ. კრუპსკაიას შემდეგი მინაწერი: «გითელით სალამს და დაეძენ შემდეგს: ქრისტიანიიდან მოვიდა ცნობა, რომ იქაურ ბანკს არავითარი 3 ათასი კრონი არ მიუღია და რომ მათ შესაძლებლობა არა აქვთ დაუკავშირდნენ ახლა რუსეთის ბანკს. ფული, მაშასადამე, უკან უნდა მოვითხოვოთ. აცნობეთ ეს, გეთაყვა, გამომგზავნს (ლაპარაკია ფულზე, რომელიც გამოგზავნა IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა გ. ი. პეტროვსკიმ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული განყოფილებისათვის.— რ ე დ.). სადღაა შეპირებული კორესპონდენციები № 34-თვის? ძალიან მიხარია, რომ № 33 მოგეწონათ. მიიღეთ თუ არა «გოლოსის» კომ-

პლექტი, მე ვთხოვე გამოეგზავნათ იგი თქვენთვის პარიზიდან (კომპლექტი) ბრანტინგის მისამართით. მიიღეთ თუ არა კიდევ ცენტრალური ორგანოს შემცველი ორი პაკეტი?». — 341.

332 1914 წლის 4 ნოემბერს ბოლშევიკების სრულიად რუსეთის თათბირზე ომის საკითხის გამო პროვოკატორ რომანოვის დაბეზღებით დააპატიმრეს სახელმწიფო სათათბიროს რსდმ ფრაქციის 5 წევრი გ. ი. პეტროვსკი, მ. კ. მურანოვი, ა. ე. ბადაევი, ნ. რ. შაგოვი, თ. ნ. სამოილოვი, მათ გარდა — ვ. ნ. იაკოვლევი — ხარკოვის ორგანიზაციის წარმომადგენელი, ვ. ფ. ლინდე — ლატვიელთა დელეგატი, ა. ვორონინი — ივანოვო-ვოზნესენსკიდან, ი. ა. კოზლოვი და ნ. კ. ანტიპოვი — ორივე პეტერბურგის მუშებისაგან, აგრეთვე ლ. ბ. კამენევი. ყველას წაუყენეს ბრალდება სისხლის სამართლის დებულების 102 მუხლის მიხედვით. 1915 წლის 10 — 13 თებერვალს მოხდა გასამართლება, 5 დეპუტატი, აგრეთვე იაკოვლევი, ლინდე და სხვები გადაასახლეს, ანტიპოვს 8 თვის ციხე მიუსაჯეს. — 342.

333 იგულისხმება ლიკვიდატორების პასუხი ე. ვანდერველდესადმი, რაც გამოქვეყნდა 1914 წლის 5 დეკემბერს «სოციალ-დემოკრატში» № 33; პასუხი გამომდინარეობდა «ნაშე ზარიას» და «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» თანამშრომლებისაგან. — 343.

334 ლაპარაკია მოწოდებაზე ქალებისადმი, რაც მიიღეს რსდმპ ხელშემწყობი სტოკჰოლმის ჯგუფის წევრებმა. ა. მ. კოლონტაი 1914 წლის 28 ნოემბრის წერილში ლენინისადმი თხოვდა მოეთავსებინათ ეს მოწოდება «სოციალ-დემოკრატში». მოწოდება «სოციალ-დემოკრატში» არ გამოსულა. — 344.

335 იგულისხმება კ. კაუცკის შემდეგი სტატიები: 1) «Die Internationalität und der Krieg» («ინტერნაციონალურობა და ომი»). «Die Neue Zeit» Nr. 8, 27 November 1914. 2) «Die Sozialdemokratie im Kriege» («სოციალ-დემოკრატია ომის დროს»). «Die Neue Zeit» Nr. 1, 2 Oktober 1914. სტატიაში «Die Internationalität und der Krieg» კ. კაუცკი წერს, რომ «ომში მონაწილეობა ხელს არ შეუშლის ინტერნაციონალს ერთიანი და შემჭიდროებული რიგებით შეასრულოს თავისი დიადი ისტორიული ამოცანა: ბრძოლა მშვიდობისათვის, კლასობრივი ბრძოლა მშვიდობიან დროს». ამავე აზრს, ოღონდ უფრო გაშლილი სახით, ყალბი მითითებებით კ. მარქსსა და ფ. ენგელსზე, ატარებს კ. კაუცკი სტატიაშიც: «Die Sozialdemokratie im Kriege». ის ცდილობს დაასაბუთოს ერის უფლება დაიცვას თავისი ტერიტორია, დაასაბუთოს სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობა ამ დაცვაში. «თუკი სოციალ-დემოკრატიის

მთელი ცდის მიუხედავად, — წერს კ. კაუცკი, — საქმე ომამდე მივა, მაშინ ყოველმა ერმა უნდა დაიცვას თავი როგორც შეუძლია. აქედან ყველა ერის სოციალ-დემოკრატებისათვის გამომდინარეობს თანაბარი უფლება ანუ თანაბარი მოვალეობა მონაწილეობა მიიღონ ამ დაცვაში, არც ერთმა მათგანმა არ უნდა უსაყვედუროს მეორეს». — **345.**

336 გერმანიის პროფესიული კავშირების გენერალურ კომისიას არასაკმარისად ეჩვენა გაზეთ «Vorwärts»-ის შოვინიზმი. მან ბრალი დადო «Vorwärts»-ს, არასაკმაო ყურადღებას აქცევს პრაქტიკული ხასიათის საკითხებს, ცუდად იცავს თავს სხვა სოციალისტური პარტიების თავდასხმებისაგან და, ამართლებს რა მტრის სისასტიკეს, განაზოგადებს გერმანელთა სისასტიკის ცალკეულ შემთხვევებსო (უფრო დაწვრილებით იხ. «Vorwärts» Nr, Nr, 321, 323 u. 325, 24, 26 u. 28 November 1914—«Aus der Partei,» «Korrespondenzblatt» Nr. 47).—**346**

337 1914 წლის 27 ოქტომბერზე (ახ. სტ.) არაუადრეს ვ. ი. ლენინმა წაიკითხა ციურიხში რეფერატი თემაზე «ომი და სოციალ-დემოკრატია». 1914 წლის 10 ნოემბრის «Vorwärts»-ში № 308 ამ რეფერატთან დაკავშირებით დაიბეჭდა შენიშვნა «Lenin über die ukrainische Frage» (« ლენინი უკრაინის საკითხის შესახებ»). 1914 წლის 22 ნოემბერს «Vorwärts»-ში № 319 მოთავსდა შენიშვნა: ლენინი თხოვს რედაქციას გამოაქვეყნოს, რომ იგი თავის მოხსენებაში ლაპარაკობდა არა მარტო ბრძოლაზე ცარიზმის წინააღმდეგ (და ამასთან დაკავშირებით უკრაინის საკითხზე), არამედ აგრეთვე II ინტერნაციონალის დამარცხებაზეც და გერმანიისა და ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის მიერ ომის დროს დაკავებულ პოზიციაზეო. — **346.**

338 «სოციალ დემოკრატი» № 36 გამოვიდა 1915 წლის 9 იანვარს. ნომრის სათაურზე კი შეცდომით წერია: 1914 წლის 12 დეკემბერი. ამ შეცდომის შესახებ იუწყებიან 1914 წლის 3 მარტის «სოციალ-დემოკრატში» № 39. — **347.**

339 როგორც ეტყობა, ლაპარაკია კორესპონდენციაზე «მუშათა პეტერბურგი და ომი (პეტერბურგელი მუშის დაკვირვებანი ომის დასაწყისში)», რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ «კომმუნისტში» № 1 — 2, 1915 წელს. — **348.**

340 ლენინს მხედველობაში აქვს ლ. მარტოვის წერილი გაზეთ «გოლოსის» რედაქციისადმი — «ჩემი ვითომდა მარტოობის შესახებ» («გოლოს» № 87, 1914 წლის 23 დეკემბერი). თავისი ამ წერილით და მოხსენებით «ომი და სოციალიზმის კრიზისი», რაც მან წაიკითხა ბერნში

1914 წლის 16 დეკემბერს, ლ. მარტოვმა განსაზღვრა ჩამოშორება თავისი წინანდელი პოზიციიდან, რომელიც მან ომის დასაწყისში დაიკავა. — 348.

341 იგულისხმება ნეიტრალური ქვეყნების სოციალისტური კონფერენცია, რომელიც შედგა კოპენჰაგენში 1915 წლის 17 — 18 იანვარს (ახ. სტ.). კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ შვეიცის, ნორვეგიის, დანიისა და ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიები. ლენინი იმის წინააღმდეგი იყო, რომ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს ოფიციალური მონაწილეობა მიეღო კონფერენციაში. — 348.

342 ლენინს, როგორც ეტყობა, მხედველობაში აქვს პეტერბურგელი ლიკვიდატორების მიმართვა: «მინისტრ ვანდერველდეს—ბელგია».—349.

343 ლენინს მხედველობაში აქვს ანკეტა, რომელიც დაიბეჭდა 1914 წლის 24 დეკემბერს «The Labour Leader»-ში («მუშათა ბელადი») № 52 მშვიდობის საკითხზე სათაურით «Peace and Goodwill shall yet Reign. Messages of fraternity across the Battlefields» («მშვიდობა და კეთილმოსურნეობა მაინც იბატონებენ. ძმური მისალმებანი ბრძოლის ველებს იქით»). კ. კაუცკის აზრი ამ ანკეტაში პირველ ადგილზეა დაბეჭდილი. — 349.

344 აქ ნ. კ. კრუპსკაიას ჩამატებული აქვს: «კუზმას წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, არაფერი გვაქვს, და უფრო იაფი გამოვა თუ არა ეს კომბინაცია — არ ვიცით — თქვენთვის უფრო დასანახია». კუზმა — ემიგრანტი კ. ლიახოცკი, რომელმაც ჟენევაში მოაწყო ჰატარა რუსული სტამბა, სადაც იწყობოდა და იბეჭდებოდა ბოლშევიკების ცენტრალური ორგანო «სოციალ-დემოკრატი». გარდა ბოლშევიკების გამოცემებისა კ. ლიახოცკის სტამბაში იწყობოდა უკრაინული გაზეთი «ბოროტბა», რომელსაც სცემდა ლ. რიბალკა (პ. იურკევიჩი). «კუზმა» და მისი ცოლი «კუზმიხა», რომელიც ბოლშევიკებისადმი მტრულად იყო განწყობილი, უპირატესობას ამ გაზეთს აკუთვნებდნენ, რადგან, იგი, ჯერ ერთი, უკრაინულ ენაზე იცემოდა (ლიახოცკები უკრაინოფილები იყვნენ), მეორეც, «ბოროტბის» გამომცემელს მეტი ფულადი სახსრები გააჩნდა, ვიდრე ბოლშევიკებს. გაზეთი და ბროშურები «კუზმასთან» იწყობოდა, ხოლო იბეჭდებოდა რომელიმე შვეიცარიულ სტამბაში. «რა თქმა უნდა, კერძო პატრონთან, — წერს ვ. კარპინსკი, — უამრავი დავიდარაბა და უსიამოვნება გვქონდა, რომელთა დიდი ნაწილის გადატანა თვითონ ვლადიმერ ილიას-ძესაც მოუხდა, რამდენადაც მას ჩვეულებად ჰქონდა ყველაფერს პირადად ჩასწვდომოდა» (ვ. კარპინსკი. «შვეიცარიულ გალიაში». «პრავ-

და» № 92, 1926 წლის 22 აპრილი). ბოლშევიკურ გამოცემათა გამოშვებისათვის მუშაობის შეფერხებამ, როგორც ჩანს, აიძულა ლენინი ეძია შესაძლებლობა, რომ ცენტრალურ ორგანოს აწყობა სხვის ხელში გადაეცა. ეტყობა, სწორედ ამ ძიების შედეგი იყო პარიზელი ასოთამწყობის წინადადება. ვინ არის ეს ასოთამწყობი, ამის დადგენა ვერ მოხერხდა. — **350.**

345 ლაპარაკია სტატიაზე «კარლ მარქსი (მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი მარქსიზმის გადმოცემითურთ)», დაწერილი ლენინის მიერ ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის, რომელსაც სცემდა ძმების გრანატების ამხანაგობა. სტატია დაიბეჭდა შემოკლებული სახით ლექსიკონის 28-ე ტომში ვ. ი ლ ი ნ ი ს ხელმოწერით. სტატიის სრული ტექსტი დაიბეჭდა 1925 წელს (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 35 — 97). — **351.**

346 «რ უ ს ს კ ა ი ა შ კ ო ლ ა» — ზოგადპედაგოგიური ჟურნალი სკოლისა და ოჯახისათვის. გამოდიოდა 1890 წლიდან 1918 წლამდე. რედაქტორ-გამომცემელი — ი. გურევიჩი. ჟურნალ «რუსსკაია შკოლაში» დაბეჭდილი იყო ნ. კ. კრუპსკაიას სტატია: «ერთად სწავლება», «რუსსკაია შკოლა» № 7 —8, 1911 წელი.

«ს ვ ო ბ ო დ ნ ო ე ვ ო ს პ ი ტ ა ნ ი ე» — ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალი. გამოდიოდა 1907 წლიდან 1918 წლამდე ი. გორბუნოვ-პოსადოვის რედაქციით. ნ. კ. კრუპსკაიამ ჟურნალში მოათავსა მთელი რიგი სტატიები სკოლისა და ერთად სწავლების საკითხებზე.—**352.**

347 ლაპარაკია სახელმწიფო სათათბიროს რსდმ ფრაქციის საქმის გამო მსჯავრდადებული სოციალ-დემოკრატი დეპუტატების ფოტოსურათებზე (პატიმრის ხალათებში), რომლებიც განკუთვნილი იყო შეედ მუშებს შორის გასაყიდად. — **354.**

348 «ო კ ი ს ტ ე ბ ი» — მენშევიკური ორგანიზაციული კომიტეტის მომხრენი; ეს კომიტეტი შეიქმნა 1912 წელს მენშევიკ-ლიკვიდატორების, ტროცკისტების და სხვა ანტიპარტიული ჯგუფების და მიმდინარეობების აგვისტოს კონფერენციაზე. — **355.**

349 იგულისხმება შლიაპნიკოვის გამომგზავრება რუსეთში. ამისათვის მას განზრახული ჰქონდა ჯერ წასულიყო ინგლისში და იქ ეშოვნა დოკუმენტები ბელგიელ ლტოლვილთა შორის. ამასთან დაკავშირებით ლენინის წერილს ნ. კ. კრუპსკაიამ დაურთო შემდეგი მინაწერი: «ინგლისში ახლა დოკუმენტების შოვნა მეტისმეტად ძნელია. ეს ამ

ცოტა ხნის წინათ გავიგეთ. თუმცა, ცხადია, პირადმა ნაცნობობამ შეიძლება გიშველოთ.

აპრილამდე შორსაა, მაგრამ, თუ სტოკჰოლმში ყოფნა დაკავშირებულია ჩავარდნასთან მომავალში, სჯობია წახვიდეთ. თუ როგორი იქნება საქმის ვითარება გაზაფხულზე — ალაჰმა უწყის, მაგრამ ეს მერე უფრო გამოჩნდება, ცხადია, შესაძლებლობა არ უნდა აღიკვეთოთ. დიდი სალამი. ნ. კ.».

1915 წლის აპრილში შლიაპნიკოვი ინგლისს გაემგზავრა, იქიდან კი 1915 წლის ოქტომბერში ნორვეგიასა და შვეიცარიაზე გამოვლით რუსეთს წამოვიდა, სადაც ცხოვრობდა როგორც უცხოელი. — **356.**

350 ეს დოკუმენტი რეფერატის კონსპექტს წარმოადგენს. გაიმართა თუ არა რეფერატი, ამის დადგენა ვერ მოხერხდა. — **358.**

351 იულიუს ბორჰარდტის ჯგუფი («გერმანიის ინტერნაციონალური სოციალისტები») «ინტერნაციონალის» ჯგუფთან ერთად (ამ უკანასკნელის შემადგენლობაში შედიოდნენ კ. ლიბკნეხტი, რ. ლუქსემბურგი, ფრ. მერინგი, კ. ცეტკინი და სხვ.) გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში შეადგენდნენ რევოლუციურ ოპოზიციას, რომელიც აშკარად გამოვიდა ომის წინააღმდეგ. — **360.**

352 შენიშვნა, მოთავსებული 1915 წლის 27 აპრილს **«Volksrecht»**-ში («ხალხის სამართალი») № 97 სათაურით **«Die Anleihenspirale»** («სესხის სპირალი») ამხელდა გერმანიის ფინანსთა მინისტრის გელფერიხის ფინანსურ მაქინაციებს, რომლებსაც მიმართა მან მეორე 10-მილიარდიანი სამხედრო სესხის წარმატების უზრუნველსაყოფად.— **365.**

353 რა კრებულზეა ლაპარაკი, დადგენილი არ არის. — **366.**

354 რ. გ რ ი მ ი, შვეიცარიელი სოციალისტი, ციმერვალდის კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი; მას სურდა კონფერენციის მოწვევის მომზადება ისე ჩაეტარებინათ, რომ ამ საქმეში ბოლშევიკები არ ჩაებათ. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ის იძულებული გახდა უარი ეთქვა ამ განზრახვაზე, და ბოლშევიკების წარმომადგენელი მონაწილეობას იღებდა კონფერენციის მოწვევის საკითხის გამო გამართულ წინასწარ თათბირში. — **366.**

355 ორი კონფერენცია ბერნში: 1) ქალთა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია 1915 წლის მარტში (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 231 — 236); 2) ახალგაზრდობის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია 1915 წლის აპრილში. — **366.**

356 1915 წლის 20 ივნისს კ. კაუცკიმ, ე. ბერნშტეინმა და გ. ჰაზეზემ გამოაქვეყნეს «მანიფესტი», რომელშიც მხარს უჭერდნენ ზავის დადებას, ჰგმობდნენ ანექსიებს და მოუწოდებდნენ სოციალ-შოვინისტებთან ერთიანობის შენარჩუნებისაკენ. — **367.**

357 იგულისხმებიან ჰოლანდიელი მემარცხენე სოციალ-დემოკრატები: ა. პანეკუკი, ჰ. გორტერი და დ. ვაინკოპი. — **368.**

358 ეს წერილი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის დელეგატის ანგარიშია წინასწარი თათბირის შესახებ, რომელიც შედგა ბერნში 1915 წლის 11 ივლისს (ახ. სტ.) საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოწვევის საკითხზე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ: შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის, იტალიის სოციალისტური პარტიის, პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობისა და პოლონეთის სოციალისტური პარტიის «ლევიცის», ორგანიზაციული კომიტეტის (მენშევიკების) და რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები. თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოეწვიათ მეორე თათბირი, რომელსაც საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა კონფერენციის საკითხი. მეორე თათბირი არ ყოფილა მოწვეული. — **370.**

359 «**Lichtstrahlen**» («სინათლის შუქი») — ყოველთვიური ჟურნალი, გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ჯგუფის («გერმანიის ინტერნაციონალური სოციალისტები») ორგანო, რომელიც ბორჰარდტის რედაქციით იცემოდა. ჟურნალი არარეგულარულად გამოდიოდა 1913 წლიდან 1921 წლამდე ბერლინში. — **370.**

360 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 35, გვ. 193 — 196.— **370.**

361 ჯ გ უ ფ ი «**Stern**» («ვარსკვლავი») არ ყოფილა შექმნილი. ბრემენელი მემარცხენე სოციალ-დემოკრატები გაფორმდნენ სახელწოდებით «**Internationale Sozialisten Deutschlands**» («**გერმანიის ინტერ**ნაციონალური სოციალისტები»). — **370.**

362 იგულისხმება რეზოლუციები რსდმპ საზღვარგარეთული სექციების კონფერენციისა, რომელიც შედგა 1915 წლის 27 თებერვალს — 4 მარტს (ახ. სტ.) ბერნში (შვეიცარია). კონფერენციას, რომელიც მოწვეული იყო ლენინის ინიციატივით, საერთო-პარტიული ბოლშევიკური კონფერენციის მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც შეუძლებელი იყო ომის დროს საერთო-რუსეთის კონფერენცია შეეკრიბათ. კონფერენციის დღის წესრიგი შემდეგი იყო: ადგილების ანგარიშები, ომი და პარტიის ამოცანები, საზღვარგარეთული ორგანიზაციების ამოცანები, ცენტრალური ორგანო და ახალი გაზეთი, საზღვარგარეთული ორგანიზაციების კომიტეტის არჩევნები. კონფერენციაზე იყვნენ

პარიზის, ციურიხის, ჟენევის, ბერნის, ლოზანის ბოლშევიკური სექციების წარმომადგენლები, აგრეთვე «ბოჟის» ჯგუფის დელეგატი. ლენინი კონფერენციაზე წარმოადგენდა ცენტრალურ კომიტეტს და ცენტრალურ ორგანოს («სოციალ-დემოკრატს»), ხელმძღვანელობდა კონფერენციის მუშაობას, გამოვიდა მომხსენებლად დღის წესრიგის ძირითად საკითხზე — «ომი და პარტიის ამოცანები» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 180—187).— 871.

863 დ. ვ ა ი ნ კ ო პ ი — ჰოლანდიელი მემარცხენე სოციალ-დემოკრატი, შემდგომ კომუნისტი; გაზეთ «Die Tribune» («ტრიბუნა») ერთ-ერთი დამაარსებელი; მის მთავარ რედაქტორად იყო მრავალი წლის განმავლობაში. პირველი მსოფლიო ომის წლებში ანტიმილიტარისტულ პროპაგანდას აწარმოებდა, თანამშრომლობდა მემარცხენე ციმერვალდელთა ორგანო «Vorbote»-ში («წინასწარმაუწყებელი»). 1919 წელს აირჩიეს კომინტერნის II კონგრესის დელეგატად. 1925 წელს გადაშენდა კომინტერნის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. 1926 წელს გარიცხეს კომუნისტური პარტიის რიგებიდან. — 872.

864 იგულისხმება მანიფესტის, დეკლარაციისა და რეზოლუციის პროექტები, რომლებიც დაწერილი იყო ცალკეული სოციალისტური პარტიების მემარცხენე დელეგატებს შორის წინასწარ განსახილველად, რათა შემდეგ შეეტანათ ეს პროექტები მემარცხენეთა სახელით ციმერვალდის კონფერენციაზე (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 35, გვ. 191 — 192). — 872.

865 ი. ბორჰარდტის ბროშურა «Vor uud nach dem 4 August 1914. Hat die deutsche Sozialdemokratie abgedankt?» Verlag der «Lichtstrahlen». Berlin, 1915. («1914 წლის 4 აგვისტომდე და მის შემდეგ. უარი თქვა თუ არა თავის თავზე გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ?». «სინათლის შუქის» გამოცემა, ბერლინი, 1915), რომელშიც მან პირველად გააკრიტიკა მკაცრად გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გამცემლური მოქმედება მსოფლიო ომის დასაწყისში. ლენინის აზრი ამ ბროშურის შესახებ იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 145. — 873.

866 იგულისხმება კ. ცეტკინის გამოსვლა ქალთა საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე ბერნში (1915 წლის 26 — 28 მარტს ახალი სტილით) რუსმპ ცენტრალური კომიტეტის მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ; კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც გვერდს უვლიდა სოციალ-შოვინიზმის დაგმობის საკითხს (დამატება გაზეთ «სოციალ-დემოკრატისა» № 42, 1915 წლის 1 ივნისი). — 873.

367 ქ. რაკოვსკისა და შ. დიუმას ბროშურა: «Les Socialistes et la guerre». («სოციალიზმი და ომი». [ბუქარესტი] 1915 წელი). — 375.

368 კუზმიხა — ჟენევის რუსული სტამბის მფლობელის კუზმა ლიახოცკის ცოლი. — 376.

369 იგულისხმება ნ. ლენინისა და გ. ზინოვიევის ბროშურა «სოციალიზმი და ომი (რსდმპ დამოკიდებულება ომისადმი)», გამოცემული «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის მიერ ჟენევაში 1915 წელს. — 376.

370 ბროშურა «სოციალიზმისა და ომის» დამატებანი, რაზედაც აჭ ლენინი მიგვითითებს, დაბეჭდილია ხსენებული ბროშურის პირველი გამოცემის 35 — 48 გვ. — 379.

371 ლაპარაკია «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შენიშვნაზე რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტისათვის ომის შესახებ (იხ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 419). — 379.

372 რსდმპ საზღვარგარეთული სექციების ბერნის კონფერენციის (1915 წლის 27 თებერვალი — 4 მარტი (ახ. სტ.)) რეზოლუციები გამოქვეყნებულია «სოციალ-დემოკრატში» № 40, 1915 წლის 29 მარტს (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც., 4, ტომი 21, გვ. 180 — 187). — 379.

373 იგულისხმება «რეზოლუცია ეროვნულ საკითხზე», მიღებული რსდმპ ცენტრალური კომიტეტის «აგვისტოს» («ზაფხულის») თათბირის მიერ პარტიულ მუშაკებთან ერთად, რაც მიმდინარეობდა პორონინში (კრაკოვის მახლობლად) 1913 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე (6 — 14 ოქტომბერს) (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 19, გვ. 504 — 508). — 379.

374 მეორე Vorkonferenz-ის ნაცვლად ციმერვალდში მოიწვიეს თვითონ კონფერენცია, რომელიც მიმდინარეობდა 1915 წლის 5 — 8 ოქტომბერს (ახ. სტ.). კონფერენციაზე გაჩაღდა ბრძოლა ლენინის მეთაურობით მოქმედ რევოლუციურ ინტერნაციონალისტებსა და კაუცკურ უმრავლესობას შორის. ლენინმა მემარცხენე ინტერნაციონალისტებისაგან შეადგინა ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფი, რომელშიც ერთადერთი სწორი და ბოლომდე თანმიმდევრული ინტერნაციონალისტური პოზიცია ომის წინააღმდეგ ეკავა მხოლოდ ბოლშევიკების პარტიას.

კონფერენციამ მიიღო მანიფესტი, რომელმაც მსოფლიო ომი იმპერიალისტურ ომად აღიარა; დაგმო «სოციალისტების» მოქმედება, რომლებმაც ხმა მისცეს სამხედრო კრედიტების სასარგებლოდ და რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ბურჟუაზიულ მთავრობებში; მოუწოდა ევროპის მუშებს გაეჩაღებინათ ბრძოლა ომის წინააღმდეგ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისათვის.

კონფერენციამ მიიღო აგრეთვე ომის მსხვერპლთადმი სიმპათიის რეზოლუცია და აირჩია ინტერნაციონალური სოციალისტური კომისია (I S K).

ციმერვალდის კონფერენციის მნიშვნელობის შესახებ იხ. ლენინის სტატიები «პირველი ნაბიჯი» და «რევოლუციური მარქსისტები 1915 წლის 5 — 8 სექტემბრის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე» (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 468 — 475 და 476 — 481). — 381.

375 იგულისხმება მანიფესტის პროექტი, რომელიც შეიმუშავა რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა და ციმერვალდის სოციალისტურ კონფერენციაზე წარადგინა მემარცხენე დელეგატების ჯგუფმა (იხ. «სოციალ-დემოკრატი» № 45 — 46, 1915 წლის 11 ოქტომბერი). — 381.

376 იგულისხმება საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია, რომელიც მიმდინარეობდა 1915 წლის 5 — 8 სექტემბერს ციმერვალდში. — 382.

377 ბროშურა «სოციალიზმი და ომი (რსდმპ დამოკიდებულება ომისადმი)» გერმანულ ენაზე გამოვიდა 1915 წელს, ციმერვალდის კონფერენციის გახსნის წინ. — 382.

378 იგულისხმება ლატვიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მანდატი ციმერვალდის სოციალისტურ კონფერენციაზე. ი. ბერზინი, ეტყობა, თავდაპირველად არ აპირებდა მონაწილეობა მიეღო კონფერენციის მუშაობაში და ამიტომ მან ლატვიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მანდატი ლენინს გადასცა. — 383.

379 იგულისხმება მანიფესტის პროექტი, რომელიც რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა და დელეგატების მემარცხენე ჯგუფმა ციმერვალდის კონფერენციაზე წარადგინა. — 383.

380 ე. ი. რ ი ვ ლ ი ნ ა — კომუნისტური პარტიის წევრი 1908 წლიდან, იმ დროს ბოლშევიკების ლოზანის სექციის მდივანი. — 386.

381 პ. გ ო ლ ე ი ციმერვალდის კონფერენციას არ დასწრებია. შ. ნენ-შედიოდა შვეიცარიის სოც.-დემოკრატიული პარტიის დელეგატთა შემადგენლობაში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ციმერვალდის კონფერენციის მუშაობაში. — **386.**

382 **Charles Kerr** (ჩარლზ კერი) — სოციალისტური ლიტერატურის ამერიკელი გამომცემელი. ა. მ. კოლონტაი მასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა იმის შესახებ, რომ ინგლისურ ენაზე გამოცემულიყო ბროშურა «სოციალიზმი და ომი» და «ინტერნაციონალური სახელდახელო ფურცელი» № 1. ბროშურის გამოცემა ამერიკაში ვერ მოხერხდა. — **387.**

383 ბროშურა «სოციალიზმი და ომი» ფრანგულ ენაზე გამოვიდა 1916 წელს. — **387.**

384 წერილში, ეტყობა, ლაპარაკია დელეგატ ნერმანზე, რომელიც მონაწილეობას იღებდა ციმერვალდის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაში ნორვეგიის მუშა ახალგაზრდობის ორგანიზაციისაგან. — **388.**

385 ლენინის მიერ დაწერილი ციმერვალდის კონფერენციის ანგარიში — «რევოლუციური მარქსისტები 1915 წლის 5 — 8 სექტემბრის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე» — დაბეჭდილია «სოციალ-დემოკრატში» № 45 — 46, 1915 წლის 11 ოქტომბერს (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 476 — 481). — **389.**

386 იგულისხმება ის, რომ ფრანგულ ენაზე გადაითარგმნა ბროშურა «სოციალიზმი და ომი (რსდმპ დამოკიდებულება ომისადმი)» — **389.**

387 ლაპარაკია ბროშურაზე «სოციალიზმი და ომი». — **390.**

388 ლენინს მხედველობაში აქვს ციმერვალდის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე წარმოდგენილი საფრანგეთისა და გერმანიის დელეგაციების საერთო დეკლარაცია (ომის წინააღმდეგ) («სოციალ-დემოკრატი» № 45—46, 1915 წლის 11 ოქტომბერი).—**390.**

389 ლაპარაკია ციმერვალდის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მანიფესტზე, რომელიც დაიბეჭდა «სოციალ-დემოკრატში» № 45—46, 1915 წლის 11 ოქტომბერს. მემარცხენე ციმერვალდელებმა, ამ მანიფესტს რომ ხელი მოაწერეს, კონფერენციის პრეზიდიუმისათვის წარდგენილ განსაკუთრებულ განცხადებაში გადმოსცეს მოტივები, თუ რატომ შეუერთდნენ ისინი მანიფესტს. ეს განცხადება დაბეჭდილია «სოციალ-დემოკრატში» № 47, 1915 წლის 13 ოქტომბერს. — **390.**

390 იგულისხმება რომენ როლანის სტატიები, მოთავსებული ჟენევის გაზეთ «Journal de Genève»-ში 1914 წლის აგვისტო-სექტემბრის მანძილზე. ამ სტატიების გამოცემა შეაჩერა საფრანგეთის მთავრობამ, და მხოლოდ 1915 წელს დაიბეჭდა ისინი კრებულში: Romain Rolland. «Au-dessus de la mêlée». Paris. Paul Ollendorff; Neuchatel. Attinger Frères 1915 (რომენ როლანი. «შებმისაგან განზე». პარიზი. პოლ ოლენდორფი; ნევშატელი. ძმ. ატინგერები. 1915). — **391.**

391 «ვ ა პ ე რ ი ო დ» — «ვპერიოდის» ჯგუფის პერიოდული გამოცემა, გამოდიოდა ჟენევაში 1915 წლის 25 აგვისტოდან (№ 1) 1917 წლის 1 თებერვლამდე (№ 6). გამოცემაში მონაწილეობას იღებდნენ ვ. ლუნაჩარსკი (ა. ვოინოვი), პ. ლებედევი (ვ. პოლიანსკი), დ. ზ. მანუილსკი (ი. ბეზრაბოტნი) და სხვ — **392.**

392 იგულისხმება კრებული, გამოცემული რსდმპ ორგანიზაციული კომიტეტის (მენშევიკების) საზღვარგარეთული სამდივნოს მიერ. «ინტერნაციონალი და ომი» № 1, რომელიც გამოვიდა 1915 წელს. — **392.**

393 «კ ო მ მ უ ნ ი ს ტ» — ჟურნალი, იცემოდა ჟენევაში გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის მიერ გ. პიატაკოვსა და ე. ბოშთან ერთად 1915 წელს. გამოვიდა ერთი (ორმაგი) ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებული იყო ლენინის სამი სტატია: «II ინტერნაციონალის კრახი»; «ფრანგი სოციალისტის პატიოსანი ხმა» და «იმპერიალიზმი და სოციალიზმი იტალიაში» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 237 — 309, 424 — 434, 435 — 447).

ჟურნალის რედაქციის შიგნით ლენინი ბრძოლას აწარმოებდა ბუხარინ-პიატაკოვის ანტიპარტიული ჯგუფის წინააღმდეგ, ამხილებდა მის ანტიბოლშევიკურ შეხედულებებს, მის ცდებს — გამოეყენებინა ჟურნალი ფრაქციული მიზნებისათვის. ამ ჯგუფის ანტიპარტიული პოზიციის გამო ლენინმა წინადადება წამოაყენა შეეწყვიტათ მასთან ურთიერთობა და ჟურნალის ერთად გამოცემა. 1916 წლის ოქტომბრიდან გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია უშვებდა უკვე თავის «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას».— **392.**

394 იგულისხმება მანიფესტი, მიღებული ციმერვალდის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მიერ, და ამ კონფერენციის ანგარიში, რაც თავდაპირველად დაიბეჭდა «Berner Tagwacht»-ში («ბერნის გუშაგი») № 218, 1915 წლის 18 სექტემბერს. — **398.**

395 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივში ინახება ეგზემპლარი გერმანული ფურცლისა, რომელიც შეიცავს ციმერვალდის კონფერენციის მიერ მიღებული მანიფესტის ტექსტს; ამ ეგზემპლარზე არის

ლენინის მთელი რიგი ხაზგასმანი და შენიშვნები. — სიტყვა «unversöhlichen» («შეურიგებელი») ფანქრით შემოხაზულია და ისრით დაკავშირებულია გვერდით მიწერილ სიტყვასთან «revolutionären» («რევოლუციური»).

მანიფესტის რუსულ თარგმანში, რომელიც დაბეჭდილია «სოციალ-დემოკრატში» № 45 — 46, 1915 წლის 11 ოქტომბერს, შენარჩუნებულია სიტყვა «შეურიგებელი». — **393.**

396 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივში ინახება ანგარიშის ანაბეჭდის ეგზემპლარი ლენინის ხაზგასმებით და შენიშვნებით. ანგარიშის იმ ადგილას, სადაც ჩამოთვლილია ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის პროექტის ხელმოწერანი, არის ლენინის ჩანამატი: «გერმანელთა ნაწილი კი? 1 შვეიცარიელი კი?». — **393.**

397 ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის შექმნასთან დაკავშირებით ანგარიშში ნათქვამია: «ამ სამდივნომ არასგზით არ უნდა შეცვალოს ამჟამად არსებული საერთაშორისო ბიურო, არამედ იგი დაშლილ უნდა იქნას, როგორც კი ბიურო შეძლებს სავსებით თავისი დანიშნულების შესაფერისი გახდეს». მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივში შემონახულ ეგზემპლარში ეს ადგილი ხაზგასმულია ლენინის მიერ, ხოლო გვერდით მიწერილია: «Kein Beschluss darüber» («ამის შესახებ დადგენილება არ ყოფილა»). — **393.**

398 ლენინს მხედველობაში აქვს ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის რეზოლუციის პროექტი და განცხადება, რომლითაც მან დაასაბუთა მის მიერ ოფიციალური მანიფესტისათვის ხმის მიცემა. — **394.**

399 როგორც ეტყობა, იგულისხმება ბროშურა «სოციალიზმი და ომი». — **394.**

400 მ. მ. ხ ა რ ი ტ ო ნ ო ვ ი — კომუნისტი, გაიხიზნა 1912 წელს საზღვარგარეთ, მონაწილეობას იღებდა ბოლშევიკების ციურიხის სექციის მუშაობაში. 1915 წელს მონაწილეობდა რსდმპ საზღვარგარეთული სექციების ბერნის კონფერენციაში. შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე აარაუში შეიტანა ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის სულისკვეთების შესწორება რეზოლუციისათვის ომის შესახებ; შესწორება ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მიღებულ იქნა 2/3 ხმის უმრავლესობით. — **395.**

401 ლენინის რეფერატი წერილში აღნიშნულ თემაზე ციურიხში, როგორც ეტყობა, არ შემდგარა. — **395.**

402 იგულისხმება პ. აქსელროდის ბროშურა «Die Kriese und die Aufgaben der internationalen ozialdemokratie» («კრიზისი და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ამოცანები». ციურიხი, 1915). — **395.**

403 1915 წლის 11 ოქტომბრის «სოციალ-დემოკრატში» № 45 — 46 დაბეჭდილია, გარდა კონფერენციაზე მიღებული მანიფესტისა და რეზოლუციებისა, ლენინის სტატიები «პირველი ნაბიჯი» და «რევოლუციური მარქსისტები 1915 წლის 5 — 8 სექტემბრის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე» (იხ. თხზულებანი, გამოც., 4: ტომი 21, გვ. 468 — 475 და 476 — 481) და ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის რეზოლუციისა და მანიფესტის პროექტები.

1915 წლის 13 ოქტომბრის «სოციალ-დემოკრატში» № 47 დაბეჭდილია ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის «ორი განცხადება» მანიფესტის გამო. — 395.

404 ბოლშევიკური ლიტერატურა, რომელიც შლიაპნიკოვმა აღმოაჩინა ვარდეში (ნორვეგიის კიდეგანი ჩრდილოეთის ნავსადგური) მის მიერ ამ პუნქტით არალეგალური ტრანსპორტის მოგვარების დროს, წარმოადგენდა 1906 — 1907 წლების ლიტერატურის დიდ მარაგს, მათ შორის გაზეთებს «პროლეტარის» და «ვპერიოდის», რაც, ალბათ, ჩარჩა ვარდეში არალეგალური ტრანსპორტის მუშაობის დარღვევის გამო. აღმოჩენილი ლიტერატურის ნაწილი, ლენინის მითითებით, რუსეთში გამოიგზავნა. — 396.

405 იგულისხმება: 1) რეზოლუცია არაპროლეტარული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ, მიღებული რსდმპ ლონდონის ყრილობაზე 1907 წელს (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 202 — 204); 2) რეზოლუცია ნაროდნიკების შესახებ, რომელიც მიიღო რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1913 წლის «აგვისტოს» («ზაფხულის») თათბირმა პარტიულ მუშაკებთან ერთად (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 398 — 400). — 397.

406 ლენინს მხედველობაში აქვს შლიაპნიკოვის (ბელენინის) არალეგალური გამომგზავრება რუსეთში. — 397.

407 იგულისხმება განცხადება, რომლითაც ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფმა დასაბუთა მის მიერ ოფიციალური მანიფესტისათვის ხმის მიცემა (იხ. 1915 წლის 13 ოქტომბრის «სოციალ-დემოკრატი» № 47). — 399.

408 ცნობა ციმერვალდის კონფერენციის შესახებ დაბეჭდილია 1915 წლის 19 სექტემბრის «Avanti!»-ში («წინ!») № 260, სათაურით «Il Con-

begno internationale di Zimmervald» («ინტერნაციონალური კონ-ფერენცია ციმერვალდში»). ამ ცნობაში დაწვრილებითაა აღნიშნული კონფერენციის ორგანიზაცია და მოთავსებულია იმ სახლის **რიგი** ფოტოგრაფიები, სადაც ციმერვალდის კონფერენცია მიმდინარეობდა. — **399.**

409 იგულისხმება ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის რეზოლუციის პროექტი. — **400.**

410 ციმერვალდის კონფერენციის ოფიციალურ ანგარიშში, რომელიც მოთავსებულია ბიულეტენის **«Internationale Sozialistische Kommission zu Bern»** («ინტერნაციონალური სოციალისტური კომისია ბერნში») პირველ ნომერში, აღნიშნული არ არის, რომ ბორჰარდტმა ხელი მოაწერა მემარცხენეთა რეზოლუციის **პროექტს. — 400.**

411 ლენინს მხედველობაში აქვს ფურცლების გამოცემა რუსეთში **გასავრ**ცელებლად. — **401.**

412 იგულისხმება ხელნაწერი ა. კოლონტაის ბროშურისა «ვის ესაჭი-როება ომი?», რომელიც 1916 წელს გამოსცა რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა. ლენინის შესწორებანი ამ ბროშურისათვის დაბეჭდილია ლენინის კრებულში XVII, გვ. 324 — 330. — **401.**

413 იგულისხმება ლენინის განზრახული გადასვლა შვეიცარიიდან სკან-დინავიის ერთ-ერთ ნეიტრალურ ქვეყანაში. გადასვლა წერილის ტექ-სტში აღნიშნული მიზეზების გამო არ განხორციელებულა. — **401.**

414 კონსპირაციის მიზნით ლენინი, ა. შლიაპნიკოვს რომ წერილს უგზავ-ნის, წერილში მას ბელენინს უწოდებს. ასეთი კონსპირაცია აუცი-ლებელი ხდებოდა იმის გამო, რომ განზრახული იყო შლიაპნიკოვის არალეგალური გამომგზავრება რუსეთში. — **402.**

415 იგულისხმება რეზოლუციის პროექტი, რომელიც ციმერვალდის კონ-ფერენციაზე მემარცხენეებმა შეიტანეს. — **403.**

416 განცხადება ლედებარის ულტიმატიმური მოთხოვნის გამო, რომ კონფერენციას არ გამოეტანა დადგენილება — აკრძალვოდათ **კონ-ფერენციის** მონაწილე ორგანიზაციებს სამხედრო კრედიტებისათვის **ხმის მიცემა** (ეს საკითხი ამა თუ იმ ქვეყნის სტრატეგიული მდგომა-

რეობის მიხედვით უნდა გადაწყდესო), მოთავსებულია 1915 წლის 13 ოქტომბრის «სოციალ-დემოკრატში» № 47 («ორი განცხადება საერთაშორისო კონფერენციაზე»). — **408.**

417 «სოციალ-დემოკრატი» № 47, რომელზეც აქ ლაპარაკია, გამოვიდა 13 ოქტომბერს (№ 45 — 46 გამოსვლის ორი დღის შემდეგ) და თითქმის მთლიანად მიძღვნილია სოციალ-დემოკრატიული მუშაობის მდგომარეობისადმი პეტერბურგსა და მოსკოვში. ამავე ნომერში დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის სტატია «რამდენიმე თეზისი. რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ», მიძღვნილი რუსეთში სოციალ-დემოკრატიული მუშაობის საჰარბოროტო საკითხებისადმი (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 490 — 494).

თუ რა უპასუხა ვ. კარპინსკიმ, ამის დადგენა ვერ მოხერხდა, მაგრამ, აშკარაა, პასუხი უარყოფითი იყო, რადგან «სოციალ-დემოკრატი» № 47 იბეჭდებოდა უკვე არა «კუზმასთან», არამედ ბენტელისთან ბუმპლიცში. — **404.**

418 იგულისხმება 1915 წლის ნოემბერში გერმანულ ენაზე გამოცემული «Internationales Flugblatt» № 1 (Die Zimmerwalder Linke über die Aufgaben der Arbeiterklasse) («ინტერნაციონალური სახელდახელო ფურცელი» № 1 (ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფი მუშათა კლასის ამოცანების შესახებ)). — **406.**

419 «ფურცელზე» აღნიშნული იყო ფრიც პლატენის მისამართი: «Fritz Platten (für L. F.) Zürich, Rotachstrasse 23».—**406.**

420 იგულისხმება ციმერვალდის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ბრძოლა შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე, რომელიც შედგა 1915 წლის 20 — 21 ნოემბერს (ახ. სტ.) აარაუში (შვეიცარია). ყრილობის დღის წესრიგის ცენტრალური პუნქტი იყო ინტერნაციონალისტთა ციმერვალდის გაერთიანებისადმი შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამოკიდებულების საკითხი. ამ საკითხის გარშემო გაჩაღდა შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიაში არსებული სამი მიმართულების ბრძოლა: 1) ანტიციმერვალდელებისა (გრეილიხი, პფლიუგერი და სხვ.), 2) ციმერვალდის მემარჯვენე ჯგუფის მომხრეებისა (გრიმი და სხვ.) და 3) ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის მომხრეებისა (პლატენი და სხვ.).

რ. გრიმმა შეიტანა რეზოლუცია, რომლითაც შვეიცარიის სოც.-დემოკრატიულ პარტიას წინადადება ეძლეოდა შეერთებოდა ციმერვალდის გაერთიანებას და მოეწონებინა მემარჯვენე ციმერვალდელთა პოლიტიკური ხაზი. შვეიცარიელმა მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა შესწორება შეიტანეს გრიმის რეზოლუციის გამო. შესწორება

მოითხოვდა ეცნოთ, რომ აუცილებელია მასობრივი რევოლუციური ბრძოლის გაჩაღება ომის წინააღმდეგ, და აცხადებდა, რომ მხოლოდ პროლეტარიატის ძლევამოსილ რევოლუციას შეუძლია ბოლო მოუღოს იმპერიალისტურ ომს.

ხმების უმრავლესობით ყრილობამ მიიღო მემარცხენეთა შესწორება. — **406.**

421 იგულისხმება მუშათა წარმომადგენლების ხელმეორე არჩევნები სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში (ცენტრალურსა და საოლქოში). რაკი ლიკვიდატორები დამარცხდნენ 1915 წლის 27 სექტემბერს (ძვ. სტ.) პირველ არჩევნებში, როდესაც ბოლშევიკებმა გაატარეს თავიანთი რეზოლუცია, რომ «პრინციპულად დაუშვებელია პროლეტარიატის წარმომადგენელთა მონაწილეობა ისეთ ორგანიზაციებში, რომლებიც რამენაირად ხელს უწყობენ ამ ომს», — მათ ბურჟუაზიის დახმარებით გააჩაღეს კამპანია ამ არჩევნების გაუქმებისათვის. მას შემდეგ, რაც ბურჟუაზიულ გაზეთ «დენში» 1915 წლის 5 ოქტომბერს გამოქვეყნდა კ. გვოზდევის წერილი-დაბეზღება, რომელიც სადავოდ თვლიდა პირველი არჩევნების კანონიერებას იმ საბუთით, რომ ამომრჩეველი კუდრიაშოვი (მუშა-პუტილოველი) თავის მანდატს აძლევდა «გარეშე» პირებს საარჩევნო კრებაზე შესაღწევადო, არჩევნები გააუქმეს.

ხელმეორე არჩევნებზე, რაც 1915 წლის 29 ნოემბერს (ძვ. სტ.) შედგა, ბოლშევიკებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელიც მკაცრად გმობდა ლიკვიდატორების მოქმედებას, და დატოვეს კრება. ამრიგად, ლიკვიდატორებმა ბურჟუაზიის დახმარებით «გაიმარჯვეს». მათ შეძლეს აერჩიათ 10 კაცი «მუშათა ჯგუფში» მენშევიკებისა და ესერების წარმომადგენლებისაგან. — **407.**

422 როგორც ეტყობა, იგულისხმება ბოლშევიკების ყენევის სექციის რეზოლუცია სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის არჩევნების გამო.— **407.**

423 ლაპარაკია ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის ორგანოს «Vorbote»-ს შესახებ («წინასწარმაუწყებელი»), რომლის № 1 გამოვიდა ბერლინში 1916 წლის იანვარში, ხოლო № 2 — 1916 წლის აპრილში. ჟურნალის ოფიციალური გამომცემლები იყვნენ: ანტონ პანეკუკი და გენრიეტა როლანდ-ჰოლსტი. მონაწილეობას იღებდნენ: ვ. ი. ლენინი, კ. რადეკი, გ. გორტერი, დ. ვაინკოპი და სხვ. ჟურნალში დაბეჭდილი იყო ვ. ი. ლენინის ნაშრომები: «ოპორტუნიზმი და II ინტერნაციონალის კრახი», «სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება (თეზისები)» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 125 — 141 და 173 — 191). — **408.**

484 «დიალექტიკის საკითხისათვის» წარმოადგენს განსაკუთრებულ ფრაგმენტს, რომელიც დაწერილია ლენინის მიერ ერთ-ერთ რვეულში ფილოსოფიის ათი რვეულიდან. ეს რვეულები პირველად გამოვიდა ცალკეულ გამოცემად 1933 წელს «ფილოსოფიური რვეულების» სახით. — **409.**

425 კონსტიტუციის შეცვლა იმით გამოიხატებოდა, რომ ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის წარმომადგენლებს იწვევდნენ «Vorbote»-ში მონაწილეობის მისაღებად არა როგორც ჟურნალის რედაქტორებს, როგორც წინათ დასახული იყო, არამედ როგორც მის თანამშრომლებს (იხ. ეს ტომი, გვ. 456). — **415.**

426 როგორც ეტყობა, იგულისხმება ლენინის მუშაობა ბროშურაზე «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 229 — 384). — **417.**

427 ციურიხში ლენინმა წაიკითხა ორი რეფერატი: 1916 წლის 17 თებერვალს (ახ. სტ.) — «ორი ინტერნაციონალი» და 1916 წლის 26 თებერვალს (ახ. სტ.) — ««ზავის პირობები» ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით». — **417.**

428 ნ. კ. კრუპსკაიას წიგნი «სახალხო განათლება და დემოკრატია», ვარაუდის წინააღმდეგ, «პარუსს» არ გამოუცია, არამედ გამოვიდა მხოლოდ 1917 წელს «ეიზნ ი ზნანიეს» გამოცემით». — **420.**

429 იგულისხმება ვ. ი. ლენინის რეფერატი თემაზე ««ზავის პირობები» ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით», რომელიც წაკითხულ იქნა ციურიხში. — **423.**

430 ლენინის რეფერატი თემაზე: ««ზავის პირობები» და ეროვნული საკითხი» შედგა ჟენევაში 1916 წლის 1 მარტს (ახ. სტ.). რეფერატს დაესწრო 200-ზე მეტი კაცი. — **423.**

431 ლენინის რეფერატი ლოზანაში, როგორც ეტყობა, არ შემდგარა. — **423.**

432 ს. სემკოვსკის სტატია «სახელმწიფოებრივი პროექტორობა» დაბეჭდილია 1915 წლის 21 მარტის «ნაშე სლოვოში» № 45. — **424.**

433 იგულისხმება ციმერვალდის კონფერენციაზე არჩეული ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის გაფართოებული თათბირი. თათბირმა დაადგინა, მოეწვია 1916 წლის აპრილს კინტალში (კონსპირაციული მოსაზრებებით რეზოლუციაში ნათქვამია: «ჰოლანდიის ერთ-

ერთ ქალაქში») მეორე ინტერნაციონალური სოციალისტური კონფერენცია, შეიმუშავა კონფერენციის დღის წესრიგი (ბრძოლა ომის დამთავრებისათვის, მუშათა კლასის პოზიცია ზავის საკითხებში, ჰაგის საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწვევის საკითხი და სხვ.) და მიმართვა «ყველა მომხრე პარტიისა და ჯგუფისადმი», რომელშიც აღნიშნულია სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ ხმის მიცემის აუცილებლობა, ქვეყნის სტრატეგიული მდგომარეობის დამოუკიდებლად, და დაგმობილია მუშების ყოველგვარი ნებაყოფლობითი მონაწილეობა ეროვნული თავდაცვის დაწესებულებებში.

ამავე მიმართვაში ინტერნაციონალურ სოციალისტურ კომისიას მიაჩნდა, რომ ყოველგვარი ცდა — აღადგინონ ინტერნაციონალი საახელგატეხილი ოპორტუნისტული ბელადების ურთიერთი ამნისტიის გზით და ამავე დროს მოიწონონ «კლასების დაზავების» პოლიტიკის განგრძობა, არის შეთქმულება სოციალიზმის წინააღმდეგ და ლახვრის ჩაცემა გამოღვიძების პროცესში მყოფი რევოლუციური მუშათა მოძრაობისათვის (იხ. 1916 წლის 25 მარტის «სოციალ-დემოკრატი» № 52 «ყველა მომხრე პარტიისა და ჯგუფისადმი»). — **425.**

434 ინტერნაციონალისტური კლუბი დააარსეს ჟენევაში 1915 წლის დეკემბერს მემარცხენე ინტერნაციონალისტური მიმართულების ემიგრანტებმა. — **425.**

435 ეს წერილი ლენინის პასუხია ი. ლარინის წინადადებაზე — მონაწილეობა მიეღო კრებულში, რომელიც მიეძღვნებოდა ობორონობის კრიტიკას და ციმერვალდის პლატფორმის დასაბუთებას. განზრახული იყო კრებული ლეგალურად გამოეცათ რუსეთში. კრებულში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყვნენ საზღვარგარეთ აქსელროდი, ლუნაჩარსკი, მარტოვი და სხვ. რუსეთში თანამშრომლებს კრებულისათვის ნ. სუხანოვი შეარჩევდა. პირობებში მონაწილეთათვის, სხვათა შორის, დათქმული იყო, რომ «ამ კრებულის სტატიებში არ უნდა იყოს მის მონაწილეთა ურთიერთ თავდასხმები». კრებული არ გამოსულა. — **426.**

436 ცდა, რომ ამერიკაში გამოეცათ **Internationales Flugblatt»** («ინტერნაციონალური სახელდახელო ფურცელი») № 1, არ განხორციელებულა. — **427.**

437 წერილი «ამერიკის სოციალისტური პროპაგანდის ლიგის» მდივნისადმი დაწერილია ლენინის მიერ 1915 წლის ნოემბერში (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 518 — 525). — **428.**

438 მოლაპარაკებამ სოციალისტური ლიტერატურის გამომცემელ ჩარლზ კერთან, რომ ამერიკაში ინგლისურ ენაზე გამოცემული ყოფილიყო

ბროშურა «სოციალიზმი და ომი», ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. — 428.

439 «Internationale Korrespondenz» («საერთაშორისო კორესპონდენცია») — ყოველკვირეული ვერმანული სოციალ-შოვინისტური ჟურნალი საერთაშორისო პოლიტიკისა და მუშათა მოძრაობის საკითხებზე; გამოდიოდა 1914 წლიდან 1917 წლამდე ბერლინში. — 428.

440 გადაკრული სიტყვაა იმ უთანხმოებასა და ბრძოლაზე, რომელიც პატყდა, ერთი მხრივ, ვ. ი. ლენინსა და, მეორე მხრივ, რადეკსა, პიატაკოვსა და სხვებს შორის ერთა თვითგამორკვევის საკითხის გამო, რის შედეგი იყო «კომმუნისტის» გამოცემის შეწყვეტა. — 431.

441 «იაპონელებს» უწოდებდნენ გ. პიატაკოვს და ე. ბოშს იმის გამო, რომ ისინი რუსეთიდან იაპონიით გაიხიზნენ შვეიცარიაში. — 432.

442 ლაპარაკია ჟურნალ «კომმუნისტის» შემდგომი გამოცემის შესახებ შეთანხმების პროექტზე, რომელიც შეიმუშავეს გ. პიატაკოვმა და ე. ბოშმა (იგივე პ. და ნ. კიევსკები) და რომელიც ა. შლიაპნიკოვმა გაუგზავნა ვ. ი. ლენინს.

«პირობები», რომლებმაც განსაკუთრებით აღაშფოთეს ვ. ი. ლენინი, იყო პროექტის შემდეგი ორი პუნქტი: «2) ჟურნალის გამოცემა ეკისრება პ. და ნ. კიევსკებს. გამომცემლობის დამფუძნებელნი და მისი პასუხისმგებელი წარმომადგენელნი არიან ამხ. პ. და ნ. კიევსკები». (უკანასკნელი ფრაზა ამოშლილია ვ. ი. ლენინის მიერ. — რ ე დ.) «5) ს ა დ ი ს კ უ ს ი ო გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა. დისკუსიის საკითხებში სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს შემდეგი წესებით: a) რედაქციის თვითეულ წევრს, რომელიც არ ეთანხმება კოლეგიას პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის ცალკეულ საკითხში, უფლება აქვს მოათავსოს თ ა ვ ი ს ი ს ტ ა ტ ი ა «სადისკუსიო განყოფილებაში»: ... c) «სადისკუსიო განყოფილებაში» «კომმუნისტის» თანამშრომელთა სტატიების მოსათავსებლად საჭიროა სულ ცოტა ორი რედაქტორის თანხმობა. (ქვეპუნქტი «c» აგრეთვე ამოშლილ იქნა ვ. ი. ლენინის მიერ. — რ ე დ.)». — 432.

443 იგულისხმება ვ. ი. ლენინის უთანხმოებანი რადეკთან და პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ეროვნული საკითხის გამო. ამ უთანხმოებათა არსი გადმოცემულია ლენინის მიერ სტატიაში «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტ. 22, გვ. 406 — 459.). — 432.

444 იგულისხმება გ. პიატაკოვისა და ე. ბოშის პროექტის შემდეგი ადგილი: ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას უნდა შეადგენდეს 7 კაცი: 1) ე. ბოში, 2) ლიალინი (პიატაკოვი). 3) ბუხარინი, 4) ლენინი, 5) ზინოვიევი, 6) NN, 7) NN. შემდეგ ნათქვამი იყო, რომ მეექვსე პირი გამომცემლობის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში კოოპტაციით შეიყვანება ლენინისა და ზინოვიევის რეკომენდაციით. მათვე «აქვთ უფლება წამოაყენონ გამომცემლობისათვის მეშვიდე პირიც. პარტიულ ლიტერატორთა რიცხვიდან: მისი უარყოფა მოითხოვს კენჭისყრას და რედაქციის უბრალო უმრავლესობით გადაწყვეტას».— 438.

445 რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წინადადება ციმერვალდის მეორე კონფერენციას დაწერილი იყო პასუხად ISK-ს მომართვისა ყველა მომხრე პარტიისა და ჯგუფისადმი (იხ. «Internationale Sozialistische Kommission zu Bern». Bulletin. Nr. 3, 29 Februar 1916).

«წინადადების» ხელნაწერი ორ ვარიანტადაა შემონახული. აქ იბეჭდება «წინადადების» პირვანდელი ტექსტი, რომელიც 15 პუნქტისაგან შედგება. 8 პუნქტისაგან შემდგარი მეორე (საბოლოო) ვარიანტი იხ. ვ. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 207 — 219.

მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია მიმდინარეობდა 1916 წლის 24 — 30 აპრილს (ახ. სტ.) კინტალში (შვეიცარია). კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ წარმომადგენლები გერმანიისა (7 კაცი), იტალიისა (7 კაცი), რუსეთისა (8 კაცი, მათ შორის ვ. ი. ლენინი, პეტროვა (ი. არმანდი) და სხვები), პოლონეთისა (5 კაცი), საფრანგეთისა (4 კაცი), შვეიცარიისა (5 კაცი) და სხვ. სულ 43 კაცი, აქედან 12 კაცი მტკიცედ ემხრობოდა მემარცხენე ჯგუფს.

კონფერენციის დღის წესრიგში იდგა საკითხები: ბრძოლა ომის დამთავრებისათვის, პროლეტარიატის დამოკიდებულება ზავის, პარლამენტური მოღვაწეობის, მასობრივი ბრძოლის საკითხებისადმი, საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწვევის შესახებ და სხვა. ამ კონფერენციაზე მემარცხენე ფრთა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ციმერვალდის კონფერენციაზე. ლენინმა მიაღწია ისეთი რეზოლუციის მიღებას, რომელშიც მოცემული იყო სოციალ-პაციფიზმისა და საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს საქმიანობის კრიტიკა. კინტალის კონფერენციამ ხელი შეუწყო ინტერნაციონალისტური ელემენტების გამოყოფას და დარაზმვას, რომლებისაგანაც შემდგომ ლენინისა და ბოლშევიკების ინიციატივით 1919 წელს შეიქმნა კომუნისტური, III ინტერნაციონალი. მაგრამ კონფერენციამ არ მიიღო ბოლშევიკების პოლიტიკის ძირითადი დებულებანი: იმპერიალისტური

ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა, საკუთარ იმპერიალისტურ მთავრობათა დამარცხება ომში, III ინტერნაციონალის ორგანიზაცია. — **484.**

446 ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა **არნემში** შედგა 1916 წლის 8 — 9 იანვარს. — **486.**

447 «სამთა შეთანხმების» ქვეყნების სოციალისტთა ლონდონის კონფერენცია გაიმართა 1915 წლის 14 თებერვალს (ახ. სტ.). ამ კონფერენციას ესწრებოდნენ ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის სოციალ-შოვინისტებისა და სოციალისტურ პარტიათა პაციფისტური ჯგუფების წარმომადგენლები და რუსეთიდან — მენშევიკები და ესერები.

თუმცა ბოლშევიკები მოწვეული არ ყოფილან, მაგრამ ვ. ი. ლენინის დავალებით კონფერენციაზე გამოცხადდა ლიტვინოვი (მაქსიმოვიჩი), რათა გამოექვეყნებინა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის დეკლარაცია, რომელსაც საფუძვლად დაედო ლენინის მიერ დაწერილი პროექტი. დეკლარაცია მოითხოვდა სოციალისტების გამოსვლას ბურჟუაზიული მთავრობებიდან, იმპერიალისტებთან კავშირის სავსებით გაწყვეტას, მათთან თანამშრომლობაზე ხელის აღებას, გადამწყვეტ ბრძოლას საკუთარ იმპერიალისტურ მთავრობათა წინააღმდეგ და სამხედრო კრედიტებისათვის ხმის მიცემის დაგმობას. დეკლარაციის გამოქვეყნების დროს ლიტვინოვს ლაპარაკი შეაწყვეტინეს და სიტყვა წაართვეს. მან დეკლარაციის ტექსტი პრეზიდიუმს გადასცა და კონფერენცია დატოვა. ლონდონის კონფერენციის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 147 — 150 და 203 — 206.

გერმანიისა და ავსტრიის სოციალისტთა ვენის კონფერენცია, რომელიც თითქოს ანტანტის ქვეყნების სოციალისტთა ლონდონის კონფერენციის პასუხი იყო, 1915 წლის აპრილში მიმდინარეობდა. კონფერენციამ მოიწონა სამშობლოს დაცვის სოციალ-შოვინისტური ლოზუნგი. — **487.**

448 იგულისხმება კ. კაუცკის სტატია «**Nochmals unsere Illusionen**» («ერთხელ კიდევ ჩვენს ილუზიებზე») 1915 წლის 21 მაისის «**Die Neue Zeit**»-ში № 8. — **487.**

449 ლაპარაკია «**Avanti!**»-ს სარედაქციო სტატიაზე, რომელიც მოთავსებულია 1916 წლის 5 მარტის № 65-ში სათაურით «**Polemica in casa nostra**» («პოლემიკა ჩვენს ბანაკში»), სადაც რედაქციას მოჰყავს ნაწყვეტი «**Critica sociale**»-ში მოთავსებულ ტრეველის სტატიიდან და ეკამათება მას. — **488.**

450 ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის ცირკულარი — ისკ-ის მიმართვა ციმერვალდის გაერთიანების ყველა პარტიისა და ჯგუფისადმი ერთხმად მიიღო ისკ-ის 1916 წლის თებერვლის თათბირმა ბერნში. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის დელეგაციამ, რომელსაც ლენინი მეთაურობდა, ამ თათბირზე შეიტანა განცხადება, რომ დელეგაცია მიმართვას წინგადადგმულ ნაბიჯად ცნობს ციმერვალდის პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის გადაწყვეტილებებთან შედარებით, მაგრამ ყველა მის დებულებას როდი თვლის დამაკმაყოფილებლად. მიმართვა გამოქვეყნებულია ისკ-ის 1916 წლის 29 თებერვლის ბიულეტენში № 3 და 1916 წლის 25 მარტს გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» № 52. — **442.**

451 იგულისხმება ცნობა, რომ სტოკჰოლმში დააპატიმრეს ნ. ბუხარინი, გ. პიატაკოვი, ი. სურიცი და ნ. გორდონი შვედი «ახალგაზრდა» სოციალ-დემოკრატების ყრილობასთან დაკავშირებით, რომელიც მზადდებოდა. საპყრობილეში დამწყვდევის რამდენიმე დღის შემდეგ პატიმარნი გააძევეს შვეციიდან და დაბინავდნენ ქრისტიანიაში (ოსლო). — **447.**

452 ნეიტრალური ქვეყნების სოციალისტთა კონფერენცია, რაც კ. ჰიუისმანსმა 1916 წლის 26 ივნისისათვის დანიშნა, შედგა ჰაგაში 31 იულისს. კონფერენციაში მონაწილეობდნენ: ჰოლანდიიდან — 8 დელეგატი, შვეციიდან — ბრანტინგი, დანიიდან — სტაუნინგი, არგენტინიდან — რენემო და ჩრდილოეთ ამერიკიდან — ლი. კონფერენციამ, რომელმაც მიიღო რეზოლუცია თავისუფალი ვაჭრობის როგორც «მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო სოლიდარობის» პირობია სასარგებლოდ, თავის გარშემო სოციალისტური პარტიების მხოლოდ მემარჯვენე ელემენტები დარაზმა. — **449.**

453 ლენინს მხედველობაში აქვს კ. ჰიუისმანსის მოხსენება ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო ყრილობაზე არნემში 1916 წლის 9 იანვარს ინტერნაციონალის მოღვაწეობის შესახებ. თავის მოხსენებაში კ. ჰიუისმანსი გამოვიდა «დემოკრატიული ზავის» პროგრამით, ამასთან მან წარმოაყენა შემდეგი დებულებანი: 1) შეიარაღების შეზღუდვა, 2) ეროვნული თვითგამორკვევა, 3) დიპლომატიის დემოკრატიზაცია და 4) სამედიატორო სასამართლოს დაარსება. თავის მოხსენებაში კ. ჰიუისმანსი შეეხო ციმერვალდის კონფერენციას და მის მემარცხენე ჯგუფს. გაზეთმა **«Volksfreund»**-მა სტატია-

ში «De Brouckere über die Internationale» («დებრუკერი ინტერნაციონალის შესახებ») 1916 წლის 15 თებერვლის № 38-ში მთლიანად დაბეჭდა დახურული ბელგიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთის «Le Peuple»-ის რედაქტორის ლ. დებრუკერის წერილი პ. რენოდელის (პირველი მსოფლიო ომის პერიოდში «L'Humanité»ს რედაქტორის) სახელზე, სადაც მოცემულია კ. ჰიუისმანსის მიერ არნემში გაკეთებული მოხსენების ორჭოფული, ცენტრისტული შეფასება. ამ სტატიის დასკვნის ნაწილში «Volksfreund» წერდა: «როგორც არ შეიძლება აღდგენილ იქნას ჰიუისმანსთან ერთად მიეთ-მოეთობით II ინტერნაციონალის ძველი სახე, ისე არ შეიძლება, რომ ახალი ინტერნაციონალი, დებრუკერთან ერთად, გახდეს აჩრდილი, რომელიც ანტანტის იმპერიალიზმის მოქმედებას გაიმეორებდა. ახალი ინტერნაციონალი გახდება მებრძოლი, დარაზმული ორგანიზაცია აღმოსავლეთის, დასავლეთისა და შუა ევროპის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ანდა იგი სხვა არაფერი იქნება, თუ არა მიეთ-მოეთობა ან იმპერიალიზმის იარაღი». — **449.**

454 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს შენიშვნა «Huysmans über die Internationale» («ჰიუისმანსი ინტერნაციონალის შესახებ»), მოთავსებული გაზეთ «Volksstimme»-ში («ხალხის ხმა»), № 8, 1916 წლის 12 იანვარს.—**449.**

455 ზეტ ჰეგლუნდი — შვეციის სოციალ-დემოკრატების მემარცხენე ფრთისა და ახალგაზრდობის მოძრაობის ბელადი, ომის საწინააღმდეგო გამოსვლებისათვის 1916 წლის 3 მაისს მიესაჯა სამი წლის კატორღული სამუშაო. — **449.**

456 იგულისხმება № 1 «Internationales Flugblatt»-ის გამოცემა ინგლისურ ენაზე. ამის გამო ა. მ. კოლონტაი 1916 წლის 19 აპრილს სწერდა ლენინს: «როგორც იქნა, მივაღწიე ბროშურის № 1 «I. F.»-ის ფასის განსაზღვრას: 3.000 ეგზემპლარი 75 კრონი ეღირება, ეს მინიმალური ფასია. ჩემი აზრით, ძვირია, მაგრამ აქ უფრო იაფად არსად არ იღებენ და ესეც ნაცნობობით «შეღავათს» გვაძლევენ». — **449.**

457 იგულისხმება მეორე საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიმდინარეობდა 1916 წლის 24 — 30 აპრილს (ახ. სტ.) კინტალში (შვეიცარია). — **450.**

458 კინტალის კონფერენციაზე საფრანგეთის დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ჟ. ლონგეს მომხრენი: პ. ბრიზონი, ა. ბლანი და რაფენ-დიუჟანი, რომლებიც ომის შემდეგ საფრანგეთის კომუნისტურ

პარტიას მიემხრნენ; პ. ბრიზონი მალე გავიდა მისი შემადგენლობიდან. — **450**.

459 ლენინს, როცა ის ამბობს, კონფერენციაზე მემარცხენე ჯგუფი გაძლიერდაო, მხედველობაში ჰყავს შემდეგი დელეგატები: კაცლეროვიჩი (სერბია), პლატენი, ნობსი და რობმანი (შვეიცარია) და კალბა (საფრანგეთი), რომლებიც ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფს მიემხრნენ. გერმანელთა ჯგუფ «**Internationale**»-დან კონფერენციაში მონაწილეობდნენ ბ. ტალჰეიმერი და ე. მაიერი.

ჯგუფი «ინტერნაციონალი», რომელიც შემდგომ იწოდებოდა კავშირ «სპარტაკად», შექმნეს გერმანელმა მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა კ. ლიბკნეხტმა, რ. ლუქსემბურგმა, ფ. მერინგმა, კ. ცეტკინმა და სხვებმა ომის დასაწყისში. 1916 წლის იანვარში, მემარცხენე სოციალ-დემოკრატების საერთო გერმანიის კონფერენციაზე, ჯგუფმა მიიღო რ. ლუქსემბურგის მიერ შედგენილი და წარმოდგენილი თეზისები საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ. ჯგუფი «ინტერნაციონალი» ეწოდა რევოლუციურ პროპაგანდას მასებში იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, ამხილებდა გერმანიის იმპერიალიზმის მტაცებლურ პოლიტიკას და სოციალ-დემოკრატიის ბელადების გამცემლობას. მაგრამ იგი ვერ განთავისუფლდა ნახევრადმენშევიკური შეცდომებისაგან თეორიისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში: ავითარებდა იმპერიალიზმის ნახევრადმენშევიკურ თეორიას, უარყოფდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპს მისი მარქსისტული გაგებით (ე. ი. თვით გამოყოფას და დამოუკიდებელ სახელმწიფოების შექმნას), უარყოფდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომების შესაძლებლობას იმპერიალიზმის ეპოქაში, არასაკმაოდ აფასებდა რევოლუციური პარტიის როლს, ქედს იხრიდა მოძრაობის სტიქიურობის წინაშე. გერმანელ მემარცხენეთა შეცდომების კრიტიკა მოცემულია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში: «იუნიუსის ბროშურის შესახებ» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 385 — 405), «პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 23, გვ. 91 — 106) და სხვ. 1917 წელს ჯგუფი «ინტერნაციონალი» შევიდა გერმანიის ცენტრისტულ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, ამასთან იქ შეინარჩუნა თავისი ორგანიზაციული თავისთავადობა. გერმანიის 1918 წლის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ მან კავშირი გაწყვიტა «დამოუკიდებლებთან» და იმავე წლის დეკემბერში დააარსა გერმანიის კომუნისტური პარტია. — **450**.

460 შეთანხმება ლენინის მიერ წამოყენებული პირობების საფუძველზე არ განხორციელებულა. «კომმუნისტის» ნაცვლად იწყო გამოსვლა «სბორნიკ სოციალ-დემოკრატამ». — **451**.

461 ვ ა რ ი ნ ი (ვ. ი. ფრიდოლინი), რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველი რევოლუციის მონაწილე. მონაწილეობდა (სათათბირო ხმით) პარტიის III ყრილობაში (დაშინი), აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1906 წელს სამხედრო-შებრძოლი ორგანიზაციების კონფერენციის მუშაობაში, რისთვისაც დააპატიმრეს და 6 წლის კატორღა მიუსაჯეს. შემდეგ ჩამოშორდა პოლიტიკურ მოღვაწეობას, მუშაობდა მასწავლებლად უმაღლეს სასწავლებლებში. — 451.

462 ლენინის გეგმა ბუხარინ-პიატაკოვის ჯგუფმა არ მიიღო; ეს ჯგუფი დაჟინებით იცავდა თავის გეგმას, რომელშიც, გარდა ვ. ი. ლენინის სტატიებისა ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, დასახული იყო რადეკის, პიატაკოვისა და ბუხარინის სტატიები ეროვნულ საკითხზე. — 451.

463 «ე ბ რ ა ე ლ ი კ რ ე ბ უ ლ ი», რასაც აქ ვ. ი. ლენინი იხსენიებს, განზრახული იყო გამოეცათ საზღვარგარეთ იმ მასალების საფუძველზე, რომლებიც შლიაპნიკოვმა რუსეთიდან გაიტანა და ასურათებდნენ ებრაელთა მდგომარეობას ომის დროს. მაგრამ ეს კრებული არ გამოსულა. — 452.

464 ვ. ი. ლენინის რეფერატი ჟენევაში თემაზე «ორი მიმდინარეობა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში» გაიმართა 1916 წლის 2 ივნისს, პარასკევს, რაც ჩანს ბოლშევიკების ჟენევის სექციის აფიშიდან, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში ინახება (იხ. «ისტორიჩესკი არხივ» № 2, 1955 წელი). ლენინის რეფერატი ლოზანაში გაიმართა 3 ივნისს. — 453.

465 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივში ინახება ჟენევის უნივერსალური საჯარო ბიბლიოთეკის ნაბეჭდი ბლანკი (წიგნების მოსათხოვად), რომელზეც ვ. ი. ლენინის ხელით დაწერილია მოთხოვნა წიგნზე: **Martin. «Histoire financière et économique de L'Angleterre 1896 — 1902» i' 1912** (მარტენი. «ინგლისის 1896 — 1902 წლების ფინანსური და ეკონომიური ისტორია». პარიზი. 1912) — 453.

466 ვ. ი. ლენინს მზედველობაში აქვს რადეკის სტატია. **«Ein ausgespieltes Lied»** («წირვა გამოსულია»), რომელიც დაბეჭდილია გაზეთ **«Berner Tagwacht»** № 108, 1916 წლის 9 მაისს. ამ სტატიის შეფასება მოცემულია ლენინის მიერ ნაშრომში «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 452). — 456.

467 ა. კელიშერის სტატია «დუბლინის ამბოხება», რაზედაც აქ ლენინი ლაპარაკობს, დაბეჭდილია გაზეთ «რეჩში» № 102, 1916 წლის 15 (28) აპრილს. — 456.

468 სოკ — საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტი შეიქმნა 1911 წლის დეკემბერში საზღვარგარეთული ბოლშევიკური ჯგუფების თათბირზე. სოკ-ის ამოცანები გაშუქებულია თათბირის მიერ მიღებულ საერთო რეზოლუციაში (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 320 — 322). — 557.

469 ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურომ ა. შლიაპნიკოვის წინადადებით განიხილა «კომმუნისტის» რედაქციის შიგნით არსებული შეხლა-შემოხლა და გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: «ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, რომელმაც მოისმინა ამხ. ბელენინის (ა. შლიაპნიკოვის) განცხადება პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის ცალკეული პუნქტების გამო პარტიული პრესის თანამშრომელთა კოლეგიაში არსებულ უთანხმოებათა შესახებ, აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია აცნობოს ცენტრალური ორგანოს საზღვარგარეთულ რედაქციას შემდეგი: 1) ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო აცხადებს თავის სრულ სოლიდარობას ცენტრალური კომიტეტის ძირითად ხაზთან, რაც ტარდება ცენტრალურ ორგანო «სოციალ-დემოკრატში», და გამოთქვამს სურვილს, რათა ცენტრალური კომიტეტის ყველა გამოცემას რედაქცია უკეთდებოდეს მტკიცედ გარკვეული მიმართულებით, ომის დაწყებიდან ცენტრალური კომიტეტის მიერ დაკავებული ხაზის სრული შესაბამისობით. 2) ბიურო იმის წინააღმდეგია, რომ ცენტრალური კომიტეტის გამოცემები სადისკუსიო გამოცემებად გადაიქცეს. 3) ბიურო თვლის, რომ პროგრამა-მინიმუმის ცალკეულ საკითხებზე თანამშრომელთა უთანხმოება ცენტრალური ორგანოს რედაქციასთან არ შეიძლება ხელს უშლიდეს ამ პირთა მონაწილეობას ცენტრალური კომიტეტის გამოცემებში, და წინადადებას აძლევს ცენტრალური ორგანოს რედაქციას მიიღოს მათი თანამშრომლობა სხვა საკითხებზე, რომლებიც უთანხმოებას არ იწვევენ. 4) ბიურო წინადადებას იძლევა უთანხმოებათა გამორკვევისა და ლიკვიდაციისათვის გამოიყენონ კერძო გამომცემლობანი როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ, სადისკუსიო ხასიათის სპეციალური კრებულების გამოშვების გზით». — 460.

470 იგულისხმება კ. რადეკის ინტრიგები ვ. ი. ლენინის, როგორც «Vorbote»-ს რედაქციის წევრის წინააღმდეგ. ამაზე იხ. ეს ტომი, გვ. 456. — 462.

471 ლენინს მხედველობაში აქვს «Thesen über Imperialismus und nationale Unterdrückung» («თეზისები იმპერიალიზმისა და ეროვნული ჩაგვრის შესახებ»), რაც პირველად გამოქვეყნდა 1916 წლის აპრილს Vorbote»-ში № 2 პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული ოპოზიციის ორგანოს «Gazeta Robotnicza» («მუშათა გაზეთი») სახელით.— 462.

472 ლენინს მხედველობაში აქვს პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის გათიშვა, რაც ოთხ წელზე მეტს, 1912-დან 1916 წლამდე გრძელდებოდა.

ამ გათიშვის ერთ-ერთი მთავარი მოღვაწე, რომელიც მხარს უჭერდა პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის მთავარი გამგეობის პოზიციებს, იყო მთავარი გამგეობის წევრი ლეო ტიშკა; მას ორგანიზაციულ-პარტიულ საკითხებში რსდმპ შიგნით შემარიგებლური პოზიცია ეკავა ანტიბოლშევიკური ჯგუფების მიმართ. პოლონელი სოციალ-დემოკრატების გათიშვაზე იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 19, გვ. 592 — 595. — **462.**

473 ლენინის სტატია «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ», რომლის შესახებაც აქ ვარაუდით ლაპარაკია, დაბეჭდილი იყო 1916 წლის ოქტომბრის «სბორნიკ სოციალ-დემოკრატაში» № 1 (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 406 — 459). — **468.**

474 ინესა არმანდი 1916 წლის მაისს პარიზიდან შვეიცარიაში დაბრუნდა. მიღებულ იქნა თუ არა პასპორტი, ამის დადგენა ვერ მოხერხდა. — **467.**

475 ლენინს მხედველობაში აქვს ი. დელევსკის წიგნი «სოციალური ანტაგონიზმები და კლასობრივი ბრძოლა ისტორიაში». ს.-პეტერბურგი, «ობშჩესტვენნაია პოლზა», 1910. — **467.**

476 იგულისხმება ა. მ. კოლონტაის 1916 წლის 28 მაისის წერილი ვ. ი. ლენინისადმი, სადაც კოლონტაი იუწყება, რომ შვეიცის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან გავიდა მისი მდივანი სტრემი და სამი მისი წევრი, რამაც დაადასტურა «პარტიის ფაქტიური. თუმცა ჯერ კიდევ არა ფორმალური გათიშვაო». შემდეგ ა. მ. კოლონტაი წერდა: «შვედები კარგად მუშაობენ მემარცხენე ჯგუფის განსამტკიცებლად. ამზადებენ იმ ბრძოლის საზრიანად შედგენილ გეგმას, რომლის გამართვასაც ისინი უპირებენ მემარჯვენეებს ზამთარში განზრახულ პარტიულ ყრილობაზე, რის შედეგადაც ლოგიკურად გამოვა პარტიის ფორმალური დაშლაც. მათ მოსწრაფებას, რომ განცალკევდნენ, მხარი უნდა დავუჭიროთო». ამავე წერილში ა. მ. კოლონტაი ამერიკაში ინგლისურ ენაზე ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის ლიტერატურის გამოცემის გამო წარმოებული მოლაპარაკების შესახებ წერს: «ამერიკიდან პასუხი ჯერ კიდევ არ არის, ამავე დროს კი ამ დღეებში ფოსტა მოვიდა და მე მივიღე იმ წერილების პასუხი, რომლებიც გავგზავნე «Socialist Labour Party»-დმი და კიდევ Ch. Kerr-სადმი მიმართულ წერილებთან ერთად». ა. მ. კოლონტაის წერილი ინახება მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივში. — **468.**

477 ნეიტრალური ქვეყნების სოციალისტების კონფერენცია, რომელიც 1916 წლის 26 ივნისისათვის იყო დანიშნული, შედგა ჰააგაში 1916 წლის 31 ივლისს. ლენინს მხედველობაში აქვს ამ კონფერენციაში ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის მონაწილეობა. — **468.**

478 იგულისხმება ლ. რიბალკას ბროშურა **«L'Ukraine et la Guerre»** («უკრაინა და ომი»). ლოზანა, 1916. ა. მ. კოლონტაი 1916 წლის 28 მაისის წერილში ლენინისადმი ამ ბროშურას «სამარცხვინოდ შოვინისტურს» უწოდებს. — **469.**

479 ლაპარაკია ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენეთა წარმომადგენლის მონაწილეობაზე ნეიტრალური ქვეყნების სოციალისტთა კონფერენციაში. — **470.**

480 ლაპარაკია ლენინის ბროშურის «იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უახლესი ეტაპის» ხელნაწერის გადაგზავნაზე; კონსპირაციის მიზნით არალეგალურად გადასაგზავნ მასალებს ჩააკერებდნენ რომელიმე წიგნის სპეციალურად გამზადებულ ყდაში. — **472.**

481 ეისზეა ლაპარაკი, დადგენილი არ არის. — **472.**

482 ეს წერილი ლენინის პასუხია ბოლშევიკების პარიზის სექციის მდივნის გ. ბელენკის 1916 წლის 8 აგვისტოს და 5 სექტემბრის წერილებზე პარიზში გაზეთის, კრებულებისა და ფურცლების გამოცემის შესახებ. პარიზის სექციის მიერ დასახული გამოცემანი არ გამოსულა. — **476.**

483 ანტანტის სოციალისტების კონფერენციას იწვევდნენ ფრანგი სოციალ-შოვინისტების (ტომა, რენოდელი, სამბა) ინიციატივით. ვ. ი. ლენინის წინადადებით რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოსცა დეკლარაცია. რომელიც ააშკარავებდა სოციალ-შოვინისტების გამცემლურ მიზნებს და მოუწოდებდა ინტერნაციონალისტებს უარეყოთ წინადადება ამ კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის დეკლარაციის ტექსტი დაიბეჭდა 1916 წლის დეკემბერს «სბორნიკ სოციალ-დემოკრატაში» № 2. კონფერენციის მოწვევა გადაიდო. კონფერენცია შედგა ლონდონში 1917 წლის 28 აგვისტოს (ახ. სტ.). — **476.**

484 მოხსენება 1905 წლის რევოლუციის შესახებ ლენინმა წაიკითხა გერმანულად კრებაზე, რომელიც მოაწყო მუშა ახალგაზრდობამ 1917

წლის 22 (9) იანვარს ციურიხში, «სახალხო სახლში». მოხსენების ტექსტი იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 23, გვ. 310 — 333).—477.

485 ლენინის სტატია «რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკის შესახებ» დაიბეჭდა 1910 წლის დეკემბერს და 1911 წლის იანვარს ჟურნალ «მისლში» № 1 და № 2 (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 16, გვ. 493 — 528). — 477.

486 1911 წლის 29 აპრილის (12 მაისის) «დისკუსსიონნი ლისტოკში» № 3 დაბეჭდილია ლენინის სტატია «ისტორიული აზრი შინაპარტიული ბრძოლისა რუსეთში». ამ სტატიის მეორე ნაწილი შეიცავს რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკის შედეგს, რასაც იხსენიებს ლენინი (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 16, გვ. 468 — 492). — 477.

487 იგულისხმება ვლ. გორნის, ვ. მეჩის, ჩერევანინის სტატიების კრებული — «საზოგადოებრივი ძალების ბრძოლა რუსეთის რევოლუციაში», გამოცემული მოსკოვში. ნაკვეთი 3 — «გლეხობა და რევოლუცია».— 477.

488 პეტრე მასლოვის წიგნი «აგრარული საკითხი რუსეთში». ტომი II. — «გლეხური მეურნეობის კრიზისი და გლეხთა მოძრაობა». ს.-პეტერბურგი, «ობშჩესტვენნაია პოლზა», 1908. — 477.

489 წიგნი «მოსკოვი 1905 წლის დეკემბერში» გამოცემულია 1906 წელს მოსკოვში. ამ წიგნის შესახებ იხ. ლენინის რეცენზია თხზულებებში, 4 გამოც., ტომი 11, გვ. 189 — 198). — 477.

490 ლენინს მხედველობაში აქვს თეზისები «მემარცხენე ციმერვალდელთა ამოცანები შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში», დაწერილი 1916 წლის ოქტომბრის დამლევს — ნოემბრის დამდეგს და გამოცემული 1918 წელს ფრანგულ ენაზე ცალკეულ ფურცლად (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 23, გვ. 173 — 188). — 478.

491 იგულისხმება ვ. მიუნცენბერგის გამოსვლა შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის სხდომაზე 1917 წლის 7 იანვარს პარტიული ყრილობის მოწვევის გადადების საკითხის გამო; ეს ყრილობა დანიშნული იყო 1917 წლის 11 თებერვლისათვის ბერნში სამხედრო საკითხის განსახილველად (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 23, გვ. 284 — 286 და 376 — 377). — 470.

492 «Parteibeschlüsse» («პარტიის დადგენილებანი») — მოწინავე, ხელმოუწერელი სტატია შვეიცარიელი სოციალ-დემოკრატების ყოველდღიურ გაზეთ «Berner Tagwacht»-ში («ბერნის გუშაგი») № 6. 1917 წლის 8 იანვარი. — 479.

493 ციურიხის სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ «Volksrecht»-ში («ხალხის სამართალი») № 11 1917 წლის 13 იანვარს ხელმოწერით «— g» მოთავსებულია სტატია «Zur Parteitagsverschiebung» («პარტიული ყრილობის გადადების შესახებ»), რომელშიც ავტორი ილაშქრებს შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის 7 იანვრის იმ დადგენილების წინააღმდეგ, რომ ყრილობის მოწვევა განუსაზღვრელი დროით გადაიდოს. როგორც ეტყობა, სწორედ ამ სტატიაზე ლაპარაკობს ვ. ი. ლენინი. — 480.

494 ლაპარაკია მემარცხენეთა რეზოლუციაზე ყრილობის გადადების წინააღმდეგ და მისი მოწვევისათვის 1917 წლის გაზაფხულზე. რეზოლუციის ტექსტი გერმანულ ენაზე ვ. ი. ლენინის შესწორებებით ინახება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივში. მემარცხენეთა რეზოლუცია საფუძვლად დაედო რეფერენდუმს, რომელიც დაიწყო მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს ყრილობის მოწვევას გაზაფხულზე («Volksrecht» № 19, 1917 წლის 23 იანვარი—«Das Referendum gegen den Parteivorstandsbeschluss ergriffen («რეფერენდუმი პარტიის გამგეობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ დაიწყო»). — 481.

495 რა განცხადებაზეა ლაპარაკი, ამის დადგენა ვერ მოხერხდა. შესაძლებელია, იგულისხმება «ღია წერილი შარლ ნენს, ბერნის საერთაშორისო სოციალისტური კომისიის წევრს» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 23, გვ. 287 — 299). — 481.

496 ს. ნ. რავიჩი სწერდა ლენინს ჟენევის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ოპორტუნიზმზე; მის წევრთა შორის ბოლშევიკების მცირე ჯგუფს უხდებოდა ინტერნაციონალისტური მუშაობის წარმოება. — 482.

497 იგულისხმება ე. ნობსისა და ფ. პლატენის პოზიცია იმ დროს, როცა შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გამწვავდა ბრძოლა მილიტარიზმის საკითხის გამო და სამხედრო კრედიტების საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში სოციალ-დემოკრატების მოქმედების გამო. ასე, მაგალითად, ე. ნობსი წინააღმდეგი იყო მოტივირებული რეფერენდუმისა, რაც მემარცხენეებმა წამოიწყეს პარტეიტაგის სასწრაფოდ მოწვევის საკითხის გამო. ორივენი (ნობსი და პლატენი)

მონაწილეობას იღებდნენ ცენტრისტების კერძო თათბირში, რომელიც შედგა 1917 წლის 3 თებერვალს (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 23, გვ. 376 — 380). — **482.**

498 იგულისხმება ფურცლები, რომლებსაც სცემდა ციურიხში ციმერვალდის მემარცხენეთა შვეიცარიელი, გერმანელი, პოლონელი და რუსი მომხრეების ჯგუფი. ვ. ი. ლენინი მონაწილეობას იღებდა № 1 «ლისტოკის» რედაქტირებაში, აგვარებდა «ლისტოკის» უცხოურ ენებზე გადათარგმნას და ყოველნაირად ხელს უწყობდა მის გავრცელებას. — **482.**

499 ციურიხის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის საკანტონო ყრილობა ტიოსში (Töss) **შედგა 1917 წლის 11—12 თებერვალს. პარტიულმა ორგანომ «Volksrecht»-მა («ხალხის სამართალი») №36-ში 1917 წლის 12 თებერვალს მას მოწვინავე მიუძღვნა: «Der Parteitag in Töss» («პარტიული ყრილობა ტიოსში»).** შვეიცარიელი მემარცხენე სოციალ-დემოკრატების სახელით ყრილობაზე შეტანილ იქნა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი «წინადადება რეზოლუციაში სამხედრო საკითხის გამო ცელილებათა შეტანის შესახებ».

ყრილობაზე წარმოდგენილი იყო რეზოლუციის ორი პროექტი: 1) რეზოლუციის პროექტი, შედგენილი მემარჯვენეთა მიერ სოციალ-შოვინიზმის სულისკვეთებით, და 2) რეზოლუციის ცენტრისტული პროექტი, რომელიც მოიწონა შვეიცარიის ს.-დ. პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა უმრავლესობამ. ხმების უმრავლესობით (93 ხმა 65-ის წინააღმდეგ) ყრილობამ მიიღო უმრავლესობის რეზოლუციის პროექტი. სოციალ-შოვინისტების რეზოლუცია რომ არ გასულიყო, მემარცხენეებმა ხმა მისცეს უმრავლესობის რეზოლუციას, მაგრამ შეიტანეს წინადადება, რომ ეს რეზოლუცია ციმერვალდის მემარცხენეთა სულისკვეთებით შეცვლილიყო. მემარცხენეთა წინადადებამ 32 ხმა მიიღო. — **482.**

500 1917 წლის 1 თებერვალს ოლტენში შედგა ციმერვალდის კონფერენციის კრება (არასრული შემადგენლობა) ანტანტის ქვეყნების სოციალისტთა კონფერენციაზე (1917 წლის მარტში) მოწვეული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 23, გვ. 377 — 379). — **483.**

501 იგულისხმება რეფერენდუმი შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო ყრილობის მოწვევის საკითხის გამო; ყრილობაა უნდა განეხილა ომთან დამოკიდებულების საკითხი. რეფერენდუმი გამოაცხადეს შვეიცარიელმა მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა იმაა-

თან დაკავშირებით, რომ შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობამ გამოიტანა დადგენილება ყრილობის მოწვევის განუსაზღვრელი დროით გადადების შესახებ. მიუხედავად ბრძოლისა, რომელიც დაიწყეს პარტიის ლიდერებმა რ. გრიმმა, ჟ. შმიდმა, ფ. შნეიდერმა, ჰ. გრეილიხმა, გ. მიულერმა ამ რეფერენდუმის წინააღმდეგ (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 23, გვ. 376 — 380), მას მხურვალედ გამოეხმაურნენ გერმანული და ფრანგული შვეიცარიის მუშები. მაგრამ პარტიული ყრილობა მხოლოდ 1917 წლის იკნისში გაიმართა. — **483.**

502 რუსეთის პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა თათბირზე ჟენევაში 1917 წლის 19 მარტს ლ. მარტოვმა წამოაყენა გეგმა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ მიეღწიათ პოლიტიკური ემიგრანტების გერმანიაზე გამოტარებისათვის რუსეთში ინტერნირებული გერმანელი და ავსტრიელი ტყვეების სათანადო რიცხვის სანაცვლოდ. თათბირის ყველა მონაწილემ მარტოვის გეგმა ყველაზე ხელსაყრელ და მისაღებ წინადადებად ცნო.

ეს გეგმა განიხილეს ემიგრანტთა წრეებში და მარტის დამლევს მიღებულ იქნა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მიერ (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 24, გვ. 10 — 12; ლენინის კრებული II, 1924, გვ. 385 — 394). — **484.**

503 იგულისხმება «რ უ ს ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ი ს მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი» «რ უ ს ე თ ი ს ყ ვ ე ლ ა მ ო ქ ა ლ ა ქ ე ს». რაც გამოშვებულ და გავრცელებულ იქნა ფურცლის სახით 1917 წლის 27 თებერვალს (12 მარტს), როცა პეტროგრადის ქუჩებში რევოლუციური ბრძოლა იყო გაჩაღებული. ეს მანიფესტი დაიბეჭდა აგრეთვე 1917 წლის 5 მარტის «პრავდაში» № 1. ამონაწერები მანიფესტიდან დაბეჭდილი იყო 1917 წლის 22 მარტს გაზეთ «Erankfurter Zeitung»-ში № 80 სათაურით: Das Manifest der Sozialrevolutionäre» («ფრანკფურტის გაზეთი» — «რევოლუციური სოციალისტების მანიფესტი»). მანიფესტი მოითხოვდა დემოკრატიულ რესპუბლიკას, 8-საათის სამუშაო დღეს, მემამულეთა მიწების კონფისკაციას გლეხთა სასარგებლოდ, პურის მარაგის კონფისკაციას და, რაც მთავარია — მძარცველური ომის შეწყვეტას. მანიფესტში ხაზგასმული იყო, რომ ზავის მოსაპოვებლად აუცილებელია რუსეთის პროლეტარიატის დაკავშირება ყველა მეომარი ქვეყნის პროლეტარიატთან. ამ მანიფესტის მნიშვნელობის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 23, გვ. 423 — 424 და 471). — **485.**

504 რეფერატი «რ უ ს ე თ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ა, მ ი ს ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა დ ა მ ი ს ი ა მ ო ც ა ნ ე ბ ი» ვ. ლენინმა წაიკითხა ვერ-

მანულ ენაზე 1917 წლის 27 მარტს ციურიხის სახალხო სახლში შვეიცარიელი მუშების კრებაზე. ამ რეფერატის შესახებ რსდმპ საზღვარგარეთული ორგანიზაციის ციურიხის სექციამ გამოუშვა შემდეგი შინაარსის განცხადება: «27 მარტს, სამშაბათს, საღამოს 5¼ საათზე Volkshause-ის დიდ დარბაზში შედგება ნ. ლენინის რეფერატი თემაზე: რუსეთის რევოლუცია, მისი მნიშვნელობა და მისი ამოცანები. რეფერატი ნავარაუდევია 2 ნაწილად: პირველი—რევოლუციის ძირითადი ისტორიული ძალებისა და პირობების შესახებ, მეორე — მისი ამოცანების შესახებ. პირველმა ნაწილმა უნდა გვიჩვენოს, თუ რა გარემოებათა გამო იყო შესაძლებელი ასეთი «სასწაული», როგორიცაა მეფის მონარქიის დამხობა 8 დღეში. მეორემ უნდა დაგვიხატოს, რატომ უნდა წავიდეს რუსეთის პროლეტარიატი კომუნისაკენ, როგორი უნდა იყოს მისი პირველი ნაბიჯები ამ გზაზე და რა პირობებშია უზრუნველყოფილი მისი გამარჯვება. რეფერატის შემდეგ, თუ ამას საზოგადოება მოისურვებს, გაიმართება დისკუსია». ჩვეულებრივ სახსრები, რაც რეფერატებით გროვდებოდა, პარტიულ სალაროში შედიოდა; ამ სახსრებს იყენებდნენ რსდმპ ბიბლიოთეკისა და არქივის შესანახად და პარტიის სხვა საჭიროებათათვის. განცხადება მიუთითებდა, რომ ამ რეფერატის წმინდა შემოსავლის 50% ტუბერკულოზით დაავადებული პოლიტიკური ემიგრანტების სასარგებლოდ გადაიდებაო.

რეფერატის გეგმაში დასახული ძირითადი დებულებანი ვ. ი. ლენინმა გადმოგეცა თავის განთქმულ «წერილებში შორიდან» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 23, გვ. 391 — 452). რეფერატის მოკლე შინაარსი მოთავსებული იყო ციურიხის გაზეთ «Volksrecht-ში. №№ 77 და 78, 1917 წლის 31 მარტს და 2 აპრილს (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. 4 გამოც., ტომი 23, გვ. 468 — 476). — 486.

505 რა რეზოლუციაზეა ლაპარაკი, დადგენილი არ არის. შესაძლებელია იგულისხმებოდეს დეპეშა, რომელიც ვ. ი. ლენინმა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წევრების სახელით გაუგზავნა 1917 წლის 6 (19) მარტს რუსეთში მიმავალ ბოლშევიკებს (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 23, გვ. 387). — 487.

506 იგულისხმება თეზისი № 4 მუშათა დეპუტატების საბჭოების შესახებ ვ. ი. ლენინის ნაშრომში «რამდენიმე თეზისი» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 491). — 488.

507 მარქსისა და ენგელსის მოძღვრება გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოს შესახებ დაწვრილებით იყო ჩამოყალიბებული «გოთას პროგრამის კრიტიკაში» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1955, გვ. 23). — 488.

508 იგულისხმება თეზისი № 11 ვ. ლენინის ნაშრომში «რამდენიმე თეზისი», რომელიც გამოქვეყნდა 1915 წლის 13 ოქტომბერს პარტიის ცენტრალური ორგანო «სოციალ-დემოკრატში» № 47 (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 493 — 494). — **488.**

509 ეს დეპეშა იმ წინადადების პასუხია, რომელიც ამხ. განეცკიმ შესთავაზა ვლადიმერ ილიას-ძეს რუსეთში გადმოსვლის წესის შესახებ. დეპეშა გერმანულ ენაზეა დაწერილი. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივში ინახება ვ. ი. ლენინის ხელნაწერი და დედანი — სტოკჰოლმის ტელეგრაფის სატელეგრაფო ბლანკი. დეპეშის ხელნაწერზე არის აღნიშვნა: «გაგზავნილია 30. III». — **490.**

510 უცნობის ხელით გერმანულად დაწერილი დეპეშის შავად შედგენილ ხელნაწერზე ვ. ი. ლენინის მიერ რუსულ ენაზე აღნიშნულია: «გაიგზავნა 31. III შაბათ საღამოს და გრიმის მიერ მიღებულია I. IV დილას». — **491.**

511 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 24, გვ. 10 — 12 და ეს ტომი, გვ. 484. — **491.**

512 რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული კოლეგიის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ემიგრანტები დაუყოვნებლივ გამომგზავრებულიყვნენ რუსეთში გერმანიაზე გამოვლით, მიღებულ იქნა 1917 წლის 31 მარტს (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 23, გვ. 482 — 483). — **492.**

513 მ. გ ო ბ ე რ მ ა ნ ი — სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი, ლოზანის ბოლშევიკური სექციის წევრი; ქვემოთ მოხსენიებული აბრამი — ა. ს კ ო ვ ნ ო — ბოლშევიკი, შედიოდა შვეიცარიის ერთ-ერთ ბოლშევიკურ სექციაში; ორივე ლენინთან ერთად ჩამოვიდა რუსეთში. — **492.**

514 ლაპარაკია მენშევიკებისა და ინტერნაციონალისტი სოციალისტ-რევოლუციონერების გადაწყვეტილებაზე, რომელიც მიმართულია ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული კოლეგიის იმ დადგენილების წინააღმდეგ, რომ მიღებული ყოფილიყო რ. გრიმის წინადადება რუსეთში გერმანიაზე გამოვლით დაუყოვნებლივი გადმოსვლის შესახებ. მენშევიკები და ესერები წინადადებას იძლეოდნენ — დალოდებოდნენ გერმანიაზე გამოვლის სანქციას მუშათა დეპუტატების საბჭოს მხრივ. — **492.**

515 ნ. კ. კრუპსკაია თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ ბელენინის ქვეშ ამ შემთხვევაში ვ. ი. ლენინი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუ-

როს გულისხმობდა. ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ 5 აპრილს განეცალის მეშვეობით გასცა დირექტივა: «ულიანოვი დაუყოვნებლივ უნდა ჩამოვიდეს» (ლენინის კრებული XIII, 1930, გვ. 270). — **494.**

516 ლენინი პოლიტიკური ემიგრანტების ჯგუფთან ერთად შვეიცარიიდან გამოემგზავრა 1917 წლის 9 აპრილს (ახ. სტ.) (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 24, გვ. 10 — 12). — **495.**

517 ცნობილია, რომ რუსეთში რომ ჩამოვიდა. ვ. ი. ლენინი იმავე დღეს საღამოს, უფრო ზუსტად — 1917 წლის 3 (16) აპრილს ღამით გამოვიდა სიტყვით ბოლშევიკების პარტიის ახალი ამოცანების შესახებ პეტროგრადის პარტიული მუშაკების კრებაზე, რომელიც მოეწყო მისი ჩამოსვლის პატივსაცემად კშესინსკაიას ყოფილ სასახლეში. ამ სიტყვას, როგორც ეტყობა, საფუძვლად დაედო აპრილის თეზისების პირვანდელი მონასახი. — **496.**

518 ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს კ რ ე ბ ა — პარტიული მუშაკების სრულიად რუსეთის კრება, მოწვეული ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ 1917 წლის 4 (17) აპრილს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების სრულიად რუსეთის თათბირის დროს. სხდომა, რომელზეც ვ. ი. ლენინმა სიტყვა წარმოთქვა, მიმდინარეობდა თავრიდის სასახლის ქანდარებზე. ეს სიტყვა ვ. ი. ლენინმა იმავე დღეს გაიმეორა საბჭოების თათბირის მონაწილე ბოლშევიკებისა და მენშევიკების გაერთიანებულ სხდომაზე თავრიდის სასახლის სხდომათა დარბაზში. სიტყვაში განმარტებული იყო აპრილის თეზისები «პროლეტარიატის ამოცანებზე ახლანდელ რევოლუციაში», რომლებიც ლენინს ნაწილ-ნაწილ მოჰყავდა ციტატების სახით მთელი სიტყვის განმავლობაში. ტექსტი აღდგენილია, არა სტენოგრამის, არამედ სამდივნოს ჩანაწერის მიხედვით. ჩანაწერში არის მრავალწერტილებით აღნიშნული ხარვეზები და რამდენიმე არა მთლად ცხადი ადგილი. — **499.**

519 იგულისხმება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების მენშევიკურ-ესერული საბჭოს რეზოლუცია, მიღებული მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების წარმომადგენელთა 1917 წლის 30 მარტის (12 აპრილის) სრულიად რუსეთის თათბირზე ომისადმი დამოკიდებულების შესახებ წერეთლის მიერ გაკეთებული მოხსენების გამო. მომხსენებლის ძირითადი პოზიცია: რევოლუციამ დაამარცხა შინაური მტერი და თავის მოვალეობად თვლის იბრძოლოს გარეშე მტრის წინააღმდეგ. რეზოლუცია ინიღბებოდა ზოგადი ფრაზებით თავისუფლებისა და რევოლუციის შესახებ და მოუწოდებდა მხარი დაეჭირათ დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის საგარეო პოლიტიკისათვის, ე. ი. იმპერიალისტური ომის განგრძობისათვის. — **501.**

520 იგულისხმება ინტერნაციონალისტების საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციები, რომლებიც ციმერვალდსა და კინტალში (შვეიცარია) მიმდინარეობდა 1915 და 1916 წლებში. — **501.**

521 ფული, რაზედაც ამ წერილში ლაპარაკია, წარმოადგენდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის თანხას, რომელიც საზღვარგარეთ დარჩა და რომელიც, ალბათ, გამოითხოვა ლენინმა პარტიული მიზნებისათვის. — **512.**

522 შ ტ ე ი ნ ბ ე რ გ ი — რუსი ინჟინერი, რომელიც სტოკჰოლმში ცხოვრობდა და შუამავალი იყო წერილების მიღებისას. — **512.**

523 «თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ს ე ს ხ ი» გამოუშვა დროებითმა მთავრობამ სამხედრო ხარჯების დასაფინანსებლად; სესხზე ხელმოწერა 1917 წლის 6 (19) აპრილს გამოცხადდა. — **513.**

524 იგულისხმება რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენცია, რომელიც მოწვეული იყო პეტროგრადში 1917 წლის 24 — 29 აპრილს (7 — 12 მაისს). — **513.**

525 იგულისხმება ლ. ბ. კამენევის ოპორტუნისტული, კაპიტულანტური გამოსვლა; ის მენშევიკების კვალდაკვალ თვლიდა, რომ რუსეთი სოციალისტური რევოლუციისათვის ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული, გამოვიდა ვ. ი. ლენინის წინააღმდეგ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის საკითხში და ცდილობდა მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ფარგლებით შეეზღუდა მუშათა კლასის ამოცანები. გაზეთ «პრავდაში» № 27 კამენევმა მოათავსა სტატია «ჩვენი უთანხმოებანი», სადაც თავს დაესხა ლენინის სახელგანთქმულ აპრილის თეზისებს, რომლებმაც განსაზღვრეს პარტიის ამოცანები ახალ ისტორიულ მოსახვევზე. კამენევი და მისი თანამოაზრენი იცავდნენ (გაზეთ «პრავდის» ფურცლებზე) საბჭოების მიერ დროებითი მთავრობისათვის «პირობათა მხარდაჭერის» ნახევრადმენშევიკურ მოთხოვნას და ეშვებოდნენ ოპორონულ პოზიციებამდე ომის შეფასებაში.

კამენევის კაპიტულანტური პოზიციის კრიტიკა (იხ. ვ. ი. ლენინის თხზულებებში, 4 გამოც., ტომი 25. გვ. 288 — 290, ტომი 26. გვ. 247 — 251 და 255 — 260). — **513.**

526 ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა თ ა ანუ მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე თ ა პ ა რ ტ ი ა ს შვეციაში ლენინი უწოდებდა მემარცხენე მიმდინარეობას შვეციის სოციალ-დემოკრატიაში. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში

«ახალგაზრდები» ინტერნაციონალისტურ პოზიციაზე იდგნენ, ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფს ემხრობოდნენ. 1917 წლის მაისში მათ შექმნეს შვეიცის მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული პარტია. ამ პარტიის ყრილობაზე 1919 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კომუნისტურ ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ. პარტიის რევოლუციურმა ფრთამ 1921 წელს შექმნა შვეიცის კომუნისტური პარტია, რომელიც კომინტერნში შევიდა. — **513.**

527 იგულისხმება შეთანხმება ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის შედგენის შესახებ, რაც ბოლშევიკებისაგან ფარულად დადეს 1917 წლის 1 (14) მარტს სახელმწიფო სათათბიროს დროებითმა კომიტეტმა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს ესერ-მენშევიკმა ლიდერებმა. ესერებმა და მენშევიკებმა ნებაყოფლობით ჩააბარეს ძალაუფლება ბურჟუაზიას, როცა სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტს უფლება მიანიჭეს თავისი შეხედულებისამებრ შეედგინა დროებითი მთავრობა, რომელიც კიდეც შედგენილ იქნა 1917 წლის 2 (15) მარტს. მის შემადგენლობაში შედიოდნენ თავადი ლვოვი, კადეტების მეთაური მილიუკოვი, ოქტიაბრისტების მეთაური გუჩკოვი და ბურჟუაზიისა და მემამულეების სხვა წარმომადგენლები. «დემოკრატიის» წარმომადგენლის სახით მთავრობაში შეყვანილ იქნა ესერი კერენსკი. — **513.**

528 «ს ა კ ო ნ ტ ა ქ ტ ო კ ო მ ი ს ი ა» გამოჰყო პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მენშევიკურ-ესერულმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1917 წლის 8 (21) მარტს დროებით მთავრობასთან კონტაქტის დასამყარებლად, მასზე «ზეგავლენის მოსახდენად» და მისი საქმიანობისათვის «კონტროლის გასაწევად». ნამდვილად კი «საკონტაქტო კომისია» ხელს უწყობდა დროებითი მთავრობის ბურჟუაზიული პოლიტიკის განხორციელებას და ცდილობდა შეეკავებინა მუშათა მასები საბჭოების ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლისათვის აქტიური რევოლუციური ბრძოლისაგან. «საკონტაქტო კომისიის» შემადგენლობაში შედიოდნენ ჩხეიძე, სტეკლოვი, სუხანოვი, ფილიპოვსკი და სკობელევი (შემდგომ შევიდნენ ჩერნოვი და წერეთელი). «საკონტაქტო კომისია» არსებობდა 1917 წლის მაისამდე, როდესაც მენშევიკებისა და ესერების წარმომადგენლები უშუალოდ შევიდნენ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის შემადგენლობაში. — **513.**

529 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის ბროშურაზე «წერილები ტაქტიკაზე. წერილი I», რომელიც გამოიცა 1917 წელს (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 24, გვ. 27 — 44). — **513.**

530 ამ დოკუმენტს ხელნაწერში სათაური არა აქვს. იგი, როგორც ეტყობა, გეგმაა მოხსენებისა რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენციის შედეგების შესახებ, რომლითაც ვ. ი. ლენინი გამოვიდა 1917 წლის 8 (21) მაისს რსდმპ პეტროგრადის ორგანიზაციის წევრთა საერთო-საქალაქო კრებაზე. კრება საზღვაო კორპუსის დიდ დარბაზში მიმდინარეობდა. ცნობა ამ მოხსენების შესახებ დაბეჭდილი იყო 1917 წლის 6 (19) მაისს გაზეთ «პრავდაში» № 50. — **517.**

531 თეზისები №№ 8 — 11 (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი, 21, გვ. 492 — 495). — **518.**

532 ფრჩხილებში ვ. ი. ლენინი აღნიშნავს რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენციის მიერ აგრარულ საკითხზე 1917 წლის 28 აპრილს (11 მაისს) მიღებული რეზოლუციის პარაგრაფებს (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. 4 გამოც., ტომი 24, გვ. 341 — 343). — **518.**

533 ფ. ბ ო რ გ ბ ი ე რ გ ი — დანიელი სოციალ-შოვინისტი, გერმანიის იმპერიალისტური მთავრობის აგენტი, რომელმაც 23 აპრილს (6 მაისს) მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით გადასცა წინადადება რუსეთის ყველა სოციალისტურ პარტიას მიეღოთ მონაწილეობა საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაში, რასაც იწვევდნენ სტოკჰოლმში ზავის დადების საკითხზე. მენშევიკები და ესერები დათანხმდნენ ბორგბიერგის წინადადებას. ვ. ი. ლენინის ინიციატივით აპრილის კონფერენციამ გადაჭრით გაილაშქრა ამ წინადადების წინააღმდეგ (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 24, გვ. 286 — 290, 291 — 294).— **518.**

534 ლენინის შენიშვნა «(ვ. კ.)», როგორც ეტყობა, არის შემოკლებული სიტყვები «ვასილის კუნძული». ამ დროისათვის ვასილის კუნძულზე მოხდა რაიონული საბჭოს ხელახალი არჩევნები, რის შემდეგ უმცირესობაში დარჩენილმა ობორონელებმა არ მოისურვეს უმრავლესობას დამორჩილებოდნენ და ორჯერ (28 აპრილსა და 2 მაისს) დატოვეს კრებები, რითაც ჩაშალეს მუშაობა (იხ. შენიშვნა «სად არიან ნამდვილი გამთიშველნი?» გაზეთ «პრავდაში» № 52, 1917 წლის 9 (22) მაისი. — **519.**

535 გ ლ ე ხ თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი სრულიად რუ ს ე თ ი ს ყ რ ი ლ ო ბ ა მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის

4 — 28 მაისს (17 მაისი — 10 ივნისი). ყრილობას ესწრებოდა 1 115 დელეგატი გუბერნიებიდან და არმიის ნაწილებისაგან. ბოლშევიკები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ყრილობის მუშაობაში, ამხილებდნენ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის იმპერიალისტურ პოლიტიკას და მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებლობას. ვ. ი. ლენინმა 22 მაისს (4 ივნისს) ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა აგრარული საკითხის შესახებ (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 24, გვ. 588 — 612). მაგრამ ესერების მოძალეობამ განსაზღვრა ყრილობის ყველა გადაწყვეტილების ხასიათი. ყრილობამ მოიწონა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის პოლიტიკა და «სოციალისტების» შესვლა დროებით მთავრობაში, მხარი დაუჭირა ომის «ძლევამოსილ დამთავრებამდე» განგრძობას და ფრონტზე შეტევას. ყრილობამ გაილაშქრა გლეხებისათვის მემამულეთა მიწების დაუყოვნებლივ გადაცემის წინააღმდეგ და მიწის საკითხის გადაჭრა დამფუძნებელ კრებამდე გადადო. — **520.**

536 მ უ შ ა თ ა დ ა ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს ყ რ ი ლ ო ბ ა მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 3-დან 24 ივნისამდე (16 ივნისიდან 7 ივლისამდე). ყრილობას 1 000-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა. ბოლშევიკებს, რომლებიც მაშინ საბჭოებში უმცირესობას შეადგენდნენ, 105 დელეგატი ჰყავდათ. უმრავლესობა ესერებსა და მენშევიკებს ეკუთვნოდა. ყრილობის დღის წესრიგში იდგა საკითხები: დამოკიდებულება დროებითი მთავრობისადმი, ომის შესახებ, მზადება დამფუძნებელი კრებისათვის და სხვ. ლენინმა ყრილობაზე წარმოთქვა სიტყვები დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულებისა და ომის შესახებ (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 25, გვ. 1 — 37). ყველა ძირითად საკითხზე ბოლშევიკები თავიანთი რეზოლუციებით გამოდიოდნენ. ისინი ამხილებდნენ ომის იმპერიალისტურ ხასიათს, ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის დამღუპველობას და მოითხოვდნენ მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლას. თავის გადაწყვეტილებებში ყრილობამ დროებითი მთავრობისათვის მხარდაჭერის პოზიცია დაიკავა, მოიწონა რუსეთის ჯარების შეტევა ფრონტზე, რაც მზადდებოდა, და გაილაშქრა საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლის წინააღმდეგ. შესაძლებელია, რომ ეს მონასახი წარმოადგენს ლენინის მიერ ამ ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვის პირვანდელ გეგმას, ან სტატიისას, რომლის დაწერაც მან, დროის სიმცირის გამო, ვერ მოახერხა. — **522.**

537 იგულისხმება «ა ხ ა ლ ი» კ ო ა ლ ი ც ი ი ს ი დ რ ო ე ბ ი თ ი მ თ ა ვ რ ო ბ ა მენშევიკებისა და ესერების მონაწილეობით, რო-

მელიც შედგა 1917 წლის 5 (18) მაისს; ოფიციალურად დაიწყო მუშაობა 6 (19) მაისს. კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან ერთად შეეიდნენ ესერები — კერენსკი და ჩერნოვი, ესერებთან ახლოს მდგომი — პერევერზევი, მენშევიკები — სკობელევი და წერეთელი, «სახალხო სოციალისტი» — პეშეხონოვი. — **522.**

538 IV სახელმწიფო სათათბიროს წევრთა 1917 წლის 20 მაისის (2 ივნისის) თათბირმა ის აზრი გამოთქვა, რომ მიწის რეფორმის გატარება გადადებული ყოფილიყო დამფუძნებელ კრებამდე.

ვ. ი. ლენინს, როცა ის გლეხთა საბჭოზე ლაპარაკობს, მხედველობაში აქვს გლეხთა დეპუტატების პირველი სრულიად რუსეთის ყრილობა, რომელმაც ესერული უმრავლესობის გავლენით აგრეთვე გადადო მიწის საკითხის გადაჭრა დამფუძნებელი კრების მოწვევამდე.— **522.**

539 მ თ ა ვ ა რ ი ს ა ა დ გ ი ლ მ ა მ უ ლ ო კ ო მ ი ტ ე ტ ი შექმნა ბურჟუაზიულმა დროებითმა მთავრობამ 1917 წლის აპრილში. მის შემადგენლობაში შედიოდნენ მიწათმოქმედების სამინისტროს ხელმძღვანელები და მთავრობის მიერ დანიშნული სხვა მოხელეები, საგუბერნიო საადგილმამულო კომიტეტების წარმომადგენლები და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. მის წევრთა უდიდესი უმრავლესობა კადეტებსა და ესერებს ეკუთვნოდა. მთავარ საადგილმამულო კომიტეტს ეკისრებოდა საადგილმამულო რეფორმისათვის მასალების შეგროვებისა და დამუშავების ხელმძღვანელობა. ნამღვილად კი მთავარი საადგილმამულო კომიტეტის ძირითადი დანიშნულება იყო ბრძოლა გლეხთა მოძრაობასთან. რომელიც მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებისათვის გაჩაღდა. მიწის საკითხის გამო 1917 წლის 20 მაისის (2 ივნისის) სხდომაზე მიღებულ დეკლარაციაში მთავარი საადგილმამულო კომიტეტი აღნიშნავდა, რომ მიწის საკითხის გადაჭრა არავის არ შეუძლია დამფუძნებელი კრების მოწვევამდეო. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მთავარი საადგილმამულო კომიტეტი ბრძოლას აწარმოებდა მიწის შესახებ ლენინის დეკრეტის განხორციელების წინააღმდეგ და სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებით დაშლილ იქნა 1917 წლის დეკემბერში.— **522.**

540 რვეული «მ ა რ ქ ს ი ზ მ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს შ ე ს ა ხ ე ბ» წარმოადგენს მოსამზადებელ მასალას ვ. ი. ლენინის მიერ განზრახული ნაშრომისათვის სახელმწიფოსადმი მარქსიზმის დამოკიდებულების საკითხზე. რვეულში შეკრებილია ციტატები კ. მარქსისა, და ფ. ენგელსის ნაწარმოებებიდან, აგრეთვე ამონაწერები კაუცკის, პანე-

კუკისა და ბერნშტეინის წიგნებიდან ვ. ი. ლენინის კრიტიკული შენიშვნებით, დასკვნებითა და განზოგადებებით.

ის აზრი, რომ აუცილებელია სახელმწიფოს საკითხის თეორიული დამუშავება, ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 1916 წლის მეორე ნახევარში გამოთქვა შენიშვნაში «ახალგაზრდობის ინტერნაციონალი» (იხ. თხზულებანი, გამოც., 4. ტომი 23, გვ. 200 — 213). 1916 წლის შემოდგომაზე და 1917 წლის დასაწყისში ვ. ი. ლენინი გაძლიერებით მუშაობდა სახელმწიფოსადმი მარქსიზმის დამოკიდებულების საკითხის შესასწავლად. 1917 წლის 17 თებერვალს (ახ. სტ.) წერილში ა. მ. კოლონტაისადმი ლენინი იუწყებოდა, რომ მან თითქმის დაამზადა მასალა ამ საკითხზე. ეს მასალა წვრილი მიჯრილი ხელით იყო დაწერილი ლურჯ გარეკანიან რვეულში, რომელიც ლენინის მიერ დასათაურებული იყო «მარქსიზმი სახელმწიფოს შესახებ». მაგრამ რუსეთის რევოლუციურმა ამბებმა აიძულეს ვ. ი. ლენინი გადაედო სამუშაოს დამთავრება. ივლისის დღეების შემდეგ, როცა ლენინი იატაკქვეშეთში იმალებოდა, მან ამ მასალების საფუძველზე დაწერა ცნობილი წიგნი «სახელმწიფო და რევოლუცია. მარქსიზმის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ და პროლეტარიატის ამოცანები რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 25, გვ. 465 — 615). — **524.**

541 სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივში შემონახულია რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის ოქმების რვეული, რომლის მიხედვითაც იბეჭდება ამ ტომში ვ. ი. ლენინის გამოსვლები ცენტრალური კომიტეტის სხდომებზე. ეს რვეული წარმოადგენს სხდომების მონაწილეთა სიტყვებისა და ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა მოკლე ჩანაწერებს; ჩანაწერს ჩვეულებრივ აწარმოებდა ე. დ. სტასოვა. ოფიციალურად მდივნის ეს ჩანაწერები არ მტკიცდებოდა. — **526.**

542 «პრავდის» სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის საკითხი დაისვა რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე იმის გამო, რომ, როგორც ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის ოქმში, «საუკეთესო ძალები საერთო-სახელმწიფოებრივ სამუშაოზე წავიდნენ, პარტიული მუშაობა ძალიან მოისუსტებს, რაც განსაკუთრებით ემჩნევა პარტიულ ორგანოს, რომელიც სრულიად ვერ აკმაყოფილებს მკითხველებს, არ იძლევა დეკრეტების განმმარტებელ სტატიებს და ა. შ». კამათის შემდეგ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ სარედაქციო კოლეგია უნდა შედგებოდეს სამი პირისაგან: ბუხარინისა, სტალინისა და სოკოლნიკოვისაგან. — **526.**

548 იგულისხმება კამენევის, რიკოვის, მილიუტინისა და ნოგინის გამ-
ცემლური მოქმედება; მათ რევოლუციის უაღრესად პასუხსაგებ პე-
რიოდში — საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდში — დაარ-
ღვიეს პარტიული დისციპლინა და დატოვეს ხელმძღვანელი პოსტები.
თავიანთი მოქმედებით ისინი ფუშავდნენ საბჭოების II ყრილობის
ნებასა და გადაწყვეტილებებს და საბოტაჟს უცხადებდნენ პროლე-
ტარიატისა და უღარიბესი გლეხობის ახლად მოპოვებულ დიქტა-
ტურას.

1917 წლის 29 ოქტომბერს (11 ნოემბერს) ესერულ-მენშევიკურმა
ვიკჟელმა (რკინიგზელთა პროფესიული კავშირის სრულიად რუსეთის
აღმასრულებელმა კომიტეტმა), რომელიც ანტისაბჭოთა საქმიანობის
ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა, მიიღო რეზოლუცია, რომ აუ-
ცილებელია შეიქმნას მთავრობა ყველა «სოციალისტური» პარტიის-
გან. იმავე დღეს დაიწყო მოლაპარაკება ამ საკითხის გამო ბოლ-
შევიკების პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ვიკჟელს შორის.

ვ. ი. ლენინისა და ცენტრალური კომიტეტის დირექტივით მოლა-
პარაკება «საომარი მოქმედების დიპლომატური საფარი» უნდა ყო-
ფილიყო. მაგრამ კამენევი და სოკოლნიკოვი მოღალატურად იქცეო-
დნენ ვიკჟელთან მოლაპარაკებაში; ისინი თანხმდებოდნენ მის მოთ-
ხოვნას — შექმნილიყო «სოციალისტური» მთავრობა, რომელშიც
ბოლშევიკებთან ერთად უნდა შესულიყვნენ ესერებისა და მენშევი-
კების კონტრრევოლუციური პარტიების წარმომადგენლები. კამენე-
ვისა და სოკოლნიკოვის შემთანხმებლურ პოლიტიკას მხარს უჭერ-
დნენ ნოგინი, მილიუტინი და რიკოვი.

2 (15) ნოემბერს ბოლშევიკების პარტიის ცენტრალურმა კომი-
ტეტმა მიიღო ვ. ი. ლენინის რეზოლუცია ცენტრალური კომიტე-
ტის შიგნით არსებული ოპოზიციის საკითხის გამო, რომელშიც მოუ-
წოდებდა ყველა სკეპტიკოსსა და მერყეევს უკუეგდოთ თავიანთი
მერყეობა და მხარი დაეჭირათ საბჭოთა მთავრობის მოღვაწეებისა-
თვის (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 26, გვ. 322 — 324). 3 (16)
ნოემბერს ვ. ი. ლენინის ინიციატივით პარტიის ცენტრალური კომი-
ტეტის უმრავლესობამ უმცირესობას წაუყენა ულტიმატუმი (იხ.
თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 26, გვ. 325 — 327), რომელშიც მო-
ითხოვა სავსებით დამორჩილებოდა ცენტრალური კომიტეტის გადა-
წყვეტილებებს და მის ხაზს, სავსებით უარი ეთქვა მისი მუშაობის
საბოტაჟზე და დეზორგანიზატორულ საქმიანობაზე და პროლეტა-
რიატის საქმის ღალატად გამოაცხადა ყოველგვარი ცდა—თავს მოეხ-
ვია პარტიისათვის ხელისუფლებისაგან თავის არიდება, რაკი ეს
ხელისუფლება მილიონობით მუშებმა, ჯარისკაცებმა და გლეხებმა
ჩააბარეს ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენლებს საბჭოების
სრულიად რუსეთის ყრილობაზე. ამ ულტიმატუმის პასუხად ცენტ-

რალური კომიტეტის უმცირესობამ განაცხადა, რომ იგი ტოვებს პასუხსაგებ პოსტებს. 4 (17) ნოემბერს კამენევმა, ზინოვიევმა, რიკოვმა, მილიუტინმა განაცხადეს, რომ ისინი ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გადიან. მათი განცხადება ცენტრალურ კომიტეტში უკან მიღების შესახებ, აგრეთვე მათი განცხადების პასუხად ვ. ი. ლენინის რეზოლუციის პროექტი, არ შენახულა. ცენტრალურმა კომიტეტმა საფუძვლად მიიღო ვ. ი. ლენინის პასუხი და გადასცა იგი სარედაქციოდ ცენტრალური კომიტეტის სამი წევრისაგან შემდგარ კომისიას, ამასთან დაადგინა დაიბეჭდოს იგი იმ შემთხვევაში, თუ კამენევი და სხვები მოითხოვენ მათი წერილის დაბეჭდვასო. 4-ის განცხადება არ ყოფილა გამოქვეყნებული. — 527.

544 სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს (ს მ უ ს) — სოციალისტური სახალხო მეურნეობის დაგეგმისა და გაძღოლის პირველი პროლეტარული ორგანოს შექმნის იდეა წამოყენებულ იქნა ოქტომბრის რევოლუციის მეორე დღეს. 1917 წლის 22 თუ 27 ოქტომბერს (8 თუ 9 ნოემბერს) ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით სმოლნში შედგა თათბირი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი საერთო-სამეურნეო ცენტრის შექმნის შესახებ. პროექტში მის შესახებ მაშინვე გაჩნდა სახელწოდებაც «სახალხო მეურნეობის საბჭო». 15 (28) ნოემბერს სახკომსაბჭომ გამოჰყო კომისია სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციის პროექტის შესამუშავებლად. სრულიად რუსეთის ცაკის ბოლშევიკურმა ფრაქციამ განიხილა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შექმნის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება — სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო გადაქცეული ყოფილიყო მუშათა დიქტატურის მებრძოლ ორგანოდ და საამისოდ მინიჭებოდა მას საკანონმდებლო უფლებები. 1917 წლის 1 (14) დეკემბერს ეს საკითხი საბოლოო ფორმით განხილულ იქნა სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე. მემარცხენე ესერებმა შეიტანეს შესწორებანი, რომ გაედიდებინათ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გლეხთა სექციის წარმომადგენლობა და შეექმნათ იგი არა სახალხო კომისართა საბჭოსთან, როგორც ეს საბჭოთა პროექტით განზრახული იყო, არამედ სრულიად რუსეთის ცაკთან. ამ შესწორებათა წინააღმდეგ გამოვიდა ვ. ი. ლენინი. ხმების უმრავლესობით მემარცხენე ესერების შესწორებანი უკუაგდეს. საბოლოო რედაქციით დეკრეტი გამოქვეყნდა 1917 წლის 5 (18) დეკემბერს ლენინის, სვერდლოვის, სტალინის და სხვათა ხელმოწერით.

დეკრეტში აღნიშნული იყო, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ეკისრებოდა სახალხო მეურნეობისა და სახელმწიფო ფინანსების გეგმიანი ორგანიზაციის ამოცანა. სახალხო მეურნეობის

უმაღლესი საბჭოს პრაქტიკული საქმიანობის პროგრამას რევოლუციის პირველ პერიოდში წარმოადგენდა ლენინის «პროექტი დეკრეტისა ბანკების ნაციონალიზაციის განხორციელების და ამასთან დაკავშირებით საჭირო ზომების მიღების შესახებ» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 26, გვ. 454 — 457). — **528.**

545 ურალის ქარხნების უმეტესობა ეკუთვნოდა სამთო-სამრეწველო საზოგადოებებს, რომელთა გამგეობანი პეტროგრადში იმყოფებოდნენ; ამ გამგეობებმა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შეწყვიტეს ქარხნებისათვის ფულის გადაგზავნა მუშებთან ანგარიშის გასასწორებლად. ამასთან დაკავშირებით და აგრეთვე იმის გამო, რომ არ იყო მოგვარებული საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების კავშირი ცენტრთან, ურალი ფულის მწვავე კრიზისს განიცდიდა. ურალის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საოლქო საბჭომ ერთ-ერთი თავისი წევრი, ვ. ვორობიევი, მოავლინა პეტროგრადს სახკომსაბჭოში ურალის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად და ურალის ქარხნების მუშებისათვის ხელფასის გაცემის საკითხის მოსაწესრიგებლად. ი. მ. სვერდლოვმა, რომელსაც ვ. ვორობიევმა დაწვრილებით გააცნო ურალის მდგომარეობა, წინადადება მისცა ვორობიევს მასთან ერთად წასულიყო ვ. ი. ლენინთან და მოეხსენებინა ურალის მრეწველობის მდგომარეობა და ურალელი მუშების განწყობილება. 15-წუთიანი საუბრის დამთავრების შემდეგ ლენინმა ვორობიევს გადასცა ეს ბარათი. ურალის საოლქო აღმასრულებელმა კომიტეტმა დამოუკიდებლად განახორციელა ლენინის მიერ ბარათში დასახული ღონისძიებანი: დეკემბერში დახურეს ურალის სამთამადნო მრეწველთა თათბირის ბიურო, რომელიც ეკატერინბურგში (ახლა სვერდლოვსკი) იმყოფებოდა, მისი ხელმძღვანელნი დააპატიმრეს, ხოლო ურალის ქარხნები ერთიმეორეზე მიყოლებით ნაციონალიზებულ იქნა. — **529.**

546 იგულისხმება შემდეგი ეპიზოდი: 1918 წლის 3 იანვარს (ახ. სტ.) ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოსთან გამოცხადდნენ ხარკოვის ქარხნების მუშები და თხოვეს დახმარებოდნენ მათ დღესასწაულების წინ თავიანთი მეპატრონეებისაგან ფულის მიღებაში. რადგან ადგილობრივმა რევკომმა, მისდამი ვ. ანტონოვ-ოვსეენკოს მიმართვის მიუხედავად, სრული უმოქმედობა გამოიჩინა, ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკომ მიიხმო ვოგზალზე ხარკოვის 15 უმსხვილესი კაპიტალისტი და წინადადება მისცა მათ გამოენახათ 1 მილიონი მანეთი ნაღდი ფული მუშებთან ანგარიშის გასასწორებლად. მექარხნენი, რომლებმაც უარი თქვეს ამ მოთხოვნის შესრულებაზე, დააკავეს II კლასის ვაგონში და ეუფრთხილეს, რომ თუ ისინი ფულს ვადაზე არ შეი-

ტანენ, მაშინ «ვაგონი სამადნოების რაიონში იქნება გადაყვანილიო». მუქარამ გასჭრა. ფული შეგროვილ იქნა, და კაპიტალისტები გამოუშვეს. — **530.**

547 შენიშვნები «პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი ს დ ღ ი უ რ ი დ ა ნ» ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილია მაშინ, როცა ის ფინეთში ოთხი დღის შვებულებას ატარებდა — 1917 წლის 25 — 28 დეკემბერს (1918 წლის 7 — 10 იანვარს) შუა. ამას მოწმობს პირველი დასამუშავებელი თემა: «ახლა თოფიანი კაცისა აღარ უნდა გვეშინოდეს», რაც მან გაიგონა ფინეთის რკინიგზის ვაგონში (იხ. თხზულებანი, ტომი 26, გვ. 541). მაშინვე, ფინეთში, ლენინმა დაწერა სტატიები: «ძველის კრახით შეშინებულნი და ახლისთვის მებრძოლნი», «როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?» და «პროექტი დეკრეტისა სამომხმარებლო კომუნების შესახებ» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 26, გვ. 463 — 467, 471 — 483, 484 — 486), რომლებშიც შემდგომი განვითარება ჰპოვა აქ დასახული თემების უმრავლესობამ. ლენინმა ყველაზე უფრო სრულად დაამუშავა თითქმის ყველა მის მიერ დასახელებული თემა სტატიაში «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 27, გვ. 275 — 329). — **531.**

548 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 23, გვ. 405 — 407. — **531.**

549 «კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა, ე ტ ყ ო ბ ა, გ ა ტ ე ხ ი ლ ი ა», — ფრაზა კოალიციური მთავრობის სურსათის მინისტრის ა. ვ. პეშეხონოვის მიერ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების I სრულიად რუსეთის ყრილობის 1917 წლის 5 (18) ივნისის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვიდან (პეტერბურგის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტია» № 85, 1917 წლის 7 (20) ივნისი). — **531.**

550 იგულისხმება გ. ვ. პლეხანოვის გამოსვლა რსდმპ II ყრილობის მეთექვსმეტე სხდომაზე დემოკრატიული პრინციპების შეფარდებითი ღირებულების შესახებ. თავის სიტყვაში პლეხანოვმა განაცხადა, რომ ყველა დემოკრატიული პრინციპი უნდა დაექვემდებაროს მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციის სარგებლობას, მუშათა კლასის სარგებლობას. რევოლუციის წარმატების გულისათვის სოციალ-დემოკრატიას შეუძლია დათანხმდეს ამა თუ იმ დემოკრატიული პრინციპის დროებით შეზღუდვას. რევოლუციის ინტერესებისათვის სოციალ-დემოკრატებს შეუძლიათ საყოველთაო საარჩევნო უფლების წინააღმდეგაც გამოვიდნენო. «რევოლუციურ პროლეტარიატს შეეძლო შეეზღუდა უმაღლესი კლასების პოლიტიკური უფლებები, იმის

მსგავსად, როგორც უმაღლესი კლასები ოდესღაც ზღუდავდნენ მის უფლებებს». რევოლუციურ ხალხს ისიც კი შეუძლია, რომ ცული პარლამენტი გარეკოს (იხ. «რსდმპ მეორე ყრილობის ოქმები», გამომც. «პრიბოი», 1924, გვ. 156). პლეხანოვის ეს გამოსვლა მთლიანად იქნა ციტირებული გაზეთებში. 1918 წლის 4 იანვრის (1917 წლის 22 დეკემბრის) «პრავდაში» № 221, ხელმოუწერელ სტატიაში «პლეხანოვი ტერორის მომხრეა», და 1917 წლის 23 დეკემბრის «იზვესტია ციკ»-ში № 259, სტატიაში «პლეხანოვი ტერორის შესახებ». — **533.**

551 «თ ე ზ ი ს ებ ში ს ე პ ა რ ა ტ უ ლ ი დ ა ა ნ ე ქ ს ი ო ნ ი ს ტ უ რ ი ზ ა ვ ი ს დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ დ ა დ ე ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ზ ე» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 26, გვ. 515 — 525) ლენინმა დაამუშავა თემები 20 და 20 **bis** (ხელმეორედ), ფრაზა «**Die Deutschen brauchen eine Niederlage**» («გერმანელებს დამარცხება სჭირდებათ») დაწვრილებითაა განხილული მე-11 თეზისში. — **533.**

552 სტატიაში «მ ა თ ი გ ე ბ მ ა», რაც დაბეჭდილია 1918 წლის 6 იანვრის (1917 წლის 24 დეკემბრის) «პრავდაში» № 223, იუწყებოდნენ: «ლოიდ-ჯორჯმა ის აზრი გამოთქვა, რომ დეე რუსეთმა წინასწარ დაადგინოს თავისი მომავალი საზღვარი გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთთან, შემდეგ კი საერთო ზავის შესახებ მოლაპარაკების ჯერი დადგებაო». აქედან სტატიაში ის დასკვნაა გაკეთებული, რომ მოკავშირენი უკვე სინჯავენ ნიადაგს სუსტ ხალხთა ხარჯზე გერმანიასთან ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად. — **533.**

553 ციტატი მოყვანილია «წმიდა ოჯახიდან» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, 2 გამოც., ტ. 2, გვ. 90). — **534.**

554 იგულისხმება სტატია «პროლეტარიატი და ბანკები», გამოქვეყნებული 1917 წლის 18 (5) დეკემბერს გაზეთ «პრავდაში» № 206 პ. კოევსკის (ი. პიატაკოვის) ხელმოწერით. — **534.**

555 პ რ ო ე ქ ტ ი დ ე კ რ ე ტ ი ს ა ს ა მ ო მ ხ მ ა რ ე ბ ლ ო კ ო მ უ ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ ლენინის მიერ დაწერილია 1917 წლის 25 — 28 დეკემბერს (1918 წლის 7 — 10 იანვარს). ნაწილობრივ გამოქვეყნებულია ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემაში, ტომი 26, გვ. 484 — 486. პროექტი გააფთრებულ წინააღმდეგობას შეხვდა ბურჟუაზიული კოოპერატორების მხრივ. საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელსაც საჭიროდ მიაჩნდა გამოეყენებინა აღრიცხვისა და კონტროლის ბურჟუაზიული აპარატი, ზოგი რამ დაუთმო კოოპერატო-

რებს. მოლაპარაკება მათთან წარმოებდა 1918 წლის მარტის განმავლობაში და აპრილის დამდეგს. კოოპერაციის წარმომადგენლები თავდაპირველად დაჟინებით იცავდნენ კოოპერაციული ორგანიზაციების სრულ დამოუკიდებლობას საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებისაგან და იმას, რომ კოოპერატიეები მხოლოდ თავიანთ წევრებს უნდა მოემსახურონო. მარტის დამლევს შემუშავებული შეთანხმების პროექტი მიღებულ იქნა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 10 აპრილს, ამასთან ლენინმა დეკრეტის პროექტში მთელი რიგი შესწორებანი შეიტანა; პუნქტები 11,12 და 13 მთლიანად დაწერილია ლენინის მიერ.

დეკრეტი დამტკიცებულ იქნა სრ. რუსეთის ცაკის სხდომაზე 1918 წლის 11 აპრილს. ამასთან მიიღეს ბოლშევიკების ფრაქციის შემდეგი რეზოლუცია: «სამომხმარებლო კოოპერაცია, მომსახურებას უწევს რა მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, დღემდე მისდევდა ეკონომიურ პოლიტიკას, ხშირად იმ ეკონომიური პოლიტიკის წინააღმდეგ და გარეშე, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებდა. ეს იმით აიხსნებოდა, რომ სამომხმარებლო კოოპერაციული ორგანიზაციების ზედა ფენებს ხელმძღვანელობდნენ უმთავრესად არაშრომელი კლასების წარმომადგენლები. ახლა, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასთან ერთად, სამომხმარებლო კოოპერაციამ გამოთქვა მზადყოფნა იმუშაოს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების უშუალო ხელმძღვანელობითა და კონტროლით, ცენტრალური კოოპერაციული ორგანიზაციებისა და სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენლების მოლაპარაკების საფუძველზე შემუშავებული დეკრეტი სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ წარმოადგენს კომპრომისულ გადაწყვეტილებას, რომელსაც არსებითი ნაკლოვანებები ახასიათებს. მაგრამ, თვლის რა მოსახლეობაში პროდუქტებისა და საქონლის სწორი განაწილების ორგანიზაციას ახლანდელი დროის ფრიად მნიშვნელოვან და სრულიად გადაუდებელ ამოცანად, რომლის გადასაწყვეტადაც აუცილებელია გატარდეს მთელი რიგი სოციალისტური ღონისძიებანი ამ დარგში და შეიცვალოს კერძო ვაჭრობის აპარატი საერთო-სახელმწიფოებრივი აპარატით, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იღებს დეკრეტს სამომხმარებლო კოოპერატივების შესახებ, როგორც გარდამავალ ღონისძიებას, რასაც მივყავართ ქვეყანაში პროდუქტებისა და საქონლის სახელმწიფოებრივი განაწილების განხორციელების გზით» («სრ. რუსეთის მე-4 მოწვევის ცაკის ოქმები», მ., 1920, გვ. 104). დეკრეტი გამოქვეყნდა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ვლ. ი. ულიანოვის (ლენინის) ხელმოწერით გაზეთებში — 1918 წლის 13 აპრილის (31 მარტის) «პრავდაში» № 71 და 1918 წლის 16 აპრილს «იზვესტია ეციკ»-ში № 75. — **586.**

556 სასურსათო ორგანოების მიერ საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტების საბოტაჟის გამო სურსათის სახალხო კომისარიატმა 1917 წლის 22 დეკემბერს (1918 წლის 4 იანვარს) დირექტივა მისცა ყველა საბჭოს: თავიანთ ხელში აეღოთ სასურსათო საქმე და მოეწყოთ საკუთარი სასურსათო აპარატი, ამასთან დაყრდნობოდნენ სასურსათო ორგანოებთან შექმნილ «დელეგატკომებს» — მომხმარებელი გუბერნიებისა და არმიების დელეგატთა ორგანიზაციებს. ამავე დროს სურსათის სახალხო კომისარიატში მუშავდებოდა მისი «მომარაგების კომისარიატად» რეორგანიზაციის პროექტი; მას უნდა მოეცვა მოსახლეობის არა მარტო სასურსათო, არამედ ყველა პროდუქტით მომარაგება, ამასთან ამ პროდუქტების კერძო ვაჭრობა ძალიან იზღუდებოდა. ამ პროექტის მიხედვით მომარაგების კომისარიატს ადგილობრივ ორგანოებს წარმოადგენდნენ საბჭოებთან არსებული მომარაგების განყოფილებანი (ანუ, როგორც მათ ლენინი უწოდებდა, «მომარაგგამგეობანი»). — **536.**

557 დებულება «სახალხო მეურნეობის რაიონული საბჭოების შესახებ» მიღებულ იქნა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1917 წლის 23 დეკემბრის (1918 წლის 5 იანვრის) სხდომაზე; დაიბეჭდა 1918 წლის 3 (16) იანვარს «მუშათა და გლეხთა დროებითი მთავრობის გაზეთში» № 1. — **536.**

558 განცხადება, რომ ბოლშევიკების პირადი პატიოსნება ეჭვს გარეშეა, ხოლო მათი ქცევა ფსიქოლოგიურ გამოცანას წარმოადგენსო, ლენინის მიერ, როგორც ეტყობა, აღებულია «გერმანიის დამოუკიდებელი სოც.-დემ. პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლის» სტატიიდან, რომელიც ხელმოუწერლად დაბეჭდილია 1918 წლის 11 (24) იანვარს გაზეთ «ნოვაია ჟიზნში» № 7. — **540.**

559 ცენტრალური კომიტეტის ოქმებში ნათქვამია: «ამხ. სტალინს მიაჩნია, რომ, ვიღებთ რა რევოლუციური ომის ლოზუნგს, ჩვენ ხელს ვუმართავთ იმპერიალიზმს. ამხ. ტროცკის პოზიცია არ არის პოზიცია. რევოლუციური მოძრაობა დასავლეთში არ არის, არ არის ფაქტები, არამედ არის მხოლოდ პოტენცია, პოტენციას კი ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიში გაუწიოთ. თუ გერმანელები შემოტევას დაიწყებენ, ეს ჩვენში კონტრრევოლუციას გააძლიერებს... თუ ამხ. ტროცკის პოლიტიკას მივიღებთ, ჩვენ ყველაზე ცუდ პირობებს შევუქმნით მოძრაობას დასავლეთშიო, და ამიტომ ის წინადადებას იძლევა მიღებულ იქნას ამხ. ლენინის წინადადება» («რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ოქმები. 1917 წ. აგვისტო — 1918 წ. თებერვალი». მ.-ლ., 1929, გვ. 204). — **542.**

560 ცენტრალური რადა — ბურჟუაზიული ნაციონალისტური ორგანიზაცია, შეიქმნა კიევში 1917 წლის აპრილს უკრაინის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და ჯგუფების კონგრესზე. რადის თავმჯდომარე იყო მ. გრუშევსკი, ხოლო მისი მოადგილე — ვ. ვინიჩენკო; რადის შემადგენლობაში შედიოდნენ პეტლიურა, ეფრემოვი და სხვა ნაციონალისტები. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რადამ თავისთავი «უკრაინის სახალხო რესპუბლიკის» უმაღლეს ორგანოდ გამოაცხადა და საბჭოთა ხელისუფლებასთან აშკარა ბრძოლის გზას დაადგა. უცხოეთის ზოგიერთი საბელმწიფო ცდილობდა რადაზე დაყრდნობით შეექმნა უკრაინაში პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი. საფრანგეთმა რადას სესხად მისცა 200 მილიონი ფრანკი. ცენტრალური რადა ეხმარებოდა დონელ და ყუბანელ თეთრგვარდიელ გენერლებს მათ ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, განაიარაღებდა საბჭოთა პოლკებსა და წითელ გვარდიას. სახალხო კომისართა საბჭოს მანიფესტში უკრაინელი ხალხისადმი, რაც დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ 1917 წლის 3 (16) დეკემბერს, მხილებული იყო ცენტრალური რადის კონტრრევოლუციური ანტისაბჭოთა მოქმედება (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 26, გვ. 420 — 422). მთელ უკრაინაში 1917 წლის დეკემბერში და 1918 წლის იანვარში კონტრრევოლუციური რადის წინააღმდეგ ხდებოდა შეიარაღებული აჯანყებანი და აღადგენდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. 1918 წლის იანვარში საბჭოთა ჯარები უკრაინაში შეტევაზე გადავიდნენ, 26 იანვარს (8 თებერვალს) აიღეს კიევი და დაამხვეს ბურჟუაზიული რადის ბატონობა. — **543.**

561 ლენინს მხედველობაში აქვს ყუბანის ოლქის გლეხთა და კაზაკთა დეპუტატების ყრილობის რეზოლუცია, რომელშიც ყრილობა მიესალმებოდა მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და კაზაკთა დეპუტატების საბჭოების ხელისუფლებას და მოუწოდებდა «არ ეცნოთ ჯარის რადა უფლებამოსილ ორგანოდ ყუბანის მხარეში». ყრილობა მოითხოვდა «ჯარის მთავრობის და მისი მეთაურის — ჯარის ატამანის დაუყოვნებლივ განდევნას», მოითხოვდა განეიარაღებინათ და დონიდან და ყუბანის მხარიდან გაეყვანათ კონტრრევოლუციური იუნკრები, როგორც მტრები, რომლებიც ხელჰყოფდნენ თავისუფლებასა და რევოლუციას («იზვესტია ციკ» № 15, 1918 წლის 20 იანვარი). — **544.**

562 რეზოლუცია რუსეთის რესპუბლიკის ფედერალურ დაწესებულებათა შესახებ მიღებულია მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების III სრულიად რუსეთის ყრილობის მიერ 1917 წლის 15 (28)

იანვარს («მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების მესამე, სრულიად რუსეთის ყრილობა». გამომც. «პრიბოი», პ., 1918, გვ. 93 — 94).— **544.**

563 იგულისხმება ის უთანხმოება, რომელიც წარმოიშვა უკრაინის საბჭოების ცაკსა და ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს შორის მის მიერ აღგილობრივი ხელისუფლების სუვერენიტეტის დარღვევასთან დაკავშირებით. ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკომ დანიშნა კომისრები თავისი შტაბისაგან რკინიგზის სადგურებზე და დონეცის აუზის ცალკეულ ქალაქებში, რამაც უკრაინის ხელისუფალთა უკმაყოფილება გამოიწვია. — **545.**

564 იგულისხმება უკრაინაში მყოფი საბჭოთა ჯარების გადასვლა შეტევაზე დონბასის მიმართულებით, საბჭოთა ჯარების მიერ ლუგანსკის (აწინდელი ვოროშილოვგრადის) და დებალცევის დაკავება. — **546.**

565 ცენტრალური კომიტეტის 1918 წლის 24 იანვრის (6 თებერვლის) სხდომა მიძღვნილი იყო მხოლოდ ერთი საკითხის — VII პარტიული ყრილობის დღის წესრიგის განხილვისადმი. ყველა შეტანილი წინადადების საფუძველზე ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი: 1) პროგრამის გადასინჯვა; 2) მიმდინარე მომენტი (საშინაო მდგომარეობა, საგარეო მდგომარეობა, ეკონომიური მდგომარეობა); 3) პროფესიული კავშირები, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები და სხვ.; 4) ორგანიზაციული საკითხი; 5) სხვადასხვა. პარტიის პროგრამის შესამუშავებლად შეიქმნა კომისია ვ. ი. ლენინის მეთაურობით (იხ. «რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ოქმები. 1917 წ. აგვისტო — 1918 წ. თებერვალი», მ.-ლ., 1929, გვ. 223 — 225).

«ოქტომბრელ ბოლშევიკებზე» რომ ლაპარაკობს, ვ. ი. ლენინი გულისხმობს პარტიის წევრებს, რომლებიც ორგანიზაციაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ შემოვიდნენ. ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ გადამწყვეტი ხმის უფლება ყრილობაზე შეიძლებოდა ჰქონოდათ მხოლოდ იმ ამხანაგებს, რომლებიც პარტიაში იმყოფებიან 3 თვეზე მეტს, ე. ი. ოქტომბრამდელი სტაჟის მქონე პარტწევრებს. VII ყრილობის გახსნისას სხდომის თავმჯდომარემ ამხ. სვერდლოვმა გამოაქვეყნა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ «ყრილობა უფლებამოსილად უნდა ჩაითვალოს, თუ დაესწრება პარტიის წინანდელი, VI ყრილობის დელეგატთა ნახევარზე მეტი» (იხ. «საკ. კპ (ბ) ყრილობებისა და კონფერენციების ოქმები. — მეშვიდე ყრილობა», 1928, გვ. 1). — **547.**

566 იგულისხმება შესწორებანი რეზოლუციისათვის ანტიმილიტარიზმის შესახებ; რეზოლუცია წარუდგინა ბებელმა II ინტერნაციონალის შტუტგარტის კონგრესს, რომელიც მიმდინარეობდა 1907 წლის 18 — 23 აგვისტოს (იხ. სტ.). ბებელის რეზოლუციას არსებითი ნაკლი ჰქონდა, იქ არ იყო მითითებანი პროლეტარიატის აქტიურ ამოცანებზე. ეს შესაძლებლობას აძლევდა ოპორტუნისტებს (ფოლმარს და სხვ.) თავიანთ ყაიდაზე განემარტათ რეზოლუცია. ამიტომ როზა ლუქსემბურგმა რუსეთისა და პოლონეთის დელეგაციების სახელით შეიტანა შესწორებანი ბებელის რეზოლუციის გამო. ეს შესწორებანი ხელმოწერილი იყო ვ. ი. ლენინის მიერ. შესწორებებში: 1) ლაპარაკი იყო, რომ მილიტარიზმი კლასობრივი ჩაგვრის მთავარი იარაღია; 2) აღნიშნული იყო ახალგაზრდობაში აგიტაციის ამოცანა; 3) ხაზგასმული იყო სოციალ-დემოკრატიის ამოცანა ებრძოლა არა მარტო ომების ატეხის წინააღმდეგ ან უკვე დაწყებული ომების რაც შეიძლება მალე შეწყვეტისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ გამოეყენებინათ ომით შექმნილი კრიზისი ბურჟუაზიის დამხობის დასაჩქარებლად. ყველა ეს შესწორება ძირითადად შეიტანეს ბებელის რეზოლუციაში და მიღებულ იქნა კონგრესის მიერ. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის სტატიები «შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი» (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 13, გვ. 81 — 90 და 91 — 105). — **548.**

567 რუმჩეროდი — რუმინეთის ფრონტის, შავი ზღვის ფლოტისა და ოდესის ოლქის საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. — **550.**

568 1918 წლის 18 თებერვალს, საბჭოთა რესპუბლიკაზე გერმანელთა მიერ დაწყებულ შემოტევასთან დაკავშირებით, პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომები დილასაც და საღამოსაც გაიმართა. დილის სხდომაზე აზრთა ურთიერთ გაზიარების შემდეგ ვ. ი. ლენინის მოთხოვნით კენჭის საყრელად დაისვა ერთი საკითხი: დაუყოვნებლივ მიემართათ წინადადებით საზავო მოლაპარაკების განახლების შესახებ. ხმების უმრავლესობით ლენინის ეს წინადადება უარყოფილ იქნა (მომხრე — 6; წინააღმდეგ — 7). განზრახული იყო ცენტრალური კომიტეტის შემდგომი სხდომა მოეწვიათ მეორე დღეს, 2 საათზე. მაგრამ მიღებულ იქნა ცნობა გერმანელთა მიერ დვინსკის (აწინდელი დაუგავპილსის) აღების შესახებ, რის გამო ცენტრალური კომიტეტის სხდომა მოიწვიეს იმავე დღეს, საღამოს. ცენტრალური კომიტეტის საღამოს სხდომაზე ვ. ი. ლენინმა სრულიად გადაჭრით დასვა საკითხი გერმანიასთან საზავო მოლაპარაკების განახლების შესახებ. ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო

ლენინის წინადადება გაეგზავნათ სახკომსაბჭოს სახელით გერმანიის მთავრობისათვის ცნობა, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმაა დადოს ზავი. რადიოგრამის პირვანდელი პროექტი მაშინვე დაწერა ლენინმა და 1918 წლის 18 თებერვალს ღამით გაიგზავნა ბერლინში სახალხო კომისართა საბჭოს სახელით (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 26, გვ. 618).

ვ. ი. ლენინის ეს გამოსვლები იბეჭდება რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ოქმის სამდივნოს ჩანაწერის შავის მიხედვით; ამ გამოსვლების ნაწილი სხვა რედაქციით გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემაში (იხ. ტომი 26, გვ. 611 — 612). — **551.**

569 გერმანელთა ზავის ახალი პირობების მიღების საკითხი განიხილეს 23 თებერვალს ჯერ რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, შემდეგ რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და «მემარცხენე» ესერების ცენტრალური კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე, სრ. რუსეთის ცაკის ბოლშევიკებისა და «მემარცხენე» ესერების ფრაქციების გაერთიანებულ სხდომაზე და, ბოლოს, სრ. რუსეთის ცაკის პლენარულ სხდომაზე.

თავის სხდომაზე რსდმპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დადგინა: 1) 7 ხმით 4-ის წინააღმდეგ, 4-მა თავი შეიკავა, დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას გერმანიის წინადადება, 2) ერთხმად — დაუყოვნებლივ ვამზადოთ რევოლუციური ომი და 3) ერთხმად, ოთხმა თავი შეიკავა, — დაუყოვნებლივ დაჰკითხონ პეტროგრადისა და მოსკოვის საბჭოთა ამომრჩევლებს, რათა გამოიკვეს მასების დამოკიდებულება ზავის დადებისადმი.

სრ. რუსეთის ცაკის პლენარულმა სხდომამ 116 ხმით 85-ის წინააღმდეგ, 26-მა თავი შეიკავა, დაამტკიცა ბოლშევიკების მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია გერმანელთა მიერ წამოყენებული ზავის პირობების მიღების შესახებ. «მემარცხენე» კომუნისტების უმრავლესობას მონაწილეობა არ მიუღია კენჭისყრაში, — მან ამ ხნით სხდომების დარბაზი დატოვა. «მემარცხენე კომუნისტებისა» და ტროცკისტების ლიდერებმა ხმა მისცეს ზავის დადების წინააღმდეგ. — **552.**

570 ი. ბ. სტალინი მხარს უჭერდა ვ. ლენინის წინადადებას გერმანელებთან ზავის დადების შესახებ და წინადადებას იძლეოდა დაუყოვნებლივ განეახლებინათ მათთან მოლაპარაკება, მაგრამ ჯერჯერობით ხელი არ მოეწერათ ზავისათვის.

როცა კენჭის საყრელად დაისვა ლენინის წინადადება «მივიღოთ თუ არა დაუყოვნებლივ გერმანელთა წინადადებებიო»,

ი. ბ. სტალინმა ვ. ი. ლენინთან ერთად ხმა მისცა მათი მიღების სასარგებლოდ. — **552.**

571 რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1918 წლის 23 თებერვლის სხდომაზე, როცა გავიდა ლენინის წინადადება—დაუყოვნებლივ მიეღოთ გერმანელთა წინადადებანი, ბუხარინმა, ლომოვმა, იაკოვლევამ, პიატაკოვმა და სმირნოვმა ცენტრალურ კომიტეტში შეიტანეს განცხადება, რომ თავს ანებებენ «ყველა პასუხსაგებ პარტიულ და საბჭოთა პოსტს, ამასთან იტოვებენ სრულ თავისუფლებას გასწიონ აგიტაცია როგორც პარტიის შიგნით, ისე მის გარეთ». იმავე დღეს ეს განცხადება განიხილეს ცენტრალურ კომიტეტში, მაგრამ არავითარი დადგენილება არ მიუღიათ. ცენტრალური კომიტეტის შემდგომ სხდომაზე — 24 თებერვალს — მიიღეს ვ. ი. ლენინის მიერ შეტანილი ორი წინადადება (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 27, გვ. 46 — 47). — **553.**

572 იგულისხმება ვ. ანტონოვ-ოვსეენკოს 1918 წლის 26 თებერვლის დეპეშა, რომელიც გადმოსცემდა დონის ჯარის მცირე საჯარისო კრების დელეგაციასთან მისი მოლაპარაკების შინაარსს. დელეგაციამ წამოაყენა დონის ავტონომიის საკითხი, ამასთან მოითხოვა მიწის საკითხის დამოუკიდებლად გადაჭრის უფლება. .— **556.**

573 საბჭოების სრულიად რუსეთის IV საგანგებო ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1918 წლის 14 — 16 მარტს. ყრილობა მოწვეული იყო ბრესტის საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხის ვადასაჭრელად. ყრილობის გახსნის წინადღეს, 13 მარტს, შედგა IV ყრილობის ბოლშევიკების ფრაქციის სხდომა, რომელზეც ლენინი გამოვიდა მოხსენებით ბრესტის ხელშეკრულების შესახებ (იხ. ლენინის კრებული XI, 2 გამოც., 1931, გვ. 68 — 70). ფრაქციის სხდომაზე საკითხის წინასწარი კენჭისყრის შედეგი ასეთი იყო: ლენინის რეზოლუციას ბრესტის ზავის რატიფიკაციის შესახებ ხმა მისცა 453 კაცმა, წინააღმდეგ — 36, თავი შეიკავა 8 კაცმა.

14 მარტს საბჭოების ყრილობაზე მოხსენებით საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ გამოვიდა ვ. ი. ლენინი; თანამოხსენებით რატიფიკაციის წინააღმდეგ «მემარცხენე» ესერებისაგან — ბ. კამკოვი. ყრილობამ სახელობითი ხმის მიცემით მიიღო ლენინის რეზოლუცია საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 27, გვ. 228 — 230). რატიფიკაციას ხმა მისცა 784 დელეგატმა, წინააღმდეგ — 261-მა, თავი შეიკავა 115 კაცმა, მათ შორის «მემარცხენე კომუნისტებმაც», რომლებმაც ყრი-

ლობაზე გამოაქვეყნეს ცალკე დეკლარაცია იმ მოტივების მოყვანით, თუ რატომ შეიკავეს მათ თავი ხმის მიცემისაგან. — **557.**

574 ლენინს მხედველობაში აქვს მაგალითი, რომელიც მან მოიყვანა საბოლოო სიტყვაში პარტიის VII ყრილობაზე «...ორი კაცი მიდის, მათ თავს ესხმის ათი კაცი. ერთი იბრძვის, მეორე გარბის — ეს გამცემლობაა; მაგრამ თუ ორი არმიაა, თითოში ასი ათასი კაცით, მათ წინააღმდეგ კი ხუთი არმიაა; ერთ არმიას შემოერტყა ორასი ათასი კაცი, მეორე უნდა წავიდეს დასახმარებლად, მაგრამ იცის, რომ სამასი ათასი ისეა განლაგებული, რომ აქ მახეა: შეიძლება თუ არა დასახმარებლად წასვლა? არა, არ შეიძლება» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 27, გვ. 122). — **557.**

575 ეს დეპეშა გაგზავნილია ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის მიერ თურქესტანის მხარის საბჭოების სამხარეო ყრილობის მისალმების პასუხად; ყრილობა მიმდინარეობდა ტაშკენტში 1918 წლის აპრილს. ყრილობა მიესალმებოდა სახალხო კომისართა საბჭოს სწორი ეროვნული პოლიტიკისათვის და იუწყებოდა, რომ ყრილობის დღის წესრიგის ცენტრალური პუნქტი თურქესტანის მხარის ავტონომიის საკითხია და რომ ამ მიზნით არჩეულია თურქესტანის მხარის საბჭოების დამფუძნებელი ყრილობის მომწვევი სპეციალური კომისია; ამ ყრილობამ უნდა დაადგინოს თურქესტანის საზღვრები და მისი ავტონომიის კომპეტენციის სფეროო. — **561.**

576 იგულისხმება საბჭოების V სრულიად რუსეთის ყრილობის მოწვევა, რომელიც 1918 წლის 4 ივლისისათვის იყო დანიშნული. ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში «მემარცხენე» ესერებთან მწვავე ბრძოლის ვითარებაში, რომლებმაც მოაწყვეს კონტრრევოლუციური ამბოხება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ (გერმანიის ელჩის გრაფ მირბახის მკვლელობა) იმ მიზნით, რომ ჩაშალათ ბრესტის ზავი და ჩაებათ საბჭოთა რუსეთი ახალ ომში გერმანიასთან. — **562.**

577 ლაპარაკია ჩეხოსლოვაკთა სამხედრო კორპუსის კონტრრევოლუციურ ამბოხებაზე, რომელიც მოაწყვეს ანტანტის იმპერიალისტებმა მენშევიკებისა და ესერების აქტიური მონაწილეობით.

ჩეხოსლოვაკთა კორპუსი შედგენილ იქნა რუსეთში სამხედრო ტყვეებისაგან ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კორპუსის კონტრრევოლუციონერ ოფიცერთა შემადგენლობა გამოიყენეს ანტანტის იმპერიალისტებმა და რუსეთის კონტრრევოლუციამ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ საბრძოლველად. გამოსვლა დაიწყო 1918

წლის მაისს ჩელიაბინსკში. 1918 წლის ივნისის დამდეგს ჩეხოსლოვაკთა ჯარებმა დაიკავეს ომსკი და სამარა (აწინდელი კუიბიშევი), სადაც შეიქმნა დამფუძნებელი კრების წევრთა კომიტეტი, რომელმაც დროებით ხელისუფლებად გამოაცხადა თავი მეამბოხე ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. 5 ივლისს, მემარცხენე ესერების მიერ მოსკოვში მოწყობილი ამბოხების წინადღეს, ჩეხოსლოვაკებმა დაიკავეს უფა. აღმოსავლეთის ფრონტზე მდგომარეობის გაუარესება გამოწვეული იყო აღმოსავლეთის ფრონტის სარდლის «მემარცხენე» ესერის მ. ა. მურავიოვის ღალატით; 11 ივლისს იგი ცდილობდა დაედო შეთანხმება ჩეხოსლოვაკებთან და დაეძრა ჯარები მოსკოვისაკენ მემარცხენე ესერთა ამბოხების დასახმარებლად, მაგრამ მოკლულ იქნა თავისი ავანტიურის დასაწყისშივე.

ჩეხოსლოვაკთა კორპუსის ამბოხება საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნა 1919 წლის დამლეგს კოლჩაკის განადგურებასთან ერთად. — **568.**

578 ლენინის სამხედრო-ოპერატიული დირექტივა მიზნად ისახავდა სადგ. ტიხორეცკაიას მიმართულებით დაძრული თეთრი არმიის შემოტევისათვის დაეპირისპირებინა ტიხორეცკაიადან ცარიცინისაკენ მიმავალი გზის საიმედოდ დაცვა; ტიხორეცკაიას ხელში ჩაგდება, როგორც ეტყობა, შედიოდა თეთრების შემოტევის გეგმაში. 14 ივლისს სადგური ტიხორეცკაია თეთრგვარდიელებმა დაიკავეს. თეთრების შემდგომი წინწაწევა შეხვდა მძლავრ წინააღმდეგობას წითელი არმიის მხრივ, რომელმაც სწრაფად გარდაქმნა თავისი ძალები და, ლენინის დირექტივის თანახმად, მოაწყო ცარიცინისაკენ მიმავალი გზის საიმედო დაცვა. — **563.**

579 იგულისხმება ე. ბ. ბოშის დეპეშა, რომელიც ვ. ი. ლენინს გაეგზავნა 1918 წლის 9 აგვისტოს. დეპეშაში ლაპარაკი იყო კულაკურ აჯანყებაზე, რომელიც პენზის გუბერნიის ხუთ უმდიდრეს თემს მოედო. ამ ცნობის პასუხად ვ. ი. ლენინი 10 აგვისტოს დეპეშით პენზის გუბაღმასკომის სახელზე მოითხოვდა უდიდესი ენერგიით, სწრაფად და ულმობლად ჩაეხშოთ კულაკთა აჯანყება (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 35, გვ. 472).

მაგრამ პენზის ხელმძღვანელი მუშაკები კულაკობასთან ბრძოლაში გადამწყვეტი ზომების წინააღმდეგი იყვნენ. ისინი თუმცა არსებითად არ ილაშქრებდნენ მიღებული დირექტივების წინააღმდეგ, მაგრამ ყოველგვარ დაბრკოლებებსა და სიძნელეებს ქმნიდნენ ამ დირექტივების განხორციელებაში. საამისო ცნობა ვ. ი. ლენინის 12 და 14 აგვისტოს დეპეშების სახით შეიქნა (იხ. ეს ტომი, გვ. 565. და თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 35, გვ. 374). — **564.**

580 იგულისხმება მ. ს. კედროვის გამგზავრება მოსკოვს ჩრდილოეთის მდგომარეობის შესახებ მოხსენების წარსადგენად. ეს გამგზავრება დაემთხვა ინგლისის ესკადრის გამოჩენას თეთრ ზღვაზე, რამაც დასაბამი მისცა ინტერვენციონისტთა ჯარების მოქმედებას მურმანზე. ინგლისის ჯარები, რომლებმაც მურმანსკი დაიკავეს, ემუქრებოდნენ არხანგელსკსა და ვოლოგდას (იხ. «მოგონებანი ვლადიმერ ილიას ძე ლენინზე», ნაწ. 2, 1957, გვ. 86 — 87).

ვ. ი. ლენინი წინადადებას იძლევა «რადაც უნდა დაჯდეს» მოაწყონ «კოტლასის დაცვა», რადგან კოტლასში თავმოყრილი იყო ფეთქებად ნივთიერებათა უზარმაზარი მარაგი, ამასთანავე გზავნის ამფეთქებელთა ჯგუფს კოტლასის საომარი მასალის აფეთქებისათვის მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად და ბრძანებას იძლევა ააფეთქონ ეს მასალა კრიტიკულ წუთს. ამავე დროს ვ. ი. ლენინი ბრძანებას აძლევს მოსკოვის ოლქის ჯარების სარდალს მოძებნოს მოსკოვიდან ურალს გაგზავნილი მძიმე არტილერიის ბატარეა და სასწრაფოდ გადაგზავნოს იგი ამხ. კედროვის განკარგულებაში. «ამისათვის პასუხს აგებთ საკუთარი სიცოცხლით», — აფრთხილებდა ვლადიმერ ილიას ძე ოლქის სარდალს. ბატარეა კოტლასშე გაიგზავნა, და წითელმა ჯარებმა შეინარჩუნეს ქალაქი მისი საომარი მასალითურთ, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამოქალაქო ომის შედეგისათვის ჩრდილოეთში. — **566.**

581 სახკომსაბჭოს დადგენილება სახალხო კომისარიატების ანგარიშების შესახებ მიღებულია სახკომსაბჭოს 1918 წლის 29 აგვისტოს სხდომაზე და დაწერილია ლენინის მიერ იმავე სხდომაზე. — **568.**

582 წითელარმიელი გლეხის გ. გულოვის წერილი დაბეჭდილია 1919 წლის 2 თებერვლის «იზვესტია ვციკში» № 24. გულოვი საშუალო გლეხებთან გამართულ საუბარს ემყარებოდა და აღნიშნავდა, რომ «საშუალო გლეხისათვის დღემდეც ნათელი არ არის საშუალო გლეხის მდგომარეობა და მისდამი კომუნისტების პარტიის დამოკიდებულება». გულოვმა ლენინს მიმართა თხოვნით «განემარტა ამხანაგ კომუნისტებისათვის, თუ რას ნიშნავს საშუალო გლეხი და რა დახმარებას გაუწევს იგი ჩვენს სოციალისტურ მთავრობას, თუ საშუალო გლეხებს სწორად გაიგებენ». საშუალო გლეხობისადმი პარტიის დამოკიდებულების საკითხის დაწვრილებითი განმარტება იხ. ვ. ლენინის მოხსენებაში სოფლად მუშაობის შესახებ, რაც მან გააკეთა 1919 წლის 23 მარტს რკპ (ბ) VIII ყრილობაზე, და ყრილობის რეზოლუციაში საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების შესახებ (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 29, გვ. 228 — 244, 246 — 250). — **576.**

583 ლ. დ. ტ რ ო ც კ ი — ლენინიზმის დაუძინებელი მტერი. კომუნისტური პარტიის ისტორიის მთელ მანძილზე, მისი დაარსების მომენტიდან, ვ. ი. ლენინი და ბოლშევიკები შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ ტროცკიზმთან, როგორც მენშევიზმის ნაირსახეობასთან. ტროცკი უარყოფდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინურ იდეას, ურწმენობას იჩენდა გლეხობის რევოლუციურ ძალებისადმი, უარყოფდა მუშათა და გლეხთა კავშირის შესაძლებლობას და აუცილებლობას, ტროცკი გამოდიოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის ლენინური თეორიის წინააღმდეგ და ქადაგებდა «პერმანენტული რევოლუციის» ანტიმარქსისტულ თეორიას.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ტროცკი ერთხანს ფორმალურად ეთანხმებოდა პარტიის პოლიტიკას გლეხობის საკითხში. სწორედ ასეთი ხასიათისაა ტროცკის წერილი საშუალო გლეხებისადმი, რასაც ვ. ი. ლენინი იხსენიებს; ამ წერილში ტროცკი განმარტავდა საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას საშუალო გლეხებისადმი.

როცა ვ. ლენინი თავის სტატიაში ლაპარაკობს, ტროცკისთან გლეხობის საკითხის გამო უთანხმოება არა გვაქვს მიმდინარე პოლიტიკის დარგშიო, ის არ ეხება ტროცკისთან უთანხმოებას გლეხობის საკითხის გამო ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ლენინი, პარტია იქიდან გამოდიოდნენ, რომ გლეხობის მიმართ სწორი პოლიტიკისას, მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირის საფუძველზე რუსეთში შეიძლება სოციალისტური საზოგადოება ავაშენოთო, ტროცკი უარყოფდა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას და ამტკიცებდა, პროლეტარიატსა და გლეხობას შორის შეტაკება გარდუვალიაო. შემდეგში ტროცკი აშკარად გამოვიდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ლენინური პროგრამის წინააღმდეგ, პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლებასთან აშკარა კონტრრევოლუციური ბრძოლის გზას დაადგა. კომუნისტურმა პარტიამ გაანადგურა ტროცკიზმი და სხვა კაპიტულანტები, უზრუნველყო პროლეტარიატის მტკიცე კავშირი გლეხობასთან და სოციალიზმის გამარჯვებამდე მიიყვანა საბჭოთა ხალხი. — 576.

584 ეს შენიშვნები ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილია, ალბათ, სახკომსაბჭოს 1919 წლის 8 მარტის სხდომაზე, როცა განიხილავდნენ სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაციის საკითხს. ვ. ი. ლენინის მითითებანი, რაც ამ შენიშვნებში მოკლედაა ფორმულირებული, საფუძვ-

ლად დაედო სახკომსაბჭოს 1919 წლის 8 მარტის გადაწყვეტილების სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაციის შესახებ. ამ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ აუცილებელია გადამუშავდეს წარმოდგენილი დეკრეტის პროექტი და შეივსოს იგი შემდეგი პუნქტებით:

«ა) მუშათა ორგანიზაციების სისტემატური მონაწილეობა. ბ) პროლეტარული ელემენტების წრიდან მიზიდულ თანამოწმეთა სისტემატური მონაწილეობა. გ) სახელდახელო რევიზიისა და სხვა რევოლუციური ზომების გატარება ჯანჯლობის მოსასპობად. დ) სხვა კომისარიატების მიმართ უფლებათა და მოვალეობათა ზუსტი განსაზღვრა. ე) სარევიზიო-საკონტროლო ფუნქციების მტკიცედ გამიჯვნა საინსპექციო ფუნქციებისაგან, ამასთან საინსპექციო ფუნქციები უნდა დარჩეს სათანადო კომისარიატებში».

გადამუშავებული დეკრეტი ვ. ი. ლენინის შესწორებებით დამტკიცებულ იქნა სრ. რუსეთის ცაკის 1919 წლის 2 აპრილის სხდომაზე და გამოქვეყნდა 1919 წლის 12 აპრილს გაზეთ «იზვესტია ვციკში» № 79 (იხ. «მუშურ-გლეხური მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული» № 12, 1919 წლის 24 აპრილი). — **581.**

585 ეს დეპეშა ვ. ი. ლენინმა გაგზავნა ლუგანსკის დაკარგვის შესახებ მიღებულ ცნობასთან დაკავშირებით; ლუგანსკი თეთრებმა 1919 წლის 4 მაისს დაიკავეს. ამავე დროს ლენინმა მისცა დირექტივა ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს — დაუყოვნებლივ დაეწყოთ შეტევა. დონბასზე, რათა იგი საკვებით გაეწმინდათ თეთრებისაგან. — **587.**

586 კ უ ნ ბ ე ლ ა — უნგრელი კომუნისტი; 1919 წელს უნგრეთში საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა არსებობდა 1919 წლის 21 მარტიდან აგვისტომდე. — **588.**

587 რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1919 წლის მაისის დამდეგს, სამხრეთის ფრონტზე მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით, რაც თეთრგვარდიელთა აქტიური ოპერაციებითა და ატამან გრიგორიევის აჯანყებით იყო გამოწვეული, დაადგინა მოეხდინა უკრაინაში სულ ცოტა 20000 მუშის მობილიზაცია სამხრეთის ფრონტის წითელი ჯარების შესავსებად. 9 მაისს ტელეგრაფით ცენტრალური კომიტეტის დირექტივა გაეგზავნა თავდაცვის საბჭოს რწმუნებულს სამხრეთის ფრონტზე — მოეხდინა მუშების ეს მობილიზაცია არა ახალი ნაწილების შესადგენად, არამედ სამხრეთის ფრონტის საუკეთესო კადრებში მათ მოსაქცევად.

დირექტივაში აღნიშნული იყო: «ციფრი 20 000 ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია მინიმალურად, ორი კვირის ვადა — მაქსიმალურად სამხრეთის ფრონტზე ჩვენი მდგომარეობის გამოსასწორებლად. მუშაობა განსაკუთრებული ენერგიით უნდა წარმოებდეს. დაუყოვნებლივ გვაცნობეთ თქვენ მიერ მიღებული ყველა ღონისძიება. ყოველ სამ დღეში დეპეშით აუწყეთ ცენტრალურ კომიტეტს მიღწეული შედეგები».

1919 წლის 16 მაისს ხარკოვის ქვანახშირის მთავარმა სამმართველომ გვერდი აუარა ადგილობრივ ორგანიზაციებს და უშუალოდ მიმართა ვ. ი. ლენინს თხოვნით — გაეთავისუფლებინათ მობილიზაციისაგან ყველა მუშა-მეშახტე. პასუხად ვ. ი. ლენინმა იმავე დღეს გაუგზავნა ეს დეპეშა სამხრეთის ფრონტზე მყოფ ლ. ბ. კამენევს. — **589.**

588 ვ. ი. ლენინის ბარათი ვ. ა. ავანესოვისადმი შემდეგი ფაქტით იყო გამოწვეული. 1919 წლის 13 და 14 მაისს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის სახელზე საქმეთა მმართველობაში შემოვიდა ორი თხოვნა გლეხებისაგან: ისინი უჩიოდნენ ადგილობრივ ხელისუფალთა მოქმედებას, რომლებმაც, მთხოვნელთა აზრით, უმართებულოდ მოახდინეს მათი ცხენების რეკვიზიცია. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობამ ორივე თხოვნა გადაუგზავნა განსახილველად მთავარ საველე შტაბთან არსებულ სამობილიზაციო კომისიას. სამობილიზაციო კომისიამ თხოვნები გაუგზავნა დედაქალაქის საქმეთა განსაკუთრებულ კომისიას, საიდანაც ეს თხოვნები დააბრუნეს სახკომსაბჭოში ასეთი წარწერით კონვერტზე, რომელმაც ვ. ი. ლენინი აღაშფოთა: «სამუშაო ისედაც ბევრია, უბრალო რამეებისათვის არა ვცალია». — **590.**

589 ეს ბარათი ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილია ცნობილი «მამონტოვის რეიდის» დღეებში, როდესაც დენიკინის არმიის ცხენოსანმა ჯარმა მამონტოვის სარდლობით შეძლო ღრმად გაერღვია ჩვენი ნაწილების ზურგი ტამბოვისა და ,ოზლოვის (აწინდელი მიჩურინსკის) მიმართულებით (1919 წლის 10 აგვისტო — 19 სექტემბერი). ცხადია, ამ გარღვევის ლიკვიდაციის ხერხებზე რომ ფიქრობდა, ვ. ი. ლენინი შეჩერდა იმაზე, რომ ცხენოსან ჯართან საბრძოლველად შესაძლებელია აეროპლანების გამოყენება. ბარათში მოხსენიებული ი. ნ. სმირნოვი იმ დროს მე-5 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი იყო. — **592.**

590 იგულისხმება ცენტრალური კომიტეტის შემდეგი ცირკულარული წერილები: «რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის თეზისები აღმოსავლეთის ფრონტის მდგომარეობასთან დაკავშირებით» (იხ. თხზულე-

ბანი, 4 გამოც., ტომი 29, გვ. 317 — 321), რომლებშიც ცენტრალური კომიტეტი მიმართავდა პარტიის ყველა ორგანიზაციას და ყველა პროფკავშირს თხოვნით «დაეწყოთ რევოლუციურად მუშაობა და არ დაკმაყოფილებულიყვნენ ძველი შაბლონებით».

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცირკულარული წერილი, რომელიც 1919 წლის 29 აპრილს რადიოთი და ტელეგრაფით დაიგზავნა კოლჩაკის წინწაწევით შექმნილ საფრთხესთან დაკავშირებით, მოუწოდებდა ყველა პარტიულ ორგანიზაციას «უაღრესად დაეძაბათ თავიანთი მუშაობა არმიის მომსახურებისათვის», მოეხსნათ სამხედრო მუშაობის საწარმოებლად მუშაკთა მაქსიმუმი, არ დარჩებოდნენ ცალკეულ უწყებათა საქმიანობის დროებით შეწყვეტას. ვინაიდან «მსოფლიო რევოლუციური პარტიისათვის არასაკადრისი ბალღობა იქნებოდა დაეხარჯა ახლა თავისი ძალა მშვიდობიან ზოგად-კულტურულ მუშაობაზე იმ დროს, როდესაც თვით საბჭოთა რესპუბლიკის არსებობას მომაკვდინებელი საფრთხე ემუქრება» («პრავდა» № 92, 1919 წლის 1 მაისი).

უმეტეს წილად ამავე საკითხისადმი იყო მიძღვნილი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილიც პარტიის ორგანიზაციებისადმი: «ყველაფერი დენიკინთან საბრძოლველად!» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 29, გვ. 510 — 533).

ბოლოს, სექტემბრის დამლეს სამხრეთის ფრონტზე მდებარეობის გამწვავებასთან დაკავშირებით, რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ორგანიზაციებს მიმართა ახალი ცირკულარული წერილით, რომელშიც მოითხოვდა მთელი სახელმწიფო აპარატი დენიკინის მოსპობის ამოცანის განსახორციელებლად გამოეყენებინათ. — **594.**

591 პ. ოხრიმენკო — მთარგმნელი, საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი, ასე მოგვითხრობს ამ ბარათის მიღების გარემოებებს. 1919 წლის გვიან შემოდგომაზე ის უკრაინიდან, თეთრგვარდიელთა მიერ დაკავებული კამენკიდან, მოსკოვს ჩავიდა, მისი თქმით, «შიშველ-ტიტველი». იმ დღეებში ამხ. ოხრიმენკომ ინგლისურიდან გადმოთარგმნა ედვარდ კარპენტერის ერთ-ერთი რევოლუციური ლექსი და «პრავდაში» წაიღო. რედაქციის მდივნად მაშინ იყო მარიამ ილიას ასული ულიანოვა. ლექსი მოწონებულ იქნა და გამოქვეყნდა გაზეთში 1919 წლის 7 ნოემბერს. რამდენიმე დღის შემდეგ ამხ. ოხრიმენკომ, რომელიც რედაქციაში ჰონორარის მისაღებად მივიდა, მარიამ ილიას ასულს გააცნო თავისი მძიმე მატერიალური მდგომარეობა. მარიამ ილიას ასულმა ყურადღებით მოუსმინა და თხოვა მეორე დღეს შემოევლო. და როცა ამხ. ოხრიმენკო კვლავ მივიდა რედაქციაში, მარიამ ილიას ასულმა მას გადასცა ვ. ი. ლენინის ეს

ბარათი. მალე ამხ. ოხრიმენკო უზრუნველყოფილ იქნა ყოველივე აუცილებელით. — 595.

592 ეს ბარათი ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილია შემდეგი შემთხვევის გამო: 1919 წლის 13 დეკემბერს მანქანათსაშენი ქარხნების სახელმწიფო გაერთიანებათა მთავარმა სამმართველომ («გომზა») თავდაცვის საბჭოში გაგზავნა ტელეფონოგრამა № 927, სადაც შუამდგომლობდა უზრუნველყოთ ფურაჟით კულებაკისა და ვიკსუნის ქარხნები მათ მიერ თავდაცვისათვის დაკვეთების შესრულებასთან დაკავშირებით; იქვე აღნიშნული იყო, რომ ფურაჟის დამოუკიდებლად დამზადების უფლებას, რაც ამ სამმართველოს აქვს მინიჭებული, არავითარი შედეგი არ მოუცია, რადგან სურსათის სახალხო კომისარიატში საქმეს აჭანჭლებენ, ხოლო ადგილობრივი საგუბერნიო სასურსათო კომიტეტები არამეგობრულად გეეკიდებიან და თვითნებობას იჩენენ.

თავდაცვის საბჭომ 1919 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე განიხილა «გომზას» შუამდგომლობა და მიიღო: 1) დადგენილება აღნიშნული ქარხნების ფურაჟით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ და 2) დაავალა დ. ი. კურსკის შეედგინა პროექტი დამატებითი ცირკულარისა საბჭოების VI ყრილობის კანონების განუხრელი გატარების შესახებ მათი პოპულარული ახსნა-განმარტებითურთ; პროექტი დ. ი. კურსკის უნდა წარედგინა სახალხო კომისართა საბჭოს უახლოესი სხდომისათვის. სახალხო კომისართა საბჭოს 23 დეკემბრის სხდომისათვის კურსკის მიერ წარდგენილ დამატებითი ცირკულარის პროექტში უკვე შეტანილი იყო ვ. ი. ლენინის ყველა დამატება, რაც აღნიშნულია კურსკისადმი მიწერილ ბარათში.

1919 წლის 23 დეკემბერს პროექტი განხილულ იქნა სახკომსაბჭოში, რომელმაც დაადგინა: დაეგზავნოს პროექტი სახალხო კომისრებს დასკვნისათვის და, თუ აზრთა სხვადასხვაობა არ იქნება, წარედგინოს ვ. ი. ლენინს ხელმოსაწერად. დეკრეტი ხელმოწერილ იქნა 1919 წლის 30 დეკემბერს (იხ. «მუშურ-გლეხური მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული» № 1 — 2, 1920 წელი).— 596.

593 თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო (მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭო) შეიქმნა სრ. რუსეთის ცაკის 1918 წლის 30 ნოემბრის დადგენილებით საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად. ეს დადგენილება თავდაცვის საბჭოს ამოცანად აკისრებდა განეხორციელებინა სრ. რუსეთის ცაკის 1918 წლის 2 სექტემბრის დეკრეტი, რომლითაც საბჭოთა რესპუბლიკა სამხედრო ბანაკად გამოცხადდა, და სამხედრო რეჟიმი დაემყარებინა სასურსათო და სატრანსპორტო საქმეში, აგრეთვე სამხედრო მრეწველობის დარგ-

ში. თავდაცვის საბჭოს მიენიჭა სრული უფლება თავდაცვის ინტერესებისათვის ქვეყნის ძალთა და საშუალებათა მობილიზაციის საქმეში. თავდაცვის საბჭო ხელმძღვანელობდა ფრონტის ახალი ძალებით შევსებას, მისი იარაღით, სურსათითა და ჩაცმულობით მომარაგებას.

თავდაცვის საბჭოს სათავეში იდგა ვ. ი. ლენინი.

თავდაცვის საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ სრ. რუსეთის ცაკის, რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს, მომარაგების წარმოების საგანგებო კომისიის, გზათა სახალხო კომისარიატის, სურსათის სახალხო კომისარიატის, სრ. რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს წარმომადგენლები.

ძირითადი ფრონტების ლიკვიდაციის შემდეგ თავდაცვის საბჭო გარდაიქმნა 1920 წლის აპრილის დამდეგს შრომისა და თავდაცვის საბჭოდ (შთს). სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობის 1920 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით, შრომისა და თავდაცვის საბჭო 1936 წლის დამლევამდე სახკომსაბჭოს კომისიის უფლებებით არსებობდა. — **596.**

594 ბარათი ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილია კურსკისადმი წინათ გაგზავნილი წერილის (იხ. ეს ტომი, გვ. 596) დამატებით. ბარათში მოცემულია მითითება გაზეთ «ბედნოტასათვის» განკუთვნილი სტატიის ხასიათის შესახებ, მაგრამ სტატია საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის შესახებ «ბედნოტაში» არ ყოფილა დაბეჭდილი. — **597.**

595 სრ. რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომა მოწვეული იყო 1920 წლის 15 მარტს, რათა განეხილათ მ. პ. ტომსკის თეზისები პროფესიული კავშირების ამოცანების შესახებ, გამოქვეყნებული 1920 წლის 10 მარტს გაზეთ «ეკონომიჩესკაია ჟიზნში» № 54. ტომსკის თეზისები წინასწარ განხილულ იქნა სრ. რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ფრაქციის მიერ გამოყოფილ კომისიაში, მაგრამ კომისიამ დატოვა თეზისების ყველა პრინციპული დებულება. თეზისების ავტორი სამრეწველო საწარმოთა კოლეგიური მართვის თვალსაზრისზე იდგა და ამ დებულებას ატარებდა თეზისებში, რომლებსაც მხარს უჭერდა სრ. რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ფრაქციის უმრავლესობა. ვ. ი. ლენინმა ფრაქციის სხდომაზე რამდენიმეჯერ აიღო სიტყვა; ის გამოდიოდა შესწორებებით ან აკრიტიკებდა ტომსკის თეზისების ცალკეულ პუნქტებს და იცავდა სამეურნეო საწარმოთა ერთმმართველობის პრინციპს.

ვ. ი. ლენინი აღიარებდა კოლეგიალობის აუცილებლობას მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საქმეების გადასაწყვეტად. მაგრამ

კოლეგიალობის ყოველგვარი გაბერვა. მისი ყოველგვარი დამახინჯება, რაც საქმის გაჭიანურებასა და უპასუხისმგებლობას გამოიწვევდა, მისი ყოველგვარი გადაქცევა სალაყბოდ ვ. ი. ლენინს უდიდეს ბოროტებად მიაჩნდა, რომელსაც გადაჭრით უნდა მოვუღოთ ბოლოო, — მოუწოდებდა ის. «ყოველ შემთხვევაში და გამოუკლებლივ ყოველგვარ გარემოებაში, — ამბობდა ლენინი, — კოლეგიალობას თან უნდა ახლდეს თ ვ ი თ ე უ ლ ი პიროვნების პირადი პასუხისმგებლობის უაღრესი სიზუსტით დაწესება ზ უ ს ტ ა დ გარკვეული საქმისათვის» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 29, გვ. 512). — **599.**

596 იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა საწარმოების მართვის უდავო ტიპი ჯერ კიდევ არ იყო გამომუშავებული, ამიტომ სრული ერთმმართველობის გზაზე მრეწველობის მართვის საქმეში დაშვებული იყო სხვადასხვა კომბინაცია, სახელდობრ: 1. საწარმოს სათავეში დგას დირექტორ-ადმინისტრატორი მუშებიდან, მასთან კი, ტექნიკურ ნაწილში თანაშემწის სახით, არის სპეციალისტი, ინჟინერი. 2. საწარმოს სათავეში დგას ინჟინერ-სპეციალისტი, რომელიც ფაქტიურად საწარმოს ხელმძღვანელია, ხოლო მასთან არის კომისარი მუშებიდან, რომელსაც ფართო უფლებები აქვს და ევალება ჩაწვდეს საქმის ყველა მხარეს. 3. საწარმოს სათავეში დგას დირექტორ-სპეციალისტი, მასთან არის ერთი თუ ორი თანაშემწე კომუნისტი, რომლებსაც აქვთ უფლება და მოვალეობა ჩაწვდნენ ქარხნის მართვის ყველა დარგს, მაგრამ უფლება არა აქვთ შეაჩერონ დირექტორის განკარგულებანი. 4. სათავეში დგანან მცირერიცხოვანი, შეთანხმებულად მომუშავე კოლეგიები თავმჯდომარითურთ, რომელიც პასუხს აგებს კოლეგიის მთელი მუშაობისათვის. მრეწველობის მართვის ორგანიზაციის ასეთი ფორმა მიღებულ იქნა რკპ (ბ) IX ყრილობაზე (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 617 — 619). — **602.**

597 ვინაიდან მასობრივად შემოდიოდა გერმანელი მუშების, ტექნიკოსებისა და ინჟინრების წინადადება — საბჭოთა რუსეთში გადმოსახლდებით სამუშაოდო, საბჭოთა მთავრობამ 1920 წლის 16 მარტს რადიოთი განაცხადა, აუცილებელია წინასწარ გამოგზავნონ საბჭოთა რუსეთში სპეციალური დელეგაციები, რომლებიც ადგილობრივ ზუსტად გამოარკვევენ გადმოსახლების მსურველთა ცხოვრების პირობებსო. 1920 წლის 6 მაისის დამატებითს რადიოში კვლავ ხაზგასმული იყო, აუცილებელია წინასწარ გაეცნონ საბჭოთა რუსეთში ცხოვრების ეკონომიურ პირობებს, რადგან გადმოსახლებული საზ-

ღვარგარეთელი მუშები იმაზე მეტს ვერ მიიღებენ, რასაც რუსი მუშები იღებენო.

ამ რადიოგრამების პირები ვ. ი. ლენინის მინაწერით სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მილიუტინმა გადაუგზავნა შრომის სახალხო კომისარიატს, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს მოლაპარაკების დროს სახელმძღვანელოდ; დადებულ ხელშეკრულებებს შეიძლებოდა ძალა ჰქონოდა მხოლოდ მაშინ, თუ ვ. ი. ლენინის მიერ აღნიშნული ხელწერილი იქნებოდა.

მაგრამ იმის გამო, რომ მოლაპარაკება გერმანელი მუშების საბჭოთა რუსეთში გადმოსახლების შესახებ ზემოთ დასახელებულ ორგანოებში მეტისმეტად ნელა მიმდინარეობდა, ე. ი. ლენინი იძულებული იყო მეორე ბარათი მიეწერა ვ. პ. მილიუტინისათვის. იხ. ეს ტომი. გვ. 604. — **603.**

598 როცა ე. ი. ლენინი «ს პ ე ც ზ ე» ლაპარაკობს, მას მხედველობაში აქვს ცნობილი რადიოსპეციალისტი, უდიდესი გამომგონებელი, ნიჟნი ნოვგოროდის რადიო-ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესორი მ. ა. ბონჩ-ბრუევიჩი.

ნიჟნი ნოვგოროდის რადიო-ლაბორატორია 1920 წელს მძიმე დროს განიცდიდა; ბევრი სკეპტიკურად ეკიდებოდა ამ წამოწყებას. და მხოლოდ ვ. ი. ლენინის პირადი ჩარევისა და მხარდაჭერის წყალობით არ დაიღუპა ლაბორატორია, მხოლოდ ამის მეოხებით შეასრულა მან მნიშვნელოვანი როლი საბჭოთა კავშირში რადიოს განვითარების საქმეში. წერილში ლაპარაკია რადიოს საშუალებით გადაცემის პირველ ცდებზე. თუ რა მზრუნველობას და ყურადღებას იჩენდა ვ. ი. ლენინი ნიჟნი ნოვგოროდის ლაბორატორიის მიმართ, ამაზე მოგვითხრობს პ. ა. ოსტრიაკოვი თავის სტატიაში «უქაღალდო და «უმანძილო» გაზეთი» (იხ. «მოგონებანი ე. ი. ლენინზე», ნაწ. 2, 1957, გვ. 589 — 596). — **605.**

599 იგულისხმება ამერიკელი რევოლუციური სოციალისტის დანიელ დელეონის წიგნი «Two pages from roman history. I. Plebs Leaders and Labor Leaders. II. The Warning of the Gracchi». Published by the National Executive Committee Socialist Labor Party, New York, 1915, P. 89. («ორი ფურცელი რომის ისტორიიდან I პლებსის პელადები და მშრომელთა ბელადები. II გრაკხების გაფრთხილება». სოციალისტური მუშათა პარტიის ეროვნული აღმასრულებელი კომიტეტის გამოცემა, ნიუ-იორკი, 1915, გვ. 89). დელეონის წიგნი რუსულ ენაზე არ ყოფილა გამოცემული. — **609.**

600 ა. ი. ელიზაროვა ასე მოგვითხრობს ვ. ი. ლენინის ამ ბარათის დაწერის ისტორიას: «ეს იყო 1920 წლის შემოდგომაზე. ამ წლის იანვრიდან, სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად, ჩემი განყოფილება სოციუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატიდან განათლების სახალხო კომისარიატში გადაიყვანეს. მე ერთბაშად როდი გადავწყვიტე მასთან ერთად გადავსულიყავ: მეშინოდა, ვერ შევეწყობოდი მუშაობაში განათლების სახალხო კომისარიატს, რომელთანაც ზოგ რამეში სხვა თვალსაზრისი მქონდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩემს მოადგილედ მოულოდნელად დანიშნეს ერთ-ერთი ჩემი თანამშრომლის ნაცვლად განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი — სრულიად უცნობი ადამიანი. ვლადიმერ ილიას-ძემ მირჩია მესინჯა, ხოლო თუ საქმე ვერ გამოვიდოდა და ამ მოადგილესთან მუშაობაში შეწყობა ვერ მოხერხდებოდა, მაშინ უკვე მებრძოლნა, რათა იგი სხვა პირით შეეცვალათ, საქმე მართლაც ვერ გამოვიდა...».

ი. ელიზაროვამ ამ ცდის ამბავი ვ. ი. ლენინს შეატყობინა, და, ლენინმა სახკომსაბჭოს სხდომაზე გადასცა მას ეს ბარათი (ა. ი. ელიზაროვა, «ფურცელი მოგონებისა: ვლადიმერ ილიას ძე სახკომსაბჭოში». «მოგონებანი ვ. ი. ლენინზე», ნაწ. 2, 1957, გვ. 293 — 294). — **610.**

601 მ. ნ. პოკროვსკის წიგნი «რუსეთის ისტორიის უმოკლესი ნარკვევი». ნაწილი I და II (უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე) გამოსცა სახელმწიფო გამომცემლობამ 1920 წლის დეკემბერში. — **611.**

602 ეს დეპეშა გაეგზავნა პეტროგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს, პეტროგრადის ქარხნების — ბალტიის, ლითონის, ობუხოვის, ქარხანა «სიმენს — შუკერტის», «დიუმოს», ჩრდილოეთის კაბელის ქარხნის და არსენალის საქარხნო სამმართველოებსა და ქარხკომებს, აგრეთვე, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ელექტროგანყოფილებას, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ლითონის განყოფილებას და მოსკოვის ქარხნებს: «დინამოს», «იზოლატორს» და კოლჩუგინის ქარხანას. — **612.**

603 ვ. ი. ლენინის შენიშვნები დაწერილი იყო ნ. კ. კრუპსკაიას თეზისების გამო «პოლიტექნიკური განათლების შესახებ»; ეს თეზისები კრუპსკაიამ შეადგინა მოხსენებისათვის პარტიულ თათბირზე სახალხო განათლების საკითხების შესახებ, რომელიც მოიწვია რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საბჭოების VIII ყრილობის დამთავრებისთანავე, 1920 წლის 31 დეკემბერს. თათბირი ამოცანად ისახავდა დაემზადებინა მასალები «რესპუბლიკაში განათლების საქმის ორ-

განიზაციის» შესახებ რკპ (ბ) X ყრილობისათვის. ვ. ი. ლენინი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს თათბირის მუშაობას. განზრახული იყო მოესმინათ ყრილობაზე ნ. კ. კრუპსკაიას მოხსენება პოლიტექნიკური განათლების შესახებ, მაგრამ მისი ავადმყოფობის გამო ეს მოხსენება არ შემდგარა. — **613.**

614 გ. ფ. გ რ ი ნ კ ო — უკრაინის განათლების სახალხო კომისარი, რომელმაც სახალხო განათლების საკუთარი სქემა წამოაყენა. ამ სქემის ძირითადი დებულებანი, მისი ავტორის სიტყვით, ორი მთავარი პუნქტით გამოიხატებოდა: 1) 15 წლამდე იქმნება «სოციალური აღზრდის ერთიანი სისტემა, ამასთან ყველა მისი ორგანიზაციული ფორმა (საბავშვო ბაღები, სახლები, შვიდწლიანი სკოლები და ა. შ.) შრომითი პრინციპის მიხედვით შენდება» და 2) 15 წლის შემდეგ «იწყება სპეციალური მომზადება წარმოების ამა თუ იმ დარგში ან ორგანიზაციულ ჯგუფში (ინდუსტრიულში, სასოფლო-სამეურნეოში, სამრეწველო-ეკონომიურში და ა. შ.)».

ეს სქემა ეწინააღმდეგებოდა რკპ (ბ) პროგრამას, რომელსაც სახალხო განათლების დარგში გამოცხადებული ჰქონდა: «1) უფასო და საყალდებულო საერთო და პოლიტექნიკური (რომელიც თეორიასა და პრაქტიკაში მოსწავლეს აცნობს წარმოების ყველა მთავარ დარგს) განათლების გატარება ორივე სქესის ყველა ბავშვისათვის 17 წლამდე... 2) ზოგად პოლიტექნიკურ ცოდნასთან დაკავშირებით 17 წლის ასაკიდან პროფესიული განათლების ფართო განვითარება» («სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 534 — 535).

ო. ი. შ მ ი დ ტ ი, რომელიც იმ დროს პროფგანათლების მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა, ისევე როგორც გრინკო იმ აზრს გამოთქვამდა, რომ აუცილებელია მივაღებინოთ ახალგაზრდობას პროფესიულ-ტექნიკური განათლება «უფრო ადრინდელ ასაკში,... ესე იგი 15 წლიდან». ის ამტკიცებდა, რომ «წარმოების ინტერესები, სამეურნეო მშენებლობის ინტერესები მბრძანებლურად მოითხოვენ ევრეთწოდებული საერთო-საგანმანათლებლო, ნამდვილად კი წმინდა სიტყვიერი სკოლის შემცირებას და კონკრეტულ, სპეციალურ სწავლებაზე რაც შეიძლება ადრე გადასვლას». შმიდტი ცდილობდა, რომ დროებითი ღონისძიება, რომელიც მაშინდელი პერიოდის სიძნელეებით იყო გამოწვეული, პრინციპად ექცია და პრესაში გამოდიოდა არა პოლიტექნიკური განათლების, არამედ მონოტექნიკური განათლების სასარგებლოდ, ე. ი. წარმოების რომელიმე ერთი დარგის სწავლების სასარგებლოდ. ამ შეხედულე-

ბათა კრიტიკა იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 32, გვ. 141 — 143. — **616.**

605 ვ. ი. ლენინის მოხსენება სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლის შესახებ მოსმენილ იქნა რკპ (ბ) X ყრილობის მეთოთხმეტე სხდომაზე 1921 წლის 15 მარტს (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 32, გვ. 259 — 278). ლენინის მოხსენების გამო ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება სასურსათო გაწერიდან სასურსათო გადასახადზე გადასვლის, სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე (ნეპზე) გადასვლის შესახებ. X ყრილობის გადაწყვეტილება ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ უზრუნველყოფდა მუშათა კლასის და გლეხობის მტკიცე ეკონომიურ კავშირს სოციალიზმის მშენებლობისათვის. — **617.**

606 იგულისხმება ვ. ი. ლენინის წიგნი «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი», 1918 წ. გამოც., გვ. 102 (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 28, გვ. 372 — 373). — **617.**

607 იგულისხმება კრონშტადტის კონტრრევოლუციური ამბოხება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მოწყობილი თეთრგვარდიელების მიერ ესერებთან, მენშევიკებთან და უცხოეთის სახელმწიფო წარმომადგენლებთან შეკავშირებით 1921 წლის 28 თებერვალს. სამხედრო გემებზე მატროსთა შემადგენლობის გაუარესებამ და კრონშტადტში ბოლშევიკური ორგანიზაციის სისუსტემ გააადვილეს ამ ამბოხების წარმოშობა. ძველი მატროსები ყველანი უკლებლივ ფრონტზე იყვნენ წასულნი, მათ ნაცვლად ფლოტში მოსული ახალი ძალები წარმოადგენდნენ ნედლ გლეხურ მასას, რომელიც ასახავდა გლეხობის უკმაყოფილებას სასურსათო გაწერის გამო. კრონშტადტის პარტიული ორგანიზაცია დასუსტებული იყო ფრონტისათვის ჩატარებული მთელი რიგი მობილიზაციებით. ამ გარემოებებმა შეუძლებლობა მისცეს კონტრრევოლუციონერებს შეპარულიყვნენ კრონშტადტში და დაუფლებოდნენ მას. მეამბოხეთა მიერ კრონშტადტის ხელში ჩაგდება უშუალო საფრთხეს უქმნიდა პეტროგრადს. კრონშტადტის ამბოხების ჩასახშობად გაიგზავნა საბჭოთა ჯარები. პარტიის X ყრილობამ ამბოხების სალიკვიდაციოდ გაგზავნა 300 დელეგატი კ. ე. ვოროშილოვის მეთაურობით. 18 მარტს ამბოხება საესებით იქნა ლიკვიდირებული. — **617.**

608 «ღ ა რ ი ბ თ ა . კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი» აერთიანებდნენ უკრაინის მცირემიწიან და უმიწო გლეხებს, ეწყობოდნენ ღარიბ და საშუალო

გლეხთა ინტერესების დასაცავად; არსებობდნენ 1920 წლიდან და ლიკვიდირებულ იქნენ 1933 წელს. — **617.**

609 ვ. ი. ლენინმა X ყრილობაზე შეიტანა წინადადება გაეუქმებინათ რკპ(ბ) IX ყრილობის რეზოლუცია კოოპერაციისადმი დამოკიდებულების შესახებ, რადგან კოოპერაცია აგებული იყო გაწერის პრინციპის აღიარებაზე, ხოლო X ყრილობამ გაწერა ნატურალური გადასახადით შეცვალა. X ყრილობამ მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია კოოპერაციის შესახებ (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 32, გვ. 279 — 283 და «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 726). — **618.**

610 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1921 წლის 28 თებერვლის დადგენილება 10 მილიონი ოქროს მანეთის გადადების შესახებ პირველი საჭიროების საგნებისა და სურსათის საზღვარგარეთ შესასყიდად. რკპ(ბ) X ყრილობამ ვ. ი. ლენინის წინადადებით მიიღო რეზოლუცია მუშათა და გაჭირვებულ გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 727 — 728).— **618.**

611 ვ. ლენინს მხედველობაში აქვს სრ. რუსეთის ცაკის 1918 წლის 30 ოქტომბრის დეკრეტი «სოფლის მეურნეების ნატურალური გადასახადით დაბეგვრის შესახებ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ნაწილის გადარიცხვის სახით», რომელიც გამოქვეყნებულია 1918 წლის 14 ნოემბერს «იზვესტია ვციკში» № 248. — **619.**

612 ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე პარტიის X ყრილობისათვის პ. პოპოვმა დაწერა ბროშურა გადასახადისა და გაწერის საკითხზე სათაურით: «პურის წარმოება რუსეთის სფს რესპუბლიკასა და მასთან ფედერირებულ რესპუბლიკებში (პურის პროდუქცია)». ვ. ი. ლენინმა იქიდან ციტატი მოიყვანა თავის მოხსენებაში (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 32, გვ. 276). — **619.**

613 ამის ანალოგიური პირველი დეპეშა იმავე მისამართებით გაგზავნა ვ. ი. ლენინმა 1921 წლის 27 მაისს (იხ. ლენინის კრებული XX, 1932, გვ. 205). — **623.**

614 ვ. ი. ლენინის ეს ბარათი პასუხია თათართა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარის ს. გ. საიდგალიევის წერილისა, რომელშიც დასმული იყო ოთხი კითხვა, სახელდობრ:

«1. აუცილებელია თუ არა საერთოდ რუსეთის საბჭოთა ფედერაციის მცირე ავტონომიური რესპუბლიკების არსებობა და, კერძოდ, თათრეთის არსებობა.

2. თუ «კი», რა ხნით, ანუ, სხვანაირად რომ ითქვას, რა ამოცანების შესრულებამდე და რა მიზნების მიღწევამდე».

3. სწორია თუ არა ის აზრი, რომ «წინათ გაბატონებული ერის კომუნისტები, როგორც თავიანთი დონით ყოველმხრივ მაღლა მდგომნი, უნდა ასრულებდნენ პედაგოგებისა და გადიების როლს წინათ ჩაგრულ ეროვნებათა კომუნისტების და ყველა მშრომელის მიმართ, რომელთა სახელიც ეწოდება ამა თუ იმ ავტონომიურ რესპუბლიკას (ოლქს, კომუნას) და ამ უკანასკნელთა ზრდის კვალობაზე პირველებმა თავიანთი ადგილი მათ უნდა დაუთმონ...

4. ყველა ავტონომიურ რესპუბლიკაში, ამ შემთხვევაში კი თათრეთში, ადგილობრივ კომუნისტებს (თათრებს) შორის არსებობს ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავებული ორი მიმდინარეობა (დაჯგუფება): ერთი მათგანი კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე დგას და ესწრაფვის ადგილობრივი მოსახლეობის ფენების შემდგომ კლასობრივ დიფერენციაციას, ხოლო მეორეს წვრილბურჟუაზიული ნაციონალიზმის ელფერი აქვს...

სწორია თუ არა, ...რომ მთელი რკპ და მისი უმაღლესი ორგანოების სრული და ყოველნაირი მხარდაჭერით უნდა სარგებლობდნენ პირველნი, ხოლო უკანასკნელნი (იმდენად, რამდენადაც ისინი გულწრფელნი და აღგზნებული არიან სურვილით — იმუშაონ პროლეტარული რევოლუციის სასარგებლოდ და რამდენადაც სასარგებლონი არიან თავიანთი მუშაობით) მხოლოდ გამოყენებულ უნდა იქნან და ამავე დროს წმინდა ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდილნი, მაგრამ არ შეიძლება უპირატესობა მივანიჭოთ მათ პირველებთან შედარებით, როგორც ამას ბოლო დროს ადგილი აქვს არა მარტო თათრეთში». — 624.

615 იგულისხმება მუშაობის განახლება 1921 წლის 27 მაისს დახურულ ქარხნებში, რომლებიც «ელექტროპლუგის» დაკვეთებს ასრულებდნენ და მასთან იყვნენ დაკავშირებულნი. აუცილებელი იყო გადაენაწილებინათ მუშაობა ამ ქარხნებს შორის და დაედგინათ ელექტროჯალამბრების გამოშვების ახალი კალენდარული ვადები; მათი დამზადება დიდად იყო შეფერხებული. — 625.

616 ექსპორტის საგანგებო კომისია შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან შეიქმნა 1921 წლის 10 აგვისტოს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისათვის დახმარების გასაწევად საექსპორტო ფონდის შექმნისა და მის ხელთ თავმოყრის საქმეში. კომისია შედგებოდა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, მუშგლეხინის, სრ. რუსეთის საგანგებო კომისიის, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და სურსათის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებისაგან. — 626.

617 რ. ე. კლასონი (1868 — 1926) — გამოჩენილი ინჟინერ-ელექტროტექნიკოსი, ჰიდროტორფის საქმის სპეციალისტი; ტორფის მოპოვებაში მთელი რიგი ახალი გამოგონებანი შეიტანა. — 628.

618 ლენინს მხედველობაში ჰქონდა შენიშვნა «წყლის ტურბინების დაკვეთა შეეცალა», დაბეჭდილი 1921 წლის 2 სექტემბრის «ეკონომიჩესკაია ჟიზნში» № 194. შენიშვნაში ნათქვამი იყო, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ენერგეტიკის სექციის სხდომაზე, როდესაც განიხილავდნენ დასკვნას ტურბინის დანადგართა პროექტის გამო, რაც დამუშავებული იყო ვოლხოვისა და სვირის მშენებლობისათვის, აღნიშნეს, წყლის ტურბინების დამზადების დაკვეთა შეიძლებოდა გადასცემოდა შვედების ქარხანა «ნიტვეს და ჰოლმს», რომელიც 1921 წლის 1 ივლისიდან საბჭოთა მთავრობის სრულ განკარგულებაში გადავიდაო; ამ ქარხანაში არსებული დიდი ტურბინების საამქრო, დაკვეთების უქონლობის გამო, იმ დროს გაჩერებული იყო. სხდომაზე აღინიშნა, რადგან გვიანდება სვირისა და ვოლხოვის მშენებლობისათვის საჭირო წყლის ტურბინების დაკვეთის გაფორმება ქარხანასთან, იძულებული ვხდებით ქარხანა «ნიტვეს და ჰოლმის» ტურბინების საამქრო არამწარმოებლურად შევინახოთო. ენერგეტიკის სექციამ დაადგინა მიეღო ზომები დაკვეთის სწრაფად გაფორმებისათვის და სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის მეშვეობით დაესვა ეს საკითხი სახალხო კომისართა საბჭოს უახლოეს სხდომაზე. ლენინის ჩარევამ დააჩქარა ამ საკითხის გადაჭრა. — 628.

610 ვ. ა. მიხელსი — ჟურნალისტი, თავის შენიშვნაში «ღატაკი მილიარდერები» მიუთითებდა აღმაშფოთებელ უწესრიგობაზე, რაც სუფევდა მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის სადგურ ლიზინოსთან არსებულ საწყობებში; იქ აღურიცხავი 2 ½ მილიონი ფუთი ლითონი, ძვირფასი მანქანები, მოწყობილობა და ინსტრუმენტები ღია ცისქვეშ ეყარა და ფუჭდებოდა.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ პ. ა. ბოგდანოვმა ვ. ი. ლენინს წარუდგინა (მისი 15 სექტემბრის წერილის პასუხად) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სახელმწიფო საწყობთა სამმართველოს უფროსის ი. კ. ეჟოვის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ის უჩიოდა საწყობთა ნაკლებობას, მრავალხელისუფლებიანობას და საწყობთა გამო ბრძოლას ცალკეულ უწყებათა შორის. ვ. ი. ლენინის პასუხი ი. კ. ეჟოვის მოხსენებით ბარათზე საწყობთა შესახებ იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 35, გვ. 554 — 555. — **630.**

620 იგულისხმება შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1921 წლის 14 ოქტომბრის სხდომა, რომელზეც განიხილავდნენ მოხსენებას შრომისა და თავდაცვის საბჭოს ძირითადი სატრანსპორტო კომისიის 1921 წლის ივნის-აგვისტოს მუშაობის შესახებ. ამ მოხსენებაში აღნიშნული იყო რკინიგზისა და წყლის სახელოსნოთა ნაყოფიერების მკვეთრი დაცემა სურსათისა და ფულის მხრივ არსებულ სიძნელეთა გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ არ მოიპოვებოდა იმ მასალებისა და სამარაგო ნაწილების უმეტესობა, რომლებიც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სატრანსპორტო ქარხნებს უნდა მიეწოდებინათ. ამის შედეგად დაზიანებული ორთქლმავლების პროცენტი გადიდდა 60,1%-მდე, ხოლო დაზიანებული ვაგონებისა — 27,6%-მდე, რაც იწვევდა ტრანსპორტის აღდგენის მთელი მუშაობის ჩაშლას და უახლოეს თვეებში ტრანსპორტის ნაწილობრივი შეჩერების საფრთხესაც კი ქმნიდა. შრომისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაეკისრა: 1) სასწრაფოდ შეემუშავებინა ღონისძიებანი და საგანგებოდ შეემოწმებინა ის, თუ პირველ რიგში როგორ უნდა ყოფილიყვნენ უზრუნველყოფილნი დაკვრითი ქარხნები სურსათით, ნედლეულითა და სათბობით და 2) დაედგინა, რა ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული იმისათვის, რომ მოესპოთ აღმაშფოთებელი განსხვავება ა და ბ სარკინიგზო სახელოსნოებისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დაკვრითი ქარხნების მუშაობის შედეგებში.

ვ. ი. ლენინს, როცა ის ქვემოთ ამბობს «თ ქ ვ ე ნ პასუხს აგებთ ასეთი თავმჯდომარისათვისო», მხედველობაში ჰყავს ა. ა. ტროიანოვსკი — თავმჯდომარე შრომისა და თავდაცვის საბჭოს სასაწყობო საქმის მომწესრიგებელი კომისიისა, რომელიც 1921 წლის 14 ოქტომბერს შეიქმნა. — **621.**

621 პ ო ლ ი ტ გ ა ნ ე ბ ი ს ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს II ყ რ ი ლ ო ბ ა მიმდინარეობდა 1921 წლის 17 — 22 ოქტომბერს მოსკოვში. ყრილობას ესწრებოდა 310 დელეგატი. ვ. ი. ლენინმა მოხსენება წაიკი-

თხა 1921 წლის 17 ოქტომბერს, სალამოს სხდომის დასასრულს (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 33, გვ. 49 — 74). — 632.

622 1920. 19. VII — თარიღი, როცა გამოიცა დეკრეტი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შექმნის შესახებ. კომისია იქმნებოდა განათლების სახალხო კომისარიატთან ხუთი კაცის შემადგენლობით, რომლებსაც სახკომსაბჭო ამტკიცებდა; კომისიასთან იყო მუდმივი თათბირი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სოფლად მუშაობის განყოფილების, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ქალთა შორის მუშაობის განყოფილების, რაკკ ცენტრალური კომიტეტის, სრ. რუსეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს, რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს პოლიტიკური სამმართველოს და საყოველთაო სამხედრო სწავლების წარმომადგენლებისაგან (იხ. 1920 წლის 24 ივლისის «იზვესტია ვციკ» № 162). — 632.

623 წერილი დ. ი. კურსკისადმი მიწათმოქმედებაში იჯარისა და კონცესიის საკითხზე განეკუთვნება საბჭოების IX ყრილობისათვის მზადების პერიოდს; ამ ყრილობაზე დასმული იყო სოფლის მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების ღონისძიებათა საკითხი. მანამდე მოქმედი კანონმდებლობა (საბჭოების II ყრილობის დეკრეტი მიწის შესახებ, მიწის სოციალიზაციის კანონი) სრულიად კრძალავდა მიწის იჯარას. ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლამ და გლეხური მიწათმოქმედების განვითარებისა და განმტკიცებისათვის ზომების მიღების აუცილებლობამ საჭირო გახადეს მიწის იჯარის ნაწილობრივ დაშვების საკითხის დასმა. საბჭოების IX ყრილობამ ამ საკითხის გამო სათანადო დადგენილება გამოიტანა. ყრილობამ დაავალა აგრეთვე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გადაესინჯა მოქმედი საადგილმამულო კანონმდებლობა და შეეშუშავებინა, ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლების შესაბამისად, მიწის შესახებ კანონების კრებული. რუსეთის სფს რესპუბლიკის მიწის კოდექსი, შემუშავებული მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ იუსტიციის სახალხო კომისარიატთან ერთად, მიღებულ იქნა სრულიად რუსეთის IX მოწვევის ცაკის IV სესიის მიერ 1922 წლის ოქტომბერში (იხ. ვ. ი. ლენინის სიტყვა ამ სესიის საბოლოო სხდომაზე. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 33, გვ. 463 — 464). ამ კოდექსის მიხედვით მიწის იჯარა დაშვებოდა მხოლოდ შრომითი («არავის არ შეუძლია მიიღოს იჯარის ხელშეკრულებით თავის სარგებლობაში იმაზე მეტი მიწა, რაოდენიც მას ძალუძს თავისი ნადელის დამატებით საკუთარი მეურნეობის ძალებით დაამუშაოს») და მოკლევადიანი («არა იმაზე მეტი ხნის ვადით, რამდენიც საჭიროა იჯარით აღებულ ნაკვეთზე ერთი თესლბრუნვის ჩასატარებლად (სამინდვრიანობისას — 3 წელი, ოთხმინდვ-

რიანობისას — 4 წელი და ა. შ.), ხოლო თუ მართებული თესლბრუნვა არ არის — სულ ბევრი 3 წლის ვადით»), ამასთან მიწის იჯარით გაცემა შეეძლოთ მხოლოდ შრომითს მეურნეობებს, «დროებით დასუსტებულთ სტიქიური უბედურებით... ან ინვენტარის თუ მუშახელის ნაკლებობით, აგრეთვე მისი შემცირებით სხვა მიზეზების გამო. როგორიცაა სიკვდილი, მობილიზაციით გაწვევა, არჩევითი საბჭოთა და საზოგადოებრივი სამსახური, მეურნეობიდან შრომით საშოვარზე დროებით გასვლა და სხვ.».

მიწათმოქმედებაში კონცესიის დაშვება სპეციალური კანონმდებლობით წესრიგდებოდა. — **684.**

624 ლენინის შენიშვნები რკპ(ბ) ისტორიის შესახებ დაწერილია ერთიანი მუშათა ფრონტის ტაქტიკის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. თავდაპირველად ეს საკითხი განიხილეს 1921 წლის 1 დეკემბერს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, რომელმაც მოიწონა II, II ½ და ამსტერდამის ინტერნაციონალებში შემავალ მუშებთან ერთად მოქმედების ხაზი. ამ საკითხის გაშუქებას მიეძღვნა ცალკეული (მე-19) პარაგრაფი თეზისებისა «ერთიანი მუშათა ფრონტისა და II, II ½ და ამსტერდამის ინტერნაციონალებში შემავალ მუშებთან, აგრეთვე ანარქისტულ-სინდიკალისტური ორგანიზაციების მომხრე მუშებთან დამოკიდებულების შესახებ». ეს თეზისები მიიღო კომინტერნის აღმასკომმა და მათ შეუერთდა რკპ (ბ) სრულიად რუსეთის მეთერთმეტე კონფერენცია (1921 წლის 19 — 22 დეკემბერი). უფრო დაწერილებით თეზისები განიხილა და მიიღო კომინტერნის აღმასკომის პირველმა გაფართოებულმა პლენუმმა (21 თებერვალი — 4 მარტი) და დაადასტურა კომინტერნის IV კონგრესმა.

თეზისების ზემოთ აღნიშნული მე-19 § იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 753 — 754. — **685.**

625 ლენინს აქ მხედველობაში აქვს ბოლშევიკებისა და მენშევიკების ხმების რიცხობრივი თანაფარდობა რსდმპ II ყრილობაზე, სადაც 20 დელეგატ-ბოლშევიკს 24 ხმა ჰქონდა, ხოლო მენშევიკებს, მათი მომხრე „რაბოჩეე დელოს“ 2 დელეგატისა და 5 ბუნდელის წასელის შემდეგ, 20 ხმა ჰქონდათ, სულ გამოდის 44 ხმა. — **687.**

626 ვ. ი. ლენინს, როცა ის ამბობს «ო რ ი ყ რ ი ლ ო ბ ა — ო რ ი პ ა რ ტ ი ა». მხედველობაში აქვს რსდმპ ბოლშევიკური III ყრილობა, რომელიც შედგა 1905 წლის აპრილ-მაისს ლონდონში, და მენშევიკების კონფერენცია, რომელიც იმავე დროს შეიკრიბა ჟენევაში. — **687.**

627 ლენინს აქ მხედველობაში აქვს ხმების განაწილება პარტიის IV (სტოკ-ჰოლმის, «გამაერთიანებელ») და V (ლონდონის) ყრილობებზე, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც ბოლშევიკები და მენშევიკები იმყოფებოდნენ ფორმალურად ერთიანი პარტიის ფარგლებში, ერთი ცენტრალური კომიტეტით, რეგულარულად შეკრებილი კონფერენციებით და სხვ.

IV ყრილობაზე გადამწყვეტი ხმის მქონე 112 დელეგატიდან ბოლშევიკებს ჰქონდათ 46 ხმა, მენშევიკებს — 62, დანარჩენი ხმები არაფრაქციელ სოციალ-დემოკრატებს ეკუთვნოდა. სიჭარბე, თუმცა უმნიშვნელო, მენშევიკების მხარეზე იყო, და მთელ რიგ საკითხებზე ყრილობის რეზოლუციები მენშევიკური იყო. პარტიისადმი «მიმართვაში» ამ ყრილობის გამო ლენინი წერდა: «ჩვენ ვალდებული ვართ იდეურად ვიბრძოლოთ და ვიბრძოლებთ კიდეც ყრილობის იმ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, რომლებსაც ჩვენ შემცდარად ვთვლით. მაგრამ ამასთან მთელი პარტიის წინაშე ვაცხადებთ, რომ ყოველგვარი გათიშვის წინააღმდეგი ვართ. ჩვენ ვევსრობით ყრილობის გადაწყვეტილებებისადმი დამორჩილებას... ასეთი დამორჩილებისა და ასეთი იდეური ბრძოლისაკენ მოვუწოდებთ ყველა ჩვენს თანამოაზრეს» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 10, გვ. 377 — 378). ამ ყრილობაზე პარტიის მხოლოდ ფ ო რ მ ა ლ უ რ ი გაერთიანება მოხდა. არსებითად კი ბოლშევიკები და მენშევიკები თავიანთი შეხედულებებითა და თავიანთი დამოუკიდებელი ორგანიზაციებით რჩებოდნენ.

V ყრილობას ესწრებოდა 336 დელეგატი გადამწყვეტი და სათათბირო ხმით. მათგან ბოლშევიკი — 105, მენშევიკი — 97, ბუნდელი — 57, პოლონელი სოციალ-დემოკრატი — 44, ლატვიელი სოციალ-დემოკრატი — 29, «ფრაქციისგარეშე» — 4. ბოლშევიკებს მიჰყვებოდნენ პოლონელები და ლატვიელები და მტკიცე უმრავლესობა ჰყავდათ ყრილობაზე. ყველა პრინციპულ საკითხზე ყრილობამ ბოლშევიკური რეზოლუციები მიიღო, ყრილობაზე აირჩიეს ცენტრალური კომიტეტი 5 ბოლშევიკის, 4 მენშევიკის, 2 პოლონელი და 1 ლატვიელი სოციალ-დემოკრატის შემადგენლობით. ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებად აირჩიეს 10 ბოლშევიკი, 7 მენშევიკი, 3 პოლონელი და 2 ლატვიელი სოციალ-დემოკრატი.

ყრილობა ნიშნავდა ბოლშევიზმის დიდ გამარჯვებას პარტიის ოპორტუნისტულ ფრთაზე — მენშევიკებზე. რსდმპ V ყრილობის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის სტატია «დამოკიდებულება ბურჟუაზიული პარტიებისადმი» (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 12. გვ. 606 — 633). — **687.**

628 კრებულში «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა», 1914 წ. გამოცემა, რომელიც აქ მხედველობაში აქვს ვ. ი. ლენინს, მოყვანილი იყო ციფრები მ უ შ ა თ ა ფ უ ლ ი ს შ ე გ რ ო ვ ე ბ ი ს შესახებ, რაც

ჩაატარეს სხვადასხვა მიზნით მუშებმა — ბოლშევიკების მომხრეებმა და ლიკვიდატორების მომხრეებმა; ამ ციფრებმა ურყევად დაამტკიცეს მუშათა უმრავლესობის დარაზმვა ბოლშევიკების გარშემო. ფულის შეგროვება სხვადასხვა ფაბრიკისა და მრეწველობის დარგების გაფიცულ მუშათა, რეპრესიების მსხვერპლთა დასახმარებლად, მუშათა მოძრაობის სხვადასხვა საჭიროებებზე, რაც ჩატარდა სათათბიროს ბოლშევიკებისა და ლიკვიდატორების ფრაქციების მეშვეობით, იძლევა შემდეგ ციფრებს 1913 წლის ოქტომბრიდან 1914 წლის 6 ივნისამდე განვლილ პერიოდში (ბოლშევიკური და ლიკვიდატორული გაზეთების ანგარიშების მიხედვით): ბოლშევიკური ფრაქციის მეშვეობით — 12 891 მ. 24 კ. (მუშათა ჯგუფების რიცხვი — 1 295), ლიკვიდატორების ფრაქციის მეშვეობით — 6 114 მ. 87 კ. (მუშათა ჯგუფების რიცხვი — 215), ამასთან არამუშებისაგან შეგროვებული თანხებიდან ბოლშევიკებმა მოიღეს მხოლოდ 6%, ლიკვიდატორებმა კი — 46%. მუშათა პრესისათვის მუშების იმ ჯგუფების რიცხვი, რომლებმაც ფული შეაგროვეს, შემდეგნაირად ნაწილდებოდა (1914 წ. მაისისათვის): ბოლშევიკური გაზეთების («პრავდა», «რაბოჩი პუტ») სასარგებლოდ იყო (მრგვალ ციფრებში) 6 000 მუშათა ჯგუფი და ლიკვიდატორული გაზეთის («ლუჩ») სასარგებლოდ — სულ $1^1/_2$ ათასი (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 20, გვ. 465 — 472). — **637.**

629 ციფრები: $1^1/_2$ და 9 მილიონი აღნიშნავენ დამფუძნებელი კრების 1917 წლის ნოემბრის არჩევნებში მენშევიკებისა და ბოლშევიკებისათვის მიცემული ხმების რიცხვის თანაფარდობას. უფრო დაწვრილებით ლენინს ეს ციფრები მოჰყავს თავის სტატიაში «დამფუძნებელი კრების არჩევნები და პროლეტარიატის დიქტატურა» (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 30, გვ. 297 — 298). — **637.**

630 1921 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში ფაულერის სისტემის გუთნების წარმოების გაჯანჯლების საქმე მუდამ იდგა შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომათა დღის წესრიგში. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ლითონის განყოფილების კოლეგიამ, რომელსაც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1920 წლის მაისში ფაულერის გუთნების წარმოება დაავალა, შეუწყნარებელი უყაირათობა და ქარაფშუტობა გამოიჩინა, რის წყალობითაც გუთნების საწარმოო პროგრამას იმთავითვე ჩაფუშვა მოელოდა. მთელი წარმოების გასაერთიანებლად შექმნილი საგანგებო სამეული მეტისმეტად ფორმალურად ეკიდებოდა საქმეს, კმაყოფილდებოდა მოხსენებათა წერით და ყოველგვარი კანცელარული მიწერ-მოწერით უწყებებთან; მას არ შესწევდა მოქალაქეობრივი მამაცობა განეცხადებინა უმაღლესი ორგანოებისათვის, რომ გეგმის შესრულება შეუძლებელია, რომ აუცილებელია შეწყდეს სახსრების ხარჯვა შემდგომ მუშაობაზე, და ერთხელაც

არ უცნობებია არც შრომისა და თავდაცვის საბჭოსათვის, არც სახკომსაბჭოსათვის საქმის ნამდვილი მდგომარეობა. დიდი თანხების თითქმის ორი წლის ხარჯვის შედეგი იყო ხუთი საცდელი გუთნის დამზადება, მაშინ როცა პროგრამა ორი ათასი გუთნის დამზადებას ითვალისწინებდა. მთელი ამ ჯანჯლობის საქმე განსახილველად გადაეცა მოსკოვის სამხედრო ტრიბუნალს, რომელმაც 1922 წლის იანვრიდან დამდეგს დამტკიცებულად ცნო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მთელი რიგი მუშაკებისათვის წაყენებული ბრალდებანი, რომ ისინი არასერიოზულად ეკიდებოდნენ მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს, მაგრამ მხედველობაში მიიღო მათი დამსახურება მეურნეობის აღდგენის საქმეში და დაადგინა არ დაესაჯა ისინი. გარდა ამისა, იმავე ტრიბუნალის წინადადებით, შრომისა და თავდაცვის საბჭომ ადმინისტრაციული წესით შენიშვნა მისცა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიას ფაულერის გუთნების წარმოებისადმი არასაკმაოდ სერიოზული დამოკიდებულების გამო (იხ. ვ. ი. ლენინის 1921 წლის 23 დეკემბრის წერილი პ. ა. ბოგდანოვისადმი, ეს ტომი, გვ. 639 — 642). — **638.**

631 მ. ა. ლ ო მ ო ვ ი და ბ. ე. ს ტ ი ფ უ ნ კ ე ლ ი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ლითონის განყოფილების კოლეგიის წევრები იყვნენ. — **641.**

632 მ. ი. უ ნ კ ს ო ვ ი — ინჟინერი, განაგებდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოტოკულტურის განყოფილებას და იყო ფაულერის სისტემის ავტოგუთნების წარმოების საგანგებო სამეულის თავმჯდომარე. — **641.**

633 პ. პ. ი ლ ი ნ ი — მე-4 სახელმწიფო საავტომობილო ქარხნის მმართველი, ამ ქარხნის ყოფილი პატრონი. ქარხანას მიცემული ჰქონდა ფაულერის გუთნების დამზადების შეკვეთის ნაწილი, მაგრამ ამოცანა არ შეუსრულებია. — **641.**

634 ეს ბარათი ვ. ი. ლენინმა მისწერა გ. ი. კრუმინს, «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» რედაქტორს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს ერთ-ერთი სხდომის დროს. ამ დროისათვის «ეკონომიჩესკაია ჟიზნ» უკვე გადაქცეული იყო შრომისა და თავდაცვის საბჭოს ორგანოდ, და ლენინი ამ ბარათში იძლევა მოკლე მითითებებს გაზეთის შემდგომი წარმართვის შესახებ; ეს მითითებანი ლენინმა უფრო დაწვრილებით განაკითარა 1924 წლის 1 სექტემბრის «წერილში გაზეთ «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» რედაქციას» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 33, გვ. 20 — 23). — **648.**

635 იგულისხმება შემდეგი დეპეშა, გამოქვეყნებული 1922 წლის 3 თებერვალს გაზეთებში «პრავდაში» და «იზვესტია ვციკში»: «ჰ ა ნ ო ვ ე რ ი, 31 იანვარი (რადიო). მელითონეთა საერთაშორისო კავშირმა 21 აპრილისათვის რომში დანიშნული მუშათა საერთაშორისო კონგრესის მომწვევ კომისიაში შეიტანა წინადადება — გამოაცხადოს ორგანიზებული მუშათა მასების საყოველთაო გაფიცვა ომის შემთხვევაში. მელითონეთა კავშირმა აირჩია განსაკუთრებული კომისია თავისი წინადადების ენერგიული პროპაგანდისათვის». ეს გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა მელითონეთა საერთაშორისო კავშირის ცენტრალური კომიტეტის კონფერენციაზე, რომელიც ვენაში მიმდინარეობდა. ხსენებული კავშირი პროფკავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალს ეკუთვნოდა. — **644.**

636 ეს ბარათი პასუხია ა. დ. ციურუპას შემოდავებისა მცირე სახკომსაბჭოსათვის გათვალისწინებული დირექტივის პროექტის შესახებ ვ. ი. ლენინის წინადადების გამო (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 35, გვ. 575). — **646.**

637 1922 წლის დამდეგს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებს შორის გამოვლინდა უთანხმოება ორგანიზაციული მშენებლობის გამო. იდვა საკითხი, რომ მუშათა კოოპერაცია გამოეყოთ საერთო-სამოქალაქო კოოპერაციიდან. კოოპერატორთა წრეებში და თვით გამგეობაში საკითხი წინასწარ თითქმის გადაწყვეტილი იყო. მაშინ სამომხმარებლო კოოპერაციის ერთ-ერთმა მუშაკმა, ამხ. ტიხომიროვმა, აცნობა ვ. ი. ლენინს, თუ როგორი განწყობილება იყო კოოპერატორთა წრეებში. ვ. ი. ლენინის ეს ბარათი სწორედ ამ ცნობის პასუხს წარმოადგენს. — **649.**

638 იგულისხმება ი. ი. სკვორცოვ-სტეფანოვის წიგნი «რსფსრ ელექტროფიკაცია მსოფლიო მეურნეობის გარდამავალ ფაზასთან დაკავშირებით», გამოცემული 1922 წელს ვ. ი. ლენინისა და გ. მ. კრჟიჟანოვსკის წინასიტყვაობებით. — **650.**

639 გ. კუნოვის წიგნი «Ursprung der Religion und des Gottesglaubens», გამოცემული გერმანიაში 1913 წელს და რუსულ ენაზე გადმოთარგმნილი ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვის მიერ 1919 წელს, იმავე წელს გამოსცა გამომცემლობა «კომუნისტმა» სათაურით «რელიგიის და ღვთის რწმენის წარმოშობა». — **650.**

640 იგულისხმება ცხრილი წიგნიდან: Dr. G. Respondek. «Weltwirtschaftlicher Stand und Aufgaben der Elektroindustrie». Berlin, 1920, რომელიც ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვს მოპყავს 97-ე გვერდზე

და გვიჩვენებს წარმოების ზოგიერთი დარგის ელექტროფიკაციის დონეს შეერთებულ შტატებში. გრაფაში — «ცხენის ძალის ენერგიის მოთხოვნილება», რუბრიკებს ქვეშ: ბამბეულის მრეწველობა, ელექტროტექნიკური მრეწველობა და სამსხმელო და მანქანათსაშენი ქარხნები — ერთნაირი ციფრებია დასმული — 1585953, რამაც ვ. ი. ლენინის ეჭვი გამოიწვია.

ამ ციფრების ტოლობის შესახებ ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვი ხსენებული ცხრილის შენიშვნაში წერს: «ეს ციფრები ეჭვებს იწვევენ თავიანთი სრული ტოლობით. ცხრილი აღებულია რესპონდეკის წიგნიდან, გვ. 3. თვითონ ის საკმაოდ დაკვირვებული ავტორია. ალბათ, ეს მონაცემები მან გადმოიღო ამერიკული წყაროებიდან, რომლებიც ყოველთვის როდი განირჩევიან საკმაო სიზუსტით». — **650**.

641 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის წინასიტყვაობაზე, რომელიც წამძღვარებული აქვს ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვის წიგნს. «რუსეთი ელექტროფიკაცია მსოფლიო მეურნეობის გარდამავალ ფაზასთან დაკავშირებით», სახელმწიფო გამომცემლობა, 1922 (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 33, გვ. 285 — 287). — **650**.

642 1922 წ. 27. III სიტყვის გეგმა წარმოადგენს პარტიის XI ყრილობისათვის წარსადგენი რკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის გეგმას (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 33, გვ. 305 — 362). — **651**.

643 იგულისხმება ვ. ი. ლენინის სიტყვა საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ, წარმოთქმული მელითონეთა სრულიად რუსეთის ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე 1922 წლის 6 მარტს (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 33, გვ. 186 — 261). — **651**.

644 «სმენა ვეხ», — კონტრრევოლუციური სტატიების კრებული, გამოვიდა 1921 წლის ივლისს პრაღაში. მისი ავტორები (ნ. ვ. უსტრიალოვი, ი. ვ. კლიუჩნიკოვი, ი. ნ. პოტეხინი, ს. ს. ლუკიანოვი, ა. ვ. ბობრიშჩევ-პუშკინი, ს. ს. ჩახოტინი) — ანტისაბჭოთა თეთრემიგრანტული ბანაკის ინტელიგენტური წრეების წარმომადგენლები, რაკი დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამხობა უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის გზით სრულიად უიმედო საქმეა, იმედს ამყარებდნენ საბჭოთა სახელმწიფოს შინაგან გადაგვარებაზე. — **652**.

645 იგულისხმება ა. ტოდორსკის წიგნი «წელიწადი შაშხანითა და გუთნით», გამოცემული ვესეგონსკის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1918 წელს. ვ. ი. ლენინის ნაშრომში «პატარა სურათი

დიდი საკითხების გამოსარკვევად» მოყვანილია ციტატი, ხაზგასმული ვ. ი. ლენინის მიერ ამ წიგნის 62-ე გვერდზე (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 28, გვ. 482 — 483). ტოდორსკის წიგნის ეგზემპლარი, რომელიც ხაზგასმულია ვ. ი. ლენინის მიერ, ინახება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივში. — **652.**

646 მ ს ს — მოსკოვის სამომხმარებლო საზოგადოება. ს ვ ს კ — საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი. მოსკოვის სამომხმარებლო საზოგადოების ბრძოლაზე საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 33, გვ. 342 — 350). — **652.**

647 «თ ე თ რ ი ძ რ ო ხ ი ს ა ს ლ ი» — იგულისხმება შემთხვევა ვ. ი. ლენინის ადვოკატური პრაქტიკიდან, რაც მან პარტიის XI ყრილობას უამბო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 33, გვ. 344 — 347). — **652.**

648 დ. ციურუპას ავადმყოფობის გამო არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო მუშგლეხინის მუშაობაში.— **660.**

649 ამ დროს ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი იყო. — **660.**

650 იგულისხმება ო. ა. ერმანსკის წიგნი «შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაცია და ტეილორის სისტემა», სახელმწიფო გამომცემლობა, 1922, ვ. ი. ლენინის რეცენზია ამ წიგნის გამო (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 33, გვ. 434 — 435). — **662.**

651 ნ. ნ. კრესტინსკი ამ დროს რუსეთის ელჩად იყო გერმანიაში. — **663.**

652 ლ. ბ. ხინჩუკის წიგნი «ცენტროსოიუზი ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში», რაზედაც აქ ვ. ი. ლენინი ლაპარაკობს, გამოსცა სამომხმარებლო საზოგადოებათა სრულიად რუსეთის ცენტრალურმა კავშირმა 1922 წლის დამლევს. ვ. ი. ლენინის მითითებანი გაითვალისწინა ავტორმა და ნაწილობრივ შეიტანა ბროშურის საბოლოო ტექსტში. — **664.**

653 ეს არის გეგმა ვ. ი. ლენინის მოხსენებისა «რუსეთის რევოლუციის ხუთი წელი და მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივები», რაც მან წაიკითხა გერმანულ ენაზე 1922 წლის 13 ნოემბერს კომინტერნის

სახელთა საძიებელი *

ა

ა., ალექსანდრე ალექსანდრეს ძე — ი ხ. ბოგდანოვი ა.
ა. მ. — ი ხ. გორკი ა. მ.
აბელი — ი ხ. ენუქიძე ს.
აბრამი — ი ხ. სკოვნო ა.
აბრამოვიჩი ა. ე. — 480, 482.
ადლერი ვ. — 71, 314.
ადლერი ფ. — 36, 38.
ავანესოვი ვ. ა. — 590, 630, 631, 638, 657, 661, 662—663.
ავდეევი — 623.
ალექსანდრა მიხეილის ასული— ი ხ. კოლონტაი ა. მ.
ალექსანდრე — ი ხ. შლიაპნიკოვი ა. გ.
ალექსანდროვა ე. მ. (შტეინი)— 102, 134.
ალექსი — ი ხ. მარტოვი ლ.
ალექსინსკი გ. ა. (პეტრე) — 155—156, 157, 158, 198, 218, 372.
ალექსის და — ი ხ. ცედერბაუმი ლ. ო.
ან. ვას. — ი ხ. ლუნაჩარსკი ა. ვ.
ანდრეევა მ. თ. (მ. თ., მარიამ თეოდორეს ასული) — 160, 177, 187.
ანდროპოვი ს. ვ. — 15, 17, 44, 70.
ანტონოვი — 219.
ანტონოვ-ოვსეენკო ვ. ა. — 525, 530, 544, 545, 546, 549, 550, 555, 556, 587
არისტოტელე — 409, 411.
არკადი — ი ხ. რადჩენკო ი. ი.
არკომედი ს. ტ. (ყარაჯანი გ.) — 190, 279.
არმანდი ი. თ. (ინესა) — 389, 407, 467.
არსენიევი — ი ხ. პეტროსოვი ა. ნ.
არტემი (სერგეევი ფ. ა.) — 544.
ასტრახანცევი ე. პ. — 224.
აქსელროდ-გურევიჩი ვ. პ. (ვერა პავლეს ასული) — 18, 36.
აქსელროდი ლ. ი. (ლ. ი. ორტოდოქსი) — 32, 69, 72, 74, 82 — 83, 90.
აქსელროდი პ. ბ. (პ. ბ., პ. ბ.-ძე, პავლე ბორისის ძე) — 7—8, 9—11, 12, 13—14, 18—19, 20—22, 25, 26, 29—30, 31 — 32, 33, 35 — 36, 37, 38, 49, 65—66, 69—71, 72, 74—75, 76—77, 78—79, 87, 91, 93—94, 102—103, 348, 355, 356, 395, 437, 440.

ბ

ბ. პ. — ი ხ. ნოსკოვი ვ. ა.
ბაბუშკინი ი. ვ. — 55, 78—79.
ბადაევი ა. ე. — 277.

* ფრჩხილებში ნახევრადშავი შრიფტით აღნიშნულია ნამდვილი გვარები ლიტერატურული ფსევდონიმებისა და პარტიული მეტსახელებისაგან განსხვავებით, რომლებიც ღია შრიფტითაა მოცემული.

ბადენელი, პრინცი — 570.
ბაზაროვი ვ. (რუდნევი ვ. ა.) — 163.
ბალაბანოვი ა. ი. — 370.
ბაუანოვი ვ. მ. — 589.
ბარონი — ი ხ. ესენი ე. ე.
ბასოკი (მელენევსკი მ. მ.) — 281.
ბაუმანი ნ. ე. (პოლეტაევი) — 35.
ბახარევი ვ. — ი ხ. მახნოვეცი ვ. პ.
ბებელი ა. — 196, 234, 548.
ბეკზადიანი ა. ა. (იური) — 219, 280, 283, 314.
ბელა კუნი — ი ხ. კუნი ბელა.
ბელენინი — ი ხ. ზლიაპნიკოვი ა. ვ.
ბელენკი გ. ი. — 476.
ბელოუსოვი ტ. ო. — 224.
ბერგი — ი ხ. მარტოვი ლ.
ბერდიაევი ნ. ა. — 90.
ბერზინი ი. ა. — 383.
ბერკლი დ. — 413.
ბერნშტეინი ე. — 77, 79, 340, 367.
ბეტმან-გოლვეგი ტ. — 368.
ბივალი — ი ხ. იაკოვლევი ვ.
ბიკოვი ა. ი. — 112.
ბინშტოკი გ. ო. — 520.
ბისმარკი ო. — 273, 328.
ბლაგონრავოვი გ. ი. — 563.
ბლიუმენფელდი ი. ს. (ცვეტოვი) — 26, 33, 49, 91.
ბოგდანოვა ნ. ბ. (ნატალია ბოგდანის ასული) — 160.
ბოგდანოვი ა. (**მალინოვსკი ა. ა.,** ა. ა., ალექსანდრე ალექსანდრეს ძე. რიაღოვოი) — 90, 95—96, 125, 155, 163, 165, 432.
ბოგდანოვი პ. ა. — 630, 638, 639—642.
ბოგდატიანი — 589.
ბონჩ-ბრუევიჩი ვ. დ. — 123—124, 125—126, 127—128.
ბორგბიერგი ფ. — 518.
ბორისი — ი ხ. ნოსკოვი ვ.
ბორჰარდტი ი. — 360, 372, 373, 400, 403.
ბოტინი ს. ი. — 605.
ბოში ე. ბ. — 432, 450, 454—457, 458—460, 461—466, 564, 565.
ბრანტინგი კ.-ი. — 54—55, 338, 342, 447, 513.
ბრიზონი პ. — 450.
ბროკი — ი ხ. იაკუბოვა ა.
ბრონსკი მ. გ. — 459, 465.
ბრონშტეინი პ. ა. (იური) — 182.
ბრუტი — ი ხ. კრეიანოვსკი ვ. მ.
ბუაჩიძე ს. გ. (ნოე) — 478.
ბულგაკოვი ს. ნ. — 90, 104.
ბურდერონი ა. — 445.
ბურიანოვი ა. ფ. — 295—297.
აურუუა ლ. — 272.
ბუხარინი ნ. ი. (ნ. ი., ნ. ი.-ძე, ნიკ. ივანეს ძე) — 219, 289, 292, 401, 429, 431, 449, 451, 455, 461, 465—466, 526, 599, 607 609, 622, 635—637, 644, 676.
ბუხგოლცი ვ. — 10—11, 30.

გ

გ. — ი ხ. კოპელზონი ც. მ.
გ. ვ., გ. ვ.-ძე — ი ხ. პლეხანოვი გ. ვ.
გალიორკა — ი ხ. ოლმინსკი მ. ს.
გალპერინი ლ. ე. (კონიაგა) — 117.
განეცკი ი. ხ. (**ფიუერსტენბერგი ი. ს.**) — 170, 283, 310, 485, 489, 490, 494, 512 — 514.
გაპონი გ. ა. — 469.
გარდი ჯ.-კ. — 333.
გასენდი პ. — 413.
გატი ჯ. 73.
გეგეჭკორი ე. პ. — 224.
გედი უ. — 321, 360, 440, 510.
გეცოვი ს. ა. — 589.
გილბო ა. — 406, 467, 478, 481, 483, 495.
გლებოვი — ი ხ. ნოსკოვი ვ.

გობერმანი მ. ლ. — 492.
გოლბახი პ.-ა. — 413.
გოლდენდახი დ. ბ. — ი ხ. რიაზანოვი დ. ბ.
გოლდმანი ლ. ი. — 88—89.
გოლეი პ. — 386.
გოლუბევა მ. პ. — 130.
გორბუნოვი ნ. პ. — 612, 626—629.
გორინი ვ. ფ. — 189, 196.
გორკი ა. მ. (პეშკოვი ა. მ., ა. მ.) — 159, 160, 177—179, 186—187, 204, 286—287, 288, 396, 420—421, 488.
გორნი ვ. — ი ხ. გრომანი ვ. გ.
გრაბერი ე.-პ. — 495.
გრავი ჟ. — 361.
გრანატი ა. ნ. — 351—352.
გრანატი ი. ნ. — 351—352.
გრეი ე. — 333, 368.
გრეილიხი გ. — 75, 314, 479.
გრიგოლი — ი ხ. ზინოვიევი გ. ე.
გრიგორიევი — 61.
გრიმი რ. — 353, 366—367, 370, 386, 393—394, 399, 400, 403, 470, 479, 481, 491.
გრინკო გ. ფ. — 615.
გრომანი ვ. გ. (გორნი ე.) — 477.
გულოვი გ. — 576.
გურევიჩი ა. გ. — 32, 36, 39.
გურევიჩი ე. ლ. (დანევიჩი ვ., სმირნოვი ე.)—8, 25, 31—32, 70, 77, 78, 79, 80—81, 176.
გურვიჩი თ. ი. — ი ხ. დანი თ. ი.
გურვიჩი ი. ა. — 293—294.
გუსევი ს. ი. (ლებედევი) — 118.
გუჩკოვი ა. ი. — 192, 502, 506.

დ

დადონოვი ვ. — 79.
დანევიჩი ვ. — ი ხ. გურევიჩი ე. ლ.
დანი თ. ი. (გურვიჩი თ. ი., თ. დ.) — 51—52, 118, 119, 166—167, 181, 290, 309, 356.
დებოგორი-მოკრიევიჩი ვ. კ. (დებ.) — 65.
დებორინი ა. მ. (იოფე ა. მ.) — 300.
დებსი ე. — 445—446.
დეიჩი ლ. გ. (ევგენი, ლ. გრ.) — 93, 103, 134.
დეკარტე რ. — 413.
დელევსკი ი. (იუდელევსკი ლ.) — 467.
დე-ლეონ დ. — 609.
დემოკრიტე — 413.
დე მონტე — 301.
დენიკინი ა. ი. — 601—602, 668.
დესტრე ჟ. — 73.
დიბენკო პ. ე. — 601.
დიმკა — ი ხ. სმიდოვიჩი ი. გ.
დიტეი ი.-გ.-ვ. — 7, 26, 34, 35, 36, 49, 54, 55, 78.
დიუმონი შ. — 272.
დიცგენი ი. — 414.
დომოვი — ი ხ. პოკროვსკი მ. ნ.
დონცოვი დ. — 282.
დუბროვინსკი ი. ფ. (ინოკენტი) — 159.
დუნკერი კ. — 374.
დუტოვი ა. ი. — 525.

ე

ებერტი ფ. — 570.
ევგენი — ი ხ. დეიჩი ლ. გ.
ეგოროვი ა. — 246.
ეგოროვი ნ. მ. — 224—225.
ელენე თევდორეს ასული — ი ხ. როზმიროვიჩი ე. თ.
ელიზაროვი მ. ტ. — 512.
ელიზაროვა-ულიანოვა ა. ი. — 7, 13, 18, 73, 78, 610.
ემელიანოვი ნ. ა. — 585.
ენგელსი ფ. — 138, 170, 330, 409, 488, 524.
ენუქიძე ა. ხ. (აბელი) — 279, 595.
ერამასოვი ა. ი. — 132.
ერემა — ი ხ. შნეერსონი ა.
ერვე გ. — 272.
ერმაკოვი ვ. ს. — 626.
ერმანსკი ო. ა. (კოგანი ო. ა.)— 662.
ერმოლაევი კ. მ. (რომანი) — 182.
ესად-ფაშა — 237.

ესენი ე. ე. (ბარონი) — 131.
ესენი მ. მ. (ზვერი, ნინა ლევის ასული) — 123, 130.
ეტინგერ-დავიდხონი ე. ს. — 30.
ეფიმოვი — 36.

ვ

ვ. ვ. — ი ხ. კოქევნიკოვა-გურ-ვიჩი ვ. ვ.
ვ. ი., ვ. ივ., ვ. ი.-ასული — ი ხ. ზასულიჩი ვ. ი.
ვ. კ. — ი ხ. კარპინსკი ვ. ა.
ვადიმი — ი ხ. ნოსკოვი ვ. ა.
ვაინკოპი დ. — 370, 372, 374, 399.
ვაკარი ვ. ვ. — 114.
ვალაევი ა. ა. — 626.
ვანდერველდე ე. — 73, 320—321, 324, 343, 368, 376, 440.
ვარინი (ფრიდლინი ვ. ი.) — 451, 466, 476.
ვარსკი ა. (ვარშავსკი ა. ს.) — 166—168, 170, 171.
ვახილიევი ნ. ვ. — 38.
ვები ს. — 82.
ველიკა დმ. ველიკა დიმიტრის ასული — ი ხ. ზასულიჩი ვ. ი.
ველიჩკინა ვ. მ. (ვერა მიხეილის ასული) — 124.
ვერა ივანეს ასული — ი ხ. ზასულიჩი ვ. ი.
ვერა მიხეილის ასული — ი ხ. ველიჩკინა ვ. მ.
ვერა პავლეს ასული — ი ხ. აქსელროდ-გურევიჩი ვ. პ.
ვესელოვსკი ბ. ბ. — 176, 248, 277, 278.
ვეტერანი — ი ხ. პლეხანოვი გ. ვ.
ვეტრინსკაია — ი ხ. იაკუბოვა ა. ა.
ვეჩესლოვი მ. გ. (იურიევი) — 51, 58—60, 67—68.
ვიაჩესლავ ალექსის ძე — ი ხ. კარპინსკი ვ. ა.
ვიკონტი — ი ხ. პოტრესოვი ა. ნ.
ვილენსკი ი. ს. (ილია) — 126.
ვილიამსი ტ.-რ. — 445.
ვილონოვი ნ. ე. (მიხაილი) — 169.
ვილჰელმ II (ჰოჰენცოლლერნი) — 317, 512—513, 570, 655.
ვინიჩენკო ვ. კ. — 559.
ვინტერი — ი ხ. კრასინი ლ. ბ.
ვიტე ს. ი. — 69, 149.
ვიქტორი — ი ხ. ტარატუტა ვ. კ.
ვიქტორიონოკი — ი ხ. სოკოლნიკოვი გ. ი.
ვლადიმიროვი მ. კ. (შეინფინკელი მ. კ., ლიოვა) — 113, 300, 432.
ვლადიმირსკი მ. თ. (კამსკი) — 311, 567.
ვოდოვოზოვა მ. ი. — 83.
ვოინოვი — ი ხ. ლუნაჩარსკი ა. ვ.
ვოილოშნიკოვი ა. — 224 — 225.
ვოიტინსკი ვ. ს. — 286.
ვოლინი ბ. მ. — 626, 627.
ვორობიოვი ვ. — 529.
ვოროვსკი ვ. ვ. (ორლოვსკი პ., ფელიქსი, ფელიქს ალექსანდრეს ძე) — 149, 150.
ვორონინი ს. ა. — 224.
ვურმი ე. — 173.

ზ

ზაგორსკაია — ი ხ. სმიდოვიჩი ი. გ.
ზაიცევი მ. ი. — 204.
ზალომოვი პ. ა. — 112.
ზარინი — ი ხ. ლენგნიკი ფ. ვ.
ზასულიჩი ვ. ი. (ვ. ი., ვ. ივ. ასული, ვ. ივ., ველიკა დიმ., ველიკა დიმიტრის ასული, ვერა ივანეს ასული) — 9, 18, 22, 23, 25, 33, 37, 49, 56, 69, 76, 77, 79, 82, 91, 100, 103, 113.
ზატონსკი ვ. პ. — 544.
ზახაროვი მ. ვ. — 224—225.
ზვერი — ი ხ. ესენი მ. მ.
ზინა — ი ხ. ლილინა ზ. ი.
ზინგერი პ. — 176.
ზინობი ალექსის ძე — ი ხ. პეშკოვი ზ. ა.

ზინოვიევი გ. ე. (რადომისლსკი გ. ე., გრიგოლი) — 164, 165, 175, 292, 310, 320, 366, 374, 379, 389, 399, 400, 415, 428, 447, 450, 451, 454, 456, 457, 462, 465, 472, 491, 492—493, 498, 542, 562, 585, 593, 644, 676, 688.
ზიუდეკუმი ა. — 331, 348, 355, 368, 440.
ზოლინა-ვილონოვა მ. მ. — 169.

თ

თ. დ. — ი ხ. დანი თ. ი.
თევდორე ნიკიტას ძე — ი ხ. სამოილოვი თ. ნ.

ი

იაგელო ე. ი. — 226 — 228.
იაგოვი ტ. — 275.
იაკოვლევი ვ. ი. (ბივალი) — 23 — 25.
იაკუბოვი ა. ა. (ბროკი, ვეტრინსკაია) — 27, 111.
იბრაგიმოვი ხ. — 561.
იგნატი — ი ხ. კრასიკოვი პ.
ივანოვი — 563.
ილია — ი ხ. ვილენსკი ი. ს.
ილინი ვ. — ი ხ. ლენინი ვ. ი.
ილინი ი. — 517.
ილინი პ. პ. — 641 — 642.
ინესა — ი ხ. არმანდი ი. ფ.
ინოკენტი — ი ხ. დუბროვინსკი ი. ფ.
იორდანსკი ნ. ი. — 176.
იოფე ა. ა. — 587.
ისუვი ი. ა. (მიხაილი) — 182.
იუდა — ი ხ. სტრუვე პ. ბ.
იუდენიჩი ნ. ნ. — 594.
იუდოვსკი ვ. გ. — 550.
იუმი დ. — 413.
იური — ი ხ. ბეკზადიანი ა. ა.
იური — ი ხ. ბრონშტეინი პ. ა.
იურიევი — ი ხ. ვეჩესლოვი მ. ვ.
იურკევიჩი ლ. (რიბალკა ლ.) — 469.
იშჩენკო ა. გ. — 599.

კ

კაგანი ა. — 293 — 294.
კალედინი ა. მ. — 546.
კალმიკოვა ა. მ. — 109 — 111.
კამენევი ლ. ბ. (როზენფელდი ლ. ბ.) — 164, 187, 196, 207, 217, 288, 524, 526 — 527, 587, 589, 595, 652, 676.
კამერერი — 424, 429.
კამსკი — ი ხ. ვლადიმირსკი მ. თ.
კანტი ი. — 413.
კარპი — ი ხ. ლიუბიმოვი ა. ი.
კარპინსკი ვ. ა. (ვ. კ., ვიაჩესლავ ალექსის ძე) — 160, 196, 309, 320, 322, 334—335, 336, 346, 347, 350, 376, 377, 391, 404, 406, 422, 423, 424, 453, 467, 477, 481, 483, 484, 492, 512.
კარსკი — ი ხ. მარხლევსკი ი.
კასპაროვი ვ. მ. — 279, 382.
კაუცკი კ. — 22, 25, 40, 42, 70, 172, 173, 177—178, 181, 186—187, 206, 324, 330, 345, 349, 355, 360, 367, 436, 437, 439, 440, 506, 509, 524, 617.
კედროვი მ. ს. — 153, 566.
კეირ-გარდი — ი ხ. გარდი ჯ.-კ.
კერენსკი ა. თ. — 396, 487, 523, 559.
კერი ჩ. — 387, 428.
კიკნაძე ნ. დ. (სტეპკო) — 478.
კინი ფ. — 669.
კინკელი ი. — 382.
კისელიოვი ა. ს. — 630.
კისკა — ი ხ. ფოტიევა ლ.
კლახონი რ. ე. — 628.
კლევლეევი ა. ს. — 561.
კლემანსო ჟ.-ბ. — 272.
კლერი — ი ხ. კრეიანოვსკი გ. მ.
კნუნიანცი ბ. მ. (რუბენი) — 118.
კობეცკი მ. ვ. — 313, 348.
კობოზევი პ. ა. — 563.
კოგანი — 575.
კოლონტაი ა. მ. (ალექსანდრა მიხეილის ასული) — 340, 342, 344 — 345, 349, 381,

384 — 385, 387 — 388, 390, 401, 405, 427 — 429, 430—431, 447, 449, 452, 468 — 469, 470 — 471.
ჯოლჩაკი ა. ვ. — 601 — 602, 667.
ჯოლლოვი დ. (გინზბურგი ბ. ა.)— 8, 23 — 24, 65.
ჯონიგა — ი ხ. გალპერინი ლ. ე.
ჯოპელზონი ც. მ. (ვ) — 5.
ჯუკოვნიკოვა-გურვიჩი ვ. ვ. (ვ. ვ.) — 103.
ჯორენევსკი მ. — 102.
ჯორნელისენი ხ. — 361.
ჯოროსტელევი ა. ა. — 625.
ჯოსტია — ი ხ. ჰალბერშტადტი რ. ს.
ჯოსტროვი — ი ხ. ჟორდანია ნ. ნ.
ჯრასიკოვი პ. ა. (იგნატი,—p——, სერგეი პეტრეს ძე)—63—64, 117, 124, 128, 129, 136.
ჯრასინი ლ. ბ. (ვინტერი, ნიკიტიჩი) — 134, 146, 652.
ჯრესტინსკი ნ. ნ. — 663.
ჯრილენკო ნ. ვ. — 540, 544, 601, 656 — 657.
ჯრიცმანი ლ. ნ. — 668.
ჯრიჩევსკი ბ. ნ. — 86.
ჯროპოტკინი პ. ა. — 361.
ჯრუჟანოვსკი გ. მ. (ბრუტი, კლერი, ტრავინსკი) — 107, 117—118, 126, 682, 683.
ჯრუმინი გ. ი. — 643.
ჯრუპსკაია ნ. კ. (ნ. კ., ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, ნადია, ულიანოვა ნ. კ.) — 102 — 104, 155, 236, 280, 302, 339, 348, 350, 351 — 352, 397, 417, 420, 422, 448, 452, 461, 467, 470, 471, 491, 613.
ჯუზპა — ი ხ. ლიახოცკი კ.
ჯუზპიხა — ი ხ. ლიახოცკაია.
ჯუზნეცოვი გ. ხ. — 224.
ჯუკლინი გ. ა. — 160.
ჯულიშერი ა. — 456.
ჯუნი ბელა — 588, 591.
ჯუნოვი გ. — 650.
ჯურსკი დ. ი. — 596, 597, 630, 634, 638, 640 — 641, 645, 656 — 657.
ჯურცი — ი ხ. ლენგნიკი ფ. ვ.

ლ

ლ. გრ. — ი ხ. დეიჩი ლ. გ.
ლ. ი. — ი ხ. აქსელროდი ლ. ი.
ლალაიანცი ი. ხ. — 113.
ლანდაუ — 301.
ლაპოტი — ი ხ. ლეპეშინსკი პ. ნ.
ლარინი' ი. (ლურიე მ. ა.) — 426, 513, 520.
ლასალი ფ. — 234 — 235, 409.
ლაუფენბერგი ბ. — 374.
ლაცარი კ. — 571.
ლებედევი — ი ხ. გუსევი ს.
ლეგინი კ. — 470.
ლედებური გ. — 403.
ლედერი ზ. (ფაინშტეინი ვ.) — 166 — 168, 284 — 285.
ლევი — 113.
ლევიცკი ვ. (ცედერბაუმ ვ. ო., მარტოვის ძმა) — 176, 292.
ლეიტეიზენი გ. დ. — 71, 129.
ლეკერტი გ. ი. — 100.
ლემანი კ. — 8, 26, 36, 51, 72, 75.
ლენგნიკი ფ. ვ. (კურცი, ზარინი) — 97, 114, 117, 118.
ლენინი ვ. ი. (ულიანოვი ვ. ი., ვ. ილინი, კ. ო., კარიჩი, მ. პ., შეიერი, ნ., ნ. ლ., ნ. ლენინი, ნ. ნ., პეტროვი, რიხტერი ი., სტარიკი, ტ., ფ., ფრეი) — 8, 10, 11, 12, 13, 14, 15—16, 17, 18, 19, 20—21, 22, 23, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33—34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42—43, 44, 46, 49—50, 52, 53, 55, 57, 58, 61, 66, 67, 69, 70, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 82, 83, 84, 85, 86—87, 90, 92, 93, 94, 97, 98—99, 100, 101, 102, 103, 105, 108, 109, 111, 113, 117, 119, 123, 124, 125, 126, 127, 129, 130, 131, 133, 134, 135, 136—

137, 140, 141—142, 143, 148, 149, 151, 153, 156, 157, 158, 159, 160, 161 - 162, 163, 164, 165, 166, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 184, 186, 187, 188, 189, 196, 199, 202, 204, 206, 207, 208, 216, 219, 225, 229, 233, 235, 236, 242, 247, 250, 264, 273, 276, 278, 279, 280, 281—282, 283, 284—285, 286—287, 288, 290—291, 292, 293, 294, 296, 298, 300, 301—302, 308, 309, 311, 312, 313, 314, 320—321, 322, 335, 336—337, 338, 340, 343, 344, 346, 347, 348, 349, 350, 351, 352, 353, 354, 355, 356, 366, 368, 370, 372, 373, 376, 377, 379—380, 381, 382, 383, 385 386, 388, 389, 390, 391—392, 393—394, 395, 396, 398, 399, 400, 401—402, 403, 404, 405, 406, 407, 415, 417 — 418, 419, 420 — 421. 422, 423, 424, 425, 426. 427—428, 429, 430, 431, 432, 433, 447—448, 449, 450—451, 452, 453, 454—455, 456, 457, 459, 460, 461—462, 465—466, 467, 468—469, 470, 471, 472, 474, 475, 476, 477—478, 481, 482—483, 485, 490, 491, 492—493, 494, 495, 512, 514, 525, 529, 530, 543, 544, 545, 546, 548, 549, 550, 555, 556, 561, 562, 563, 564, 565, 566, 567, 569, 570, 571, 572—573, 574, 575, 576, 579, 585—586, 587, 588, 589, 590, 591, 592, 593, 595, 596, 598, 599—600, 603, 605—606, 607—608, 609, 611, 612, 623, 625, 626, 629, 630, 631, 634, 635, 638, 642, 643, 644, 646. 648, 649, 650, 656, 657, 658, 659, 660—661, 662, 663, 664, 670, 673—674, 676, 677, 678—679, 681—682, 683, 685, 686—687, 688—689, 691—692, 693—694, 696.

ლეპეშინსკი პ. ნ. (2ბ 3ბ, ლაპოტი) — 62, 63—64. 103.

ლეშჩენკო დ. ი. — 186.

ლვოვი გ. ე. — 499, 502, 523.

ლიადოვი მ. ნ. (მარტინ ნიკოლოზის ძე) — 123, 125, 129.

ლიალინი ნ. — ი ხ. პიატაკოვი გ. ლ.

ლიახოცკაია (კუზმიხა) — 376, 379, 404.

ლიახოცკი კ. (კუზმა) — 376, 404.

ლიბკნეხტი ვ. — 8, 13, 18—19, 35—36, 72—73, 75.

ლიბკნეხტი კ. — 347, 445. 503, 511.

ლილინა ზ. ი. (ზინა) — 462, 475.

ლიოვა — ი ხ. ვლადიმიროვი მ. კ.

ლიტვინოვი მ. მ. (მაქსიმოვიჩი მ.) — 311, 344, 349, 367, 383.

ლიუბა — ი ხ. რადჩენკო ლ. ნ.

ლიუბიმოვი ა. ი. (კარპი, მარკი) — 134, 300.

ლიუდა (შკლოვსკაია ლ. გ.) — 472.

ლიუქსემბურგი რ. (როზა) — 70, 166, 168, 170, 284.

ლოზინსკი ე. ი. — 90.

ლოზოვსკი ს. ა. (დრიზდო ს. ა.) — 599, 601.

ლოიდ-ჯორჯი დ. — 533.

ლომოვი მ. ა. — 641.

ლონგე უ. — 509.

ლონგე შ. — 437.

ლოსიცკი ა. ე. — 176.

ლუნაჩარსკი ა. ვ. (ან. ვას., ფოლინოვი) — 133, 159, 614.

ლუცატი ლ. — 331.

მ

მ. — 214.

მ. თ. — ი ხ. ანდრეევი ნ. თ.

მაკდონალდი რ. — 135, 139 — 140, 509.
მალინოვსკი რ. ვ. — 218.
მალიშევი — 567.
მანდელბერგი ვ. ე. — 158.
მანკოვი ი. ნ. — 218.
მარიამ თეოდორეს ასული — ი ხ. ანდრეევა მ. თ.
მარკი — ი ხ. ლიუბიმოვი
მარკოვი ნ. ე. — 256.
მარტინ ნიკოლოზის ძე — ი ხ. ლიადოვი მ. ნ.
მარტინოვი ა. (პიკერი ა. ს.) — 355.
მარტოვი ლ. (ცედერბაუმი ი. ო., ალექსეი, ბერგი, ძმა, მარტუშკა) — 7, 10, 15, 21, 26. 27, 35. 37, 38, 43, 50, 53, 56, 69, 70, 72, 76, 77, 78, 79, 83, 86, 100, 103, 119, 134, 172, 173, 175, 181, 182, 187, 219, 224, 297, 309. 331, 348, 355, 356, 437—438, 451, 484, 513, 520.
მარტოვის ძმა — ი ხ. ლევიცკი ვ.
მარქსი კ. — 138, 172, 201, 325, 326, 329, 351, 411, 413, 488, 509, 524, 613.
მარხლევსკი ი. ი. (კარსკი) — 168, 173.
მასე ა. — 272.
მახლოვი პ. ბ. — 178, 477.
მაქსიმოვიჩი მ. — ი ხ. ლიტვინოვი მ. მ.
მახნო ნ. ი. — 587.
მახნოვეცი ვ. პ. (ბახარევი ვ.) 24.
მგგობარი — ი ხ. პოტრესოვი ა. ნ.
მდივერ — ი ხ. ლენინი ვ.
მენკუსი მ. — 40.
მენშიკოვი მ. ო. — 240—242.
მერგეიმი ა. — 360, 386.
მერინგი ფ. — 138, 181, 283.
მეჩი ვ. — 447.
მეხანოშინი კ. ა. — 563.
მილიერანი ა.-ე. — 23.
მილიუკოვი პ. ნ. — 490.
მილიუტინი ვ. პ. — 526—527, 603, 604.
მიუნცენბერგი ვ. — 479—480.
მიხაილი — ი ხ. ვილონოვი ნ. ე.
მიხაილი — ი ხ. ისუვი ი. ა.
მიხაილოვი ვ. ე. — 112.
მიხაილოვი ლ. მ. — 623.
მიხელსი ვ. ა. — 630.
მოლოტოვი — ი ხ. პარვუსი.
მოლოტოვი ვ. მ. — 644, 649.
მონტე, დე — ი ხ. დე მონტე.
მოორი კ. — 472.
მორგარი ო. — 438.
მოხუცი — ი ხ. ლენინი ვ. ი.
მურავიოვი მ. ა. — 549, 550, 563, 573.
მურალოვი ნ. ი. — 567.
მუშენკო ი. ნ. — 157.

ნ

ნ. ი., ნ. ი — ძე, ნიკ. ივანეს ძე — ი ხ. ბუხარინი ნ. ი.
ნ. კ., ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, ნადია — ი ხ. კრუპსკაია ნ. კ.
ნადეჟდინი ლ. (ზელენსკი ე. ო.) — 115—116.
ნაკორიაკოვი ნ. ნ. (Ellert J.) — 293, 294.
ნატალია ბოგდანის ასული — ი ხ. ბოგდანოვა ნ. ბ.
ნახამკისი ი. მ., **ნევზოროვი** — ი ხ. სტეკლოვი ი. მ.
ნემეცი ა. — 219.
ნენი შ. — 386, 479, 495.
ნიკიტიჩი — ი ხ. კრასინი ლ. ბ.
ნიკოლე ე. — 336.
ნიკოლოზ II (რომანოვი) — 487.
ნინა ლევის ასული — ი ხ. ესენი მ. ვ.
ნობსი ე. — 479—480, 482.
ნოგინი ვ. პ. (ნოვოსიოლოვი) — 15—17, 40—41, 42—44, 53, 70, 526—527,
ნოე — ი ხ. ბუაჩიძე ს. გ.
ნოვოსიოლოვი — ი ხ. ნოგინი ვ. პ.
ნოსკოვი ვ. ა. (ბ. ნ., ბორისი, ვადიმი, გლებოვი) — 102—103, 117—118, 123, 126, 127, 146.

ოლ

ოლდენბურგი ს. ს. — 674.
ოლმინსკი მ. ს. (ალექსანდროვი მ. ს., გალიორკა) — 125, 208.
ოლღა — ი ხ. რავიჩი ს. ნ.
ॐ ॐ — ი ხ. ლეპეშინსკი პ. ნ.
ორლოვსკი პ. — ი ხ. ვოროვესკი ვ. ვ.
ორტოდოქსი — ი ხ. აქსელროდი ლ. ი.
ორჯონიკიძე გ. კ. — 689, 690—691, 694.
ოსინსკი ნ. — 638, 639, 658—659.
ოხრიმენკო პ. ფ. — 595.

პ

პ. ბ., პ. ბ— ძე, პავლე ბორისის ძე — ი ხ. აქსელროდი პ. ბ.
პანეკუკი ა. — 283, 415, 464—465, 524.
პარვუსი (გელფანდი ლ., მოლოტოვი) — 49, 70, 73, 74—75.
პეტრე — ი ხ. ალექსინსკი გ. ა.
პეტროვი — ი ხ. ლენინი ვ. ი.
პეტროვსკი გ. ი. — 340.
პეშეხონოვი ა. ვ. — 531.
პეშკოვი ზ. ა. (ზინობი ალექსის ძე) — 160.
პიატაკოვი გ. ლ. (ლიალინი ნ.)— 379, 432, 450, 451, 455—456, 459, 461—466, 534. 676, 682, 683.
პიატიგორსკი ი. ვ. — 626.
პიატნიცკი კ. პ. — 177, 178.
პირი რ.-ე. — 178.
პლატენი ფ. — 403, 416. 463—464, 482, 498.
პლატონი — 413.
პლეხანოვი გ. ვ. (ვეტერანი, გ. ვ., გ. ვ — ძე) — 4, 14, 20, 22, 23—28, 29, 32, 33—34, 38, 56, 66, 69—70, 72—73, 74, 76, 77, 79, 84—85, 86—87, 91, 93, 100—101. 103, 113, 123—124, 136, 146, 165, 175, 176, 181, 184, 187, 196, 198, 206—207, 219, 228, 285, 299, 309, 323—324, 331, 348, 355, 356, 360, 372, 409, 413, 440, 470, 510, 512, 524, 533.
პოდვოისკი ნ. ი. — 525, 544, 589, 601.
პოვარი — ი ხ. შჩეკოლდინი ფ. ი.
პოკროვსკი ი. პ. — 200—201, 224—225.
პოკროვსკი მ. ნ. (დომოვი) — 308, 476, 611.
პოლეტაევი — ი ხ. ბაუმანი ნ. ე
პოლეტაევი ნ. გ. — 176, 225.
პოპოვა ო. ნ. — 82.
პოპოვი პ. ი. — 619, 650.
პორტნოი კ. — 97, 98.
პოტიე ე. — 231—233, 235.
პოტრესოვი ა. ნ. (არსენიევი, ძმა, ვიკონტი, მეგობარი, პუტმანი, სტაროვერი) — 7, 10, 21, 23, 25, 29, 35, 37, 38, 66, 69, 72, 76, 77, 79, 93, 110, 119, 182, 477. 513.
პრედკალნი ა. ი. — 201, 225.
პრელოგი — 422.
პრეობრაჟენსკი ე. — 607—608.
პრესმანი ა. — 437
პროშიანი პ. პ. — 572—574.
პურიშკევიჩი ვ. მ. — 256.
პუტმანი — ი ხ. პოტრესოვი ა. ნ.

ჟ

ჟორდანია ნ. ნ. (კოსტროვი) — 279.
ჟორესი ჟ. — 337.

რ

რ. ნ. ს. — ი ხ. სტრუვე პ. ბ.
რადეკი კ. ბ. — 171—172, 173—174, 366—369, 370—371, 372—375, 382, 389, 390, 393, 399, 400, 403, 415, 432, 451, 455—456, 457, 459, 462—465, 469, 512—514.
რადომისლსკი გ. ე. — ი ხ. ზინოვიევი გ. ე.

რადჩენკო ი. ი. (არკადი) — 98—99, 102, 105—108.
რადჩენკო ლ. ნ. (ლუბა) — 117.
რადჩენკო ხ. ი. — 61—62.
რავიჩი ხ. ნ. (ოლლა) — 196, 321, 376, 379—380, 406, 407—408, 422, 423, 425, 467, 480, 482, 492—493.
რაკოვსკი ხ. გ. — 23, 375, 549, 587.
რაპოპორტი შ. — 432.
რასპუტინი გ. — 487
რეგნერი ფ. — 6, 99.
რეიხნერი მ. ა. — 149—150.
რენოდელი პ. — 367, 440.
რესკე ნ. ა. — 660—661.
რესპონდეკი გ. — 650.
რიადოვი — ი ხ. ბოგდანოვი ა.
რიაზანოვი დ. ბ. (გოლდენდახი დ. ბ.) — 25, 45, 79, 81.
რიბალკა ლ. — ი ხ. იურკევიჩი ლ.
რიდი ჯ. — 598.
რივლინა ე. ი. — 386.
რივლინი ლ. ხ. — 301, 386.
რიკოვი ა. ი. — 526—527, 602, 646, 655, 658—659.
რიკუნოვი მ. ვ. — 626.
რიტინგჰაუზენი მ. — 75.
რიტმეიერი გ. — 44, 51, 75.
რიულე ო. — 445.
რიხტერი ი. — ი ხ. ლენინი ვ. ი.
როზა — ი ხ. ლიუქსემბურგი რ.
როზენფელდი ლ. ბ. — ი ხ. კამენევი ლ. ბ.
როზმიროვიჩი ე. თ. (ელენე თეოდორეს ასული) — 292, 660.
როლანდ-გოლსტ მ. — 403, 407 — 408, 415—416, 429, 456.
როლანი რ. — 391, 495.
როლაუ ე. ხ. — 32.
რომანი — ი ხ. ერმოლაევი კ. მ.
როტშტეინი ფ. ა. — 161—162.
რუბაკინი ნ. ა. — 236, 309.
რუბანოვიჩი ი. ა. — 206, 207, 219.
რუბენი — ი ხ. კნუნიანეცი ბ. მ.
რუზერი ლ. ი. — 660—661.
რუზველტი თ. — 209, 210.
რუსანოვი ა. ნ. — 218.
რუსანოვი ნ. ხ. (ტარასოვი კ.) — 113.

ს

საიდ-გალიევი ხ. გ. — 624.
სალი გ. — 301.
სამბა მ. — 360, 470.
სამილინი მ. ი. — 112.
სამოილოვა კ. ნ. — 290.
სამოილოვი თ. ნ. (თეოდორე ნიკიტას ძე)—301, 311—312.
სამსონოვი — 128.
საფაროვი გ. ი. — 280, 446.
სემკოვი ხ. მ. (სიმა) — 335, 346.
სეპკოვსკი ხ. ი. — 355, 424.
სერატი ჯ.-მ. — 571.
სერგი პეტრეს ძე — ი ხ. კრასიკოვი პ. ა.
სერებროვსკი ა. პ. — 589.
სვერდლოვი ი. მ. — 553.
სვიდერსკი ა. ი. — 562, 660, 662.
სიგი უ. — 322.
სინადინო პ. ვ. — 251—252.
სიმა — ი ხ. სემკოვი ხ. მ.
სკვორცოვ-სტეპანოვი ი. ი. — 650.
სკლიანსკი ე. მ. — 584, 592.
სკოვნო ა. (აბრამი) — 493.
სკუბიკი ე. — 31—32, 39.
სმიდოვიჩი ი. გ. (დიმკა, ზაგორსკაია) — 9, 11, 13, 20—21, 31, 102.
სმირნოვი ე.—ი ხ. გურევიჩი ე. ლ.
სმირნოვი ი. ნ. — 592.
სმოლიანინოვი ვ. ა. — 625, 626, 627.
სობოლევი — 567.
სოკოლნიკოვი ვ. ი. — 432—433, 526.
სოლოვიოვი ვ. ს. — 25.
სოსნოვსკი ლ. ს. — 656—657.
სპინოზა ბ. — 417—418.
სტალინი ი. ბ. (ჯუღაშვილი ი. ბ., სტალინი კ.)—229, 526, 542, 552, 556, 561, 660, 675—677, 690, 694.
სტანკევიჩი ვ. ბ. 298, 309.
სტაროვერი—ი ხ. პოტრესოვი ა. ნ.
სტასოვა ე. დ. — 115, 595.
სტეკლოვი ი. მ. (ნახამკისი ი. მ., ნევზოროვი) — 1—4, 8, 25, 45, 69, 76, 77, 79, 163, 178, 501, 503, 504, 658—659.

სტეპანიუკი ვ. (ლოლა ო. ნ.) — 280, 281.
სტეპანოვი ვ. ა. — 203.
სტეპკა (რადომისლსკი ს. გ.) — 475.
სტეპკო — ი ხ. კიკნაძე ნ. დ.
სტიუნკელი ბ. ე. — 641.
სტრუვე პ. ბ. (იუდა, რ. ნ. ს., ტელიონოკი) — 38, 50, 69, 72, 77, 82, 90, 141, 289.
სურკოვი ბ. ი. — 225.

ტ

ტალბეიმერი ა. — 374.
ტარასოვი კ. — ი ხ. რუსანოვი ნ. ს.
ტარატუტა ვ. კ. (ვიქტორი) — 160.
ტელიონოკი — ი ხ. სტრუვე პ. ბ.
ტერ-არუთიუნიანცი მ. კ. — 543.
ტერეშჩენკო მ. ი. — 523.
ტიშკა ლ. (იოგიხესი ლ.) — 166 — 167, 170, 283, 284, 310, 462, 465.
ტიხომიროვი ვ. ა. — 649.
ტოდორსკი ა. ი. — 652.
ტომსკი მ. პ. — 601.
ტრავინსკი — ი ხ. კრჟიჟანოვსკი გ. მ.
ტრევესი კ. — 438, 440.
ტრეპოვი დ. ფ. — 149.
ტროიანოვსკი ა. ა. — 292, 308, 631.
ტროცკი ლ. დ. (ბრონშტეინი ლ. დ.) — 172, 173, 181—182, 183, 184—185, 292, 348, 370, 415, 451, 456, 459, 477, 520, 526, 541, 557, 576, 589, 601, 673, 675—677, 680, 681.
ტურატი ფ. — 509.

უ

უგლანოვი ნ. — 623.
ულიანოვა ნ. კ. — ი ხ. კრუპსკაია ნ. კ.
უნკსოვი მ. ი. — 641.
უნშლიხტი ი. ს. — 630.
უსტრიალოვი ნ. ვ. — 652.

ფ

ფაულერი — 638, 639.
ფეიერბახი ლ. — 363, 413.
ფელიქსი, ფელიქს ალექსანდრეს ძე — ი ხ. ვოროვსკი ვ. ვ.
ფილატოვი ვ. ვ. — 141.
ფილიპოვი მ. მ. — 83.
ფილონი — 409.
ფინ-ენოტაევსკი ი. — 77, 84—85.
ფიტცჯერალდი ს. ვ. — 405.
ფიურსენბერგი ი. ს. — ი ხ. განეცკი ი. ს.
ფიშერი — ი ხ. ჰალბერშტადტი რ. ს.
ფოლკმანი პ. — 413.
ფოტიევა ლ. ა. (ლისკა) — 137, 141.
ფრანკი — 337.
ფრანკი ლ. — 274—276.
ფრანკი ს. ლ. — 56.
ფრეინი — 609.

შ

შეიდემანი ფ. — 510.
შეინმანი ა. ლ. — 647—648.
შვეგლერი ა. — 411.
შინგარიოვი ა. ი. — 523.
შკლოვსკი გ. ლ. — 188, 189—190, 217—219, 301—302, 311—312, 321, 390, 403, 472—473, 474.
შლიაპნიკოვი ა. გ. (ალექსანდრე, ბელენინი) — 338 —341, 342—343, 348—349, 353, 354—355, 356—357, 381, 385, 396—397, 401—402, 431, 432—433, 447, 450—452, 454—457, 458—460, 461—466, 471, 494, 529.
შლიუტერი გ. — 429.
შმიდტი ო. ი. — 616.
შნეერსონი ა. ა. (ერემა) — 117.
შნეიდერი — 404.
შტეინბერგი — 512.
შტეინი — ი ხ. ალექსანდროვა ე. მ.
შურკანოვი ვ. ე. — 224.
შჩეკოლდინი ფ. ი. (მზარეული) — 103, 134.

ჩ

ჩერევანინი ნ. (ლიპკინი ფ. ა.)— 176, 477.
ჩერნიშევი ი. ვ. — 176.
ჩერნიშევსკი ნ. გ. — 27, 178.
ჩერნოვი ვ. მ. — 72, 73, 75, 90, 533, 559.
ჩიჩერინი გ. ვ. — 570, 591.
ჩლენოვი ბ. ა. — 301
ჩხეიძე ნ. ხ. — 224, 372, 437, 440, 451, 459, 462, 465, 487, 494, 501, 503, 504, 509, 513.

ც

ც. — 472.
ცედერბაუმი ლ. ო. (ალექსის და) — 70.
ცეტკინი კ.—181—182, 187, 344, 372, 373—374.
ცვეტოვი — ი ხ. ბლიუმენფელდი ი. ს.
ციფრუპა ა. დ. — 562, 638, 646, 649, 658—659, 660, 663.

ძ

ძერჟინსკი ფ. ე. — 529, 688—689, 690—691, 694.
ძმა — ი ხ. მარტოვი ლ.
ძმა — ი ხ. პოტრესოვი ა. ნ.

წ

წერეთელი ი. გ. — 504, 559.

ხ

ხარიტონოვი მ. მ. — 395, 417—418, 419.
ხინჩუკი ლ. მ. — 118, 664, 670.

ჭ

ჭაავზე ჰ. — 321, 437, 440.
ჭაინდმანი ჰ.-მ. — 41, 360, 440, 470.
ჭალბერშტადტი რ. ხ. (კოსტია, ფიშერი) — 117, 134.
ჭეგელი გ.-ვ.-ფ. — 409, 412—413.
ჭეიხი მ. — 220.
ჭეგლუნდი ზ. — 381, 384, 428, 449, 468.
ჭერაკლიტე — 409, 413.
ჭერვეგი გ. — 235.
ჭიუისმანსი კ.—175, 176, 219, 284, 436, 449, 450, 470.
ჭომპერსი ს. — 220.

E

Ellert J.—ი ხ. ნაკორიაკოვი ნ. ნ.

P

— p — — — ი ხ. კრასიკოვი პ.

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

1900 წ.

ი. მ. სტეკლოვს. სექტემბრის დასაწყისი . . 1—4
***. 5 და 15 სექტემბერს შუა . . . . . 5—6
პ. ბ. აქსელროდს. 10 ოქტომბერი . . . . 7—8
პ. ბ. აქსელროდს. 18 ოქტომბერი . . . 9—11
პ. ბ. აქსელროდს. 19 ოქტომბერი 12
პ. ბ. აქსელროდს. 21 ოქტომბერი . . . . 13—14
ვ. პ. ნოგინს. 2 ნოემბერი . . . . . 15—17
პ. ბ. აქსელროდს. 3 ნოემბერი . . . . . 18—19
პ. ბ. აქსელროდს. 8 ნოემბერი . . . . . 20—22
* ბ. ვ. პლეხანოვს. 9 ნოემბერი . . . . . 23—28
პ. ბ. აქსელროდს. 16 ნოემბერი . . . . . 29—30
პ. ბ. აქსელროდს. 19 ნოემბერი . . . . . 31—32
პ. ბ. აქსელროდს. 26 ნოემბერი . . . . . 33—34
პ. ბ. აქსელროდს. 11 დეკემბერი . . . . . 35—36
პ. ბ. აქსელროდს. 14 დეკემბერი 37
პ. ბ. აქსელროდს. 24 დეკემბერი . . . . . 38—39

1901 წ.

ვ. პ. ნოგინს. 3 იანვარი . . . . . 40—41
ვ. პ. ნოგინს. 24 იანვარი . . . . . 42—44
ჯგუფ «ბორბას». 3 თებერვალი . . . . . 45—46
ჯგუფ «ბორბას». 21 ოებერვალი . . . . . 47—48
პ. ბ. აქსელროდს. 27 თებერვალი . . . . . 49—50

თ. ი. დანს. 22 მარტი . . . . . 51—52
ვ. პ. ნოგინს. 6 აპრილი 53
* კ.-ი. ბრანტინგს. 19 აპრილი . . . . . 54—55
ბ. ვ. პლეხანოვს. 21 აპრილი . . . . . 56—57
მ. ბ. ვეჩესლოვს. 25 აპრილი . . . . . 58—60
ს. ი. რადჩენკოს. აპრილის დამლევი . . . . 61—62
პ. ნ. ლეპეშინსკის და პ. ა. კრასიკოვს. 1 ივნისი . 63—64
პ. ბ. აქსელროდს. 1 ივნისი . . . . . 65—66
მ. ბ. ვეჩესლოვს. 17 ივნისი . . . . . 67—68
პ. ბ. აქსელროდს. 9 ივლისი . . . . . 69—71
* ბ. ვ. პლეხანოვს. 13 ივლისი . . . . . 72—73
პ. ბ. აქსელროდს. 21 ივლისი . . . . . 74—75
პ. ბ. აქსელროდს. 24 აგვისტო . . . . . 76—77
პ. ბ. აქსელროდს. 30 აგვისტო . . . . . 78—79
ე. ლ. გურევიჩ-დანევიჩს. 3 ნოემბერი . . . . 80—81
ლ. ი. აქსელროდ-ორტოდოქსს. 27 ნოემბერი . . 82—83
ბ. ვ. პლეხანოვს. 1 დეკემბერი . . . . . 84—85
ბ. ვ. პლეხანოვს. 19 დეკემბერი . . . . . 86—87
ლ. ი. გოლდმანს. დეკემბერი . . . . . 88—89

1902 წ.

ლ. ი. აქსელროდ-ორტოდოქსს. 18 თებერვალი . . 90
პ. ბ. აქსელროდს. 22 მარტი . . . . . 91—92
პ. ბ. აქსელროდს. 27 მარტი . . . . . 93—94
ა. ა. ბოგდანოვს. მარტის დამლევი (28-ის შემ-
დეგ) აპრილის დამდეგი . . . . . 95—96
ფ. ვ. ლენგნიკს. 23 მაისი 97
ი. ი. რადჩენკოს. 22 ივნისი . . . . . 98—99
ბ. ვ. პლეხანოვს. 2 ივლისი . . . . . 100 — 101
ნ. კ. კრუპსკაიას. 16 ივლისი . . . . . 102—104
ი. ი. რადჩენკოს. 16 ივლისი . . . . . 105—108
ა. მ. კალმიკოვას. 27 სექტემბერი . . . . 109—111
* ნიჟნინოვგოროდელი მუშეგის მიერ გასამართლებაზე
წარმოთქმული სიტყვეგის ფინასიტყვაობა . . . 112
* ბ. ვ. პლეხანოვს. 1 დეკემბერი 113

1903 წ.

ფ. ვ. ლენგნიკს. 17 იანვარი 114
ბ. დ. სტასოვას. 28 იანვარი . . . . . 115—116

ბ. მ. კრუჩიუანოვსკის და ვ. ა. ნოსკოვს. 5 ოქტომბერი 117—118
ფ. ი. დანს. 2 დეკემბერი 119

1904 წ.

ცენტრალური კომიტეტის სამხრეთის ბიუროს. მაისის დამლევი . . . . . 120—122
ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს. 26 ივლისი . . . . . 123—124
ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს. 18 და 31 აგვისტოს შუა . 125—126
ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს. 13 სექტემბერი. . . . . 127—128
ბ. დ. ლეიტეიზენს. 29 სექტემბერი 129
მ. პ. ბოლუბევას. 5 ოქტომბრის შემდეგ . . 130
ე. ე. ესენს. 4 ნოემბერი 131
ა. ი. ერამასოვს. დეკემბრის პირველი ნახევარი 132

1905 წ.

***. 9 მარტი . . . . . 133—134
* ინგლისის «მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტის» მდივანს. 23 მარტი 135
პ. ა. კრასიკოვს. 5 აპრილი . . . . . 136—137
***. აპრილი—მაისი. 138
* ინგლისის «მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტის» მდივანს. 20 მაისი . . . . . 139—140
* ლ. ა. ფოტიევას. 1 თუ 2 ივნისი . . . . . 141—142
რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს. 15 სექტემბერი . . 143—148
მ. ა. რეისნერს. 4 ოქტომბერი . . . . . 149—150
რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს. 25 ოქტომბერი . . 151—152

1907 წ.

მ. ს. კედროვს. დეკემბრის დასაწყისი . . . 153—154

1908 წ.

ბ. ა. ალექსინსკის. 7 იანვარი . . . . . 155—156
ბ. ა. ალექსინსკის. 7 იანვარსა და 2 თებერვალს შუა 157
ბ. ა. ალექსინსკის. 3 თებერვალი 158
ა. მ. გორკის. მარტის პირველი ნახევარი . 159

მ. თ. ანდრეევას. აპრილის დამლევი 160
ფ. ა. როტშტეინს. 8 ივლისი . . . . . 161—162
ბარათი ა. ა. ბოგდანოვს. 27 თუ 28 ოქტომბერი 163

1909 წ.

ბ. ე. ზინოვიევს. ზაფხული 164
ბ. ე. ზინოვიევს. 7 თუ 14 სექტემბერი . . . 165

1910 წ.

ლ. ტიშკას. 28 მარტი . . . . . 166—168
მ. მ. ზოლინას. 30 აპრილი 169
ლ. ტიშკას. 20 ივლისი 170
კ. რადეკს. 30 სექტემბერი . . . . . 137—172
კ. რადეკს. 9 ოქტომბერი . . . . . 173—174
ბ. ვ. კლეხანოვს. 22 ნოემბერი 175

1911 წ.

ბ. ვ. კლეხანოვს. 3 თებერვალი 176
ა. მ. გორკის. აპრილის დამლევი . . . . . 177—179
• საქმის ვითარება პარტიაში . . . . . 180—185
ა. მ. გორკის. 15 სექტემბერი . . . . . 186—187
ბ. ლ. შკლოვსკის. 25 სექტემბერი 188
ბ. ლ. შკლოვსკის. 26 და 28 სექტემბერს შუა . 189—190

1912 წ.

• რით მიდიან კადეტები არჩევნებზე? . . . . . 191—193
• მუშების ერთიანობა და არჩევნები . . . . . 193—195
ვ. ა. კარპინსკის. 8 ოქტომბერი 196
• წერილი რედაქციას. ოქტომბრის პირველი ნახევარი . . . . . 197—199
• გაზეთ «პრავდის» რედაქციას. ოქტომბერი . 200—202
• გაზეთ «პრავდის» რედაქციას. 2 ნოემბერი . . 203
• გაზეთ «პრავდის» რედაქციას. ნოემბრის პირველი ნახევარი . . . . . 204—205
ბ. ვ. კლეხანოვს. 17 ნოემბერი . . . . . 206—207
• გაზეთ «პრავდის» რედაქციას. 26 ნოემბერზე ადრე 208
• ამერიკაში ჩატარებული არჩევნების შემდეგ . . 209—211
• უგუნური გულმოდგინება . . . . . 212—213

* პარტიულობის საკითხი დემოკრატიულ სტუდენტობაში 214—216
ბ. ლ. შკლოვსკის 20 დეკემბერზე ადრე . . 217—219
* ამერიკაში . . . . . 220—222
* მუშათა კლასი და მისი «პარლამენტური» წარმომადგენლობა. სტატია III . . . . . 223—225
* მუშათა კლასი და მისი «პარლამენტური» წარმომადგენლობა. სტატია V . . . . . 226—230

1913 წ.

* ეჟენი პოტიე (მისი გარდაცვალების 25 წლისთავის გამო) . . . . . 231—233
* მუშა-მომღერალთა გუნდების განვითარება გერმანიაში . . . . . 234—235
ნ. ა. რუბაკინს. 13 თებერვალი 236
* ბურჟუაზიის საერთაშორისო პოლიტიკა . . . 237—239
* მემამულის ხმა სოფლის «დამშვიდების» შესახებ . 240—242
* კაპიტალიზმი და ქალის შრომა . . . . . 243—244
* ბელგიელთა გაფიცვის გაკვეთილები . . . . 245—247
* სამშენებლო მრეწველობა და მშენებელი მუშები . 248—250
* IV სათათბიროს შეფასება . . . . . 251—252
* ცხოვრების სიძვირე და კაპიტალისტების მძიმე ცხოვრება . . . . . 253—255
* გერმანიის სოციალ-დემოკრატია და შეიარაღება . 256—258
* მასების ორგანიზაცია გერმანელ კათოლიკეთა მიერ . 259—261
* მუშების შვებულებათა შესახებ . . . . . 262—264
* «ისტორიული» ფორმულის მნიშვნელობა . . . 265—267
* ვინ უპერს მხარს? . . . . . 268—270
საფრანგეთიდან (ჩვენი კორესპონდენტისაგან) 271—273
* დეპუტატი ფრანკი მასობრივი გაფიცვის მომხრეა . 274—276
* საინტერესო ურილობა . . . . . 277—278
ვ. მ. კასპაროვს. ივნისის მეორე ნახევარი . 279
ბ. ი. საფაროვს. 20 ივლისი 280
უკრაინელ სოციალ-დემოკრატს (ვ. სტეპანიუკს) 20 ივლისი . . . . . 281—282
ი. ს. ბანეცკის. 12 სექტემბერი 283
ზ. ლედერს. 28 ოქტომბერი . . . . . 284—285
ა. მ. გორკის. ნოემბრის დასაწყისი . . . 286—287
ა. მ. გორკის. შუა ნოემბერი 288
ნ. ი. ბუხარინს. ნოემბერი—დეკემბერი . . 289

1914 წ.

გაზეთ «პუტ პრავდის» რედაქციას. 9 თებერვალი . 290—291
ა. ა. ტროიანოვსკის. არაუადრეს 11 თებერვლისა 292
ი. ა. გურვიჩს. 27 თებერვალი . . . . . 293—294
• გაზეთ «პუტ პრავდის» რედაქციას. 23 მარტზე ადრე 295—297
ვ. ბ. სტანკევიჩს. 24 მარტი 298
• ირლანდიის შესახებ სტატიების საკითხისათვის. 7 და 23 აპრილს შუა . . . . . 299—300
ბ. ლ. შკლოვსკის. აპრილის დამლევი . . . 301—302
• ჩვენი ამოცანები . . . . . 303—307
ა. ა. ტროიანოვსკის. 20 მაისი 308
ვ. ა. კარპინსკის. 22 მაისზე გვიან . . . 309
ბ. ე. ზინოვიევს. 16 ივლისზე ადრე . . . 310
ბ. ლ. შკლოვსკის. 31 ივლისი . . . . . 311—312
მ. ვ. კობეცკის. აგვისტოს პირველი რიცხვები 313
ვიქტორ ადლერს. 5 სექტემბერი 314
თეზისები ომის შესახებ . . . . . 315—319
ვ. ა. კარპინსკის. 6 სექტემბერი . . . . 320—321
ვ. ა. კარპინსკის. 11 ოქტომბრამდე . . . 322
სიტყვა ბ. ვ. პლეხანოვის რეფერატზე «სოციალისტების დამოკიდებულების შესახებ ომისადმი». 1914 წ. 28 სექტემბერი (11 ოქტომბერი) მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . . . 323—325
რეფერატი თემაზე: «პროლეტარიატი და ომი» 1914 წ. 1 (14) ოქტომბერი. საგაზეთო ანგარიში . . 326—333
ვ. ა. კარპინსკის. 17 თუ 18 ოქტომბერი . . 334—335
ვ. ა. კარპინსკის. 23 ოქტომბერი . . . . 336—337
ა. ბ. შლიაპნიკოვს 14 ნოემბერი . . . . 338—341
ა. ბ. შლიაპნიკოვს. 25 ნოემბერი . . . . 342—343
ა. მ. კოლონტაის. 28 ნოემბერსა და 8 დეკემბერს შუა . . . . . 344—345
ვ. ა. კარპინსკის. 5 და 12 დეკემბერს შუა . . 346
ვ. ა. კარპინსკის. 9 დეკემბერი 347
ა. ბ. შლიაპნიკოვს. დეკემბრის დამლევი . . 348—349

1915 წ.

ვ. ა. კარპინსკის. 3 იანვარი 350
ბრანტის გამოცემათა რედაქციის მდივანს. 4 იანვარი 351—352
ა. ბ. შლიაპნიკოვს. იანვრის პირველი ნახევარი 353

ა. გ. შლიაპნიკოვს. იანვრის მეორე ნახევარი 354—355
ა. გ. შლიაპნიკოვს. 30 თუ 31 იანვარი . . 356—357
პირველი მაისი და ომი . . . . . 358—365
კარლ რადეკს. ივლისი . . . . . 366—369
კარლ რადეკს. ივლისი . . . . . 370—371
კარლ რადეკს. 4 აგვისტომდე . . . . . 372—375
ს. ნ. რავიჩს. 16 აგვისტო 376
ვ. ა. კარპინსკის 16 თუ 17 აგვისტო . . 377—378
ს. ნ. რავიჩს. 16 აგვისტოს შემდეგ . . . 379—380
ა. მ. კოლონტაის. 19 აგვისტომდე 381
ვ. მ. კასპაროვს. 19 აგვისტო 382
ი. ა. ბერზინს. 20 აგვისტო 383
ა. მ. კოლონტაის. აგვისტოს დამლევი . . . 384—385
ე. ი. რივლინას. აგვისტოს დამლევი—სექტემ-
ბრის დამდეგი 386
ა. მ. კოლონტაის. 8 და 13 სექტემბრის შუა . 387—388
გ. ე. ზინოვიევს. 11 და 17 სექტემბერს შუა 389
გ. ლ. შკლოვსკის. 13 სექტემბერი 390
ვ. ა. კარპინსკის. 13 სექტემბერი . . . . 391—392
კარლ რადეკს. 19 სექტემბერი . . . . . 393—394
მ. მ. ხარიტონოვს. 19 სექტემბერი . . . 395
ა. გ. შლიაპნიკოვს. 19 სექტემბერი . . . . 396—398
კარლ რადეკს. 20 სექტემბერი. 399
კარლ რადეკს. სექტემბრის დამლევი . . . 400
ა. გ. შლიაპნიკოვს. სექტემბრის დამლევი—ოქ-
ტომბრის დამდეგი . . . . . 401—402
გ. ლ. შკლოვსკის. სექტემბრის დამლევი—ოქ-
ტომბრის დამდეგი 403
ვ. ა. კარპინსკის. 6 ოქტომბერი 404
ა. მ. კოლონტაის. 22 ნოემბერი 405
ვ. ა. კარპინსკის და ს. ნ. რავიჩს. ნოემბრის დამ-
ლევი—დეკემბრის დამდეგი 406
ს. ნ. რავიჩს. 16 დეკემბრამდე . . . . . 407—408
დიალექტიკის საკითხისათვის . . . . . 409—414

1916 წ.

ჰენრიეტა როლანდ-ჰოლსტს. 21 იანვრამდე . . 415—416
ვ. მ. ხარიტონოვს. 27 იანვარი . . . . . 417—418
ვ. მ. ხარიტონოვს. 29 იანვარი 419

ა. მ. გორკის. 8 თებერვალზე ადრე . . . . 420—421
ს. ნ. რავიჩს. 13 თებერვალი 422
ს. ნ. რავიჩს. 17 თებერვალი 423
ვ. ა. კარპინსკის. 24 თებერვალი 424
ს. ნ. რავიჩს. 27 თებერვალი 425
ი. ლარინს. 13 მარტი 426
ა. მ. კოლონტაის. 19 მარტი . . . . . 427—429
ა. მ. კოლონტაის. მარტი . . . . . 430—431
ა. გ. შლიაპნიკოვს. მარტი—აპრილი . . . . 432—433
რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წინადადება მეორე სოციალისტურ კონფერენციას, რომელსაც იწვევს (ბერნის) ISK (თეზისები დღის წესრიგის 5, 6, 7a და 7b და 8 პუნქტების გამო) . . . . . 434 — 446
ა. მ. კოლონტაის. 4 აპრილი . . . . . 447—448
ა. მ. კოლონტაის. 19 აპრილსა და 7 მაისს შუა 449
ა. გ. შლიაპნიკოვს. მაისის პირველი ნახევარი 450—452
ვ. ა. კარპინსკის. 17 მაისი 453
ა. გ. შლიაპნიკოვს. 23 მაისი . . . . . 454—457
ა. გ. შლიაპნიკოვს. მაისი . . . . . 458—460
ა. გ. შლიაპნიკოვს. 17 მაისი . . . . . 461—466
ს. ნ. რავიჩს. 27 ივნისი 467
ა. მ. კოლონტაის. ივნისი . . . . . 468—469
ა. მ. კოლონტაის. 25 ივლისი . . . . . 470—471
ბ. ლ. შკლოვსკის. 4 თუ 5 აგვისტო . . . . . 472—473
ბ. ლ. შკლოვსკის. აგვისტოს დამლევი . . . 474
ზ. ი. ლილინას. სექტემბერი 475
ბ. ი. ბელენკის. 26 ოქტომბერი 476
ვ. ა. კარპინსკის. 20 დეკემბერი . . . . . 477—478

1917 წ.

შცნობს. 11 თუ 12 იანვარი . . . . . 479—480
ვ. ა. კარპინსკის. 19 იანვარი 481
ს. ნ. რავიჩს. 12 თებერვლის შემდეგ . . . . 482—483
ვ. ა. კარპინსკის. 21 და 23 მარტს შუა 484
დეპეშა ი. ს. განეცკის. 23 მარტი 485
* ბეგმა ციურიხში წაკითხული რეფერატისა «რუსეთის რევოლუცია, მისი მნიშვნელობა და მისი ამოცანები» 486—488
დეპეშა ი. ს. განეცკის. 28 მარტი 489
დეპეშა ი. ს. განეცკის. 30 მარტი 490

დეპეშა რ. გრიმს. 31 მარტი 491
ბოლშევიკების ციურიხის სექციას. 3 აპრილი . . 492—493
დეპეშა ი. ს. განეცკის. 5 აპრილი 494
დეპეშა ანრი ბილბოს. 6 აპრილი 495
აპრილის თეზისების პირველადი მონახაზი. თეზისები 496—497
სიტყვა პეტერბურგის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1917 წ. 4 (17) აპრილის სხდომაზე გერმანიაზე გამოვლის საკითხის გამო. საოქმო ჩანაწერი . . 498
სიტყვა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის თათბირის მონაწილე ბოლშევიკების კრებაზე. 1917 წ. 4 (17) აპრილი . . . . . 499—511
ი. . განეცკის და კ. ბ. რადეკს. 12 აპრილი . . 512—514
თეზისები დროებითი მთავრობის დეკლარაციის გამო. თეზისები . . . . . 515—516
ბეგი მოხსენებისა აპრილის კონფერენციის შესახებ . 517—521
საბჭოების ყრილობისათვის . . . . . 522—523
ბარანი ლ. ბ. კამენევს. 5 (18) ივლისამდე . . . 524
ბარათი ნ. ი. პოდვოისკის და ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს. 26 ნოემბერი 525
გამოსვლები რსდმპ(ბ) ცკ 1917 წ. 29 ნოემბრის (12 დეკემბრის) სხდომაზე. საოქმო ჩანაწერი . . . 526—527
სრ. რუსეთის ცაკის 1917 წ. 1(14) დეკემბრის სხდომა
1. გამოსვლა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შექმნის საკითხის გამო. საგაზეთო ანგარიში 528
ბარათი ა. ბ. შლიაპნიკოვსა და ფ. ე. ძერჟინსკის. დეკემბრის დამდეგი 529
დეპეშა ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს. 1917 წ. 21 და 28 დეკემბერს (1918 წ. 3 და 10 იანვარს) შუა 530
პუგლიციესტის დღიურიდან. (თემები დასამუშავებლად) . . . . . 531—535
პროექტი დეკრეტისა სამომხმარებლო კომუნების შესახებ. . . . . 536—538
1. წინასწარი თეზისები 536

1918 წ.

სიტყვები ომისა და ზავის შესახებ. რსდმპ(ბ) ცკ 1918 წ. 11 (24) იანვრის სხდომაზე. საოქმო ჩანაწერი 539—542
საზღვაო რევოლუციურ კომიტეტს. 15 იანვარი . 543
დეპეშა ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს. 17 (30) იანვარი 544
დეპეშა ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს. 21 იანვრამდე 545

დეპეშა ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს. 21 იანვარი . . 546
გამოსვლები რსდმპ(ბ) ცკ 1918 წ. 24 იანვრის (6 თებერვლის) სხდომაზე. საოქმო ჩანაწერი . . . 547
შტუტგარტის კონგრესზე ბებელის მიერ შეტანილი რეზოლუციის შესწორების შესახებ 548
დეპეშა მ. ა. მურავიოვს. 14 თებერვალი . . . 549
მთავარსარდალ მ. ა. მურავიოვს, რუმინეთის უზენაეს კოლეგიას, უკრაინის რესპუბლიკის სახალხო სამდივნოს, ვ. ა. ანტონოვს. 17 თებერვალი 550
გამოსვლები რსდმპ(ბ) ცკ 1918 წ. 18 თებერვლის სხდომაზე. საოქმო ჩანაწერი 551
გამოსვლები რსდმპ(ბ) ცკ 1918 წ. 23 თებერვლის სხდომაზე. საოქმო ჩანაწერი . . . . . 552—554
დეპეშა ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს. 23 თებერვალი . 555
დეპეშა ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს. 28 თებერვალი 556
სრულიად რუსეთის საბჭოების IV საგანგებო ყრილობის ფრაქციაზე წარმოთქმული სიტყვის ბეგმა . . . 557—558
ბრესტის ზავის რატიფიკაციის შესახებ. საბჭოების ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვის ბეგმა . . . . 559—560
თურქესტანის მხარის საბჭოების ტაშკენტის ყრილობას, თურქესტანის მხარის სახკომსაბჭოს, იბრაგიმოვსა და კლევლეევს. 22 აპრილი (5 მაისი) 561
გ. ე. ზინოვიევს. 14 ივნისი 562
დეპეშა კომისარ ივანოვს. 11 ივლისი 563
დეპეშა ე. ბ. ბოშს. 9 აგვისტო 564
დეპეშა ე. ბ. ბოშს. 12 აგვისტო 565
დეპეშა მ. ს. კედროვს. 12 აგვისტო 566
ნ. ი. მურალოვს. 29 აგვისტო 567
სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება სახალხო კომისარიატების ანგარიშების შესახებ 568
ბარათი მ. თ. ვლადიმირსკის. 27 ოქტომბერი . . 569
რადიოგრამა მოსკოვიდან ყველას, ყველას, ყველას! 10 ნოემბერი. 570
*ჯ.-მ. სერატის. 4 დეკემბერი 571
ამხ. პროშიანის ხსოვნას . . . . . 572—574

1919 წ.

დეპეშა კურსკის საგანგებო კომისიას. 6 იანვარი . 575
პასუხი გლეხის შეკითხვაზე . . . . . 576—580
შენიშვნები სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაციის საკითხის გამო 581

*პროგრამის ზოგადპოლიტიკური ნაწილის მესამე პუნქტის პროექტი (პარტიის VIII ყრილობის პროგრამის კომისიისათვის) . . . . . 582—583
გარათი ე. მ. სკლიანსკის. 24 აპრილი 584
გ. ე. ზინოვიევს. 30 აპრილი . . . . . 585—586
დეპეშა ლ. გ. კამენევს. 7 მაისი 587
*დეპეშა გელა კუნს. 13 მაისი 588
ლ. გ. კამენევს. 16 მაისი 589
* გარათი 3. ა. ავანესოვს. 20 მაისი 590
*გელა კუნს. 18 ივნისი 591
გარათი ე. მ. სკლიანსკის. 4 სექტემბერი . . 592
წინასიტყვაობა გ. ზინოვიევის სტატიისა: «ჩვენი პარტიის რიცხოგრივი შემადგენლობის შესახებ» . . 593
დეპეშა პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს იუდენიჩის შემოტევის გამო. 1919 წ. 14 ოქტომბერი 594
* გარათი ა. ს. ენუქიძეს, ლ. გ. კამენევსა და ე. დ. სტასოვას. 12 ნოემბერი 595
გარათი დ. ი. კურსკის. 17 და 23 დეკემბერს შუა . 596
გარათი დ. ი. კურსკის. 17 და 23 დეკემბერს შუა . 597
წინასიტყვაობა ჯონ რიდის წიგნისა: «10 დღე, რამაც შესძრა მსოფლიო» 598

1920 წ.

სიტყვა საკავშირო პროფსაბჭოს კომუნისტური ფრაქციის 1920 წ. 15 მარტის სხდომაზე. საოქმო ჩანაწერი 599—602
1920 წ. 6 მაისის რადიოს მინაწერი 603
გარათი ვ. პ. მილიუტინს. მაისი 604
ს. ი. გოტინს. 4 ივნისი . . . . . 605—606
სახელმწიფო გამომცემლობას და ე. ა. პრეობრაჟენსკისა და ნ. ი. გუხარინს. 8 აგვისტო . . . . . 607—608
ნ. ი. გუხარინს. ზაფხულის დამლევი 609
გარათი ა. ი. ელიზაროვას. შემოდგომა 610
მ. ნ. პოკროვსკის. 5 დეკემბერი 611
*დეპეშა ელექტროგუთნების მკეთებელ საწარმოებს. 31 დეკემბერი 612
პოლიტექნიკური განათლების შესახებ. შენიშვნები ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის თეზისების გამო . . . . . 613—616

1921 წ.

გეგმა რკპ(ბ) X ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვისა გაწერის გადასახადით შეცვლის შესახებ. გეგმა სიტყვისა გაწერის გადასახადით შეცვლის შესახებ . . . . . 617—620
კრონშტადტის აჯანყების შესახებ 621
პარათი ნ. ი. ბუხარინს. მარტი—აპრილი . . . 622
*დეკეშა პეტროგრადში ელექტროგუთნეების მკეთებელი მუშების სასურსათო პრემიების შესახებ. 31 მაისი . . 623
ს. ბ. საიდ-გალიევს. 18—20 ივლისს შუა . . . 624
*პარათი ვ. ა. სმოლიანინოვს. 5 აგვისტო . . . 625
ნ. პ. გორბუნოვს. 3 სექტემბერი . . . . . 626—629
ა. ს. კისელიოვს. 15 სექტემბერი 630
ვ. ა. ავანესოვს. 15 ოქტომბერი 631
პოლიტბანეების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვის გეგმა. ახალი ეკონომიური პოლიტიკა და პოლიტგანების ამოცანები . 632—633
დ. ი. კურსკის იჯარისა და კონცესიის საკითხის გამო მიწათმოქმედებაში. 25 ოქტომბერი 634
შენიშვნები რკპ ისტორიის გამო . . . . . 635—637
უთანხმოების საგანთა ჩამოთვლა (ქრონოლოგიური) . 635—636
ბოლშევიკების ბრძოლა მენშევიკებთან: (რიცხობრივი თანაფარდობის ცვლა) 637
ტელეფონოგრამა ვ. ა. ავანესოვს, დ. ი. კურსკის და ა. დ. ციურუპას. 13 დეკემბერი 638
პ. ა. გოგდანოვს. 23 დეკემბერი . . . . . 639 — 642
პარათი ბ. ი. კრუმინს. 1921 წ. დამლევი . . 643

1922 წ.

ომთან ბრძოლის საკითხისათვის 644
პარათი დ. ი. კურსკის. 20 თებერვალი 645
ა. დ. ციურუპას. მცირე სახკომსაბჭოს შესახები დირექტივის პროექტის გამო. 21 თებერვალი 646
*სახელმწიფო განაის თავმჯდომარეს. 28 თებერვალი 647—648
ვ. ა. ტიხომირნოვს. 1 მარტი 649
ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვს. 19 მარტი . . . 650
1922 წ. 27 III წარმოთქმული სიტყვის გეგმა . . . 651—655
დ. ი. კურსკის. 31 მარტი . . . . . 656—657

*ნ. ოსინსკის. 12 აპრილი . . . . . 658—659
მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრებს. 21 აგვისტო . . . . . 660—661
ვ. ა. ავანესოვს. 1 სექტემბერი . . . . . 662 — 663
ლ. ბ. ხინჩუკს 12 სექტემბრამდე 664
კომინტერნის IV კონგრესზე წარმოთქმული სიტყვის გეგმა. . . . . 665—667
სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვის კონსპექტი . . . . . 668—669
ლ. ბ. ხინჩუკს. 1922 წ. დამლევი 670

1922—1923 წწ.

* I წერილი ყრილობისადმი . . . . . 671—679
II. 674
*1922 წ. 24 დეკემბრის წერილის დამატება 677
III. 677
*IV. სახელმწიფო საგეგმო კომისიისათვის საკანონმდებლო ფუნქციების მინიჭების შესახებ . . . . 680 — 685
V. 682
VI. 684
*VII (ცკ წევრთა რიცხვის გადიდების განყოფილებისათვის) . . . . . 686—687
*ერეკვნებათა საკითხისათვის ანუ «ავტონომიზაციის» შესახებ . . . . . 688—696
* ერეკვნებათა საკითხისათვის ანუ «ავტონომიზაციის» შესახებ (გაგრძელება) . . . . . 691—696
შენიშვნები 697
სახელთა საძიებელი 845

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/IV-1959.
ნაბეჭდი თაბახ. 45,51. სააღრიცხვო-საგამომც.
თაბახი 38. შეკვ. № 934.
ფასი 8 მან.

•

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.

1-я типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР,
Тбилиси, ул. Орджоникидзе, № 50.